

სამსახური დადგენილება

სამსახური დადგენილება

1. 

1. სამსახური დადგენილება
სამსახური დადგენილება
27. VIII


2. სამსახური დადგენილება
სამსახური დადგენილება
სამსახური დადგენილება
27. VIII

1868

3. სამსახური დადგენილება
სამსახური დადგენილება

სამსახური დადგენილება



ქიხუციანი

ბუნების კარი.

საუმაჯვილო წიგნი,
დაბალ კლასებში სახვარებელი.

შედგენილი

ი. ზოგებაშვილისგან.

საქართველოს კარტი



1787

ვინც რომ სამშობლო ენას
ივიწყებს და არ ეძებს,
ძრულ კარგიც რომ იყოს,
ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ფასი 65 კობ.

თბილისი.

მელიქიშვილის და კამ. სტამბაში.

1868.

1876

*Дозволено цензурою, Тифлисѣ 23 Октября.
1868 года.*

წინასიტყვაობა.

ჩვენი საზოგადოება ერთგულათ ცდილობს, რომ, სხვათა შორის, ყმაწვილების უგუნური აღზრდით თავისი უცოდინარობა დაამტკიცოს. იმას აქამდის ხეირიანათ ვერ შეუგნია, ი.ე. რა მნიშვნელობა აქვს სამშობლო ენის სწავლებას ყმაწვილის გახსნაში. ჰედლოლიის აქსიომაა, რომ ბავშვა პირველათ თავისი ენა უნდა ისწავლოს, თუ დედ-მამას ამის გონების სწორე გახსნა უნდა. ჩვენი საზოგადოება სრულიად ამის წინააღმდეგს ღაღადებს: ყმაწვილი ქართული ენის სწვლას მერმეც მოესწრობაო. ის სწორეთ იმას ჰგავს, რომ სახლის შენება ეინმე ბანიდგან დაიწყოს და ამბობდეს, საძირკვლის ჩაგდება მერმე შეიძლებაო. ის კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს ჰაზრი კარგი განძრახვიდგან იბადება: ჩვენ საზოგადოებას მოუთმენლათ უნდა, რომ ყმაწვილობამ მალე შეისწავლოს რუსული ენა. ამაზედ კანონიერი და მშვენიერი სურვილი ძნელათლა იქნება. მაგრამ ეს მოუთმენლობა საქმეს ბევრით აფუჭებს. შბრალო მაგალითით აეხსნით ამას. ჩვილ ბავშს ჯერ დედის რძითა ზდიან, რათა? ამიტომ, რომ იმის სუსტ და ნორჩ ბუნებას მძიმე საქმლის ატანა არ შეუძლიან. დედ-მამამ რომ ბავშს მაშინვე მძიმე საქმლის ძლევა დაუწყოს, რა წარმოსდგება აქედგან? ყმაწვილი დასწავლდება და იქნება თანაც გადაჰყვეს. ისავე უნდა ვსთქვათ ყმაწვილის სულიერ მხარეზედ. ბავშვის გონება კარგა ხანი ნორჩი და სუსტია; იმას შეუძლიან აიტანოს მხოლოდ მსუბუქი შრომა, როცა ამ გვარი შრომით გონება გაიღვიძებს და შემაგრდება; მაშინ მძიმე შრომის ატანასაც შეიძლებს. ის არის ბუნების კანონი და დაუსჯელად არ დარჩება ის, ვინც ამას ეწინააღმდეგება. თავის ენა ყმაწვილისათვის ადვილი სასწავლებელია, ამით უნდა ისაზღოვოს და გაიხსნას გონება. შემდეგ ყველა უცხო ენას ადვილათ მიხედება და ჩქარა შეისწავლის. თუ ყმაწვილის გონება თავის ენაზედ გახსნილი არა აქვს, უცხო ენის სწავლაში მეტათ ბევრს ეწვალება, დროსაც ბევრს დაკარგავს და გვარიანათაც ვერ შეისწავლის. მალ-მალ გვეხმის მშობელთაგან შეკოლებზედ სამდურავი: მასწავლებლები ცუდი არიან და ჩვენი შვილები რუსულს გვარიანათ ვერა სწავლობენ და გაუხსნელნი გამოდიანო. მაგრამ ეს შეკოლების ბრალი არ არის. თვითონ დედ-მამაა დამნაშავე. ისერი თავის შვილებზედ შეკოლაში მიცემამდის სრულიად არ ზრუნავენ, არა ცდილობენ, რომ შინ ყმაწვილს თავისი ენა კარგათ ასწავლონ, გონება გაუხსნან და შეკოლაში მომზადებული მიცენ. სასწავლებელში შესვლის დროს რომ ყმაწვილმა თავისი ენა გვარიანათ იცოდეს, რუსულ ენას ორჯერ უფრო აღრე შეითვისებს. საკვირველია, რომ ეს უბრალო ჰუმარიტება ჩვენ საზოგადოებას აქამდის ვერ შეუგნია.—

თქვენა გსურთ, რომ ემაწვილმა შკოლაში მშენიერი რუსული კითხვა ისწავლოს? მეტათ გონიერი სურვილია! მაგრამ თუ ამისი მოწვევა გინდათ, ემაწვილოს ჯერ ქართული კითხვა კარგათ ასწავლეთ; ეს უნდა კითხულობდეს თავისუფლათ, ხმას ამაღლებდეს იმ სიტყვებზედ, რომელთაც უფრო დიდი ძალი აქვთ წინადადებაში, და ადაბლებდეს იმათზედ, რომელთაც მცირე მნიშვნელობა აქვთ; უნდა კარგათ ესმოდეს, რასაც კითხულობს და თავის სიტყვით გაიმბობდეთ წიგნში წაკითხულსა, — ყოველ თავის პაზრს ცხადთ და თავისუფლათ უნდა ხატავდეს. რომელი ემაწვილიც შინვე ისწავლის ამ გვართ ქართულ კითხვას, იმას ძალიან ადვილათ შეუძლიან რუსულ კანონიერ კითხვაში მალე დახელოვნდეს, ამიტომ რომ ის მიხვედრილია თავის ენაზედ, თუ რაში მდგომარეობს კარგი კითხვა. —

თქვენ მონდომილნი ხართ, რომ თქვენმა ბავშვმა შკოლაში რუსული ენის გრამმატიკა წმინდათ შეისწავლოს? დიახ, მშვენიერი წადილია! მაგრამ ეს კეთილი სურვილიც მაშინ აგისრულდებათ, როცა ემაწვილს შინვე კარგათ მიხვედრებთ თავისი ენის გრამმატიკასა. ესეც პედალოლის აკსიომაა. ბავშვს თუ თავისი ენის კანონების ცოდნა არა აქვს, უცხო ენის გრამმატიკა უაზრო საგნათ ეჩვენება და რამდენსამე წელიწადს ეწალება; მინამ მიხვდებოდეს, თუ რა შეცნიერებაა გრამმატიკა. თუ შენ, მკითხველო, ქართული გრამმატიკა პატარაობისას არ გისწავლია და პირდა და პირ რუსული გრამმატიკა აგილია ხელში, ვანა ეს გჩვენებია სწავლებელ რათმე. რომელიც მასწავლებლებს მოუგონიათ ემაწვილების სატანჯველათ? შკოლი ემაწვილი უნდა მოელოდეს ამასავე, რომელსაც დედ-მამა თავის ენის კანონებს და ფორმებს ადრევე არ გააცნობს. სულ რომ ცოტა ესტავათ სამჯერ ჩქარა შეისწავლის რუსულ გრამმატიკას ის ემაწვილი, რამელმაც ქართული გრამმატიკა იცის, მანამ ისა, რომელმაც არ იცის. ეს ჩსეთი უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ სულ მცირე ჭკუის ადამიანისთვის ცხადი უნდა იყვეს.

თქვენ, რაღა კითხვა უნდა, გსურთ, რომ სასწავლებელში თქვენმა შვილმა საზოგადო გეოგრაფია დაწერილებით ისწავლოს. თუ ამ გულის წადილის სრული მოწვევა გინდათ, თქვენ ემაწვილს თავისი საშობლო ქვეყანა კარგათ გააცანით. ეს მით უფრო ადვილია, რომ ეს ცოდნა ემაწვილებს გაგიჟებთა სურთ. შინ არ იცის, რომ მშობლებს მოსვენება არა აქვთ ამ გვარ ბავშვების კითხვებიდგანა: ჩვენს იქით რა ქვეყანაა, ვინა ცხოვრობს იქა, როგორი ადვილია? შინ არ იცის ის ფაქტი. რომ ემაწვილებს გგზავრობა გარეშემო სოფლებში და ქალაქებში საშინლათა სურთ და მოგზაურობის ამბავს ერთგულათ ყურს უგდებენ ხოლმე. თუ დედ-მამა ემაწვილს ამ სურვილს დაუკმაყოფილებს და თავის საშობლო ქვეყა-

წას გააცნობს, დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ საზოგადო გეოგრაფიის შესწავლა იმისთვის მეტათ ადვილი საქმე იქნება.

შეკველია მონდომილნი ხართ, რომ თქვენი შვილი კაცობრიობის საზოგადო ისტორიის ცოდნაში დახლოვნებული ადვილათ გახდეს და მკოდნე კაცი გამოვიდეს! ამისი ასრულებაც ბევრით დამოკიდებულია საქართველოს ისტორიის სწავლაზედ. უმაწვილმა უნდა ჯერ თავისი ქვეყნის წარსული ცხოვრება გაიცნას და მერმე ადვილათ შეისწავლის კაცობრიობის უწინდელ თავსებადასაქალსა. მსეც ადვილი საქმეა, მხოლოდ წადილს მოითხოვს. უმაწვილებს მოთხრობის სმენა მეტათ უყვართ და მალეც იხსომებენ. დედ-მამამ უნდა ეს ბავშვის მიდრეკილება კარგათ მოიხმაროს და საინტერესო მოთხრობებით გააცნოს თავისი სამშობლო ქვეყნის უწინდელი ბედი და უბედობა.

მართი სიტყვით, ვისაც კი სურს, რომ უმაწვილი გონების გახსნაში და სწავლაში სწორე გზაზე დააქენოს და განათლების მიღება გაუადვილოს, ის უთუოთ უნდა ეცადოს-სწავლა იმ საგნებიდგან დააწყებინოს, რომლებიც უმაწვილზედ უფრო ახლო არიან, მის გრძობა-გონებას იზიდვენ და ადვილათ შეთვისებინ. მღალ-ყურ მგდებელ მასწავლებლებს შეუნიშნავთ, რომ უმაწვილები, რომლებიც გონიერ მშობლებს შინ კარგა მოუშადადებით ქართულ ენაში, რუსულ ენას და საზოგადოთ საგნებს ადვილათ სწავლობენ და უკეთეს მოწაფებათ ითვლებიან. ჩვენმა საზოგადოებამ ამ მაგალითებს უნდა მიბაძოს, თუ არა სურს, რომ ახალმა თაობამ ბოლოს ცუდათ მოიხსენოს.

„ჭკუაზედ ახლოა, რასაც ამბობ, იფიქრებენ ბერნი, მაგრამ როგორ შეგვიძლიან ჩვენ შეილებს მაგდენი რამე ვასწავლოთ და გონება გაუადვილოთ, როცა ჩვენ თვითონ თითქმის არაფერი არ ვიცით?“ ძნელათლა იქნება ამაზედ სამწუხარო გარემოება, მაგრამ ამ სენს უებარი წამალიც აქვს. ბსურთ გაიგოთ ეს წამალი? ისწავლეთ! აი უცოდინარობის უებარი წამალი. სიბერემდის სწავლა კაცს არ მოსჭარბდებაო. მქვენგან სწავლის დაწყება და მიყოლა ორ ძვირფას სიკეთეს დაბადებს; ერთი მხრით თვითონ გონება გაგიმდიდრდებათ ცოდნითა და გაგიანათლებდათ, მეორე მხრით მოიპოვებთ ღონისძიებას, რომ გახდეთ ნამდვილი დედ-მამა თქვენის შვილებისა და მათ გონებაში პატარაობისვე დანერგოთ თესლი ჭეშმარიტის და სწორე განსნისა.

„სხვა არა იყვესრა, წიგნები არ არის ქართულ ენაზედ, რომ კაცი სწავლას შეუდგეს,“ იტყვის ზოგიერთა. მს ტყუილია. ქართული ენა მართალია ღარიბია წიგნებით, მაგრამ ბეჯითი და მოსურნე ადამიანი თავის სამყოფს კიდევ იპოვნის ძველ და ახალ ენაზედ. მუნდაც ნათქვამი ჭაზრი მართალი იყვეს, მით ჩვენი საზოგადოება თავს ვერ გაიმართლებს.

რატომ არ არის აქამდის ქართულ ენაზედ საკმაო წიგნები? მინ არის ამაში დამნაშავე? ოც-თონვე ქართული საზოგადოება. ის არ ითხოვს წიგნებსა და იმიტომ ესენიც არ იბადებიან ქვეყანაზედ. ბევრს ემაწვილ კაცს სურს და ცოდნაც ნებას აძლევს, რომ სხვა და სხვა მეცნიერებაზედ წიგნები შეადგინოს, მაგრამ კითხვა: ვინ მოითხოვს და ვინ მოიპოვებს? იმას ხელიდგან კალამს აგდებინებს სამუდამოთ. ოქვენ წიგნების მოთხოვნილება გამოაჩინეთდა ისე გლახებიც არ არიან ჩვენი ნასწაველი ემაწვილები, რომ თქვენი სურვილი არ დააკმაყოფილონ. უიმისოთ წიგნების გამრავლება ქართულ ენაზედ შეუძლებელია.

რა არის მიზეზი, რომ ამ თქვენ წინ მდებარე წიგნმა ქვეყანა იტოლა? მოთხოვნილება. ამ გვარ წიგნში ემაწვილობა საჭიროებს და მოპოვებაცა სურს. მაგრამ ეს მოთხოვნილება ძრიელი არ არის. ემაწვილებს უფროსები ქართული ენის სიყვარულის მაგალითს არ უჩვენებენ და გარემოებაც მათ ამაზედ არ ახალისებს. შეტაფორულათ რომ ესთქვათ, ჩვენ ემაწვიოლებს სუსტი მადა აქვთ ქართული წიგნების კითხვისა. ამისთანა მადას თუ გენრეელი საჭმელი არ შეხვდა, უყურადღებო დარჩება. ამიტომ ჩვენი ემაწვილებისათვის შედგენილი წიგნი რამდენათაც სასარგებლო უნდა იყვეს, იმდენათ სასი. მკაცრ. რომელი საგნები არიან უფრო სასიამოვნო და სასარგებლო ემაწვილის გონებისათვის? — ბუნება საზოგადოთ და ყოველი, რაც ემაწვილს გარეშემო არტყია. მოველი ემაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის საგნებსა. რითი საზრდოებენ გარეულნი პირუტყენი, როგორ ატარებენ ცხოვრებასა, სად არიან ის ფრინველები ზამთარში, რომლებიც ზაფხულში ჩვენ ქვეყანაში სცხოვრებენ, საიდან წარმოსდგება ქარი, წვიმა, თოვლი, ქუხილი და ელვა, — აი რა კითხვები ებადება ყველაზედ ხშირად ემაწვილს გონებაში. ამიტომ ნამდვილათ საინტერესო წიგნი ჩვენი ემაწვილებისათვის უნდა იყვეს ისა, რომელიც შესდგება ბუნების და იმის საგნების აწერათგან, რომელიც დაბიურათ ხსნის ბუნების მოვლენაებსა. ეს ჰაზრი გვექონდა ჩვენ სახეში, როცა შევეუდექით ამ წიგნის შედგენასა. უმთავრესი მიზანი ამ წიგნისა არის — გაუნსნას ემაწვილს თანა-გარძნობა ბუნებისა, შეაყუაროს მისი გამოძიება და მისი განხილვა, ერთი სიტყვით უნდა გახდეს ბუნების კართა. აი რისთვის ჩვენ დიდი ადგილი მივეცით პირუტყვის ცხოვრების, მათი ზნის და ჩვეულობის აღწერასა. აქედგან ემაწვილი შეიტყობს, თუ ბუნება რა მდიდარაა სხვა და სხვა ცხოვრებითა და ნიჭიერებითა; პირუტყვზედ ის თავის ჰაზრს შეიცვლის, უწინდებულათ უგუნურ მაშინებათ აღარ შერაცხავს და ცხადათ იგარძნობს, რომ ზოგი ამათგანი სულიერი სისრულით ახლოა თვითონ ადამიანზედ. ემაწვილი მიხვდება, რომ ბუნება მრავალ გვარი სიცოცხლით დულს და დაუსრულებელი ცოდნის წყაროა. თუ ამ წიგნის სტატიები ემაწვილს

ზედმაწევნით მაინც აგრძნობინებენ, რომ ბუნების გამოძიება არის წყარო ერთი მხრით ჭეშმარიტი სარგებლობისა და მეორე მხრით ღრმა სიამოვნებისა, მაშინ ჩვენ შრომას ამათ აღარ ჩაეგდებთ.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს წიგნი თავის დანიშნულებას ყოველის მხრით ვერ ასრულებს, ამიტომ რომ ნაკლულევანება ბლომათ აქვს. ჩენი პლანი ნახევრობითაც ვერ აეასრულეთ, ამიტომ რომ წიგნის შედგენაში მუყაითი შრომა ვერ გავსწიეთ; ჩვენ იძულებული ვიყავით ნაწყვეთ-ნაწყვეთად გვეშრომა და ჯეროვანი გულის ყური ვერ მოვახმარეთ. ბარდა ამისა წიგნი თან იწერებოდა და თან იბეჭდებოდა. ამიტომ საზოგადოათ სტატიები ვერ არიან საკმაოდ შემუშავებულნი; ბევრი საჭირო სტატიებიც დააკლდა წიგნსა; აგრეთვე ზოგი სტატიები ნათარგმნია რუსულიდან, თუმცა შემეტყვის ნაწილი ჩვენგნიც არის შედგენილი. სულ უმთავრესი ნაკლულევანება ცხოველების სურათების უქონლობაა. პედალოლია ამბობს, უჩვენე ყმაწვილს თვალთ ის საგანი, რაზედაც ელაპარაკება, ან მისი სურათი მაინც, თუ გსურს, რომ იმან იმისი ჭეშმარიტი წარმოდგენა გამოიხატოს გონებაში. ჩვენ წიგნში ყმაწვილი ვერა ნახავს იმ ცხოველების სურათებს, რომლებზედაც ლაპარაკია, და თუ ესენი არ უნახავს, იმათ სახეს გონებაში ვერ წარმოიდგენს. ის დიდი ნაკლულევანებაა! თავის გასამართლებლათ ჩვენ იმას ვიტყვიან, რომ ეხლა სრულიად შეუძლებელი იყო სურათებით გამოცემა. შემდგომისათვის კი თავდარიგს დავიჭერთ, რომ პეტრებურლიდან გამოვიწერათ. შემოხსენებულმა ნაკლულევანება დაბადა მეორე ნაკლულევანებაც: გარეული ცხოველების აგებულება და სახე აღწერილი არ არის. ის იმიტომ მოხდა, რომ ამ გვარი აწერა რაც უნდა დაწკრილებით იყოს, სრულიად უსარგებლოა, რადგანაც ყმაწვილი ვერ შეიძლებს პირუტყვის ნიშნები ისე შეაერთოს, რომ მთელი სურათი გამოვიდეს. შინაური პირუტყვების სახე კი ვრცლად არის ნაჩვენები.

ჩვენ ძველის მოყვარე პირებს ამ წიგნის ენა, რა საკვირველია, არ მოეწონებათ. ისენი სხვა ზომით აუასებენ ენის ღირსებასა: რამდენიც ენა ძველი და გაუგებარია, იმდენი უფრო დიდის მოწიწებით უყურებენ. საცინელი ის არის, რომ ეს ახალი ენის მძულვარე პირები თვითონვე ცხოველებში ამ ენას გულარხინათ ხმარობენ და ლაპარაკში მისი სმენა სრულიად არ ეჩითირებათ; მაგრამ ნახამენ თუ არა ამ ცოცხალ ენას წიგნში, მაშინვე თავზედ ცეცხლს გადაიყრიან: „წახდა, მოიახარა და დაიღუპა ჩვენი ენა“, გაიძახიან ხშირათა. „შწინდელი კეთილშობილი ენის მაგივრათ, ახლა ტეტიური უბრალო ენა შემოიღეს, რომელიც მუშას და ფილოსოფოსს ერთი სიადვილით ესმით. მტეი ენის მოთხრა კიდევ გინდათ“. მაგრამ ვისიცი გონება დახშული არ არის, იმას ამ გვარი სჯა სიცილათაც არ ეყოფა; ის ენის ღირსებას ამის სიცხადით და სიადვილით ზო-

186

მამს. ამ გვარი პირი ამ წიგნის ენაში სხვა ნაკლულევენებაებს მოსძებნის, ის ბლომათ იპოვნის რუსიზმებსა, შიგა და შიგ ლექსთა თხუზულებაში შენიშნავს ურიგობასა, ერთსა და იმ სიტყვის დაბოლებაში განსხვავებას შეაჩნდეს. ეს ნაკლულევენებანი ერთის მხრით წიგნის შედგენის სიჩქარით წარმოსდგენ, მეორე მხრით ჩვენი ენის შეუმუშავებლობით. ძარაული ენა ჯერ თავის კალაპოტში არ არის ჩაყარდნილი და გრამატიკული ფორმები დამდგარნი არ არიან. მე მხოლოდ ერთს მაგალითს ვუჩვენებ. როცა წინადადებაში არსებითი სახელი მრავლობით რიცხვზედ არის, ზმნაც ამ რიცხვზედ უნდა იხმარებოდეს, თუ არა? რა საკვირველია, იტყვიო. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ეს ასე არ არის; მაგალითათ, ამბობენ: სკამები დგას და არა დგანან, სათლები ანთია, და არა ანთიან, ხეები ინძრევ და არა ინძრევიან. რა კანონს მისდევს ეს ბოლოს ფორმა და როდის უნდა იხმარებოდეს, ეს ძნელი გამოსარკვევია.

ადგილობრივ თვისებას აწ წიგნს აძლევს საქართველოს გეოგრაფია. დამფასებელმა უნდა სახეში იქონიოს, რომ ეს სტატიები ყმაწვილებისთვის არიან შედგენილნი და არა უფროსებისთვის. ჩვენ გვსურდა, რომ ყმაწვილს ამ სტატიების კითხვაში სიამოვნება ენახა და წახალისებულიყო თავის სამშობლო ქვეყნის დაახლოვებით გაცნობაზედ, ამიტომ ჩვენ უფრო დიდი ყურადღება მივაქციეთ ხალხის ცხოვრებას, მის წარმოებას, ჩვეულებას და ზნეობას, მანამ თვითონ ადგილის აღწერასა. მასალების უქონლობამ და სიჩქარემ შეძლება არ მოგვცა, რომ საქართველოს გეოგრაფია უფრო ვრცლად შეგვედგინა. შემდგომისათვის კი იმედი გვაქვს, რომ ვრცელი საქართველოს გეოგრაფია გამოვეცეთ. ძარტა ამაზედ ვრცელი შეუძლებელი იყო, რადგანაც მეტათ ძვირათ დაჯდებოდა და წიგნის ფასს გაადიდებდა. ეს მოკლე კარტაც ოც და სამი თუმანი დაჯდა. აქ საჭიროთ ვრაცხთ განუტყხადოთ მადლობა უ. შანტანგ თულაშვილს, რომელმაც შეადგინა ამ წიგნის დამატებული საქართველოს კარტა.

წიგნი თავდება ლექსებითა. ჩვენ სამწუხაროთ ამ ხანათ საყმაწვილო ლექსები მეტი ვერ ვიშოვნეთ. ამ გვარ წიგნში რამდენიც ბევრი ლექსი იქნება, იქნენი უფრო მეტს სარკებლობას შესძინებს ყმაწვილსა. საზოგადოთ ჩვენი წიგნი მეორე გამოცემისათვის ბევრ ცვლილებას და გარდაკეთებას მოითხოვს. საჭიროა ერთი ორათ მაინც იმატოს, რომ დააკმაყოფილოს ჩვენი ყმაწვილობა. მაშინ წიგნი ორ ნაწილათ გამოვა: პირველს ნაწილს საგნათ ბუნება ექნება, მეორეს ადამიანი.

ი. ზოგებაშვილი.

საბჭოთა

11
ქაჩუაძის
კაბინაში

თბილისი. 1868 წელსა, ოქტომბრის 20-სა. —

სარჩევი.

წინასტატიები.

ჯერ სწავლა, მერმე ქეიფი	1.
ღილის მზის სხივები	2.
შმაწვილები ქალაში	3.
კატო და ფრინველები	5.

მცანარეები.

ჯინქარი	9.
ბამბა	10.
შაქრის ლერწამი	11.
ბრინჯი	12.
ჩაის მცენარე	14.
შაეის ხე	15.
ხილთა ქება	17

ფრინველები.

ჩიტი (ბელურა)	19.
მერცხალი	20.
მწყერი	24.
ბუგული	26.
ბულბული	29.
არწივი	31.
სირაქლემა	36.
ფრინველების გონება	39.
ფრინველების მოგზაურობა	42.
ფრინველების წასვლისთვის მომზადება	44.
ფრინველების მგზაურობა თბილი ქვეყნებისკენ	46.

შრინელები ზამთარში უცხო ქვეყნებში ყოფნა	48
შრინელები წამოსვლა ჩვენ ქვეყანაში	50

ოთხუხენი.

ქატა	55
ძალღი	59
ლომი	65
სპილო	69
წაღი	80
მაღმუღი	85

აღამიანუღ.

სწეღის შენღბა	98
ხუთი გრღნღბა	108
წიჭიერღბანი	112
მცენარის ქვისგან განსწვაღება	114
სწოვეღის და მცენარის მსგაღსღბა და განსწვაღება	116
სწოვეღის და აღამიანის მსგაღსღბა და განსწვაღება	117

წელიწადის ღროღი.

ზამთარი	121
ბაზაღსუღი	125
ზაღსუღი	129
შემოღღღმა	137

ბუღბის მოვღენანი.

ქარი	138
წიღმა	142
სისსარტყღღა	145
ნამი	146
რთიღიღი	149

სეტყვა	150.
თოვლი	151.

გეოგრაფიული სტატიები.

უპირველესი ცნობები ქვეყანაზედ	155.
დედამიწის სიმრგვლე და მიმზიდველობის ძალა	160.
დედამიწის თავის გარეშემო ბრუნვა და ქვეყნის მხარეები	165.
დედამიწის ტრიალი მზის გარეშემო და წელიწადის დრონი	170.
წყალში ნავით სეირნობა	176.
მთვარე და მისი ბრუნვა მზის და მიწის გარეშემო.	179.

საქართველოს მოკლე გეოგრაფია.

სიმშვენირე და გეოგრაფიული მდებარეობა საქართველოს; საზღვრები, შემადგენელი ნაწილები, მცხოვრებლების რიცხვი და ჰაერი. ბანყოფა საქართველში ლახის მართ ორ დად ნაწილათ. შედარება აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსი ბუნებით და მცხოვრებლებით; ქარები საქართველოში და მათი თვისება; მდინარეები, მცენარეობა და ცხოველები; ნიადაგი; სიღარიბე მცხოვრებლებისა და ამის მიზეზი. წარმოება ქარველობისა; უფხოობა; ხალხის სიმრთელის მდგომარეობა; ცუდი მდგომარეობა გლეხებისა; განათლების მდგომარეობა საქართველოში და ამ მხრით წარმატების იმედი. 186-203.

კერძოობითი განხილვა.

ქახეთი. შიგნით ქახეთი. ქიზიყი. საინგილო. თუშეთი. ბარეთ	
ქახეთი. თიანეთი. უშავ-ხევსურეთი	203.
ქართლი. საკუთარი ქართლი. ახალციხის მხარე. ჯავახეთი.	215.
იმერეთი. ზემო იმერეთი. ქვემო იმერეთი. რაჭა	228.
ბურია.	238.
სამეგრელო.	242.
სვანეთი.	255.
სამურზაყანო.	267.

აფხაზეთი. საკუთარი აფხაზეთი. წებელდა.	270.
პრეენის, მანჯის და ბაქოს გუბერნიები, ლალესტნის ობ- ლასტი.	275.

ლექსები.

დებადერი და ცხოველნი. (ხალხური)	277.
პრიპინა პრიპინა და ჭინჭველა.	—
სოფლელნი სოფლელნი და მდინარე	278.
პირი პირი და ბუღბუღი	279.
ჩიტი	280.
ლექსი აეთანდილისა. (ხალხური)	—
ბაზათხული	281.
პრაგვი	—
პრაგვი	282.
სიმღერა მკის დროს	283.
სოფლური სიმღერა	285.
ერთია კაცი	286.
შევეილი	—
ჩჩვილი	287.
მძინარე ყმაწვილს	288.
მამულის სიყვარული	—
მეფე პრეკლე მეორის გლოვა	289.
რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან	291.



წინა-სტატიები

ჯერ სწავლა, მერამე ჰაიუი.

ერთი პატარა ყმაწვილი
შანჯარასთან დიდ ხანს იჯდა,
წინა ედვა გაკვეთილი
და ბეჯითათ კითხულობდა;
შანჯრიდგან კი მზე ბრწყინვალე
შეიყურებოდა სახლში,
უნდა პატარა მოსწავლე
ბაეტყუებინა კარში:
ბეყოფა მაგდენი სწავლა
თამაშობის დროა ახლა.
ჯერ არ მარგებს თამაშობა,
მზეს ყმაწვილი ეუბნება,
კითხვას როცა გავათავებ,
თამაშობას მაშინ ვიწყებ.

ყმაწვილი სწერს და კითხულობს,
წიგნები უდევს სტოლზედა,
ჩიტი კი მშვენივრათ გალობს
შანჯრის გარეთა ხეზედა;
ხშირათ შესძახის ყმაწვილსა
ჩიტი ერთს და იგივესა:
ბეყოფა მაგდენი სწავლა,
თამაშობის დროა ეხლა
ყმაწვილი გასძახის ჩიტსა,

დრო არ არის ქეიფისა,
კითხვას როცა გავათავებ,
თამაშობას მაშინ ვიწყებ.

ისევ წიგნს უზის ყმაწვილი
შანჯრიდგან არ იხედება,
ბალიდგან კი მწიფე ბალი
მალი—მალა ეუბნება:
ბეყოფა მაგდენი სწავლა,
თამაშობის დროა ახლა.
ჯერ არ მარგებს თამაშობა,
ბალს ყმაწვილი ეუბნება,
როცა გავათავებ კითხვას,
მაშინ ვიწყებ თამაშობას.

ბაჟშმა კითხვა გაათავა,
თავის წიგნი შესდვა 'ტოლში'
და თამამათ დაიძახა,
როცა რომ გადმოხტა ბაღში:
აბა მე ვინა მეძახდით,
სათამაშოთ მიტყუებდით?
მზემ ყმაწვილსა გაუცინა,
ჩიტმა ტკბილათ უგალობა
მწიფე ბალმა დასაკრეთათ
თავის ტოტი დაუწია.—

2. დილის მზის სხივები.

მბრწყინვალე მზემ ამოაშუქა და თავის სხივები აქეთ-
იქით გაფანტა მთელი ქვეყნის გასაღვიძებლათ.

პირველი სხივი წამოვიდა და ტორბოლას დაეცა. ტო-
როლამ დაიფთხრიალა, ბუდიდგან ამოფრინდა, მალლა მალ-
ლა წავიდა და თავისი მხიარული გალობა შესძახა მინდერის
და ველის შესამკობლათ.

მეორე სხივი პატარა კურდღლის ბაჭიას დაეცა. პურდ-
ღელმა ყურები ცქვიტა, წაშობტა და ნამიან კორდში მხიარულად ხტუნაობას ხელი მიჰყო; მერმე გაცუნცულდა და მწვანე ბალახს საუზმეთ ძოვნა დაუწყა.

მესამე სხივი საქათმეში ჩაეარდა. მამალმა ფრთები შემოჰკრა და დაიყვილა: ყიყლიყო! ქათმები ქანდარაებიდგან ჩამოფრინდნენ, კაკანი მორთეს, მერმე დაუწყეს ნაგავს ქექა და ჭიებს ძებნა.

მეოთხე სხივი სკაში შეეარდა. შუტკარი თავის წმინდა სამთლის ოთახიდან გამოძვრა, ფანჯარაზედ დაჯდა, ფრთები გაისწორა და ყვავეილებთან ზუზუნით გაფრინდა—თაფლის მოსაგროვებლად.

მესუთე სხივმა ყმაწვილების ოთახში შეაშუქა და პატარა ზარმაცის ლოგინზედ დაეცა; მზის შუქი თვალეში უბჰყვრილალებდა, მაგრამ ის მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ხელმეორეთ დაიძინა.

3

ყვავილები ჭალაში.

3

მართს საამურს ზაფხულის დილას ორი ყმაწვილი, ძმა და და, სასწავლებელში წავიდნენ. იმათ წინ დახვდათ მწვენიერი ჩრდილოვანი ჭალა. ბზაზედ მტვერი იდგა და ცხელოდა, ჭალაში კი წმინდა ჰაერი იყო და გრილოდა.

იცი რა? „უთხრა ძმამ დას;“ სასწავლებელში მისვლას მოვესწრობით, ახლა იქ ყოფნა ცუდი და მოსაწყენია, ჭალაში კი სეირნობა ძალიან სასიამოვნოა. აბა ყური მიუგდე, ფრინველები რა რიგათ ჭიკჭიკობენ, და როგორ მხიარულებაში არიან; გავიქცეთ იქ, დაო. დას თავისი ძმის რჩევა მოეწონა. შმაწვილებმა ანბანები ბალახებში გადაყარეს, ერთი ერთმანეთს ხელი ხელს ჩაჰკიდეს და მწვანე ბუჩქებში შეცვივდნენ.

ჭალაში ყოფნა მართლა სასიამოვნო იყო. შრინვლები მარდათ ხეებზედ დახტოდნენ, მალ-მალ ერთი ბუჩქიდგან მეორეზედ ფრინადნენ, გალობდნენ და ჭყიოდნენ; ბუხები და ჭიები ბალახებში ფაცი-ფუცით დაძვებოდნენ.

შმაწვილებმა პირველათ ნახეს ყვითელი ბუხი. — მოდი ჩვენთან ითამაშე, უთხრეს ბუხს ყმაწვილებმა. — ღიღის სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ დრო არა მაქვს, მე ეხლა სადილის საშოვრად დავბუხი, რომ დღეს მშვიერი არ დავრჩე. ითამაშე ჩვენთან, უთხრეს ყმაწვილებმა ყვითელს და ბურბულიან ფუტკარს. — მე ეხლა სათამაშოთ არა მცალია, — თაფლი უნდა მოვაგროვო, უბასუნა ფუტკარმა. — შენ მაინც არ ითამაშებ ჩვენთან? ჰკითხეს ყმაწვილებმა ჯინჯველას. მაგრამ ჯინჯველას იმათთვის არა სცალოდა და ყურიც არ ათხოვდა ის სამს თავის ოდენს ჩალას მიათრევდა და ეშმაკური საღვამის აშენებას აჩქარებდა. მტრედმა უთხრა: მე ჩემი პატარა ბარტყებისთვის ბუდეს ვაშენებო. წყლის რუსკენ პირის მოსაბანათ ცქვიტათ მორბოდა კურდღლის ბაჭია და ჩვენს ყმაწვილებს ზედაც არ შეხედა.

ყმაწვილები დადონდნენ, რადგანაც ყველა საქმობდა და ამათთან თამაშობა არა ვინ არ მოინდომა. ისინი რუსკენ გაიქცნენ. წყლის ნაკადული ქვებზედ მოჩანჩქარებდა და ჭალაზედ მორბოდა. ყმაწვილებმა ნაკადულს მისძახეს: „შენ, რახნა, რახნა, უთუოთ საქმე არა გაქვს რა, მოდი ჩვენთან ითამაშე! ნაკადულმა გაჯავრებით ჩაიჩახჩახა: როგორ! მე საქმე არა მაქვს? აი, თქვე ზარმაცებო. აბა ერთი შემომხედეთ: დღე და ღამ ვმუშაობ და ერთს წუთს დასვენება არ ვიცომაშ ხალხს და ცხოველებს წყურვილს ვინ უკლავს? ჩემს მეტი სხვა ვინ რეცხს სარეცხსა, აბრუნებს წისქვილის ბორბლებსა, ატარებს ნაფებსა და აქრობს გაძლიერებულ მანებელ ცეცხლსა? ოჰ, მე იმდენი სამუშაო მაქვს, რომ თავი ბრუ მებევეა, დაუმატა ნაკადულმა და ქვებზედ ისევ ჩანჩქარი დაიწყო.

შმაწვილები უფრო მომეტებულათ შეწუხდნენ. ძიღვე აქეთ იქით იარეს, მაგრამ არაინ ყური არ უგდო; ყველა საქმეს აკეთებდა. შეფიქრიანებულმა ყმაწვილებმა უკოლაში წასვლა დააპირეს. მაგრამ იმ დროს ერთს მწვანე ტოტზედ პატარა ჩიტი დაინახეს. ის ძალიან მძიმეთ იჯდა, თითქო უსაქმოაო, და ფრიად საამურ გალობას უშტვენდა. ჰეი შენ, მხიარულო მგალობეო! დაუძახეს ჩიტს ყმაწვილებმა. შენ ეხლა, როგორც გეტყობა, სრულებით საქმე არა გაქვს რა, — მოდი ჩვენთან ითამაშე. — როგორ? გამოუშვტინა გაჯავრებით ჩიტმა: მე არა მაქვს საქმე? ბანა ის საქმე არ არის, რომ ჩემი პატარა ბარტყებისთვი მთელს დღეს კოლოებს ვიჭერდი? მე ისე დავიღალე, რომ ფთების მალლა აღება აღარ შემძლია, და ახლაც კიღვე აგერ ჩემ პატარა შვილებს გალობით შევაქცევ. შტვენ რალას აკეთებდით დღეს, პატარა ზარმაცებო! სასწავლებელში არ წახვედით, არა დაისწავლეთ რა, ჭალაში ცუდათ დაძვრებით და სხვასაც საქმის კეთებას უშლით! წადით, სჯობია, სადაც გაგზავნეს, და გახსოვდეთ, რომ დასვენება და თამაშობა მხოლოთ იმისთვის არის. საამური, ვინც იმუშავა და ყოველივე გააკეთა, რაც კი უნდა გაეკეთებინა. შმაწვილებს შერცხვათ, საჩქაროთ სასწავლებლისკენ გასწიეს და თუმცა გვიან მივიდნენ, მაგრამ-სწავლა ბეჯითათ დაიწყეს.

4 კატო და ფრინველები. 4

მრთს ქალაქში სწავლობდა პატარა კატო, რომელსაც დედ-მამა ჭოფელში ჰყვანდა. კატო სასწავლებელში ახალი მიცემული იყო, ჯერ არ შესჩვეოდა და ამიტომ ძრიელ ნაღვლობდა. მალ-მალ მოიგონებდა სოფლის მწვანე და მშვენიერ მინდვრებს, სადაც სირბილი და სეირნობა უყვარდა, იქაურს ბაღებს, სხვა და სხვა ხილით სავსეს, წყლების ჩხრიალ-

სა და შუილსა, ფრინველების ჭყივილს და გალობას; მალ-მალ წარმოიდგენდა თავის დედ-მამას, ძმებს, დებს, ნათესავეებს, იმათს ალერსსა, და ნაღვლიანს ფიქრს მიეცემოდა ხოლმე. ბევრ-ჯელ ამხანაგი მოსწავლე ქალები ჰკითხავდნენ: კატო, რათა ხარ აგრე დაღონებული, რატომ ჩვენსაებ არა თამაშობ და არ მხიარულობ? მაგრამ კატო პასუხს არ მისცემდა ხოლმე.

მრთ ხელ დილით კატოს აღრე გამოეღვიძა, მოაგონდა თავის ქვეყანა, ყველა ნათესავეები, საშინლათ დაღონდა და პატარა თვალგზიდგან ცრემლები გადმოსცივიდა. აღგა, ტანისამოსი ჩაიცვა, გარე ოთახში გამოვიდა და ფანჯარასთან თვალ-ცრემლიანი დაჯდა. მშვენიერი დილა იყო. ის იყო მზე ამოდირდა და მთების წვერებს მოწითლო შუქებით ანათებდა. მზის შუქით გამოღვიძებული ფრინველები მალლა ცაში დაფრინავდნენ. შეცრათ ფანჯრის ახლო არწივმა გამოიარა.

არწივო, არწივო! გასძახა კატომ, დაჯექ ჩემს ფანჯარაზედ, ჩემი ქვეყნის ამხაგი შემატყობინე და ლექსიც მიგალობე.

არა, უთხრა არწივმა; შენი ფანჯარა ჩემთვის პატარაა, ვერ მოვთავსდები; მაგრამ შენის ქვეყნის ამხავს მე მაინც ვერ გეტყვი, ამიტომ რომ მიწაზედ იშვიათად დავეშვები ხოლმე. მე ბუდეს ვაკეთებ მაღალ კლდეებში და ძველ მუხებზედ, რომ ბოროტი კაცები ვერ მომიდგნენ და ბუდე არ გამომიშალონ. მე ლექს შენ ვერ გიგალობებ, ამიტომ რამ მიწაზედ არას დროს არ ვგალობ. მე წავალ ხოლმე ფრენით მალლა მალლა და ჩემი ლექსები მარტოკა მბრწყინვალე მზეს ესმის. სთქვა ესა და თავის ღონიერა ფრთები განივრად შემოიქნია, ცაში ამპარტავენულათ წავიდა და თვალს მოეფარა.

ტოროლავე, ტოროლავე! მითხარ, რა ამხაგია ჩემს ქვეყანაში, მიგალობე ლექსი, გასძახა კატომ პატარა ჩიტის ტოლა ფრინველსა, რომელიც ფანჯრის ახლო ტრიალებდა.

სიამოვნებით აგისრულებდი სურვილს, უპასუხა ტორო-
ლამ კატოს, მაგრამ მე სოფლების ახლო ცხოვრება არ მიყ-
ვარს, მე ვცხოვრებ მინდორ-ტყეში და ამიტომ შენი
ქვეყნის ამბავს ვერას გეტყვი. ბალობაც ჯდომის დროს არ
ვიცი; მე ვგალობ მაშინ, როდესაც ცაში მალლა მალლა
მივდივარ; ეხლაც ზევით მივეჩქარები, მალლიდგან ჩემს ზა-
რივით გალობას მინდვრებს დავძახებ და ყოველს სულდ-
გმულს გავაღვიძებ, რომ ამომავალის მზის ყურებით ყველამ
ისიამოვნოს. მერმე ტოროლა დატრიალდა, მალლა მალლა
წავიდა და თავის მხიარული ლექსების მოთქმა იწყო.

ახ, ნეტავი მეც ტოროლათ მაქცია ცოტას ხანს! რა
მალე ვნახავდი ჩემს ქვეყანას, სთქვა ნალელიანმა კატომ.—
ამ დროს ფანჯრის პირდა-პირ მოფრინავდნენ ჭყვილით ჩი-
ტები (ბელურები).

ჩიტებო, ჩიტებო! დასხედით ჩემს ფანჯარაზედ, ჩემი
ქვეყნის ამბავი მითხარით, ლექსი მიგალობეთ. ჰყივ, ჰყივ!
არა გვცალიან; ჩვენ მივეჩქარებით აეკენკოთ მარცვლე-
ბი, რომელნიც მეწისქვილეს გზაზედ დაუბნევია.

ძატო უფრო ცუდათ დაღონდა: მაგრამ უეცრათ პატა-
რა ჩიტის ტოლა მოლურჯო ფრინველმა დაიფთხრიალა, რამ-
დენჯერმე ძატოს პირდა-პირ შემოტრიალდა და ფანჯარაზედ
დაჯდა.

ზამარჯობა, ბუღბუღო! მზადლობ, ჩემო ლამაზო,
რომ ამ დროს მნახე, უთხრა გახარებულმა ძატომ. მითხარ,
რა ამბავია ჩემს ქვეყანაში, შენი მშვენიერი გალობა გამაგო-
ნე.

ღიან, მე გეტყვი, რა ამბავია შენს ქვეყანაში, კარგს
ლექსებს გიგალობებ. სთქვა თუ არა ეს ბუღბუღმა, გალო-
ბა ისეთი ხმით იწყო, რომ ჩვენს ძატოს სიხარულით ცრე-
მლები გადმოცვივდა, თავი ფანჯარაზედ მისდო და გულის
მოდგენით ყურს უგდებდა.

ბუშინ დილით, რაჭრაჭის დროს, გალობდა ბუღბუღი

საამურათ გრილოდა. მე ამ დროს თქვენ სახლთან მივფრინ-
დი, პატარა ალუბლის ტოტზედ ბაღში შემოვჯექ და დიდ-
ხანს ტკბილათ ვგალობდი. აკვანში შენს პატარა ძმას ეძი-
ნა; იმან თავისი დიდი თვალეზი გაახილა და ჩემს ლექსებს
ყური დაუკდო. დედა შენი ამ დროს გარედგან შემოვიდა
და თავის შეილს მიესაყვარლა. მალე მთელი ჯალაბობა ჩაი-
ზედ შეიკრიფა და შენ მალ-მალ მოვიგონებდნენ ხოლმე.
შენს დედ-მამას და ნათესავეებს ძრიელ უყვარხარ, დაუვიწყა-
რი ჰყევხარ, და შენს ნახვას ნატრობენ. შიქრი ნუ გაქვს,
იმათ ნახვასაც მევეწრობი. ბევრჯელ შენს დედ-მამას ყელ-
ზედ მოეხვევი; კარგათ ისწავლი და კარგი ქალიც გამოხვალ.
როცა სწავლას შეასრულებ, დედ-მამა სოფელში წაგიყვანს
და იქ იცხოვრებ, აქაურობას სრულიად მოშორდები. მაშინ
შენი ქვეყნის მინდვრები, ტყეები, ბაღები შენს ხელს იქმნე-
ბა. შენს პატარა ძმებს და დებს ასწავლი, რომ ჭკვიანები
გამოვიდნენ, უყვარდეთ თავისი ქვეყანა, თავისი სამშობლო-
ენა, ბოროტი სძულდეთ და კეთილს მისდევენ. მე მაშინ
ზაფხულში თქვენს ბაღში მალ-მალე მოვიფრინდები ხოლმე
და დილა-სალამოთი ჩემს ზარივით სტვენას და გალობას
აღარ მოგაკლებ.

ზაათავა თუ არა ბუღბუღომა გალობა, დაითხროილა
და სასწავლებელის სახლს მოეთარა. ჩვენი ძატო დამშვიდე-
ბული თანჯრიდგან ადგა, მეორე ოთახში გამოვიდა, თავის
ამხანაგებში შეერია და იმათთან ხუმრობა და თამაშობა მხი-
რულად დაიწყო.

მ ც ე ნ ა რ ე მ ბ ი

ჭინჭარი.

სოსოს მაყვალი ძრიელ უყვარდა. სიხარულით მოელოდა იმ დროს, როცა ვენახში მაყვალი დაუმწიფდებოდა ხოლმე. მართხელ შუა ზაფხულში მაყვალი რომ დამწიფდა, სოსო თავის მამას ვენახში გაჰყვა. შევიდა თუ არა, სოსო მაშინვე ლობეებისკენ გაექანა, მაყვალმა ამოსვლა იქ იცოდა. მწიფე მაყვალი მართლა ბევრი იყო, მაგრამ, დახე სოსოს ბედსა, გარეშემო სულ მაღალი ჭინჭარი ჰქონდა შემორტყმული, თითქო მაყვლისთვის ვისმე ყარაულები დაუყენებიაო. სოსომ კარგათ იცოდა, რა წყეული მცენარეა ჭინჭარი, როგორი ცხარე კბენა იცის. ამიტომ მაყვალს დიდი სიფთხილით დაუწყო კრეფა, ცდილობდა ხელი ან პირი წყეულს ჭინჭრებისათვის არ მოეხვედრებინა. მაგრამ ამათ კბილებს მაინც კიდევ ვერ გადურჩა. მრგან სამგან ხელები დაუსუსხეს და ერთი მაღალი ჭინჭარი ცხვირზედაც მოხვდა. ჩვენ სოსოს ძალიან ემწარა, დაღრეჯილი და თვალ-ცრემლიანი მამისკენ გაიქცა და უთხრა: მიშველე რამე, მამილო, შეჩვენებულმა ჭინჭრებმა დასუსხეს, ხელები ძრიელ მეწვის, ჩემ დღეშიაც რომ მაყვალი არ მეჭამა, ამას ის მერჩინა. აქამდის განა მაგისი წამალი არ იცი? უთხრა მამამ. ადვილი მოსარჩინია. სოსო წყლის პირს მიიყვანა და დასუსხულ ადგილებზედ სველი მიწა დაადო. ცოტა ხანს უკან სოსოს ტკივილი თითქმის სულ დაუამდა.

რადგანაც ჭინჭრის წამალი მასწავლე, მაშ ისიც მითხარი, ეს ჭინჭარი კაცს როგორ სუსხავს, ჰკითხა სოსომ მამას. მამამ სოსო ჭინჭართან მიიყვანა და უთხრა: აი დახედე, ჭინჭრის ფოთლებს წვრილი ბალანი ასხია. ამ ბალანს, დააქერდი, როგორი წვეტიანი ბოლო აქვს ხანჯალსავეით; აი ამ წვერით იკბინება. ამისი კბენა კაცს ხორცს იმიტომ უსიებს, რომ ბალანი შიგნით უხამიანი წვენით გავსებულა.

როცა ბალანი ტყავში ჩაერჭობა, მაშინ ბოლო მოსტყდება, აქედგან შხამი გამოვა და კაცის სხეულში ჩავა. მაშინ ნაკბენი ადგილი კაცს დაეწვის, აქედგება და დაუსივდება.

ზოგიერთს ქვეყნებში ისეთი ჭინჭარი იზრდება, რომ იმის დასუსტისაგან კაცი ადვილად ვერ მორჩება. აი მაგალითათ: ინდოეთში იმისთანა ჭინჭარია, რომელიც ისე მწარეთ იკბინება, რომ კაცს მთელს ხელს დაუსივებს და თითქმის ერთს კვირას საშინლათ ატკივებს. ზოგჯერ საქმე აქამდის მივა ხოლმე, რომ ნაკბენი ასო კაცმა უნდა მოიჭრას, რომ სიკვდილს გადარჩეს. ჭინჭარი ბევრგან დიდი ხის ტოლად იზრდება.

მაშ ეს წყეული ჭინჭარი მარტო კაცის საწვალეებლად ყოფილა გაჩენილი, წამოიძახა სოსომ.-შენ, ჩემო სოსო, კარგი დახსომება ვერა გცოდნია, უთხრა მამამ. აღარ გახსოვს განა, რომ გაზაფხულზედ მეზობლის ქალებს ვენახებში გაპყვებოდი, ქორფა ჭინჭარსა ჰკრეფავდით, შინ მოგქონდათ, არჩევდით და მშვენიერს მხალს აკეთებდით. აღარ გახსოვს განა, რომ ყველაზედ ბევრს იმ მხალს შენ სჭამდი ხოლმე, რატომ მაშინ ჭინჭარზედ აგრე არ სჯავრობდი? სხვა ქვეყნებში ჭინჭარს კიდევ სხვანაირათ ხმარობენ. მაშ, ჩემო სოსო, არც ჭინჭარი ყოფილა გამოუსადეგარი.

ბ ა მ ბ ა

ჩვენს საქართველოში ბამბა მარტოკა იმერეთის მხარეში მოდის. ქართლის და ქახეთის სიცივეს ბამბა ადვილად ვერ იტანს; ამიტომ აქ ბამბას ძვირად თესვენ. საზოგადოებრივად ბამბას თბილი ადგილი უყვარს. ბამბას სთესვენ გაზაფხულზედ, და შემოდგომაზედ კრეფენ. ბამბა სიმაღლით თითქმის ერთ ადლის ოდენა იზრდება. რაც უფრო მეტი ტოტები აქვს ბამბას, იმდენათ უფრო ბევრს პარკებს ისხამს. ბამბის

პარკი დიდი კაკლის ტოლსა. როცა პარკი დამწიფდება, დას-
ქდება და ბამბა თეთრი თოვლივით საამურათ გადმოიშლება.
შველა კვირტები კი ერთს ღროს არ მწიფდება. ჯერ
ქვედა ტოტებისა, მერმე ზედა ტოტების პარკები დამწიფდე-
ბა ხოლმე. ამიტომ ბამბის ერთათ მოკრეფა არ შეიძლება.
ჯერ ქვეითა დამწიფებულს პარკებს მოჰკრეფენ ხოლმე და
მემრე ზევითებს. ბამბის პარკის შუაში თესლია გამოხვეული.
ამ თესლს ჩიხრიხით აშორებენ. თესლის მოშორების
შემდეგ ბამბა გასასყიდათ ქალაქებში მიაქვთ. ბამბას ზოგს
ისე პირდაპირ ხმარობენ: საბნებს, ახალუხს და სხვა ტანისა-
მოსს უღებენ. მაგრამ უფრო ძაფათ ართვენ; ბამბის ძაფს
ზოგს საკერავისთვის ხმარობენ, ზოგს წინღებისთვის; უფრო
კი ბამბის ძაფიდგან ქსოვენ სხვა და სხვა ბამბეულს: ჩითსა,
მიტკალსა, ამერიკასა და სხვებს. ხალხის ტანისამოსი თითქმის
ნახევრობით ბამბიდგან კეთდება. ძნელათ იქნება კაცი, ბამ-
ბისა ტანზედ არაფერი ეცვას. ასე სასარგებლოა ბამბა კაცი-
სათვის.

7

შაქრის ლერწამი.

7.

შაქრის ლერწამი სიმაღლით ორი ადლის ოდენა იზრ-
დება. შაქრის ლერწამს იმიტომ ეძახიან, რომ ამ ლერწამის წვე-
ნიდგან შაქარს აკეთებენ. ჩვენს უბრალო ლერწამს ძრიელა
გავს, ამისავით ბევრი მუხლები აქვს, ამისავით ჭაობი ადგი-
ლი უყვარს. ამიტომ ამ ლერწამს ჭაობიანს და ნოტიან ად-
გილებში სთესენ. ლერწამს ასხია გრძელი და ვიწრო ფოთ-
ლები, რომლებსაც ზედ თეთრი ზოლები მისდევს; თავზედ
აზია გრძელი ცოცხივით თავთავი, რომელზედაც აბრეშუმის
მგზავსი თმა ჰკიდია. ამ ლერწმით დათესილი მინდორი აყვა-
ვების ღროს მშვენიერი სანახავია, მეტადრე როცა ოქროს
ფერი ღეროები ქარისაგან ღელავს და ვერცხლისავეით თეთრს
თავთავეებს აქანებს.

შაქრის ლერწამი დარგვით მოჰყავთ. მოხსულ მიწას დაფარცხვენ, მერმე ახლო ახლო დაჰკვალვენ, კველებს აქთ იქით მხარეხედ ბებერი ლერწმების პატარა ყლორტებს სიგრძეხედ ჩაფლავენ და მიწას მიაყრიან. ორ კვირას უკან ყველა ლერწმის მუხლიდგან ამოჰყოფენ თავს პატარა ყლორტები, ხან ისე სქლათ, რომ ბევრს ამოგლეჯენ ხოლმე. მოთხმეტი თვე მეტი უნდა რომ ლერწამი მოსავლისთვის შემოვიდეს. მრთხელ დარგვა რამდენსამე წელს კმარა, ამიტომ რომ მოჭრილი ლერწმების ფესვებიდგან ყოველ წელიწადს ახალი ყლორტები ამოდის. მთუ მიწა დასვენებულია, ერთი ნათესიდგან პატრონი ოცს მოსავალს მეტს მოჰკრეფს. აყვავების დროს ლერწამს დასჭრიან, ამიტომ რომ ამ დროს უფრო წვენი ბებრი შაქარია. წვენს ჭურჭელში გამოსწურამენ, მერმე ქვაბებში ბევრს ხანს აღულებენ, რამდენჯერმე ერთი ქვაბიდგან მეორეში გადაასხმენ, ბოლოს დასწვენდენ და ძირს შაქრის ქვიშა დარჩება. რვა გირვანქა ლერწმის წვენიდგან ერთი გირვანქა წმინდა შაქრის ქვიშა გამოვა. ეს ქვიშა მერმე ზოდებში მიაქვთ და იქ წმინდა შაქრის თავებს ასხმენ. შაქარს ჭარხლიდგანაც აკეთებენ-უფრო საფრანგეთში და რუსეთში. სხელ ქვეყნებში შაქარი ჩვეულებითი საკმელია. ჭუჩებში ყველა პატარა ბავშვს ლერწმის ნაჭრები უჭირავს და იქიდგან ტკბილს წვენს წუწნის.

8 ბ რ ი ნ ჯ ი. 8

ბრინჯი ჭაობის მცენარეა და ჩვენს შერიას ძრიელ წავავს. ლეროხედ, რომელიც ორი არშინი სიმაღლე იზრდება, ასხია გძელი და ვიწრო ფოთოლი; ზემოთ აბია მოზრდილი და ცოცხივით გაშლილი თავ-თავი. სხვა ქვეყნებში ბრინჯი გავრცელდა ინდოეთიდგან, სადაც ეხლაც გარეული ბრინჯი იზრდება. ჩვენში საინგილოში ბრინჯის თესვა ძალიან გავრცელებულია, და კარგი ბრინჯიც მოდის. ამ მოკლე ხანში იმერეთის მხარეშიაც აქა იქა შემოიღეს ბრინჯის თესვა.

ქვეყანაზედ იმდენი ბრინჯი ითვისება, რომ თითქმის მთელი კაცობრიობის ნახევარი ამ მცენარის მარცვლით სცხოვრობს. ბრინჯს, როგორც ჭაობის მცენარეს, ნოტიოანი ადგილი უყვარს. ამიტომ იმას სთესენ ან ბუნებითს ჭაობებში, რომლებსაც ბალახებიდგან გასწმენდენ ხოლმე, ან იმისთანა მინდვრებში, რომელნიც მდინარეების ადიდების დროს წყლით აივსებიან ხოლმე. ბრინჯს სთესენ სველს და ფხვიერ ხნულში. სხელ ქვეყნებში როცა ბრინჯის ჯეჯილი თავს ამოჰყოფს, იმავე მიწაში ბრინჯს მეორეთ დასთესენ ხოლმე; ეს ამიტომ, რომ პირველი მოსავლის მომკის შემდეგ იმავე წელიწადში მეორე მოსავალიც მოუვიდეთ. პირველი ნათესი მეორეთ დათესილს გაზდას უშლის; მაგრამ მერმე კი, როცა ოთხ თვეს უკან პირველ მოსავალს მოაშორებენ, მეორე ნათესი ტანს ჩქარა აიმაღლებს ხოლმე.

ბრინჯს წვერში მოკლეთ მკიან, მერმე ძნებათ ჰკერენ, მზეზედ ახმობენ და ფარდულებში ინახვენ. ბრინჯმა თბილს და წყლიან ქვეყნებში დიდი მოსავალი იცის: ერთი მარცვალი ასიდგან ოთხასამდის მარცვალს მოიბამს. რაც უნდა ცუდი მოსავალი იყოს, ერთი კოდი ბრინჯი სამოც კოდს მაინც მოიყვანს, თუ კი კარგი მოსავალია, ას კოდსაც. მაგრამ ბრინჯის მოსვლა და მოყვანა სიმრთელისათვის ძრიელ მანებელია. ჭაობები, სადაც ბრინჯი ითვისება, აჩენენ სხვა და სხვა ციებას, რითაც ბევრი მხენელ-მთესველი იხოცება. ბრინჯი ისეთი ნოყიერი არ არის, როგორც სხვა ჩვენი საპურო მცენარეები. ამის მაგიერათ ის ძრიელ იაფია. ძაი მოსავლის დროს თვით ქვეყნებში ერთ კაპეკათ სამ გირვანქა ბრინჯს იყიდი. ეს კი ცუდია, რომ ბრინჯი პურათ ვერ გამოცხვება; ბრინჯს წმინდა წყალში ხარშვენ და ისე ხმარობენ. ბრინჯის ფლავი ჩვენშიაც გათქმულია.

ჩ ა ი ს მ ც ე ნ ა რ ე .

ჩაის მცენარე უფრო ბუჩქსა ჰგავს, მინამ ხესა; ძირშივე გაიყოფება რამდენსამე ტოტებათ, რომელნიც სამი საჟენის სიმაღლე იზღებიან. მაგრამ ტოტებს შესჭრიან ხოლმე და ორ არშინზედ მალლა არა ზღიან, რომ ჩაის ფოთლების მოკრეფა არ გაუძნელდეთ. თავიდგან ბოლომდის ჩაის ტოტები შეიფინებიან მოგრძო ფოთლებით, რომელნიც ჯერ ბუმბულს გვანან, მერმე კი ტყეის მგზავსნი შეიქნებიან და ბრწყინავენ. ფოთლებს და ყლორტებს შუა მცენარე გამოიფეთს თეთრს და უსუნო ყვავილს; ეს ყვავილი შემდეგ ნაყოფად გარდაიქცევა. ჩაის ბუჩქი ხარობს ბევრს თბილ ქვეყნებში, მაგრამ მარტოკა ჩინეთში მოდის კარგი და ჩინებულნი ჩაი. ამიტომ ჩინეთში დიდძალი ჩაი მოჰყავთ. ჩაისსთესენ სერების ქვევითა გვერდებზედ, მზის გულისაკენ, მდინარის და რუების მახლობლად.

ჩაის ფოთლებს წელიწადში სამჯერ ჰკრეფენ: მარტში, მაისში და აგვისტოში. რაც ფოთოლი უფრო ნორჩია, იმდენათ ჩაი უფრო კარგია; რამდენიც უფრო დიდი ხნისაა, იმდენათ ჩაი უფრო მდარეა. პირველათ მოკრეფილი ფოთლებიდგან უკეთესი ჩაი დგება, ამიტომ რომ ეს ჩაი ნორჩი და ახალი ფოთლებისგან შესდგება. ამ ჩაის ყვავილიან ჩაის ეძახიან. მეორეთ და მესამეთ დაკრეფილი ფოთლებისგან უფრო მდარე ჩაი გამოდის, და ამიტომ იაფათაც ისყიდება. შვითელი, მწვანე, შავი ჩაი ერთს ბუჩქებზედ იკრიფება, და სხვა და სხვა ფერი იმიტომ აქვს, რომ ერთ-ნაირათ არ ამზადებენ. მსიმომზადება მარტოკა ჩინელებმა იციან და უცხო ქვეყნელებს არ უნდათ ასწავლონ. მოკრეფილ ფოთლებს დააწყობენ დიდს რკინის ტაფაზედ, რომელსაც ქვევიდგან ცეცხლი უკეთია და ხურდება, თან ფოთლებს ერთი გვერდიდგან მეორეზედ აბრუნებენ. როცა ფოთლებიდგან ჰენჭი გამოვა, მაშინ ლაფნის წმინდა კილოზზე გაშლიან და ხელის გუ-

ლით აგორებენ. ფოთლები რომ გაცივდება, ისევ ხელ-
ახლათ ტაფებში ჩააწყობენ; მერმე კიდევ ხელით აგორებენ.
ამას რახდენჯერმე გაიმეორებენ, მინამ ფოთლები არ გახმე-
ბიან. ზამხმარი ფოთოლი არის ის ჩაი, რომელსაც სასმელად
ხმარობენ. სამი გირვანქა ნედლი ფოთლიდგან ერთი გირ-
ვანქა გამხმარი ჩაი გამოვა.

პრავინ იცის, ვინა და როდის იწყო ჩაის ხმარება. ჩი-
ზედ ჩინელებს მოგონილი აქვსთ შექმდგომი არაკი. „იმათი
სიტყვით ერთი ინდოელი ბერი იმათ ქვეყანაში მივიდა ახა-
ლი სჯულის გასაფრცვლებლად და სცდილობდა, ისინი ახალ
სარწმუნოებაზე მოექცია ქადაგებით და წმინდა ცხოვრებით.
შველა ფერ ნაკლულევანებას ათმენინებდა თავის თავსა, მარ-
ხულობდა, ბევრჯელ მთელი დღე და ღამე სულ არ ეძინა
და დროს განუწყვეტელ ლოცვაში ატარებდა. მრთხელ დი-
დის დაღალვის გამო ბერმა თავი ველარ შეიმაგრა და დაეძი-
ნა. როცა გამოეღვიძა, თავის სისუტისა შერცხვა. რომ მეო-
რეთ ამისთანა საძაგელი საქმე აღარ მოსლოდა, თვალის ქუ-
თუთოები მოიჭრა და მიწაზე გადაყარა. მაშინ მოხდა სასწაუ-
ლი: ქუთუთოები ამოვიდნენ და იმათ წამწმებიდგან გაიზა-
რდა ბუჩქი; ეს ბუჩქი იყო ჩაი. მაშინ ბერმა გაიგო ჩაის სა-
კვირველი თვისება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ
კაცს ის ძილისაგან დაიფარავს, თუ ერთი ან ორი სტაქანი
დალია“.

პრავინ უ ა ვ ი ს ხ მ. *პრავინ*

† შავის ხე სიმაღლით ხუთი საჯენი იზდება, სიგანით ოთ-
ხა გოჯი. აქვს ბევრი ტოტები, რომელნიც მოგროძოდა მწვა-
ნე ფოთლებით შემოსილნი არიან. ხე ფოთლების ძირში გა-
მოიფეთქავს ხოლმე კონა-კონა პატარა თეთრს და სუნიან-
ყვავილს. თუმცა ეს სუნიანი ყვავილი სამ ოთხს დღეს მეტს ვერ
სძლებს, მაგრამ ხე თითქმის მთელ წელიწადს ყვავის; ამიტომ

რომ, როცა ერთს ტოტზედ ყვაილი გასცივა და ნაყოფი გამოისახება, ამ დროს სხვა ტოტებზედ ახალი ყვაილი გაიშლება. შაჰის ხე მოისხამს ხოლმე მომსბო ნაყოფს, მუქწითელს; რომელიც ალუბალს ძრიელ წააგავს. შველა ნაყოფში ორი მაგარი მარცვალია. აი ყავა ეს არის. რადგანაც მთელი ხე ერთს დროს არ ყვავის, ამიტომ ყავას ერთ-ბაშათ არ ჰკრეფენ; ჯერ დაკრეფენ ხოლმე იმ ტოტებს, რომლებზედაც ნაყოფი აღრე დამწიფდება, მერმე სხვებს, დამწიფების რიგზედ. მარცვლებს ნაყოფის გულიდგან გამოიღებენ, გაშლიან და მზეზე ახმობენ. სხელ ქვეყნებში ეხლა ყავა ყველგან მოჰყავთ ამ გვარად: მარცვლებს დასთესენ და როცა ყლორტები ამოვლენ და ნახევარ არშინისოდენა გაიზრდებიან, მაშინ გადარგენ. ზადარგვის ორი წლის შემდეგ ხე ნაყოფს აქა იქა მოისხამს, ოთხის წლის უკან კი მთლათ დაიკუნძლება. სხელი ქვეყნების ხალხი ყავას კარგი ხანია ხმარობს; ჩვენს ქვეყნებში კი დიდი ხანი არ არის, რაც ყავის ხმარება შემოიღეს.

ბრავინ იცის, პირველათ ვინ მოიგონა ყავის ხმარება. ამაზედ არაბებს მოგონილი აქვთ შემდგომი არაკი. „იმათი სიტყვით ერთს მემცხვარეს ერთი მთა თურმე საძოვრათ ჰქონდა დაჩემებული. ამ მთის თავზედ, სხვათა შორის, ერთი ბუჩქი იდგა. თხები მალ-მალ ეტანებოდნენ ამ ბუჩქს და ფოთლებს კორტნიდნენ. ამის შემდეგ საკვირველად გაყოჩაღდებოდნენ ხოლმე, მხიარულათ ხტოდნენ, არ იღალგებოდნენ და დასასვენებლათაც არ წევებოდნენ. მემცხვარემ ეს შეამჩნია, ადგა და თვითონაც ამ ბუჩქის ფოთლები ჰკამა. მემცხვარესაც სიმარტე მოემატა. ეს მცხვრის ფარა ღვთის მოყვარე მეუღაბნოებისა იყო, და მემცხვარემ იმათ ურჩია ეკამათ იმ ბუჩქის ფოთლები, როცა მღვიძარება და ლოცვა სურდათ. მეუღაბნოებმა ამ ბუჩქის ფოთლები მართლა სჭამეს და იგრძნეს ისეთივე მოქმედება, როგორც უწინ თხებმა და მემცხვარემ. ფოთლების შემდეგ მეუღაბნოებმა

შემწვარი ნაყოფის ქაბა სცადეს; ნაყოფმა კიდეც უფრო
გააყოჩაღა და ძილი დაუკარგა. ამ ბუჩქს მეუღაბნობმა ყავა
დარქვეს და იმისი ხმარება შემოიღეს. ამათგან ყავის კე-
თება სხვებმაც ისწავლეს.“

3. ხ ი ლ თ ა ქ ე ბ ა .

მარწყემა სთქვა მოვალ პირველათ, მე ვერა მისწრობს
ხილია,

უერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საქმელათ ტკბილსა,
წინათ მომისწრობს ტყემალი, მჟაფე არის და გრილია,
მისგან სჩივიან ყოველნი, ესჭამეთ მოგეკვეთა კბილია.

ტყემალმა უთხრა შეგარცხვენს, მარწყეო, ეგ საუბარია.
შარესი ხარ ყოველთა, არა ხილთა რა დარია,
თავსა მოგჭამენ ჭიანი, ძირი გაქვს მეტათ მწარეა,
შჩემოთ ღხინი არ ეარგა, არცლა რა სანუკარია.


1787

ბალმაუთხრა, ამხანაგნო, თქვენ ვერიტყვით ჩემსა ძვირსა,
ხესა თეთრათ ავიყვავებ, დავიმშვენებ ჩემსა ძირსა,
ბროლისავეთ გადვიტყევი, ლალის ფერად შიგნით ჭვივსა,
შაქრის მზგავსად გადვიტყევი, რა ჩამიდებს კაცი პირსა.

თხილმა სთქვა გკადროთ მართალი ჩემი პასუხი გულისა:
მოჰყევით ტყუილ-ტყუილსა, მე ამან გამაგულისა,
სალხინოთ შესაქცევარი მე ვარ ყოვლისა სჯულისა,
მარ მატკივნელი კბილისა, მერმე დამწველი გულისა.

ქლიაგმა უთხრა იკეცხით, არა ხართ ჩემი დარია;
სოტას ხანის სიცოცხლე, რა თქვენი საკეცხარია,
შველა უგვარო შეყრილხართ ცუდი გაქვსთ საუბარია,
უფრო უყვარვარ ყოველთა, ვარ დიდი სანუკარია.

მაყვალმა უთხრა არა ვარ ხილი თქვენებრივ-ქებული,
შარესი ვარ ყოველთა, არ ვისგან მოწონებული;
ზედან მასხია ეკალი, მისთვის ვარ დაწუნებული,
პირველ გლახა ვარ ყირმიზი, მერმე პირ-გაშავებული.



პიტრმა სთქვა, რალა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა, ტკილი და მჟავე არა ვარ, კაცი რათ მემოყვრებისა; ზრილი ვარ, კაცსა გაგბერავ, თავი მე არ მექებისა, შინცა ჩემითა განძლება-ციება შეეყრებისა.

ნესემა სთქვა ფიფი ამისთვის მიწასა მომაყრიანო, რა გავიზდები საქმელად, ყველანი მინატრიანო, ველენ მძებნიან, მპოვებენ, ხორცსა დანითა მჭრიანო, სიებას, მერმე ცხელებას ჭირს ჩემგან შეიყრიანო.

საზამთრო იტყვის ნუ უბნობთ, მე არა ვის დაგიცილებო; თაესა ნუ იქებთ ჩემთანა, ყოველსა შეგარცხენებო, შეწუხებულსა სიცხითა მე გულსა მოუგრილებო, მარ ჯანიოში ექიმი სნეულსაც მოვალხინებო.

ატამმა სთქვა რა ვიკადრო საქმე ჩემისა ქებისა, უკეთესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ყვავის, შეყრა უხარის ყოველსა ტურფისა სანახავისა, მე და ნესვი ვართ აწმლელი ყოველისა სენის თავისა.—

მაშლმა უთხრა შეგნებითა თქვენ ვერა ხართ ჩემი დარი, მარ ყოველთა საყვარელი, საამური საქებარი, სალხინო და სანადიმო, სუფრაზედა სადებარი, ბულის ჭირის უკუ მყრელი, არად უნდა საუბარი. ბროწეულმასთქვა ვერ უბნობთ მართლითა სამართალითა, ჩემს უტურფესი ნაყოფი არ ვის უნახავს თვალითა, მე ჩემს ხესა მოვკაზმამ, ტურფათ შევამკობ ხილითა, დარბაზს სუფრასა ავაესებ იაგუნდითა, ლალითა.

ნიგოზმაცა სთქვა, მე კაცნი ჯოხსა მესერიან ხელითა, მომტენენ, ტყაესა გამხდიან, პირსა ჩამიდებენ ხელითა, ბულითა მასპინძელი ვარ, ნიადაგ მზიარულითა, კაცსა საქმელსა შეუშკობ, კიდევ ვალხინებ გულითა.

ჭერამი იტყვის; ვერ იტყვით თქვენ ჩემსა ვერას ძვირსაო, ჩემი ხე თვითრად აყვავდეს, მსმელნი სხდის ჩემსა ძირსაო, როდესაც თვალი შემერთვის, მოინდომებენ ჭირსაო, კაცი მჭამს, ჭირსა შეიყრის, მერმე მაგინებს ფირსაო.

ფ რ ი ნ ვ ლ ე ბ ი .

ჩ ი ტ ი (ბელურა).

ჩიტი არის პატარა ფრინველი, ორი გოჯის სიგრძე, მალ-
ხაზი და ნაცრის ფერი. ჩვენ ჩიტს ყოველ დღე ვხედავთ,
ამიტომ რომ სადაც ადამიანი სცხოვრობს, ჩიტსაც იქ უყვარს
ცხოვრება; ტყეში და დიდ მინდორში ყოფნა არ მოსწონს.
რათ დასდევს ჩიტი ასე ადამიანს? იქნება სიყვარულის გამო?
სრულიადაც არა. ჩიტმა კარგა იცის, რომ ადამიანი იმისი
დიდი მტერია, და ამიტომ იმას არას დროს არ ენდობა.
ხოლო კაცის ახლოს სცხოვრობს იმისათვის, რომ ჩიტს
უყვარს ჭამა პურის მარცვლებისა, ფეტვისა, ბალისა და სხვა
ხილისა. ამითი ადამიანს ზარალს აძლევს, მაგრამ ბევრს სი-
კეთესაც უშვრება: ხოცავს და ჭამს ბევრს ბუჩქებს, ჭიებს,
კალიებს, რომელნიც კაცისათვის მავნებელნი არიან. ამი-
ტომ რომელ ქვეყანაშიაც ჩიტი არ არის, იქ ცდილობენ,
რომ ეს გააშენონ და გაამრავლონ.

ამ ერთი ბეწვა ფრინველში დიდი ჭკუაა. თავის ოდენ-
ა ფრინველებს ჩიტი ჭკუით ბევრით სჯობია. არა პატარა
ფრინველს არა აქვს იმდენი ეშმაკობა, რამდენიც ჩიტსა. ჩი-
ტი ხომ ყოველთვის კაცის ახლო სცხოვრობს, მაგრამ ძნე-
ლათ იქნება, რომ ის კაცმა დაიჭიროს, ან მოჰკლას. ღაინა-
ხავს თუ არა ახლო კაცს, ჩიტი მაშინვე აათვარ ჩათვარიე-
ლებს, თუ ხელში დაუნახა სასროლი რამე, მაშინვე გაფრინ-
დება, თუ არა, სრულიად არაფერს შეეპოება.

ბუდეს ჩიტი აკეთებს ბანების ქვეშ, საბძლებში, კოშკე-
ბის კედლებში, ხეების ფუტურობებში. თუ ჩიტებმა ბუდის-
თვის კარგი მოხერხებული ადგილი ნახეს, დიდს ჩხუბს გა-
მართავენ. შველა დედალ-მამალი ცდილობს, რომ ეს ადგი-
ლი დაინარჩუნოს. ✕ ამიტომ ერთმანეთს ბუშბუბს აგლე-
ჯენ, თავში სცემენ და ქოჩრავენ. რომელი დედალ-მამალიც

გაიმარჯვებს, ბუდის ადგილი იმას დაეძგება. ბუდეს ჩიტი ბუმ-ბულებით და ჩალით აკეთებს; ხან მერცხლებს ართმევს ბუდეს და შვილებს იქ ზდის. ჩიტი ბარტყებს წელიწადში სამჯერ გამოჩეკს ხოლმე; თუ ცუდი დარია კი-ორჯერ. ბუდეში დედალ-მამალი სხედან ცამეტს ან თოთხმეტ დღესა და დიდ წვალებას გამოივლიან ხოლმე შვილების გამოზდაში. ძიდევე კარგია, თუ გაზარდა და დააფრინა; მაგრამ ზოგჯერ მზა მზარეულათ გაზდილს შვილებს, დასაფრენათ მომზადებულს, ბუდიდგან პატარა ბიჭები გამოუსხმენ ხოლმე. რამდენს ჯავრს და წვალებას გამოივლის ხოლმე საწყალი უშვილოთ დარჩენილი ჩიტი. ღაფრენის შემდეგ რვა დღეს ჩიტები თავის შვილებს ფრენას და საქმლის შოვნას ასწავლიან; მერმე შვილებს თავს ანებებენ და მეორეთ გამოჩეკას შეუდგებიან.

მ მ რ ც ხ ა ლ ი.

ღათიკოს მერცხლის ჭიკჭიკი ძრიელ მოსწონდა. ამის სახლის ერდოში მერცხლებს ბუდე ჰქონდათ. დილით რომ გამოიღვიძებდა, კარგა ხანს ლოგინში დარჩებოდა და მერცხლების დილის ჭიკჭიკს სიამოვნებით ყურს უგდებდა. სექტემბრის დამდეგ დღეებში ღათიკომ ერთს დილაზე რომ გამოიღვიძა, მერცხლების ჭიკჭიკი აღარ მოესმა; ლოგინიდან წამოჯდა და ბუდეს შეხედა, მაგრამ მერცხლები იქ აღარც იყვნენ. ამ დროს ღათიკოს დედა გარედგან შინ შემოვიდა. ღათიკომ ჰკითხა: დედა, მერცხლები ამ დილით რატომ აღარ ჩამოფრენილან, რატომ აღარ ჭიკჭიკობენ?—შთუოთ წავიდნენ, შვილო. — სად უნდა წასულიყვნენ? განცვიფრებით ჰკითხა ღათიკომ. — ობილ ქვეყნებში წავიდოდნენ, მიუფრადებდამ. — ობილ ქვეყნებში რა უნდათ? ბანა ჩვენს საქართველოს ის ქვეყნები სჯობიან? არა, შვილო, უპასუხა დედამ.

ჩვენ საქართველოს ის ქვეყნები ვერ სჯობიან, მაგრამ ახლა აქ აცივდება და ზამთარი მოვა, მერცხლებს სიცივის ატანა არ შეუძლიანთ და, რადგანაც სამხრეთ ქვეყნებში თბილა, როცა ჩვენში ზამთარია და ცივა, ამიტომ სექტემბერში მერცხლები იქ მიდიან. ამ ლაპარაკის დროს ლათიკო ლოგინში იყო წამომჯდარი. ბათაფა თუ არა ლაპარაკი დედამ, ლათიკო ლოგინიდან წამოხტა, საჩქაროთ ტანისამოსი ჩაიცვა და კარზედ გამოვარდა; მერმე ბანზედ ავიდა და სამხრეთისკენ ყურება დარწყო, ეგონა ბოლოს ერთ მაინც კიდევ დაეინახავ წასულს მერცხლებსაო. ბევრი უყურა, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა და სახლში საშინლად დაღონებული ჩამოვიდა. ლათიკოს დედა ცოცხით სახლსა გვიდა.—მაშ ეს არის, სულ წავიდნენ ჩვენგან მერცხლები, ველარ ვნახავ ჩემს დღეში? ნალვლიანი გულით ჰკითხა დედას ლათიკომ.—არა შეილო, ალერსიანათ უთხრა დედამ, ნუ დაღონდები, მერცხლები გაზაფხულზე ჩვენ ქვეყანაში ისევ მოვლენ, რადგან მაშინა აქ დათბება. ლათიკოს გული მოუბრუნდა. თუმცა გაზაფხულამდის დიდი დრო იყო, მაგრამ ლათიკოს ეს ამბავი მაინც კიდევ ძრიელ იამა.

აგერ ზამთარიც გავიდა და მარტი დადგა. ლათიკო მერცხლების მოსვლას მოუთმენლად ელის. მრთხელ სადილს უკან ძრიელ დათბა. ლათიკო გარეთ გამოვიდა და დაინახა, რომ პატარა შავი ფრინველი მიწის პირათ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოფრინავდა. მინამ შორს იყო, ლათიკომ ვერ იცნო; როცა ახლო მოვიდა და ლათიკომ გაარკვია, მაშინ სიხარულით ტაში დაჰკრა და დაიძახა: შენი ჭირიმე, დედავ, მერცხალი მოსულა! ჩვენ სახლში რომ ბუდობდნენ, ისინიც ხომ მოვიდოდნენ! ახლა ბუდეს გააკეთებენ და ჭიკჭიკს აღარ მოგვაკლებენ. მაგრამ თუნდა ერთი კვირა კიდევ გავიდა, მინამდის ლათიკოს მერცხლები მოვიდოდნენ: უკან დარჩენილიყვენ და დაიგვიანეს. მოვიდნენ თუ არა, მაშინვე თავისი დაჩემებული სახლი მონახეს და, რასაკვირველია, ლათიკოს ძრიელ გაუხარდა, როცა თავის ერდოში მერცხლები

ღაინახა... მაგრამ მერცხლები კი დალონდნენ, როცა ერდოში ჩაფრინდნენ, - იმათ თავისი ძველი ბუდე მრთული აღარ დახვდათ და ახალის ბუდის გაკეთებას უნდა შესდგომოდნენ. ზოგიერთმა სხვა მერცხლებმა კი ძველი ბუდე ისევ მოუშლელი ნახეს და ახალი ბუდის გაკეთებაზე ჯათა აღარ მოუვიდოდათ, მარტო ძველი ბუდე უნდა გაესუფთავებინათ.

მაისში მერცხლები ბუდის გაკეთებას ბეჯითად შეუდგნენ. ისინი ცდილობდნენ ბუდე მალე გაეკეთებინათ, რომ სხვამერცხლებს, რომლებსაც ძველი ბუდე მზათ დახვდათ, შეილების გამოჩეკაში არ დაესწროთ. მქვსი დღე განუწყვეტლივ მარდათ ზიდეს: გამხმარი ბალახი, თივა, ცხენის ბალანი, ტალახი, თიხა და ბუდე აკეთეს. მქვს დღეზედ გააკეთეს მშვენიერი რგვალი ბუდე, რომელსაც ქვევითი ნაწილი განიერი და სქელი ჰქონდა, ზევითი ნაწილი თხელი და ვიწრო; ეს ამისთვის, რომ ზევითა ნაწილს არ დაეძლია და ბუდე არ ჩამოვარდნილიყო. ბუდეში ბუმბული, ბალანი და მატყლი ჩააგეს. მერმე ბუდეში ჩაჯდა დედალი მერცხალი, ექვსი პატარა თეთრი კვერცხები, წითელი წინწყლებით, დასდვა და ზედ დააჯდა. მამალი მერცხალი კი ჭერზედ იჯდა და ჭიკჭიკით შეაქცევდა თავის დედალ მერცხალს; ხან საჭმელსაც უზიდავდა. როცა დედალ მერცხალს კარზედ გამოფრენა მოუნდებოდა წყლის დასაღევათ, ან საჭმლის საშოვრად, მაშინ კვერცხებს მამალი მერცხალი დააჯდებოდა, რომ ისინი არ გაცივებულობდნენ და არ გალავებულობდნენ. ძარგი დარი დაუდგათ; დედალი განუწყვეტლივ ბუდეში იჯდა, რადგანაც მამალი საჭმელს უზიდავდა; ამიტომ ბარტყები თორმეტ დღეზედ გამოჩიკა. ბარტყებს თხელი და გძელი ლურჯი ბალანი ესხათ, ძრიელ განიერი პირები და ყვითელი ყბები ჰქონდათ; ოთხი დღის შემდეგ ამათ თავები ბუდიდგან გამოყვეს. დედალ-მამალი შეილების გაზდას შეუდგნენ: უზიდავდნენ და აქმევდნენ მათ ბუზებს, პეპელებს, და ჭიებს. მოთხმეტი დღის შემდეგ ბარტყებმა აყრენა შეიძლეს; ჯერ აფრინდა

ბუდიდვან ის ბარტყი, რომელიც პირველათ გამოიჩინა, მერმე მეორეთ გამოჩეკილი აფრინდა, მესამე მესამედ და ბოლოს ყველანი არფრინდნენ. მაგრამ მალე დაილაღებოდნენ ხოლმე, და ისევ მალე მწყრივით დასხდებოდნენ ხან ბანზედ, ხან ხის ტოტზედ; აქ იმათ დედა-მერცხლები საქმელს უზიდავდნენ. სალამოზედ კი ისევ ბუდეში ჩამოფრინდნენ. პატარა მერცხლები მალე დაღონიერდნენ და დიდი მერცხლებისავით ფრენა მარდათ დაიწყეს. მაშინ დედ-მამამ ბარტყებს დააწყებინა სწავლა საქმლის შოვნისა და ბუზების ქერისა. ბამოჩეკის ორი კვირის შემდეგ ბარტყები ისე დაიზარდნენ, რომ ბუდეში ღამეც აღარ ჩამოფრინდნენ. მაშინ დედალ - მამალი მეორეთ ბარტყების გამოჩეკას შეუდგა. მაგრამ ექვსი კვერცხის მაგიერათ დედალმა ოთხი დასდვა. ახლა ცუდი დარი დაუდგათ. მამალი თავისთვისაც ვერ შოვობდა საკმაო საქმელს და დედალს ევლარაფერს უზიდავდა. ღედალი მერცხილი საქმლისთვის ბუდეს თავს მალ-მალე ანებებდა, ამიტომ გამოჩეკას ჩვიდმეტ დღეზედ მეტი მოუწდა. ამ მეორეთ გამოჩეკილს შეიღებსაც ისე ასწავლეს ფრენა და საქმლის შოვნა, როგორც პირველებსა. როცა შემოდგომა მოახლოვდა, თბილ ქვეყნებში წასასვლელათ მოემზადნენ.

მერცხალი საკვირვლათ ცქციტი, ცოცხალი და გულადი ფრინველია; ფთები ყოველთვის ღამაზათ აქვს შეკუმშული, ყოველთვის სუფთა და მხიარულია, მაშინაც კი, როდესაც ცუდი დარია. შრენა იცის ძრიელ მშვენიერი, ჩქარი, მარდი, ასე, რომ თითქმის არა ფრინველი არ შეედრება. ჰაერში ისარივით დადის, ხან ცაში დაიკარგება, ხან ზედ დედამიწის პირათ ფრინავს, ხან ფრინვაში ყირაშალა გადადის. მართი სიტყვით მერცხალი ფრინვაში დიდ ოსტატობას იჩენს. შრინვის ღროს თავის საქმელ ბუზებს, პეპელაებს იჭერს, წყალს ზედ გაკვერის ხოლმე და ხან კიდევ მფრინავი ბანაობს, ხან ჩაიყურყუმელავენს, ხან ამოიყურყუმელავენს და თან ფრთებს იბერტყავს. შრინვის ღროს გალობს და თამაშობს.

როცა დაიღალემა, მაშინ გამოშვერილს ხის ტოტზედ დაჯდება და საამურათ ჭიკჭიკობს.

მერცხალი ძრიელ სასარგებლო ფრინველია. ეს ჩვენმა ხალხმა კარგათ იცის და არას ღროს მერცხალს არა სდევს. პატარა ყმაწვილებიც კი, რომელნიც ყველა ფრინველების მტერი არიან, მერცხალს არას უშაფებენ. ზოგიერთს ქვეყნებში კი მერცხლებს იჭერენ და საქმელათ ხოცვენ; ეს ძრიელ საძაგელი ჩვეულებაა, მით უმეტეს, რომ მერცხლის ხორცი სულ ერთი ლუკმა არ არის და საქმელათაც უგემურია.

ზოგს ეხლაც გონია, რომ მერცხლები საზამთროთ თბილ ქვეყნებში კი არ მიდიანო, მდინარეების ქვიშაში ჩაიმაღლებიან და იქ მთელი ზამთარი სძინაეთო. ეს ცრუ რწმუნება იქიდგან წარმოსდგა, რომ წასვლის ღროს მერცხლები ერთათ იკრიფებიან და ბოლო ღამეს ჭაობის ჩალებში და ლერწმებში ათევენ.

..

მ წ ყ ე რ ი.

მწყერი არის ჩიტზე (ბელურაზე) ცოტა დიდი ფრინველი, ჩიტის ფერი აქვს, და მუდამ ბალახებში სცხოვრებს. ხეზე არას ღროს არ შეჯდება. ამაზედ არის ნათქვამი ქართული ანდაზა: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. ამ ფრინველსაც ჩვენ საქართველოში ეხედაეთ მარტო გაზაფხულზე, ზაფხულში და შუა შემოდგომამდის. ზამთარში ვერა ეხედაეთ. სად არის მაშინ? ზოგი ერთს ჰგონია, რომ მწყერი მთელს ზამთარს მიწაში სცხოვრებსო, გველსა და მწყერს თაფები ერთათ უდევთო გაზაფხულამდის; თუ გაღვიძება გაზაფხულზედ გველმა დაასწრო, მაშინვე მწყერს შესჭამსო. ამიტომ მწყერი ცდლობს გველს გამოღვიძება დაასწროსო და ზევით მიწაზედ ამოვიდესო. ეს სულ ტყუილია. მწყერს მიწაში ცხოვრება ერთ საათსაც არ შეუძლია,

მაშინვე მოკვდება. მაშ სად არის მწყერი ზამთარში? — თბილ ქვეყნებში. მაშ რატომ ვერა ვხედავთ, როცა მწყრები სამხრეთისკენ მიდიან ხოლმე, როგორც წეროებს ვხედავთ? ამიტომ რომ მწყრები თბილ ქვეყნისკენ მიფრინავენ ღამ-ღამე და არა დღე. როდესაც გაუთენდებათ, ბალახებში ჩაიმალებიან, დღისით დაიხვენებენ და, როცა დაბინდდება, ისევ აფრინდებიან და თავის გზაზედ მიდიან. ღამე იმიტომ ფრინავენ, რომ დღისით ეშინიანთ ალალებისა, ქორებისა და სხვა ფრინვლებისა, რომელნიც მწყრებს ძრეელ ემტერებიან. ამ მოგზაურობის დროს მეტად ბევრი მწყერი იხოცება. იმ ქვეყნების მინდვრები, სადაც მწყრებს გზა უძევსთ, მონადირეებით არის მოფენილი; ზოგი ბადეებს უგებს და ას-ასობით მწყრებს იჭერს; ზოგი თოფით ხოცავს; ზოგი მეძებრებით დასდევს; ზოგი კიდევ ჯოხს ესერის. ამ დროს მრავალი მწყერი იღუპება. რასაც მონადირეები დააკლებენ, იმას ზღვა შეუსრულებს ხოლმე. მწყრებმა სუსტი ფრენა იციან; ისინი ძრეელ მალე იღალებიან და ხანგრძლივი ფრენა არ შეუძლიანთ აიტანონ. ამიტომ, როცა ზღვას მიახლოვდებიან, ნაპირებზედ სხდებიან და ზურგის ქარის ამოსვლას ელიან. აი ზურგის ქარიც ამოუვიდათ. მწყრები გუნდ-გუნდათ აფრინდნენ და ზღვაზედ გზას გაუდგნენ. მაგრამ ფრენის დროს ბევრს არაქათი ელევა, ფრენას ვეღარ სძლებს და ზღვაში ვარდება. მნავარს თევზებსაც ეს უნდათ. ისინი დამხრჩვალს მწყრებს უცებ ყლაპვენ. მეტადრე თუ ქარი ჩაუდგათ, ან პირ ქარი ამოუვიდათ ფრენის დროს, მწყრები მაშინ პარტყა პურტყით წყალში ცვივიან. მშვიდობით გადარჩენილნი მწყრები მთელს ზამთარს თბილ ქვეყნებში სცხოვრებენ. როცა გაზაფხული დადგება და ჩვენს ქვეყანაში სითბოს დაიჭერს, მაშინ მწყრები იმ ადგილებს თავს ანებებენ და ჩვენკენ მოდიან. აპრილშივე საქართველოს ეწვევიან ხოლმე. ამ დროს ისე მკლეთ არიან, რომ სწორეთ ფრინვაც არ შეუძლიანთ. თუ მოსვლის შემდეგ სიცივეებიც დაუ-

დგათ, ისე დასუსტდებიან, რომ სოფლის ბიჭები მინდორში ხელით იჭერენ. თიბათვეში ბუდეს გააკეთებენ, კვერცხებს დასდებენ და ბარტყებს გამოჩეკენ. მაგრამ ბევრი უშვილო-თაც დარჩება ხოლმე: მწყურის კვერცხი ქათმის კვერცხივით გემრიელია. ამიტომ პატარა ყმაწვილები და ზოგჯერ დიდებიც კვერცხებს ბუდიდგან ამოაღლიან ხოლმე. შეტვი მწყურს ძრიელ უყვარს და ძრიელაც ასუქებს. აგვისტოში, როცა ფეტვი ხმება, მწყერი ძრიელ მსუქანია. ამ დროს მინდორში დამწყერაობენ დიდი კაცებიც და პატარა ბიჭებისაგან ხომ მწყურებს მოსვენება არა აქვსთ. მწყურებს ზოგნი მიმინოებითაც იჭერენ. აცივდება, და მწყურები თბილ ქვეყნებშივე წავლენ.

გ უ გ უ ლ ი.

მთი ქალის გვერდზედ მდებარებდა ერთი პატარა სოფელი. ამ სოფელში ყმაწვილების სასწავლებელი იყო. ამ სასწავლებელში, სხვათა შორის, ორი პატარა ძმა დადიოდა: ერთს ერქვა ზიორგი, მეორეს ზიგო. ზაზაფხულზედ, ერთს დილას, ზიორგი და ზიგო თვალების ფშენებით სახლიდგან გამოვიდნენ, ქალის პირში მივიდნენ და პირის ბანა დაიწყეს პატარა რუში, რომელიც ქალას გვერდზედ საამურის სრიალით ჩამოუდიოდა. პირის ბანის დროს, უეცრად რაღამაც ქალიდგან წამოიძახა: გუგუ! ჩვენმა ყმაწვილებმა ყურები სცქვიტეს. შრინველმა მეორეც საჩქაროთ და ყოლა: გუგუ! ბუგული, გუგული! შენი ჭირიმე, დედავ, გუგული მოსულა! წამოიძახეს ორივე ძმებმა და პირდაპირ ქალაში შეცვიდნენ. იმათ ეგონათ გუგული ახლოდგან თავს გაგვაშინჯებსო. მაგრამ გუგულმა შორი - ახლოსაც არ მიიკარა. რამწამს შეამჩნევდა, რომ ყმაწვილები იმისკენ მიდიოდნენ, მაშინვე აფრინდებოდა, შორს ხეზედ გადაჯდებოდა და დაიძახებდა გუ-

გუ! ჩვენმა პატარებმა ბევრი სდიეს, ოფელში გაიწურნენ, მაგრამ მიუკარებელ გუგულს თვალიც ვერ მოჰკრეს. ბიორგი და ბიგო შინ დაღონებულნი მოვიდნენ, თავის წიგნები ხელში აიღეს და სასწავლებელში წავიდნენ. ამათ უნდოდათ გაეგოთ, რა ფრინველია გუგული, როგორი ცხოვრებისაა, ჩვეულებისა, მაგრამ ამათმა ამხანაგებმა ამაზედ არა ფერი არ იცოდნენ. ბიორგიმ და ბიგომ ბევრი ინატრეს წიგნი, რომელშიაც რომ გუგული, იმისი ცხოვრება, ზნეობა აწერილი ყოფილიყო. იქნება ჩვენმა პატარებმა აქამდინაც არ იციან ესა და იქნება ეს წიგნი ამ ყმაწვილებს ხელში ჩაუარდეთ. ამისთვის ვილაპარაკოთ გუგულზედ. —

ბუგული ძტრედის ტოლაა თითქმის; ზურგი და გვერდები ნაცრის ფერი აქვს, გული და მუცელი თეთრი და შავ ზოლიანი, ფეხები ყვითელი ოქროს ფერი, და ზედ ოთხი კლანჭი აბია. სამი კლანჭი წინ არის გამოშვერილი, ერთი უკან. მაგრამ, თუ უნდა, ისე მოახერხებს, რომ ორი კლანჭი წინა ჰქონდეს, ორი უკან. ბუგულს პურადვირს ეძახიან, რადგანაც სტუმარი ძრიელა სძულს. ჩიტები ერთათ სხდებიან, მტრედებს ჭამა გროვით უყვართ, იხვები წყალში გუნდ - გუნდათ დაცურავენ, გუგულს კი მარტოობა უფრო მოსწონს. ამიტომ ის ტყეში მოუსვენრად ფრინავს და ყურს უგდებს, ხომ სხვა გუგული არ შემომეპარაო. ამას ეს ტყე თავის საკუთრებათ მიაჩნია და არა სტუმარს არ მიიკარებო. თუ მეორე გუგულის ხმა გაიგონა, თუნდა ეს გუგული იმის ძმა, ან მამა იყვეს, მაშინვე გაჯაგრებით დაუყვირებს: გუგუ! მანა არა ხედავ, რომ აქ მარტოკა მე ვარ მფლობელიო. — ამის შემდეგ გაცხარებული ჩხუბი დაიწყება. წაკიდებული გუგულები ერთი ერთმანეთს ბუმბულს და ფრთებს აგლეჯენ და აქედ იქით ისვრიან. რომელიც დამარცხდება, იმ ტყიდგან ის უნდა დაიკარგოს. მაგრამ ზოგჯერ კი თავისი ბოროტება და შეუთვისებლობა გუგულს ცხვირში ამოჰკრამს ხოლმე. მონადირეებმა გუგულის ზნე იციან და ამის ძახილს მიჰბადვენ ხო-

ლმე. ზუგული მაშინვე გაექანება იქით, საიდგანაც ხმა ისმის, ჰგონია სხვა გუგული შემომპარვიაო, და ემზადება ამის გაგდებას, -ის კი არა თუ, მონადირეს თოფის მსხვერპლი გახდება ხოლმე. შეხედულობით მამალი გუგული და დედალი ერთმანეთს ძრიელა ჰგეანან. ხმით კი განირჩევიან: მამლის ხმა — „გუგუ“, დედლის ხმა სიცილსა ჰგავს.

ბაზაფხულზედ ბუდეს ყოველი ფრინველი აკეთებს, გუგული კი ბუდისთვის არა ზრუნავს; ყველა ფრინველებისგან იმითი განირჩევა, რომ ბუდეს თავის სიცოცხლეში არ იკეთებს. მამალი დაქეფობს და იძახის „გუგუ“, დედალი სულ იცინის. მაშ შეილებს როგორა ზდიან? — აი როგორ: გუგული ტყის ჩიტების ბუდეს მოსძებნის ხოლმე; როცა ფრინველს ბუდიდგან გაიგულებს, გუგული მოფრინდება, ხოგს კვერცხებს ბუდიდკან გამოჰყრის და თავისას ჩასდებს, მერმე გაფრინდება და თითქო თავის ეშმაკობას თითონვე დასცინის. როცა პატარა ფრინველები მოფრინდებიან, ვერაფერს გაიგებენ, ბუდეს დაასდებიან და თავის შეილებთან გუგულის ბარტყსაც გამოსჩეკენ, პატარა ფრინველები მერმე საჭმელს ზიდვას დაუწყებენ ბარტყებისათვის. მაგრამ, რადგანაც პატარა გუგული იმათ შეილებზედ დიდია, ამიტომ ეს ლუკმას ლუკმაზედ ყლაპავს, და სხვა ბარტყებს უსაჭმლოთ ავდებს. როცა დიდი გაიზდება და ბუდეში ვიწროობა შეიქნება, მაშინ გუგული ბუდიდგან პატარა ბარტყებს შეუცოდავათ გადმოჰყრის. ბუგულის დედა შორი - ახლოდგან თავის შეილს ყურს უგდებს და ზოგჯერ ამ ბოროტ საქმეში თავის შეილსა შეელის. ბადმოყრილი ბარტყები შიმშილით და სიცივით იხოცებიან; ხან ამათ კატები სჭამენ. რამდენიც გუგული ბუდეში იზრდება, იმდენი უფრო ავდება, - არაფერს უგონებს თავის მამინაცვალს და დედინაცვალს და ცუდათაც ექცევა. ისეთი გაუმაძღარია, რომ ზოგჯერ თავის გამზრდელს, როცა მას პირში ლუკმას უდებს, თავში პირს წააველებს ხოლმე და კბენით დაუსისხლიანებს. როცა პატარა გუგულს

ფთები კარგათ გაეზღება, მაშინ ის ბუდეს თავს დაანებებს; მაგრამ ზოგჯერ კი ბუდიდგან ვერ ამოვა ხოლმე, თუ ბუდე ხის ვიწრო ფუტურაშია გაკეთებული. ამისთანა ბუდეში დედალი გუგული კვერცხს ნისკარტით ჩასდებს ხოლმე, რადგანაც თვითონ ვერ ჩაეტევა. ბამზდელი ჩიტები გუგულს შემოდგომამდინ აჭმევენ, მერმე კი ისინი სამხრეთისკენ წავლენ, და გუგული ბუდეში შიმშილით მოკედება, ბუგული სდებს ხუთს, ხან ექვს კვერცხს, ყველას კი სხვა და სხვა ბუდეში.

ბ უ ლ ბ უ ლ ი.

ბუღბუღი არის პატარა, მშვიდი, ფთხილი და ამპარტავანი ფრინველი; ჩიტსა ჰგავს, ცოტათი კი უფრო წვრილი და ღამაზი ტანისაა. ბუგულისავეთ მიუკარებელი არ არის და კაცს ადვილად ენდობა ხოლმე თავის საუბედუროთ. ამიტომ ბუღბუღის გაშინჯვა ადვილია. სხედ ჯდომა მალლა არ იცის; კაცის სიმაღლეზედ ზის და დაუდევნელად ჩამოაუშვია ფთები, ბოლო კი აშვირილი აქვს. მიწაზედ სწორე ჯდომა და მარდი ხტუნვა იცის.

ბუღბუღი სჭამს სხვა და სხვა ჭიებს, რომლებსაც მიწაში ქექით ეძებს და პოულობს. საყვარელი საჭმელი ამისი ჭიანჭველის კვერცხებია, მაგრამ არც მწიფე მინდვრის ხილს, მარწყვს და მაყვალს დაიწუნებს. წყლის სმა მალმალ იცის; ჭამის შემდეგ ყოველთვის წყალზედ უნდა გაეჩქაროს. როცა თბილი დარია, ყოველ დღე წყალში ბანაობს. ბუღბუღი ჩვენ ქვეყანაში მარტოკა ზაფხულში მოფრინდება ხოლმე; სხვა დროს თბილ ქვეყნებშია. ბაზაფხულზედ ბუღბუღი რომ მოვა, თავის ძველ ადგილს მოსძებნის და ამ ადგილს სხვას არას დროს არ დაუთმობს. მაგრამ ერთი წლის ბუღბუღები კი ბევრს წვალებას გამოივლიან ხოლმე; ისინი მოუსვენრად ეძებენ მოხერხებულს ადგილს საცხოვრებლათ და ბუდის გასაკეთებლათ. ბუდის გაკეთება ბუღბუღს წყლის

ახლო უყვარს ხშირ ჯაგებში, უფრო კი კუნლის ბუჩქებში. მაისის დამდეგს დედალი ოთხს, ან ხუთ კვერცხს სდებს; მამალი ბულბული შეეღოს გამოჩეკაში და შეიღების გაზდაში. სამი კვირის შემდეგ ბარტყები ფრენას შეიძლებენ და ამის შემდეგ დედ - მამა ცდილობს თავის ახალს შეიღებს გალობა კარგათ ასწავლოს. ღიდათ საამური საყურებელია როცა ჯაგზედ ან ხეზედ დედალ - მამალს 'შეიღები გვერთით უსხედან და გალობას ასწავლიან. ბულბულის გალობას არა ფრინვლის გალობა არ შეედრება. ხნიანი მამალი ბულბულები კი უფრო კარგათ გალობენ ყმაწვილ ბულბულებზედ. მაგრამ რაც უნდა ბულბული ცუდათ გალობდეს, სხვა ფრინვლების გალობას მაინც გაშორებითსჯობია. ეს ყველა ფრინვლებმა კარგათ იციან და ზოგი ერთსა სურს მიჰბადოს და ბულბულის გალობა ისწავლოს; მაგრამ ტყუილათ ჩაუვლით ხოლმე ჯაფა; ბულბულის გალობა მარტოცა ბულბულს შეუძლიან.

ბულბულს გალობა დილით და საღამოთი უფრო უყვარს. ხან მამალი ბულბული ღამეც გალობს და ბუდეში მჯდომს დედალს მშვენიერის ხმით შეაქცევს. მეტათ მშვენიერი მოსასმენია ბულბულის გალობა მშვიდ და ნათელ ღამეში. მალღიდგან საესე მთვარე ბუჩქებს და ხეებს ზედ მოჰფენია, ფრინვლები ძილს მისცემიან, გარეშემო ყველა 'უღდგმული ჩაყუჩებულა და ამ დროს ბულბული ნაზის და სანატრელის ხმით სხვა და სხვა ნაირათ უსტვენს! ბულბულებს უფრო გცხარებული გალობა აქეთ გაზაფხულზედ, მაისში, როცა ახალი მოსულნი არიან. ჭველა ბულბულს თავის სამშობლო ქვეყანაში მოსვლა უხარბან, და თავის სიხარულს და კმაყოფილებას გალობაში აჩენს. მაგრამ ამას სხვა მიზეზიც აქვს. თბილი ქვეყნებიდგან ჯერ მამალი ბულბულები მოვლენ ხოლმე და მერმე დედლები. ჭველა მამალი ბულბული ხშირათ გალობს, რომ დედალმა მოსვლის შემდეგ ხმაზედ იცნოს, იზოვნოს და სხვა მამალს არ დაუმეგობრდეს. მაგრამ ერთის

წლის ბუღბუღები კი უფრო ხშირათ და გაცხარებით გალობენ ხნიან ბუღბუღებზედ. შველას უნდა სხვაზედ კარგი გალობა გამოიჩინოს. ეს რათა? იმიტომ, რომ იმათ ჯერ დედლები არ მოუპოვებიათ. ახალგაზდა დედლები უმეგობრდებიან იმ მამალ ბუღბუღებს, რომლებიც კარგათ გალობენ. ამისთვის, თუ მამალი ბუღბუღი ცუდათ გალობს და დედალ ბუღბუღებს არ მოეწონა, მთელს ზაფხულში უდედლოთ და უშვილოთ დაჩჩება. — რადგანაც ბუღბუღის გალობა აღ მიანისთვის სასიამოვნოა, ამიტომ ამ ფრინველებს ბევრგან იჭერენ და გალიაში ჰყავთ. მაგრამ ეს ჩვეულობა კარგი არ არის; ბუღბუღები ფთხებიან და იმ ადგილებს აღარ ეკარებიან. ზოგიერთს ქვეყნებში ისეთი უგუნური ხალხია, რომ ამ მშვენიერს ფრინველებს საჭმელათა ხოცვენ. იუ ბუღბუღები სახლების ახლოს ხეებზედ სხდებიან, მაშინ ამათი პირველი მტერი კატაა. როცა ხეზედ ბუღბუღი გალობს, თვალები დახუჭული აქვს, ამიტომ კატა ადვილად ეპარება და იჭერს. ბუღბუღს ბუც ძრვიელ ემტერება. პატარა უგუნური ბიჭები ბუღბუღს მოუშლიან ხოლმე. აგვისტოს გასულს ბუღბუღი გვანებებს თავს და თავის შვილებით თბილ ქვეყნებში მიდის.

ა რ წ ი ვ ი

როგორც ლომი ცხოველების მეფეა, ისე არწივი ფრინველებისა. არწივი მძლავრი, გულადი და ამპარტავენი ფრინველია; ტანი მოშაო ფერისა აქვს, კისრის ზემოთ მხარეს კი ოქროს ფერი დაჰკრავს. ნისკარტი აქვს მეტად მაგარი, კლანჭები საშინლათ ბასრი და ღონიერი. იმის ცეცხლიანი და ბღღვრიალა თვალებიდგან ძალა და მამაცობა გამოჩანს. შრთები აქვს გრძელი და ღონიერი; ამის ფეხები კლანჭებამდინ თეთრი ბურტყლით არის შემოსილი. არწივს საცხოვრებლათ მალალი მთიანი ადგილები უყვარს. საცა ერთხელ დაბინავდება,

იქ ის ზამთარ-ზაფხულ ცხოვრობს; ადგილის გამოცემა მალ მალ არ იცის.

უველა მოძრაობაში არწივი ძალიან ჩქარი და სწრაფია. შრინავს მშვენიერათ, მიწაზედ კი სიარული უშნოთ იცის; ჯდომა ლაზათიანი აქვს. ზის სწორეთ კაცივით ამართული, ფეხებ შეკუმშული და ამპარტავენულათ აქეთ იქით იცქირება. მშვენიერი სანახავია მჯდომარე არწივი. არწივი გაჩნდება თუ არა რომელსამე ადგილს, საშინელ შიშის ზარს დასცემს ყველა ფრინველს და წერილ ოთხფეხებს. რამწამს ფრინველები და პატარა ცხოველები გაიგონებენ არწივის ხმას: ხია, ხია, ლიხა, მაშინვე აქეთ იქით საჩქაროთ გაიქცევიან. მაგრამ არწივის ბღღერიალა თვალებს რა დაემალება. შრინველების მეფე ამპარტავენულათ და დინჯათ ტრიალებს თვალ მიუწვდენელ სიმაღლეში, მაგრამ ამისი გამჭრიახი თვლები დაკვირვებით ათვარიელებენ მთელ მინდორს, რომელსაც არწივი დასცქერის. თითქო ცაში წრეს დაუდევნელათ ავლებს, მაგრამ რამწამს თავის საკბილოს ქვემოთ დაინახავს, მაშინ სხვა ნაირათ დაიჭერს საქმეს. შრთებს ფიცხლავ შეკუმშავს, და აღმაცრივ ისარივით დაექანება; ჰაერს ამ დროს საშინელის ძალით და სიჩქარით აპობს და ხუილი გააქვს. ბასრი კლანჭები გაშლილი აქვს, რომ ჩქარა ჩაუყაროს საწყალს პირუტყვს, რომელიც თავის ლუკმათ ამოირჩია. არწივი დაეცემა ყოველ ცხოველს, რომლის მორევა და წადება კი შეუძლია. ის არ შეიცოდებს არც მოთამაშე პატარა ყმაწვილს, არც ცქვიტს და მკბენარა მცლიას; მაგრამ მელია ხან და ხან არწივის ბევრს ანანებს ხოლმე. ჰაერში ატანილი მელია ზოგჯერ არწივის ყელში მარდათ მისწვდება და ყანყრატოს გამოლადრავს ხოლმე. მშველი, გარეული გოჭები, ციკნები, ბატკნები, კურდღლის ბაჭდა და კატა სისხლით დაიცლებიან ხოლმე ამ საშინლის მონადირის კლანჭებში. შრინველებში არწივი იტაცებს: ბატს, იხვს, წეროს, გარეულ ქათამს და ყველა შინაურ ფრინველს. არწივის საყვარელი საჭმელი პირუტყვე-

ბის სისხლით; წყალს ეს ფრინველი ხან მთელს კვირაობით არა სვამს.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი საშინელი ჭირი უნდა იყვეს არწივი თავის საკბილო ცხოველებისთვის მაშინ, როცა ის შეიღებება ზრდის. როცა მარტოკა თავის თავი აქვს შესანახი, მაშინაც წვრილს ცხოველებს მოსვენებას არ აძლევს და ახლა ხომ საშინლათ სისხლს უშრობს. მარტშივე დაიწყობენ ხოლმე დედალ-მამალი ახალი ბუდის გაკეთებას, ან ძველი ბუდის გასუფთავებას. თუ არწივი მთებში ცხოვრობს, მაშინ ბუდეს მაღალს და მიუდგომელ კლდეებში აკეთებს, თუ ბინა ვაკე ტყეში აქვს, მაშინ ბუდეს მაღალს და აუსვლელს ხეებზედ იშენებს. არწივები დააწყობენ ჯერ გამხმარს ხის დიდ ტოტებს, მერმე ზევიდგან წვრილს, ორმოასეთ ბუდეს გააკეთებენ და შიგ მატყლსა და ჩ.ლას ჩააგებენ. ბუდე ოსტატური არ არის, მაგრამ დიდია და ისეთი მაგარი, რომ კაცს შეუძლიან ზედ დაწვეს. ბუდის მასალა ორივე არწივებს მოაქვთ. ბუდის კეთების დროს მამალი და დედალი ზევით ზევით მალ-მალ წაველენ ხოლმე და ერთმანეთს ოსტატური ფრენით ასრძმონებენ. ამ გვარი ფრენით მამალი ახალისებს დედალსა, როდესაც ის ბუდეზედ ზის. ბუდეში ნახვენ ხოლმე წაბლის ფერს ორს ან სამ კვერცხსა, მაგრამ ორი ბარტყის მეთი იშვიათათ გამოიჩიკება. ახალი გამოჩეკილი ბარტყები უფრო მატყლის გუნდასა გვანან, მინამ ფრინველსა; მთელი ტანი შემოსილი აქვთ ხშირი თეთრი ბურტყლით; მაგრამ თავი კი მალე მიიღებს ხოლმე ამპარტავნულ გამოხატულობას. მშობლები კარგათ უვლიან, უხვათ აჭმევენ ხორცსა, რომელსაც ჯერ თავის პირში კარგათ დაუღეჯვენ ხოლმე და ბარტყებს ისე ჩაუდებენ, როცა ესენი ჯერ კიდევ პატარები არიან. ბარტყები მინამ კარგათ არ დაიზღებიან, ბუდეს თავს არ დაანებებენ. ღაფრენის შემდეგ დედ-მამა ჯერ კარგათ ფრენას ასწავლის, მერმე ნადირობას. ამ დროს არწივები საშინლად ავდებიან. არც ფრინველს, არც პატარა

ცხოველს მოსვენებას აღარ აძლევენ. შერო გულადნი და მამაცნი არიან და მტერს საკვირველის ძალით და შეუპოვრობით ებძვიან. ღიდი გამოცდილი და გამბედავი მონადირე უნდა, რომ არწივს ბარტყები მოჰპაროს და დაუშავებელი გადაურჩეს. ხან არწივები კაცს სასიკვდილოთ დასჭრიან და დაამახინჯებენ ხოლმე. აი ერთი საკვირველი მოთხრობა ამაზედ:

ერთმა მონადირემ მალალ კლდეში არწივის ბუდე შეამჩნია და იქიდგან ბარტყების გამოხსმა მოინდომა. რადგანაც ქვევიდგან ბუდეს ვერ მიუღებოდა, ამიტომ ის უნდა ცდილიყო, როგორმე ზევიდგან ჩასულიყო. მონადირემ გაიდევნა რამდენიმე ახალგაზდა ყმაწვილი და თან მსხვილი კანათის თოკი წაიღო. როცა კლდეზე ავიდნენ, ყმაწვილებმა მონადირეს თოკი მოაბეს და გაფთხილებით ძირს ბუდისკენ ჩაუშვეს. ზამბედავ მონადირეს ხმალი ერთყა, რომ არწივები მოეშორებინა, თუ ისინი გაჩნდებოდნენ და ბრძოლას დაუწყობდნენ. როცა ბუდემდის ჩავიდა, ორი ბარტყი ამოიყვანა, პარკში ჩაისვა და ზევით კაცებს ანიშნა, რომ თოკი აეწიათ. ძლდის წვერს ბევრი აღარა უკლდა რა, მაგრამ ამ დროს დედალ-მამალი არწივები გაჩნდნენ და მონადირეს საშინელი ყვირილით დაეცნენ. მონადირეს უნდოდა მოეგერებინა, ხმალს ხან აქეთ იქნევდა, ხან იქით და ერთი თავისი მტერი კიდევ მოჰკლა. მეორე არწივი გაფთხილდა და საშინელი ბრძოლა დაუწყო. ბულად მონადირეს ეგონა, რომ ამასაც ბოლოს მოუღებდა; მაგრამ ამ დროს გარეშემო თვალი გადააფლო და საშინელი ძრწუნვით დაინახა, რომ თოკი ხმლით გაუჭრია და თოკის ერთს მეოთხედზედ კიდევ ჰკიდია საშინელ უძირო კლდეზედ. შიშით გული წაუვიდა, ხმალი ხელიდგან გაუვარდა და ამხანაგებმა ცოცხალ მკვდარი ზევით აიტანეს. იმათ ძლივღო იცნეს მონადირე, რადგანაც იმას შიშის გამო თმა სრულიად გასთეთრებოდა.

ბევრი ფრინველები სცდილობენ, რომ არწივს სამაგიერო ბოროტი გადაუხადონ. შვევები სხვაზედ უფრო ემტერებიან. ერთხელ ერთს მინდორში არწივი გაჩნდა და ნადირობა დაიწყო. სხვათა შორის ყვავებსაც მოსვენებას არ აძლევდა. შვევებმა არწივს დასჯა მოინდომეს. ერთხელ შუადღის დროს ხუთასი ყვავი არწივს გუნდათ დაეცა, უნდოდათ ჯაერი ამოეყარათ და იმ არემარედგან გაეგდოთ, ან სულ მოეკლათ. ნისკარტის და ფრთების ცემით არწივმა ზოგი დასჭრა, ზოგი მოჰკლა და ყვავის გუნდი დაფანტა. სამი საათის შემდეგ ათასი ყვავის გუნდი ხელ-ახლა გაჩნდა და არწივს გულადათ დაეცა. არწივმა ომი გმირულათ დაუწყო, მაგრამ მალე ბევრი ფრთები დააგლიჯეს და სისხლიც ბევრი ადინეს. ამ დროს ღამემ უსწრო და მეომარნი გააშეილა. მეორე დილაზედ ომი ისევ გაახლდა. შვევის ხუთი გუნდი დალაღულს არწივს დედო, ხან დაეცემოდნენ, ხან გაშორდებოდნენ, მოსვენება არ მოსცეს, და ბოლოს დროს, თუმცა არწივმა გამოიჩინა დიდი სიმძლავრე, მაინც მოჰკლეს. შემდეგ გამარჯვებული ყვავები აქეთ იქით დაიფანტნენ.

არწივებზედ ნადირობა ძალიან ძნელია; არწივი ძრიელ ფთხილი ფრინველია და მიუდგომელ ადგილებზედა ჯდება; ამიტომ იშვიათათ შეიძლება, რომ მონადირე სასროლ მანძილზედ მიეპაროს. სოცხლის დაჭერა უფრო კიდევ ძნელია; ზოგან კი ხათანგებით იჭერენ. შინ არწივი ადვილათ გაეჩვევა ხოლმე. ზოგან შინაურ არწივს ნადირობას ასწავლიან: აჭერინებენ კურდღელს, მელას და ხან პატარა მგლებსაც. არწივი დიდ ხანს სცხოვრებს. ერთს ქვეყანაში ამას წინ გაჩვეული არწივი ჰყვანდათ. იმან იცოცხლა ას ოთხი წელიწადი. თუ რომ ტყეში და მინდორში თავისუფალ ცხოვრებაში ყოფილიყო, რასაკვირველია, უფრო ბევრს იცოცხლებდა.

ს ი რ ა ქ ლ ე მ ა .

იქნება არ გაგიგონია ამისთანა ფრინველი? საკვირველი არ არის. სირაქლემა არ ცხოვრობს იმისთანა ქვეყნებში, სადაც ისეთი ცივი ზამთარი იცის, როგორც ჩვენ საქართველოში. ეს ფრინველი ცხელი ქვეყნების მცხოვრებელია. საკვირველი აგებულობისა და ცხოვრებისაა სირაქლემა. ძისერი და ფეხები გრძელი და ღონივრები აქვს; სიმაღლით ერთ საყენზედ მეტია; მაშ კაცზედაც მაღალი ყოფილა; სიმიძიით რვა ფუთია. შრთები აქვს პატარაები და სუსტი: ამიტომ ფრინვა არ შეუძლია, მაგრამ საკვირველი ჩქარი სირბილი იცის. არა ცხენს არ შეუძლია სირბილში მიჰყევს. სირბილის დროს ორ საყენ ნაბიჯს ადგამს. მაგრამ მალე ილალება, და თუ კაი ცხენზედ მჯდომარე კაცმა დალალოღს მოასწრო, შეუძლია მოეწიოს და დაიჭიროს. ზურგი სირაქლემას ისეთი მაგარი და ღონიერი აქვს, რომ შეუძლია ზედ შეისევას არამც თუ ერთი კაცი, არამედ ორიც. ამისი კუჭი საკვირველი გაუმაძღარი და მომწელებელია. ასე გაშინჯეთ თითქმის რკინის მონელებაც შეუძლია. მრთხელ სირაქლემა ერთ ქალაქში საჩვენებლად დაჰყავდათ. ხალხი ბევრი შემოეხვია. აქ ერთი ბებერიც დაესწრო. ამ ბებერს თავის სახლის გასაღები ხელში ეჭირა. სირაქლემა ბებერს მიუახლოვდა, თავის გრძელი კისრით წასწვდა, ხელიდგან გასაღები გამოსტაცა და გადაყლაპა. მეორეთ კიდევ ქალს ხელიდგან ფერჩატკები გამოგლიჯა და გემრიელი ლუკმასავით ჩაყლაპა. სირაქლემის ჩეულებრივი საქმელი კი სხვა და სხვა მარცვალი და ბალახია. იუ დაიჭირეს და შინ გაეჩვია, მაშინ პურის ჭმასაც ეჩვევა. სირაქლემის კვერცხი პატარა ყმაწვილის თავის ტოლაა. მრთი კვერცხი ოცდა ათი ქათმის კვერცხის ოდენია. მრთი ეს კვერცხი ოთხს მშიერს კაცს გააძღობს.

სირაქლემის ცხოვრებაში ბარტყების გამოჩეკა უფრო შესანიშნავია. ისე დროსაც, და მეტადრე გამოჩეკის დროს,

ოთხი ან ხუთი სირაქლემა ერთათ სცხოვრობს; ამ კრებაში მამალი ერთი მეტი არ არის; სხვა სულ დედლები არიან. სამი ან ოთხი დედალი კვერცხებს ერთ ბუდეში სდებენ; ბუდეს მრგვალს აკეთებენ დაბლობ თიხიან მიწაში; გარეშემო ფეხებით პატარა თხრილს გაუკეთებენ ხოლმე, რომ კვერცხები არ გადაცვივდნენ. კვერცხები ბუდეში ყირამალა აწყვია, წვრილი თაფი ძირს აქვთ, ბოლო ზევით; ეს იმიტომ რომ ბუდეში ბევრი კვერცხები ჩაეტიოს. სირაქლემა კრუხათ მაშინ დააჯდება კვერცხებს, როცა ათი ან თორმეტი კვერცხი შიგ სძევს. ღლისით ბუდეზედ დედლები რიგით სხედან; როცა ერთს ჯდომა მოსწყინდება, სიარული და საჭმლის შოვნა მოუწდება, მეორე დედალი მოვა, ბუდეზედ მჯდომარეს დაითხოვს და თვითონ დაჯდება. როცა ამას ბუდიდგან მოუწდება ამოსვლა, მესამე მოვა და ზედ დააჯდება. ზამოჩეკაში დედალი სირაქლემები ერთმანეთს ასე შევლიან ყოველ დღე; ღამე კი კვერცხებს მამალი აზის, რადგანაც დედლებზედ ღონიერია. ის ბუდესთან არ უშვებს ტურებს და გარეულს კატებს, რომლებსაც სირაქლემის კვერცხების ჭამა ძრიელ უყვართ. ეს მხეცები ბევრჯერ სირაქლემის ბუდესთან მოკლულები უნახავთ; სჩანს, რომ მამალი სირაქლემა არამც თუ იბრძვის, თავის მტერს კიდევ დასძლევს ხოლმე. **თუ** სირაქლემამ თავისი ღონიერი და განიერი ფეხი მარჯვეთ ჩაჰკრა ამ გვარ მხეცსა, იქვე სულს გაანთხეინებს. ბუდის გამსების შემდეგ დედლები კვერცხებს კიდევ სდებენ. ეს გვიან დადებული კვერცხები ბუდის გარეშემო ყრია და ამათ ტურა და გარეული კატები ძრიელ ემტერებიან. მაგრამ ამ კვერცხებს უფრო გონივრული დანიშნულება აქვთ. ამათ სირაქლემები ბარტყების საჭმელათ ინახვენ. ახლად გამოჩეკილი სირაქლემა თუმცა ქათმის ოდენია, მაგრამ მძიმე საჭმლის ატანა არ შეუძლია. ამიტომ კვერცხებს დედლები ფეხით სტეხენ დაშვილებს ისე აჭმევენ. ბარტყები მალე შეიძლებენ ხოლმე დიდებთან უკან გაყოლას და საჭმლის ძებნას.

სირაქლემა ძრიელ ფრთხილი ფრინველია; მონადირეს ძალიან

ძნელათ შეუძლიან მინდორში იმას მიუახლოვდეს. ზამკრია-
ხი თვალები და მახვილი ყურები მალე შეატყობინებენ სირა-
ქლემას მტრის სიახლოვეს და ეს იმავე მიწურულში გაქრება. სი-
რაქლემები მეტად ცდილობენ თავისი ბუდის დგილი დამალონ.
ისინი არას დროს პირდაპირ თავის ბუდესთან არ მიიბრუნენ,
ჯერ გარეშემო დარბიან, გზასა ხლათვენ, მერმე ცოტა
განაბული გაიქცევიან და ბუდეში ჩაჯდებიან. წყაროებისკენ
კი, საიდგანაც წყალსა სმენ, პირდაპირ ბილიკას დაქნიან ხო-
ლმე, ასე ეგონება კაცს დაუქნიაო. შუადღისას სირაქლე-
მაები ბუდეს სულ თავს დაანებებენ და ჩეკას მზის სიკვხეს,
მიანდობენ ხოლმე. თუ შეამჩნიეს, რომ ბუდე უნახავს ვისმე,
კაცი ან მხეცი ყოფილა იმის ახლოს, კვერცხები არეულია
ან დაცოტავეებულია, მაშინვე სირაქლემები თავს ბუდეს
თვითონვე მოფუშავენ და ბუდის კეთებას სხვა ადგილს. შეუდ-
გებიან. ამიტომ, თუ იქაურმა მცხოვრებლებმა სირაქლემის
ბინას მიაგნეს, გამოსაჩეკ კვერცხებს არაფერს მოაკლებენ,
მარტო ბუდის გარეთ მდებარე კვერცხებიდგან თითო ორო-
ლას იპარავენ და სცდილობენ კვალი არ დაამჩნიოს, რომ სი-
რაქლემებმა არ გაუგონ.

საზოგადოთ სირაქლემები ძრიელ წყნარი ქვინველები
არიან; ისინი ზნით ქათმებს წააგვანან. ხიფათს გაქცევით
მორჩებიან ხოლმე. სირაქლემის ხმა გავს კვნესას, ან ყმუილს.
როცა ეს ფრინველი გაჯავრებულია, მაშინ ბატყით სისინებს.
სირაქლემა ძრიელ გაუმადლარი რამ არის. შაი იმ ნათესის პატ-
რონს, რომლის მამულშიაც ისინი შეესევიან. თავთავეს სულ
შესჭამენ და ნაწვერალს ფეხებით ჩაჭქელვენ. სირაქლემაზედ
ნადირობა ძრიელ სასარგებლოა. ზოგიერთი ხალხი მარტო
სირაქლემის კვერცხებით და ხორციით იკვებება. ტყავისგან აკე-
თებენ სხვა და სხვა ნივთებსა; მშვენიერი ფრთები, რომლებიც
სირაქლემას ბოლოზედ ასხია, ძვირათ იყიდება. ძალები
ამ ფთებს შლიაპებზედ ხმარობენ. ბარტყების ჩეკის დროს კი
სირაქლემას ფთები არ უვარგა.

სხელი ქვეყნების მცხოვრებლები ცდილობენ ფთების გულისთვის ეს ფრინველი შეიჩვიონ და გააშინაურონ. სირაქლემა მალე მიეჩვევა ხოლმე შინაურ ცხოვრებას და მოსამსახურობასაც. ბევრს უნახავს, სირაქლემას ზურგზედ კოკები ჰკიდებოდეს და წყალს ეზიდებოდეს. ხან სირაქლემას ცხენის მაგიერათ ხმარობენ: შეჯდებიან ზედ და დააქენებენ.

ფრინველის გონება.

შველამ იცის, რომ ფრინველები სიკეკლუციით და სილამაზით სხვა ცხოველებს გაშორებით სჯობიან. მაგრამ მათ გონებაზედ კი ბევრს ცრუ ჰაზრი აქვს. ზოგიერთს ფრინველები უჭკუო პირუტყვევებთ მიაჩნია. მაგრამ ვისაც კი ცოტაოდენი ყურადღება მიუქცევია ფრინველების ცხოვრებისათვის, იმან კარგათ იცის, რომ ფრთოვანი ცხოველები დიდს გონებას და ხსოვნას იჩენენ. მრთი წლის გამოცდილება ფრინველებს რამდენსამე წელიწადს ახსოვთ. წეროებს, შროშნებს და მერცხლებს თავისი ბინა არ ავიწყდებათ ზამთარში, როცა თბილ ქვეყნებში არიან. ბაზაფხულზედ როცა მოდიან, ფრინველები ბუდეს ადვილათ პოულობენ. მაშა სადამე გარეულს ფრინველებს სუსტი ხსოვნა არა ჰქონიათ. ამას ამტკიცებს შემდეგი მაგალითიც. მრთ ბუნების გამომძიებელს შინაური არწივი ჰყვანდა, რომელსაც, რასაკვირველია, ბევრი საჭმელი უნდოდა. ამიტომ ეს კაცი ყვავებზე ნადირობდა და იმათი ხორციით არწივს ჰკვებავდა. მაგრამ ყვავებმა მალე დაიხსომეს ეს კაცი, და რამწამ ამას ერთი ყვავი დაინახავდა, მაშინვე დაიწყებდა საშინელ ყვირილს, შეატყობინებდა სხვა ყვავებს და ისინი დაიფანტებოდნენ ხოლმე.

შინაური ფრინველები ხსოვნას კიდევ უფრო ცხდათ იჩენენ. აი ერთი ამისი მაგალითი: ერთს მსწავლულს კაცსა ჰყვანდა მამალი, რომელსაც ერთი ქათამი ძრიელ ეჯავრებოდა. რადგანაც ამათი ჩხუბით სხვა ქათამებსაც მოსვენება არა

ჰქონდათ, ამიტომ ამ კაცმა აიღო და ეს მამალი ერთ საწყალ გლეხ კაცს აჩუქა. სამაგიეროთ ახალი მამალი იშოვნა. მკრის წლის შემდეგ ახალი მამალი მოუკვდა და გლეხთან ბიჭი გაგზავნა უწინდელი ძველი მამლის სასყიდლათ. შემოვიდა თუ არა ეზოში ძველი მამალი, მაშინვე სიხარულით მიიხედ-მოიხედა, ფრთები მარდათ შემოკრა, დაიყვილა, და თავის ნაცნობ ქათმებს დიდის აღერსით მიესალამა. მაგრამ მერმე უცკრათ შესდგა, როცა შეხედა იმ ქათამს, რომლის გულისთვისაც პატრონმა ის უწინ გააძევა. მამალი აიბრიზა, მოიღრუბლა და ქათამს მტრულათ ყურება დაუწყო. ქათამი შეშინდა და აიბუზა. რამდენსამე მინუტის შემდეგ ამათ შუა ისევ ომი გაჩნდა. რალა გაეწყობოდა, პატრონმა აიღო და ეს მამალი თავის ეზოდგან ისევ გააძევა.

ფრინველები დიდს ჰკუას იჩენენ ყველა თავის მოქმედებაში: საჭმლის შოვნაში, ბუდის გაკეთებაში, მტრის მოშორებაში და იმის მოტყუებაში, შვილების დაზრდაში და იმათ დაფრენაში. ბევრმა ფრინველებმა იციან, თუ ლეში, ან სხვა საჭმელი დაბლობ ალაგში იპოვნეს, ჯერ მალლობ ადგილზედ ყარაულებს დააყენებენ, მერმე დასხდებიან და ჭამას დაუწყებენ. წეროები ყარაულებათ ხნიან და გამოცდილს წეროებს ირჩევენ. ბატებს თუ ტბაში ჩასხდომა უნდათ, ჯერ ფრენით მალლა მალლა ცაში წავლენ და იქიდგან ტბის პირებს ათვარიელებენ, ხომ მტერი აქ დამალული არ არისო, და მერმე შიგ შუა ტბაში ჩაეშვებიან, რომ ნაპირიდგან მონადირემ ტყეია ვერ მიუწიოს. აი ერთი შესანიშნავი მაგალითი ფრინველების ეშმაკობისა: ერთს კაცს შინ გაჩვეული კატკაჭი ჰყვანდა. საწყალი კატკაჭი ქათმებისაგან დიდ შეწუხებაში იყო; ქათმები იმას მიესეოდნენ, საჭმლიდგან გააგდებდნენ და მშაერს დაარჩენდნენ ხოლმე. საწყალს კატკაჭს საშინლად ჯავრი მოსდიოდა, როცა იმის საჭმელს ქათმები შეექცეოდნენ ხოლმე და ის კი შორიდგან მშაერი უყურებდა. რადგანაც ძალით კატკაჭი ქათმებს ვერას გზით ვერ მოერეოდა, ამიტომ ღონის

მაგივრათ ხერხი ჩხმარა: ჭამას დაიწყობდნენ თუ არა ქათმები, კაჭკაჭი მაშინვე მიახლოვდებოდა და ქათმებს ჩხუბს აუტეხავდა; ქათმებმა ჯავრი მოუვიდოდათ, კაჭკაჭს გამოეკიდებოდნენ, ის შორს გაიტყუებდა, მერმე უცრათ აფრინდებოდა, საჭმელს დაფრინდებოდა, კაი ლუკმას წაიღებდა და ბოჭკის ქვეშ შეინახავდა. მერმე კიდევ მოვიდოდა და ქათმებს ხელახლად ჩხუბს დაუწყებდა; ქათმები ისევ გამოეკიდებოდნენ და კაჭკაჭი საჭმელს მოსტაცებდა ხოლმე. ამ გვარს ეშმაკობას იქამდის გააგძელებდა, მინამ თავის სამყოფ საჭმელს არ იშოვნიდა.

მრთი სოფლის მახლობლათ პატარა ტყეში შავი ყვავი სცხოვრობდა. როცა ეს ყვავი მშვიერი იყო, მაშინ იმისთანა ეშმაკობას და გულადობას იჩენდა, რომ მთელ სოფელს აკვირებდა და მცხოვრებლები მოთმინებიდგან გამოჰყვანდა. რამწამ პატარა ბატების ხროვას უპატრონოთ დაინახავდა, მაშინვე უკან დარჩენილ ჭუკიას დაეცემოდა, ნისკარტის ცემით დაარეტიანებდა, მერმე კისერში დააფრინდებოდა და თავის ბახალეებს წაუღებდა. პატარა იხვებს და წიწილებსაც ასევე იტაცებდა. მრთხელ ერთი დედაკაცი ბოსტანს მარგლიდა; გვერთით ედო კარაქ წასმული პურის ნატეხი; ერთი უფრო მჭლე ნატეხი უწინ შეეჭამა. დაინახა თუ არა ეს ყვავმა, მაშინვე ზეიდგან სწრაფათ წამოვიდა, დედაკაცს არ მოერიდა, სუქანი პურის ნატეხი მოსტაცა და თავის ბუდეში წაიღო. მუმცა პატრონმა ბევრი უკივლა, მაგრამ ყვავი არას ფერს შეეპუა. მრთს თავადის შვილის ყანაში იმისი ყმები მუშაობდნენ და საუზმე ჯიბით თან მიჰქონდათ ხოლმე. როცა მზე მალლა ავიდოდა, ისინი ტანისამოს იხდიდნენ და მიჯნაზედ აწყობდნენ. მრთხელ მუშები რომ შორს წავიდნენ, შავი ყვავი მოფრინდა, ჯიბეები დაშინჯა, ერთი ჯიბიდგან საუზმე ამოიღო და ნისკარტით წაიღო. ამხანაგებმა გაცარცულს დასცინეს და უთხრეს, ჩვენ მაგისთანა სასაცილო საჭმე არ მოგვივოო. მეორე დღეს იმათ თავის ტანისამოს ჯიბეები შიგნით

უყვეს და ზევიდგან კალთები წაათარეს. შევემა მაინც მუშებს უთვალთვალა, და როცა ისინი ისე შორს წაივდნენ, რომ სამძღვარს ვეღარა ხედავდნენ, ტანისამოსთან მომჭინდა, გაშალა, ჯერ თვითონ კარგათგანდა და მერმე თავის შვილებსაც კაი სადილი წაუღო. მეტი ღონე აღარ იყო, მუშები მერმე ტანისამოსზედ ასეთ დიდ ქვებს დააწყობდნენ სოლმე, რომ იმათ გადაგორებას ყვაფი ვერ შეიძლებდა. ამის შემდეგ ჰკვიანმა ყვაემა დიდი ყურადღება მიაქცია კაცების ჯიბეებს. ის ამათ შინჯავდა ყოველთვის, როცა კი უპატრონო ჯიბიან ტანისამოსს დაინახავდა კარზედ, ან დერეფანში. სოფლის მცხოვრებლებმა ერთ ზონადირეს ბევრი სთხოვეს, რომ ეს ყვაფი მოეკლა, მაგრამ იმან უარი უთხრა, რადგანაც იმის ჰკუისაგან გაკვირვებული იყო.

ფრინველების მოგზაურობა.

დადგება შემოდგომა, თან სიცივე მოაქვს და ბუნებას აჰკნობს. ხეებს ფოთლის ტანისამოსი შორდება, ყვაფილები მინდორს აღარ ალამაზებენ, თანდათან ყოველი სულღმული ღონდება და ნაღვლიანდება. მარტო ფრინველები არიან ცქციტათ და მხიარულათ. და რა აქვსთ მაინც დასაღონებელი? სიცივე და ზამთარი იმათ ვერაფერს დააკლებს; ისინი ჩვენს ქვეყანას მოშორდებიან და წავლენ იქა, სადაც მზე ცხადათ ანათებს, თბილა და საჭმელიც ბევრია. მოატანს თუ არა შემოდგომა, ფრინველები თბილ ქვეყანაში წასასვლელათ მზადებას შეუდგებიან. ბევრი ცხოველი საზამთროდ მიწაში ჩაძვრება, ბევრი სიცივით კიდევ მოკვდება, ფრინველები კი ამ დროს სტუმრათ არიან იქა, სადაც არც სიცივეა, არც ზამთარი. ბედნიერნი არიან! ზამოსალმების წინ თავიანთ მხიარულს ლექსებს ფრინველები ერთხელ კიდევ გვიგალობებენ, თავის ნაცნობ ადგილებს

ერთხელ კიდევ ეწვევიან, თავის დაგდებულ ბუდეც ბოლოს კიდევ ნახვენ, მერმე აფრინდებიან და თბილ ქვეყნებში წავლენ. ფრინველების სასიამოვნო ჟიფჯივი და ჭყივილი აღარ გვესმის, მშვენიერი ბუღბუღის გალობა და მერცხლის ჭიკჭიკი გულს აღარ გვიმხიარულებს. შორს, შორს გაემგზავრებიან ჩვენი მაგალობელი მეგობრები. იმათ უკან კაცი დიდის სიხარულით დაედევნებოდა; მაგრამ ის მიწაზედ არის მიბმული და განუყრელათ უნდა ზაფხულ ზამთარ იყვეს იქ, სადაც პირველათ მზე დაინახა. ძაცის ჯავრი ფრინველებისკენ მარტოკა ჰაზრს მიაქვს; ის იმათ სიმწუხარით იგონებს და თავისთავს ჰკითხავს: ერთმანეთს განა კიდევ ენახავთ?

იმედი ანუ გეგმებს კაცსა, რომ ის თავის მაგალობელს მეგობრებს ისე ნახავს, როცა ახალი გაზაფხული დადგება და თან მოიტანს მაისს, რომელიც მხიარულს მაგალობლებს უკანვე მოიზიდავს. ისინი მართლა ისე დაბრუნდებიან, ჩვეულებრივ დაიწყობენ ჭიკჭიკს და გალობას, და თავის სამშობლო ქვეყანას შეამკობენ. ჩვენ თვითოული ფრინველის მოსვლა გვიხარიან, ამიტომ რომ ბევრი რამე გვაქვს გამოსაკითხავი:

რისთვის დაუტევეთ სამშობლო ქვეყანა და რისთვის მობრუნდით? პირველათ თავი ვინ დაგვანება, მერმე იმას ვინ მიჰყვა და სულ ბოლოს აქედგან ვინ წამოვიდა? საით ფრინავდით, როგორ მოგზაურობდით და გზას ვინ გიჩვენებდათ? როგორი ქვეყანაა, საცა თქვენ იყავით, როგორი ცა, როგორი პირუტყვები, მინდვრები, ტყეები? როგორ გაატარეთ დროება უცხო ქვეყანაში, ვინ მოგცათ იქ ბინა? ზეითხარით, მხიარულნი, თუ დაღონებულნი იყავით? თქვენს ძველს ლექსებს იქაც გალობდით, თუ არა? შვილები იქაც დაზარდეთ, თუ არა? ისევ უწინდელი ფრინველები მოხვედით, თუ სხვები? იპოვეთ, თუ არა თქვენი ძველი სამშობლო?

ჰო, კარგია, თუ რომ გვესმოდეს ფრინველების ენა! შთუოთ ისინი თავიანთ ლექსებში გველაპარაკებიან თავის ცხოვრება-

ზედ და თავსგარდასავალზედ. მაგრამ ჩვენ არა ფერი გვესმის, ფრინველების ცოცხალი და კაფიო ენა ჩვენ არ გვეყურება. მილაპარაკოთ იმათ მოგზაურობაზედ, რაც გაგონებით ვიცით.

ფრინველის წასვლისთვის მომზადება.

მინდვრები ჯერ ისევ თავთავით სავსეა, ხეები მწვანეა, ყვავილები ყვავიან; ბაყაყების ხროვა ჯერ ისევ საღამო საღამოთი თავის მხიარულ ყიყინს გასძახის, ჯერ მზე ქვეყანას ისევ თბილ შუქს უგზავნის; ლამეები ჯერ კიდევ ცივი არ არის, მაგრამ ფრინველები იმ დროს წასვლას ემზადებიან. რა არის ამის მიზეზი? პირველი მიზეზი არის საქმლის მოკლება. მართალია, საქმელი ამ დროს ფრინველებს კიდევ უხვათა აქვსთ, ძრიელ სუქნებიც არიან, ასე რომ მწყურებს ამ დროს ხეირიანათ და დიდ ხანს ფრინველს აღარ შეუძლიანთ; მაგრამ ფრინველები ცხადათ გრძნობენ, რომ საქმელი ჩვენს ქვეყანაში მალე გამოილევა, და უნდათ დროით წავიდნენ. მეორე მიზეზი სიცივეა. მართალია, შემოდგომის დამდეგს ჩვენ ქვეყანაში ჯერ კიდევ თბილა, მაგრამ ფრინველებმა კარგათ იციან, რომ სიცივეს მალე დაიჭერს და ამიტომ თბილ ქვეყნებში მიეშურებიან. შესანიშნავია ამ დროს შინ გაჩვეული ფრინველების ყოფა-ქცევა. ამათ თუმცა მთელი წელიწადი საქმელი უხვათ აქვსთ და ერთნაირს სითბოში სცხოვრობენ; მაგრამ, როცა იმათი ტომის წასვლის დრო მოახლოვდება, ამათაც მოგზაურობა და თბილ ქვეყნებში წასვლა მოუნდებათ ხოლმე. ამ დროსა შინ გაჩვეული ფრინველები გალიაში დაღონებული სხედან, ღამ ღამე ცოტა სძინაეთ და ძალიან იშვიათათ გალობენ, ცდილობენ გალიიდგან გამოფრინდნენ და წასულს ფრინველებს უკან დაედვენენ.

ფრინველები წასვლის წინ გუნდ გუნდათ იწყობენ ხო-

ლომე მოგროვებას. ყველას უნახავს, რომ ამ დროს მერცხლები ერთათ იკრიბებიან. წასვლის წინა დღეს კი ერთმანეთს ისევ დაშორდებიან; ყველა დედალ მამალი თავის ბუდესთან წავა, გარეშემო რამდენჯერმე შექოუყვლის, მერმე ზედ დაჯდება და კარგა ხანი ჭიკჭიკობს, თითქო თავის ბუდეს ესალმებაო. სალამოზედ ისევ ერთათ გროვდებიან, საყდრებს და კოშკებს გროვით გარს უვლიან, მერმე გარეშემო ტრიალობენ, თითქო სოფელს ეთხოვებიანო, მერმე ბინდისას მერცხლების მთელი გროვა სოფლის გარეთ გავა და უკანასკნელი ღამეს ჭაობის ჩალებში და ლერწმებში გაათევს. მეორე დღეს მოგზაურობას შეუდგება. აგრეთვე წეროები და სხვა ფრინველებიც წასვლის დროს ერთათ შეიკრიბებიან ხოლმე. ზოგიერთა ფრინველები ამ კრებაში შორიდგან მოდიან; მთელ დღეს გროვაში ატარებენ და სალამოზედ თავის ბინაზედ ისევ დაბრუნდებიან. ზამგზავრების დროს თუ შენიშნეს, რომ ამხანაგები აკლიათ, მაშინვე მოპატიჟეს გაგზავნიან და წასვლაზედ მოიწვევენ.

შროშანის ყოფა-ქცევა ამ დროს შესანიშნავია; გამოჩეკის შემდეგ ბარტყებით ბინას სულ თავს დაანებებს, სხვა ფრინველებში შეერევა, ხან მტრედებთან დაეთრევა, ხან ყვავებთან, ერთი ადგილიდგან მეორე ადგილს ფრინავს დასალამოზედ ჭაობის ლერწმებში ჩაეშვება. ხან მთელ კვირას თავის ბინას და ბუდეს არც დედალ მამალი მიეკარება, არც ბარტყები. მაგრამ ენკენისთვის დამდეგს კი დედალ-მამალი ისევ თავის ბუდესთან მივა, გალობს, როგორც გაზაფხულზედ, ბუდეში შედის, ზოგჯერ შიგაც სძინავს. ამ დროს ამათი ბარტყები ფერს ცვლილობენ და სხვა ფრინველების გროვაში ცხოვრობენ. ოკტომბერში დედალ-მამალი ბუდეს თავს დაანებებს, გროვაში შეერევა და ერთბაშათ გზას გაუდგება.

თუ შემოდგომაზედ ფრინველები ნელ-ნელა ემზადებიან და წასვლას არ ეჩქარებიან, წასვლის შემდეგაც გზაზედ

მალ-მალე ჩერდებიან და ხშირათ გალობენ, მაშინ უნდა კარგს შემოდგომას მოველოდეთ. თუ რომ ფრინველები წასვლას მოუსვენრად ეჩქარებიან, ცოტას გალობენ და თავს უეცრათ გვანებებენ, მაშინ უთუოთ ცუდი შემოდგომა იქნება. ჩვენი ქვეყნიდგან რომელი ფრინველიც გვიან წავა ხოლმე, ის ყველაზე ადრე მოდის; რომელიც თავს ყველაზედ ადრე გვანებებს, ის გვიან მოდის. მისაც ჩვენი გაშორება ემძიმება, ის ადრე დაბრუნდება ხოლმე.

ფრინველების მოგზაურობა თბილი ქვეყნებისკენ.

ფრინველები ჩვენი ქვეყნიდგან მიდიან სამხრეთისკენ, რადგანაც თბილი ქვეყნები იქით არის. მოგზაურობის დროს უკან მალ-მალ იხედებიან, ჩვენი სამშობლო ქვეყანა თვალიდგან მოგეშორდა, თუ არაო. წამსვლელი ფრინველის რიცხვი დიდია; ჩვენი ქვეყნიდგან ნახევარზე მეტი ფრინველი წავა ხოლმე. საზამთროთ თავს გვანებებენ: გუგული, ბულბული, მერცხალი, იხვი, მწყერი; ტოროლა, წერო, გარეული ბატი, შროშანი და კიდევ სხვანიცა. ჩვენთან ზამთარში რჩებიან: არწივი, ჩიტი, ალალი, ბუ, ჭოტი, ყვავი, კაქკაჭი, კიოკიტა და სხვები. ზოგი ფრინველი თითო-თითო მოგზაურობს, ზოგი დედალ მამალი ერთათ, ზოგი ჯგუფათ. მამოჩეკის შემდეგ, როცა ფრინველები წასვლას ჯერ კიდევ არ აპირებენ, ჯგუფათ იკრიფებიან, მერმე რამდენიმე ჯგუფი ერთათ შეგროვდება და რბოს შეადგენს, — ეს რბო წასვლის შემდეგ ერთათ მოგზაურობს. ზოგი ერთა ფრინველები წასვლის წინ დაიყოფებიან ხოლმე: დედლები ცალკე იკრიფებიან, მამლები ცალკე. ჯერ დედლები წავლენ ხოლმე, მერმე მამლები. მოგზაურობის დროს ფრინველების გუნდი არ იყოფება. ზოგი ფრინველების მოგზაურობა სასიამოვნო საყურებელია. სწორეთ სალდათებივით დამწყრივდებიან, ხან ერთ

რიგათ, ხან ორ რიგათ, ერთი წინ მიუძღვის, სხვანი იმას უკან მისდევენ; როცა ეს დაიღალება, მერმე სხვა დაწინაურდება და ეს სულ ბოლოს მოექცევა. წინა ფრინველი უფრო იღალება, ამიტომ რომ ის ჰაერს აპობს, სხვანი კი გაკვალოვლ გზაზედ მისდევენ. ამ გვარათ მოგზაურობენ: ჩვენი წეროები, გარეული ბატები, და სხვა დიდი ფრინველები. მზათ აღმაოიჩრჩევენ ხოლმე მდინარეების პირებს, რომლებიც სამხრეთისკენ მიდიან, ღელეებს, ტყის პირებს. ეს რისთვის? ამიტომ, რომ ამ ადგილებში უფრო ბევრ საჭმელს შოულობენ. შრინველები როგორც ღღე, ისე ღამე მგზავრობენ. რომლებსაც სხვა ფრინველებისა არ ეშინიათ, ღღისით მოგზაურობენ, ღამე კი დაისვენებენ ხოლმე. რომლებსაც სხვა და სხვა ფრინველები ემტერებიან, ისინი ღამე მიფრინავენ, ღღისით კი ტყეებში და ჭალებში ისვენებენ და საჭმელს შოულობენ. შლონო და პატარა ფრინველები დაბლა მიფრინავენ, რომ მტრის დაცემის დროს ტყეში ან ჩირგეში ჩაიმაღონ. ღონიერნი და დიდი ფრინველები კი მაღლა მიდიან, რადგანაც არა ვისი ეშინიათ და პირდაპირ სიარულს მთა და გორა არ უშლით. რომელი ფრინველებიც ღამე მიფრინავენ, ისინი ღღისით წყნარათ სხედან; რომლებიც ღღისით დადიან, სადილსუკან ისვენებენ. წეროებს თუ ეჩქარებათ, ან ღამის ბინაზედ ვინმე შეაწუხა, მგზავრობას ღამეც გააგრძელებენ ხოლმე. ღამით მიფრინავენ: ჭოტი, ბუღბუღი, იხვი, მწყერი; მოგზაურობის დროს ამ ფრინველებს სულ არ სძინავთ,—ღამე მიფრინავენ, ღღისით ისვენებენ და საჭმელს შოულობენ. თუ კარგი დარი დაუღდ თ, ფრინველები თავის დანიშნულ ქვეყანაში მაღე მიდიან, თუ ცუდი დარი, დაუგვიანდებათ. მაგრამ ზოგი ახლო ქვეყანაში ჩერდება და ამიტომ თავის მგზავრობას მაღე ათავებს. მოგზაურობის დროს ფრინველები მოწყენით არიან, ცოტას გალობენ; ეს ამიტომ, რომ ენანებათ თავისი სამშობლო, რომელსაც თავი დაანებეს, ამის გარდა სხვა

წვალებას და ტანჯვას ბევრს გამოივლიან ხოლმე. რომელ ქვეყნებზედაც იმათ გზა უძევთ, იქ ბევრი იმათგანი თავს შესწირავს ხოლმე. ამ ქვეყნების მცხოვრებლები დიდი — პატარამდინ, ასე გაშინჯე ღვდლებიც კი მინდორში მოდებულნი არიან და ფრინველებზედ ნადირობენ. ზოგი თოფს ესერის, ზოგი ჯოხით ხოცავს, ზოგი ხათანგით იჭერს. დიდი ძალი ფრინველი იხოცება ამ დროს. ბევრი ფრინველი, რომელიც ამ დროს გადარჩება, შემდეგ ზღვაში იღუპება. ფრინველები რომ ზღვას მიახლოვდებიან, დასასვენებლათ მინდორზედ სხდებიან და ზურგ ქარის ამოსვლას უცდიან. როცა ეს ქარი ამოვა, მაშინ აფრინდებიან და ქარის შემწეობით უნდათ ზღვის იქით ნაპირს გადავიდნენ; მაგრამ ბევრი პატარა ფრინველები იღალეებიან, ფრინვას ვეღარ სძლებენ და ზღვაში იხრჩობიან; მეტადრე თუ ქარი ჩაუდგათ, ან ზღვაზედ ფრენის დროს პირ ქარი ამოუფარდათ, ძალიან ბევრი ფრინველი დაიღუპება ხოლმე ზღვაში.

ფრინველის სამთარში უცხო ქვეყნებში

ყოფნა.

შემოდგომაზედ როცა ჩვენს ქვეყანას თან-და-თან ფრინველები აკლდება, ამ დროს თბილი ქვეყნები ჩვენგან წასული ფრინველებით იმსება. ჯერ მივლენ ხოლმე იქ ის ფრინველები, რომლებიც აქედგან ადრე მიდიან, ძერმე-შემდგომ წასულნი, ბოლოს ისინი, რომლებიც ჩვენ თავს ყველაზედ უკან გვანებებენ. რომელი ფრინველებიც მოგზაურობას ცალკ-ცალკე შეუდგებიან, თბილ ქვეყნებშიაც თითო თითოდ მიდიან, ხოლო რომლებიც კრებით წაივლენ, იქაც გუნდ გუნდი მიფრინდებიან ხოლმე. მშვენიერი სანახავია ამ დროს სამხრეთის ქვეყნები; მინდვრები, ტყეები, ტბე-

ბი სულ საესეა სხვა და სხვა ჩვენებური და იქაური ფრინ-
ვლებით. ფრინვლების ჟივილ-ხივილი მთელს იქაურს ბუ-
ნებას აღვიძებს. მეტადრე მწყურებისა ისეთი დიდი გუნდები
მივა ხოლმე, რომ მარჯვე მონადირე თოფით დღეში ოთხას
ხუთას მეტს მოჰკლავს. შემეტესი ნაწილი ჩვენი ფრინვლებისა
საზამთროთ მეგვიპტისკენ მიდის. აქ არის მაღალი, მიუდგო-
მელი და ტიტველა მთები, რომლებსაც გარს აკრავს აყვავე-
ბული, შემუშავებული და ჭალიანი მინდვრები; ამასთანავე
მეგვიპტეში მრავალი ტბები და ჭაობებია; ამიტომ მეგვიპტე
იზიდავს მრავალს ფრინველსა, რომელიც აქ მთელს
ზამთარს ატარებს. მეტადრე ბევრი ფრინველი სცხოვრობს
აქაურ ტბებში, რომლებსაც გარეშემო მშვენიერი ბზის
ტყეები არტყია. თუმცა ამ ტყეებში ზაფხულშიაც ბევრი
ფრინველი სცხოვრობს, მაგრამ ამ ფრინვლების რიცხვი
სრულიად არ შეედრება ზამთარში მცხოვრებლების რიცხვსა.
არ შეიძლება კაცმა აქ მყოფი ფრინველი მოთვალოს.
ასე ჰგონია კაცსა მთელი ქვეყნის ფრინველს თავი აქ მო-
უყრიანო. ხან მთელი ტბა ისე საესეა, რომ წყალი აღარა
ჩანს, ნემსის კუნწი არ ჩაეარდება. და თუ ამ ფრინველის
რბომ თოფის ხმა გაიგონა, უცებ აფრინდება და ასეთ გრი-
ალს ასტეხს, რომ რამდენმე ვერსზედ კაცი ხმას გაიგონებს.
ხან გუნდი ასეთი დიდია, რომ ფრინვის დროს თითქმის მზეს
აბნელებს. საკვირველია, ამდენს ფრინველსა რა თევზი უძ-
ლებს; ყოველს დღეს უკანასკნელი სამოცი ათასი გირვანქა
თევზი მაინც მოუნდება. არწივებს და შავარდენებს ამ ტყე-
ების ახლო დაბინავება უყვართ, რადგანაც ესენი ფრინვ-
ლებით იკვებებიან. საშინელი ალიაქოთი შეუდგება ხოლმე
ფრინვლების გროვას როცა ზევიდგან შავარდენი საჭმლის
საშოვრათ შეილდისარივით ტბაში ჩაეშვება. შველა ფრინ-
ველი ცდილობს თავს უშველოს, მაგრამ ერთი მაინც შა-
ვარდენს კლანჭებში ჩაუვარდება. მძლავრი არწივისა არამც-
თუ პატარა ფრინვლებს ეშინიათ, გარეული ბატებიც ამი-

სგან დიდ ზარალში არიან. ამ დიდს ფრინველს არწივი ყოველთვის ეწევა და ადვილათ ერევა.

არც ერთი აქაური ფრინველი ზამთარში ქვევითა ქვეყნებში მრთლათ მხიარული არ არის. იმათ აგონდებათ თავისი სამშობლო, სადაც დროს მხიარულათ და ბედნიერათ ატარებდნენ, და ნაღვლიანათ არიან. როგორც მგზავრობის დროს, ისე თბილ ქვეყნებში, არც ერთი ჩვენი ფრინველი თავის საამურს ლექსებს არ გალობს, არც ერთი ბუდეს არ აკეთებს, არც ერთი შვილებს არ ჩეკავს. რათა? ამიტომ, რომ უცხო ქვეყანაში არიან და არა სამშობლოში. ისინი მოუთმენლათ ელიან მობრუნების დროს. ეს დრო რომ მოახლოვდება, ფრინველები თითქო ცოცხლდებიან. თავის ძველს ლექსებს იგონებენ და იქაურს მინდვრებს თავის მხიარულის გალობით აღვიძებენ. რა უხარიათ ფრინველებსა? ის, რომ თავის სამშობლოში გაზაფხულის მოახლოება შეიტყეს; იციან, რომ ცოტას ხნის შემდეგ ჩვენთან წამოსვლა მოუხდებათ და ამიტომ სიხარულში არიან. რამდენიც უფრო და უფრო ახლოვდება წამოსვლის დროს, იმდენი ფრინველების სიხარულიც ძლიერდება; ესენი უფრო ბევრ ფრინვენ; მალ მალე გალობენ; დედალ მამალი ერთმანეთს ეთამაშება; ტაროლა მალლა მალლა მიდის და მინდვრებს მხიარულ დასძახის; ბუღბუღი ქალაში და ტყეებში თავისებურათ უშტენს. ღადგება მარტი და თანდ-თან თბილი ქვეყნების მინდვრები ცარიელდება, ჩვენებური ფრინველები ერთი მეორის შემდეგ იმ ადგილებს სტოვებენ და ჩვენი ქვეყნისკენ მოეშურებიან.

ფრინველების წამოსვლა ჩვენს ქვეყანაში.

როგორც წასვლაზედ ემზადებოდნენ ფრინველები, ისე წამოსვლისათვის ემზადებიან. რომელი ფრინველებიც დაფანტულები იყვნენ, წამოსვლის წინათ ერთათ მოგროვებას იწყებენ, და რო-

ცა გუნდი შეიკრიფება, მაშინ აფრინდებიან და ჩვენსკენ გამოსწევენ. წეროები და გარეული ბატები როგორც აქიდგან დამწკრივებულნი წავიდნენ, ისე იქიდგან დამწკრივებულნი მოდიან. ღიდი ფრინველები გზას დღისით გამოუდგებიან, რადგანაც არა ვისი ეშინიათ, პატარა ფრინველები კი: ტოროლები, მწყრები და სხვები მოგზაურობას ღამით იწყებენ ხოლმე. ღიდი ფრინველები ღამით დასვენებულები არიან და სძინაეთ, პატარა ფრინველები კი ამ დროს ეჩქარებიან, რომ გზა წაიმოკლონ. ღიდს ფრინველებს მალლა მალლა უყვართ ფრენა, პატარებს კი დაბლა. მართის სიტყვით, როგორც წასვლაზედ მგზავრობენ, ისევე წამოსვლაზედ. მაგრამ აქ ერთი დიდი განსხვავებაც არის. როცა აქედგან თბილ ქვეყნებში ფრინველები მიდიან, ნალვლიანათ არიან, ეზარებათ სამშობლოს თავის დანებება, უსიამოვნოთ მიფრინავენ; როცა კი ქვევით ქვეყნებიდგან წამოსვლას აპირობენ, საშინელი სიხარული აქეთ, წამდაუწუმ გალობენ, მთელს მინდვრებს ჟივილ-ხივილით ამსებენ; მოგზაურობის დროსაც ამისთანავე სიხარულში არიან, მოუთმენლოთ უნდათ თავის სამშობლო ქვეყანაში ჩქარა მოვიდნენ. სამშობლოს სიყვარული ფრინველებს ჩვენსკენ ხან ადრე გამოიტაცებს ხოლმე. ზოგჯერ ისინი ჩვენში იმდროს მოვლენ ხოლმე, როცა ჯერ ისევ ცივა და საჭმლის შოვნა ძნელია; ფრინველებს დაბრუნება ეზარებათ, იმედი აქვსთ, აი ან დღეს, ან ხვალ კარგი დარი დადგებაო და ამ ლოდნაში ბევრი შიმშილით იხოცება. სიცივეც ბევრს აზარალებს ხოლმე. ხან უცრათ გაზაფხულზედ სითბოს შემდგომ; რომელიც ფრინველებს ჩვენსკენ გამოიტყუებს ხოლმე, ცუდი და ცივი დღეები დაუდგებათ, თანაც თოვლს მოატანს და ბევრი ფრინველი ამ დროს იყინება. მაგრამ ფრინველებს ამისთანა შეცდომა იშვიათათ მოსდით.

მთუ გაზაფხულზედ ჩვენ ქვეყანაში ფრინველები გულდათ და გუნდ-გუნდი მოფრინავენ, მაშინ უნდა კარგს გაზა-

ფხულს მოველოდეთ; თუ კი თითო-ორიოლა გაუბედავით მოდიან, გზაზედ მალმალ ჩერდებიან, მოსვლის შემდეგ მაშინვე ბუდის კეთებას არ იწყებენ, მაშინ ჩვენ ცივს და წვიმიანი გაზაფხულს უნდა მოველოდეთ. ზამთარში დაობლებული ჩრდილოეთი გაზაფხულზედ თანდათან იღვიძებს. ღლისით და ლამით მოდიან ჩვენი მგალობელი ფრინველები; სოფლები, მინდვრები, ქალები, ტყეები თანდათან ფრთიანი მცხოვრებლებით იმსება. ამათი ჭკჭკი და გალობა აღვიძებს ყველა სულდგმულსა. რამდენიც დრო გადის, იმდენი ფრინველები უფრო და უფრო ემატება. ბოლოს მოვიდნენ ისინიც, რომლებიც შემოდგომაზედ ყველაზედ გვიან წავიდნენ. ზუგულმა თავისი „გუგუ“ დილ დილით მორთო, ქალაში ბულობული უსტვინს, მინდვრის ბალახებში მწყერი ჭუკ-ჭუკებს, მერცხალი ბანის ერდოზედ დაუდევნელად და უშიშრათ ჭიკჭიკებს. საამური დროა გაზაფხული!

მოსვლის შემდეგ ჯერ ყველა ფრინველი სცილობს, რომ დედალი იშოვოს, თუ არა ჰყავს. ზოგი ფრინველები ჯერ ცალკე მამლები მოვლენ ხოლმე, მერმე დედლები. რა საკვირველია, ესენი ცდილობენ, რომ ერთმანეთი იპოვნონ. ამიტომ თითქმის მუდამ ჭყვიან და გალობენ, რომ ხმა გააგონონ და ერთმანეთი იცნონ. როცა მამლები დედლებს იპოვიან, მაშინვე ბუდის კეთების თავდარიგს შეუდგებიან. თუ ძველი ბუდე მოუშლელი იპოვეს, მაშინ ახალი ბუდის გაკეთება აღარ მოუნდებათ; მარტო ძველს ბუდეს გამოწმენდენ, გამოასუფთავენ, ახალს ბუმბულს და ჩალას შიგ ჩააგებენ და საქმე ამითი გათავდება. მაგრამ თუ ძველი ბუდის ადგილი აღარ მოეწონებათ, მაშინ ახალს ადგილს მოძებნიან და ბუდის კეთებას იქ დაიწყობენ. — ბუდის გაკეთების შემდეგ დედალი ფრინველი შიგ ჩაჯდება და კვერცხებს დასდებს. რამდენიც უფრო ფრინველი ბუდეს აღრე გააკეთებს, იმდენი კვერცხებსაც მალე დასდებს. შემდეგ დედალი კვერცხებს ზედ დააჯდება და ბარტყებს ჩეკავს. მამალი ამ დროს დე-

დალს ხან საჭმელს უზიდავს, ხან გალობით ასიამოვნებს და დროს ატარებინებს. როცა ბარტყები გამოიჩიკებიან, მაშინ დედალ მამალი იმათ საჭმლითა ზდის. ღაფრენის შემდეგ ისინი ბარტყებს ფრენას და საჭმლის შოვნას ასწავლიან, მაგლობელი ფრინველები გალობასაც. მაგრამ ყველა ფრინველი შეიღებს ერთს დროს არ ჩეკავს; ზოგი აღრე ჩეკავს, ზოგი გვიან, ზოგი დედალი კვერცხებზე დიდხანს ზის, ზოგი ცოტა ხანს; ზოგი ფრინველის ბარტყები გამოჩეკის შემდეგ ფრენას მალე შეიძლებენ ხოლმე, ზოგისა გვიან; ზოგი ფრინველი ბარტყებს მარტო ერთხელ ჩეკავს, ზოგი კი ორჯერ, სამჯერ: ზოგი ფრინველი ბევრს ბარტყებს ჩეკავს, ექვსსა, შეიღსა, ზოგი ცოტას, ორსა, სამსა. ბარტყების დაფრენის შემდეგ მინდერები ფრინველებით საესეა. შემდეგ ფრინველებს ბუმბული სცივიათ, ფერს ცვლილობენ. მაზაფხულიც იღევა და ფრინველებსაც წასვლის დრო მოსდით. ღადგება შემოდგომა და თავის ახალი ბარტყებით ფრინველები თავს დაგვანებებენ და თბილ ქვეყნებში წავლენ მეორე მოსვლამდის.

მაგრამ, რა ვიცით, რომ ფრინველები, რომლებიც გაზაფხულზედ ჩვენს ქვეყანაში მოდიან, სწორეთ ისინი არიან, რომლებიც შემოდგომაზედ აქედან წავლენ ხოლმე? ეს ცხადია. ახლათ მოსული ფრინველები ჩვენს ქვეყანას აღერსიანათ შეჭხარიან და ცხადათ ეჩნევათ, რომ თავისი სამშობლოს ნახვა უხარიათ. ჭველა ფრინველი გულადათ და გაბედვით დაეძებს თავის ძველს ბუდესა. ჭველა მოქმედებაში: ფრინვაში, საჭმლის შოვნაში, ადამიანთან მოქცევაში ფრინველებს ეტყობათ, რომ ისინი უცხონი არ არიან და ჩვენი ქვეყანა იმათ დიდხანია იკიან. მკრცხლები თავის ბუდეს მოსილის უმალ იპოვიან ხოლმე და იჩემებენ, როგორც ნამდილი პატრონები. აგრევე იქცევიან ყველა სხვა ფრინველებიც. შემდეგი მაგალითები უფრო ცხადათ ამტკიცებს, რომ გაზაფხულზედ ჩვენ-

თან მოსული ფრინველები არიან სწორეთ ისინი, რომლებიც შემოდგომაზედ ჩვენის ქვეყნიდგან წავლენ ხოლმე.

მართმა მსწავლოლმა კაცმა ზაფხულში ერთი მერცხალი შეიჩვია. ამ მერცხალს სულ აღარ ეშინოდა, მალმალ მიფრინდებოდა თავის მეგობართან, მიუჭიკჭიკებდა, მიუალერსებდა და ხელზედ დააჯდებოდა ხოლმე. პატარა ხანს უკან ისევ აფრინდებოდა და თავის საყვარელ მინდორში ჭიკჭიკით წავიდოდა. მთელ ზაფხულში მერცხალი თავის მეგობარს სადაც კი ნახავდა, მაშინვე მიესაყვარლებოდა ხოლმე. შემოდგომაზედ სხვა მერცხლებთან ეს მერცხალიც თბილ ქვეყნებში წავიდა. მაზაფხულზედ რომ მოვიდა, გზაზედ დაინახა თავისი ნაცნობი, რომელიც ახლო ქალაქში მიდიოდა. მერცხალმა მაშინვე იცნა, სინარულით და მალალი ხმით მიეაღერსა, კაცმა ხელი გამოუშალა და მერცხალი ზედ დააჯდა. მთელს გაზაფხულს და ზაფხულს მერცხალი თავის მეგობარს ასე გულ დანდობილათ ექცეოდა, როცა კი სადმე შეხვდებოდა. შემოდგომაზედ, რა საკვირველია, სამხრეთის ქვეყნებში ისევ წავიდა. მაზაფხულზედ რომ მოფრინდება, თავის ნაცნობთან უწინდელივე მეგობრობა ჰქონდა. მესამე წელიწადს კი აღარ მობრუნდა. რა საკვირველია, თუ გზაზე სიკედილს არ ესწრო, კეთილი მერცხალი სინარულით მოფრინდებოდა ჩვენს ქვეყანაში.

მართმა ვაჭარმა კაცმა ერთს ჭალის ჩიტს ბუდე გამოუშალა და იქიდგან ორი ბარტყი ამოიყვანა. მართი მამალი გამოდგა, მეორე დედალი. ღა-ძმანი ჯერ გალიაში ერთათ ჰყვანდა, მერმე დედალი გაუშვა, მამალი კი გალიაში ფანჯრის გარეთ გაჰკიდა. დედალი ჩიტი თავის ძმას მალ მალე ეწვეოდა ხოლმე, გალიაში თავს შეჰყობდა და თავის ძმასთან სჭამდა. პატრონმა მერმე გალია შიგნით შეიტანა და ფანჯარაზედ დადგა, ფანჯარა კი ცოტათი ღია დააგდო. ბუღალდი დედალი ჩიტი უშიშრათ ფანჯრიდგან შედიოდა, გალიის გვერდზედ ჯდებოდა, თავის ძმას ეაღერსებოდა და იმის საჭმლით

იკვებებოდა. როცა გაძლებოდა, თანჯრიდგან ისევ გაფრინდებოდა, ახლო მახლო ხეზედ დაჯდებოდა და საამურათ ჭიკჭიკობდა. შემდგომ სახლის პატრონმა გალია სახლის იქით გვერდის თანჯარაზედ გადაიტანა, უწინდელი თანჯარა კი გაღებული დააგდო. ღედალი ჩიტი რომ მოვიდა, ჯერ დაფიქრდა, მერმე მაინც თანჯრიდგან შესვლა გაბედა, ძირს პოლზედ ჩახტა, მერმე სტოლზედ შეხტა, რომელიც ოთახის შუაში იდგა, სტოლიდგან აფრინდა, და თავის ძმას მიუყურკურა. მერმე, რასაკვირველია, ჭმას მიჰყო ხელი და როცა გაძლა, ისევ უშიშრათ გაფრინდა. მას უკან მთელს ზაფხულს მალმალ ეწვეოდა ხოლმე თავის ძმასა. შემოდგომაზედ ეს ჩიტი სხვა ჩიტებს გაჰყვა თბილ ქვეყნებში. ზაზაფხულზედ ისევ მოვიდა და თავის ძმას უწინდელელებულათ მალმალ ნახავდა ხოლმე. ბოლოს გალიის ახლო ბუდეც გააკეთა და თავის ძმის საჭმლით იკვებებოდა, თავის შვილებსაც აქედგან ასაზრდოებდა. მთხჯერ კიდევ წავიდ-მოვიდოდა და თავის ძმას უწინდებურათ ექცეოდა. მეექვსე გაზაფხულზედ კი ვეღარ მობრუნდა. საკვირველია, იმ სიშორიდგან რატომ ფრინვლებს გზა არ ეკარგებათ და როგორ პოულობენ თავის სამშობლო ქვეყანას!

ოთხ-ფეხნი

კატა.

მრშაბათს მასწავლებელმა კლასში მიიტანა ერთი წიგნი, რომელშიაც დახატულები იყვნენ სხვა და სხვა ფრინვლები, თევზები და ოთხ-ფეხნი. მანოს, ერთ თავის მოწაფეთაგანს, მასწავლებელმა ერთ გამოხატულებაზედა ხელი დაუდო და ჰკითხა: ეს რა ოთხფეხია? — კატა, მიუგო ვანომ. — ბინახავს კატა? ჰკითხა მასწავლებელმა, როგორ არა, ჩვენ სახლშიაც გვყავს კატა, მიუგო მანომ. — მაშ აბა მით-

ხარი, კატა როგორი ოთხ-ფეხია, როგორი აგებულობისა, ნიშნებისა და ჩვეულობისა? მანო დაფიქრდა და ვერაფერი სთქვა. ძალიან შერცხვა, რომ კატა შინა ჰყვანდათ, ყოველ დღე ხედავდა, ხელში მალ-მალ ეჭირა, ათამაშებდა და მასწავლებელს კი ვერაფერი ვერ უთხრა. მასწავლებელი სულაც არ გაუჯავრდა, მაგრამ უთხრა, რომ მეორე კლასისათვის კატის აღწერა უთუოთ სცოდნოდა. შინ მივიდა თუ არა მანო, დიდას საჩქაროთ ჰკითხა: ჩვენი კატა სად არის? აშ დროს ტახტის ქვეშიდგან ვანოს კატის ღმუილი მოესმა. შეიხედა ტახტის ქვეშ და დაინახა, რომ კატას თავი დაეჭირა. ტახტიდგან კატა ჯოხით გამოაგდო, დაიჭირა და შანჯვადაუწყო. ბაუშინჯა კარგათ: თავიც, ფეხებიც ყურებიც, თვალელებიც. ბოლოს მანომ გაუშვა კატა და დედას სთხოვა, რომ იმას კატის ჩვეულება და ცხოვრება ეამბო. ღედამ რაც იცოდა, ყველაფერი უთხრა. მეორე დღეს მანო რომ კლასში მოვიდა, მასწავლებელმა წამოაყენა და ჰკითხა: შეგიძლია ახლა მაინც აღმიწერო კატა? — შემიძლია, გულადათ უთხრა მანომ. — აბა ჯერ მითხარ, როგორი აგებულობისაა კატა?

მანომ დაიწყო: კატას აქვს თავი მრგვალი, შუბლი სწორე, პირი მოკლე, თავზედ აბია ორი ყური, რომლებზედაც ხელის წაღება ძრიელ ეჯავრება; პირზედ აქეთ-იქით უღვაშები ასხია და თვალების ზევით - წარბები; კუდი გრძელი და ბეწვიანი აბია; ტანი აქვს ძალიან მომდრეკი და რბილი; თვალელები ძალიან გამჭრიანი; ფეხებზედ კატას ასხია დიდი წვეტიანი კლანჭები, რომლებითაც საჭმელს შოულობს.

რას სჭამს კატა? ჰკითხა მასწავლებელმა. მანომ უპასუხა: ჰსჭამს ყოველს ხორციელსა, მაგრამ უფრო უყვარს პატარა ფრინველები. არც თევზს დაიწუნებს; თუ კლანჭებში მოიგდო. თავებს მხოლოდ მაშინ იჭერს, როცა ბევრს არ აქმევენ. საკვირველი ეშმაკური ნადირობა იცის კატამ, დაუმატა მანომ. დაინახავს თუ არა თავის საკბილო ფრინველს, ან თავეს, ისე ეჩვენება ვითომც იმას ვერ ხედავს

და არც ყურს უგდებს, — ნელა-ნელა კი ეპარება, ძირს იწა-
ბება, დედა-მიწას ეკვრის, გამგელებულს და ანთებულს თვა-
ლებს ნახევრობით ხუჭამს, თავის ბეწვიან კუდს მიფერებით
ნელა იქნევს და ელვასავით ერთბაშათ, საკვირველი ძალით
და სიმარდით, საწყალ ცხოველს შეახტება. მაგრამ თუ გა-
დახტა და ვერ დაიჭირა, თავს დაანებებს, ძალისაებ არ გა-
მოუდგება. აგრეთვე ეშმაკობით იქცევა თევზების დაჭე-
რაში ზოგიერთი კატა. ჯერ დაისწავლის იმ დროს, როცა
თევზები ნაპირს გამოდიან; როცა იდროვებს, წყლის პირს მივა,
მოეფარება რასმე, გაინაბება და უცდის ნაპირს თევზი რო-
დის გამოვაო. ღაინახავს თუ არა ნაპირზე მოახლეობულ
თევზს, კატა მარდათ გადახტება და ამის კლანჭებს თევზი
ძნელათ წაუვა. ძატა ჩიტებსაც ძრიელ ემტერება და მალ-
მალე იჭერს ხეებზედ, რომლებზედაც მარდათ ადის. აპრილში
ან მაისში კატა კნუტებს ბრძებს შობს და რძით ზრდის.
თვალეები კნუტებს ცამეტ დღეს უკან აეხილებათ ხოლმე.
თუ შინ კნუტებს უწვალებენ, მაშინ მოიპარავს და სხვა-
ადგილს ღამე გადაიყვანს.

როგორი ზნისაა კატა? ჰკითხა მასწავლებელმა.

ზნით კატა სხვა შინაურ პირუტყებს არ წააგავს, უპასუხა
მანომ. შველა შინაური პირუტყევი კაცის მონაა. ძატას კი
თავისუფლება ძრიელ უყვარს. ძალის დატანებას ვერ მო-
ითმენს, და თუ ხანდახან კაცს ემორჩილება, ისიც თავის
ნებით. ძატას თუ ქეიფი არ აქვს არც დიდთან გაატარებს
დროებას, არც პატარასთან ითამაშებს. თუ ძალას ვინმე
ინმარებს, ის თავის კლანჭებს მოიხმარებს და თავს უშველის.
თუმცა კატა კაცთან ცხოვრობს, მაგრამ თავისუფლებას
კი არ ჰკარგავს. ამითი ის ძალღს ძრიელ სჯობია. ძალღი
კატაზედ გონიერია, მაგრამ ზნით იმას ვერ დაედრება:
ძალღი კაცის სრული მონაა. ამასთან კატა ძრიელ გულადი
ცხოველია. ძუკნა კატა პირდაპირ ეცემა ყოველს ცხოველს,
თუმცა იცოდეს, რომ ამასთან ბრძოლა არ შეუძლია. მრთი კატა

თავის შეილებს საჭმელს აჭმევდა; ამ დროს მიუახლოვდა ძუ-დათვი. ძაბა გაბრაზიანდა, მობრუნდა, მივარდა დათვს და თვალები გამოაფხაჭნა; კატამ ბრძოლა იქამდის გააგრძელა, მინამ დათვს თავი არ შეაკლა. სისუფთავეც კატებს მეტათ უყვართ. პირს კატა მალმალე იბანს; მეტადრე თავის ულვაშებს ძალიან სუფთათ ინახავს, და ზედ ცოტა მტვერსაც არ დაიყენებს. ეს იმიტომ, რომ ულვაშები ნაზი მგრძნობარენი აქვს.

მე ბევრჯელ გამიგონია, კატა ბოროტი, მიუკარებელი და უსიყვარულო ოთხ-ფეხიაო, დაუმატა მანომ. მაგრამ მე გუშინ შევიტყე, რომ ეს ტყუილი ყოფილა. ზოგს კატასაც დიდი მეგობრობა და სიყვარული შესძლებია. აი დედა ჩემმა რა მიამბო ამაზედ: თურმე ერთი გათქმული მატარებელი ცხენი დაუმეგობრდა ერთ დიდ ხვად კატას. ძაბამ ეს ცხენი საკვირვლათ შეიყვარა. როცა ეს ბედაური მოკვდა, კატა დალონებული თავის მეგობარზედ შეჯდა და თავი არ დაანება, მინამ ის მიწაში არ ჩაფლეს. მერმე კატა საცალა დაიკარგა. რამდენიმე დღის შემდეგ ის ამბარში მკედარი იპოვეს. თურმე ჯაერს მოეკლა.

მრთმა ყმაწვილმა კაცმა თურმე ერთი ჭრელი კატა გაზარდა. ძაბამ გამზდელი შეიყვარა. როცა ყმაწვილა ძაცი სახლში იყო, კატა გვერდიდგან არა შორდებოდა. როცა კი შინიდგან საღმე წავიღოდა, კატა ან კარებზედ, ან ფანჯარაზედ დაჯდებოდა და თავის მეგობრის მოსვლას მოუთმენლათ ელოდა. ღაინახავდა თუ არა მომავალს, საჩქაროთ წინ მიეგებებოდა და გახარებული კნაოდა და ღმუოდა. ძატას ყოველთვის თავის პატრონთან ეძინა და არას დროს იმაზე აღრე არ დაიძინებდა. ზოგჯერ საღამოზედ ყმაწვილი კაცი საჭმეში გაერთობოდა და ძილი დაუგვიანდებოდა ხოლმე; მაგრამ, თუმცა კატას სთვლემდა და ეძინებოდა, ის მაინც ლოგინზედ იჯდა და თავის მეგობარს ელოდა. თავის პატრონს არას დროს არა ფხაჭნიდა, არც კბენდა, თუმცა

ის კატას ძალათ ბევრჯელ აჯაერებდა და აწვალებდა. როცა უმაწვილი კაცი საქმეს აკეთებდა, კატა სტოლზედ აღიოდა, წიგნებზედ დაჯდებოდა და თავის პატრონს პირდაპირ შესცქეროდა, თითქო იმისი ცქერით გაძლომა უნდაო. — ძატასთვის ერთი შესანიშნავი თვისება კიდევ შეუმჩნევიათ. კატა ბუნების მოვლენების ცვლილებას წინეთ გრძნობს. ავი დარის წინ კატა ზანტათ მოძრაობს, სთვლემს, მერმე გორგალივით მოეხვევა და დაიძინებს ხოლმე. მაგრამ ეს კიდევ ისე გასაოცრი არ არის, როგორც შემდგომი შექმნევა: 1824 წელს პეტერბურლის ქალაქში თურმე წყალი ისე აღიღდა, რომ მთელი ქუჩები წალეკა. შრთს სახლში კატა თავის კნუტებით ამ უბედურობის წინ ქვევითა კიბიდგან ზევით ავიდა. მერმე როცა მდინარე აღიღდა, და ნაპირებს გადმოვიდა, წყალი მივიდა კიბის იმ ფეხამდის, სადაც კატამ წინეთ ბუნავი გაიკეთა.

ძალლი.

ძალლი ოთხფეხი და შინაური პირუტყვია. ძალლი ბევრ ნაირია. ზოგი გვარის ძალლი ისეთი პატარაა, რომ კაცი ჯიბეშიაც ჩაეტევა; ზოგი ისეთი დიდია, რომ ხბოს ოდეს ნაა. ძალლი შემოსილია ბალნით. ზოგს ძალღს ბალანი მოკლე ასხია, ზოგს გრძელი, ზოგს ხუჭუჭი, ზოგს სწორე. ძალღს თავი მოგრძე აქეს, კბილცბი დიდი და ბასრი, ენა განიერი და ადვილათ გამოსაყოფი, ცხვირი ყოველთვის სველი და ცივი. ტანი ძალღისა გრძელია, — წინ განიერი, უკან ვიწრო. ზოგს ძალღს ყურები აცქვეტილი აქეს, როგორც კარის ძალღებს, ზოგს კი ძირს ჩამოშვებული, მაგალითათ მეძებრებს. ძუდი ძალღისა მალღაა შეკაუჭებული. წინა ფეხებზედ ხუთი თითი აბია, უკანაზედ ოთხი, რომლებზედაც გძელი კლანჭები ასხია. ძალღმა სუფი ძრიელ იცის, ძალღი დარბის, ხტუნავს, იკბინება, ხრავს, იყეფება და ემუის. — წევრები ძრიელ ჩქარა დარბიან, რადგანაც უკანა

ფეხები გრძელები ასხიათ. წყალს ძალლი სლაპითა სვამს. ძაღ-
ლები სჭამენ: ხორცსა, პურსა, ყურძენსა, ხან ბალახსაც. მაგრამ
ყურძენს ყველა ძაღლი არა სჭამს.

ისე არა შინაურ პირუტყვს არ უყვარს კაცი, როგორც
ძაღლსა. ბევრს ძაღლს თავისი პატრონი ისე ჰყვარებია, რომ
იმის საფლავზედ თავი მოუკლავს. შევლამ იცის, როგორი
ერდგული ყარაულია ძაღლი კაცისა და იმისი სახლისა. რამ-
დენჯერ სახლს ძაღლი ქურდებიდგან მოარჩენს ხოლმე, რამ-
დენჯერ თავის პატრონს მტრისაგან და ხიჯათისგან გამო-
იხსნის ხოლმე. რამდენს საქონელს დააკლებდნენ ნადი-
რები კაცსა, რომ ძაღლი იმას არ ჰყოლოდა. ამიტომ კაც-
საც ძაღლი მოსწონს და სახლში ინახავს. იშვიათ სახლში
არ არის ძაღლი; ყველა ქვეყნებში კაცმა ძაღლი გაიშინაუ-
რა. ნადირობაშიაც კაცს ბევრს შევლის და ასარგებლებს.
ნადირის, ან ფრინველის კვალს ძაღლი სუნით ადვილათ პო-
ულობს. ძაღლს კიდევ იმსახურებენ, ასწავლიან კარების გა-
ღებას, მიხურვას, პირით ნივთების ტარებას და დაკარგულის
მოძებნას. ბავშვების ყურის გდება, იმათთან თამაშობა ძაღლს
ძრიელ ეხერხება; ამიტომ ბევრჯერ ემაწვილებინ მოვლას დედ-
მამა, სადმე წასვლის დროს, ძაღლს მიანდობს ხოლმე. სივ და
დიდ თოვლიან ქვეყნებში, მაგალითათ სიმბირში, ძაღლებს
ცხენების მაგივრად ხმარობენ: რამდენსამე უღელს მარხილში
შვებამენ და დაარბევინებენ. ისეთი გვარი ძაღლებიც არიან,
რომლებმაც ცურვა და ყურჭუმელობა წყალში კარგათ
იციან; ამისთანა ძაღლებს დამორჩვალს კაცებს წყალში
აძებნინებენ. შემდეგი მოთხრობანი ცხადათ გვაჩვენებენ ძაღ-
ლის ჭკუას და იმის კაცის ერდგულობას.

შვეიცარიაში ისეთი მალალი მთებია, რომ ამათზედ ზაფ-
ხულშიაც კი თოვლი და ყინული სძევს. ამ მთებზედ არის
გზა, რომელზედაც წელიწადში შეიდასი მგზავრი მაინც გაი-
ვლის. ზამთარში აქ მგზავრობა საშინელია, რადგანაც ძრიელ
ცივა და ამასთანავე საშინელი ნამქერი იცის. ბევრს მგზავრებს

ეკარგებათ გზა და ყინვით შიმშილით იხოცებიან. მაგრამ უფრო კი ბევრი მგზავრი დაიხოცებოდა, თუ აქ გამომსხნელნი ძაღლები არ ყოფილიყვნენ. ამ მთებზედ არის ერთი უდაბნო, სადაც ბერები ცხოვრებენ. მსენი ინახვენ დიდ ძაღლებს, რომლებსაც ყინვაში და ნამქერში ბევრი კაცი სიკვდილისაგან მოუტრჩენიათ. ამ ძაღლებს ზამთარში, ცუდი დარის დროს, ბერები ყელზედ ბოთლით ღვინოს ან არაყს შეგებენ ხოლმე, კალათით პურს ჩამოჰკიდებენ და მთებზედ გაგზავნიან. ძაღლი დარბის და ათვარიელებს, ხომ გზა არავის დაჰკარგვიაო. **თუ** გზა-დაკარგული კაცი ნახა, შიმშილით და სიცივით თოვლში შეწუხებული, მაშინვე მიიღებს, პურსა და ღვინოს მიუტანს, აჰმევს, ასმევს, მერმე წინ გამოუძღვება და უდაბნოში მიიყვანს. ერთმა ამისთანა ძაღლმა თორმეტ წელიწადს ორმოცი კაცი სიკვდილისაგან მოარჩინა. ერთხელ ამან თოვლში იპოვნა პატარა ყმაწვილი, ყინვით და შიმშილით შეწუხებული. ეს ყმაწვილი თურმე დედასთან გზაზედ მიდიოდა, გზა დაეკარგათ და დედა ხევში გადაუყარდა. ღარჩა მარტოკა ყმაწვილი ყინვაში და თოვლში. ძაღლმა რომ თოვლში ჩაფლული ყმაწვილი იპოვნა, პირს წევა დაუწყო, უნდოდა ბოთლიდგან არაყი დაეღვინა. შმაწვილმა თვალები გაახილა და, დაინახა თუ არა დიდი ძაღლი, ძრიალ შეშინდა და გაქცევა მოინდომა. მაგრამ იმდენი ძალა აღარა ჰქონდა, რომ ზეზე წამომდგარიყო. მაშინ ძაღლმა ლაქტუცი და ალერსი დაუწყო, და გაყინულ თითებს ულოკდა; ბოლოს ყმაწვილის გვერდზედ დაწვა და ანიშნებდა, რომ ყმაწვილი ზედ შემჯდარიყო; ის მაშინ ძაღლის განზრახვას მიხედა როგორც იყო ზურგზედ შეაჯდა და ძაღლმა საჩქაროდ უდაბნოში ბერებთან მიიყვანა. აქ ამ ბავშვს კარგათ მოუარეს და მალე სულ მოარჩინეს. მაგრამ ამ ყმაწვილის უბედური დედა კი ველარ იპოვნეს. ერთმა მდიდარმა კაცმა გაიგო ეს ანბავი და ეს ობოლი ყმაწვილი გასაზრდელად აიყვანა.

ანგლიაში ჰყავთ იმისთანა ძაღლები, რომლებიც კაცს

ბევრ სიკეთეს უშვრებიან, როცა სახლებს ცეცხლი ეკიდება. ამ ძაღლებში შესანიშნავი არის უფრო ერთი ძაღლი, რომელიც სახელათ ბობი ჰქვია. ეს ძაღლი ნასწავლი არის, რომ ცეცხლ წაკიდებულ სახლიდგან ყველა სულიერი გამაიყვანოს. არ დაითვლება, რამდენი სულიერი მოუჩინია ამ კეთილს პირუტყვს ცეცხლში სიკვდილისაგან. მრთხელ ერთ ხელოსნის სახლს ცეცხლი წაეკიდა. ბობი ანთებულ სახლში შევარდა და იყურებოდა აქეთ იქით: ხომ ან ყმაწვილი, ან პირუტყვი არ არის სახლში, რომ მოვარჩინოვო. მრთხელ კიდევ ცეცხლიან სახლში ბობმა ვერაფერ ნახა ძაღლის მეტი, ზურგში პირი დაავლო და, თუმცა უგუნური ძაღლი თავის გამომსხნელს ჰკბენდა, მაინც ცეცხლიდგან გამოიყვანა. მეორეთ კიდევ გოჭები მოჰყენენ ცეცხლში და ბობმა გამოასხა.

მრთს კაცს პატარა ფინა ჰყვანდა. მრთხელ ეს კაცი თავის მეგობართან სადილათ წავიდა. ფინა კი შინ დარჩა. ჰუჩებში ცუნცულის დროს იმან დაინახა, რომ პატარა ბავში, რომელიც თავის დას მისდევდა, ხიდიდგან წყალში გადავარდა. ბონიერი პირუტყვი მაშინვე გაქანა, წყალში ჩახტა, ბავშვს მოეწია, რომელიც წყალს მიჰქონდა, წაავლო პირი წყლის შუა რიყეზედ გაიყვანა და იქ დასვა. მერმე საჩქაროთ ისევ წყალში შემოცურდა, ნაპირას გამოვიდა და თავის პატრონის მოსაძებნელათ გაიქცა; უნდოდა შეეტყობინებინა, რომ ყმაწვილი რიყიდგან გამოეყვანათ. ამ ფინის პატრონი თავის ნაცნობთან სადილზედ იჯდა. ამ დროს იმისი ძაღლი შემოვარდა, თავის პატრონს ძებნა დაუწყო და ყეფა ასტეხა. უბძანეს რომ გარეთ გაეგდოთ; მაგრამ ფინა ხელ-მეორეთ შემოვარდა სასადილო ოთახში, ყეფა უფრო მაღლა დაიწყო, მერმე თავის პატრონს კბილებით მივარდა და გარეთ ეწეოდა. მგონათ პური შიანო, წინ ხორცის ნაჭერი დაუდეს, მაგრამ ფინამ შორს გადაავლო, თითქო ეუბნებოდა, ახლა ჭამის დრო არ არისო. პატრონმა ნახა, რომ ფინა სველი იყო, იფიქრა, უთუოთ მომხდარა რამეო და ადგა, უნდა წა-

სულიყო. როცა ეს ფინიამ დაინახა, მაშინვე ყეფა გაწყვიტა და სიხარულით თავის პატრონს ლაქუცი დაუწყო. მერძე წინ გაუძღვა და ხილთან მიიყვანა. შინია მაშინვე ჩახტა წყალში და ცურვით ახლო რიყუხედ გავიდა. ამ დროს ხილზედ შენიშნეს პატარა მტირალი გოგო. როცა ჰკითხეს, რათა სტირიო, იმან უთხრა, რომ ჩემი სამი წლის ძმა ხიდიდგან გადავარდაო, აის ბორბოტი ფინია წყალში გადახტა, სასიკვდილოთ უკბინა ჩემს ძმასა და რიყუხედ დასდევო. შინას უნდოდა ყმაწვილი ნაპირს ცურვით გამეფტანა, მაგრამ პატრონმა დაუძახა, მანდ იყავო. ძალლი მაშინვე ყმაწვილს გვერთით დაჯდა. მერძე ბავში ლოდკით გამოიყვანეს. ყმაწვილს არა ფერი დაშავებოდა და მალე მორჩა. თუ ეს კეთილი და გონიერი ფინია არ შესწრებოდა, რა საკვირველია, დაიხრჩობოდა.

მრთს მეტრაკტირეს ჰყვანდა მშვენიერი შეხედულობის ძალლი, რომელსაც სახელათ ნეპტუნი ერქვა. შოველ დილას, დაჰკრამდა თუ არა რეა საათსა, ეს ძალლი კბილებით კალათს აიღებდა, რომელშიაც რამდენივე ბულკის ფასი იდვა და მებულკესთან გაირბენდა. მებულკე კალათში ბულკებს ჩაუწყობდა, რამდენიც ერგებოდა, და ნეპტუნი შინისკენ გამოაქანებდა. მაგრამ აქ საკვირველი ეს არ არის, ამიტომ რომ იმისთანა სამსახური ბევრმა ძალღმა იცის,—გასაოცარი ის არის, რომ ნეპტუნი კვირაობით არას დროს ბულკებისათვის არ მიდიოდა. მტყობა იმას დაეხსომებინა, რომ მებულკე კვირაობით არა ვაჭრობდა. მაშასადამე ამ ძალლს ჰქონია დროების ცოდნა. ამ გვარი ცოდნა მარტოკა კაცს ეკუთვნის და სხვა პირუტყვეებისათვის შეუძლებელია. შემდეგი მაგალითი გვაჩვენებს, რომ ძალლს თვლის სწავლაც შეუძლია. მრთმა მექათმემ ძალლს ქათმები ჩააბარა, ყური უნდა ეგდო. ძალლი ერთგული მფარველი იყო მიბარებული ქათმებისა და ამიტომ მელია და სხვა მტრები იმათ ვერას აკლებდნენ. ჩვენი ყარაული ყველა სალამოს საქათმები თავს შეჰყოფდა ხოლმე, თითქო ქათმებსა სთვლისო, ხომ არა დამკლებიარაო.

მრთხელ მექათმემ აიღო და ვაჭარ კაცს სამი ქათამი მიჰყიდა. ამ დროს ძალლი შინ არ იყო, საღამოზედ, ჩვეულებისამებრ, ძალლმა თავი საქათმეში შეჰყო და შეაჩნია, რომ ქათმების რიცხვი შემცირებულიყო. მაშინ ის შეილდისავეთ გაექანა, მთელი სოფელი გაირბინა, სოფლის გარეთ ვაჭარს დაეწია მიწაზედ წაქცია, პოვოზკიდგან გალია გადმოაგდო, რომლებშიაც ქათმები ისხდნენ, ისინი გარეთ გამოუშვა და მხიარულათ შინ დაბრუნდა. მექათმეს გაუკვირდა, გაყიდული ქათმები რომ ისევ უკან მოუბრუნდნენ, და როცა გაიგო თავის ძალლის ნაენვეი, თავის თავს სიტყვა მისცა, კვლავ ძალლის ჩუმათ ქათმები აღარ გაეყიდნა.

ძალლის ჭკუას ხან ბოროტის საქმისათვის ხმარობენ. ლონდონში ზოგს ძალლებს ჭურღები თავის ხელობას ასწავლიან, ეს ძალლები კაცს ჯიბიდგან ჰპარვენ ხელსახოცს, საათს და სხვა ნივთებს და თავის პატრონს უზიდვენ. ხან ძალლი თავის პატრონს ეშმაკობაშიაც შევლის. აი ერთ ანგლიელ კაცს პარიჟში რა შემთხვევა მოუვიდა. ის მიდიოდა ერთს ხიდზედ; უეცრათ ერთი ძალლი გამოექანა და ახალი გაწმედილი წაღები გაუთხუპნა. ამიტომ ის მივიდა კაცთან, რომელიც ხიდზედ ვაქის ყუთით იდგა, და წაღები გააწმენდინა. მსევე შემთხვევა მეორე და მესამე დღესაც გამეორდა. ძალლი გაექანებოდა ხოლმე, წაღებს გაუთხუპნიდა და მერე გაიქცეოდა. ჩვენი ანგლიელი გაკვირვებაში შევიდა. იმან თვალი ადევნა ძალლსა და შენიშნა, რომ ძალლი წყლის პირს ჩაირბენდა ხოლმე, ტალახში ფეხებს გაისვრიდა, ხიდზედ ამოვიდოდა და ვისაც წმინდათ გაეაქსული წაღები ეცვა, ცდილობდა ყველასთვის გაესვარა. ანგლიელმა შეატყო, რომ ხიდზედ მდგომი მევაქსე ამ ძალლის პატრონი იყო, და იმიტომ ამაზე გამოკითხვა დაუწყო. მევაქსე ჯერ მალავდა, მაგრამ მერმე კი უთხრა: მე მაგ ძალლს წაღების თხუპნა ვასწავლე, იმისთვის რომ უსაქმლოთ არ დაერჩე და ერთი ორი კაპიკი მოვიპოვოვო. ანგლიელმა ეს ძალლი იყიდა და ან-

გლიაში წაიყვანა; მაგრამ ისევ მალე გამოექცა და თავის მევაქსესთან მოვიდა უწინდელი თავის თანამდებობისა ასასრულებლათ.

ბევრი სხვა მაგალითებიც შეიძლება მოგვეყვანა, საიდგანაც სჩანს, რომ ძალლი ძრიელ ნიჭიერი პირუტყვია. მაგალითათ: ლოდკაში იჯდა ძალლი, მელოტკეს კი ეძინა; ძალღმა მელოტკე გააღვიძა მაშინ, როცა ლოდკა უნდა ხიდის ბურჯს დასტაკებოდა.

ლომის.

ლომს ცხოველების მეფეს ეძახიან. მართლაც რომ მეფეა. იმისი სურათის ერთი შეხედულობა კაცს ამაში დაარწმუნებს. ახოვნებით და გაბედულობით ლომს არა ნადირი არ შეედრება. სილამაზე, სიძლიერე, სხეულის კარგი მოყვანილობა და განიერი მკერდი ლომს კარგს სანახავს პირუტყვათ ხდის. ბასაკვირველია მისი ახოვანი მიხრა მოხრა, მისი საშინელი ძლიერება, გამბედავი და შეუშფოთებელი სიმამაცე. ლომი ამაყია და ამასთან სულგრძელი და კეთილშობილი. ის მხოლოდ მაშინ მტაცებლობს, როდესაც მშიერია; მხოლოდ მაშინ გაბასრდება, როდესაც შეხვდება თავის საკადრისს პირუტყვს და დაუდნობარს მტერს. იმისი თვალები ბნელ ღამეში ცეცხლისავეთ ელვარებს. იმისი კბილები სწორეთ რომ აღმასია. შაი ამას, ვისაც იმისი კბილები მოხვდება. ბრძელი ფაფარი თავზედ და ბეჭებზედ ლომს სქლად აყრია და უფრო დიდათ აჩენს. ბრძელი და მწვეტი კლანჭები კატასავით თითებში აქვს ჩამალული და როცა დადის, კლანჭების წვერებს მიწას არ აკარებს. ამისთვის იმისი კლანჭები ყოველთვის წვეტიანია. ძუდი გრძელი და ღონიერი აქვს და იმისი ბოლო ხარისას მიუგავს. ლომი კატისგვარისა არის და ცხელს ქვეყნებში სცხოვრებს. ლომს მარტოდ ცხოვრება ძრიელ უყვარს. როცა ის ყვირის, ტყე გრგვი-

ნავს, თითქო ქუხსო. ამისთვისაც არაბები ამის ხმას ქუხილს ეძახიან. ლომს საცხოვრებლათ მოსწონს დაბურული ტყიანი ღელე, წყლის ახლოს მდებარე. მთაზედ ცხოვრება აგრე რიგათ არ უყვარს. თუ ლომმა იპოვა ძალიან მივარდნილი ალაგი, სადაც კაცის ფეხი არა ხედება, იქ კარგა ხანს დაბინავდება. ის იკვებება სხვა და სხვა პირუტყვების ხორციით. როდესაც ერთს აღაგს საჭმელი შემოაკლდება, მაშინ ბინას იცვლის, სხვაგან დასახლდება. ლომი მარტო ღამე დანადირობს. როცა ირაჯრაჯებს, ის ბუჩქნარებში დაიმალება და მთელი დღ. მოსვენებაშია. მაგრამ რამწამ მზე ჩავა და ვარსკვლავები ცაშიე ამოკაშკაშდებიან, ლომი გამოვა სანადიროთ და თავის ჭეჭის ხმით ყველას აცნობებს, რომ იმას აღარა სძინავს. მაშინ ყოველი სულდგმული, ამის მჭექარე ხმის გამგონე, ინაბება, სულს იკმენდავს, მაგრამ რა გამოეპარება იმის გამჭკრიახს თვალებს და ან რა წაუვა ამის წვეტიან და ძლიერს კლანჭებს!

ლომი შინაურ პირუტყვებს ბევრს ზარალს აძლევს. სხვარი, ძროხა, თხა, ცხენი და აქლემი ლომის საყვარელი საჭმელია. აგერ დაღამდა. არაბმა თავისი საქონელი ბაკში შევალა, რომელსაც კარგა მაღალი ღობე აქვს შემორტყმული. ლომი, შიმშილისაგან გამგელეებული, აქეთ იქით დადის. ის მიუახლოვდა ბაკსა, იშვირა ფეხები და ღობეზედ გადაეშვა. საქონელი დაფთხა და ერთი საშინელი ბლავილი შექნა, თითქო ცდილობსო, რომ თავი შეაბრალოს ლომსაო. შეშინებული ძაღლები თავის პატრონთან მიცვივდნენ და ყეთის მაგიერათ წკმუტუნეი შექნეს. საწყალი მწყემსი, თავზარ დაცემული, კანკალებს და სულ გაკმენდილი ალაგზედ ინაბება. ან კი რა ქნას? იმას ლომთან რა გაეწყობა? თუ მწყემს შუბი აქვს, ლომს უფრო მჭრელი აღმასივით კბილები ასხია. მწყემსის შუბის მოქნევას არც კი დააცლის, — ერთის თვალის დახამხამებაში ლომი მივარდება და უეცრათ სულ გააყრევინებს. მწყემსი იმალება, რომ თავისი თავი მაინც გადაარჩინოს, თუ საქონელს ვერა ფრით მოარ-

ჩენს. ლომი თანდათან საქონელს მიუახლოვდება, აარჩევს რომელსაჲმე პირუტყყს, დააფრინდება და ერთს წამს სულს გააფრთხობინებს; თავის ბასრ კბილებს კისერში ჩაუყრის და ლობეს იქით გადასტყორცნის; თითონაც გადახტება და თავის სოროში წაიღებს.

ლომს გარეულ პირუტყყებზედაც უყვარს განადირება. ამათზედ სხვა ნაირათ ნადირობს. ზარეული ნადირის დაჭერა ისეთი ადვილი არ არის, როგორათაც შინაურისა. ბევრი იმათგანი კარგათ შორსა ჰხედავს, ბევრი იმათგანი ძალიან ცქვიტი და ყურმახვილია და ამასთან ძალიან ჩქარი გამქცევიცა, ისე რომ ლომი ვერცკი მოეწევა. ამ შემთხვევაში ლომი კარგს მონადირესავით მოქმედებს. ლომი მოსძებნის ხოლმე წყლის ახლო ალაგს, აქ ბუჩქებში ჩაესაფრება და ნადირს უთვალთვალებს. აგერ დაღამდა და ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. აგერ გამოჩნდა მშვენიერი ირემი. იმას უკან სხვა ირმებიც მოსდევენ. მაგრამ უნდა შეხედო, რა ნადირის სილამაზით იღერებს კისერსა, ყურები როგორ ცქვიტათ უჭირავს და ცქვიტათ ატრიალებს თავის გამჭრიახ თვალებსა. იმას არ გამოეპარება ფოთლის შრიალი და თუ გაიჩუჩუნა რამემ, სწრაფათ გამობრუნდება და ისარივით მოჰჭრის. ირმები მდინარეს მიუახლოვდნენ და წყალს სმა დაუწყეს. ამ დროს ბუჩქიდგან ლომმა უეცრათ ისკუპა და ერთს ირემს სწრაფათ ზედ დაეცა. სხვა ირმები გაიფანტნენ, მაგრამ ლომს ესეც ჯერჯერაობით ეყოფა.

ძალიან გამბედავი მონადირე უნდა იყოს, რომ ლომზედ ინადიროს. მონადირე ლომს პირდაპირ ძნელათ შეეხმის, და თუ შეეხმება და დასძლევს, მაშინ ამ მონადირეს სახელი გაუვარდება და ხალხიც გმირს დაუძახებს. ბევრს მონადირეს ენატრება, რომ ხალხში სახელი გაიგდოს, მაგრამ ბევრჯელ ძვირად დაუჯდება ხოლმე ნატურის ასრულება. ლომზედ სხვა და სხვა ნაირად ნადირობენ. ბევრჯელ შეგროვდება ორმოც, სამოცი კაცი, თოფებით შეიარაღდებიან და ლომის სოროსთან წაეღენ. როცა მიახლოვდებიან სამ

რიგათ დამწკრივდებიან. პირველი რიგი ცდილობს, რომ ლომი თავის ბინიდან გამოაგდოს. ამისთვის თოფს რამდენჯერმე გაისერის. ბოლოს გაფოთებული ლომი სოროდგან გამოვარდება, თვალებს საშინლათ აბრიალებს და მონადირეებს მრისხანეთ უყურებს. ამათ ამ დროს თოფები მზათ უჭირავთ და ჩახმახი ფეხზედ შეეყენებული აქვთ. შიცხლავ დააგრიალა თოფები პირველმა მონადირეების რიგმა, ლომი შეხტა და წინ გაექანა; მაგრამ ერთს თვალის დახამხამებაში დასცალა თოფები მეორე რიგმა და ლომი შიწაზედ დაეცა. ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ ლომი ორისა და სამის ტყვიით დაჭრილი კიდევ ცოცხალია, და მაშინ უნდა უყურო, რაგორი მძვინვარებით მივარდება თავის მტერს და გაფოთებულ იბრძვის. ამ გვარი ნადირობა ძალიან საშიშარია. მართხელ სამოცი არაბი წავიდა, რომ ძუ-ლომისთვის პატარა ლეკვდ მოეპარათ, როდესაც დედა ბინასთან არ იყო. იმათ მართლაც მოიპარეს და უკან დაბრუნდნენ, მაგრამ ამ დროს ძუ ლომი დაეწივად და ერთს მარცხენა მკლავში უკბინა, თუმცა ესეც უშიშრათ დაუხვდა და იმას ორი ტყვია შიგ გულში მიარტყა. შემდეგ ამისა ლომი მეორეს მივარდა, რომელმაც თოფი შიგ ყბაში მოახვედრა, — ლომმა ის მაინც წააქცია, გვერდი გამოაგლიჯა, დააჯდა ზედ და სული ისე დალივა. ბევრჯელ მოხდება, რომ ერთი ლომი გააქცევს ასზედ მომეტებულს არაბს. მართხელ ერთმა ლომმა ორასი კარგათ შეიარაღებული არაბი დაიფრინა, იმათში ერთი კაცი მოკლა და ექვსი დასჭრა. შარდა ამისა, არაბებში ლომს ორმოცი ბითაც იჭერენ. ამოირჩევენ იმისთანა ადგილს, საცა ლომი მალმალ დაიარება, ორმოს ამოსთხრიან, რასმე გადაათარებენ და ზემოდგან ფოთლებს გადააყრიან. მოსიარულე ლომი ვერაფერს გაიგებს ბნელს ღამეში და ორმოში უეცრად ჩავარდება. ორმო ისე ღრმა არის, რომ იქიდგან ამოსვლა შეუძლებელია; მეორე დღეს კაცები და დედაკაცები ჯერ ქვებს ესერიან და ბოლოს თოფით მოჰკვლენ.

ზაზათხულზედ, როცა ძუ-ლომს მშობიარობის დრო მოუ-
ვა, ერთს უდაბურს ალაგს წყლოს ახლო მოსძებნის და იქ დაბი-
ნადება. აქ შობავს სამს ან ოთხს ლეკვსა, რომლებსაც მაშინვე
თვალეები ახილული აქვთ. შქვს ლეკვზედ ბევრი კი ლომს არას
დროს არ ეყოლება. ახლად დაბადებული ლეკვები მოზდილი
კატის კნუტის ტოლები არიან. ხვადი ლომი ძუ-ლომს საჭ-
მელის შოვნაში შევლის. ძუ-ლომს ძალიან უყვარს თავისი
პატარა შვილები. სასიამოვნო და მშვენიერი სანახაია ძუ-
ლომი თავის შვილებთან. პაწაწინა ლეკვები ერთმანეთს ეთა-
მაშებიან, რომ შეხედო სწორეთ კატის კნუტები მოგაგონდება.
ღედა სიამოვნებით უცქერის თავის მოთამაშე შვილებს.
მრის თვის შემდეგ ლეკვები სიარულში გაიმართებიან. პი-
რველათ ისინი კატის კნუტისავეთ კნებიან, მერე თანდათან
ხმა ეცვლებათ, სიმარდეც ემატებათ. ღედა ზრდის ნახევარ
წელიწადს; მერმე შვილები იმას უკან გაჰყვებიან სანადიროთ
და საჭმლის საშოვრათ.

ს კ ი ლ ო. 20

ლიზიკოს საღამოზედ მამამ ერთი დიდი წიგნი მიუტანა,
რომელშიაც სხვა და სხვა ცხოველები იყო დახატული. მეო-
რე დილაზედ ლიზიკომ ყუთიდგან ახალი წიგნი სიხარულით
ამოიღო და შლა დაუწყო. მესამე ფურცელი რომ გადმო-
შალა, ერთს გასაოცარ სურათს თვალი შეასწრო და დაა-
ცქერდა. დახატული იყო ერთი ვეებერთელა პირუტყვი, რომ-
ლის მგზავსიც ლიზიკოს თავის სიცოცხლეში არა ფერი ენახა.
— ღედა, ღედა! ეს რა პირუტყვის სურათია? ჰკითხა სიჩქარით
ლიზიკომ ღედას, რომელიც ამ დროს გარედგან შინ შემო-
ვიდა. — მე, შვილო, სპილოა გამოხატული, უთხრა ღედამ
თავის ხალისიან შვილს, როცა წიგნში ჩაიხედა. — ზანა სპი-
ლო ყველა ცხოველებზედ დიდია, რომ აქ ყველაზედ დი-

დათ არის დახატული?—საშინელი უზარმაზარი რამ არის, შეი-
ლო, ეგ სპილო.—ჩვენ კამბეჩებზედაც დიდია? ჰკითხა გაოცე-
ბით ლიზიკომ.—რას ამბობ, შეილო, სად კამბეჩი და სად სპი-
ლო? სპილო რომ წახო, სწორეთ მთა გეგონება.—ახ, მართ-
ლანეტა მანახვა, უთხრა ლიზიკომ. მიკვირს, რატომ სპილოს
არსად შევხვედრივარ, — თითქო სოფელშიაც ვყოფილვარ, ბე-
რი ალაგები მინახავს, ტყეებშიაც მივლია, მინდორშიაც
მისეირნია, მთაზედაც ავსულვარ—ასე გაშინჯეთ კურდღელი,
ის ცქვიტი კურდღელიც კი მინახავს, და რატომ სპილოს-
თვის თვალთ არ მომიკრავს, დედავ?—ჰიდევ ეგ არის, შეი-
ლო, რომ შენ იმას ვერა ნახავდი. სპილო ჩვენს ქვეყანაში
არა ცხოვრობს.—რატომ, დედა?—იმიტომ, შეილო, რომ სპი-
ლო აქ ვერ იცხოვრებს, იმას აქ შესცივა და სიცივე
მოკლავს.—პრა, დედაჯან, მე ეგ არა მჯერა. ბანა ჩვენში
კი არა ცხელა ზაფხულში?—მართალია, შეილო, ზაფხულში
ჩვენშიაც თბილა და ცხელა, მაგრამ აქაური ზამთარი ცივია,
და სიცივის ატანა სპილოს არ შეუძლია. სპილო ცხოვრობს
იზისტანა ქვეყნებში, სადაც ზამთარშიაც კარგა თბილა.—რა
ქვეყნებია, დედა ის ქვეყნები, სადაც სპილო ცხოვრობს?
მაშ ეტყობა იქ სხვა ნადირებიც უნდა იყვნენ, რომ-
ლებიც ჩვენში არ არიან.—სპილო ცხოვრობს, შეილო, ინდო-
ეთში და სხვა ცხელ ქვეყნებში. სპილოს გარდა იქა ცხოვ-
რობენ სხვა გვარი ნადირებიცა; თუ გინდა, კიდევ დაგისახე-
ლებ: ლომი, ვეფხვი, ტიგრი და სხვები. არც ერთი ამათგა-
ნი ჩვენში არა ცხოვრობს.

ლიზიკო დააცქერდა სპილოს, თვალები კარგა ხანს გა-
უშტერა და მერმე ცქვიტათ წამოიძახა:—დედა! ეს თეთრები
რეები გამოჰკილია პირიდამ? მგონია ეშვები უნდა იყოს. უჰ,
რამ სიგძეებია!—მართალი სტქვი, ეგენი ეშვებია, უთხრა დე-
დამ. ეგ ეშვები სპილოს ბევრსა შევლის: ეშვებით მძიმეს
რასმე ასწევს, ქვებს გადაატრიალებს ხოლმე, მიწასა სტხრის,

თავის მტერს იგერებს და კიდევ სხვა წაირათ ხმარობს. მაგრამ ბევრს მტერსაც უჩენს. რამდენ მონადირეს დაუღლეია თავისი ღღენი სპილოს დენაში. ბითხრა რისთვის? იმის ეშვებისთვის. იმისი ეშვებზე ძვირათ ფასობენ და ამისთვის სპილოს ხშირათ სდვენიან. იქნება დრო, როდესაც სპილოს ქვეყანაზედ სრულიად გასწყვეტენ.

კიდევ რა მაკვირვებს, დედა, იცი? მს რა ჩამოუშვერია გრძლათა? რატომ არსად მინახავს მაგ გვარი რაძე?—მე, შეილო, ცხვირია.—სხვირი?—როგორი ცხვირია, შენი კირიმე! ზანა სხვა პირუტყვებს კი არა აქვს ცხვირი, მაგრამ ასე გძელი რატომ არ სად მინახავს?—ზძელია, შეილო, მაგრამ მაინც და მაინც ცხვირია. ზანა არ შეიძლება, რომ ერთს მკლავი მოკლე ჰქონდეს და მეორეს გძელი, მაგრამ ორივე მკლავია. აი ეხლა მე და შენ: შენ ჩემზედ პატარა ხარ, მაგრამ შენც ისეთივე ადამიანი ხარ, როგორც მე.—რათ უნდა მერე ესეთი გრძელი ცხვირი? ზანა კარგისა და კუდი სუნის გასარჩევათ პატარა ცხვირი არ ეკმარებოდა?—არა, შეილო, მართალია იმისი ცხვირი ცხვირია, მაგრამ სხვა დანიშნულება აქვს. შენ თითონ იცი, შეილო, რომ თრითინასაც აქვს კუდი და ძაღლსაც, მაგრამ თრითინას კუდი ხიდამ ხეზედ გადახტომაში შევლის და ძაღლს კი ვერ უშველის. სპილო ცხვირს ხმარობს, როგორც კაცი ხელსა. იმას ცხვირის ბოლოზედ გამობმული აქვს პატარა თითისავით. რას არა იქს იმ თითით? პაწაწა ქაღალდი შეუძლიან მიწიდგან აიღოს, პრობკა ახადოს, კლიტე გააღოს და სხვა. ახლა ისიც უნდა გითხრა, შეილო, რომ იმას ცხვირი რეზინს მიუგავს, როცა უნდა დააგძელებს, როცა უნდა დაამოკლებს, ეგ იმისი ქეიფია. ამის გარდა ცხვირი, შეილო, სპილოს იარაღია. ის თავის მტერს ცხვირით იგერებს. რასაც თავის ცხვირს მოარტყამს, ის ფეხზედ არ დაუდგება. მართის ცხვირის დაკვრით ცხენს წააქცევს და კარგ დიდ ხეს დაამტყრევს. სხვირით სპილოს ყოველი გვარი მუშაობა ემარჯულება.

— დიდ ზარალში და შეწუხებაში უნდა იყვნენ იმ ქვეყნების მცხოვრებლები, სადაც ეს უზარმაზარი და ძრვილი სპილო სცხოვრობს, განა, დედა? ჰკითხა ლიზიკომ.

პრა, შეილო, უთხრა დედამ; სპილო მეტად მშვიდობიანი პირუტყვია. მაგრამ რადგანაც შენ ძრვილ გსურს წვრილათ შეიტყო სპილოს ზნეობა და ცხოვრება, ამიტომ დამიგდე ყური, გიამბობ, რაც ვიცი.

ლიზიკო სმენად გარდაიქცა.

დედამ დაიწყო ასე:

სპილო ძრვილ შემთვისებელი პირუტყვია; ლომსავით ცალკე ცხოვრება არ მოსწონს. სხვა ბალახის მჭამელს პირუტყვებსავით სპილოებს ერთათ ყოფნა უყვართ. ხან ასი სული, ხან კიდევაც მეტი თავს ერთათ მოიყრის და კრებით სცხოვრობს. მშვენიერი სანახავია. მონადირესთვის ამოდენა პირუტყვების კრება ხშირ და ატეხილ ტყეში. ახალ გაზდა სპილოები ცქვიტათ დარბიან და ახლო ველზედ დედ-მამის გვერდით თამაშობენ. იმათ ჰყავთ თავიანთ წინამძღოლი, რომელსაც ყველანი ემორჩილებიან. სპილოები ძრვილ გაფრთხილებულნი არიან, მეტადრე იმათი წინამძღოლი. საშინელი ხეების ლაწალაუფი გამოისმის ხშირ და ბნელ ჭალიდგან, სადაც სპილოები მძიმეთ და დაუდევნელათ დაეთრევიან. საცამალალი მცენარე უხვათ არის, სპილოები იმ მინდვრებს მალ-მალ ეწვევიან ხოლმე. მაგრამ ცხოვრება სპილოებს უფრო მდინარეების ახლო დედეებში უყვართ. აქაური მწვანე და ჭშირი ფოთოლი სპილოს სიცხისაგან იფარავს, ახლო მდებარე მდინარე სასმელს არ აკლებს. როცა სპილოების ნახირი მდინარისკენ წყლის დასაღევათ ჩაეშვება, ყოველი ცხოველი, რომელიც კი იმათ გზაზედ შეხვდება, საჩქაროთ ჩამოვცლება, და სინამ ეს მდევები წყლის სმას არ გაათაეებენ, მინამ წყალზედ ჩასვლას ვერ გაბედავს. წყლის სმას რომ მოარჩებიან, სპილოები წყნარათ დაბრუნდებიან თავის ბინაზედ. შუალამის დროს მამალი სპილო გვერდზე წეება და დილამდის

ასე სძინავს. ღედალი სპილო კი, რომელსაც თავის შეილება
ბის დარდი აქვს, ხეზედ მიეყუდება ხოლმე და ისე ფთხილად
ზეზეულათ სძინავს; ამ დროს შეილი გვერთით უწევს. ძი-
ლის შემდეგ სპილოები მაშინვე საკმლის შოენას შეუდგე-
ბიან და აქეთ იქით იფანტებიან. ამ დროს ტყეში საშინ-
ლათ ბევრს ხეებს ამტერევენ, იქიდგან მუდამ ლაწალუწი
გამოდის. თუ გრილი დღეა, მაშინ საღამომდის სძირენ;
ცხელ დღეში კი შუა დღისას ბანაობენ. ღაბლობ ადგი-
ლებში წვიმის წყლიდგან მორეეები გაჩნდებიან ხოლმე, სპი-
ლოებს საბანაოთ ესენი აქეთ დაჩემებული. იქ ისინი ცურავენ,
კყუმპალაობენ, ხან რამდენსამე საათს წყალში უძრავათ დგა-
ნან, როცა ცხელი დღეა. ბანაობა სპილოს იმიტომ უყვარს,
რომ, თუქცა ტყავი ძრიელ სქელი აქვს, მაგრამ ერთ გვარი
ბუზი მაინც საშინლად ჰკბენს და როცა წყალშია, მაშინ ამი-
სთანა წვალებისგან თავისუფალია. ტყეში და მინდორში
სპილოები იკეცებიან ხის ქორთა ფოთლით, რომელსაც თავის
გრძელი ცხვირით გლგჯენ. მეტადრე საშინლათ უყვართ
ახალი ამოსული ტბილი მცენარე. მს სპილოს თვისება
ინდოეთის და სხვა ქვეყნების მთავრებლებს დიდ ზარალს
აძლევს. ამ ქვეყნებში შაქრის ტყეებს ამ ბევრს სთესვენ. შინ-
დერები ამ გვარის ნათესით სულ უწყობენ. სპილოები ბევრჯელ
შეესვვიან და ჭინახულს სულ აოხრებენ ხოლმე. ჭამითაც ხომ
ბევრს აფუჭებენ; მაგრამ თავისი ბტყელი ფეხებით უფრო
კიდევ მომეტებულს ახდენენ. ბრინჯის და სიმინდის ჯეჯი-
ლიც სპილოებისთვის მოსაწონარი საკმელია. შარდა ამისა
სპილოს ძრიელ უყვარს ხახვის მსგავსი თავიანი მცენარეები,
რომლებსაც მიწაში სუნით ეძებს და თავისი ეშვებით ხერხი-
ანათა სთხრის. საცა ამისთანა მცენარეს შეამჩნევს, იმ ალაგს
თავისი ეშვებით ასე გადასთხრის, რომ კაცს ნახნავი ეგონება.

თუმცა სპილოს საშინელი ღონე და ძალა აქვს, მაგრამ
ის არის ძრიელ მშვიდი და უწყინარი პირუტყვი. არა სულ-
დგმულს არას დაუშავენს სპილო, თუ თვითონ პირუტყვმა

არ უმტრო და არ გააჯაერა. რა საკვირველია, არა ცხოველს არ შეუძლია მტრულად დატყეს სპილოების გროვას. თუ ერთმა სპილომ დაინახა, რომ ერთათ შეგროვილი ნადირები აპრობენ იმაზედ დაცემას, მაშინვე დაიყვირებს და შეატყობინებს თავის ამხანაგებს. სპილოები ერთათ მოგროვდებიან, ნადირები დაცემას ვეღარ გაბედვენ და დაიფანტებიან. მართო მყოფს სპილოსაც თვითონ ლომიც ძნელათ შეებმოს. მამალი სპილო თავის მტერს ეშვებით დაუხვდება, ქვივიდგან ამოჰკრავს, ჰაერში შეაგდებს, მერე, როცა ძირს დაეცემა, თავისი ღონიერი ფეხებით შესდგება და სულ დაჰყლეთავს. ღედალ სპილოს კი ეშვები არ აქვს. ეს სხვა ხერხით იბძვის: საკვირველათ ოსტატურათ გვერდით წააწეება თავის მტერს, ქვეშ მოიტანს და გაჰყლეთავს. თუმცა სპილოს ბევრი კაცის გაფუჭება შეუძლია, მაგრამ ის იმას არა ფერს აენებს. სპილო მთელს სახლს მოგლეჯავს, ისეთი ღონიერია; მაგრამ ის კაცზედ მტრობას არას დროს არ განიზრახავს, და თავისთვინ მშვიდობიანათ ცხოვრობს. მხოლოთ მაშინკი კაცი უნდა ერიდოს, როცა სპილო მთვრალია. სპილოს კაცზედ ნაკლებათ არ უყვარს ქვიფი და ტენი შეხურება. ბარეული სპილო მათრობელას თვითონ უყვარს; ამ მათრობელას ის კი არა სუამს, სკამს. მათრობელას უკეთებს ერთ გვარი ხის ნაყოფისაგან, რომელსაც თავისი გრძლი ღინგით კრეფავს და მერე მხეზედ გაშლის ხოლმე, მინამ ჩახურდებოდეს და ადულდებოდეს. ეს ნაყოფი გავს ჩვენ ქლიავს და ძრიელ მჟაფეა. პაცს ათი ეს ნაყოფი დაათრობს; სპილო კი კოდობით ჩანთქვამს ხოლმე, და მაშინ ისე გაცეცხლდება, რომ არა სულდგმულს არ შეუძლიან ახლო მიეკაროს. როცა კი ფხიზელია, სპილო მეტად მშვიდობიანათ სცხოვრებს. მაგრამ თვითონ კაცი კი სპილოს არ ასვენებს. თუ მონადირეები სპილოებმა ახლო შეამჩნიეს, ეცდებიან თავი მოარიდონ. მაგრამ თუ მონადირეებმა თავი არ დაანებეს და მეტადრე თუ დასჭრეს ერთი ამათგანი, მაშინ უყურე როგორ გაცეცხლდებიან; გაფოთე-

ხულის გაქვანებიან თავის მტრისკენ და გზაზედ ღიღს ხეებს
ხატარა წველებისავეთ ამხერყვენ. შაი იმ მონადირეს, რომე-
ლმაც გაქცევით თავს ვერ უშველა. შამოეწევა სპილო, ლუკმა-
ლუკმა დაგლეჯავს, მერმე ზედ ფეხებით შესდგება და დაჭყლე-
ტავს. ასე ამოიყრის ხოლმე თავის მტრის ჯაერსა. მაგრამ
მონადირეებიც ბევრს სპილოებს ხოცვენ. სპილო სასიკვდი-
ლოთ მხოლოდ მაშინ დაიჭრება, როცა ან ტყეში მოაჩუ-
ყენ ტყვიას, ან ფერდში. სხვა ადგილებში რამდენიც უნდა
ხყვია მოხედეს, ის ყურსაც არ გაიბერტყავს. მონადირეებმა
ეს იციან და ტყვიას მაშინვე ამ ადგილებში დაუმიხნავენ
ხოლმე. ნადირობის დროს სასიამოვნო საყურებელია, დედები
ხოგორ თავგადადებით იფარვენ თავის შვილებს: როცა დედა
კარბის, შვილიც მუცელ ქვეშ ფეხების შუა მისდევს და ცხვირი
ცხვირზედ უჭიდია. ღედას პატარა სპილო ისე მიჰყავს, რო-
ცა კარც ქალს თავისი შვილი ხელით მიჰყავს ხოლმე. სასიკვდი-
ლოთ დაჭრილი სპილო ახლო ხეს მიეყუდება, თვალებიდგან
ცხარე ცრემლი სცივია, ბოლოს წაიქცევა და სულს დაღვეს.
იუ მტერმა დღე არ მოუწრაფა, სპილო ორას წლამდის
სიცოცხლებს. მაშინაურებული სპილოები კი ამის ნახეარსაც
ლიეს სძლებენ. ასე უმოკლებს სიცოცხლეს ყველა ცხო-
ველს თავისუფლების დაკარგვა

მანა, დედა, შინაური სპილოებიც არიან? ჰკითხა ლიზი-
კომ.

ჰო, შვილო, გარეულ სპილოს დაიჭერენ ხოლმე და
შინაურებენ.

— რათ უნდათ შინ სპილო? რაში უნდა გამოვიყინო?

სპილო რადგანაც ძრიელი პირუტყვი, ამიტომ მათაში
ჩალიან გამოსაყენებელია. მათი სპილო იმდენს აიკიდებს, რამ-
ხენსაც ხუთი აქლემი. რომელი საპალნეც ათ ცხენს წასაღებათ
უძნელდება, ერთს სპილოს ადვილათ მიაქვს. ამასთან სია-
ჩულიც ჩქარი იცის; უბრალო ცხენი ვერ მიჰყვება სიარულში,
იუ არ კაი მატარებელი. ამისთვის სპილო ძვირათ ფასობს.

როცა გაჩეულ სპილოს დაიჭერენ, — ეშვებს დაახკხვენ ხოლმე. ეს ეშვები კარ ფასათ ისყიდება, ამათი ძელიდგან საეარცხლებს და სხვა ნიეთებს აკეთებენ.

ჩვენ რომ თეთრი და წმინდა კბილა საეარცხელი გვაქვს, ის იქნება სპილოს ეშვებიდგან იყოს გაკეთებული? ჰკითხა ლიზიკომ დედას.

პო, შეილო, ის საეარცხელი სპილოს ძელისაა.

მე მოკვირს, დედა, მაგოდენა და აკრე ღონიერი პირუტყვია სპილო და კაცს როგორ ეჭერინება, — ამოდენა მდეცხროველს როგორ იმაგრებს კაცი?

სპილოს, შეილო, მონადირეები სხვა და სხვა ღონისძიებით იჭერენ. უფრო უბრალო ღონისძიება მდგომარეობს შემდგომში: გაიგებენ თუ არა სპილოს სადგომ ადგილს, მონადირეები სპილოს პირქარზედ ახლოვდებიან და თან ხარის ტყავის თოკები მიაქვთ. თოკს ბოლოზედ ყულფი აქვს შობმული. როცა იღროვებენ, ერთი მონადირე სპილოს ჩუმათ მიეპარება და ფეხში ყულფს ამოსდებს; მეორე მონადირე ამ დროს ერთს დიდ ხეზედ მეორე თოკის წვერს მოაბამს. სპილო ტრიალს დაიწყებს და თოკი გარეშემო შემოეხვევა. მერე რამდენმე დღეს ამავე მდგომარეობაში ნშიერს დაყინებენ, საჭმელს არ მისცემენ; სპილო მოიქანცება, ღონე გამოელტევა და დამშიიდდება. მერე შინაურს სპილოს მოიყვანებენ და ახალს დაჭერილს სპილოს შინ გააყოლებენ. ექვსი თვის შემდეგ სპილო სრულიად გაშინაურდება.

მტყობა, სპილო ძრეელ უგუნური და უტეინო პირუტყვი; მაგოდენა მდევი პირუტყვი ერთი-ბეწვა კაცის როგორ გახდება ხოლმე, სთქვა ლიზიკომ.

არა, შეილო, სპილო ძრეელ ჰკვიანი ოთხფეხია; გონებით ყოველ ცხოველს სჯობია, მაიმუნის და ძაღლის ვარდა. მაგრამ კაცის ჰკუასთან რა გაუა! კაცი ბევრს პირუტყვებზედ გაშორებით პატარა და უღონოა, მაგრამ ის თავის დიდი ჰკუით ყველას სძლევს და იმორჩილებს. სპილოები ბევრს

შემთხვევაში ძრიელ დიდ ჭკუას იჩენენ. აი მაგალითათ, როცა ცაში ქუხილი ასტყდება, სპილო ტყეს თავს ანებებს და ხეს ახლო აღარ ეკარება. ეს საკურელათ ჭკვიანური მოქმედებაა.

შე რათა? წამოიძახა ლიზამ. აქ ჭკვიანური რა არის?

ჭუხილის დროს, შეილო, როცა მუხი ჩამოვარდება, ხეებს ხშირად დაეცემა ზოლმე. სპილოს ეტყობა, ეს ამბავი შეუწონია და ამიტომ ტყეს ქუხილის დროს ერიდება, რომ მენი არ დაეცეს. მოდი და ჭკვიან პირუტყვს ნუ დაუძახებ! ბევრ კაცია, რომ ქუხილის დროს გაექანება და ხეს შეეფარება ზოლმე. სპილო რაკი გაშინაურდება, კიდევ უფრო ჭკვიანდება. შინაური და გარეული სპილო გონებით შორი შორს არიან.

მაშინაურებულ სპილოს გონებას რა უმატებს? ჭკითხა ლიზიკომ დედასა.

— ქაცთან სიახლოვე, შეილო. ქაცი, როგორც იცი, ყველა ცხოველზედ გონიერი და ჭკვიანია. შინაური სპილო კაცის ყველა მოქმედებას ყურს უგდებს, იმის ცხოვრებას თვალს ადევნებს, თვითონაც ბაძავს და ამიტომ ჭკვიანდება. ადამიანიც, შეილო, ასეა. თუ პატარა ბავშვი გონიერს ადამიანებში გაიზარდა, იმათგან ჭკუას ისწავლის და გონიერი კაცი გამოვა. თუ კი ყმაწვილი სულელს და ცუდ საზოგადოებაში ცხოვრობს, თვითონაც უჭკუოდ და გაუზღელი კაცი გამოვა. სპილოც ასეა. როცა ტყეებში და მინდვრებში იმყოფება, მარტოკა თავისთანა უგუნურს პირუტყვებს ხედავს; იმათთან ის რას ისწავლის. როცა კაცთან სცხოვრობს, მაშინ იმისგან ჭკუას სწავლობს. შინაურ სპილოების გონებაზედ ბევრი მოთხრობა გამიგონია.

მეთაყვა, დედა, მეც გამაგონე ეგ მოთხრობაები.

ქარგი, შეილო; დამიგდე ყური: მრთხელ, შეილო, ერთი კაცი ტყეში მგზავრობდა. მრთხაშათ იმისი ცხენი შედგა და ყურები აცქვიტა, ცხენი ხომ საკვირელათ ყურჩახვილია. დაბურულ ტყიდგან იმას შემოესმა ერთი რალაც მძიმე ხმა-

როცა გარეულ სპილოს დაიჭერენ, - ეშვებს დაახრებენ ხოლმე. ეს ეშვები კაი ფასათ ისყიდება, ამათი ძელიდგან საეარცხობეს და სხვა ნივთებს აკეთებენ.

ჩვენ რომ თეთრი და წმინდა კბილა საეარცხელი გვაქეს, ის იქნება სპილოს ეშვებიდგან იყოს გაკეთებული? ჰკითხა ლიზიკომ დედას.

ჰო, შეილო, ის საეარცხელი სპილოს ძელისაა.

მე მიკვირს, დედა, მაგოდენა და აკრე ღონიერი პირუტყვია სპილო და კაცს როგორ ეჭერინება, — ამოდენა მდეცხოველს როგორ იმაგრებს კაცი?

სპილოს, შეილო, მონადირეები სხვა და სხვა ღონისძიებით იჭერენ. შურო უბრალო ღონისძიება მდგომარეობს. შემდგომში: გაიგებენ თუ არა სპილოს სადგომ ადგილს, მონადირეები სპილოს პირქარზედ ახლოვდებიან და თან ხარის ტყავის თოკები მიაქვთ. თოკს ბოლოზედ ყულფი აქვს მობმული. როცა იდროვებენ, ერთი მონადირე სპილოს ჩუმათ მიეპარება და ფეხში ყულფს ამოსდებს; მეორე მონადირე ამ დროს ერთს დიდ ხეზედ მეორე თოკის წვერს მოაბამს. სპილო ტრიალს დაიწყებს და თოკი გარეშემო შემოეხვევა, მერე რამდენმე დღეს ამავე მდგომარეობაში ნშიერს დააყინებენ, საქმელს არ მისცემენ; სპილო მოიქანცება, ღონე გამოელევა და დამშვიდდება. მერე შინაურს სპილოს მოიყვანებენ და ახალს დაჭერილს სპილოს შინ გააყოლებენ. ექვსი თვის შემდეგ სპილო სრულიად გაშინაურდება.

მტყობა, სპილო ძრიელ უგუნური და უტეინო პირუტყვი ; მაგოდენა მდევი პირუტყვი ერთი-ბეწვა კაცის  როგორ გახდება ხოლმე, სთქვა ლიზიკომ.

არა, ძვილო, სპილო ძრიელ ჰკვიანი ოთხფეხია; გონებით ყოველ ცხოველს სჯობია, მაიმუნის და ძაღლის ვარდა. მაგრამ კაცის ჰკუასთან რა გაუა! კაცი ბევრს პირუტყვებზედ გაშორებით პატარა და უღონოა, მაგრამ ის თავის დიდი ჰკუით ყველას სძლევს და იმორჩილებს. სპილოები ბევრს

შემთხვევაში ძრიელ დიდ ჭკუას იჩენენ. აი მაგალითათ, როცა ცაში ქუხილი ასტყდება, სპილო ტყეს თავს ანებებს და ხეს ახლო აღარ ეკარება. ეს საკურვლათ ჭკვიანური მოქმედებაა.

მე რათა? წამოიძახა ლიზამ. აქ ჭკვიანური რა არის?

ჭუხილის დროს, შეილო, როცა მცხი ჩამოვარდება, ხეებს ხშირად დაეცემა ხოლმე. სპილოს ეტყობა, ეს ამბავი შეუნიშნია და ამიტომ ტყეს ქუხილის დროს ერიდება, რომ მცხი არ დაეცეს. მოდი და ჭკვიან პირუტყვს ნუ დაუძახებ! ბევრ კაცია, რომ ქუხილის დროს გაეჭანება და ხეს შეეფარება ხოლმე. სპილო რაკი გაშინაურდება, კიდევ უფრო ჭკვიანდება. შინაური და გარეული სპილო გონებით შორი შორს არიან.

ბაშინაურებულ სპილოს გონებას რა უმატებს? ჭკითხა ლიზიკომ დედასა.

— ძაცთან სიახლოვე, შეილო. ძაცი, როგორც იცი, ყველა ცხოველზედ გონიერი და ჭკვიანია. შინაური სპილო კაცის ყველა მოქმედებას ყურს უგდებს, იმის ცხოვრებას თვალს ადევნებს, თვითონაც ბაძავს და ამიტომ ჭკვიანდება. ადამიანიც, შეილო, ასეა. თუ პატარა ბავშვი გონიერს ადამიანებში გაიზარდა, იმათგან ჭკუას ისწავლის და გონიერი კაცი გამოვა. თუ კი ყმაწვილი სულელს და ცუდ საზოგადოებაში ცხოვრობს, თვითონაც უჭკუოდ და გაუზღელი კაცი გამოვა. სპილოც ასეა. როცა ტყეებში და მინდვრებში იმყოფება, მარტოკა თავისთანა უგუნურს პირუტყვეებს ხედავს; იმათთან ის რას ისწავლის. როცა კაცთან სცხოვრობს, მაშინ იმისგან ჭკუას სწავლობს. შინაურ სპილოების გონებაზედ ბევრი მოთხრობა გამიგონია.

ბეთაყვა, დედა, მეც გამაგონე ეგ მოთხრობაები.

ძარგი, შეილო; დამიგდე ყური: მართხელ, შეილო, ერთი კაცი ტყეში მგზავრობდა. მართბაშათ იმისი ცხენი შედგა და ყურები აცქვიტა, ცხენი ხომ საკვირვლათ ყურმანვილია. დაბურულ ტყიდგან იმას შემოესმა ერთი რაღაც მძიმე ხმა-

ურობა, როდესაც იმ ალაგს მგზავრი მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რა ხმაურობაც იყო ესა. ეს იყო შინაური სპილოს ხმა, რომელიც მუშაობაში იყო. გართული და იმისი პატრონი კი არსად სჩანდა. სპილო ცდილობდა გაეთრია ერთი მძიმე ხე, მაგრამ უძნელდებოდა, რადგანაც ბილიკი ვიწრო იყო და ხე შიგ იჭედებოდა; ამისთვის მეტათ წვალობდა და ღმუროდა. როდესაც სპილომ მგზავრი დაინახა, თავი აიღო და ერთს მინუტს დააქერდა მგზავრს და იმის ცხენს; ცხენი ამ დროს შეკრთა და შედგა. სპილომ რომ ეს შენიშნა, ტივის ხეს თავი დაანება, უკან დაიწია და გზიდგან ჩამოეცალა. მგზავრის ცხენს მაინც ეშინოდა და ადგილიდგან ფეხი არ მოიცივალა. სპილო მგზავრს უფრო გაშორდა და ტკბილი ხმით დაიხმაურა, თითქო უნდა ცხენი გაამხნეოსო. ცხენმა მაინც წინ წასვლა ვერ გაბედა. სპილოს და ცხენს მგზავრი დიდის ხალისით უცქეროდა, ელოდა, რით გათავდებოდა იმათი ერთმანეთის შეხვედრა და იმათ საქმეში სულ არ ერეოდა. სპილო თანდათან უკან უკან წავიდა და ბოლოს ტყეში სულ დაიმალა. ამის შემდეგ ცხენი თავის ალაგიდგან დაიძრა და ბილიკაზვდ გასწია. იმავე წამს ტყიდგან სპილო ისევ გამოვიდა, ტივის ხესთან მივიდა და ისევ მუშაობას შეუდგა.

პრთხელ ჯარის კაცებს იმის იარაღი პოვოსკებით მიჰქონდათ. ისინი უნდა გასულიყვნენ თხელ მდინარეს, რომელიც ოღრზოღრზო იყო. წყალში გასვლის დროს ერთმა პოვოზკამ გვერდზე გადაიწია და ამ დროს აფიცერი გადავარდა, რომელიც პოვოზკაში ყუთზედ იჯდა. მუ ერთი თვალის დახამხამება დასცლოდა, უკანა თვალი გადაივიდა და აფიცერს გაქყლეტდა. მაგრამ სპილომ, რომელიც ამ პოვოზკის უკან მოდიოდა, თვალი შეასწრო ამ უბედურ შემთხვევას, ფიცხლავ თავისი დინგით პოვოზკის თვალი მალლა ასწია და ისე დაიჭირა, მინამ პოვოზკა აფიცერს გადასკილდებოდა. ასე მოარჩინა სპილომ კაცი უსათუო სიკუდილიდგან, თუმცა იმისათვის ეს არა ვის უბძანებია.—

ერთხელ კიდევ შინაური სპილო ვიწრო ქუჩაში მიდი-
ოდა; წინ დაუხვდა პატარა ყმაწვილი, რომელიც არ ჩამოღ-
ცალა. სპილომ ზვეში თავის გძელი ღინგით აიყვანა, ნაპირს
გადასვა და მერმე ისევ გაიარა.-

სპილო თუმცა მშვიდი და უვნებელი პირუტყვია, მაგრამ
თუ კაცმა დაუშავა რამე, გულში ჩაიტანს და სამაგიეროს
გაღუბდის. ერთმა სპილოს წინამძღოლმა ხუმრობის გუ-
ლისათვის კაკალი იმის თავზე დასდო და ზედ გატეხა.
მეორე დღეს სპილო იმავე კაცს ქუჩაში მიჰყავდა. ბაყლის
დუქნის წინ სპილომ კაკლის გროვა დაინახა, თავის ღინგით
წასწვდა, ერთი კაკალი აიღო, შიგ შუბლში მიარტყა და თავის
წინამძღოლს იქვე სული გაანთხევინა.

მე ზევით, შვილო, გითხარი, რომ სპილოს შაქარი
და შაქრიანი საჭმელი ძრიელ უყვარს მეთქი. ერთმა ყმაწ-
ვილმა კაცმა დედალი სპილო სასაცილოთ აიგდო. ის შაქრიან
საჭმელს მიუშვერდა ხოლმე და, როცა სპილო გამოსართმე-
ვით წასწვდებოდა, უკანვე წაიღებდა. სპილოს ამ გვარი ქცე-
ვა ძრიელ სწყინდა. სპილოს პატრონმა ყმაწვილს უთხრა, რომ
მაგისთანა ხუმრობა სპილოსთან საშიშარიაო. მაგრამ ყმაწვი-
ლმა თავისი არ დაიშალა. ის ისევ სპილოს აგულისებდა და
აჯაერებდა, და ბოლოს საჭმელი სხვა სპილოს მისცა. მაშინ
სპილო მოთმინებიდგან გამოვიდა, და თუმცა პატრონი აქვე
ჰყვანდა, მაგრამ ყმაწვილი კაცი თავის ღინგით წააქცია, ლო-
ყა გაუხეთქა და ტანისამოსი ლუკმა-ლუკმა უქცია. როცა
პატრონი მიეშველა, თავისი გამჯაერებელი მხოლოდ მაშინ
გაუშვა.

სიკეთის დახსომებაც და მადლობის გრძნობა სპილოსთინ
შეუმჩნევიათ. მშში სპილოს ტყვია მოხვდა და დაიჭრა. ღოკ-
ტორმა ტყვიის გამოღებას ხელი მიჰყო; სპილო საშინელ
წვალებაში იყო, მაგრამ საკვირველი მოთმინება გამოიჩინა.
მტყობოდა თავის გონებით მიხვდა, რომ ეს წვალება ჩემ-
თვის სასარგებლოაო. ის სწორეთ კაცური გონების ნიშანია.

მორჩენის შემდეგ სპილო სამუდამოთ მადლობელი დარჩა ტყეის გამამღებ დოქტორს.

შველა ცხოველზედ სპილო თავმამწონეა და ყველა თერი მალე ეწყინება. მრთი შინაური სპილო ოტკის სმას დააჩეია პატრონმა, სპილო ამ პატიეს ძვირათ აფასებდა. შოველ სალამოძს ჯერ სპალოს დააღვეინებდა ხოლმე ერთს სტაქანს ოტკას, შერმე თვითონ დაღვედა. ამ ჩვეულებას განუწყვეტლივ აღასრულებდა რამდენსამე წელიწადს. მრთხელ პატრონმა წესის გამოცდა მოინდომა და პირველი სტაქანი თვითონ დაღლია. სპილოს ეს ძრეელ ეწყინა, თავის პატრონს სტაქანი აღარ გამოართვა და მასუკან ოტკის სმაზედ სრულიად უარი სთქვა. —

წაპი.

შიუცილებლათ ჩვენს ქვეყანაში ყველაზედ უფრო შესანიშნავი ცხოველი არის წავი, თუმცა კი იმისი მნახველი იშვიათია. ძალიან ცოტაა იმისთანა კაცი, რომ მთა ტყე დაველოს და ამასთან მთების ჩქარ მდინარეებისთვის თვალ-ყუჩი ეღვენოს. წავი კი არის მცხოვრები ამ გვარის მდინარეებისა და ყოველს იმერელზედ უფრო უყვარს ახალი თევზი, მეტადრე კალმახი. მეტათ შემაქცევარი სანახავია, როდესაც წავი ანკარა მდინარის სიღრმეში თევზაობს, ხან წინ გარბის, ხან უკან. იქ და აქ წყლიდამ ცხვირის წვერს ამოჰყოფს, რომ სული მოიბრუნოს და შემდეგ ისევ გაექანება მორევში, რომ ხელ-ახლა ამღვრიოს ჩქარის კალმახების სიმყუდროვე წყალში. წავს კაცი ძალიან ძნელათ მოავლებს თვალს; იმისი იქ ყოფნა მხოლოდ იმითი შეინიშნება, რომ წყლის სიღრმიდამ ამოდის შეუწყვეტელი ბაწარი წვრილ-წვრილის წყლის ბუშტებისა და ისარსავით წამის-წამს წყალს ამოსჭრის ხოლმე თვით წავის ტუჩი, რომ ჰაერი შეისუნთქოს და შემდეგ ისევ ჩაიყურჭუმელაოს. წავს ასეთი ბასრი და მაგარი კბილები აქვს, რომ რაც უნდა სრიალა და სწრაფი თევზი

იყევს, იმის კბილებს მაინც ვერ გაუსხლტება. ხან-და-ხან რომ წაფი წყლიდამ არ ამოიხედავდეს სულის მოსაბრუნებლათ, იმას ვერც ერთი თევზი ვერ მოუტრჩებოდა დაჟჭერავი. წაფისთვის სულ ერთია, გინდ ზევით უცურავნია, გინდა სიღრმეში, უნდა წინა-ტანით წავა, უნდა უკანა ტანით; ერთის სიტყვით წყალში ყოველ ნაირათ მოძრაობს. როცა წაფი წყალშია, ის მაშინ მუდამ მოძრაობს, ყოველ გვარად ბრუნავს და კაცს ეგონება განზრახ თამაშობსო. ხან-და-ხან წაფი ცურავს ცალგვერდზედ, მერე დაიწყებს ბრუნვას, მინამ ზურგით არ დაწვება, შემდეგ გაშლის ტანს, დაიწყობს გულზედ და მუცელზედ ფეხებს და მხოლოდ კუდსა და თავს ანძრევს ხან იქით, ხან აქეთ. ამ შემთხვევაში იმის გძელი ტანი და კუდი გველს საკვირველად მიემგზავსება. რაც უნდა დიდ ხანს დარჩეს წყალში, წაფის ბეწვი მაინც არ დასველდება, და როგორც ბევრი ამბობს, ღამ-ღამე კიდევ ანათებს. ზამთარში, როდესაც მდინარეებს გაჰყინავს, წაფი მოსძებნის ხოლმე იმ გვარ ალაგს, სადაც ყინულის ნახვრეტებია, ჩასძვრება შიგ და ცურავს. ამ ცურვაში ის პოულობს ხოლმე დიდის მოხერხებით ახალს და ახალს ყინულის ნატეხებს, ამოყოფს ხოლმე შიგ ტუჩსა და სუნთქავს. ხშირათ შეხვდება ხოლმე კაცი ზამთარში წაფს, წელი მალლა შეუხრია გაჯავრებული კატასავით, თავი ძირს დაუღია, მოკუნტულა და ამ რიგათ გაყინულს მდინარეზედ, ან თოვლზედ თავ-დაღმა მისრიალებს. წაფი არის გრძელი ტანისა, მოკლე ფეხებზედ დგას და თითებშუა ფართო ტყავი აქვს გამჯდარი ბატის ფეხებსავით, ყურები მოკლე და განიერი. მსენი ძლიეს გამოჩანან გრძელსა და რბილს ბეწვში. თავი აქვს მსხვილი, ბრტყელი, ტუჩი მოკლე და ფართო. წაფის ბეწვი საკვირველი რბილი და თბილია; იმას უფრო შავი ფერი დასცემს. ამ შავს ფერში ხშირად თეთრ-თეთრი გძელი ბანლებია ამოსული და ისინი თვით ტყავსაც ვერცხლი სფერს გადაჰკრავენ. ტუჩებზედ წაფს აქვს თეთრი ფორაჯები. წაფის შავი ბჭკიალა თვალები

ამტკიცებენ იმის განცხობველებულს მოძრაობას. ქაცი წავის ხმას ძნელათ გაიგონებს, თუ შინ არა ჰყავს დატუსალებული. როდესაც აღელვებულია, წავი უსტვენს ხმა მალლა და სასიამოვნოთ. იმ მდინარის პირზედ, სადაც წავს დაუბუნია, ამას რამდენიმე სორო აქვს გათხრილი. თუ რომ თევზი მდინარეში ბევრია, მაშინ წავი ერთ სოროსაც იკმარებს. წავი ისეთი ფხიზელია, რომ მეტი არ შეიძლება. თუ ხმელეთათ არის გამოსული, კაცი ას ნაბიჯზედაც ვერ მიეკარება. თვალი და ყური ძრიელ უჭრის. უნოსვა კარგათა აქვს გახსნილი. ღლე უფრო ხშირად წავი თავის სოროში იმყოფება, ღამე კი ყოველთვის წყალში ნადირობს. თუ წყალმა მეტათ მოიმატა და სორო წყლით ამოუმსო, მაშინ ის ხეზედ შეიშალება.

თევზს გარდა წავი იჭერს კიბოს, ცხრაფეხას და წყლის ლოკოკინებს; მაგრამ ბატი და იხვი თუ მოხვდა იმ წყალში, სადაც წავი იმყოფება, ის იმათი ხორციტაც გაიტკბარუნებს ხოლმე პირსა. სასიამოვნო სანახავია, როცა წავი წყალში ნადირობს: ის ხან ამოეფარება ქვის ძირს და უყარაულებს თევზს, რომელიც ქვის ქვეშ შეწოლას აპირებს; ხან გამოეკიდება მოზდილს ნაფოტა-თევზს და საკმაოა იმის დასაჭერათ თუ ერთი ბასრი კბილი იმათ საღმე მოჰკრა. ზოგჯერ წავი კუდს დაჰკრავს ხოლმე წყალზედ, რომ თევზები შეაშინოს; შემდეგ დაეცემა ქორივით შეშინებულს თევზს, რომელიც თავის შესაფარებლათ ქვის ქვეშ შეძვრება ხოლმე. წავის პატარა კლანჭები მეტად მჭრელია.

წავი ბევრ კაცს ჰყოლია გაშინაურებული და ბევრს გასართობს ამბავსაც მოგვითხრობენ იმის ჰკუაზედ და ნადირობაზედ. მაგრამ იმ მოთხრობას მაინც არა შეედრება რა, რომელსაც გვიამბობს ერთი პოლშელი აზნაური თავის გაშინაურებულ წავზედ, რომელიც იმას გაუწრეთავს თევზის ნადირობაში. აი ის რას ამბობს: „1686 წელს ჩვენმა მეფემ კაცი გამოგზავნა, წავი მთხოვა და მაგიერად დიდს წყალობას

შეპირდა. რა მექნა, უნდა გამოვთხოვებოდი ჩემ საყვარელსა: სოტა დავისვენეთ და მერმე გავედით მინდორზედ, რადგანაც ჩემი წავი იმ დროს სახლში არ იყო. ის მაშინ ნადირობდა მახლობელ წყლის საგუბარში. მე დაუძახე „ეურმ“ და იმან იმავე წამს ჩალიდგან თავი ამოყო, მომეარდა და დაიწყო ჩემ წინ ხტომა და თამაში. მეფის კაცს გაუკვირდა და სთქვა: „ოჰ, რა გაცხარდება მეფეს ამისთანა ცხოველის შოენა.—“შენ მაგას მარტო ამისთვის აქებ, მაშ მაგის სხვა თვისებები რომ ნახო, სულ გაღირვეი, ვუთხარი მე. ჩვენ წავედით იქვე წყლის საგუბარში; შევდექით ვეზდ და დაუყვირე: „ეურმ“, სტუმრებისათვის თევზი მინდა, აბა წყალში ჩადი და თევზი დაიჭირე. წავი მარღათ შახტა და ამოგგვარა ნაფოტა-თევზი. მეორეთ ამოიყვანა ერთი პატარა ქარი ყლაპია თევზი, მესამეთ უფრო მოზდილი, რომელსაც კისერში ჰქონდა ნაკბენი. მეფის კაცმა თავში ხელი შემოიკრა და დაიყვირა: „ღმერთო, ამას რას ეხედავ!“ ბინდა კიდევე ვეტყვი, კიდევე დამიჭერს, ერთი სიტყვით რამდენსაც ვეტყვი იმდენსა. მეფის კაცს მეტად უხაროდა, რადგანაც ფიქრობდა, რომ ამ ამბებით ბევრს ასიამოვნებდა თავის მეფეს. მე ვაჩვენე იმას ამ ცხოველის ყველა თვისებანი და შემდეგ კაროლთან გავატანე.”

“ წავი იწვა ხოლმე ჩემთან და ასეთი ფაქიზი იყო, რომ არაოდეს არც ჩემი ქვეშაგები და არც ოთახი არ გაუსვრია. ის იყო ჩემი მცველი. ღამე ჩემ ლოგინთან მოსვლა არავის შეეძლო,-ის გააბამდა ასეთ ყვირილსა, რომ, რაც უნდა ღრმად მიძინებოდა, მაინც გამომალევიძებდა. ხან-და-ხან როცა დავითრობოდი, წავი მანძრედა და მივლიდა გარეშემო, მინამ არ გამომათხიზლებდა. ღლე საღმე კუთხეში ეძინა ისე მაგრათ, რომ ხელითაც გეტარებინა, თვალს მაინც არ გამოახელდა. თუ ხელს ვინმე მომკიდებდა და დავიძახებდი: „შურმ, მიჭერენ, მომეხმარე“, ის იმავე წამს გამოექანებოდა და ჩემ დამჭერს ხან ტანსაცმელს სწევდა და ხან ფეხებში

კბენდა. იმას უყვარდა ერთი ბანჯგელიანი ოთახის ძაღლი და არაოდეს არა შორდებოდა. ამ ძაღლისგან ჩემმა წავმა ბევრი რამეები ისწავლა. სხვა ძაღლები კი არ უყვარდა. მრთხელ ერთი აზნაური მესტუმრა. — ღაიქი ეს ჩემი მწვეარი — უთხრა იმან თავის შეიღს, — მე მეშინიან წავს არ ეცეს! „ნუ გეშინიან, ჩემი პატარა მხეცი მაგისთანა შეურაცხებას არ მოითმენს, ვუთხარი მე“. — შენ ხუმრობ და ჩემი მწვეარი მგელს ეჭიდება, მელას კი სულის მობრუნებას არ დააცლის, ისე უცბათ გაგუდავს. წავი ამ დროს დიდ ხანს მეთამაშებოდა და როცა უცხო ძაღლი დაინახა, ჩახტა ძირს, აუარ — ჩამოუარა უცხო მწვეარს, უკანა ფეხებში დასუნა და განშორდა. ჩვენ ისევ რაღაც ლაპარაკს გავერთვით. ამ დროს წავი ძაღლს უკანიდამ მიეპარა და ასეთი ღონიერად შამოჰკრა თავისი თათი ყბაში, რომ მწვეარი უცბათ კარებისკენ გადახტა და იქიდან ბუხრის თავზედ შევარდა. წავი უკან გამოეკიდა და იმასაც ბუხრის თავზედ ასვლა უნდოდა. შეშინებულმა ძაღლმა რომ მეტი ველარა მოახერხარა, ჩამოხტა ჩვენ სუფრაზედ და ორი ბროლის სტაქანი ღვინით სავსე გაგვიტეხა. ის კარში გაფაგდეთ და იმის შემდეგ სახლში აღარ შამოგვეკარებია, თუმცა იმის პატრონი შუადღემდის ჩემთან დარჩა.

„თუ კარში რომელიმე ძაღლი მიეკარებოდა წავსა და დაუწყებდა დასუნვას, ის იმისთანა უსიამოვნოს ხმით გააბამდა ყვირილს, რომ ძაღლი იმავე წამს გაშორდებოდა. ეს ცხოველი ბევრს კარგს საქმეებს მიკეთებდა. როცა წავიდოდრი სადმე მარხვაში და, თუ ჩემი წავი თან მყვანდა, მივიდოდრი სადმე მდინარის პირზედ, ვეტყოდი, „მურმ, ჩადი თევზი დამიჭირე, ის მაშინვე წყალში ჩავარდებოდა და მოკლეს. დროს იმდენს დაიჭერდა, რომ მეც მეყოფოდა და ჩემ მოსამსახურეებსაც. როცა მომაცილეს, საწყალი საშინლათ სწუხდა, იგლიჯებოდა გალიაში და საცოდავთ ყვიროდა.

პოლშის მეფეს დიდი ხანი არ ჰყოლია ეს წავი. როგორც მიგვარეს ის იმავე საღამოს გალიიდან გაიქცა და ერთმა

მონადირემ მოკლა, რომელმაც არ იცოდა, თუ ის შინაური იყო. იმან ამ წაეის ტყავი ერთ ურიას მიჰყიდა. უნდა ესთქვათ, რომ წაეის ტყავი ძვირათა ფასობს. იმის თბილს და საკვირვლათ რბილს ბეწვსა შინლის საყელოზედ მოსაელებად ხმარობენ და ეძახიან ბაბორსა.

მაიმუნი.

მაიმუნი აგებულობით და გონებით ადამიანს ყველა პირუტყვზედ უფრო ძრიელ წააგავს. ცხელი ქვეყნების მცხოვრებლებს, სადაც მაიმუნები სცხოვრობენ, ჰგონიათ, მაიმუნს ლაპარაკის ნიჭიც აქვსო, თუ მოინდომა კიდევ ილაპარაკებს, მაგრამ ამ ნიჭს მალამს და ჩუმათ არისო, რომ ადამიანმა მუშაობა არ დამაწყებინოსო. რა საკვირველია, ეს ტყუილია. მაიმუნს რომ ლაპარაკი შეეძლოს, ხომ კიდევ ილაპარაკებდა. მაინც მაიმუნი ქვეყანაზედ პირველი ცხოველი იქნებოდა, კაცი რომ გაჩენილი არ ყოფილიყო. ბასაკვირველია, რომ პატარაობისას მაიმუნი დიდს ნიჭიერებას იჩენს, მერმე კი, რამდენიც ხანში შედის, იმდენი ჭკუა და გონება აკლდება, და სიბერის დროს ჭკუა სულ ელევა. ამ მხრით ადამიანს დიდი განსხვავება აქვს. ადამიანი პატარაობისას უჭკუოა, შემდგომ, რამდენიც იზრდება და ხანში შედის, იმდენი ჭკვიანდება და გონება ეხსნება. ხანი მაიმუნს ნიჭიერებას უმცირებს, კაცს კი უმატებს. ცეცხლის ხმარებაც დიდს განსხვავებას სდებს ადამიანსა და მაიმუნს შუა. მაიმუნებს ძრიელ მოსწონთ ცეცხლზედ თბობა; მაგრამ აქამდის ცეცხლის გაჩენა და ხმარება არ იციან. როცა ისინი უდაბნოში ქარაენისგან დარჩენილს ცეცხლ ნახვენ, დიდს სიამოვნებით თბებიან. უკანასკნელი ველური კაცი ხმარობს ცეცხლსა და უგონიერესს მაიმუნს კი არ შეუძლია ესა.

მაიმუნი ყველა ცხოველზედ გონიერია. მაგალითათ

აქილოთ ძალლი, რომელიც პირუტყვებში უგონიერესთაგანია. მსთქნით ძალლი არის ჯაჭვით მიბმული; ჯაჭვი წამოედო რასმე, მოეხეია, დამოკლდა და ძალლი დიდ შეწუხებაში შევიდა; იმას აღარ შეუძლია თავისუფლათ მოძრაობა. რას შერება ამ მდგომარეობაში ძალლი? ის უგუნურათ წინ იწევს, სულელურათ იბძვის და თავის საქმეს უფრო ახდენს. ის არასდროს არ იძიებს თავის ცუდ მდგომარეობის მიზეზს. მაიმუნი აგრე არ მოიქცევა, თუ ამ გვარი საქმე იმას შეემთხვა წევას და ჯავრობას კი არ დაიწყებს, მაშინვე თ ვა' ცუდ მდგომარეობის მიზეზს გამოიძიებს. თუ ჯაჭვი ყუთს ან სხვა: რამეს ედება, მაშინ ამ ადგილს გაშორდება და ჯაჭვს იქით წაიღებს, თუ პალოზედ დაეხვია, უკულმა გაბრუნდება და ჯაჭვს პალოს მოაშორებს. შველა შემთხვევაში მაიმუნი მიზეზს იძიებს. სხვა პირუტყვებს ეს თვისება ან სულ არ აქვთ, ან ძალიან მცირეთ.

მაიმუნი მეტათ ცოცხალი და მოძრავი ცხოველია. მუდამ საჭმელს ეძებს და ერთს მიწუტს არ არის მოსვენებული. მაიმუნი სჭამს ყველაფერს, რისაც ჭამა კი შეუძლია. ხილის ნაყოფი, ფესვები, მარცვლები, კაკალი, კოკორი, ფოთოლი იმისი უმთავრესი საჭმელია; არც სხვა და სხვა ჭიებს და ბუზებს იწუნებს; კვერცხების და ბარტყების შოვნა ხომ ამისთვის აღებლამეა. ამიტომ მაიმუნს საქმე არასდროს არ ელევა; ხან აქეთ-იქით მოუსვენრათ იხედება, ხან გლეჯავს, ხან იჭერს რასმე, ხან სუნავს და შინჯავს, კარგია საქმელათ, თუ არაო. ამ გვარი ცხოვრება დიდ მოძრაობას ითხოვს და ამიტომ მაიმუნი ყოველთვის ფაცაფუცშია.

მაიმუნები არიან სხვა და სხვა ნაირნი, სხვა და სხვა გვარისა. ჩვენ საქართველოში მოიყვანენ ხოლმე მარტოკა პატარა მაიმუნებს. სხვა ქვეყნებში არიან ძალიან დიდი და მძლავრი მაიმუნები. ბევრი ამათგანი დიდი კაცის სიმაღლეა. მაიმუნი ცხოვრობს ცხელს ქვეყნებში და სიცოვის ატანა არ შეუძლია. ამიტომ, თუ კაცმა დაიჭირა და ცივ ქვეყანაში წაი-

ყვანა, მაიმუნნი დაქლექდება და მალე მოკედება. — უმეტესი ნაწილი მაიმუნებისა კრებით ცხოვრობს ტყეებში, ზოგი კი კლდეებში. მაიმუნებს ტყეში ცხოვრება ამიტომ უყვართ, რომ იმათი საყვარელი საჭმელი ხილია; მაგრამ მარტოკა ტყეს არ სჯერდებიან. ნათესი მინდვრები და შემუშავებული ბაღები იმათ თავის საკუთრებათ შიამნიათ. „ჩვენ ვთესავთ, მაიმუნები კი მკიან“, იტყვიან ხოლმე არაბები, როცა თავის ნათესს ან ბაღს მაიმუნებისაგან აოხრებულს ნახვენ. თვითეული მაიმუნნი იმაზედ ათჯერ ბევრს წაახდენს, რამდენისაც შეჭმა შეუძლია. არც კლიტე, არც კედელი, არც ღობე არათფერია ამ სათოკიებისთვის. ისინი ურდულს გაუყრიან, ღობეებზედ გადახტებიან და თუ საჭმელი ვერა ფერი იშოვნეს, მოიპარავენ მაინც ნივთს-რასმე, თუ ნახეს. ხშირათ გაიტაცებენ ხოლმე ოქროს, ვერცხლს და ძვირფასს ქვებს. მეთადრე როცა ტყეში ხილი გამოილევა, მაიმუნები ბაღებში ხშირათ ქურდობენ. სადაც ბაღში შეეჩვევიან, სულ ააოხრებენ. აი როგორ ჭკვიანათ და მარჯვეთ იქცევიან ქურდობაში ზოგიერთა მაიმუნები: უმეტეს ნაწილათ მაიმუნები გროვით ქურდობენ; ერთი კი არ წაეა საჭურდავთ, ერთათ მოგროვდებიან და წინამძღვრებს აღმოიჩნევენ, რომლებსაც დიდი ჯოხები უჭირავთ. ბაღის ახლო აღმოიჩნევენ მიფარებულს ადგილს ხილის დასაგროვებლათ, აქედგან ბაღამდის გამწკრივდებიან, ბაღის აქეთ-იქით გვერდებზედ ყარაულებს დააყენებენ; ბოლოს დანარჩენი მაიმუნები გადაელენ შიგ ბაღში, კრეფავენ ხილსა და უყრიან გარეთ მდგომელებს, ესენი კიდევ სხვას, და ასე აგროვებენ დანიშნულს ადგილზედ ხილსა. ამ დროს მაიმუნები ხილს ისე მარდათ იჭერენ, როგორც მარჯვე ყმაწვილი ბურთსა. თუ არა ვინ მოასწრო, ბევრს გამოიტანებენ, და თუ მოასწრო, ყარაული დაიყვირებს და მაიმუნები საჩქაროზედაც გამოიქცევიან. მაგრამ ცარიელები კი არ მირბიან. თუ ნესეს იპარავენ, ერთს ნესეს იღლიაში ამოიჩრიან, თითო თითოს პირში, თითო

ხელში უჭირავთ და ისე მირბიან. თუ გამოუდგა ვინმე, ჯერ ილლიიდგან დააგდებენ, მერე პირიდგან და თუ აღარ მოეშენენ, ხელიდგანაც გაუშვებენ. ესე გონივრულათ ქურდობენ მაიმუნები.

ასოები და სახსრები ზოგს მაიმუნს საკვირვლათ ღონიერი აქვს; ეს ასწევს იმოდონა სიმძიმეს, რომელიც ადამიანის სუსტი ხელებისთვის სრულიად შეუძლებელია. მაიმუნები ხეზედ ასვლაში დიდ ყოჩალობას და ოსტატობას იჩენენ. მთხს, ხუთს საყენზედ გადახტომა, გადმოხტომა და ჩახტომა ზოგი მაიმუნისათვის სულ არაფერია. ხის წვერიდგან ის ძირის ტოტებზედ ხუთი საყენის სიმალიდან ჩამოხტება; რამწამ ეს დანძრეული ტოტი შეჩერდება, მაიმუნი იმას მაშინვე უკანა ფეხებს კრავს, ჰაერ გააპობს ისარისათვის და მეორე შორიელ ტოტზედ თავს ამოჰყოფს. ხან ზედ ხის წვერზედ მოექცევა და თითქო თითონვე უკვირს თავისი ყოჩალობა. ხან ისე მალლა და ვიწრო ტოტზედ ახტება, რომ მოუტყდება და ძირს წამოვა ხოლმე; მაგრამ გზაზედ სხვა ტოტს მოექიდება, თუ ესეც მოუტყდა, მაშინ ეცდება კიდევ რაზედმე დაეკიდოს, და თუ ბოლოს ტოტიც მოუტყდა, ძირს დაცემასაც ბევრს არ ინაღვლებს. მრთი ხიდგან მეორეზედ გადახტომა ხან ხუთ-ექვს საყენზედ ზოგიერთა მაიმუნებისთვის ადვილი საქმეა. აგრეთვე ზოგი მაიმუნები წყალში საკვირვლათ კარგათ ცურაობენ, ზოგმა კი სულ არ იცის ცურვა და თუ წყალში ჩაეარდა, ტყვიასავით მაშინვე ძირ-ძირ წავა.

მაიმუნების საზოგადო ცხოვრების გაცნობა ძრიელ შემაქცევარია. უმეტესი ნაწილი მაიმუნებისა გროვა-გროვა ცხოვრობს. ქველა გროვას თავისი საცხოვრებელი დაჩემებული აქვს. საცხოვრებლათ ამისთანა ადგილს ირჩევენ, სადაც სახრავ-საღეჭი ბევრია. თავიანთ ამორჩეულ ადგილში დიდი გვარის მაიმუნები არა პირუტყვს არ შეუშვებენ. სპილოსაც კი გაუძნელდება ხოლმე ამათი წინააღმდეგობა. მაიმუნების ხროვა დიდს ჯოხებს წამოაველებს ხელს, მიესევა სპილოს

და ჩვილ ზურგზედ იმდენს სცემს, მინამ თავის ადგილიდამ გააძევებდეს. თვითონ ცხოველების მეფე, ლომი, ხშირათ დაიძლევა ხოლმე მაიმუნებისაგან. როცა საკმელი გამოვლევია, მაიმუნების გროვა სხვა ადგილს გაემგზავრება.

მაიმუნების ყველა გროვას თავის უფროსი ჰყავს. უფროსობა ამორჩევით არ არის. ამ თანამდებობის გულისათვის საშინელი ჩხუბი გაჩნდება ხოლმე სრულ წლოვან მამალ მაიმუნებში. თანამდებობა დარჩება იმას, რომელსაც უფრო ღონიერი ხელი აქვს და ბასრი კბილები, — რომელიც ყველაზედ დიდს ღონეს და მამაცობას გამოიჩინოს. რომელმაც მაიმუნმაც უფროსობა დაიჭირა, ის მთელი გროვისაგან მორჩილებას ითხოვს; არა მაიმუნს არ შეუძლიან იმის ბრძანებას გადაუვიდეს. მინც უმორჩილობას გაბედავს, უფროსი მაიმუნი დიდს შავს დღეს დააყენებს. მაგრამ თუ ხროვა დიდია, მაშინ ერთი გულადი მაიმუნი თავისკენ მიიმხრობს ზოგს მაიმუნებს და მაშინ გაჩნდება ხოლმე საშინელი შინაური ომი უფროსობაზედ. ამ გვარი ჩხუბი მაიმუნებს ხშირათ მოსდით, ხან ომის მოთავე მაიმუნი უფროსს დასძლევს, დაიმორჩილებს და წინამძღოლათ თვითონ გახდება. ამ ომში მონაწილეობას დედალი მაიმუნები არ იღებენ; მარტო მამლები ჩხუბობენ; ბევრი იმათგანი წმდროს კვდება; ამიტომ მაიმუნების ხროვაში მამალი მაიმუნი ცოტაა, დედალი კი ბევრი. მაიმუნების გროვაში წინამძღოლს მალე იცნობს კაცი; ის ყოველთვის ამპარტაყუნულათ იქცევა. ბრძანებას სწორეთ მეფური სისასტიკით სცემს. შველა ამისი ქვეშევრდომი ცდილობს, რომ აამოს. დედალი მაიმუნები მალმალ აუბურგდნიან ბანალს და უხოცავენ კბენარს: ტილებს, რწყილებს და სხვებს. თავის მხრით უფროსი ვრდგულათ ზრუნავს ქვეშევრდომების სიკეთისთვის. იმას სახეზედ ყოველთვის მზრუნველობა ემჩნევა და მოსვენებას თავის თავს არას დროს არ აძლევს. თვალი აქეთ იქით მარჯვეთ უჭირავს და ხითათს მალე შეამჩნევს. მტერთან ბრძოლაში თავის თავს არ ინდობს და ყველაზედ მხნეთ ომობს.

მტრისა ყველა მაიმუნს არ ეშინიან. ღიდი და მძლავრი მაიმუნები გულადთ დაუხვედებიან მონადირეს, მეტადრე თუ ის ერთია. ღიდალი მაიმუნები ბრძოლაში მონაწილეობას მხოლოდ მაშინ მიიღებენ, როცა იმათი სიცოცხლე და იმათი შვილებისა შიშ ქვეშ არის. ამ დროს ისინი მამაცობაში მამლებს არ დაუფარდებიან. მაიმუნები ომობენ ხელებით და კბილებით, იკაწრებიან და იკბინებიან ამზობენ, რომ ხის ტოტებს და ჯოხებს ხმარობენო. ის კი ნამდვილი მართალია, რომ ომში მაიმუნები თავის მტერს სხვილ ხილს, ქვეებს და ხეების კუნძებს ღონივრათ ესერიან. ღიდს მაიმუნებზედ ნადირობა საშინელი საქმეა. ძაი გულადი მონადირე უნდა იყვეს, რომ ამ გვარს მაიმუნებზედ ნადირობა გაბედოს. რამწამ მიმავალს მონადირეს დაინახვენ, დედალი მაიმუნები თავის შვილებს ხელს დაავლებენ და გაიქცევიან. მამლები კი გულადთ გაჩერდებიან და ერთს წამსვე საბრძოლათ მზათ არიან. თევლებიდან თითქო ცეცხლსა ჰყრიანო, გულში მუშტს იცემენ, კბილებს აკრაქუნებენ, მერმე ერთს საშინლათ დაიკვივლებენ და მტრისკენ გაექანებიან. ბედნიერია მონადირე, თუ ტყვიას თავის დროზედ ესერის და არ აცდენს; მაგრამ ვაი იმის ბრალი, თუ ტყვია აუცდა. მეორეთ გატენას მაიმუნი აღარ დააცლის; მივარდება, თავისი მძლავრი კბილებით თოფს დაჰკენეტს, როგორც ძალი სუსტ ძვალსა, მონადირეს თავში მძლავრს ხელს გაშლით შემოჰკრავს და რამდენათ გაუხეთქავს, მერმე ნაწილ-ნაწილ დაგლეჯავს. რა საკვირველია, მაიმუნნიც ბევრი კვდება ამ დროს.

მელურ მდგომარეობაში, სადაც მაიმუნებს მთელი თავისუფლება აქვსთ, ავათ ძალიან იშვიათათ ხდებიან; ავათ-მყოფობაც იმათ შორის ცოტა იცის. ჯერ სწორეთ არ იციან, რამდენს წელიწადს ცოცხლობენ მაიმუნები. ამზობენ ღიდი გვარის მაიმუნები ორმოც წლამდის სძლებენო. ჩვენ ქიეყანში მოყვანილი მაიმუნები აქაურ ცივს ჰავას ვერ იტანენ, სიცივე იმთზედ ძრიელ ცუდათ მოქმედებს,

ხმას ართმევს, ასწავლებს და ნაღვლიანათ ხდის. ჰლექი მალე მოუსწრაფებს ხოლმე დღესა. შბედური თავის მხიარულს ხასიათს სრულიად ჰკარგავს, ზის დაღონებული და სწორეთ ადამიანურათ უცქერის ყველას, თითქო შეველასა სთხოვსო. რამდენიც სიკვდილი უფრო და უფრო ახლოვდება, იმდენი მაიმუნი უფრო წყნარი ხდება. შეელა შემწეობას მადლობით იღებს და დოქტორს ისე უყურებს, როგორც თავის გამომხსნელსა. ბევრჯელ შეუნიშნაეთ, რომ მაიმუნს, რომლსათვისაც სისხლი გამოუშვიათ, ავთამყოფობის დროს დოქტორისთვის ხელი გაუშვერია, თითქო წვალეზიდგაჲ გამოხსნასა სთხოვსო.

დედალს მაიმუნს ერთი შეილი ეყოლება ხოლმე; იმისთანა მაიმუნებიც არიან, რომლებიც ორს შეილს შობავენ. ზოგიერთა მაიმუნები ამ დროს ადამიანურ გრძობას იჩენენ. მშობიარეს გარს შემოეხვევიან და ახალს ნაშობს ხან ერთი იყვანს ხელში, ეალერსება, კოცნის, ხან მეორე, ხან მესამე. ბოლოს ყველანი მშობიარესთან ახლო მივლენ და თითქო მშვიდობით განთავისუფლებას ულოცავენო. ახალი ნაშობი უსაძაგელესი არსებაა, იმისი დაღმეჯილი პირი უფრო ბებრის სახეს გავს, მინამ ბავშვისას. მაგრამ ეს მახინჯი დედას ძალიან უყვარს; მუდამ ეფერება და ეალერსება, ართობს, ათამაშებს, ფხანს, ხან გულში მიიკრავს, ხან ხელზედ დაისვამს და ჩ.ს.ცქერის, თითქოს ცქერით ვერ გამძლარაო, ხან ისევე გულში მიიხუტებს; ხან ანძრევს, თითქო არწებს და ნანას ეუბნებაო.— პატარა მაიმუნი მალე ისწავლის ხოლმე დედის გულში მიკვრას; წინა ხელებს კისერზედ შემოხვევს, უკანას გვერდზედ და ამ სახით დედას ყველგან თავისუფლათ დაჰყავს თავისი შეილი. ის იმას სირბილს და ტარებას სრულიად არ უშლის და როცა უნდა იქვე ძუძუს მოსწოვს. დედა თავის შეილს საკვირვლათ სუფთათ ინახავს: წყალზედ აიყვანს ხოლმე და თუმც ის წივის და კივის, მაინც მინამ პირს კარგათ არ დაბანს, არ მეეშვება; ამასთან ტანს უსუფთაეებს და უხილავს. რამდენიმე ხნის შემდეგ პატარა მაიმუ-

ნი რომ წამოიზარდება, თავისუფლებას მოინდომებს, დედაც უარს არ ეუბნება; მუხლებიდან გადასვამს ხოლმე და ნებას აძლევს სხვა პატარა მაიმუნებთან იხტუნოს და ითამაშოს. მაგრამ თვალი კი მოუშორებლივ იჭითკენ უჭირავს. თუ სახიფათო რამე შეამჩნია, დედა დაიკვივლებს და მივარდება თავის შვილთან; შვილი მაშინვე გულში მიეკვრის. არა გაჭირებაში დედა შვილს არ უღალატებს. შოველთვის დედა თავის სიკვდილს ირჩევს, მინამ შვილისას. ბევრჯელ დაჭრილი დედა თავისთავს დაივიწყებს ხოლმე, ხელს წამოაველებს შვილსა, ხეზედ შესვამს, თავს უშველეო, მერმე დაეცემა და მოკვდება. შმორჩილობისთვის თავის შვილს სასჯავს, მუჯღლუგუნს წაჰკრავს ხოლმე, ხან სილასაც გაართყამს. მაგრამ ეს იშვიათი საქმეა, ამიტომ რომ პატარა მაიმუნები მეტათ მორჩილები არიან, - დედის ბრძანებას არას' დროს შვილი არ გადაუვა. ტყვეობაში ყველა ლუკმას დედა თავის შვილს უყრფს და საცოდავთ ვწვის ვული იმის უბედურ მდგომარეობაზედ. შვილის სიკვდილი დედასაც თან გადიტანს ხოლმე, ასეთი ღრმა ჯაფრი იცის. თუ დედა მაიმუნს სიკვდილის შემდეგ პატარა შვილი დარჩა, იმას სხვა მაიმუნი იშვილებს ან დედალი, ან მამალი. შვილათ აყვანილი მაიმუნი ნამდვილ შვილისავით უყვარს.

ბაშინაურებული მაიმუნები დიდს გონებას და მიბაძვის ნიჭს იჩენენ. მრთს მსწავლულ კაცს (ბიუფფონს) ჰყვანდა მაიმუნი, რომელიც ყოველთვის ამართული დადიოდა, მაშინაც კი, როცა მძიმე რამეს ზიდავდა; ეს მაიმუნი ყოველთვის ჩაფიქრებული იყო და დინჯათ დაიარებოდა. ის თავის პატრონს ყოვლის უარის უთქმელათ ემორჩილებოდა და მის სიტყვას ძირს არ დაუშვებდა. შველა სტუმარს ხელს ჩამოართმევდა ხოლმე, სეირნობდა იმასთან, სტოლთან სკამზედ დაჯდებოდა და ბაას ყურს უფდებდა, თითქო ესმის რამეო. სადილის დროს სალფეტს გადიშლიდა, სტაქანში ღვინოს დაისხამდა, სადღეგრძელოს დროს მოსადილეებს სტაქანს

სტაქანზედ მიუხლიდა ხოლმე და მერმე კაცურათ დაღეედა. ჩაის დაღევის დროს სტაქანს ლამბაქით მოიტანდა, შაქარს ჩაჰყრიდა, ჩაის დაასხამდა და მინამ არ გაცივდებოდა, არ დაღეედა. ეს მშვიდი პირუტყვი ყველას ზრდილათ ექცეოდა და ადამიანის აღერსი მცტათ ხხარებდა. ჭიუფთონის ნაცნობებს უყვარდათ მისი თანამცხოვრი და მალ-მალ მიუტანდნენ ხოლმე სხვა და სხვა ხილსა. ამ ჰკვიან მაიმუნს. ქლექმა მალე მოუსწრაფა დღე.

მართი დედალი მაიმუნი ერთ კაცს დიდი ხანი ჰყვანდა. საკვირვლათ მშვიდი პირუტყვი იყო; არას დროს სიბრ ზე არ შეუმჩნევიათ, არც პირმოთენებდა. შურო ხშირად დაფიქრებულს და დალონებული იყო. ადამიანების საზოგადოება კი უყვარდა, ზოგორც კაცებისა, ისე ქალებისა; მ გრამ იმათ კი უფრო ზრდილათ ექცეოდა, უნც იმას უფრო ჰატიეს სცემდა. დაღეოდა ოთხით, თუმცა შეეძლო ჯოხზედ დაბჯენით ამართული ეარა. მართხელ ჩუმათ საშწყედდეს თავი დაახწია და გამოიპარა. ამ დროს ოთახში ერთი მოთლო კაი ღვინო იპოვა, თან წაიღო, მიეარდნის აღგილს თავს მოხადა და დააცარიელა, მერმე ისევე თავის აღგილს ჩუმათ მოიტანა და დასდგა. მითონ კი ზანზედ აეარდა. მთხი კაცი თან აჰყვა დასაქრათ; მაგრამ ხელიდგან ისე მარდათ უძერებოდა, რომ ერთი საათი ჰეფრი აწეალა, ძლიეს დაიჭირეს. სალკე წოლა არ უყვარდა, ამიტომ რომ მარტოობა სძულდა. როცა ეძინა, თავით-ფეხამდის საბანში წახვეული იყო სიცივეშიაც, სიცხეშიაც. მართხელ დიდი ყურადღებით თვალი ადევნა, როცა ჯაჭვის კლიტეს აღებდნენ, რომელზედაც დაბმული იყო. შემდეგ ფეითონ ჩხირი აიღო, კლიტეს საგასაღებოში ჩაუყარა და აქეთ იქით ატრიალებდა, თავის ჰკუაში უნდა გაელო. მართხელ კიდევ კატის კნუტი მისცეს; ხელები შემოხვია და სუნვა დაუწყო; მაგრამ როცა კნუტმა ხელი დააფხაქნა, მაიმუნმა სწრაფათ იქით გადაადგო, დაფხაქნილ ხელს შინჯვა დაუწყო და კნუტთან ნაცნობობა გასწყვიტა. ეს მაიმუნი ხელებით ადვილათ

სწიდა ყველა დახლკნის კვანძა, და თუ გაჭერილი ძრიელ იყო. მაშინ კბილებზეც აშველებდა. მს საქვე ძრიელ მოსწონდა, ამიტომ ბაშმაკის ლენტებს დღეს წადლით გაუხსნიდა ხოლმე ყველას, ვინც კი იმასთან ამისთვის მივიდოდა. როცა მარტო დარჩებოდა, ყვირილს დაიწყებდა ხოლმე. მს ყვირალი ჯერ ძაღლის ყეუას ემსგავსებოდა, მერმე, როცა მალა აუწევდა, ხერხის ჭრიალს გვანდა. მს მაიმუნი კლექმა ყმაწვილობისასვე თან გაიტანა.

ერთ შინაურს მაიმუნს სიფაქიზე საკვირვლათ უყვარდა, ყოველთვის თავისი სადგური ოთახი სუფთათა ჰქონდა, პოლს მალმალ წყლით რეცხდა და ტილოს იქამდის უსვამდა, მინამ არ გააშრობდა; პირს კაცისავით იბანდა და თავის პატრონს ადამიანურათ ჰკოცნიდა.— ერთი ამ გვარივე მაიმუნი, რომელმაც ტყვეობაში მარტო ნახევარ წელიწადი იცოცხლა, ყოველთვის ფეხებ მოკეცალი იჯდა თათრულათ. ძი დარის დროს ბაღში გაუშვებდნენ ხოლმე; მაშინ ხეზედ მარდათ ავარდებოდა და ტოტზედ დაჯდებოდა. თუ ვინმე იმასთან ხეზედ ასვლას მოინდომებდა, ტოტს ძრიელ დანძრევდა და ძარსვე ჩამოაგდებდა. უცხო კაცების წვევა ჭირით უჯავრებოდა; ნაცნობის კაცების მისელა კი ესიამოვნებოდა. როცა იმას სურვილს არ აუსრულებდნენ, ბაშვისათვის პოლზედ წაიქცეოდა და გორაობას დაიწყებდა, თანაც ჯავრობდა. მარი კნუტი ძრიელ შეუყვარდა. ერთს ამათგანს ხელში ხშირად აიყვანდა ხოლმე და იღლაში შეისვამდა, ან თავზედ დაისვამდა, თუქცა კნუტი კლანჭებს ტყავში ჩაუჭრიადა ხოლმე. რამდენჯერმე კნუტს ფეხები გაუშინჯა და ცდილობდა კლანჭები ამოეძრო, მაგრამ ვერ მოახერხა. მაინც თავის მეგობართან უწინდელი სიყვარული ჰქონდა.

ერთს კაცს ჰყვანდა ძრიელ ეშმაკი და მოქნილი მაიმუნი. როცა სურვილს არ აუსრულებდნენ, მაიმუნი კედელს თავს ახლიდა, ან ხელებს თავში იცემდა, როგორც იქცევიან გააზიზებული ყმაწვილები, როცა უნდა დედ-მამას საქმელ

ან სათამაშო რამე გამოსტყუონ. ბევრს მოქმედებაში ის დიდს კვუას და თვალღონობას იჩენდა. მართხელ რიდასთეოსაც დასაჯეს და ზაიმუნმა მოინდომა სამწყვდევიდგან თავი დაეხსნა. თავის განხრახნის აღსრულებაში ისეთი ოსტატობა გამოიჩინა, რომელიც არა ცხოველს არ შეუძლია. მაიმუნმა პირველათ ყურადღება მიაქცია კარებს; მაგრამ კარები დაკეტილი იყო და გასაღები ლურსმანზედ ეკიდა. მაიმუნი დაღონებით ჩაფქრდა, მერმე გასაღებთან მივიდა, ფეხის თითებზედ შესდგა და უნდა გასაღები ჩამოეღო; მაგრამ მაიმუნი დაბალი იყო, გასაღები კი კარგა მაღლა ეკიდა; ბევრი ეცადა შესწდომოდა, მაგრამ ტყუალათ. მაშინ აიღო სკამი, გასაღების პირდაპირ მიიდგა, ზედ ავიდა, გასაღებს მისწვდა, ჩამოიღო და კარები გაღო. — მართი ამ გეგარისვე მაიმუნი პატარაობისას დაიჭირეს ტყეში. ღაჭერის წინ დედა მოუკლეს, რომელიც თავის შვილს ათამაშებდა და ართობდა, ტყიდგინ გამოფარდნილმა ტყვიამ დღე მოუწწრაფა და იმისი შვილი დატყვევდა. ეს პატარა დაჭერილი მაიმუნი საკვირველი წყნარი ზნისა იყო; თამაშობა და სირბილი კი ძრიელ უყვარდა. აგრეთვე საქანელაზედ ქანაობითაც არ იღალგებოდა. პატარა ბავშვებთან გართობა და ცელქობა მეტათ მოსწონდა. ზათხულში ყმაწვილებთან დასეირნობდა, ხეხილებზედ მარდათ ადიოდა და იქიდგან ძირს მდგომარე ყმაწვილებს ხილს უყრიდა. ამ მაიმუნს ბავშვისავეით ინახედნენ და თავის დროზედ პირს და ხელებს ბანავდნენ, ჩაი უყვარდა, მგრამ მათრობელი სასმელი კი სძულდა.

მართი მაიმუნი, როცა ის ახალი დაჭერილი ზღვაში გემით მოჰყვანდათ, ერთს ქალს გაუქგობრდა. აი ეს ქალი რას ამბობს. „პირველ გაცნობაზედ შაკი (მაიმუნის სახელი) დააკვირდა ჩემს ბექდებს, რომლებიც ხელზედ მქონდა, და დიდხანს უცქეროდა. ჯერ შაკი მე ძრიელ მეზიზღებოდა, როგორათაც ყველა ქალებს სძულთ მაიმუნი. მერმე მე შაკს თვალის შევაჩვიე და აღერსიანი მოქცევით დავიმეგობრე.

მასუკან იმ დროს მხიარულათ მატარებინებდა. შაკი ძილის დროს გემების მოსამსახურებს მიეპარებოდა. ქუდებს მოხდიდა და ზღვაში ჩაუყრიდა ხოლმე. შალიას, სადაც თურინელები ისხდნენ, წაქცევდა, წყალს დაღვრიდა და თვითონ დაღვედა. მთელ გემში არა მოეხევენოდა რა: ხან ჩაის იპარავდა ხან შაქარს; ხან საღვრელო იარაღს ხელს წამოაღებდა; ხან ადამიანებს მხრებზედ შეახტებოდა; ერთი სიტყვით შაკი მოსვენებას არ აძლევდა არც ნიუთებს, არც ადამიანებს. მიმისი სხვა და სხვა ეშმაკობა მე მხიარულათ დროს მატარებინებდა. რა საკვირველია, თვითონ შაკი ეშმაკობისათვის ხანდახან კარგათ დაისაჯებოდა ხოლმე; მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა. შაკმა მხედრობაც დიდი გამოიჩინა; რამწამ ლორებს გემის ბანზედ სასიარულოთ გამოუშვებდნენ, შაკი ბოჭკას ამოეთარებოდა და როცა ლორები მიახლოვდებოდნენ, ზურგზედ ერთსმარდათ შეახტებოდა. საწყალს ლორს ტყაფში კლანჭებს ჩაუყრიდა, ჩქარა დაარბევინებდა და აქყვირებდა. ლორი ევრას დროს ევრ ჩამოაგდებდა შაკს ზურგიდგან, ისეთი მარდი მხედრობა ისწავლა. შაკი ამ დროს დიდს შექცევაში იყო. ბოლოს ამ ეშმაკ მაიმუნს დამწყვდევა დაუწყეს. როცა ლორებს სასიარულოთ გამოუშვებდნენ ხოლმე. დამწყვდევა ძრიელ ეჯავრებოდა, და როცა დამწყვდევას ან კიდევ ცემას დაუპირებდნენ, მაშინვე ჩემს მთარველობას მოატანდა. როცა დადამდებოდა და შაკს ცარიელ საქათმეში დასაძინებლათ გაგზავნიდნენ, იმას ჩემი მოშორება ემძიმებოდა და ჩემს შალს ქვეშ დაიმალებოდა. ძრიელ ეჯავრებოდა, თუ ლოგინში ჩემს მეტი სხვა ვინმე ჩაწვენდა. ამასთან გემში სხვა მაიმუნებიც იყვნენ; ამათ შაკი სისხლს უშრობდა. მის ამათგანს უეცრათ დღე მოუსწრაფა. პარველი მაიმუნი საიქიოს ჩემს თვალს წინ გაგზავნა. საქმე შაკმა იმითი დაიწყო, რომ პატარა მაიმუნს ხელი აღერსიანათ გაუშვირა მისაცემათ. სუსტი და დამჯერი პირუტყვი წყნარათ მივიდა შაკთან, ამან კი უეცრათ ყელში ხელი

სტაცა, მაგრა წაუჭირა, გემის თავზედ ავიდა და ზღვაში გადისროლა. მაშინვე თოკი ჩააგდეს, მაგრამ შეშინებულმა მაიმუნმა ვერ მოიაზრა თოკისათვის ხელი წაეელო და წყალში დარჩა. რა საკვირველია, შაკო კარგათ გაწკებლეს და ნალელოანათაც იყო რამდენსამე ხანს; მაგრამ სამ დღეს უკან ამ სახითვე საიქიოს გაგზავნა მეორე მაიმუნიც. მართხელ კიდევ აი რაში გამოიჩინა სიმტრე თავის ტომთან. მოსამსახურეები გემის გვერდს თეთრს ზოლს უვლებდნენ ზეთის საღებავით. სადილის დროს მოსამსახურეებმა გემის ბანზედ დაარჩინეს საღებავი და ყალამი. შაკმა ეს შეამჩნია და დაუძახა პატარა მაიმუნს, რომელიც იმასთან მოკრძალებით მივიდა. შაკომ მაშინვე კისერში ხელი დააელო, კარგა ჩასეელებული ყალამი წაუსე-წამოუსევა და მაიმუნი შავი ფერიდგან უეცრათ თეთრ ფერათ შეეღება. მე სიცილით გადაებრუნდი. შაკმა გაუშვა შეეღებული მაიმუნი, მალლა თოკებზედ აცოცდა და იალქნებში დაიმალა. პატარა მაიმუნს საღებავი ლოკვით უნდა მოეშორებინა, მაგრამ მე მოსამსახურეს დაუძახე და იმან კარგათ გაბანა. ამ დროს შაკი ზევიდგან გვიყურებდა და თითქო დაგეცინოდა. სამი დღე მალლა იყო ცის ქვეშე; ის ისე ჩქარა გადადიოდა ერთი თოკიდგან მეორეზედ, რომ გემის მოსამსახურეებმა ვერ დაიჭირეს. ბოლოს შიმშილმა შეაწუხა და მაშინ ჩემს ფეხებს წინ დაეცა ზევიდგან ჩამოხტომილი და თითქო შემწეობას მთხოვდა. მე ბევრი ვეცადე დასჯისაგან დამეფარნა, მაგრამ ვერა გავაწყერა,-ჩემი შაკი კარგათ გამიწკებლეს. მთხს თევს ვიმგზავრეთ მე და შაკმა ერთათ, ბოლოს მე ხმელეთზედ გამოვედი ჩემ ქვეყანაში წასასვლელათ. მურმე ამ გონიერმა მაიმუნმა ბევრი ინაღვლა და იჯაერა ჩემის გაშორების გამო. შოველ დილას დარბოდა თურმე და მეძებდა გაცხარებული, მაგრამ საცოდავი როგორღა მიპოვნეიდა. “

მეორე ამისთანა მაიმუნი შინ მოსამსახურეთ ჰყენდათ: ფურნეს ახურებდა და ყურს უგდებდა, რომ ცეცხლი არ გამოვარდ-

ნილიყო. როცა ფურნე გახურდებოდა, პატრონს შეატყობინებდა, რომ ცომი გამოეტანა და გამოსაცხობლათ გუნდები შეეწყო. აგრეთვე გონიერულათ აღსრულებდა სხვა საქმეებსაც. ერთხელ ამ მაიმუნს პატრონმა ჩაღაზედაც ცემა და უპირა, მაიმუნმა გულზედ ხელები დაიკრიფა და ეხვეწებოდა არ დაესაჯა. მაგრამ პატრონმა თავისი არ დაიშალა და მაიმუნს ძრიელ სცემა. მამბრაზებულმა მაიმუნმა ძალათ თავი მოიკლა; პურის ჭამასულ აკვეთა და მეხუთე დღეს შიმშილმა და ჯაფრმა თან გაიტანა. ასე თავმოყვარულნი არიან მაიმუნები!

ადამიანზედ.

სხეულის შენობა.

თუმცა ჯერ კიდევ პატარა ვარ, მაგრამ მეც ადამიანი ვარ; იმიტომ რომ მეც იმისთანა სული და სხეული მაქვს, როგორც ღიღებს. ჩემს სხეულს შეადგენს შვიდი უმთავრესი ნაწილი: თავი, კისერი, ტანი, ორი ხელი და ორი ფეხი. ჩემი თავი შრგვალთა, მაგრამ ისე კი არა, როგორც ბურთი, ცოტა მოგძოა, გვერდებიდგან შეწეულია, უკან კი გამოვარდნილი. თავის ერთი ნაწილი თმით არის დაფარული, მეორე კი არა. ამის ზემოთ ნაწილს საქოჩრე ჰქვია, უკანა ნაწილს კეფა, წინას კი პირის სახე.

თავს ტანთან აერთებს მოქნილი კისერი, რის გამოისათაც მე თავის მიღებ-მოღება ბევრ ნაირათ შემიძლია: შემიძლია მალლა ავიღო თავი, ძირს დაუშო და აქეთ იქით ვაბრუნო. ძირის წინა ნაწილი ყელათ იწოდება.

ტანი ჩემი სხეულის ყველაასოზედ დიდი ნაწილია, და მას გარეშემო სხვა ნაწილები ასხია: თავი, ორი ხელი და ორი ფეხი. თვითონ ტანში ეგრეთვე რამდენიმე ნაწილი განირჩევა: მკერდი, მუცელი და ზურგი.

ერთი ხელი მარჯვენათ იწოდება და მეორე მარცხენათ. მსენი სრულებით ერთმანეთს ჰგვანან და თანასწორეთ ჰკილიან ჩემი ტანის ორივე მხარესა. ხელები ჩემი სხეულის ზეეითა ნაწილს შეადგენს, ფეხები კი — ქვეეითას. მარჯვენა და მარცხენა ფეხიც ეგრეთვე ერთი ერთმანეთს ჰგავს. მკლავს სამი ნაწილი შეადგენს: ზემოთ ნაწილს, მხრის თავიდგან ნიდაყვამდის, მხარი ჰქვიათ, შუა ნაწილს, ნიდაყვის თავიდგან ხელამდის, წყრთა, ქვემოთას კი ხელს უძახიან, ანუ ხელის მტევანს. ხელის ქვემოთა ნაწილს ხელის გული ჰქვიათ, ზემოთას კი ზურგი. ხელს ბოლოზედ სუთი თითი აბია: ერთს ჰქვიათ ცერი, მეორეს სალოკი, მესამეს შუა-თითი, მეოთხეს არა-თითი, მეხუთეს ნეკი. მთხი თითი სამი სახსრიდგან შესდგება, ცერი კი ორიდგან. თითების ბოლოში ფრჩხილებია გამოსული.

ფეხიც ეგრეთვე სამ ნაწილათ განიყოფება: ზემო ნაწილს, ტანიდგან მუხლის თავამდის, ბარძაყი ჰქვიათ; შუა ნაწილს, მუხლის თავიდგან კოჭამდის, კანკს ეძახიან; ქვეითას კი საკუთარს ფეხს უწოდებენ. ფეხის ზემოთა ნაწილს ფეხის ზურგი ჰქვიათ, ქვემოთა ნაწილს-ფეხის გული, უკანას-ქუსლი. ფეხს წინ ხუთი თითი აბია; ყველა თითში სამი სამი სახსარია, ცერში კი ორი, როგორც ხელის თითებში. მაგრამ ფეხის თითები ისე გრძელი, მოქნილი და მოძრავი არ არიან, როგორც ხელის თითები.

პირისახის გარეგანს ნაწილებს სხვადასხვასახელები ჰქვიათ, სახელდობ: შუბლი, საფეთქლები, ლოყები, თვალელები, ცხვირი, პირი ანუ ბაგე, ნიკაპი, ყურები, რომლებიც თავს აქეთ იქით მხარეზედ ასხია.

თვალელები აწყვია შუბლის ქვეშ საკუთარს ამოღრმავებულებში, რომლებსაც თვალის ფოსოებს ეძახიან. თვალის შუაში ჩვენ მრგვალ შავ ბაიას ვარჩევთ და ბაიის გარეშემო ფეროვან სიმრგვლეს, რომელსაც ფეროვან სალტას უწოდებენ. შველა კაცს თვალის სალტა ერთ ფერი არა აქვს, ზოგს ცხვრის ფერი აქვს, ზოგს შავი, ზოგს ჭრელი. სალტის გარე-

შემო მოგძო სითეთრეს თვალის გუგა ჰქვიან, თვალის კუთხეებში წითელი კალოებია. თვალს ჰფარავს ორი ქუთუთო. ძვეითი ქუთუთო უძრავია, ზევითი კი დაუყენებლივ მოძრაობს, — ხან აიწევს, ხან ჩამოეშვება-ხამხამებს. ქუთუთოების ნაპირები წამწებით არის შეჭოსილი. თვალეზ ზევიდგან კაცს წარბები ასხია.

შურებიც ადამიანს თვალეზივეთ წყვილი ასხია. ჩვენ ყურის მარტო გარეგან ნაწილს ვხედავთ, შინაგანი ნაწილი კი თავშია დამალული. ბარეთა ნაწილს ყურის ბიბილოს უძახიან. შურის ბიბილოს რომ ხელი მოვავლოთ, ჩვენ ვიგრძნობთ, რომ იმაში და იმის ტყავის ქვეშ ერთი იმისთანა რალაც რამ არის, რომელიც ხორცზედ მაგარია და ძვალზედ რბილი, — ეს არის კაკნატელა. შურში შიგნით გრძელი მილი მისდევს, რომელიც სმენელობის ორგანის შიგნით ნაწილთან მიდის. — ეს სმენელობის შიგნითი ნაწილი საფეთქლის ძვალშია დამალული.

სხვირი კენტი ორგანოა და პირის შუაზეა ამოსული. სხვირში შეიძლება რამდენიმე ნაწილი გავარჩიოთ: ძირი ანუ ცხვირის საძირკველი, რომელიც თვალეზის შუა მდებარეობს, შუა ნაწილი, ცხვირის წვერი და ორი ნეშტო. სხვირის ზემოთი ნაწილი მაგარი ძვლისაგან არის შემდგარი, ქვემოთი-კაკნატელისაგან. შიგნიდგან ცხვირი მოფენილია ლორწოიანი კანითა. სხვირით სუნს ვარჩევთ და ვსუნთქავთ, უფრო ხშირათ, მინამ პირითა.

პირიდგან შიგნით გვამში ორი მილი ჩადის: ერთი, რომლითაც ვსუნთქავთ, კისრის შუაზედ ჩადის და ჰქვიან სასუნთქავი ყელი; მეორე ამის უკან ჩასდევს და იწოდება სასაქმლო ყელათ. სასუნთქავი ყელის ზემო ნაწილში დამალულია ხმის ორგანო.

პირი ძალიან რთული ორგანოა. ბარედგან დაფარულია ორი რბილი და წითელი ტუჩებით. პირს შიგნით ჩვენ ვარჩევთ: ყბებს, ღრძილებს, კბილებს, სასას, ენას და ყანყრატს.

თეთრეულ კბილში ორი ნაწილი განიხრჩევა: ზემოთი ანუ თავი, და ქვემოთი ანუ ძირი. ზემოდგან კბილი მოთენილია წმინდა და ბრწყინვალე მინაჭარით. ქაცი უკბილოთ იბადება და რამდენიმე თვის უკან ერთი მეორის შემდეგ კბილები ამოუა. ეს პირველათ ამოსული კბილები სარძევე კბილებათ იწოდება. შვიდ ანუ რვა წლის შემდეგ ყმაწვილს ეს სარძევე კბილები დასცივება და სამუდამო კბილები ამოუეა. ძბილებს სხეა და სხეა ფორმა ანუ სახე აქეთ. წინ ორივე ყბაში ოთხ-ოთხი ბასრი ანუ წვეტიანი კბილები სხედს, რიცხვით რვა. ამ კბილებით, რომლებსაც წინა კბილებს ეძახიან, საქმელს ჩვენ დანასავით ვსჭრით და ამისათვის შეიძლება დაუძახოთ საქრელი კბილები. ამ საქრელი კბილების უკან ორივე მხარეს და ორთავე ყბაში თითო თითო გძელი და წვეტიანი კბილი ზიის. ეს კბილები რიცხვით ოთხია და ეშეებათ იწოდება, ამათი დანიშნულობა საქმლის დაგლეჯაში მდგომარეობს. შემდეგ გამწკვრიებულია სქელი და პტყელ თავიანი კბილები, რომლებზედაც პატარ-პატარა როკებია ამაღლებული. ამ პტყელ კბილებს ძირის კბილებს უძახიან. ამ კბილებით ჩვენ საქმელს ვნაყამთ და ვფქვამთ. ადამიანს სულ 32 კბილი აქვს.

რადგანაც პირი ძალიან რთული ორგანოა, ამიტომ რამდენსამე სამსახურს აღსრულებს. პირით ჩვენ ვჭამთ, ვლაპარაკობთ და ვსუნთქავთ. სხეა და სხეა ასოს გამოთქმაში პირის ყველა ნაწილი და თითქმის ცხვირიც მიიღებს ხოლმე მონაწილეობასა. მაგალითათ, ასო ა ჩვენ შეგვიძლია მარტო სასით გამოვთქვათ; პ ან ბ რომ გამოვთქვათ, უნდა ტუჩები ვიხმაროთ; ვ გამოსათქმელათ ქვეითი ტუჩი ქვეითა კბილებს უნდა მივაკაროთ; კ გამოსათქმელათ ენა სასას უნდა მივაბჯინოთ; ასოს დ კბილები და ენა ერთათ გამოსთქმენ ხოლმე; ასო ნ გამოთქმაში ცხვირიც მონაწილეობას იღებს.

მთელი ჩემი სხეული გარედგან ტყავშია ჩასმული. ბევრს ნადირს ტყავი ბანლით აქვს შემოსილი; ადამიანის ტყა-

ვი კი სულ ტიტველა და თანასწორეა; მაგრამ, თუ დავაკვირდებოთ კარგათ ახლო, ჩვენ ტანზედ პატარ-პატარა წერტილებს დაინახავთ; ესენი არიან პაწაწინა ნახვრეტები, რომლებსაც შეიძლება საორთქლებელი ანუ საოფლებელი დაუძახოთ, რადგანაც იმათით შიგნიდან ორთქლი ანუ ოფლი გამოდის. თავის ზემოთი ტყავი მოფენილია გრძელი და სქელი თმით. სხეულს მთელ ტყავზედაც უგრეთვე აქა იქა ამოსულია პატარა პატარა მოთეთრო ბაღანი, მაგრამ ეს ისე თხელი და წვრილია, რომ თითქმის არცკი ჩანს.

ჩემს სხეულს რომ ხელი მოვკიდო, მე შევეხები ტყავის ქვეშ მაგარს რალაცას, - ეს არის ძვლები. ბარედგან ხელის მოჭერით მე შემიძლიან გაეაჩიო მარტო უმთავრესი და დიდი-ძვლები. თავს რომ შევეხო, მე ხელში თავის ქალა მომხვდება. ეს ქალა შემდგარია რამდენიმე გამობერილი ძვლებისგან, რომლებიც ერთი ერთმანეთთან ნაპირებით გადამბული არიან ქოჩნის ნატეხებივით. თავის ქალის ყველა ძვლები ერთათ შეადგენს ერთ მრგვალ ძვლის ყუთს, რომელშიაც არის დამალული ძალიან საჭირო და ნაზი ორგანო-ტენი. თავში მე კიდევ ხელში მომხვდება ორი ყბა-ზევითი და ქვევითი. ზემოთი ყბა მიკრულია ქალასთან ისე მაგრა, რომ მარტო იმასთან შეუძლია გაინძრეს და თავის თავათ კი ვერ იძვრის; ქვევითი ყბა კი თავისუფლათ მოძრაობს, ამიტომ რომ ქალასთან არ არის შეზდილი ანუ შეხორცილი, არამედ მიბმულია იმაზედ საკუთარი მაგარი და მოქნილი გადამბმელებით. მე შემიძლიან ქვემოთი ყბა ძირს დაუშვა, მაღლა აეწიო, ერთი მხრიდან მეორესკენ მივიქნიო; ამის გამოისათაც მე მაქვს შეძლება პირი მოვკუმო და გაეალო, ვილაპარაკო და ვლექო. ორივე ყბებში კბილები არიან ჩამსხდარნი.

თავი რბილ კისერზედ არ არის დამაგრებული; ის დაზვენილია ხერხემალზედ, რომელიც კეფიდგან ჯერ კისერში და შემდეგ ზურგის შუა ჩასდევს მთელი ტანის სიგძეზედ.

ხერხემალი შესდგება მშ პატარა ძელისაგან, რომლებსაც წელის მძივები ჰქვიათ; ამიტომ შეიძლება ხერხემალს მძივის ბოძი დაეარქვ. თ. წელის მძივებს შეიძლება ხელით შეეცხოთ; ესენი ერთი ერთმანერთზედ აწყვია და დამაგრებულთა მაგარი და მოქნილი გადასაბმელით. ხერხემალი შეადგენს ერთ გრძელ მილს, რომელიც ტვინით სავსეა თავის ქალასავეთ. წელის ტვინს ერთობა აქვს თავის ტვინთან. მძივის ხერხემალი რომ ერთიანი და მაგარი ძალი ყოფილიყო, მაშინ კაცი ვერც წინ მოიხრებოდა, ვერც უკან გადისრებოდა, ვერც გვერდზედ გადისნიკებოდა, ვერ შეიძლებდა კისრის მიბრუნ-
მობრუნებას, ვერც თავს გაანძრევს.

ხერხემალი ტანის უმთავრესი შუა ძვალია. იმაზედ არის მიბმული სხვა დანარჩენი ძვლები; ზემოთ ნაწილზედ დამაგრებულთა გვერდის ნეკნები და ამათზედ კიდევ ხელების ძვლები; ხერხემლის ქვემოთ ნაწილზედ დიდი და მაგარი თეძოს ძვლებია დაკავშირებული და მათთან კიდევ ფეხების ძვლები. ნეკნები იწყება მძივის ხერხემლიდან, ძალიან იკაკვება ორივე გვერდებზედ და ადგენს მკერდის ბუდეს, სადაც გული სცემს და ფილტვები ჰკიდია, რომლებითაც ჩვენ ვსუნთქავთ. პას 12 წყვილი ნეკნი აქვს. ზემოთ შეიდი წყვილი ნეკნი წინ მკერდის შუა ადგილას ერთდება პტყელ და განიერ მკერდის ძვალთან, რომელსაც შემოძლია ხელი დავა-
ბჯინო. ქვეითი ხუთი წყვილი კი ერთი ერთმანეთთან ბოლოებით არ ერთდებიან. ხერხემლის ქვემო ნაწილზედ მიბმულია სამი ძვალი, ერთ დიდ და მაგარ ძვალთ შიზდი-
ლი; ამ ძვალს ჰქვიათ თეძო. ეს ძვალი იმაგრებს მთელ ტანსა და ფეხების ძვლებიც იმაზედ არის მიმაგრებული.

თვითეული ხელი შეერთებულია მკერდის ბუდესთან ორი ძვლითა: ბეჭითა და ლავიწითა. ბეჭი არის განიერი, სამკუთხიანი და პტყელი ძვალი და სძევს ნეკნების უკან ზურგზედ. ლავიწი მომცრო, თხელი და მორკალული ძვალია და მხრიდან გულის ფარის თავზედ გადადის.

ხელის ზემოთა ნაწილში ერთი სქელი და გრძელი ძვალია. რომელსაც მხრის ძვალს ეძახიან; წყრთაში ორი ძვალია: ერთი უფრო სქელია, მეორე უფრო ვიწრო. ხელის მტევანშიც ბევრი ძვლებია: შაჯისა, თითებისა. ხელის მტევანი შაჯის ძვლით ერთდება წყრთის ძვლებთან.

შეხის ზემოთ ნაწილში ანუ ბარძაყში გძელი ძვალია, რომელსაც მენჯის ძვალი ჰქვიათ. შუა ნაწილში კი ანუ კანკში ორი ძვალი ძვეს; მუხლში კიდევ ერთი პატარა ძვალია, რომელსაც კვირისთავს ეძახიან, რადგანაც კვირისთავს ჰგავს. თუითონ ფეხში ბევრი ძვლებია. შეხის ძვლები, როგორც ხელისა, სამ ნაწილათ განიყოფება; ქუსლისა, ფეხის გულისა და თითების ძვლები. ქუსლზედ დაბჯენილია მუხლის ძვლები, ქუსლის ქვევით იწყობა ფეხის შუა გული, რომელზედაც თუითონ თითების ძვლები აბია.

ქველა ძვლები ერთმანეთზედ მიმაგრებულნი არიან მაგარი და მოქნილი გადასაბმელებით და შეადგენენ ჩონჩხსა. ქაცის მთელ სხეულს ეს ჩონჩხი იმაგრებს. თუ სხეულს ხელს მოუსჯამთ, ვიგრძნობთ, რომ ძვლები დაფარულნი არიან რალაცა რბილი და შეუდრეკელი რამით, - ეს არის ხორცი ანუ მუსკულები. მუსკული მოუდრეკელია რეზინივით და შეუძლია შეკუმშვაც, ანუ შემოკლება, და გაშლაც ანუ გაგანიერება, რის გამოისათაც ჩვენი ნაწილების მოძრაობა შეგვიძლია. მაგალითათ: მხარი წყრთასთან მუსკულებით არის შეერთებული; როდესაც ეს მუსკულები შეიკუმშებიან, მკლავი მოიკაკება, და როდესაც გაიშლებიან — გასწორდება. ქაცის სხეულში დიდრონი და პატარა მუსკულები ძალიან ბევრია. პირის სახისაც მცირე შენძრევა დამოკიდებულია მუსკულების შეკუმშაზედ და გაშლაზედ. ჩვენი ენაც ეგრეთვე არის ძალიან დიდი და მოქნილი მუსკული. მოძრაობა მუსკულებს ძალიან ამაგრებს. შინც ბევრს დადის, იმას ფეხის მუსკულები შეექნება მაგარი და ღონიერი; ვინც ხელებით მუშაობს, ხელის მუსკულები გაუმაგრდება და

გაულონიერდება. ზარმაცებს მუსკულები უძლიური და სუსტი აქეთ და მალეც ეღალებათ: მუსკულები ძელებზეა მიბმული ხმელი ძარღვებით, ანუ თმისარდლებით; ხმელ ძარღვებს იმიტომ ეძახიან, რომ გაარჩიონ ისინი იმ რბილ ძარღვებიდგან, რომლებშიაც სისხლი მდინარეობს.

მაგრამ თვითონ მუსკულები არ იკუმშებიან და იშლებიან, და არც თვითონ ამოძრავებენ ჩვენ სხეულს: იმათ კუმშამენ და შლიან კაცის ნებით ძაფივით წმინდა ნერვები. ეს ნერვები ძალიან ბევრია კაცის სხეულის ყველა ასოში, რომელსაც კი გრძობის ან მოძრაობის ნიჭი აქვს; ნერვები მთელ სხეულში გაბმულ — გამოზბმული არიან. ისინი გამოდიან თავის ქალის და ხერხემლის ტვინიდგან პატარ-პატარა ნახვრეტებში. რომელი ნერვებიც თავის ტვინიდგან თვალლებთან მოდიან, იწოდებიან თვალის ნერვებათ; რომლებიც ყურებთან, -სასმენაროთ და სხვანი. ნერვები, რომლებიც მუსკულებში შედიან და ხან ჰკუმშამენ და ხან შლიან მათ, იწოდებიან მოძრაობის ნერვებათ, ამიტომ რომ იმათი საშუალობით კაცს შეუძლიან თავის სხეულის სხვა და სხვა ასო მოძრაობაში მოიყვანოს. თვალლებთან რომ ნერვები მიდიან, ისინი თუ წახდნენ და მოქმედების ნიჭი დაჰკარგეს, მაშინ კაცს მოაკლდება მხედველობის ნიჭი, თუმცა რომ მისი თვალები უწინდებურათ იცქირებოდნენ. თუ წახდნენ და აღარ იმოქმედეს იმ ნერვებმა, რომლებიც ხერხემლის ტვინიდგან ფეხების მუსკულებში მიდიან, მაშინ კაცს ფეხები დაუდუმნდება და სიარულის ნიჭს სრულიად დაჰკარგავს, თუმცა ფეხები ისევ მრთელი ჰქონდეს. თუ კი თითონ ტვინი, რომლიდგანაც მთელ სხეულში ნერვები იფანტებიან, წახდა და აღარ იმოქმედა, მაშინ ადამიანი დაჰკარგავს გრძობის ნიჭსაც და მოძრაობისასაც. აი ამისთვის არის ეს ყოველად უსაჭიროესი და ნაზი ორგანო დამალული თავის ქალის და ხერხემლის მაგარ ძელებ შუა.

თუ ჩვენს ტყავს გაეჭრით სადმე, მაშინ ამ ადგილიდგან

გამოჩნდება თხელი, წითელი და თბილი სისხლი. სისხლი მდინარეობს კაცის სხეულის რბილ და ძალიან წვრილ მილებში, რომლებსაც ძარღვები ჰქვიათ. ოითი რომ დავადოთ მაჯის ძარღვსა, ან კისრისას, ან კიდევ საფეთქლის ძარღვსა, ჩვენ ვიგრძნობთ, რომ ტყავს ქვეშ რაღაცა ჩუჩუნებს, რაღაცა სცემს, — ეს იკუმშება და იშლება ძარღვი, რომელშიაც სისხლი მდინარეობს. ხელში რომ კარგათ ჩაეკვირდეთ, ჩვენ შევამჩნევთ, რომ ტყავის ქვეშ წასულ-წამოსულია ძარღვები, მაგრამ ძალიან წვრილი ძარღვების დანახვა კი ტყავ ქვეშ არ შეგვიძლია. ესენი არა თუ მუსკულებს შუა გადიან, თითონ მუსკულებშიაც მოფენილნი არიან, ამიტომაც კაცის ხორცს წითელი ფერი სძევს. ჩვენი ლოყების და ტუჩების წითელი ფერი წარმოსდგება იმ სისხლ მზიდველ ძარღვებისგან რომლებიც ტყავიდგან ამოსჭვივიან. ოთუ ჩვენ ერთი ხელი მეორეზედ ძრიელ დავირტყით, მაშინ შევნიშნავთ, რომ ის ადგილი, სადაც ხელი დავირტყით, პირველათ ფერს დაჰკარგავს, და მერმე ისევ გაწითლდება. ეს ამისგნით არის, რომ იმ ადგილიდგან სისხლი ჯერ გაიქცა, მერმე კი მომეტებულათ შოაწვა. სხეულში ძარღვები გაბმულ გამობმულია ურიცხვი ტოტებივით. მაგრამ ესენი სულ ერთიანათ გულთან იკრიფებიან, რომელიც იმყოფება მკერდის მარცხენა მხარეს ნეკნების ქვეშ და რომელიც დაუდგომელათ სცემს, ე. ი. იკუმშება და განიერდება. როდესაც გული გაგანიერდება, მაშინ იმაში სისხლი ჩადის, როდესაც მოიკუმშება, მაშინ სისხლს ძარღვებში გზავნის.

საცოცხლებლათ ჩემთვის, როგორც ყველა ადამიანისთვის, საჭიროა საჭმელი და სასმელი. უსაჭმლოთ და უსასმლოთ მე შიმშილით და წყურვილით მოვეკვდები. როდესაც დიდ ხანს არა ვჭამ, მაშინ ჩემს თავს მე უსიამოვნოთ ვგრძნობ, ჩემის სხეულის ყველა ასო უძლოურდება, არაქათი ეღვევა და სუსტდება. როდესაც საკმაოთ ვჭამ, მე ვყოჩადები, ვმაგრდები და ვლონიერდები. საჭმელს მე პირში კბილებით ეღვევ, ნერწყვით ვასველებ და მერმე ვყლაპავ.

ჩაყლაპული საქმელი გაივლის სასაქმლო მიღს და ჩვე კუჭში, რომელიც იმყოფება გვამის ქვეითა ნაწილში. ქუჭი მოხარშამს საქმელსა, ე . ბ. სისხლათ გარდააქცევს მიღებული საქმლის ნაყოფიერ ნაწილებს; უსარგებლო და უნაყოფო ნაწილებს კი გარეთვე გამოჰყრის. სისხლი ჯერ მიმდინარეობს ძარღვებში და ჩადის გულში, მერმე გულიდგან განოდის და სხვა ძარღვებით ფილტვებში ამოდის. შილტვები მდებარეობენ მკერდში; ეს დიდი და რბილი ორგანო შემდგარია ძრიელ პაწაწ-პაწაწინა ურიცხვ მილებისაგან. შილტვებით ჩვენ ვსუნთქავთ, ე . ი. ჰაერს ჩავისუნთქავთ და ამოვისუნთქავთ ხოლმე. ჰაერი ფილტვებში ჩადის, მერმე იმათგან ისევ ამოდის სასუნთქავე ყანყრატის, ცხვირის და პირის შუამაელობით. როდესაც ჩვენ ვსუნთქავთ, ე . ი. როდესაც ჩვენ ჰაერს ვყლაპავთ, მაშინ ჩვენი მკერდი მალა იწევს, განიერდება და ფილტვებიც იშლება; როდესაც ამოვისუნთქავთ ჰაერს, მაშინ მკერდი დაბლა დაიწევს და ფილტვებიც იკუმშებიან. სუნთქვისთვის საჭიროა ჰაერი, და კაცი უჰაეროთ უფრო მალე მოკვდება, ვიდრე უსაქმლოთ. რაკი რომ ფილტვებში სისხლი გარეთ ჰაერს შეეხება, მაშინვე აღწითელ ფერს მიიღებს და ფილტვებიდგან აისხლი ისევ გულში დაბრუნდება. ხოლო გული თავის განუწყვეტელი შეკუმშვით და გაშლით გზაენის მას მთელ სხეულში, რომელიც სისხლით საზღოვობს და იზრდება.

ძვლებიც, შეერთებულნი მოქნილი გადასაბმელებითა, მუსკულებიც, მიმაგრებულნი ძვლებზედ ხმელი ძარღვებითა, სისხლის მზიდველი ძარღვებიც და ნერვებიც გარედგან სულ ტყავით არიან დაფარულნი. სხეულის შიგნითაც იმყოფება რემდენიმე უსაჭიროესი ორგანები, რომელთაგან უპირველესნი არიან: ტვინი, რომელიც ძვეს თავის ქალაში და წელის ზერხემალში, გული და ფილტვები, რომლებიც მკერდში იმყოფებიან და კუჭი, რომლის ბინა მუცელია.

როდესაც მე ჩემ თავს სრულ-წლოვან ექვაცებს ვადა-

რებ, ვხედავ რომ მე ჯერ კიდევ დიდი და ღონიერი არა ვარ, მაგრამ უწინ უფრო პატარა და სუსტი ვიყავ; როგორც ამბობენ, თურმე სიარული და ლაპარაკიც მაშინ არ შემძლებია, მაგრამ მე ეს დრო არ მახსოვს. ზავა კიდევ რამდენიმე წელიწადი, მე ვაფიზდები, ვაფხდები დიდი, ძლიერი და შევიქნები სრული კაცი; ამას შემდგომ გაივლის კიდევ ერთი ოც და ათი წელიწადი და მე დაბერებასაც ვიწყებ: ღონე მომაკლდება, პირის სახე მომეხმანქება, თვალები დამისუსტდება, კბილები დამცვივა და შევიქნები მოხუცებული. შემდეგ სიკვდილის დროც მოვა, ჩემი სხეული გრძნობის და მოძრაობის ნიჭს დაჰკარგავს, შემდეგ დაიშლება და გარდიქცევა მიწათ, ჰაერათ, საიდგანაც შექმდგარია. მაგრამ ჩემი სული კი არაოდეს არ მოკვდება, ამიტომ რომ ღმერთმა თუმცა მოკვდავი სხეული მოჰცა, მაგრამ სული კი უკდავი მომანიჭა. მხლა კი ჩემი სხეული ცხოვრებს, სვამს, სჭამს და იზრდება, გრძნობს და მოძრაობს, ამიტომ რომ სიცოცხლის ნიჭი აქვს მოცემული.

ხუთი გრძნობა.

ჰეელა მრთელ კაცს ხუთი გრძნობა აქვს: მხედველობა, სმენელობა, ყნოსვა, გემოვნება და შეხება.

მხედველობის ორგანი თვალებია. თვალებში იხატება ყველა ფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ: ადამიანები, ცხოველები, მცენარეები, სახლები, ბაღები, მინდვრები, მთები, ვარსკვლავები და სხვანი. ჩვენ თვალებით ვცნობთ სხვა და სხვა ფერსა: წითელსა, თეთრსა ყვითელსა, ლურჯსა და სხვასა. სიშორეს და საგნების სახეს ანუ ფორმას აგრეთვე თვალებით ვიგებთ. ამიტომ ვინც თვალებით ბრმაა და ვერაფერს ხედავს, რამდენიც უნდა ელაპარაკო, ვერას დროს ვერ წარმოიდგენს რაიმე ფერსა; ამისთანა კაცისათვის სიტყვები: თეთრი, წითელი,

ლურჯი სრულიად უაზრონა არიან. თვალი ყველა ორგანებზედ უსაჭიროესია; ამიტომ უნდა ყველა-ფერს ერიდო, რაც თვალისთვის მანებელია; მზეს თვალი არ უნდა გაუსტერო, ამიტომ რომ ბრწყინვალე შუქი თვალებს გატყენს და იმათ სისალისთვის ძრიელ მაწყენარია; აგრეთვე კითხვის ან წერის დროს თვალები წიგნთან ან ქალღმერთთან ახლო არ უნდა დაიქირო, ამიტომ რომ თვალები დაგისუსტდება და ბოლოს დაგიბეცდება. თვალები უნდა შორს ხედვას დააჩიოს სოფლის ხალხს, რომელიც თვალებს შორს ხედვაში ავარჯიშებს, ყოველთვის უფრო სალი და გამჭიანხი თვალები აქვს. მინამ ქალაქელებს და მეტადრე მწიფნობრებს.

სმენელობის ორგანი ყურებია. ყურებში ყველა-ფერი ხმა ისახება. ყურით ჩვენ გვესმის: ზარის რეკა, ფრინველების გალობა, ადამიანების ლაპარაკი, მუხიკის ხმა, მდინარეების შუილი, ქუხილი, ძაღლის ყეფა, ქათმის კაკანი, პირუტყვების ბღაეილი. სხვადა სხვა ხმას სხვადასხვა სახელს ეძახიან. ადამიანის ხმაურობას შემდგომი სახელები ჰქვიან: ლაპარაკი, გალობა, ძახილი, ყვირილი, სიცილი, ტირილი, გოდება, კენესა, ოხერა, სტვენა, ცხვირის ცემა, ხველა, სლოკინი და სხვა. სხოველების ხმაურობა ეს არის: ჩხაეილი, ყეფა, ყმუილი, კნაეილი, წივილი, ბუტბუტი, ხრუტუნნი, ბზუილი, ბღაეილი, ჭიხინი, კაკანი, ჭყივილი და სხვა. შესულო არსებათ ხმა ეს არის: შუეილი, შრიალი, ზუზუნნი ანუ ქიქინი, წკარუნნი, შხივილი, რაკუნნი, ჭრიალი, ტკაცანი, ჭეკა, ქუხილი და სხვა. ყველა ეს ხმა ჩვენ ყურების შემწეობით გვესმის. მინც ყრუა, იმას არ ესმის არც ადამიანის ლაპარაკი, არც ფრინველების გალობა, არც ჭეკა-ქუხილი და არც სხვა ხმაურობა. —

თვალ დახუტულმა და ყურებ დაკობილმა შეგვიძლია გაიგო ფეჩი ცხელია, თუ ცივი, სტოლი თანასწორია, თუ ხორკლიანი, ნიეთი მრგვალია, თუ კუთხიანი, მძიმეა, თუ მსუბუქი, პატარაა, თუ დიდი, სქელია, თუ თხელი, მაგარია, თუ რბილი, ხმელია, თუ სველი. ჩვენ ეს შეგვიძლია შე-

ვიტყოთ შეხების შემწვობით. ჩვენ შეხებას ვგრძნობთ: ხელით, პირით, თუხით, ერთი სიტყვით-ჩვენი სხეულის მთელი ტყავით, მაგრამ უკეთესად შეხების გრძნობა თითების ბოლოს არის.

ჩვენ შეგვიძლია ვარდი, მიხაკი ვიცნოთ და ერთმანეთში გაფარჩიოთ, თუმცა ამ მცენარეებს არ ვხედავდეთ და გეგმობთ არ უნახოთ. ჩვენ ამათი ცნობა სუნით შეგვიძლია. სუნის ანუ ყნოსვის ორგანი ცხვირია. პარღს, მიხაკს, პიტნას, იას და სხვებს სუნი აქვთ; ამისთანა მცენარეებს სუნიანს ეძახიან. მაგრამ ზოგს საგანს სუნი სრულივდ არა აქვს, მაგალითათ წმინდა წყალსა, ბევრს ცხვირს ადამიანზედ უფრო მახვილი ყნოსვა აქვს და საგნებს დიდ მანძილზედ იცნობს ხოლმე. მაგალითათ: ძალდი რამდენიმე საათის შემდეგ თავის პატრონის გზას პოულობს; ამიტომ რომ ის გამჭვირად ყნოსვით იმის კვალს მისდევს.

პური, ხორცი, წყალი, რძე, შაქარი და ძმარი შეგვიძლია ვიცნოთ და ერთმანეთში გაფარჩიოთ, თუმცა არ ვხედავდეთ, არც შევხებოთ და არც ვუსუნოთ. ჩვენ ამათ ვიცნობთ, თუ გემოთ ვნახავთ. გემოს ჩვენ უნით და სახით ვგრძნობთ. სხვა და სხვა საგანს სხვა და სხვა გემო აქვს. მაგალითათ; წყალს უგემოა, შაქარი ტკბილი, ძმარს მჟავეა, მარილი მტუტე, ხარდლი მწარეა და სხვანი. გემოთი ჩვენ ვიტყობთ: სიტკბილეს, სიმჟავეს, სიმწარეს, სიმტუტეს და სხვებს.

თვალვითა ვხედავთ, ყურებით ვისმენთ, ჭხვირით ვყნობთ ანუ ვსუნავთ, უნით ვგემოვნებთ, სხეულის მთელი ტყავით შეხებას ვგრძნობთ. მაშასადამე, ჩვენ საგნების ცნობა სხვა და სხვა სახით შეგვიძლია. ზოგ საგნებს თვალთა ან ყურით ვცნობთ, ზოგს ყნოსვით, ზოგს გემოთი, ზოგს შეხებით. ხედვით, სმენით და ყნოსვით ჩვენ საგნებს გარჩევად მოწიღვან შეგვიძლია; მაგრამ შეხებას და გემოს ვერ ვიგრძნობთ, თუ ჩვენს სხეულს საგანი არ მოხვდა. ზოგს საგნებს ვეწვლა ხუთი გრძნობით ვცნობთ, ზოგს ოთხი გრძნობით.

ზოგს სამით, ზოგს ორი გრძნობით და ზოგს მარტოკა ერთით. მაგალითად: ვაწლს მე ყველა ხუთი გრძნობით ვცნობ; მე ვხედავ, რომ ის მრგვალია, წითელია, ან ყვითელი, ზეზედ ჰკიდია და სხვა; მე მესმის, როცა ის ზევიდგან ვარდება, გახლეჩის დროს ხმას იღებს; მე იმის სუნს ვცნობა; მე გემოთი ვარჩევ, ტკბილია, თუ მჟავი; შეხებით ვიგებ, ფშლი სუფთაა, თუ ხორკლიანი. მარლოს მე ოთხი გრძნობით ვცნობ, რადგანაც სუნი არა აქვს. ჰაერს მარტოკა ორი გრძნობით ვარჩევ: მე მესმის ჰაერის ზუზუნნი და იმის შეხებასაც ვგრძნობ, მაგრამ იმას ვერ ვხედავ, ვერ ვცნობა და ვერც გემოთ ვნახავ. მზეს, მთვარეს და ვარსკლავებს მხოლოდ თვალით ვშინჯავთ, იმათი არც ხმა ვიცნობ, არც სუნი, არც გემო. სითბოს და სიცივეს ვგრძნობთ მარტოკა შეხებით, დამათ ვერც ვხედავთ, ვერც ვცნობა, ვერც ვისმენთ, ვერც გემოთ ვნახავთ. ამიტომ ვინც ერთს ან ორ გრძნობას მოკლებულია, იქას ქვეყნის მთელი ცნობა არა აქვს.

ჩვენი აზრით თვითონ თვალები ხედავენ, თვითონ ყურები ისმენენ, გემოსაც თვითონ ენა გრძნობს, სუნსაც თვითონ ცხვირი იტყობს და თვითონ ტყავი გრძნობს შეხებას, მაგრამ ამაში ძალიან ვსტყუედებით. თვალები, ყურები, ენა, ცხვირი და სხეულის ტყავი მარტო შუამავალი ანუ ორგანები არიან, და არა თვითონ მგრძნობელნი. ჩვენ ყველას ვგრძნობთ მარტოკა თავის ტვინში. როცა თვალში საგნები იხატებიან, ამ გამოხატულობას ვხედავთ ტვინში, რომელიც თვალის კაკალთან შეერთებულია სამხედველო ნერვით. ეს ნერვი რომ გადიჭრას, კაცი მაშინ ველარაფერს დაინახავს, თუმცა თვალები ისევ სალი ჰქონდეს და საგნები შიგ უწინდებულრათ იხატებოდნენ. აქედან ცხადათ სჩანს, რომ საგნებს თვითონ თვალი არ ხედავს და ეს მარტოკა შუამავალი ანუ ორგანია. მსვე უნდა ვსთქვათ სმენელობაზედაც. ჩვენ გგონია ყოველს ხმას თვითონ ყური ისმენს; მაგრამ ვსტყუედებით. შურს მარტოკა ჰაერი მიეხლება ხოლმე და

ხმას ჩვენ ვისმენთ თავის ტვინში, რომელიც ყურთან სასმენელი ნერვით არის შეერთებული. ეს ნერვი რომ გაწყდეს, მაშინ ყურს კავშირი ტვინთან აღარ ექნება და კაცი ველარაფერს გაიგონებს, თუმცა ყური ისევ სალი დარჩეს. ესვე უნდა ფსტქვათ სხვა გრძნობის ორგანებზედაც. მემოს, სუნს და შეხებას ჩვენ ვგრძნობთ ტვინში და არა ცხვირში, არა ენით და არა სხეულის ტყავით. თუ კაცს ტვინი სულ წაუხდა, მაშინ ყველა გრძნობას დაჰკარგავს, თუმცა იმას ისევ სალი თვალები, სალი ყურები, სალი ენა და სალი ცხვირი ჰქონდეს.—

ნიჰიქებანი.

მე მესზის, რასაც მეუბნებიან, შემიძლია ჩემი აზრი, გრძნობა და სურვილი სიტყვებით გამოვხატო და სხვას შევატყუობინო.— მე მაქვს სიტყვიერების ანუ მეტყველობის ნიჰი.

თუ რომ მე ვშინჯამ რასმე, ანუ ბეჯითათ ყურს უგდებ ვისმე, შერმე შემიძლია, როდესაც მსურს, მოვიგონო ის, რაც ვნახე და გავიგონე; მე შემიძლია გაკვეთილი დავისწავლო და შემდეგ მოვიგონო და წარმოვსტქვა. ჩემი ნაცნობი კაცების სახე და სახელები მახსოვს, აგრეთვე მახსოვს მრავალი საგნის სახელები. მე მაქვს მესხიერება ანუ სახსოვარი.

მე თუ მინდა შემიძლია ძალიან ცხადათ წარმოვიდგინო, თუ არა სიამოვნებას გამოვივლი, როდესაც ზათხული დადგება; როგორ ვისეირნებ, ხილს როგორ მოჰკრებ, თევზს როგორ დავიჭერ, ამხანაკებთან როგორ ვითამაშებ და სხვას კიდევ ბევრს რასმე. მე ვგრეთვე შემიძლია ცხადათ გონებაში გამოვიხატო ჩემი ნაცნობი კაცის სახე. ღამე მე მალ-მალ ვხედავ სიზრმებს და სიზმარში ის მეჩვენება, რაც ნამდვილათ არ არის. მე მაქვს წარმოდგენის ანუ გამოხ ტვის ნიჰი.

მე ყველა-ფერს ვერ ჭიგებ, რასაც მეუბნებიან და რასაც წიგნში ვკითხულობ; მაგრამ როდესაც მე კარგათ ამიხსნიან და ყურადღებით შევისმენ, მაშინ ჩემთვის გაადვილდება გასაგონათ, რაც წინათ არ მესმოდა. მე ახლა ბევრი არ ვიცი, მაგრამ უწინ უფრო ცოტა ვიცოდი; რამდენათაც ბევრს ვისწავლი, იმდენათ მომეტებული მეცოდინება და უფრო ბევრს ვაფიგებ; ხან და ხან ზეპირათ მისწავლია, მაგრამ ვაფიგებთ კი ვერ ვამიგია, და როდესაც აუხსნიათ, მაშინ კარგათ მიხვდებოდა. მე მაქვს ჰკუა ანუ გონება.

მე მესიამოვნება, როდესაც მაქებენ, და მეჯაფერება, როდესაც დამტუქსავენ. მე მიყვარს ჩემი მშობლები, აგრეთვე ბევრი ჩემი ამხანაგთანი. როდესაც რამე სიკეთეს მიზმენ, ან სხვა სიამოვნებას მაჩვენებენ, მაშინ მე მადლობას ვგრძნობ. მე ვჯაფრობ, როდესაც მწყინს რამე, ვიცი, როდესაც მესიამოვნება რამე, ვტირი, როდესაც მწუხარეთ ვარ. მე მაქვს მრავალი შინაგანი სულიერი გრძნობანი.

როდესაც მე ჩემს ვაკეთილს დავისწავლი, შევასრულებ ყველას, რისაც ვალდებული ვარ, როდესაც არა ფერი დანაშაულობა არ მიქნია, მაშინ გული მშვიდათ, ნათლათ მაქვს და ტკბილ კმაყოფილებას ვგრძნობ. ხოლო როდესაც ვიზარმაცებ, ან უმორჩილებას ვაფწევ, ანუ ვიეშმაკებ, ან ცუდ უბრალოთ ვაწყენებ ვისმე, მაშინ ჩემი გული დაუმშვიდებელია და მე ჩემი ყოფაქცევის უკმაყოფილო ვარ. მე მაქვს სენდისი. ეს ნიჭი ბოროტისთვის მაწუხებს და მსჯის, კეთილისათვის კი მშვიდობას და სიამოვნებას მაგრძნობინებს.

მე ხანდახან სწავლა არა მსურს; მაგრამ მე შემიძლია ჩემი თავი ძალათ დავსვა საქმეზედ. რადგანაც ვიცი, რომ უნდა ვიშრომო და ზარმაცობა სირცხელია. მე ზოგჯერ იმის ვაკეთება არ მინდა, რასაც მიბძანებენ; მაგრამ შემიძლია ჩემ თავს ძალათ აღვასრულებინო ჩემი მშობლების ანუ მასწავლებელის ნება, რადგან ვიცი რომ ჩემთვის კეთილი უნდათ და მე იმათ უნდა დავემორჩილო, მე ზოგჯერ ის

მინდა, რაც სასარგებლო არ არის: მაგრამ მე შემძლავ ჩემ თავს ის გაფაკებინო, რისაც ვალდებული ვარ. მე მაქვს ნება.

მე ზოგჯერ ვგიჟობ, ზოგჯერ ვზარმაცობ, ზოგჯერ ვჯაერობ, ზოგჯერ უმორჩილობას ვწევ, ხან კიდევ ბოროტს რასმეჩაეიდენ, ხან ტყუილსაც ვიტყვი ხოლმე, მაგრამ მე მაქვს სურვილი, რომ ქვეიანი გავხდე, ბევრი ვიცოდე, ვიყო მორჩილი, მართლის მიმყოლი და კეთილი. მე შემძლია ასეთი შევიქნე, თუ რომ ვეცდები; — მე მაქვს სურვილი და შეძლება გაუკეთესოებისა.

ქველა ესნიჭიერებანი: სიტყვიერება ანუ მეტყველება, მესხიერება, წარმოდგენილება, ჭკუა, სვინიდასი, ნება, სურვილი და შეძლება გაუკეთესოებისა სულიერ ნიჭიერებათ იწოდებიან. —

ქაცის სხეულში ცხოვრობს უხილავი სული, რომელიც სხეულს აცოცხლებს; უამისოთ ეს მკვდარი იქნებოდა, ვერც გრძნობს და ვერც მოძრაობა ვერ შეეძლებოდა, თუმცა მრთელი ჰქონოდა ის მშვენიერათ გამართული თავისი ორგანები.

ასე — ქაცს აქვს მონიჭებული მშვენიერათ აშენებული სხეული; სიცოცხლე, თავის უფალი გონიერი და უკვდავი სული, რომელსაც სურს კეთილი და ერწმუნება ქვეყნის შემომქმედსა.

მსენარის ჰმისბან განსხვავება.

ქველა მცენარე ჯერ პატარაა, მერმე გაიზდება ხოლმე. მსთქვათ მებაღემ ბაღში ვაშლის ნამყენი დარგო. მადედაპირველათ ეს ნამყენი რამდენიმე მტკავლის სიმალლეა; მაგრამ თანდათან ყოველ წელიწადს სიმალლეს ემატება და სისქეს. რამდენსამე წელიწადს უკან დიდ ხეხილათ გარდაიქცევა და ნაყოფს მოისხამს, ქვას ეს თვისება სრულიად არა

აქეს; ის მცენარისებ არ იზრდება; თუმცა ერთს ალავს ასი წელიწადი ეგდოს, იმას არც სიმაღლე მოემატება, არც სისქე. რა არის მიზეზი ამ გასხვავებისა? აი რა: მცენარეს მიწაში ფესვები უზგენია, ამ ფესვებით ის მიწიდან სინოკიერეს სწოვს, როგორც ყმაწვილი თავის დედის ძუძუს, ამ სინოკიერეს მერმე წვენათ გადააკეთებს, როგორც ყმაწვილის მუცელი რძეს სისხლათ გარდააქცევს ხოლმე, და ამ წვენიდან ტოტები და ფოთლები იზრდებიან. საქმლის გარდა მცენარე ჰაერითაც საზრდოვობს, რომელსაც მთელი ტანით ისუნთქავს. ჰვას არა აქვს არც ფესვები, არც კამის ნიჭი, არც ჰაერის სუნთქვისა. ამიტომ ამას გაზრდა არ შეუძლია.

მცენარე მუდამ ცვლილებაშია: გაზაფხულზედ ყვავის, ზაფხულში ხილს ისხამს, შემოდგომაზედ ფოთოლი სცვივა, ზამთარში ტიტველაა. ჰვა კი ერთი და იგივე-ზაფხულშიაც ზამთარშიაც და სხვა დროსაც. მცენარეს გარეთ ქერქი აკრავს, ქერქის ქვეშ ცილა, ცილის ქვეშ გულია, და ქერქი სულ არ წააგავს მცენარის გულსა. ამის გარდა მცენარეს მ-ღლა ფოთოლი ასხია; ძირს ფესვები აქვს, რომლებიც არც ქერქსა გვანან, არც მცენარის გულსა. ჰვაში ამითანა არა ფერია; იმას სხვა და სხვა ნაწილები არა აქვს.—მცენარე რომ ზაფხულში გადასქრა, წვენი გადმოვა; ჰვა თუნდა ლუკმა ლუკმა აქკიო ცვარიც არა გამოვარა, აბა მოსქერ მცენარე, ან ძირიანათ ამოაძრე, მაშინ ნახავ, რომ ჯერ დაქკნება და მერმე სრულიად გახმება; თუ თავს ისე დაანებებ, ბოლოს დალპება. ბამხმარი ან დამპალი მცენარე რაც უნდა უყო, აღარ გაიზარდება, აღარც ფოთოლს გამოიზავს, აღარც ფესვებს გაიდგავს; ეს ამიტომ რომ მცენარე აღარ ცოცხლობს. ბადაგორე ჰვა თავის ადგილიდან, ის არ შეიცვლება, დაამტერივე ნაწილებათ, კიდევ ცვლილება არა ფერი ექნება, იმის გარდა, რომ ჰვა რამდენმე ნაწილათ გადიქცევა. მს იმიტომ, რომ ჰვა არა ცოცხლობს, და რასაც სიცოცხლე არა აქვს, ის ვერ მოკედება. მაშასადამე, მცენარე ცოცხლობს და კედება, ჰვა კი არა.

სხოველის და მცენარის მზავსება

და განსხვავება.

სხოველი საქმელს სჭამს პირით; მცენარესაც თავის ფესვებით მიწიდგან საქმელი მოაქვს. სხოველი ჰაერს პირით და ცხვირით ისუნთქავს, მცენარეშიაც ჰაერი ფოთლებიდგან და ტოტებიდგან შედის. სხოველი იზრდება, მცენარეც ჯერ პატარაა, შერმე დიდათ გადაიქცევა ხოლმე. სხოველი რამდენსამე ხნის უკან კვდება, მცენარეც ბოლოს ბერდება, ხმება და ღვება. სხოველები გაზაფხულზედ და ზაფხულში შვილებს შობავენ ხოლმე; მცენარეებიც ამ დროს ჯერ აუჯავდებიან, შერმე წაყოფს და თესლს მოიხზენ ხოლმე. ზამთარში სხოველები აღარ მრავლდებიან, მცენარეებიც ამ დროს წაყოფს არ იხზენ. მართი სიტყვით სხოველი და მცენარე ერთმანეთს იმითი წააგვანან, რომ ორივე ცოცხლობენ.

მაგრამ ამათ შუა განსხვავებაც დიდია. სხოველი ზეზე მდგომარე დიდ ხანს ვერ გასძლებს, მალე დაიღლებს, ან უნდა სიარული დაიწყოს, ან დაწვეს და დაისვენოს. მცენარე თავის სიცოცხლეში ერთ ალაგას ამართულია და დალაღვა არ იცის.—

მცენარე მუდამ იქ იმყოფება, სადაც პირველათ ამოვიდა, და ადგილს ვერ გამოიცვლის, თუ კაცმა არ გადარგოს. სხოველები კი თავის ნებით ადგილს ცვლილობენ. მაგალითათ: ცხენი და ძროხა დადის, მხეცები დარბიან, ფრინველები, პეპელები და ბუზები დაფრინავენ, თევზები ცურვენ, მატლები დაცოცავენ. მაგრამ ხეს და ბალახს არ შეუძლია: არც სიარული, არც ფრინვა, არც ცოცვა და არც სხვა თავისი ნებითი მოძრაობა.

სხენი თავის ფეხებს ადგამს, კუდს იქნევს, ყურებს ანძ-

რეს და სხვა ასოებს, როცა უნდა. აგრეთვე ყველა ცხოველს შეუძლია ასოები მოძრაობაში მოიყვანოს თავისი ნებით. მცენარეებზე ფოთლები და ტოტები ინძრევიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ქარი უბერავს, ან მაშინ, როცა წამოკაკვამს ეინმე, ან გაანძრევს. თვითონ კი თავის ნებით მცენარეს არ შეუძლია გაანძრიოს არც ფოთოლი, არც ტოტები, არც ყვავილო, არც ფესვები. მაშასადამე, ცხოველებს მინიჭებული ჰქონიათ თავისი ნებითი მოძრაობა; მცენარეები კი მოკლებული ყოფილან ამ თვისებას.

სხენს, ფრინველს, ნადირს თავისი და სხვის ხმაურობა ესმის; ხეს, მცენარეს არაფერი არ ესმოთ. ცხოველი ხედავს, მცენარე არა ფერს არა ხედავს. სხენმა, ძალმა და სხვა ცხოველებმა სუნი იციან; ერთი სიტყვით ყველა ცხოველს ხუთი გრძნობა აქვს. მცენარეს არა აქვს არც მხედველობა, არც სმენა, არც ყნოსვა და არც სხვა გრძნობა.—

სსრველის და ადამიანის მზგავსება

და ზანსხვაება.

ცხოველი და ადამიანი ერთმანეთს იმითი ჰგეანან, რომ ორივეს სიცოცხლე აქვს მინიჭებული: ესე იგი იბადებიან, სკამენ, სმენ, იზრდებიან, მრავლდებიან, მერმე ბერდებიან და ბოლოს კედებიან. ამ მხრით ადამიანს მცენარეც წააგავს. მარდა ამისა, ცხოველისავეთ ადამიანსაც თავისუფალი მოძრაობა შეუძლია: როცა უნდა ზეზედ სწორეთ დგას, ხან წევს, ხან დადის, ხან დარბის. ცხოველისავეთ ადამიანს შეუძლია ამოძრავს სხეულის ყოველი ასო: ხელი, ფეხი, თავი, ტანი და სხვანი. როგორც ცხოველს, ისე კაცს ხუთი გრძნობა აქვს. ზოგი ცხოველი ამ მხრით ადამიანს გაშორებით სჯობია:

არწი თავისი გამჭირახი თვალებით იმ სიმალლიდგან ზედავს, საიდგანაც კაცი სულ ვერაფერ გაარჩევს; სმენითაც ბევრი ცხოველი სჯობია ადამიანს, აგრეთვე ყნოსვით, მაგალითათ ძაღლი. როგორც ადამიანს, ისე ცხოველს რამდენიმე წლის გამოცდილება ახსოვს, ესე იგი იმას მესხიერება აქვს. ცხოველები ადამიანით ბევრს ჭკუას იჩენენ: თავის დაფარვაში, საჭმლის შოვნაში, ბინის ძებნაში, ბუდის გაკეთებაში, შვილების ყოლაში, იმათ აღზრდაში და სხვა მოქმედებაში. —

მაგრამ განსხვავება კი უფრო დიდია ადამიანს და ცხოველს შუა.

ადამიანი თავის ყოველ გრძნობას, სურვილს და ჰაზრს სიტყვით გამოხატევამს ხოლმე. მს არა პირუტყევს არ შეუძლია. შეტყველებას ცხოველი მოკლებულია. იმას შეუძლია სხვა და სხვა ხმით მხოლოდ თავისი შინაგანი მდგომარეობა გამოხატოს. აზრის ან სურვილის სიტყვით გამოთქმა კი ცხოველისთვის სრულიად შეუძლებელი საქმეა.

წარმოდგენის ნიჭიც მარტოკა კაცის საკუთრებაა. იმას შეუძლია გონებაში ცხადთ გამოიხატოს ის საგნები, რომლებიც დაშორებულნი არიან და იმაზედ არ მოქმედობენ. შეელა განათლებული კაცი ცხადთ იდგენს კაცობრიობის წარსულ ცხოვრებას, აგრეთვე მომავალზედ ფიქრი ადამიანისთვის ადვილია. ამიტომ ადამიანი მარტოკა აწმდგომით არ სჯერდება, ის ცხოვრობს ამასთან წარსულით და მომავალით. ამ ნიჭსაც ცხოველები თითქმის სრულიად მოკლებულნი არიან; იმათს გონებაში მხოლოდ ის იხატება, რაც თვალწინ უდგიათ და ხედვენ. ცხადი წარმოდგენა შორიელი საგნისა, თუმცა ეს კიდევ რამდენჯერმე პირუტყევს ენახოს, იმისათვის შეუძლებელია. აწმდგომს ცხოველის გონება არ გადაუვა; იმისთვის არ არსებობს არც წარსული, არც მომავალი. ამიტომაც თავიანთი ტომის ისტორიის ცოდნა პირუტყეებისთვის შეუძლებელია.

მიზნების გამოძიების ნიჭიც მარტო ადამიანისთვის

ბაა. რათ მიდიან ზამთრით ჩვენგან ფრინველები; საიღვან ჩნდება წვიმა, თოვლი, სეტყვა; ზამთარში რათა ცივა და ზაფხულში რათა ცხელა,-ეს აზრები ყველა მახვილ გონებიან ყმაწვილს მოსდის გონებაში. როცა ჭკუა მოემატება, მაშინ უფრო მძიმე საგნებზედ დაიწყებს კითხვას: ვინ გააჩინა ადამიანი ქვეყანაზედ? მინ შექმნა თვითონ ქვეყანა? საში ვარსკლავები ვინ ჩამოჰკიდა? ერთი სიტყვით ადამიანი ყოველი საგნის და მოქმედების მიზეზს იძიებს. ამ ნიქსაც დაბალი ცხოველები სრულიად არ იჩენენ. შგონიერესი ცხოველები: ძაღლი, სპილო, მაიმუნი თუმცა თავის ზოგს მოქმედებაში მიზეზის გამოძიების ნიქს იჩენენ, მაგრამ ძალიან მცირეთ. შბრალო მაგალითით ავხსნით ამას: ცხენი საბელით ხეზედ არის საძოვრათ მიბმული; იმან გარეშემო ტრიალი დაიწყო და მთელი საბელი ხეზედ შემოეხვია; ცხენი ბალახს ვეღარა სწვდება და შიმშილი აწუხებს. ამ პირუტყვეს არას დროს არ მოუვა ჰაზრათ თავის ცუდი მდგომარეობის მიზეზი გამოიძიოს. იმდენს ვერას დროს ვერ მოიაზრებს, რომ უკუღმა დატრიალდეს და საბელი ხეს მოაშოროს. რასაკვირველია ზემოთ მოყვანილი კითხვები ცხოველებს ხომ სრულიად არ მოუვათ გონებაში. ამიტომაც ლმერთი ცხოველებისთვის არ არსებობს; შმალღეს არსებაზედ აზრი ამათთვის შეუძლებელია.

ადამიანს გაუკეთესობის ნიჭი და სურვილი აქვს. შველა ყმაწვილს უნდა ჭკვიანი, კეთილი და სახელოვანი კაცი გამოვიდეს. შველა ადამიანი ცდილობს თავისი ცხოვრება და გარემოება უფრო და უფრო გააუკეთესოს. ამ გაუკეთესობის სურვილს საზღვარი არა აქვს. მსწავლულ კაცს უფრო კიდევ დიდი სწავლა სურს, მდიდარს უფრო კიდევ მონეტებულო სიმდიდრე, ოსტატს-უკეთესი ოსტატობა. ცხოველები ამ გვარს ნიჭიერებას თითქმის სულ არ იჩენენ. რაც იციან, იმაზედ მომეტებული სწავლა არა სურთ. ბევრი ფრინველი ოსტატურათ აკეთებს თავის ბუდეს, მაგრამ ის

თავის ოსტატობის გაუკეთებლობას არა ცდილობს, და როგორც ყმაწვილობაში აკეთებდა ბუდეს, ისევე სიბერეში იშვინებს. ამიტომ ადამიანები თანდათან უფრო და უფრო წინ მიდიან გაძათლებით, კეთილცხოვრებით, და პირუტყვები კი ისევე იმ მდგომარეობაში არიან, როგორშიაც უწინ იყვნენ.

ადამიანს ესმის, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. როცა კეთილს საქმეს აასრულებს, გულში კმაყოფილებასა გრძნობს; როცა ბოროტს ჩაიდენს, შაშინ სწუხდება და გულში იტანჯება. მართი სიტყვით ადამიანს სეინილისი აქვს, რომელიც იმას კეთილისთვის აჯილდოებს და ბოროტისთვის სჯეს. სხოველი ამ ნიქსაც მოკლებულია. იმისთვის კეთილი და ბოროტი ორივე ერთია, იმათში ის განსხვავებას არა სცნობს. როცა მანებელს საქმეს ჩაიდენს, ცხოველი არ სწუხს, როცა სასარგებლო რასმე მოიქმედებს, ის კმაყოფილებას არა გრძნობს. მსთქვათ ადამიანს ჩხუბში კაცი უნებურათ შემოაკვდა, მას უკან იმას სეინილისი აღარ მოუსვენებს, აწუხებს და სწვამს. სხენმა წიხლი ჰკრა თავის პატრონსა და სული გააყრფინა; რა საკვირველია ესეც დიდათ ბოროტი საქმეა, მაგრამ ცხენი არა შეწუხებას არა გრძნობს. სახლს ცეცხლი წაჰკიდა. პატარა ყმაწვილი შიგ მოჰყვა, ერთი გულადი კაცი ცეცხლში შევარდა; ყმაწვილი გამოიტაცა და სიკვდილს გადაარჩინა. რასაკვირველია, სეინილისი ამას დიდს სიამოვნებას და კმაყოფილებას აგრძნობინებს. მსთქვათ სახლში ქურდები შეიპარნენ, ძაღლმა შეიტყო, ყეფა ასტება, პატრონი გააღვიძა და სახლი გაქურდვას გადაარჩინა. პეთილი საქმეა, მაგრამ ძაღლი არ სიამოუნოსას ათვისი სასარგებლო მოქმედების გამო.

ადამიანს შეუძლია შიოდეს, საქმელი ჰქონდეს, მაგრამ მოიძინოს და არა სკამოს, სწყუროდეს, და წყალი არ დალიოს; ძილი ერეოდეს და არ დაიძინოს. მართი სიტყვით, ადამიანს შეუძლია თავისი სურვილი არ აასრულოს, თუ

მოინდომა. მაგალითათ: მარხვაში ზოგს სახსნილოც კამა უნდა, მაგრამ ითმენს; დიდ მარხვაში ზოგი რამდენსამე დღეობით პურს სულ არ გაიტარებს პირში, თუმცა საშინლათ შიან. მრთი სიტყვით ადამიანი თავისუფალია. სხოველებს არც ეს თვისება აქვსთ მინიჭებული. თავისი სურვილის სრული მონანი არიან, - მოთმინება იმათ არ შეუძლიათ.

წალიწადის დრონი.

ზამთარი.

ზამთარში მზე თუმცა ანათებს, ქვეყანას მაგრამ ცოტათ ათბობს. საში მზე ძრიელ ცოტა ხანს რჩება, - გვიან ამოდის, მალე ჩადის; დღე ძალიან პატარაა, ღამე კი შეტათ დიდი. ამიტომ ზამთარში ცივა. ჩვენ საქართველოში ზამთარი დიდი არ იცის, - ბევრი ბევრი სამი თვე გასტანოს: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი. მაგრამ სხვა ქვეყნებში, რომლებიც ჩვენგან ჩრდილოეთისკენ არიან, დიდი ზამთარი იცის. მაგალითათ, რუსეთში ზამთარი ხუთ-ექვს თვეს გასტანს ხოლმე. შინვა ამ ქვეყნებში საშინელია. ჩვენს საქართველოში კი ზამთრობით ზომიერათ ცივა. ხან ისე გაივლის მთელი ზამთარი მიწაზედ დადებული თოვლი ორჯელ თვალით ვერა ენახათ. მაგრამ ამისთანა ხმელი ზამთარი ნათესს დასძრავს ხოლმე და ჭინახულს ძრიელ ახდენს. თოვლიანი ზამთარი სასარგებლოა; თოვლ ქვეშ უფრო თბილა, თოვლი მიწაში ჰაერის ყინვას არ უშვებს; ამიტომ, როცა ნათესს ზევიდგან თოვლი აძევს, უფრო საღათ შეინახება და გაზაფხულზედ კარგს მოსავალს მოიყვანს. ზამთარში მდინარეები დაიყინებიან ხოლმე. შინულზედ გადიან და გამოდიან ქვეითით კაცები; თუ ყიიული

სკელი და მაგარია, მაშინ ურბები და მარხილებიც ზედ გა-
აქვთ. მინდორი ამ დროს სულ ტიტველაა და ამაზედ თავი-
სუფლათ ცივი ქარი დასეირნობს. შოთღები ხეებს შიგო-
ღგომაზედვე გასცივია ხოლმე, და ზამთარში გაშიშვლებული
დგანან. ტოტებზედ ფოთლების მაგივრად თოვლის ბარდა-
ნაები და ყინულის ლოლუაები ჰკიდია. ტიტველა ტყიდგან
მარტოკა ფიჭვი და ნაძვი მწვანეთ გამოჩანს.

ზამთარში ტყე და მინდორები დაობლებულენი დგანან,
სულდგმულები ძრიელ ღარიბები არიან. მწერი ამ დროს
სრულიად გამქრალია; არსადა სჩანს არც ბუზი, არც კოლო
არც სხვა და სხვა ჯიები. სად არიან ესენი ამ დროს? ზო-
გი მწერები დაიხოცნენ, მხოლოდ მიწაში თავისი კვერცხები,
დაარჩინენ, რომლებსაც გაზაფხულის მზე გამოჩეკს; ზოგი
ღრმათ ძირს მიწაში წავიდა და რქ ცხოვრობს მთელს ზა-
მთარს; ასე სჩადიან კიანჭველები და სხვა ამ გვარი მწერე-
ბი. სოცხალ მწერებს მთელს ზამთარს განუწყვეტლივ
ს ძანავთ და მხოლოდ მაშინ გამოიღვიძებენ, როცა იმათ გა
ზაფხულის მზე მიადგება.

შეტესი ნაწილი ფრინველებისა ამ დროს თბილ ქვეყ-
ნებში ატარებს ცხოვრებას. ზოგი ფრინველები ჩვენთან არი-
ან დაჩინილნი, მაგრამ ისინიც ყუდრო და თბილ ადგილებს
ეძებენ და მინდორში იშვიათათ გადიან. ჩვეულებრივ სიმხიარუ-
ლეს დასიცვლქეს სიცივე და უსაქმლობა იმათ სრულიად აკარგ-
ეინებს. შემეტესი ნაწილი დაღონებული და ფთებ ჩამოშვებუ-
ლია. რდგანაც ფრინველები მინდორში საქმელს ვერ მოულო-
ბენ, ამიტომ სოფლების ახლო დაბინავდებიან ხოლმე. ძაქ-
კაქები, ყვავები და ჩიტები საბძლებს ძრიელ ეტანებიან. ეს რის-
თვის? იმითომ, რომ საბძელში ბზესპურის მარცვლები ურევია;
ბზეს ქექენ, ამ მარცვლებს პოულობენ და ამითი იკვებებიან.
მაგრამ ძვირათ უჯდებათ საქმლის შოვნა, მეტადრე ჩი-
ტებს. სოთლის ბიქები საბძლის ბოლოს ბადეებს დაუგებენ
ხოლმე; კარებიდგან დაუქმევენ და შიგ ბევრს ჩიტს გააბ-

მუნ ხოლმე. საკრდავი სანახაფები არიან სიცივეში ეს პატარა ფრინველები. სადღაა იმათი ზაფხულის ქივილ-ხივილი, იმათი მარდი მოძრაობა, ცქციტი ფრენა და მხიარულათ ჰყივილი. სიცივე ჩიტებს ამას ყველა ფერს ავიწყებინებს. ისინი მოპუშულები და მშიერნი სხედან საბძლის საყუავეზოდ, და საკრდავის ხმით გამოჰყივიან. პერ იტყვიან ჰკვიანათ, რომ სხვა ფრინველებს ქვევითა ქვეყნებში არ გაჰყევიან ხოლმე!

შმეტეტი ნაწილი ნადირებისაც ზამთარში ბუნაგებს, სოროებს და ხის ფუტუროებს მოსძებნის ხოლმე. აქ ისინი დიდი სიცივის დროს ხანგრძლივ ძილს მიეცემიან; მაგალითათ: ზღარბი, დათვი, ვირთაგვა და სხვანი. სიცივი კი ზამთარს ბევრს არას ეპოება და თავის მოძრავ ცხოვრებას არც სიცივეში იშლის. იმან ზაფხულში ხის ფუტუროში კარგა კაკალი შეაგროვა, ზის ზამთარში, მხიარულათ ამტვრევს და შეექცევა. შინაური პირუტყეები ამ დროს თბილ ბოსლებში უბიათ. ცხენები, კამბეჩები, ხარები, ძროხები და ცხვრები სიცივისგან და შიმშილისაგან დაიხოცებოდნენ, თუ ზამთარში გარეთ სცხოვრებდნენ. მინდორის ნადირები კი დიდ შეწუხებაში არიან; მინდორში საკმაო საჭმელს ვერ შოულობენ. სიცივე და შიმშილი ზამთარში ჩააშხამებენ ხოლმე იმათ ზაფხულში ტკბილათ გატარებულ დროს. შიმშილისაგან გაცოფებული მგელი მთელი დღე და ღამე ტიტეულა მინდორში დარბის, მაგრამ ბევრს ვერაფერს შოულობს. შემცხვარეს ცხვარი მაგარ ბოსელში ჰყავს; მეღორეს ღორი საღორეში უმწყვდევია. სიკნის და გოჭების ხორციით პირს ველარ იტკბანურებს; მთელი ღამე მინდორში დაწანწალებს, იგება გარეთ ცხენი ან სხვა შინაური პირუტყვი რამე დარჩენილი იყოსო. თუ გლეს კაცს მართლა საქონელი როგორმე გარეთ დარჩა, იმან იმედი უნდა გადაიწყვიტოს. ის უთუოთ მშიერი მგლის საკბილო გახდება. შიმშილი მგელს დიდ გაბედულობას აძლევს; ღამ ღამე ის სოფელში შემოვარდება ხოლმე და ცდილობს ან ღორი, ან ბატი მოიტაცოს. ამ

დროს მგელი გლვხ კაცს ბევრს ზარალს აძლევს. არც გლვხი კაცი აუჩის ხეირსა, — ბევრი მგელი ტყვიის მსხვერპლი გახდება ხოლმე.

ზამთარში გლვხ კაცს ისე ბევრი საქმე არ აქვს, როგორც კელაფ. მაგრამ უსაქმოთ არც ეხლა რჩება. მოახლოვდება თუ არა ზამთარი, გლვხი კაცი ზამთრულათ მოეწყობა ხოლმე. ზაფხულში და შემოდგომაზედ პური და ღვინო მოიშადა, ახლა უნდა შეშაც საკმაოდ მოიტანოს. თუ ჯერ თოქლი არ არის დადებული, გლვხი კაცი შეშაზედ ურმით მიდის, თუ თოვლი ძვეს, მაშინ შეშა მარხილებით მოაქვს. ღიდი წვალების საქმეა შეშის მოტანა, მეტადრე თუ ძრიელ სივია. ზოგჯერ გზაზედ საწყალს გლვხს ნამქერი აუდგება და დიდ გაკირებაში შეიყვანს. ხან ფეხებს და ხელებს შინ დაძრულს ზოიტანს ხოლმე. თუ ნამქერი ავია და ტრიალ მენდორზედ მოასწრო, მაშინ შეუძლია გლვხი კაცი სულაც დაახრხოს. ამ გვარი შემთხვევა ძრიელ ხშირია სივ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენშიაც კი მოხდება ხოლმე. ზამთარი დასვენების დროა იმ გლვხი კაცისთვის, რომელსაც საკმაოდ აქვს პურიც, ღვინოც, შეშაც და თბილ სახლში სცხოვრობს. მაგრამ გლვხებში ამისთანა ბედნიერი ცოტანი არიან. უმეტეს ნაწილს ზამთარში ყველა ფერი აკლია; არც შიმშილისაგან არიან დაფარულნი, არც სიცივეს მოშორებულნი. მთელი ზაფხული და შემოდგომა ოფლის შრომაში გაატარეს, მაგრამ ზამთარში ისევე უქონელნი არიან; იმათ მისცეს პასუხი ხემწიფეს, მღვდელს, მოვალეს და თვითონ აღარაფერი დაჩაათ. ზამთარში შიმშილი და სიცივე, სხვა დროს განუწყვეტელი ტანჯვის შრომა, — აი რისგან წესდგება გლვხების უმეტესი ნაწილის ცხოვრება. — ბადვიხედოთ ახლა ქალაქებში. ძალაქელები ცხოვრებით გლვხ კაცებს არ წააგვანან; ესენი იმათ ტანჯვას დაშორებულნი არიან და თავის სიკაცხლეს ტკბილათ ატარებენ. ბლვხი კაცის დაბებრებული ხელებით მოჭრილი და მოზიდული შეშა იმათ ზამთარში ოთახებს

უთბობს, იმისი ოფლით მოყვანილი პური და იმისი ტანჯვით დაზდილი საკლავი პირუტყვი ქალაქელებს ასაზღოებს, იმისი შრომით დაყენებული ღვინო ამათ ღროს ქეიფში ატარებინებს. ისინი სთესენ, ესენი მკიან!

გაზაფხული.

ღღე ღვეკმბრიდგანვე მატულობს; ცხრა მარტს კა ღღე ღამეს სრულიად უსწორდება და გაზაფხული აქედგან იწყება. ამ ღროს მზე თანდათან გვიახლოვდება, სამხრეთიდგან ჩრდილოეთისკენ მალლა-მალლა მოდის, უფრო ადრე ამოდის და გვიან ჩადის; ამიტომ ღღე ღიდდება, ღამე კი ცოტა-ცოტათი პატარავდება. რამდენიც ღრო გადის, იმდენი მზე უფრო გვიპირდაპირდება და თავის სხივებს ქვეყანაზედ უფრო დასწვრივ გზავნის. ამიტომ ქვეყანა თანდათან თბება. თოვლი მინდვრებში და მთებში ღნება; ყინული წყალში თხელდება, ტყდება და წყალს მიაქვს. მდინარეები საშინლათ გადიდდენ; რუებში წყალი აღარ ეტყევა, ნაპირებზედ გადადის და გარეშემო მინდვრებს რწყავს. ბასელა ამათში ძნელი ხდება. რომელ მდინარეებშიაც პატარა ბიჭები კელავ ფეხით გარბივ-გამორბიან, იმათში ამ ღროს ურმითაც ველარ გადიან. ზოგი ერთა მთის ღელეებში, სადაც მზე ვერ უღდება, თოვლი გაზაფხულის სითბოს კიდევ უძაღუანდება. მაგრამ ტყუილათ; ჩქარა ამ თოვლის წყალსაც ბრწყინვალე მზე აღიდებულ მდინარეებში გაგზავნის.

გაზაფხული ყველგან ერთს ღროს არ იწყება. სამხრეთისკენ მდებარე ქვეყნებში გაზაფხული უფრო ადრე დადგება ხოლმე. რომელი ქვეყნებიც ჩრდილოეთისკენ არიან, იქ გაზაფხული იგვიანებს. მაგალითათ: აპრილში ჩვენში მინდვრები მწვანეთი და ყვავილებით არის მოფენილი, რუსეთში კი ამ ღროს ჯერ ისევ თოვლი ძევს. თებერვალში ჩვენში

ისე სამთარია, მსმალეთში კი ამ დროს გაზაფხული გაჩაღებულია.

— მაზაფხულის სითბომ მთელი დედა მიწა გააღვიძა. აილო თუ არა თოვლი, ველებში მაშინვე მწვანე ბალახმა თავი ამოჰყო. ნათესი მინდვრები, რომლებშიაც შეზოდგომანდვი ჯეჯილი ამოვიდა, გაზაფხულზედ საამურათ მწვანეთ ბინებენ ხაე რღისაღით. აქა იქა ნაადრი ყვაფილებიც გაიშალნენ. ხეები გაზაფხულის სითბომ სამთარის ძილიდგან გამოაფხიზლა; იმათ ჯერ კუკური გამოიტანეს, მერმე თეთრი ყვაფილები გაღაიშალეს და ბოლოს ხშირი ფოთლებით შეიმოსნენ. შეელაზედ ადრე ნერგმა მწვანეთ გამოიფეთქა. დიდგულა, ცაცხვი, მურყანი, მუხა, ნაკრახალი ერთი მეორეს შემდეგ საამურათ იშლებიან და იფეთქებიან. შაღები, რომლებ შიაც სამთარში კაცის თვალს არა ფერო დაემალებოდა, ხშირათ იბურებიან, ასე რომ, იმათში აღარა ფერი სჩანს. მინდვრები შეღვრებული ბალახით აივსო; მრავალი ყვაფილი გაიშალა. სამთარში ბუნება ყოველთვის ერთგვარია; კაცი სულ ერთ და ოგივე თოვლს ხედავს; გაზაფხულზედ კი ყოველ დღე რამე ახალი გამოჩნდება ხოლმე; აქ მტრედის ფერმა თავი ამოჰყო; იქ გაიშალა ზმბახი, რომელიც წინადლით არსადა სჩანდა, და გარეშემო საამური სუნი მოჰფინა; აქ მწვანეში ელვარება დაიწყო მარწყვის პატარა თეთრმა ყვაფილმა, რომელიც გაზაფხულის გასულს დაწითლდება და გემრიელ ხილათ გარდაიქცევა. მბაღი, ვაშლი, მსხალი, ნუში, ატამი თეთრი და თეთრწითელი ყვაფილით იმოსება.

მაზაფხულს თან მრავალი ფრინველი მოჰყვება ხოლმე. აგერ რაღამაც მალლა ცაში დილით ხარივით სიმღერა შემოსძახა; მაშ ეტყობა ტოროლა მოსულა, პატარა ხანს უკან მარდი და კეთილი მერცხლებიც გეწვევიან. შროშანი, მალაღუნი, ლალა, გარეული მტრედი, გუგული ერთი მეორის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში სიხარულით მოდიან. მინდვ-

რები, ტყეები და ჭალები სხვა და სხვა ფრინველებით იესება. ამათი გალობა და ჭიკჭიკი, ჭყიერილი და სტეენა მთელს ბუნებას აღვიძებს. წეროები, გარეული ბატები და იხეები მაღლა ჰაერში დამწკრივებულნი ჩრდილოეთისკენ მოდიან. მაღლე ჩვენს ქვეყანას ბუღბუღივც თავის მოსვლით გააბედნირებს. მორთულ მინდორს და ჭაღას ის თავს მოწონებით სანატრელს ლექსებს დასძახებს. ზოგი ერთა მოსული ფრინველები ჩვენთან არ სდგებიან, ისინი ჩრდილოეთისკენ მიდიან, მაგალითათ; წეროები, გარეული და თეთრი ბატები. ბევრი კი მთელს ზაფხულს ჩვენთანა რჩება. რომლებიც ჩვენთან დგებიან, ბუღის კეთებას ხელს მიჰყოფენ: დაფრინავენ, ჭყიერან, შრომობენ, აგროვებენ ხმელ ხის ტოტებს, ჩ. ლას, ხავსა, ბუმბულსა და თავის მომავალ შვილებს ბინას უკეთებენ. ბუღრუგუნა ჭიანჭველები, ქრელი პეპელები, უშნო ბუზანკლები მრავალნი გაჩნდებიან ხოლმე. ძაცის შემაწუხებელი კოლოები, ქინქლები და სხვა მფრინავე და ძცოცავე მწერები, რომლებსაც ზამთარში ხსენებაც არსად იყო, გაზაფხულზედ ათასობით მოჰტეენენ ხოლმე მიწას და ჰაერს. შრომის მოყვარე ფუტკარი, რომელმაც მთელი ზამთარი თბილ სკაში ძილით გაატარა, გაზაფხულზედ გამოიფხიზლებს, თავის წმინდა სამთლის ოთახს თავს დაანებებს და ბზუილით მიფრინავს ყვავილებისკენ; იქ ის ტკბილ წვენს აგროვებს თავლის გასაკეთებლათ.

მაზაფხულის მზემ ნადირებიც გააღვიძა: დათემა, ზღარბმა, ციყემა და სხვებმა ბუნაგებს, ხოს ფუტუროებს თავი დაანებეს და ტყე—ჭალაში მოედნენ. ამით კაცი იშვიათათ ხედავს და ამიტომ არ იცის, თუ რა რიგათ უხარიათ გაზაფხულის მოსვლა; მაგრამ შინაური პირუტყევების სიხარულს და სიამოვნებას კი ყველა შეამჩნევს ხოლმე. ეს საცოდავები მთელს ზამთარს ბოსლებში ტუსაღებივით იყენენ დამწყედელნი; იმათ იქ თბილოდათ და საქმელიც საკმაო ჰქონდათ, მაგრამ ისინი მოშორებულნი იყენენ გამაცოცხლებელ მზის

შუქს. მწვანე და ნოყიერი ბალახის მაგიერათ მთელი ზამთარი ხმელი თივით, ფუჩჩით და ბზით იკვებებოდნენ. მოვიდა გაზაფხული და ამ გვარი შემთავიწროებელი ცხოვერებიდგან შინაური პირუტყვები გამოიხსნა. რა საკვირველია, ძრიელ სიხარულში იქნებინა. ისინი ბოსლიდგან გამოშვების შემდეგ თავის სიამოვნებას ხტუნაობაში აჩენენ. ისინიც კი კუნტროშობენ, რომლებიც ზამთარმა ისე დაამკლევია, რომ სწორეთ სიარული უჭირდებათ.

მს დრო ადამიანისთვისაც დიდათ სასიამოვნოა. მაზაფხულის სითბო იმას აღვიძებს, წმინდა და შეზავებული ჰაერი მთელს სხეულს სიცოცხლით უვსებს, მწვანე მინდორი, ხშირათ მოფენილი სუნელოვანი ყვავილებითა, იმის თვალს იტაცებს და დიდათ ასიამოვნებს; ფრინელების ჭიკჭიკი და მრავალ გვარი გალობა იმის ყურს და სმენას ტკბილათ შეაქცევს. მართი სიტყვით, ამ დროს ბუნება სიამოვნებით საეაეა. მაგრამ იმათ, ვინც ბუნებაზედ ახლოა, სიამოვნებისთვის არ სკალიანთ. ბლუბ კაცს მუშაობის დრო მოუვიდა. მაზაფხულის მზე იმათ გარეთ გასამრჯელოთ იწვევს. იმათაც არ ეზარებათ. ზამთარმა თითქმის სულ გამოუღია პური, ქერი, სიმინდი, შერიკა, ფეტვი, ბზე, თივა. უნდა მუშაობას შეუდგნენ, რომ მომავალს შემოდგომისთვის და ზამთრისთვის უსაზრდოვო არ დარჩნენ. ტყაეები და ნაბდები, რომლებშიაც მთელს ზამთარში გახვეულნი იყვნენ, გლეხ კაცებმა მოიხსნეს და სადმე კუნტულში მეორე ზამთრისთვის შეინახეს. სამუშაოთ გაემზადნენ. ზოგი ურემს მართავს, ზოგი გუთანსა, ზოგი ფარცხსა სწნავს. მისაც ვენახი დამარხული ჰქონდა, ვაზები ააყენა, გასხლა და სარები შეუდგა. ბუთნებიც შეეძა: ხენენ საგაზაფხულოს, ფარცხენ და სოფენ: სიმინდსა, ქერსა, ფეტვსა, შერიკსა, ლობიოსა და სხვას. ბოსტნები და ბარეს, კვლები გააკეთეს და დათესეს: კარტოფილი, ხახვი, ცერცივი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო და სხვა. ამ მუშაობაში მათიც გავიდა. აქამდისინ თბილოდა, ახლა კი დაცხა, მაშასადამე მაზაფხული გათაედა და მაზაფხული დადგა.—

ზაფხული.

ზაფხული თიბათვიდგან იწყება. ამ დროს უდიდესი დღე-
ებია; თოთხმეტ საათს მზე ცას არ შორდება; მზის ჩასვლიდ-
გან ამოსვლამდის ძრიელ ცოტა დრო გაივლის ხოლმე. ქაცს
ჯერ ერთი პირი ძილი არ გაუთავებია, მზემ აღმოსავლეთიდ-
გან ამოაშუქა. რამდენიც უფრო ჩრდილოეთისკენ არის ქვე-
ყანა, იმდენი ზაფხულში უფრო პატარა ღამე იცის, მაგალი-
თად: პეტერბურლის ქალაქში ზაფხულის დამდევს ღამე სულ
ოთხი საათი არ გძელდება. ჯერ ჩასული მზის სხივები დასაე-
ლეთისკენ არ გამქრალა და აღმოსავლეთისკენ პეტერბურ-
ლში დილის შუქი გამოჩნდება ხოლმე. — მაღლა, ძალიან მაღ-
ლა ამოდის მზე. ცოტა რომ კიდევ ზევით შემოიწვედეს,
სწორეთ პირდაპირ თავზედ დაგვადგებოდა. მითქმის პირდა-
პირ ჩამოშვებული სხივები ქვეყანას მეტათ ათბობენ, შუად-
ლისას ხომ საშინლათ სწვენ. აი შუადღემ მოატანა. მზე მა-
ღლა ამოვიდა და დედა მიწას სწორეთ შუა ციდან დაჰყუ-
რებს. ამას ზევით მზეს წამოსვლა აღარ შეუძლია. ამ დროს
არამც თუ მზეს კაცი თვალს ვერ გაუსტერებს, განათლებუ-
ლი ცის და მიწის ყურებაც ძნელია. საც, მინდვრებიც, ჰაე-
რიც მოფენილია მეტათ ბრწყინვალე სინათლით. ქაცის თვა-
ლი დასასვენებლათ მწვანეს და სიგრილეს ეძებს. საშინელი
სიცხეა, პაპარაქება, როგორც ამბობენ ჩვენი ქართველები.
ხეები სრულიად გასტერებულები დგანან, ფოთოლი არ ინ-
ძრევა და ძირს დაშვებული ჰკიდია.

შრინელები ტყეებში და ქალებში დაიმაღნენ; სიცხი-
საგან დაქანცულებს ზოგს ენები გამოუყვიათ და საცოდა-
ვათ ქაქანებენ. რა საკვირველია, ამ დროს გალობისა არ სც-
ხელათ. შინაურმა საქონელმა ძოვნას თავი დაანება და ჩრდი-

ლო მოძებნა. მულში გაწურული კაცო დიდ დაღალულობას გრძობს და მუშაობას თავს ანებებს. დიდი და ხშირი ჩადილოვანი ხე მუშა კაცს ერთ რათმეთ უღირს ამ დროს შეეღა სულდგმული აგრილებას მოუთმენლათ ელის. აგერ მზემ კარგა შუადლის იქით გარდაიწია, იმის შუქები მიწას ალმაჯრივ ეცემა და ამიტომ აგრილდა. შრინვლები მინდურებში გამოიშალნენ, საქონელი ისევ მინდორზედ საძოვრათ გამოვიდა, კაცმა მუშაობას ისევ ერთგულათ ხელი მიჰყო. ამ გვარი სიციხეები სულდგმულებს არ მოსწონთ; მაგრამ მცენარეებისათვის კი საჭიროა; უსიციხოთ იმათი მარცვლები გვარჩიანათ ვერ დამწიფდებოდა. დიდი ხნის უწვიმოდა კი მაინებელია მცენარეებისათვის, რომლებსაც სიციხესთან სინოტიე და ნამი უყვართ. უწვიმოდა ადამიანისთვისაც შემაწუხარია. პი ჩისტვის უზარჩანთ გლეხებს, როცა ჰაერში ღრუბელი გაჩნდება, ცაში ქუხილი და ელვა შეიქნება და ქვეყნის გამაცოცხლებელი ხშირ წვიმას დაუშვებს. მაგრამ ხან წვიმასთან მოჰყვება ხოლმე სეტყვა, რომელიც ქვეყნის ამოხრებელია; ის ხეხილებს ნაყოფს აყრევინებს, ვაზების მტევნებს ბერტყავს, ნათესს მიწაზედ აქცევს და აცდინს. ამიტომ გლეხები ერთგულათ ეხვეწებიან ღმერთსა, რომ სეტყვისაგან დაიფაროს.

მინდვრებს ზაფხულში მშვენიერი შეხედულობა აქვთ. სათივეში ხშირი და მაღალი ბალახი ზღვასავით ღელავს. მთელი სათივე სავსეა სხვა და სხვა ბუდრუგუნა მწერებითა, რომლებს ბზუილი კაცს შორიდგანვე ცხადათ ესმის. ბაღებში ხეებმა დაიყვავილეს. მბალი აქა იქა წითლათ შეთვალდა, ქლიავი შიგადაშივ გაშავდა. მასლი, მსხალი, ატამი ჯერ ისევ კუხე და მწვანეა; მაგრამ თანდათან ნაყოფი ეზდებათ და უმწიფდებათ. მარტო ციციხე ამ დროს ისევ ყვავის და თავის გარეშემო მშვენიერს სუნს ჰფენავს. იმისი ხშირი ფოთლებიდან და პატარა თეთრი ყვავილებიდან რაღაცა ბზუილა მოისმის. აქ სიმღერით მრავალი ფუტკარი მუშაობს და ტკბილი ყვავილებიდან წვენს აგროვებს თათლის

გასაკუთებლათ. რომ ხეს მიახლოვდე, მაშინვე თაფლის სუნი გეცემა. მინდერის ხილმაც მოიწია. პატარა რგვალი მარწყვის მარცვლები, რომლებიც ჯერ ბალახებში თეთრათ გამოჩანდნენ, ახლა დამწიფდნენ და მთელი მინდორი სისხლივით მოჰფინეს. შაეთ დამწიფებული მაცვარი კუნძულ კუნძულად გამოჰკიდებია ბუჩქებს. მაგრამ ვანა შეიძლება მოთვალოს, რაცკი ზატხულში გაჩნდება ხოლმე? მართი მეორის შემდეგ მწოდება, ერთი მეორეს უსწრებს.

შრინველიც, ნადირიც და მწერიც ზატხულში კეთილ ცხოვრებაში არიან. მაზატხულზედ დადებული კვერცხები ფრინველებმა ეხლა გამოჩიკეს. პატარა ბარტყებმა ბუდეში კვივილი და წივილი დაიწყეს, მაგრამ მინამ ამათ ფრთები დაეზრდებოდეთ, დედ — მამა ჰაერში მხიარულათ დაფრინავს და თავის პატარა შვილებისათვის საჭმელს შოულობს. ბარტყები თავის საჭმლის წერილს და ტიტველს კისერს ბუდიდგან ჰყოფენ და პირში ჩადებას უცდიან. საჭმელიც ფრინველს ბევრი აქვსთ: ერთი იტაცებს თავთაფიდგან დავარდნილს მარცვალს, მეორე დამწიფებულს ბალს სწყვეტავს, მესამე ჰაერში ქინქლებს გუნდს დასდევს. შვალგამჭრიახი ქორი მალლა ცაში დატრიალობს და იქიდგან დაკვირვებით მიწაზედ იხედება, ხომ პატარა ვარია ან ახალგაზდა და გამოუცდელი ფრინველი არ მოშორდა სადმე დედასაო. და რამწამ დაინახავს, შვილდისავით ზევიდგან საწყალს ფრინველს დაეცემა, თავის ბასრს კლანჭებს ჩაეღებს და ჰაერში წაიღებს. მეტადრე ყვაფი და კაჭკაჭი დიდს ნაენეც ჩადიან. ამ ფრინველებს ბუდე სოფლების ახლო აქვსთ ხოლმე, და ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე წიწილა და ქუჭული ბატისა და იხვისა არ წაიღონ. ხანდახან ისე გაონაერებულნი არიან, რომ შინურ მიზარდ ფრინველს თვალწინ კაცს ააცლიან ხოლმე. ბედი იმათი, რომ ბუდის-კეთება მალლა ხეებზედ იციან, სადაც კაცი ძნელად მიუდგება, თორემ სოფლელები ერთს ყვავს და კაჭკაჭს ბარტყებს არ გამოაჩიკინებდნენ.

მთელი მინდორი ზაფხულში სხვა და სხვა მწერებით მოფენილია. მრავალი ქრელი პეპლები საამურათ დაფრინავენ. მქროს ნაირი ფუტკარი ამ დროს ერთგულათ მუშაობს ცაცხვის ხეზედ და სუნიან ყუაველებზედ, სადაც ის ტუბილ წვეწვს აგროვებს სკაში ეშმაკური თაფლის ზოდების გასაკეთებლათ. სკებიდგან ამ დროს განუწყვეტელი გუგუნი გამოდის. ჩქარა სკებში ვიწროება შეიქნება და ფუტკარები გუნდ გუნდათ სკებიდგან გამოიშლებიან; ამას ქართველები ეძახიან: ფუტკარმა იყარაო. სკიდგან გამოსული ფუტკარის გუნდთ ახალს ბინას უძებს და სადმე ფუტკურო ხეზედ დაეხევა. მაგრამ შეფუტკარეს დიდი ხანია იმათთვის ახალი სკა აქვს მომზადებული; ის ამ სკაში ნაყარ ფუტკარს ჩაჰყრის და თავის საფუტკარეში დასდგავს. მაგრამ ხან ნაყარი ფუტკარი ახლო ხეზედ არ შეეხევა, შორს წაეა და ისე ჩქარა, რომ შეფუტკარე თვალს ველარ მოასწრობს ხოლმე. მაშინ ის ნაყარ ფუტკარს დაკარგავს. ბუდრუგუნა ჭიანჭველა ზაფხულში მიწის ქვეშ საზამთროთ საქმელს აგროვებს; შემნახაემა ციყემა გამხმარ კაკლებს ზიდვა დაუწყო ხის ფუტკუროში. ასე ზარობს და სიამოვნობს ყოველი სულდგმული ზაფხულში!

ბევრი ძლიან ბევრი საქმე აქვს გლეხ კაცს ზაფხულში. ანეულის ხენა ჯერ კიდევ არ გაუთაეებია, თივის თიბის დრო მოვიდა. ბლენმა კაცმა ცელს ხელი მოაელო. ჯერ ცელი არ გაუგდია ხელიდგან, მკის დროც მოახლოედა. მარცელით საესემ და გაყეითლებულმა ქერმა თავთავი ძირს ხამოჰკიდა; მომკას ითხოეს. ბლენმა კაცმა ნამგალი მალე უნდა მიაშეელოას, თორემ ქერს მარცვალი გასციევა და ლეთაეს მოცემულოს მოსაეალს დააკლდება. ბლენმა ნამგლებს ხელი წამოაეღეს და ქერებს შეესიენენ. მინამ ქერის მკას გაათაეებდენ, ყანაც შემოვიდა. ლეროებ გაყეითლებულმა ყანამ ნაწილისაგან დამძიებული თაფთავი ძირს ხამოჰკიდა, თითქო ზეზედგომით დაიღალაო. ბლენმა ატყობს, რომ ყანაც ძირს

წაქცევას ნდობულობას და იმის მომკას ემზადება. შანის მკას
საშინლათ ძნელი სამუშაოა, მაგრამ ჩვენი გლეხები ამ საქ-
მეს ძრიელ მხიარულათ აღსრულებენ. შემძლებელი გლეხი
ყანების მომკას მარტო არ შეუდგება; ის მუშას შეჭყროს ხოლმე.
მუშები დილით მივლენ თუ არა ყანაში, რამდენმე პირათ და-
წყოფებიან და მზიარულათ მკას დაიწყებენ. იმათი ღაზათია-
ნი ჰეპი-უპი რამდენსამე ვერსზედ ისმის; ისინი გულს ართო-
ბენ დილით საღამომდის სხვა და სხვა მხიარულის ლექსებ-
თაა, რომლებსაც თითონ მუშაობის დროს ამბობენ. ხელე-
ურს საკვირულათ ჩქარა იღებენ და უკან აწყობენ. პატა-
რა ბიჭები მისდევენ, ხელეურს საჩქაროთ ჰკრეფენ და მიაჩ-
ბეინებენ მეძნეურთან, რომელიც ძნებსა ჰკრავს. მასპინძე-
ლი უკან საღვინით მისდევს და ვისაც წყალი მოსწყურდება,
ღვინოს ასმევს. ღვინო ამ ძნელ მუშაობაში გლეხ კაცს ძრი-
ელ შევლის და აყუაფებს. დილით საღამომდის წელში მო-
ხრილი და წაკუზული ებრძვის ღონიერ ყანასა. მხოლოდ
შუალღისას, როცა მზე ძრიელ ჩამოანთობს, ჩრდილოს ქვეშ
მუშები პატარახანს თვალს წაატყუებენ ხოლმე, და მერმე
უფრო კიდევ ერთგულათ ყანას ძირს აქცევენ. ღალატულნი
და დაქანცულნი ბინდისასაც სოფლისკენ ჩუმათ არ მოდიან,
ორ სამ მწკრივათ დადგებიან, ფერხულულს სიმღერას დას-
ძახებენ, ამ გვარათ სოფელში შემოვლენ და მთელს მცხოვ-
რებლებს გაამხიარულებენ. შანის შემდეგ გლეხი შერიის და
ფეტვის მკას შეუდგება ხოლმე.

ამდენი მუშაობა აწევს თავზედ გლეხ კაცსა, მაგრამ ის
ზაფხულში ძრიელ მხიარულათ არის. რათა? იმიტომ, რომ
გლეხ კაცს მუშაობისა არას დროს არ ეშინიან, ის მუშაო-
ბაშია გამოზრდილი და იცის, რომ ზაფხულის შრომა მთელ
წელიწადში ზრდის; იმიტომ კიდევ, რომ გლეხი კარგათ გრ-
ძნობს თავისი შრომის საზოგადო სარგებლობასა; იმისი შრომით
მარტო იმისი სახლობა კი არ იკვებება, მთელი ქვეყანა საზრდო-
ებს: მეც, შენც და ყველა მდიდრულათ ჩაცმული ბატონები,

თუმცა ზოგი ერთი ამ თვანი გლეხს ზაზლით უყურებს. გლეხი კაცი თავდაღუნული სთბრის, მიწას ებძვის და ასაზრდოებს ყველას, როგორც ხის ფესვები უგზავნიან საჭმელს მაღლა ამპარტაუნულათ წასულ და ფოთლით მდიდრათ შემოსილ ტოტებს.

დიდი მოთმინება და ბეჯითობა უნდა სოფლის მუშაობას. მაგრამ ცოდნა და გამოცდილებაც საჭიროა. აბა სკადე შკა და მაშინ ნახავ, რომ ამ საქმისთვის ოსტატობა საჭიროა. თუ ვინმე შეუჩვევარი ცელს აღებს, მაგდენს ვერაფერს გაარიგებს. აბა იმ ფრანტს, რომელიც გლეხებს უგუნურს - ეძახის, ნამგაილი ხელში მიეცი და მაშინ ნახავ ჩამდენს თათს ვაიჭრის. მიწის ხენაც ადვილი საქმე არ არის. მფარიანი თესვა, რომ არც თხელი და არც სქელი მოვიდეს, ყვილა გლეხსაც არ შეუძლია. მუთნის და ფარცხის გამართვასაც ცოდნა და ოსტატობა უნდა. ბგვრი, ძალიან ბიჭრი იცის და ბევრის გაკეთება ეხერხება გლეხსა და იმას არას დროს არ შეიძლება დაუძახოთ უცოდინარო, თუმცა იმან კიბხია არ იცოდეს. პითხვის და მეცნიერების სწავლა უფრო ადვილია, მინამ იმისი მიხვედრა, რაც ყველა გამოცდილმა გლეხმა კაცმა უნდა იცოდეს.

ტკბილათ დაიძინებს ხოლმე სალამოზედ ოფლის შრომის შემდეგ ზაფხულში გლეხი კაცი, რადგანაც გრძნობს. რომ აღასრულა თავისი წმინდა თანამდებობა. სიკვდილიც იმისთვის ძნელი არ არის; მოხუცი მიწები და დათესილი მინდვრები დარჩებათ იმის შეილებს, რომელნიც შობა, გაზარდა. შრომას მიაჩვია და თავის მაგიერათ დაადგინა მუშებათ ქვეყანაზედ ღმერთსა და კაცთა წინაშე.

შეშორება.

სხვა თიბათვიდგანვე მზე დაბრუნდება სამხრეთისკენ და გეშორდება; თანდათან გვიან გვიან ამოდის და უფრო ადრე ჩაბის; ამიტომ დღე ცოტა. ცოტათი მტირდება, ღამე

კი მატულობს. თერთმეტ სექტემბერს დღე და ღამე ხელმეორეთ სწორდება, ასე რომ თორმეტი საათი ღამეა, თორმეტი დღე. ამ რიცხვიდან იწყება შემოდგომა. ღამე თანდათან დღეზედ ღიადდება და თორმეტ დეკემბერს ორი იმის ოდენი ხდება. რა მზე უფრო სამხრეთისკენ მიდის, იმდენათ თავის სხივებს უფრო აღმოსკრთვ გვიგზავნის. მზეს სიციხრულე თანდათან ეკარგება, დედაძიწას ხეივანათ ველარ ათზობს და ამიტომ ჰაერი ცივდება. ღილით და სალამოთი ხან ისე ცივა, რომ თბილი ტანისამოსი უნდა მონახოს კაცმა. მოწმენდილ ღამეში ნამის მაგიერათ ცა რთიელს გამოავდებს ხოლმე. ღილ ღილით წყლის პატარა გუბეებს ჰყინავენ. სა მალ-მალე იღრუბლება, ზაფხულის ღამაზ თეთრს ღრუბლებს ველარა ეხედავთ; ამთ მაგიერათ ცას მალმალე გადაეკერის ხოლმე ტყეის ფერი ღრუბელი. სა რამდენიმე დღე განუწყვეტლევ მობინდულია; თითქო მგლოვიარტო, და კაცს გულს უწერილებს. შემოდგომის წერილი წვიმა ზაფხულის მსხვილს და შხაჰუნა წვიმას არა გაეს. ამ გვარი წვიმა ხან რამდენსამე დღეს განუწყვეტლათ მოდის, მიწა ზაფხულიეთი ჩქარა აღარა შრება. წთებს ამ დროს სთოვლავენ, თუმცა მიწაზედ თოვლის მოსვლა ვერ ვერ გაუბედნია. მთებში ამ დროს ზამთარია და ამიტომ იქიდგან ცივი ქარი მალ-მალ მოქრის.

წამსელელი ფრინველები შორის მოგზაურობისთვის ემზადებიან. ჰველაზედ აღრე დაფაციფუცდებიან მერცხლები და სექტემბრის დამდეგსეე გასწივენ თბილ ქვეყნებში. მერმე რამდენსამე რიგათ დამწკრივებულნი წეროები და გარეული ბატები სამხრეთისკენ ჩრდილოეთიდგან ყვირილით გაემგზავრებიან. ამათ თან გაჰყეებიან მწყრები და სხვა ფრინველები. ტყეები და ქალები ცარიელდება და ჩუმდება. ზამთრისთვის ჩვენთან ძალიან ცოტა ფრინველი რჩება.

ზაფხულში ბევრი ხილი დამწიფდა და მოილია, მაგრამ ბევრმა ხილმა დამწიფება ვერ მოასწრო და შემოდგომას მოუსვლელი შეჰყვა. შემოდგომაზედ ბაღებში ბევრ ნაირი მსხა-

ლი და ფაშლი დგას ჯერ კიდევ შეკუნწლოლი. მაგრამ ესენიც მალე გაიკრიფება. შურძენიც შემოდგომის დამდგეს სრულიად შწიფდება. ამ დროს ფაშებს თუმცა ფოთოლი უყვითლდება, მაგრამ მსხმოიარე ვაზის ზვარი სასიამოვნო სანახავია. ჩამდენიც დრო გადის, იმდენი მთელი ბუნება უფრო და უფრო ღონდება. ხეებს ფოთოლი უყვითლდება და ძირს ცვივა. რომელი ხეც გაზაფხულზედ აღრე აყვავდება ხოლმე, იმას ფოთოლიც აღრე უყვითლდება. ღონიერი ქაჩი ძალათ აყრევენებს ჯერ კიდევ მწვანე ფოთოლს, მაღლა ჭაერში ააქვს, ატრიალებს და მიწას გაყვითლებული ფოთლით შვენს. მოკლე ხნის განმავლობაში ტყე და ქალა სრულიად ტიტველა გახდება.

ზადეიხედოთ შინდერებში. არც ესენი არიან სასიამოვნო მდგომარეობაში. რომელ ბალახსაც გახმობა ზაფხულში ვერ მოუსწვრია, ახლა სიცივე და ქარი ჩქარა ახმობს. საქონახულო მინები ზაფხულშივე დაცარიელდნენ; შემოდგომაზედ მხოლოდ აქა იქა სიმინდი ყვითლათ მოჩანს; მაგრამ ამასაც მალე მიზიდავს გლეხი კაცი. შინდერები დარჩებიან სრულიად ცარიელნი და შემოდგომის ცივი ქარი იმათზედ თავისუფლათ სეირნობას დაიწყებს. მარტოკა შემოდგომური ნათესი ამ დროს ზევით მწვანე ხავერდისავით ამოდის, მაგრამ შემოდგომის ჯეჯილებს დიდი დღე არა აქვს. ზამთრის სიცივე და თოვლი სრულიათ მოაღობს; ფესვები კისევე მრთელი დარჩება; ამ ფესვებიდგან გაზაფხულზედ ჯეჯილი ზევით საამურათ წამოვა.

შემოდგომაზედ ყველა სულდგმული ნარვლიანდება, ღონდება და ზაფხულის სიმხიარულეს კარგავს. ამ დროს ბუნება დიდი მუშაობით დაღალულს კაცსა ჰგავს, რომელსაც ძილი მოჩვეია. სოტა ხანს შემდეგ ბუნება ბუმბულის მგზავს თეთრს საბანს ზევიდგან წაიხურავს და მთელს ზამთარს დაიძინებს.

შემოდგომაზედ გლეხ კაცს საქმე ცოტა არა აქვს. მსკე

ნისთვის დამდევს ხნულებში წყალი უნდა ჩაუტდოს, მერმე როცა გაშრება პურით დათესოს და დაფარცხოს. ამ დროს გუთანიც ბევრს უბია, ვისაც გაზაფხულზედ და ზაფხულში ანუთლი საკმაოთ ვერ მოუხნავს. მერმე უნდა მინდორში გამხმარი სიძინდი მოსპრას, შინ მოიტანოს, გაარჩიოს და ზარებში ტაროები ჩაყაროს. შენახებშიაც დამწითებული ყურძენი მოკრეთვას ელის. ბლები კაცი რთველს მხიარულათ ემზადება: გოდრებს სწნავს, ქვევრებს რეცხავს. ბოლოს სულ მოემზადა. აი დღეს უნდა ყურძენს კრეთა დაუწყოს. მთელი ჯალაბობა დილით ადრე ადგა და მთლათ სიამოვნებით გენახისკენ გაემგზავრა. ქალებიც, კაცებიც და პატარა ყმაწვილებიც სულ ერთიანათ გაიხვეტნენ, ძუძუს ყმაწვილებიც კი აკენიანათ თან წაიყვანეს. შინ აღარაინ დაჩა. აქედნენ ვენახში და ვაზებს შეესივნენ. შეელას დანა უჭირავს და ყურძენს კალათებში კრეთავს; კალათებს რომ გაამსებენ, მოიტანებენ საწნახლებთან და ჩაჰყრიან შიგ ყურძენსა. დიდ სიხარულში არიან. შანის მკაც სასიამოვნო მუშაობაა გლები კაცისთვის, მაგრამ რთველს მაინც ის ვერ დაედრება. შმაწვილები აკიდოებს სჭრიან, ერთათ ჰკერენ და ჯაგნებს აკეთებენ; დიდები უშლიან და უჯავრდებიან; მაგრამ ისინი თავისას არ იშლიან. ბოლოს რთველი გააბთავეს, ყურძენი საწნახელში დასწურეს, ტკბილი შინ ჩამოიტანეს და ქვევრებში ჩაასხეს. ასე-გლებმა კაცმა საზამთროთ ზაფხულში პური შეინახა, შემოდგომაზედ ქვევრებში ღვინო ჩაასხა.

შემოდგომაზედ გლებ კაცს მაინც უფრო ცოტა საქმე აქვს, მინამ ზაფხულში და ეშურება ქეიფი გასწიოს. შემოდგომაზედ დღესასწაული ბევრია. ჰორწინების გაჩაღებაც სოფლებში სწორეთ ამ დროს იციან. საქმე ცოტა არის და ახალი პური და ღვინო უხვათ აქეთ. ნათესავეები ამ დროს ერთი ერთმანეთს სოფლებიდან მალ მალ ეწვევიან ხოლმე. ბლები კაცი ყველა სტუმარს კარგათ და მხიარულათ უხეტება. ამ დროს იმას ხორაგი არ აკლია და თავის დოვლათი არაუისთვის შურს.

ქალაქებშიაც შემოდგომა ცხოვრებას სცულის. უზონ-
ტინკოთ, უშინლოთ და უკალოშოთ ქალაქელები გარეთ ძვი-
რათ გამოდიან. ღაჩებიდგან ყველანი ჩამოლაგდნენ. ქუჩებში
ისე ბევრს აღარ დასეირნობენ, როგორც ზაფხულში. ამის
მაგდერთ ისინი უფრო ხშირათ დადიან ტბაში, კონ-
ცერტებში და სხვა და სხვა კრებაებში. ძაცოც ამ დროს უფ-
რო მრთელათ გრძნობს თავის თავსა, აშითომ რომ ზომიერთ
ცივა, და ზომიერი სიტყვე კაცის სხეულს ამაგრებს. მაგრამ
ჩქარა თოვლი მოსვლას იწყებს; ჯერ უძნელდება დედამიწაზედ
ფეხის მოკიდება და ქარა დნება; მაგრამ, როცა გაყინუ-
ლი მიწა დაუხვდება, თოვლი აღარ დადნება; დაიჭერს სიცი-
ვებს და ზამთარი გაჩაღდება.—

ბუნების მოვლენანი.

ქარი.

სოსო და ზმის უფროსი ძმა, ღიმიტრი, მანში ერთ დი-
ლაზედ ბაღში დასეირნობდნენ. შეცრათ ქარი ამოვარდა და
ყვავილებს ყრა დააწყებინა. მს შეჩვენებული ქარი რათ აყ-
რევენებს ხეხილებს ამ მშვენიერ ყვავილსა, სთქვა სოსომ; თუ
ამ ქარს მართლა ის ბებერი აჩენს, მე რომ მივაგნო, არ ვიცი
თ რას უზამ, დაუმატა სოსომ.

შე რომელ ბებერს ემუქრები? ჰკითხა ღიმიტრიმ.—

აი რომელ ბებერს, მოუგო სოსომ: მე გამიგონია მე-
ზობლის ქალებისაგან ამ ნაირი ქარის ახსნა: ერთ ალაგას
დედამიწას რგვალი პირი აქვსო; აქ ზის ერთი ბებერი; რო-
ცა ეს ბებერი ამ პირს ახლის, მაშინ ქარი აქედგან ამოქრის
და დედამიწაზედ მოდისო, როცა დახურამს, მაშინ ქარი ისევე
ჩადგებაო. აი ამ ბებერს ემუქრები.—

ღიმიტრიმ სიტყლი დაიწყო. რა ცოცხალი ტყუილი გა-
გონია, ჩემო სოსო.

მაშ შენი კუთით ქარი როგორ ჩნდება! ჰკითხა სოსომ.

აბა ჯერ შენ მითხარი, ჩვენ რომ ჩაისუნთქავით და ამოვისუნთქავით ხოლმე, მაშინ ჩვენს გვამში რა ჩადის და ამოდის? არა ფერი, მიუგო სოსომ; მე არაფერს ვხედავ.

არაფერი? მაშ აბა პატარას ხანს პირი მოიკუმე და ცხვირზედაც ხელი წაიჭირე, ვნახოთ გაიკმინდება, თუ არა.

შე რა უყო, იმიტომ გაიკმინდება, რომ სული შემიფუზდება.

ძიდევ ეგ არის: რას გიგუბდება სული? ანუ რა არის სულის შეგუბება?—

სოსო ჩაფქრდა და პასუხი ვერ მისცა.

მოიხსენე, ჩემო სოსო, მე ამაზედ კარგათ გელაპარაკები:

მთელ დედამიწას გარეშემო ძალიან თხელი და უჩინარი სხეული ახვევია; ამ უხილავ სხეულს ჰქვიათ ჰაერი. ეს ჰაერი უსაჭიროესი რამეა ყველა სულდგმულისათვის. არა სულდგმულს არ შეუძლია ერთ მინუტს უჰაეროთ იცოცხლოს. ჰაერი რომ მიწას მოშორდეს, რამდენსამე მინუტს პირუტყევები და ადამიანები სულ დაიხოცებოდნენ. ადამიანი უსაქმელობას რამდენსამე დღეს მოითმენს, მაგრამ უჰაერობას რამდენსამე მინუტსაც ვერ შესძლებს, მაშინვე სული შეუფუზდება და მოკვდება. აი ეს ჰაერი ჩადის ჩვენს გვამში, როცა ჩვენ ჩაისუნთქავთ ხოლმე, და ამოდის, როცა ამოვისუნთქავთ. ღღეში კაცმა რომ სამჯერ ჭამას, მეტი არ უნდა, მაგრამ ჰაერს კი ყოველს წამს ისუნთქავს. ასე საჭიროა ჰაერი ადამიანის სიცოცხლისათვის, და შენ არც კი გცოდნია, თუ ჰაერი ქვეყანაზედ არსებობს.

შე სულ კარგი, უთხრა სოსომ დიმიტრის, მაგრამ ჩვენ ლაპარაკის სვანს ავცდით. შე გკითხამდი ქარის გაჩენაზედ და შენ ლაპარაკს ჰაერზედ მომიყე.

მოიცა. ნუ ჩქარობ, უთხრა დიმიტრემ. ჰაერზედ იმი-

ტომ გელაპარაკე, რომ ქარი ჰაერიდგან ჩნდება. იქნება გა-
იყვირო, მაგრამ ეს ასეა. შე შენ უნდა გითხრა, რომ ჰაერი
ყველგან ერთნაირი არ არის; ზოგგან ცივია, ზოგგან თბი-
ლი. თბილი ჰაერი უფრო თხელი და მსუბუქია, ცივი კი სქე-
ლია და უფრო მძიმე. როცა ჰაერი რომელმე ალავს გათბე-
ბა და გასუმბუქდება, მაშინ მალლა-მალლა წაეა, როგორც
ზევით ზევით მოდის ხოლმე ყველა მსუბუქი საგანი,
წყალში ჩაგდებული ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვხედავთ, რო-
ცა ჰაერი მალლა-მალლა მიდის, მაგრამ ეს იმისგან წარმოს-
დგება, რომ ჰაერი უჩინარია, როგორც ზევით გითხარი. ამას
მაგალითითაც აგიხსნი: როცა ბუხარს ან ფეხებს ცეცხლით
ახურებენ, მაშინ ბოლი ზევით მიდის. რათა? იმიტომ რომ
ბოლი ძრიელ სუმბუქი რამე არის. სწორეთ ასევე წაეა ხო-
ლმე მალლა თბილი ჰაერიცა. როცა თბილი ჰაერი მალლა მი-
დის, იმისი ადგილი ცარიელდება, აქეთვე ცივი ჰაერი გამო-
ეჩანება, რომ ეს ადგილი დაიჭიროს; აქედგან წარმოდგება
ჰაერის დენა. აი ეს ჰაერის დენა არის ქარი. თუ ჰაერი რო-
მელსამე ადგილს ძალიან თბილია და მახლობლათ სადმე კა-
რგა ცივი ჰაერი ტრიალებს, მაშინ ღონიერი ქარი ამოვარ-
დება. — ამას უბრალო მაგალითით უფრო დაბიჭრათ აგიხს-
ნი. მსოქვ თ ზამთარში ოთახში კარგა თბილი ჰაერია, გარეთ
კი ცივი; თუ დაკეტულ ფანჯარას გააღებ, მაშინვე გარეთი
ცივი ჰაერი გამოეჩანება სახლისკენ და შიგ დენას დაიწყებს;
ოთახის თბილი ჰაერი ამ დროს მალლა-მალლა აეა და ფან-
ჯარის ზემო ნაწილიდგან გარეთ გაეა; ცივი ჰაერი კი ფანჯ-
რის ქვევითა ნაწილიდგან სახლში შედის. თუ ანთებულს
სამთელს ფანჯარაში დაბლა დაიჭერ, სამთლის ალი შიგნით
წამოეა, თუ მალლა, მაშინ ალი გარეთ გაეა. აქედგან სჩანს,
რომ ცივი ჰაერი ფანჯარის ქვევითა ნაწილიდგან ოთახში
შემოჰქრის. თბილი ჰაერი კი ზემოდგან კარზედ გაქრის. მა-
რაც სწორეთ ასე გაჩნდება ხოლმე.

მაგრამ მე უნდა გითხრა, სოსო, გააგძელა დიმიტრიმ,

რომ ყველგან ერთ გეარო ქარი არ იცის. ჩვენს საქართველოში ზომიერი ქარი ქრის ზოლმე. ზოგიერთა ქვეყნაში კი ისეთი საშინელი ქარიშხალი ამოვარდება ზოლმე, რომ უღონო სახლებს აქცევს და ხეებს ძირიანათ გლეჯავს. ჩვენში ქარი ხან აღმოსავლეთიდან ქრის, ხან დასავლეთიდან. ზოგიერთა ცხელს ადგილებში კი მთელ წელიწადში ერთი და ოცივე მხრის ქარი მოდის შეუცვლელად. იმისთანა ქვეყნებიც არიან, საცა ნახევარ წელიწადს ქარი ერთი მხრიდან ქრის, ნახევარ-წელიწადს მეორე მხრიდან. ზღვის ნაპირების ქარიც შესანიშნავია, დღისით ქარი ზღვიდან მოდის ხმელეთისკენ, ღამე კი დედამიწიდან ზღვისკენ ქრის.

რა მიზეზია, რომ ქარი ღამით ზღვისკენ ქრის, დღისით კი ხმელეთისკენ? ჰკითხა სოსომ ღიმიტრის.

ის მიზეზია, ჩემო სოსო, რომ დღისით მარტოკა დედამიწის ზევითა ზურგი ისეა მზის სიცხოვლეს და ქვევით მიწის სიღრმეში სითბოს არ უშვებს. ამიტომ ხმელეთი დღისით ძალიან ცხელდება. ზღვაში კი მზის სიცხე ღრმათ მიდის, რადგანაც წყალი თხელი რამეა, სითბოს მარტო წყლის ზედა-პირი არ ითვისებს, ამიტომ ზღვის ზურგი ისე არა ცხელდება დღისით, როგორც ხმელეთისა. დედამიწის ცხელი ზურგი ხმელეთის ჰაერს აცხელებს და ამსუბუქებს; ეს ჰაერი ზევით ზევით მიდის და თავის ადგილს ცარიელს სტოვებს; ამ ცარიელის ადგილის დასაჭერათ ზღვის გრილი ჰაერი გამოეჭანება და ხმელეთისკენ დენას დაიწყებს; მაგრამ ეს მოსული ჰაერიც ხმელეთზედ მალე ცხელდება და მაღლა-მაღლა მიდის; ამიტომ ზღვიდან მთელს დღეს ხმელეთისკენ ახალ ახალი გრილი ჰაერი მოჰქრის. როცა დალამდება, ხმელეთი მალე გაცივდება ზოლმე, რადგანაც დღისით მზე მარტოკა მიწის ზევითა ნაპირს აცხელებს და სიცხოვლე მიწაში ღრმათ არ მიდის. ზღვა კი ღამე მალე არა ცივდება. წყლის ზევითა პირი რომ გაცივდება, დამძიმდება, ჩაიყურჭუმელავენს და ძირ-ძირ წავა; იმის მაგიერათ

მალღალე თბილი წყალი მოექცევა. როცა ღამის სიცივე ამ წყალსაც გააცივებს, მაშინ ესეც ძირს წავა და კიდევ სხვა თბილი წყალი ზევით მოექცევა. ამიტომ ზღვის ზემოთა პირი ღამე ისე ცივი არ არის, როგორც ხმელეთისა. მიწის სიცივე ჰაერსაც აცივებს ღამე და ეს წყლასკენ მიქრის, სადაც უფრო თბილი ჰაერია. ზამთარშიაც წყლის ჰაერი უფრო თბილია ხმელეთის ჰაერზედ, ამიტომ რომ ზაფხულში წყალი ბევრს სითბოს შეიწოვისებს ხოლმე, მინამ ხმელეთი; მერმე შემოდგომაზედ დედამიწა მალე ჰკარგავს თავის სითბოს და ზღვას კი დიდხანს შერჩება ხოლმე. ამიტომაც ზღვის ნაპირ მდებარე ქვეყნებში ზამთარში უფრო ზომიერათ ცივა, მინამ შუა ხმელეთის ქვეყნებში; ეგრეთვე ზაფხულში ზღვის ახლო უფრო გრილა, მინამ იმაზედ დაშორებულ ადგილებში.

ზომ კარგათ მიხვდი ახლა ქარის გაჩენას? ჰკითხა ღიმიტრიმ სოსოს, როცა ლაპარაკი გაათავა. მიხვდი, უპასუხა სოსომ.—

წვიმა.

ღიმიტრი და სოსო კარგა ხანი დარჩნენ ბაღში, ესე რომ წვიმამაც მოუსწრო. მშენიერი ეუუუნა წვიმა დაუშვა. ჩვენი ყმაწვილები გაიქცნენ და საწნახელს ქვეშ შეეფარნენ. ეს წვიმა როგორღა და საიღვან გამოჩნდება ხოლმე? ჰკითხა კიდევ სოსომ ღიმიტრის.

აბა ჯერ შენ მითხარი: ქვებს რომ ცეცხლს შეუკეთებენ და წყალს შიგ აადულებენ, მაშინ ქვაბებიდგან რა ადის ზევით?—მეზივარი, ანუ ორთქლი, მიუგო სოსომ.—

სწორეთ მაგ ნაირათ ადის ორთქლი ზღვიდანაც, როცა მზე ადგია ზღვასა და წყალს აცხელებს. რადგანც ზღვა ძრიელ დიდია, ამიტომ ორთქლიც იქიდგან ძალიან ბევრი ადის. ეს ორთქლი ზევით ჰაერში იკრიფება, გროვდება; მოგროვებული ორთქლი არის ის ღრუბელი, რომელსაც ჩვენ ჰაერში ვხედავთ. მერე ამ ორთქლს ანუ ღრუბლს ქარი შემოუ-

ზერანეს და ხმელეთზედ გადმოიქანს. ამ ღრუბელს ცივი ჰაერით მოხედება, ერთათ შეკუმშავს, ორთქლები ერთმანეთს მოხედებიან, შეერთდებიან, წყლის ნამებათ იქცევიან, ჰაერზედ მძიმე გახდებიან და მიწაზედ ჩამოცვივიან. მაშინ ვიძახით: წვიმა მოდის! აბანოში წვიმის გაჩენის მაგალითს თვალთ ვხედავთ. აბანოში ცხელი წყალია, აქედგან ორთქლი აღდგას, ორთქლი ზევით ერლოში იკრიფება, აქ იმას უარეთი ცივი ჰაერი ხედება, მერმე წყლის ნამათ იქცევა და ძირს ტვირთაპიტომ თუ აბანოში ერლოს პირდაპირ დაჯექი, ზვეილგან ცივი ნამები ტანზედ დაგეცმა. სწორეთ ამ ნაირათ ზღვის ორთქლსაც სიტყვე წვიმათ გადააქცევს ხოლმე.

რადგანაც მთებზედ უფრო ცივი ჰაერია, ამიტომ იქ ბევრი წვიმა მოდის. წვიმის წყალი მიწაში ჩადის, აქ წვეთი წვეთთან იკრიფება, მერმე პატარა ნაკადულათ გადაიქცევა და მიწა-მიწა მირბის. გზაზე ნაკადულს ნაკადულები მიემატებიან, გაადიდებენ და ის უფრო ჩქარა გაიქცევა. თუ ამ ნაკადულს გზაზედ მაგარი მიწა არ დაუხედა, ზღვამდის მიწა-მიწა იელის. თუ გზაზედ დახედება მაგარი თიხა და წინ აღარ გაუშვებს, მაშინ ნაკადული დედამიწილგან ზევით ამოხეთქავს. და გააჩენს წმინდა და ცივ წყაროსა. ეს დედამიწილგან ამოსული ნაკადული დაღმართ მიწაში რუს გასთბრის და რიყვზუდ ჩანჩქარ დაიწყებს. შემოხედება თავის ძმსა, ამ გეარათვე მოჩანჩხარე რუსა, ერთმანეთთან შეერევიან და ერთათ გაიქცევიან. მარბიან ესენი ერთათ, ამათ გზაზედ მესამე, მეოთხე და მეხუთე ამხანაგი დახედებათ და მიემატებათ... შეხედამლაზათიანი მდინარე მორბის ამწვანებულის ნაპირების შუა. ეს მდინარე ხალხს და ცხოველებს წყლის წყურვილს უკლავს, მინდორში მცენარეებს აახლებს, წისქვილის ბოარბლებს ატრიალებს, ტიფებს და სუმბუქ ნაევებს ეზიდება. ამის გრილ მორეევებში თევზები მხიარულათ ირევიან, თამაშობენ და ვერცხლისფრათ ჰკყვირიალებენ. მირბის მდინარე, შეხედება

შეორდს-შეერთდებიან და გაიქცევიან ერთათ. იმათ გზაზედ შეხედებათ მესამე, მეოთხე, — და აი გახდა უჭებერთელა მდინარე, რომელიც ისე განიერია, რომ ერთი ნაპირიდან მეორეზედ თვალსაც ვერ გადუწოდენ. ამისთანა მდინარეზედ ცურვენ დიდი ნაფები საეაჭროთი დაზვირთულნი და დადიან სწრაფი ცეცხლის გემები. ნაპირებზედ კი სხვა და სხვა ხელოვანიანი სოფლები დგანან და მდიდარი მოვაჭრე ქლაქები გაჭიმულან. ამისთანა მდინარე ერთი მხრიდან მეორე მხარეზედ ბევრს სიმდიდრეს ეზიდება. ბოლოს ერთ თვალ გადაუწედენელ ზღვაში ჩადის და შიგ შეაქვს დიდი იალქნიანი ზომადლები.

საკვირველია, სთქვა სოსომ, მდინარეები ამდენს წყალს ეზიდებიან ზღვაში და აქამდის რატომ სათავეში წყალი არ გამოიღო და ესენი არ დაშრნენ?

აქ საკვირველი არაფერია, უთხრა დიმიტრიმ. ხმელეთზედ და შეტადრე მაღლობ ადგილებში წვიმა-თოვლი თავის რიგზედ ყოველთვის მოდის და მდინარეებს წყალს არ უღლევს. წვიმის მოსვლა რომ გასწყდეს, მაშინ რამდენსამე თვეს უკან ყველა მდინარეები დაშრებოდნენ. მანამ წვიმა-თოვლი ხმელეთს არ აკლია, არც მდინარეებს მოაკლდებათ წყალი.

მს. კი სწორეთ საკვირველია, სთქვა სოსომ: ამდენი მდინარეები ზღვაში ჩადის და რატომ ეს აქამდის არა გაიშრა, ნაპირებიდან არ გადმოვიდა და ხმელეთი არ წალეკა?

საკვირველი აქაც არაფერია, უთხრა დიმიტრიმ. მზის სიცხე ზღვას ბევრს წყალს აკლებს; ის ორთქლათ გარდაქცევს ხოლმე წყლის ნაწილებს და მაღლა გზაჟენის ღრუბლის გასაქონათ. რამდენიც წყალი ზღვას მდინარეებიდან ემატება, იმდენს იმას ორთქლი აკლებს. მზე რომ ჩვენი ქვეყანას გაშორდეს და ზღვას აღარ ათბობდეს, მაშინ ჰაერში ორთქლი აღარ ავიდოდა, ზღვაც გაიყვებოდა, ნაპირზედ გადმოვიდოდა და ხმელეთს წალეკავდა.

ასე, ჩემო სოსო, ზღვა გეიგზაენის წვიმას, ზღვაშივე ჩადის წვიმის წყალი დედამიწიდან. წვიმა რომ ქვეყანაზედ არ მოდიოდეს, მდინარეები სულ არ იქნებოდნენ, მიწა უნაყოფო გახდებოდა, არც მცენარეს, არც პირუტყვს, არც ადამიანს სიცოცხლე არ შეეძლებოდა. ასე საქირო და სასარგებლოა წვიმა მთელი ქვეყნისათვის.— რადგანაც წვიმა ზღვის ორთქლიდან ჩნდება, ამიტომ დედამიწის შუაზედ, ცხელ ქვეყნებში, უფრო ბევრი წვიმა მოდის, მინამ ცივ ადგილებში. სივ ადგილებში ზღვებიდან ორთქლი ჰაერში ცოტა ადის, რადგანაც მზე წყალს ღონიერათ ვერ ათბობს; ამიტომ აქ წვიმა წერილი იცის და იშუათათაც მოდის. ცხელ ქვეყნებში კი ისეთ მსხვილ და მზაუნა წვიმას დაუშვებს ხოლმე, რომ კაცს ეგონება ზევიდან კოკებით წყალს ასხამნო. აგრეთვე ზღვის მახლობლათ მდებარე ქვეყნებში უფრო ხშირათ მოდის წვიმა, მინამ ხმელეთის შუა ქვეყნებში.—

სისსარტყელა.

ძარგა ხანი იწვიმა. ჩვენი პატარა ყმაწვილები ამ დროს საწნახლის ქვეშ იდგნენ და სიამოვნებით ყურს უგდებდნენ წვიმის ღაპალუს მცენარეებზედ. შემდგომ ღრუბლებმა თან და თან აღმოსავლეთისკენ მოგროვება იწყეს. პატარა ხანს უკან დასავლეთისკენ ეს სრულიად მოიწმინდა და აღმოსავლეთისკენ კი ისევ წვიმა. ბამოანათა თუ არა მზემ, მაშინვე აღმოსავლეთისკენ ეს მშვენიერი რკალი გადაეკრა. ჩვენმა ყმაწვილებმა დიდის სიამოვნებით დაუწყეს ცქერა ამ საამურს ბუნების მოვლენასა.— მართლა, ეს სისსარტყელა საიდგანლა გაჩნდება ხოლმე? ჰკითხა უცრათ სოსომ ღიმიტრის. სისსარტყელა, ჩემო სოსო, მზის შუქიდან წარმოსდგება. მზის თეთრი სხივი მარტივი არ არის; იმას შეადგენს შვიდი-

ფერი: წითელი, წარინჯი, ყვითელი, მწკანე, ლურჯი, მტრედის ფერი და იის ფერი. როცა ეს უზიდოვე ფერი ერთად არის შეერთებული, მაშინ მზის შუქს თეთრი ფერი აქვს. მაგრამ, თუ წყლის ნამება ბლომით მაღლიდგანა ქვევით ეცემიან და ამ დროს იმათ მზე მიადგა, მაშინ მზის შუქი წყლის ნამში გაელის დროს შეიდ წაწილათ გაიყოფება და თვითთულ ფერს ცალ-ცალკე დაეინახავთ და ცისსარტყელის მსგავსი მოვლენა გაჩნდება. ეს მოხდება ხოლმე, მაგალითათ, იქ, სადაც წყალი მდინარეში ქვევით ღრანტეში მაღლობიდან გადაქუხს; კიდევ მაშინ, როცა ფონტანიდან წყალი მაღლა ადის და იმას მზის შუქი აღვია. მე შენთვის, სოსო, ზინაც ბევრჯელ მიჩვენებია ცისსარტყელისთანა მოვლენა. რაშდენჯერ თანჯარაზედ წყლით საესე გრაფინკა დამიდგამს მზის პირდაპირ და შენ სისარულით გიყურებია, როცა მზის შუქი გრაფინკაში გაჟლის შემდეგ შეიდ ფრათ გადაქცეულა და გრაფინკის მეორე გვერდზედ ცისსარტყელასავით გაგრძელებულა. საშიაც სწორეთ აგრე ჩნდება ცისსარტყელა. ცისსარტყელა მაშინ გამოისახება ხოლმე, როცა ერთს მხარეზედ ხშირი წვიმა მოდის, როგორც აი ეხლა, და მეორე მხრიდან მზე გასცქერია და წვიმის ნამს ღონიერათ ანათებს; მზის სხივები წვიმის ნამებში გაელის დროს შეიდ ფრათ იყოფებიან და ფერადი სარტყელივით ცას გადაეკვრიან ხოლმე. ამას ვეძახით ჩვენ ცისსარტყელასა. ცისსარტყელა ხან ორი გაჩნდება ხოლმე ცაში.

ნამი.

ქვე, მითხარ გეთაყა, საიდგან მოდის ნამი? სთხოვა პოტემ თავის უფროს დას. ნამი ზეციდან ცვივა, უთხრა პეკემ; პოტე მოუბრუნდა მამას და ჰკითხა: მართლა ნამი ზეციდან ცვივა?

ქოტეს მამას გაეცინა. აბო, შეილო, ეგ ტყუილია. ნამი
აი როგორ ჩნდება; დღისით, როცა თბილა, მიწიდგან და მცუ-
ნარეებიდგან ჰაერში ორთქლი აღის; თუ ღამე დღეზედ კარგა
ცივია, მაშინ ხეები და სხვა მცენარეები ბევრს სითბოს ჰკარგვენ
და ცივდებიან; ჰაერი კი ამ დროს უფრო თბილია. როცა
ჰაერი ამ გვარს ცივს საგნებს ხვდება, ცივდება და იმაში მყო-
ფი ორთქლი იკუმშება, წყლის ცვარებათ იქცევა და ეს ცვა-
რები ამ ცივ საგნებზედ ეცემა. მაგრამ ყველა საგანი ღა-
მე ერთნაირათ არ ცივდება. ზალახი, მიწა, ქვიშა ღამე სი-
თბოს ბევრს კარგავენ და ამიტომ ესენი ბევრს ორთქლს ცვა-
რებათ გარდააქცევენ და ნამით შეიფინებიან ხოლმე. ბამბა,
მატყლი და მეტადრე მეტალი ღამე უფრო ცოტათი ცივდება
და ამიტომ ამ საგნებზედ დილ-დილით ნამი ან სულ არ
აჩის ხოლმე, ან ძალიან ცოტა. რა საკვირველია, რაც უფრო
ჰაერში ბევრი ორთქლი ურევია, იმდენათ უფრო ხშირი ნამი
იქნება; საცა ჰაერი ორთქლით ღარიბია, იქ თხელი ნამი იცის.
ამიტომ ზღვის მახლობლათ ადგილებში ხშირს ნამს გამო-
ავდებს ხოლმე, მოშორებით კი თხელსა.

შბრალო მაგალითით ადვილია ნამის გაჩენის ახსნა:
ზამთარში რომ სტაქანი ყინულით ააფსო და თბილს ოთახ-
ში შეიტანო, სტაქანს მაშინვე ოფლს დაასხამს. საიდან
გაჩნდა ეს ოფლი? იქიდგან, რომ სტაქანმა გააცივა ჰაერი,
რომელიც იმის ცივს გვერდებს გარეშემო ეხვია; ამ ჰაერის
ორთქლი შეიკუმშა, ნამებათ გარდაიქცა და ეს ცვარები
სტაქანს მიეკრა. მეორე მაგალითი: ზამთარში ფანჯრის მი-
ნებს ოფლს დაასხავს ხოლმე. საიდან ჩნდება ეს ოფლი?
ოთახის თბილ ჰაერში ორთქლი ბევრი ურევია; ეს ორთქლი
ზოგი ადამიანის სუნთქვას ამოსდევს, ზოგი სამოფრიდგან აღის
და სახლის ჰაერში იკრიფება. სივ ფანჯრების მინებს რომ
ჰაერი ეხება, ცივდება, იკუმშება, ამ დროს ორთქლის ნაწი-
ლები ერთმანეთს ახლოვდებიან, ერთდებიან, ცვარებათ იქ-
ცევიან და ფანჯარას ეკრობიან. ბარეთ ჰაერის ორთქლსაც

სწორეთ ესე გარდაქცევენ ხოლმე ნამათ მცენარეები და ცივი ჰაერა.

მაშ თუ აგრეთ, რატომ ნამს ყოველ დილას არ ვხედავთ? ჰკითხა ძეკემ თავის მამას.

მს იმითომ, შეილო, რომ ყოველ ღამე ერთნაირათ არ ცივა; ზაფხულის ღამეში ნამი მხოლოდ მაშინ გაჩნდება ხოლმე, როცა დღე თბილია და ღამე კი კარგა ცივი.

ზოგჯერ ღამე კარგა ცივი ქარი ქრის, მაგრამ მეორე დილაზედ ჩვენ ნამს ვერ ვნახავთ ხოლმე, ეს რათა? ჰკითხა მამას სანდრომ.

მგ სწორეთ შეგინიშნა, უთხრა მამამ, მართლაც თუ ღამე ღონიერი ქარი ქრის, მაშინ ნამი არა ჩნდება. აქედან სჩანს, რომ ქარი უშლის ნამის გაჩენას. აი ეს როგორ მოხდება ხოლმე: ქარი ცივ საგნებთან ერთსა და იმავე ჰაერს ერთს წამსაც არ აყენებს; განუწყვეტლივ სხვა ჰაერი მოაქვს, ხეების და ბალახების გარეშებო ამისთანა ამინდში ჰაერი მუდამ იცვლება და ახლდება; ამიტომ ეს ცივი საგნები ვერ ასწრობენ, რომ ჰაერი გააციონ და იმაში მყოფი ორთქლი ნამათ გარდაქციონ. აი ქარიან ღამეში ნამი რისთვის არ მოდის. ნამი ჩნდება მხოლოდ ჩუმი ამინდის დროსა.

მამა, ხან ჩუმი ღამე, ყოფილა, მაგრამ მეორე დილაზედ ნამი არ მინახავს! წამოიძახა ძეკემ.

ჰო, შეილო, ეგეც მოხდება ხოლმე, თუ ჩუმ ღამეში ცას ღრუბელი ახვევია; მაშინ ნამი არა ჩნდება.

რატომ მამა! აღერსიანათ ჰკითხა ისევ ძეკემ.

მს იმითომ, შეილო, რომ ღრუბელი მიწის სითბოს ზევით არ უშვებს, ისევ უკანვე აბრუნებს, და ამიტომ ამისთანა ღამეში თბილა: ამ დროს საკმაოთ არ ცივდება არც ხეები, არც ბალახი და არც სხვა საგნები; ამიტომაც ესენი ჰაერს საკმაოთ ვერ აციფებენ და ნამიც ამისთვის არ გაჩნდება ხოლმე. როცა კი მოწმენდილი ღამეა, მაშინ მიწის სითბო მაღლა ცაში მიდის, იქ იფანტება და უკან აღარა ბრუნდება.

ამ დროს მიწა ბევრს სითბოს ჰკარგავს, ცივდება და ნამიცი იმიტომ გაჩნდება ხოლმე. ეს უბრალო მაგალითით აიხსნება: დაბურულ ხის ძირის ფოთლებს ნამიან დილაზედ ცვარი არა აქვთ ხოლმე; რათა? იმიტომ, რომ ზევითა ფოთლები ამათ სითბოს, როცა ის ღამე მალლა მიდის, ისევ უკან აბრუნებენ, ეს ფოთლები ცოტა სითბოს ჰკარგვენ, საკმაოდ არ ცივდებიან და იმიტომაც თავის გარეშემო მყოფს ჰაერს იმდენათ ვერ აცივებენ, რომ იმისი ორთქლი ნამათ გარდააქციონ. ზევითა ფოთლების სითბო კი დაუბრკოლებლივ აღის მალლა, ამ ფოთლებს სითბო ელევათ, თავის გარეშემო შემოხვეულს ჰაერს კარგათ აცივებენ, ამის ორთქლს კუმშავენ, ნამებათ ხლიან და მყორე დილაზედ ცვარით შეფენილნი არიან ხოლმე.

რთვილი.

თუ ღამე ისე კივა, რომ მიწა და მცენარეები სითბოს თითქმის სრულიად დაკარგვენ, მაშინ ნამი გაიყინება და რთვილი გაჩნდება. მაშასადამე რთვილი გაყინული ნამი ყოფილა. რთვილს გაზაფხულზედ, შემოდგომაზედ და ზამთარში ვხედავთ, იმიტომ რომ მხოლოდ ამ დროს იცის ცივი ღამეები. რა საკვირველია, რთვილიც ნამისავეთ მხოლოდ იმისთანა ღამეში ჩნდება, როცა ცა მოწმენდილია; ქარიან და ღრუბლიან ღამეში რთვილს არ გადმოაგდებს ხოლმე. რომელი საგნებიც უფრო ბევრ სითბოს ჰკარგვენ და უფრო ცივდებიან, ისინი უფრო ხშირი რთვილით შეიფინებიან ხოლმე, მაგალითათ: ხეები, ბალახი და თეთონ მიწა. უფრო ბევრს რთვილს სდებს ჰაერი მცენარეების იმ ნაწილებზედ, რომლებიც ზევით ცისკენ არიან აშვერილნი. რთვილი, როცა შემოდგომაზედ თავის დროზედ გაჩნდება ხოლმე, ზოგ მცენარეებს რგებს, მაგალითათ: კომბოსტოს, გოგრას, კარტოფილსა და სხვებს. თუ კი გაზაფხულზედ ცამ რთვილი გვიან გამოაგდო, როდესაც ხეხილს კუკური და ყვავილი გამოტანილი აქვს, ნაყოფიერებას ძალიან აზარალებს.—

სეტყვა.

სეტყვა მარტოკა გაზაფხულზედ და ზაფხულში მოდის ხოლმე, უფრო მაშინ, როდესაც ძრიელ ცხელია. სეტყვა ჩნდება შემდგომის სწიხით: როცა ღრუბლებიდგან წვიმა წამოვა და გზაზედ იმას დაუხვდება ძრიელ ცივი ჰაერი, ანუ ქარა, მაშინ წვიმის ნაშები უციკრათ გაიყინება და დედამიწაზედ სწრაფათ რახა-რუხით ჩამოცვივინ. რაც უფრო სხვილი წვიმა მოდიოდა ზეჲდგან, იმდენათ უფრო მსხვილი სეტყვა გაჩნდება. სეტყვა ხან წერილი მოდის, ხან მსხვილი, ჩვენში კაკალზედ დიდი სეტყვა იშვიათია, მაგრამ ზოგიერთა ქვეყნებში ხან ქათმის კვერცხის ოდენას ჩამოჰყრის ხოლმე. საშინლათ აოხრებს ყოველ მოსაუალს და დიდ ზარალს აძლევს მხენელს-მთესველს. ზოგჯერ ფრინველსაც ბევრს ხოცავს. აიდეე კარგია, რომ სეტყვამ დიდ მანძილზედ არ იცის მოსვლა, და რამდენსაშე მინუტის შემდეგ გადაივლის ხოლმე. სეტყვის ღრუბელი ადვილათ საცნობია; იმას აქვს თეთრი, ან ყომრალი მოწითლო ფერი, აქეთ იქით ნაპირები ოღრო-ჩოღროა, თითქო ვისმე გვერდები გამოუგლეჯიაო. სეტყვის ღრუბელი დაბლა დადის და ცას ძრიელ აბნელებს. სეტყვის მოსვლის წინ ისმის ერთ ნაირი ქუხილი და მასთან ყოველთვის მოსდევს ქარიშხალი და ელვა-ქუხილი. სეტყვა ჩნდება ყოველთვის დღისით, ღამით კი ძალიან იშვითათ მოვა ხოლმე.

თოვლი.

ზამთარში წყლის ორთქლი, როცა თბილი ადგილიდგან ძრიელ ცივ ჰაერში გადავა, ნაშებათ გადაქცევას ველარ მოასწრებს და გაიყინება. ზამთრის ღრუბელი შესდგება ამ გაყინულის ორთქლებისაგან, რომლებიც ჯერ სუმბუქები არიან, მაგრამ მერე ერთმანეთთან შეერთდებიან, დამძიმდე-

ბიან და დედა მიწაზედ ჩამოცივიან. მაშინ ვამბობთ: თოვლი მოდის. თოვლს ექვს კუთხიანი ვარსკლავის სახე აქვს. რამდენიც უფრო ქვეყანა ცივია, იმდენი ზამთარში ბევრი თოვლი მოდის. ამიტომ ჩრდილოეთის მხარეში დიდი თოვლი იცის და ბევრ ხანსაც გასტანს ხოლმე, აგრეთვე მაღალ მთებზედაც თოვლი სქლათ მოდის: თუ მთა ძრიელ მაღალია, მაშინ იქ ზაფხულშიაც თოვლი ძევს, როგორც ჩვენ ასკანის მთებზედ. —

ქუხილი, ელვა და მენი.

ამ ბუნების მოვლენებს მარტო გაზაფხულზედ და ზაფხულში ვხედავთ. ამათი მიზეზი ელექტრონული ძალაა, შემდგომიდან შეიტყობ, აუ რაში მდგომარეობს ეს ძალა და როგორ აჩენს ელვას, ქუხილს და მენსა. —

თუ ორი ხე დიდ ხანს ერთმანეთს ღონიერათ ეუსვით, მაშინ ჩვენ სითბოს გავაჩენთ. თუ კი სხვა და სხვა საგნებს ავიღებთ, მაგალითათ, მაუდის ნაჭერს და ლაქას, და ერთმანეთს მაგრა წაუს-წამოუსვამთ, მაშინ ჩვენ შევამჩნევთ, რომ ისინი არამც თუ გახურდებიან, ლაქა ამასთან იმისთანა ძალას გამოიჩენს, რომ თავისთან მიიტაცებს ქალაღლის პატარა ნაჭრებს და სხვა კიდევ პატარა რამეებს. თუ თბილ ოთახში სამთელი გავაჭრეთ და ბნელაში ღონიერათ ნახები ლაქა ერთს ხელში გვიჭირავს და მეორე ხელის თითი მიუახლოვეთ, მაშინ ლაქისა და თითის შუა ნაპერწკალი გაჩნდება და სუსტ ტკაცასაც მოიღებს. უწინდელმა ბერძნებმა ამისთანა ძალა მარტოკა ქარვაში შეამჩნიეს, რომელსაც ბერძნულათ ელექტრონი ჰქვია. ამიტომ მსწავლეულმა კაცებმა ამ ძალას ელექტრონული ძალა დაარქვეს. უწინ ეგონათ, ეს ძალა მარტო ქარვაში არისო, მაგრამ ახლა ყველა საგნებში აღმოაჩინეს: ლაქაში, ნავთში, მიწაში, მცენარეში

სსოველებში და ადამიანში. ქატაში ეს ძალია ძრიელ ბევრია მოგროვებულა. თუ რომ ქატას ბნელაში მანალზედ ხელის ხმას დაუწყებ, რალაც ტყაც-ტყუს დაიწყებს და პატარა პატარა ნაპერწკლებიც გამოჩნდებიან. აი ეს არის ელექტრონული ძალა. ზოგიერთა საცნებში ელექტრონობა ჩქარა და ადვილათ გაივლის ხოლმე, მაგალითათ, რკინაში; მინა კი ცუდი გამტარებელია; ამიტომ, თუ ელექტრონის დიდ ნაპერწკალს მინა წინ დაუხვდა, არ გაუშვებს და ნაპერწკლის ძალა იმას გატეხავს და ისე გაევა, რადგანაც ელექტრონობა რკინის მართულში ერთს წამს გაირბენს ხოლმე, ამიტომ ტელეგრაფები მოიგონეს; შეაგროვებენ ელექტრონობას, გაუშვიბენ მართულში, ერთს მინუტს ათას ვერს მეტს გაირბენს და შორს აცნობებს, რაც საჭიროა. —

აი ეს ზემოხსენებული ძალა აჩენს ცაში ელვასა, ქუბილსა და მ. ხსა. მაგრამ ელექტრონობა თვითონ წმინდა ჰაერში არ ურჩევია. მაშ ცაში საიდგან გაჩნდება ხოლმე? აი საიდგან: დედამიწაში ეს ძალა ბევრია და მალეობ ადგილების წვერებზედ ბევრი გროვდება: მთების წვეროვებზედ, საყდრების გუმბათებზედ, კოშკების ანუ ციხეების თავზედ და სხვაგან. ამ საცნებთან ჰაერის ორქოტლს შეხება აქვს, ამიტომ აქედგან ამ ორთქლში აღის ელექტრონული ძალა, და ორთქლიდგან კიდევ მალეა მყოფ ღრუბლებში ვრცელდება. ქველა ღრუბელშია ელექტრონობა, მაგრამ უჩინარია. როცა ზაფხულის ცხელ დღეში ცაში ღრუბლები აირევა, მხოლოდ მაშინ იჩენს ხოლმე თავს ელექტრონობა. ღრუბლები ამ დროს ერთმანეთს ეხლებიან, ეხახუნებიან და ამიტომ გაჩნდება ხოლმე ელექტრონული ნაპერწკლები; რამდენიმე ნაპერწკალი შეერთდება ერთათ და ერთი ღრუბლიდგან მეორე ღრუბლისკენ გაექანება ხოლმე. ამას ვეძახით ჩვენ ელვას. მაგრამ ხანდისხან ელექტრონის დიდი ნაპერწკალი მიწისკენ დაეშვება ხოლმე და საშინლის ძალით დაეცემა: რასაც მოხვდება, ვერა გაუძლებს რა, ყველაფერს დაამხვრევს.

შენობას არღვევს, ხეებს შუაშედ აპობს, ცხოველებს მინუტას ჰკლავს, აგრეთვე ადამიანსა. მსუ ძირს წყლიანი ანუ ნოტიოანი მიწა დახვდა, დედამიწის ზურგზე გაჩერდება, და თუ ქვიშიანი ადგილი, მაშინ ქვიშას საშინელის ძალით გასთხრის, გააპობს, და ღრმათ მიწაში წავა, მანამ ნოტიო ჯდგილამდის არ მიაწევს. აი ამას ეძახით ჩვენ მესხა. მაშასადამე მესხი ელექტრონობის დიდი ნაპერწკალი ყოფილა. შებრალო ხალხს რომ ჰკითხო, მესხი დიდი ქვა არის და ზეციდგან ვარდებაო. ხალხს ის ატყუებს, რომ ელექტრონობით გადნობილი ქვიშა როცა გაცივდება, გძელ ქვებათ გადაიქცევა ხოლმე.—

როცა კაცი მათრახს ან ჯოხს ჩქარა ჰაერში იქნევს, მაშინ ჰაერი ინძრევა და ხმა ისმის, როცა ელექტრონობის ნაპერწკალი ერთი ღრუბლიდგან მეორე ღრუბლისკენ მირბის, ან მიწისკენ დევშეება, მაშინ საშინელის ძალით და სიჩქარით არღვევს ჰაერსა, ჰაერი დიდათ ინძრევა და ხუილი გააქვს. ამას ეძახით ჩვენ ქექა-ქუხილსა. რაც უფრო დიდი ნაპერწკალია, იმდენათ უფრო ძლიერი ქუხილი გაჩნდება ხოლმე. მღვა და ქუხილი ერთს დროს ჩნდება, მაგრამ რადგანაც სინათლე უფრო ჩქარია ხმაზედ, ამიტომ ჯერ ელვას დაეინახავთ, მერმე ქუხილს გაეიგონებთ ხოლმე.

ქუხილის დროს ადამიანი უნდა ერიდოს იმ საგნებს, რომლებშიც ელექტრონობას თავისში ადვილათ გაატარებენ ხოლმე. ზევიდგან რომ ელვა მიწისკენ დაეშლება, ამ გვარს საგნებს მიეტანება, რომ უფრო ადვილათ ჩაეშვეს მიწაში. ამიტომ ქექა-ქუხილის დროს ადამიანი არ უნდა მიუახლოვდეს: საყდრის სამრეკლოს, სადაც რკინის ზარები ჰკიდია, რკინის ფეხს და დიდ სარკეს, თუ სარკე რკინის რამკაში ზის. ცეცხლის ბოლი აგრეთვე ელექტრონობის კარგი გამტარებელია; ამიტომ ქუხილის დროს ბუხარში ცეცხლის გაქრობა კარგია, რომ ბოლს ელვა არ მიეტანოს და სახლში არ ჩაეარდეს. შოველს შემთხვევაში ამისთანა აედარში შუა ოთახში დგო-

მა უფრო უსაშინაოა; ამიტომ რომ, თუ ელვა სახლისკენ
დაექანა, ან ბუხარში ჩაეარდება, ან კედელს ჩაჰყვება შიწაში;
ოთახის შუა ჯერს არას დროს არ დაეცემა. როცა სოფლის
მკხოვრებთ ელვა-ქუხილი მინდორში მოასწრებთ, ისინი მა-
შინვე ღიღ ხეებს. ან ძველს საყდრებს და კოშკებს შეეფა-
რებიან ხოლმე. ეს ძრიელ კუდი და უგუნური ხეეულეზა,
ამიტომ რომ, თუ ახლო-მახლო სადმე ელვა გაჩნდა. ამ მა-
ღალ ადგილებს შიატანს და იქ მდგომარე კაცს მინუტას
სუფოს გააყრევიანებს. ტიტველა და უტყვეო მინდორში ყო-
ფნა ამ დროს საშინაოია; ამიტომ რომ მდგომარე კაცი აქ
ველა საგანზედ მაღალია, უფრო ახლოა ღრუბელზედ, და
ამიტომ, თუ ახლო მახლო ელვა გაჩნდა და მიწისკენ წამო-
ვიდა, ადამიანს მიეტანება, დაეცემა, მოჰკლავს და მერმე
შიწაში ღრმათ წაეა. შევლას ისა სჯობია, რომ კაცმა გა-
დადარებას მაღალი ხის ახლო დაუცადოს; თვითონ ხის შირ-
ში კი არ უნდა მივიდეს, ოთხი ან ხუთი საყენის სიშორე-
ზედ უნდა დადგეს. თუ ამ შემთხვევაში ელვა მახლობლათ
გაჩნდება, ის ამ მაღალ ხისკენ დაექანება და შიგ გაიფლის;
ადამიანს კი არაფერს აენებს, რადგანაც მოშორებით იდგე-
ბა.—

გეოგრაფიული სტატისტიკა.

1. სანდრო და ქვე,

რომელთაც მამა უხნის იმას, რასაც ისინი ხედავენ ქვეყანაზედ.

ერთს მშენიერ მათის დღეს, სადილის შემდეგ, მამა და იმისი ორბ შვილი, სანდრო და ქვე, სასეირნოთ წაეიდნენ ქალაქს გარეთ.

მშენიერი დარი იყო. სა მტრედის ფრათ იყო მოწმენდილი და მზე სითბოს ქვეყანაზედ ჰფენდა. შველა სულდგმული შეჭაროდა ამ საამურ გაზაფხულის დღეს. ახალათ შემოსილ და აყვავებულ ტყისკენ ხალხი მიდიოდა სასეირნოთ; ცხოველებსაც უხაროდათ შემაწუხებელი ზამთრის გასელა და მზის გამაცოცხლებელ შუქით სიამოვნებდნენ. —

ბორუაები თვალ-მიუწვდენელი სიმაღლიდგან მინდერებს საამურად დაჰგალობდნენ; მერცხლები ხლაკნით ფრინაენდნენ, ბუზებს იჭერდნენ, და აგროვებდნენ ხავსს და ჩალას ბუდეში ჩასაგებათ.

ძალაქის გვერდზედ მდებარე კორდში საქონელი საძოვრათ იყო გაშლილი. პრავები, რომლებიც მემცხვარეს ამ კორდისკენ საძოვრათ მიუდიოდა, სიხარულით თამაშობდნენ და ბლავილით აქეთ იქით ეფანტებოდნენ, მემცხვარე და იმისი ძალი ძლივს აგროვებდნენ იმათ ერთათ გზაზედ.

სანდრო და ქვე ისეთვე სიხარულში იყენენ, როგორშიც კრავები. მამას წინ გზაზედ მხიარულის ხმით მიუთამაშობდნენ და ცდილობდნენ ჩიტები დაეჭირათ, რომლებიც გზაზედ დაბნეულს მარცვლებს ჰკენკაენდნენ. მაგრამ ჩიტები უფრო მარდები იყენენ ჩვენ ყმაწვილებზედ: მინუტას გაუ-

ჩინდებოდნენ, ხეებზედ შესხდებოდნენ და დაუდევნელათ
ქაქიკობდნენ. — იცოდნენ, რომ პატარები იმათ იქ ვერას
დაუშავენდნენ. შხა იღვა დიდ მშვენიერ კორდზედ, რომელ-
შიაც სხვა და სხვა ყვაფილები კაცის თვალს საამუჟრათ იტა-
ყებდა და სადაც პატარა რუ ჩამოხხრიალებდა. რუზედ იღვა
პატარა ხიდი. ხიდის შემდეგ იწყებოდა მთა, შემოხილი დიდი
ჩრდილოვანი ხეებითა.

ჩვენი მგზავრები შეუდგნენ მთასა. შმაწვილები ნელა
თიღოდნენ, რადგანაც მთაზედ ჩქარა ასვლა არ შეიძლება.
იმათ პატარა ფეხები ეღალებოდათ და მალ მალე ისვენებდ-
ნენ, რომ სული მოებრუნებინათ. შოლოს ჩვენი მგზავრები
მთის წვეროზედ ავიდნენ და იქ დახვდათ მოხერხებული დასას-
ვენებელი კორდის სკამი. ამ სკამის გვერთით მიწიდგან საამუ-
ჟრათ გამოხხრიალებდა წმინდა და ცივი წყარო. სანდროს
უნდოდა წყალი მაშინვე დაეღია, რადგანაც ძრიელა სწყუ-
როდა, მაგრამ მამამ დაუშალა. სანდროს სცხელოდა და და-
ღალული იყო, და თუ ცივი წყალი დაეღია, ავ. თ ადვი-
ლათ გახდებოდა. შმაწვილები მამის გვერთით სკამზე დასხდ-
ნენ დასასვენებლათ, და ზევიდგან დაჰყურებდნენ ქვემოთ
ბუნების მშვენიერს სურათსა.

ღაბლა საამუჟრათ მწვანეთ ბიბინებდა იმათი გამოვლი-
ლი კორდი; მარჯენივ იყო დიდი ტყე, ტყის იქით მალა-
ლი მთები, რომლებიც ხიშორის გამო მკრთალ-მტრედის
ფრათ მოჩანდნენ.

სანდრო იყო ათის წლისა, ძეკე რვისა. მორივე ქალაქ
ში სცხოვრებდნენ და იმ მთის და ტყის იქით ჯერ არ ყო-
ფილიყვნენ.

ძრიელ მინდა, როდისმე უთუოდ იმ მთის იქით გადვი-
დე, სთქვა სანდრომ, და იმას იქით მღებიარე მიწები გაეშინ-
ჯო. უთუოდ იქ მშვენიერი რამე უნდა იყეს.

შენ იქ ნახავ იმასვე, უთხრა მამამ, რასაც აქ ხედავ; კორდე-
ბს, ტყეებს, და თუ იმას იქითაც წახვალ, იქაც მეტს ვერას ნახავ.

შენ იქ განა ყოფილხარ, მამა?

პო, შეილო.

სულ იმ მთებსაც იქით რომ გადავიდე?

იქაც ნახავ ისევ იმას. ღელამიწა, რომელზედაც ჩვენ
ეცხოვრობთ, არის ძრიელ დიდი და ყველგან წარმოგვი-
დგენს: მთებს, ვაკეებს, კორდებს, მონღურებს და ლელებს.

რა არის ეს ლელი? ჰკითხა ქეკე.

ღელეს ეძახიან დაბლობ ადგილს, რომელიც ორს მთას
შუა სძევს. ჩვენ ეხლა მთაზედ ვართ და, როგორც ხედავთ,
ჩვენს ახლო მეორე მთა სძევს. ამ მთებს შუა დაბლობი
ადგილი, რომელზედაც მიმდინარეობს აის პატარა რუ, იწო-
დება ლელეთ. ამისთვის, სადაც მთები არ არის, არც ლე-
ლები იქნება.

ზანა იპოება იმისთანა ქვეყნები, სადაც მთები სულ არ
არის? ჰკითხა სანდრომ.

რა საკვირველია. ბევრი ქვეყანა სულ სწორე და ვაკეა,
მიუგო მამამ სანდროს. მაგრამ იმისთანა ქვეყნებიც არიან, რომ-
ლებიც მართო მთებს და ლელებს წარმოგვიდგენენ. ჩვენ
საქართველოში არის ველები, მთები, ვაკეები, ლელები,
ერთი მეორის შემდეგ. სწორეთ აგრე არიან ესენი დაწყობილნი
მთელს ქვეყანაზედაც. მთებზე ამოდიან ბევრი დიდი ხეები, რომ-
ლებიც უჩრდილებენ მიწას; სიციხის დროს მზეს უშლიან მიწის
გაშრობას და გახმობას. ჩრდილოვან მთებიდან წმინდა წყა-
როები გამოდიან და ლელებში ჩარბიან; აქ ესენი კორდებს
და მონღურებს რწყვენ, მცენარეებს სიცოცხლეს აძლევენ,
პირუტყვს და ადამიანს საჭმელს უმზადებენ. —

მაგისტვის მთის წყაროები რა საჭიროა, ქვემოთაც ხომ
არიან მდინარეები, უთხრა სანდრომ.

თვითონ მდინარე საიდან ჩნდება? ჰკითხა მამამ.

მე ეგ არ ვიცი.

მაშ მოისმინე, ჩემო შეილო: მთების სხვა და სხვა
მხრიდან წყაროები ჩამორბიან. რამდენიმე წყარო შემდგომ

ერთათ შეერთდება და შეადგენს რუს, მერმე კიდევ რამდენიმე რუს ერთათ მოიკრიფება და მდინარეთ გარდაიქცევა მათ სხანს მდინარეები მთებში იბადებიან.

სად მიდიან ეს მდინარეები? ჰკითხა სანდრომ.

შვეკანეზიდ, შვილო, არიან ძალიან დიდი ადგილები, რომლებიც მეტათ დაბლა მდებარებენ. მდინარეები დაქანებული მიდიან დიდხანს შორს, შორს, მიწამდის ამ დაბალ ადგილებამდის არ ჩაეღენ. ქველა მდინარეები იქ იკრიფებიან და აქედან გაშინჯე რამდენი წყალი უნდა იყვებ იქა. ეს ადგილები, სადაც წყლები ჩადიან და ჩერდებიან, იწოდებიან ზღვებათ.

მაშ, მამა, ეტყობა ზღვებს უფრო დიდი ადგილი უნდა ექიროთ, მანამ ხმელეთსა, სთქვა სანდრომ.

ღიპ, ეგ მართლა იფიქრე. ზღვების სიერცე სამი ხმელეთის სიერცის ტოლად.

— შე უფრო მომიკრავს, რომ ზღვები ხმელეთს გარს უფლიანო და დედა მიწა შუაშია მომწყედუელიო; ზღვების იქიან არც დედა მიწა, არც მცხოვრებლებიო; მართალია ეს, მამა? ჰკითხა კიდევ სანდრომ.

პრა, შვილო, ეგ ტყუილი გაგიგონია. ხმელეთი ერთათ კი არ არის შეკრეფილი, ნაწილ ნაწილათ არის დაყოფილი, და ამ ნაწილების შუა ზღვები არიან გაგრძელებულნი, აქედან სხანს, რომ ზღვების იქითაც ყოფილა დედამიწა; რა საკუთრეფლია იქ მცხოვრებლებიც არიან.

ბევრ ნაწილებათ არის დაყოფილი ხმელეთი? ჰკითხა ახლა აკემ.

ხმელეთი, ჩემო კარგო, უპასუხა მამამ, ხუთ დიდ ნაწილათ არის გაყოფილი.

რა ჰქვიან ამ ნაწილებსა? ჰკითხა ისევ აკემ.

ერთსა ჰქვიან აზია, მეორესა ევროპა, მესამესა აფრიკა, მეოთხესა ამერიკა, მეხუთესა აესტრალია.

შე, რა ძნელი სახელები რქმეფიანთ! წამოიძახა აკემ.

ზანა ხმელეთს ამთ მეტო ნაწილები არა აქვს? ჭკითხა ახლა სანდრომ.

როგორ არა, შეილო, ამ დიდ ნაწილების გარდა დედა მიწას სხვა წერილი ნაწილები ძრიელ ბევრი აქვს, ასე რომ ამათი მოთელა ძნელია. ამ წერილს ნაწილებს გარეშემო ზღვა უელის და ამთ კუნძულებს უწოდებენ. — აბა ახლა, ძეკე, შენ გამოიმეორე, რასა ჭკვიან კუნძულს ჭკითხა მაშამ.

კუნძული, მამილო, ჭკვიან ხმელეთის პატარა ნაწილს, რომელსაც გარეშემო აულ წყალი არტყია.

ბარაქლა, ჩემო კარგო, რომ უფროს აგრე კარგათ უგდებ, თხრა აღერსიანათ მამამ ძეკეს.

მე ეს მიკვირს, მამა, ამდენი მდინარეები ზღეებში ჩადიან, და აქამდისინ ესენი რატომ არ გაიმსნენ, ნაპირებს არ გადმოვიდნენ და არ წალეკეს კუნძულებიც და მთელი ხმელეთიც? ძეკითხათ ჭკითხა სანდრომ.

დიდი ხანია ზღეები გამსებულნი არიან, მაგრამ წყალი ნაპირებიდგან ვერ გადმოვა, ამიტოა რომ ბევრი წყალი ორთქლათ გადიქევა და ჭაერი შეიშრობს ხოლმე; მაგრამ ზღვას წყალი არც მოაკლდება, ამიტომ რომ მდინარეები ზღვაში ჩადიან და წყალს უმატებენ. რამდენიც წყალი ორთქლით აკლდება ზღვასა, იმდენი მდინარეებიდგან ემატება.

შეიძლება კაცმა დაინახოს ორთქლად წყალი როგორ ადის? ჭკითხა სანდრომ.

უფრო ხშირად არ შეიძლება. მაგრამ არ გინახავს როდისმე, ძრიელ სიცივეში წყალს როგორ კომლისავეით ოშხივარი აზდის?

როგორ არა, წამოიძახა სანდრომ, — ძალიან ხშირათ; ეგ იმასა ჭგავს, რომ აღუღებული წყლიდგან ორთქლი ადის ხოლმე.

აი, დახე შეილო: პატარა ნაწილები წყლისა ჭაერში ადიან, ჩვენ ამას ორთქლსა, ან ნისლს ვეძახით. ზევით

ნასლო შეიკრიბება და ღრუბლათ გარდაიქცევა; როცა ზეერი შეგროვდება, ორთქლი წყლის ნამებათ გახდება და ისევ მიწაზედ ცვივა; ამას ჰქვიან წვიმა.

მაგრამ, შეიხედეთ, მთების იქით მხრიდგან ღრუბლები მოადიან და რადგანაც ბნელი ფერისანი არიან და მაშასადამე — ხშირნი, ამიტომ დღეს საღამოზედ უთუოთ წვიმა მოვა. არა სჯობია, რომ შინ წავიდეთ, თორემ დავსველდებით.

მე არაფერი, უთხრა სანდრომ; ჩვენ ტანისამოსს სამზარეულოში ცეცხლთან დავკიდაეთ და კარგათ გაშრება.

იცი, როგორ გაშრება ტანისამოსი? ჰკითხა მამამ. ჰო, მამა, წამოიძახა სანდრომ; წყალი ორთქლათ გადაიქცევა და ტანისამოსიდგან ჰაერი შეიშრობს.

აი დახე, შეილო, შენ დღეს ცოტა რამე ისწავლე. ამას გარდა თქვენ გაგრილებული და დაწვენებულები ხართ; ახლა დალიეთ წყალი, რამდენიც გინდათ. შემდეგ წავიდეთ შინა, რომ ჩაიზედ არ დაფიციანოთ. სუდი იქნება თუ თქვენი საყვარელი ჩაი ორთქლათ იქცევა და იმას ჰაერი შეიშრობს. ქმაწვილები წყაროს დაეწაფნენ და წყალი მადიანათ დალიეს. შემდეგ მამა-შვილნი შინისკენ გამოეჩქარნენ.

დედაგიჟის სიმაგვლე და მიმზიდველობის ძალა.

მამამ მართლა სთქვა. ღრუბლებმა ხშირათ მოგროვება იწყეს და ჩვენი მოსიჩრენნი მოვიდნენ თუ არა შინ, მაშინვე სხვილმა წვიმამ დაასხა. სანდრომ და ძეგემ სახლში ჩაის სმამადიანათ დაიწყეს. პატარა ხანს უკან სანდრო მიუბრუნდა მამას და ჰკითხა: მამა, წელან გვასწავლე, რომ ქვეყანაზედ ყველგან არის მთები, ლელები, მინდვრები, და ბოლოს ზღვები; მაშ რამდენი მთა და ზღვა უნდა გადაიაროს კაცმა, რომ ქვეყნის ნაპირას მივიდეს? მე მგონია დიდი ხანი მოუნდება.

მამას ღიმილი მოუვიდა. ქვეყანას ნაპირი არა აქვს, უთხრა მამამ. მე ამას კარგათ აგინებოთ. აქვე წადი მოიტანე ის ვაშლი, რომელიც თქვენთვის დედამ შეიანახა და ორი-ვესთვის უნდა გავყო.

ქვეშ ვაშლი საჩქაროზედ მოუბრუნებდა.

ბი, უყურეთ, შეილებო, ეუბნებოდა მამა, როცა ვაშლი ხელში აიღო; ქვეყანა ისე ბრტყელი კი არ არის, როგორც ფიცარი, ან მეიდანის; ის ისეთი მრგვალია, როგორც ეს ვაშლი.—

მრგვალი? გაკვირვებით წამოიძახეს ყმაწვილებმა. როგორი საოცარია!

ჰო, მრგვალი. მაგრამ ჩვენ კი ასე არ გვეჩვენება. დედა მიწის ზურგზედ ყოველს ადგილს კაცს ცა დიდ გუმბათათ ეჩვენება და ჰგონია ცას ოთხთაფკუთხივ თავისი ნაპირები მიწის ხილულ ნაწილზედ აქვს დაბჯენილიო. ამ სიმრგვლეს, რომლის იქით კაცი ვერაფერს ხედავს, ჰქვიათ გორიზონტი. მზე საღამოზედ გორიზონტს მოეფარება ხოლმე; ამის ქვე-იდგან დილით მზე ამოდის; გორიზონტის შუა თავზედ მზე შუადღისას სდგას ხოლმე; შუალამისას მზე ამის ქვეშ არის მოქცეული. როცა ჩვენ ვაშლილ ადგილზედ ვდგევართ, გორიზონტის ნაპირებიდგან მოჩანან მაღალი შენობანი, საყდრები, სოფლები, ან მაღალი ხეები და ჩვენ გვგონია ამ საგნების ახლოს ცა დედა მიწაზე დაბჯენილია. მაგრამ თუ ჩვენ იმ მხრისკენ წავალთ, მაშინ ახალ ახალ საგნებს დაეინახავთ, რომლებიც წინათ არსადა ჩანდნენ; ამის მაგივრათ ჩვენს უკან ჩაიმალებიან ის საგნები, რომლებსაც უწინ ეხედავდით. აქედგანა სჩანს, რომ ადგილის გამოცვლასთან გორიზონტიც იცვლება, ანუ ესე ვსთქვათ: ყოველს ადგილს თავისი გორიზონტი აქვს. მაღლობი ადგილიდგან გორიზონტი უფრო განიერია, კაცის თვალი უფრო შორს ხედავს, მინამ ეაკე ან დაბლობი ადგილიდგან. ამ გვარი ცვლილება გორიზონტისა ცხადათ აჩვენებს, რომ ჩვენს დედა-მიწა მრგვალია,

ბრტყელი რომ ყოფილიყო, მაშინ ყველა ადგილს ერთი გორიზონტი ექნებოდა. ბარდა ამისა, ამასვე ცხადათ გეომეტრიკებს ის მოელონა, რომ რაკი ადგილს ვიცვლით, ზოგი საგნები მიეთარებიან, ზოგი ახალი საგნები ჩნდებიან. რა სჯედიანუელია, დედა მიწის გამობერილობა გეიშლის ჩვენ დაინახათ. ის საგნები, რომლებიც ჩვენ გორიზონტ ქვეშ არიან. როცა უახლოვდებით რომელსამე საგანსა, გორიზონტის ნაკრახედ მდგომარეს, ჩვენ ჯერ შევამჩნევთ იმის წვერსა, პერმე შევანაწილს და ბოლოს, როცა სულ მივახლოვდებით, ძირსაც დაუნახავთ; ხოლო როცა უშორდებით მაღალ საგანსა, ჯერ ძირი მოგვეთარება, პერმე შუა წელი, და ბოლოს თვითონ ზემოთა წვერიც დაიმალება. პირველ შემთხვევაში ჩვენ თანდათან ავდივართ მიწის იმ გამობერილობაზედ. რომელიც ჩვენგან წინეთ საგნებს ჰთარაედა; მეორე შემთხვევაში ჩვენ იმ გამობერილობიდან ჩავდივართ, რომელიც მოეთარება ხოლმე საგნებსა. შეეყანა რომ ბრტყელი ყოფილიყო, საგნებს მთლათ ერთს დროს დაინახავდით. ეს ასე არ არის, მაშასადამე დედა-მიწა მრგვალი ყოფილა. მართალია, ჩვენ სულ ვერ ვამჩნევთ დედა-მიწის გამობერილობას; მაგრამ ეს იმითომ, რომ დედა მიწა ძრიელ დარია და იმას გამობერილობა იმ მანძილზედ, სადამდინაც თვალი მიგვიწვდება, შესამჩნევ არ არის.

იქნება მთელი საგნებს ერთბაშათ იმიტომ ვერ ვხედავთ, რომ დედამიწა უსწორ-მასწორია: ზოგან მაღლობია, ზოგან დაბლობი, ზოგან დაღმართია, ზოგან აღმართი? ჰკითხა სანდრომ.

მაშ კარგი. ხელოეთის მაგიერათ მაგალითათ ზღვა ავიღოთ. ზღვა ხომ სწორია; იქარც მაღლობია, არც დაბლობი; მაგრამ იქაც ამ გვარო მოელონა მოხდება ხოლმე. მსთქვათარი გემი მოსიარულოებს ზღვაში, ერთი აღმოსავლეთიდან მაღს, მეორე დასავლეთიდან მოღს; მინამ შორს არიან; ესე იგი, სხვა და სხვა გორიზონტს ქვეშა, ერთმანეთს ვერა ზედვრ; მაგრამ აი მიახლოვდნენ ბოლოს ერთ-

მანეთს. ჯერ გამოჩნდა ხომალდის ზემოთა ნაწილი ანუ იალქნები, მერმე შუა ნაწილი და ბოლოს გემის თვითონ ტანი და იმაში მსხდარნი პასსაჟირები. აგრეთვე, ესთქვათ, გემი წაპირიდგან აეშეა და ზღვაში წაიდა; ხმელეთის ნაწილი ერთბაშით არ დაიშალება; ჯერ მოეფარება თვითონ მიწა, მერმე ხეები და ბოლოს მთებიც ჩაიშალეზიან. ის ასე არ იქნებოდა, თუ რომ დედამაწა მრგვალი არ ყოფილიყო. აგრეთვე, როცა მზე ამოდის, მთელს საგნებს ერთბაშით არ ფანათებს ხოლმე; ჯერ ზემოთ წყერს მიაღებება; მერმე ძირს გაანათებს ხოლმე; ჩასელის დროს მზე ჯერ საგნების ძირს მოეფარება ხოლმე; მერმე ზეეთა წვროებს. ამის მიზეზიც მიწის გამოზბერილობაა. ამის გარდა მზე ყველა ქვეყნებში ერთს დროს არ ამოდის. ჩამდენიც უფრო აღმოსაველეთისკენ სძევს ქვეყანა, იმდენი უფრო ადრე ამოდის მზე, ჩამდენიც დასაველეთისკენ, იმდენი უფრო გვიან. აგრეთვე შუა დღე და საღამო პირველ ქვეყნებში ადრე იცის, მეორე ქვეყნებში გვიან. თუ ქვეყანა ბრტყელი ყოფილიყო, მზე ყველგან ერთს დროს ამოვიდოდა. მაშა საღამე ის ბურთივით მრგვალი ყოფილა.

ჩა ძრიელ მიხარიან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ზეეთ, სთქვა სანდრომ, თორემ დედა - მიწის გვერდებიდგან ხომ ქვემოთ ჩავცივიდებოდით.

საქმეც ის არის, რომ ეგ არ მოხდება ხოლმე; ქვეყანას ბევრმა შემოუარა გარეშემო და არაეინ ქვეეთ არ ჩაეარდნილა. მსენრ წაეიდოდენ ხოლმე დასაველეთისკენ, გაეელიდენ ზღეებსა, მერმე ნახეიდენ მიწასა, მერმე კიდევ ზღეებსა, შემდეგ კიდევ მიწასა, მიდიოდენ, მოდიოდენ სულ დასაველეთისკენ, ის კი არა თაეის-ქვეყანაში, საიდგანაც წაეიდენ, აღმოსაველეთის მხრით კი მოეიოდენ ხოლმე. აქედგან ცხადად სჩანს, რომ ქვეყანა ეაშლირეთ ანუ ბურთივით მრგვალია, და აქედგან ჩაეარდნა ან გადაეარდნა არასტერს არ შეუძლია.

რატომ? ჰკითხა სანდრომ.

ღედა-მიწა, როგორც ძრიელ დიდი საგანი, ანუ სხეუ-
ლი, თავისკენ იტაცებს ყველაფერს, ყოველ საგანს, რაც კი
მას ზედა არის, ან მის ახლო. მე აგისხნით ამას უბრალო
მაგალითით. აბა შეხტი სანდრო.—

საითკენ, მამილო?

ზევით; ისე მალლა რამდენიც შეიძლო.

მეც მინდა ხტომა, წამოიძახა ძეკემ.

ძარგი, ორივემ იხტუნავეთ, რაც კი შეიძლოთ მალლა.

შპაწვილებმა მხიარულათ დაიწყეს ხტუნაობა.

ძიდევ მალლა, უთხრა მამამ.

არ შემიძლია, უპასუხა სანდრომ.

რატომ?

არ ვიცი, არ შემიძლია კი.

მეც მეტი აღარ შემიძლია, გაიჟეორა ძეკემ.

თქვენ ორივეს განა ისე გეჩვენებათ, თითქო ფეხებზედ
რალაც გეჭიდებათ და ქვევით გეწევთ.

ჰო, მამილო, უთხრა სიცილით სანდრომ; მართლა აგ-
რეა. მეც აგრე მეჩვენება, სთქვა ძეკემ.

მაგას ეწოდება მიწის მიტაცების ანუ მიმზიდველი ძა-
ლა. შენ რომ ზევით ქვა შეისროლო, ის უთუოთ ისევე მი-
წაზედ ჩამოვარდება. რამდენიც უფრო ღონიერათ აადგებ
ქვასა, იმდენი მალლა ავა, მაგრამ მაინც კი ჩამოვარდება.
რათ ხდება ეს ასე? რატომ ქვა სულ მალლა არ მიდის? ამი-
ტომ რომ ქვას ღედა-მიწა თავისთან იტაცებს.—

ფრინველები ხან ისე მალლა დაფრინავენ, რომ თვა-
ლითაც არა სჩანან. მაშ ისინი რატომ არ ცვივიან ძირსა?
ჰკითხა ძეკემ

მე მართალია, მაგრამ ფრინველებს მსუბუქი ტანი აქვსთ
და ფრთები კი ღონიერი. მინამდისინ ფრთები ჰაერზედ
აქვსთ დაბჯენილი, ფრინველები ძირს არ ჩამოცვივიან, მაგრამ
ფრინველმა რომ ფრთები შეიკუმშოს და აღარ მოიქნიოს,
ისიც ქვასავით ძირს ჩამოვარდება. თუ მონადირემ ფრინვე-

ლი ჰაერში მოკლა, ან ფრთა დაუქრა, მაშინ ის ქვევით წამოვა და მიწაზედ დაეცემა. ეს ძალა, რომელიც აძლევს მიწას ღონეს, რომ თავისთან მიიზიდოს ყოველი საგანი ზევით ჰაერიდგან, არ გვაძლევს ნებას მიწიდგან საითმე ჩავარდეთ, ან გადავარდეთ, ამიტომ, ვიმეორებ, რომ დედა-მიწაზედა, როგორც ძალიან დიდ სხეულზე, ყველა საგანი თითქმის მიკრულია და ამის ძალას ვერსად წაუვა. და მაინც სად უნდა წაუვიდეს? მიწის გარეშემო ყველგან ჰაერია, დედა-მიწის ახლო არა საგანი არ არის ამისთანა დიდი, რომ მიზიდვის ძალაში მას აჯობოს, საგანი წაართვას და თავისთან მიიტაცოს. მაშასადამე მიწიდგან ჩავარდნა, ან გავარდნა ყველაფრისთვის შეუძლებელია.

მგონია ახლა კი მიხვდით, რომ დედა-მიწა არის ამ ვაშლივით მრგვალი. ესლა სამყოფა, გავათაოთ. ხვალ კიდევ გელაპარაკებით. ესლა კი ეს ვაშლი ორივემ შუაზედ გაიყავით. შმაწვილებმა ვაშლი საჩქაროთ განათავისუფლეს და ძილს დაეჩქარნენ, რადგანაც დაღალულნი იყვნენ.—

III დედამიწის თავის გარეშემო ბრუნვა

და ჰვეუნის მხარეები.

იმ მთელს ღამეს გაუწყვეტლათ იწვიმა. წვიმის დროს ძილი ტკბილია, ამიტომ. ჩვენ პატარა ყმაწვილებს მეორედ დღეს გვიან გამოვღვიძათ. სანდრო რომ კარზედ გამოვიდა, მზე კარგა მაღლა იყო ამოსული. მამა იმისი კარზედ იჯდა, რადგანაც ტალახის გამო სხვაგან ვერ წასულიყო. რამ სიმაღლეთ ამოსულა ჩვენ ძილში მზე! წამოიძახა სანდრომ, როცა თავის მამას მოუახლოვდა.

როგორ ამოსულა? შენ გგონია მზე დადის და მიწას გარეშემო უვლის? უთხრა სანდროს მამამ.

მე ყველამ იცის, რომ ეგრეა, უპასუხა სანდრომ.

ტიდეც ის არის, რომ ყველანი სტყუედებიან.

როგორ სტყუედებიან? მაშ მზე მიწას გარეშემო არ უფლისა? წადი, ტეკეც გააღვიძე, ერთათ გამოდით და მე მაშინ ამაზედ დაწვრილებით გელაპარაკებით: მაინც ტალახის გამო ვერსად წავალ. სანდრო სახლში გაიქცა, თავისი და, ტეკე, გააღვიძა, ტანისამოსის ჩაცმა უშველა და მამასთან ერთათ გამოვიდნენ.

მამამ უთხრა: ლაპარაკში ჩვენ ვამბობთ: მზე ამოვიდა, მზე ჩვიდა, მაგრამ ნამდვილათ კი მზე ცაში უძრავათ სდგას.

როგორ? მზე უძრავათ სდგას? შანკვირვებით წამოიძახა სანდრომ;—ჩვენ ყოველ დღეს ცხადათ ვხედავთ, რომ მზე თანდათან მალლა აღის, მერმე თანდათან დაბლა ჩადის და ბოლოს სულ დაიმალება ხოლმე.

ჩვენ აგრე გვგონია, დაუმატა მამამ, და უწინაც ბევრს, ბევრს ხანს სწორეთ აგრე ეგონათ, როგორც ეხლა შენ გგონია. მხლა კი ყველამ გაიგო, რომ მზე ნამდვილათ უძრავათ სდგას და ჩვენ კი გვგონია, ვითომც ის დადიოდეს— ის კი—არა ჩვენ თვითონ ვტრიალებთ. დედა-მიწის ტრიალის დროს ხან მზასკენ ვართ მიბრუნებული, ხან ზურგი გვაქვს შემოქცეულია. რადვანაც დედამიწა ბურთივით მრგვალია, ამიტომ მზე ერთსა და იმავე დროს მართო დედამიწის ნახევარს ანათებს. მაშინ ამ ნახევარში არის დღე; მეორე ნახევარს კი ამ დროს ზურგი აქვს შემოქცეული, იქ ამიტომ ბნელა და ღამეა. როცა დედა-მიწა შემოტრიალდება და ამ ბოლოს ნახევარს მზასკენ მიაქცევს, მაშინ აქ დღე იქნება და იმ ნახევარზედ, რომელზედაც დღე იყო, დაღამდება.

ამას მე კარგათ ავიხსენით. წადით შინ შედით, სანთელი აანთეთ და, სანდრო, შენი რეზინის ბურთი იპოვნე. მე დაეხურავ ყველა ფანჯრებს, ფარდებს ჩამოუშვებ, დავაბნელებ

სახლში და მაგალითით ავიხსნით მზის ამოსვლასა და ჩასვლასა.

შმაწვილები შინ შევიდნენ, მამაც თან შეჰყვა; ფანჯრები დახურეს, ფარდები ჩამოაფარეს და სულ დააბნელეს. შემდეგ მამამ აანთო სანთელი, რომელიც სანდრომ მოუტანა, და ხელში ბურთი აიღო.

ახლა უყურეთ, უთხრა მამამ,—სანთელი წარმოგვიდგენს მზესა, ბურთი-მიწასა. ოქვენ ხედავთ, რომ სანთელი ბურთის მარტო ერთს გვერდს ანათებს; მეორე გვერდი რჩება ჩრდილში, ანუ სიბნელეში. ბანათებული ბურთის ნახევარზე დღია; მეორე ნახევარზე ღამე,—და იმ წრეზე, რომელზედაც სინათლე და სიბნელე ერთმანეთს შეხვდებიან, ბინდი არის. წარმოიდგინეთ ახლა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ აქ, ზემოთ, ჩრდილში. მაშინ ჩვენში ღამე იქნება. ახლა მე ბურთს ნელ-ნელა დავაბრუნებ, რომ ჩვენი დედა—მიწისავეთ დატრიალდეს. შეხედეთ ახლა ცოტა სინათლე მოდის იმ ნაწილზედ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ: მაშასადამე, ჩვენ ბინდში შევედით. ცოტა კიდევ მოვაბრუნოთ ბურთი, ჩვენ მზეს პირდაპირ დაუდგებთ და მაშინ მის შუქს დავინახავთ; ეს ის მდგომარეობაა, რომელშიაც ვართ დღით, როდესაც მზე, როგორც ვამბობთ ხოლმე-ამოდის. მაგრუნოთ კიდევ ნელ ნელა ბურთი. ჩვენ ქვევით ქვევით ჩავდივართ, გვეონია კი მზე ზევით ზევით ამოდისო; რამდენიც ქვევითა და ქვევით მოექცევა ბურთის ის ნაწილი, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, იმდენს მზს ზევით ზევით დავინახავთ. აი ეხლა შუადღია; ჩვენ გვეონია მზე ავიდა მაღლაო, ის კი არა-ჩვენ ჩავდივართ დაბლა.

მაშ მიწის ტრიალს რატომ ვერა ვგრძნობთ? ჰკითხა სანდრომ,—მე როცა მივდივარ, ან მივრბივარ-ვხედავ, რომ მოედრობ.

იმიტომ, უპასუხა მამამ, რომ დედამიწა თავის სიარულის დროს სრულიად არ ინძრევა. ბარდა ამისა, როცა დადიხარ, მოძრაობას მაშინ იმიტომ გრძნობ, რომ შენ გარეშე მო-

უძრავ საგნებს ხელად. თუ რომ ყველაფერი, რასაც კი შენ ხელად, იწყებს შენთანვე მოძრაობას, ერთსა და იმავე სიშორეზედ, მაშინ შენ მოძრაობას ვერ შენიშნავ და გეგონება, ვითომც ერთს ალაგას მოუძრავათ სდგენარ. როცა მდინარეში ნავით მიცურავ, მაშინ მოძრაობას გრძნობ, ამიტომ რომ წყლის ნაპირები უძრავნი არიან. მაგრამ, ვინც გემით ზღვაში ნაპირებიდან ისე მოშორებით მიდის, რომ მიწა არა სჩანს, იმას არ შეუძლიან შეამჩნიოს, მიდის თუ არა გემი. სწორეთ აგრეთვე დედა-მიწის მოძრაობას ჩვენ ვერ ვიგებთ. ამიტომ რომ ჩვენთანვე იძვრის ყოველი, რაც გარეშემო გვარტყია. მაგრამ, როცა მზის მოძრაობას უყურებთ და ვიცით კი რომ ის ცაში უძრავათ სდგას, მაშინ დედა-მიწის და ჩვენ ტრიალში ვრწმუნდებით.

მც და ოთხს საათს დედა-მიწა თავის გარეშემო ერთხელ შემოტრიალდება. ნახევარ ამ დროს, — როცა სინათლეში ვართ, — დღე არის, მეორე ნახევარს — ღამე. აი უყურეთ, მე ბურთს ისევ დავატრიალებ. მზე თან და თან იქით იქით იწევს; აი მზეს მოვეფარეთ, ის ჩავიდა და ბინდშიაც შევიღვართ; როცა რომ დედა-მიწის ჩვენი ზურგი სულ მოვეფარება მზეს, მაშინ ჩვენში დაღამდება, დედა-მიწის მეორე გვერდზე კი გათენდება. სიბნელეში ჩვენ იქამდის ვიქნებით, მინამ ახლათ არ გადავალთ დილის ბინდში და დღე ისევ არ დადგება. ასე მისდევს დღე ღამეს მთელს წელიწადში ყოველთვის მასუკან, რაც კი ქვეყანა გაჩნდა.

მე მაინც როგორღაც არ მეჯერება დედა-მიწის ტრიალი, სთქვა სანდრომ.

მამა ცოტათი დაფიქრდა და მერმე უთხრა სანდროს: აბა ერთი დატრიალდი?

როგორ დავტრიალდე?

ცალ ფეხზედ დადექ და რამდენჯერმე ქუსლზედ შემოტრიალდი.

მაშ მც დატრიალდები, სთქვა აკემ.

ძარგი, ორივემ იტრიალეთ.

სანდრომ და ძეკემ ცალი ფეხის ქუსლზედ ტრიალი დაიწყეს. რამდენჯერმე რომ შემოტრიალდნენ, მამამ უთხრა დადებითო. შმაწვილები დადგნენ და ბარბაცობდნენ.

აბა ახლა რას ხედავთ?

მე მეჩვენება, სთქვა სანდრომ, ვითომც სახლები და რაც გარეშემო მარტყია, ყველაფერი ტრიალებს. მეც სწორეთ აგრე, სთქვა ძეკემ.

აბა, კიდევ ეგ არის: სახლები, თქვენ კარგათ იციდ, ვერ დატრიალდებიან და არც ეხლა ტრიალებენ; თქვენ თვითონ ტრიალებთ, თავი გიბრუნავთ, გირატრატებთ და გგონიათ კი, რომ, რაც გარეშებო გარტყიათ, ის ბრუნავს. როცა დედა-მიწასთან ჩვენ ვტრიალობთ, სწორეთ აგრე გვეჩვენება, თითქო მზე ბრუნავსო-ის კი არა-მზე დგას, ჩვენ კი მოვძრაობთ.

თუ თქვენ კიდევ გიძნელდებათ იმისი წარმოდგენა, რაც მე გითხარი, მოიცადეთ, შეილებო, უთხრა მამამ: ხვალ, თუ კარგი დარი იქნება, ჩვენ და დედა წავიდეთ ჰატარა ტბაზედ და შიგ წავით ვიაროთ; მაშინ უფრო ცხადათ ავიხსნით ამას, რაც დღეს გელაპარაკეთ.

მხლა ახვადოთ ფარდები და გაეაქროთ სანთელი; მე თქვენ გეტყვით კიდევ ცოტა რასმე ქვეყნის მხარეებზედ,

შარდები ახადეს, მამამ გააქრო სანთელი, რომელიც სანდრომ თავის ადგილას წაიღო. ამ დროს ძეკემ ჰკითხა მამას, რას ეძახიან იმ მხარეს, საიდგანაც მზე ამოდის? იმ მხარეს, ჩემო კარგო, საიდგანაც მზე ამოდის, ჰქვიან აღმოსავლეთი. მაშასადამე, ყველა რაც კი ამ მხარესკენ არის, სძევს აღმოსავლეთისკენ; მაგალითათ: იმერეთიდგან ქართლი და ქართლიდგან ქახეთი მდებარებენ აღმოსავლეთისკენ.

მხარე, საცა მზე ჩადის, იწოდება დასავლეთათ. ამიტომ, რაც ამ მხრისკენ მდებარობს, არის დასავლეთისკენ; მაგალითად: იმერეთი ქართლიდგან და ქართლი კიდევ ქახეთიდგან მდებარებენ დასავლეთისკენ.

თქვენ ეხლა ქვეყნის მართო ორი მხარე იცით. ორ მხარესაც გასწავლით. აღმოსავლეთისკენ რომ პირი მიაკციო, მარჯვენა ხელისკენ სამხრეთი იქნება, მარცხენასკენ ჩრდილოეთი. მაგალითათ: საქართველოდგან ოსმალეთი არის სამხრეთისკენ, რუსეთი-ჩრდილოეთისკენ. მაშა-სადამე ქვეყანას აქვს ოთხი მხარე: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი.

ამ ოთხი მხრის შუა მდებარე მხარეებსაც ცალკე სახელები ჰქვიათ. იმ მხარეს, რომელიც აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის შუა არის, ჰქვია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი; აღმოსავლეთის და სამხრეთის შუა მდებარე მხარეს ჰქვია სამხრეთ-აღმოსავლეთი; დასავლეთის და ჩრდილოეთის შუა რომ მხარეა, ჩრდილოეთ-დასავლეთათ იწოდება; სამხრეთის და დასავლეთის შუა სამხრეთ-დასავლეთი არის.

ამითი გაათავა მამამ თავისი ბაასი დღეს. სალამოზედ, ჩაის შემდეგ, ლაპარაკს ზამთარზედ და ზაფხულზედ დაჰპირდა.—

VI დედაგიჟის ტრიალი გზის გარეშემო და წელი.

წადის ღრონი.

როცა ჩვენმა პატარა ჯალაბობამ ჩაის სმა გაათავა, ყმაწვილები მამას შემოუსხდნენ და იმის ბაას ლოდინი დაუწყეს.

მამამ დაიწყო: მე თქვენ გაიმბებთ, თუ როგორ ბრუნავს ქვეყანა დასავლეთიდგან აღმოსავლეთისკენ, როგორ ოცდა ოთხს საათს თავის გარეშემო ერთხელ შემოტრიალდება ხოლმე, როგორ წარმოსდგება აქედგან დღე და ღამე.

მაგრამ მზე ჩვენ ქვეყანას სინათლეს გარდა სითბოსაც უგზავნის. თქვენ იცით, რომ ქვეყანაზედ მაშინ უფრო თბილა, როცა მზე ანათებს, მინამდის მაშინ, როცა ის არა სჩანს. ზაფხულში, როცა მზე ძალიან მაღლა სდგა, ჩვენში

ძალიან დაცხება ხოლმე, ზამთარში კი, როცა მზე დაბლა არის, ცივა ხოლმე. შეცდები აგისნათ, როგორ წარმოსდგება ესა, თუმცა ვგრძნობ, რომ თქვენ ამას ისე ადვილათ ვერ გაიგებთ, როგორც ადვილათ მიხვდით დღისა და ღამის მოვლენასა. ამიტომ თქვენ დიდი ყურადღება გამართებთ.

ქვეყანა, როგორც გითხარით, ტრიალებს თავის გარეშემო. ჩვენ თუ წარმოვიდგენთ, რომ დედა-მიწას თავიდან ბოლომდის ღერძი აქვს გაყრილი, მაშინ ეს ამ ღერძის გარეშემო იტრიალებს, როგორც ურმის თვალი ტრიალებს თავის ღერძზედ, — და ამის გამო წარმოსდგება დღე და ღამე. მაგრამ ქვეყანა მართო თავის ღერძზედ არ ტრიალებს; ეს გარეშემო უვლის მზესაც. მრთს შემოვლაზედ უნდება მთელი წელიწადი, თუმცა ყოველს მინუტს დედამიწა ათას რვას ვერს გარბის. რატომ ვერ ვიგებთ, თუ ქვეყანა ასეთი საშინელი სიჩქარით მიჰქროლავს? იმიტომ, რომ დედამიწა მიჩბის ცარიელ სივრცეში, საცა არა ფერს ხედება, არაფერს ედება და არ ინძრევა. რომ წინ დახვედროდა რამე და დედამიწა დაეყენიბინა, თუმცა ერთსა მინუტსა, მაშინ ისეთი საშინელი ძერა მოხდებოდა, რომ არამც თუ მთელი სულდგმულობა გაწყდებოდა, თვითონ დედამიწაც ლუკმა ლუკმა იქცეოდა. თუ ამ ჩქარ მოძრაობაში ჩვენ სული არ გვიგუბდება, ეს მიტომ, რომ ჩვენ თანვე მოგვდევს ჰაერი, რომელიც ორმოც და ათი ვერსის სიმაღლეზედ დედამიწას გარს ახვევია.

შეგიძლია შენ, სანდრო, მითხრა რამდენჯერ შემოტრიალდება ხოლმე დედა-მიწა თავის გარეშემო, მინამდის მზეს გარს ერთხელ შემოუვლიდეს?

სანდრო დაფიქრდა, მაგრამ არ იცოდა, რა პასუხი მიეცა.
— არა, მამილო, უთხრა ბოლოს სანდრომ; მე ეგ ჯერ კიდევ არ ვიცი.

იცი, მაგრამ ვერ მოგიგონია; — რამდენი დღე აქვს წელიწადსა?

—სამას სამოც და ხუთი, მიუგო სანდრომ.

წელიწადში რამდენიც ღლეა, იმდენჯერ დედამიწა უნდა შემოტრიალდეს თავის გარეშემო მინამდის მზეს ერთხელ შემოუვლიდეს. მე ვეცდები ცხადათ აგიხსნათ მზის გარეშემო დედა-მიწის სიარული.

სანთელი მზე იყოს, დედა-მიწა ეს ბურთი; თავი ამ ბურთისა იყოს დედამიწის თავი, ბოლო კიდევ დედა-მიწის ბოლო. ბურთი სანთლის გარეშემო ისე დაეატრიალოთ, რომ მას თავი ზევით ჰქონდეს, ბოლო ქვევით. აი, ხომ ხედავთ, რომ შუქი სანთლისა ბურთის შუაგულს პირდაპირ ადგია, თავსა და ბოლოს კი ძრიელ აღმაცრათ მიდის. აქედგან წარმოსდგება ისა, რომ ბურთის შუაგულზედ უფრო დიდი სიბო იქნება, მინამ თავსა და ბოლოსა. სწორეთ ამ გვართ უელის ჩვენი დედა-მიწა მზეს გარეშემო. სიარულის დროს ქვეყანას თავი ზევით აქვს მიქცეული, ბოლო ქვევით. აქ უნდა გითხრათ მე თქვენ და თქვენ მტკიცეთ დაისწავლოთ, რომ დედა-მიწის თავს ეწოდება ჩრილოეთის პოლიუსი, ბოლოს კი სამხრეთის პოლიუსი. მზის გარეშემო ტრიალის დროს დედა-მიწას ჩრდილოეთის პოლიუსი ზევით აქვს მიქცეული, სამხრეთის პოლიუსი კი ქვევით. ამიტომ მზე ყოველთვის პირდაპირ დაჰყურებს მხოლოდ დედა-მიწის შუა წელსა. ამ შუა წელზე რომ ხაზი გაეავლოთ, ეს ხაზი ქვეყანას გარეშემო შემოერთყმის, როგორც კვერცხს შუაზედ სარტყელი შემოართყა. ეს ხაზის სარტყელი ქვეყანას ორ თანასწორ ნაწილათ გაჰყოფს: წრის ქვევით იქნება დედამიწის სამხრეთის ნახევარი, ზევით კი ჩრდილოეთის ნახევარი. ამ წრეს ეკვატორი ეწოდება. ეკვატორი ქვეყანას ყოველთვის მზისკენ აქვს მიქცეული და მზე ამ ადგილს პირდაპირ ზევიდგან ქვევით დაჰყურებს. თავს და ბოლოს კი, ანუ პოლიუსებს, დედამიწა მზისკენ პირდაპირ არას დროს არ მიაქცევს. ამიტომ მზე პოლიუსებს ყოველთვის გვერდიდგან აღმაცრივ უყურებს. ჩვენ ვიცით, რომ რამდენიც მზე მალლიდგან იყუ-

რება, იმდენი უფრო მეტათ ათბობს. თქვენ შენიშნავდით, რასაკვირველია, რომ მზე დილითა და საღამოთი ისე ძრიელ არ ათბობს, როგორც შუადღისას, როდესაც იმისი შუქი პირდაპირ ზევიდგან მოდის და არა გვერდიდგან. დედამიწის პოლიუსებს, ანუ თავს და ბოლოს, მზე ასე მაღლიდგან არას დროს არ უნათებს; იმათ მზის შუქი ძალიან აღმაცრივ მიზდით. ამიტომ იქ ისე არას დროს არ თბილა, როგორც დედამიწის შუა წელზედ, ანუ ეკვატორთან. თვითონ ეკვატორთან კი ყოველთვის ცხელია. აქ არ იცის არც ზამთარი, არც გაზაფხული, არც შემოდგომა. აქ მუდამ განუწყვეტელი ცხელი ზაფხულია. ამიტომაც საზამთროთ ჩვენ საქართველოდგან ფრინველები მიდიან სამხრეთისკენ, რადგანაც ცხელი ქვეყნები იქით არიან.

ეს შუა დედამიწის ზურგი, ანუ ეკვატორი, რომ ყოველთვის სწორეთ პირდაპირ მზის ქვეშ ჰყოფილიყო, მაშინ აქ იქნებოდა განუწყვეტელი საშინელი სიცხე, ეკვატორზედ მოშორებულ ქვეყნებში იქნებოდა სითბო და განუწყვეტარი გაზაფხული, ან შემოდგომა; ზამთარი და ზაფხული აქ სულ არ ეცოდინებოდა; პოლიუსებთან კი, ანუ დედა-მიწის თავს და ბოლოს, საშინელი სიცივე და განუწყვეტელი ზამთარი იქნებოდა, და აქ არ ეცოდინებოდა არც შემოდგომა, არც გაზაფხული, არც ზაფხული. მაგრამ ეს ასე არ არის. მზის გარეშემო ტრიალის დროს დედა-მიწა ისე კი არა დგას, რომ სწორეთ პირდაპირ ჩრდილოეთის პოლიუსი ზევით ჰქონდეს მიქცეული და სამხრეთის პოლიუსი ქვევით, -სდგას ცოტათი გვერდზე, აღმაცრივ წახრილია. აქედგან ის წარმოსდგება, რომ დედა-მიწა ნახევარ წელიწადს ჩრდილოეთის ნაწილს მიაქცევს მზისკენ, მეორე ნახევარს წელიწადს-სამხრეთის ნაწილს მიუშვერს ხოლმე. მაგრამ დედა-მიწა მხოლოთ შუა წელის ახლო მდებარე ქვეყნებს მიაქცევს ხოლმე პირდაპირ მზისკენ და არა შორეულ ქვეყნებს და პოლიუსებს. მაგალითათ: ჩვენი საქართველო დედა-მიწის შუა წელს მოშორებულია, ამი-

ტომ მზე პირდაპირ ზევიდგან არას დროს აუ დაგვეყურებს, ყოველთვის ქვევიდგან დაგვექერის.

სხრა მარტსა მზე სწორეთ პირდაპირ დასცქერის დე-ღამიწის შუა ზურგს ანუ ეკვატორსა. ამ დროს მთელს დე-ღამიწაზედ დღე და ღამე თანასწორია. ამის შემდეგ დეღამი-წა თანდათან მზისკენ მიაქცევს ჩრდილოეთის ნახევარს და მზე ცოტა-ცოტა ზევით ზევით წამოვა. ჩვენში იწყება გა-ზაფხული და მერმე ზაფხული. ეს ჩრდილოეთის ნაწილის მზისკენ მიქცევა გასწევს ხოლმე ათ თიბათვემდის; ამ დროს მზე ძალიან მაღლა ამოსული. ამიტომ ჩვენში ამ დროს დი-დი დღეა, ღამე კი პატარა. მაშინ რომ სწორეთ მზის პირ-დაპირ მიწას გარს წრე შემოვარტყათ, ეს წრე იქნება ტროპიკი ჩრდილოეთისა, ანუ ამისთანა წრე, რომელსაც მზე არას დროს არ გადმოვა. ეს წრე ეკვატორიდან ანუ შუა დეღამი-წის წელიდგან არის ოც და სამ და ნახევარ გრადუსზედ—(ერთს გრადუსში თითქმის ას ხუთი ვერსია.)

ამ დროს ჩრდილოეთის ნახევარში ზაფხულია და თბი-ლი დრო, სამხრეთის ნახევარზე კი მზე დაშორებულია, და ამიტომ იქ დიდი ღამეებია, პატარა დღეები და სიცივე, -ერთი სიტყვით ზამთარია. ათ თიბათვიდგან დეღამიწა ჩრდილოეთის ნაწილს ცოტა ცოტათი აშორებს მზესა. მზე ამიტომ ქვევით ქვევით მიდის. მერთმეტს სეკდემბერს მზე ისევ სწორეთ შუა დეღამიწის ზურგს, ანუ ეკვატორს, პირდაპირ დაჰყურებს. ამ დროს მთელ დეღამიწაზედ დღე და ღამე ისევ გასწორებულია, ამის შემდეგ დეღამიწა სამხრეთის ნაწილის მზისკენ მიქცე-ვას იწყებს. ამიტომ იქ მზე მაღლა მაღლა ადის და თბილი დრო დგება—გაზაფხული და ზაფხული. სამხრეთის ნაწილის მზისკენ მიქცევა გაგძელდება ათ დეკემბრამდის.

ათ დეკემბერს სწორეთ რომ მზის პირდაპირ დეღამი-წას წრე შემოვავლოთ გარეშემო, ეს წრე იქნება სამხრეთის ტროპიკი ან ამისთანა წრე, რომელსაც მზე არას დროს არ გადაუა. ეს წრეც ეკვატორიდან არის სწორეთ იმ სიშორე-

ზედ, რომელზედაც ჩრდილოეთის ტროპიკი. . . ამ დროს აქ არის თბილი დრო, შუა ზაფხული, დიდი დღეები და პატარა ღამეები; ჩრდილოეთის ნახევარში კი ცივა და ზამთარია, რადგანაც მზე მოშორებულია და ალმაცრივ უყურებს, - აქ ღამეები დიდია და დღეები პატარა.

დღე და ღამე ეკვატორის ახლო არას დროს ძრიელ არ განირჩევიან. თორმეტი საათი დღეა, თორმეტი ღამე. რამდენიც ქვეყანა უფრო დაშორებულია დედა-მიწის შუა გულსა; იმდენი ეს განსხვავება დიდია. ასე რომ, როცა ჩვენ ჩრდილოეთის დედამიწის ნახევარში ზაფხულია, მაშინ ჩრდილოეთის პოლიუსთან რამდენსამე თვეს დღე განუწყვეტელია, და ღამე კი აქ სულ არ არის; სამხრეთის პოლიუსთან ამ დროს მუდამი ღამეა რამდენსამე თვეს. როცა დედამიწის სამხრეთის ნახევარში ზაფხულია, მაშინ სამხრეთის პოლიუსთან რამდენსამე თვეს მზე ცაში ჩაუსვლელათ დგას; რადგანაც ჩვენ ჩრდილოეთის ნახევარში ამ დროს ზამთარია, ამიტომ ჩრდილოეთის პოლიუსთან რამდენსამე თვეს განუწყვეტელი ღამეა.

მართი სიტყვით, როცა დედამიწის შუა წელს ზემოთ ზაფხულია, მაშინ ქვემოთ ნაწილში ზამთარია, როცა აქ ზამთარია, იქ მაშინ ზაფხულია. საშობოვოთ, ანუ ახალწელიწადს, როცა ჩვენში ცივა, მაშინ იქ ცხელა. მკის დროს, ანუ მკათათვეში, როცა ჩვენში ცხელა, სამხრეთის ნაწილში ცივა. ამ თიბათვეს, როცა ჩვენში უდიდესი დღეა და უპატარესი ღამე; იქ მაშინ უდიდესი ღამეა და უპატარესი დღე. ამ დეკემბერს, როცა ჩვენში უდიდესი ღამეა და პატარა დღე, იქ მაშინ დიდი დღეა და პატარა ღამე.

თვითონ შუა წელზედ განუყრელი ზაფხულია, დედამიწის თავსა და ბოლოს, ანუ პოლიუსებთან კი ძრიელ ცივა. თუმცა აქ ზაფხულიც იცის, მაგრამ მოკლე ძალიან და ცოტა სითბოიანი.

ამ ლაპარაკში კარგა ღამე გავიდა. მამამ ყმაწვილები დასაძინებლათ გაგზავნა და უთხრა: დილაზედ, როცა მზე ამო-

ვა, თქვენ მაშინვე ადექით და შუა დღის უკან სასეირნოთ წავიდეთ პატარა ტბაში, როგორც დაგპირდით.

V. წყალში ნავით სეირნობა.

მეორე დღეს მშვენიერი თბილი დარი იყო. სადილის შემდეგ მამა და დედა სასეირნოთ წასასვლელათ მოემზადნენ; ყმაწვილებს, რასაკვირველია, ძრიელ უხაროდათ. იმათ ტანისამოსი მარდათ ჩაიცვეს და დედ-მამის წინ გზაზე სიხარულით გაიქცნენ. როცა ქალაქს გასცდნენ, დიდი გზიდგან გადაუქციეს და გასწიეს მდინარისკენ, რომელიც ქალაქს ახლოს ჩამოუდიოდა.

მე მეგონა, მამილო, ჩვენ ტბასთან წავიდოდით, სთქვა სანდრომ, რომელიც შეფიქრიანდა, იქნება მამას თავისი პირობა დააეწყდაო.

ჩვენ მაინც იქ მივდივართ, უთხრა მამამ. მაგრამ რადგანაც ტბა ერთის საათის სასიარულოზეა, და შენი დედის და ქეკესთვის ძნელი იქნებოდა აქედგანაც და იქიდგანაც ფეხით სიარული, ამიტომ იმ მდინარესთან მივიდეთ, ნაფში ჩავსხდეთ და ტბამდის ისე ჩავიდეთ. მაშინ იქიდგან შინ ფეხით წამოსვლა არ გაგვიძნელდება, რადგანაც დასვენებული ვიქნებით არ დავიღალბებით.

ეს დაწყობილება ბავშვებს ძრიელ მოეწონათ. მსენი ნაფში ჯერ სულ არ მსხდარიყვნენ და მოუთმენლათ ელოდნენ, როდის მივიდოდნენ მდინარესთან.

მდინარე ახლო იყო. იქ ჩქარა იპოვეს ერთი მოთევზავე, რომელიც თანხმა გახდა იაფ ფასათ ნავით ტბამდის ჩაყვანსა. მდინარე არ იყო განიერი, მაგრამ ჩქარა კი მიდიოდა. ჩასხდა თუ არა ჩვენი პატარა ჯალაბობა, მოთევზავემ წყალს მისცა ნავი, რომელიც მდინარეს საამურათ გაჰყვა.

პატარა ხანს უკან მამამ დაიწყო: გახსოვთ, შეილებო, მე გუშინ თქვენ გითხარით, რომ ჩვენ ვერ ვიგებთ დედამიწის მოძრაობასა, ანუ სიარულსა, ამიტომ რომ ყოველი, რაცა კი გრს გვარტყია, ჩვენთანავე მოძრაობს შეუცვლელ 'ი-შორესედ'?

შეხსოვს, მამა, მიუგო სანდრომ; მაგრამ აქ ჩვენ ცხადათ ვხედავთ, რომ მოედრაობთ; მართლა განა?

მართლა; მაგრამ ეგ ამიტომ, რომ მდინარის აქეთ იქით ნაპირები დგანან და თან არ მოგვდევენ. ჩვენ იმათ თანდათან ვშორდებით და ჩვენ მოძრაობას ამითი ვიტყობთ...

მე ეხლა მეჩვენება, წამოიძახა ძეკემ, ვითომც ჩვენ ვდგევართ ერთ ადგილას, ხეები და ნაპირები კი ზევით მირბიან; როგორი საოცარია!

მართლა განა? უთხრა მამამ. სწორეთ აგრე მოხდება ხოლმე, როცა ჩვენ დედა-მიწასთან მოედრაობთ. ჩვენ თვითონ აღმოჩნდებით სკენ ვტრიალებთ და გვეჩვენება კი ვითომც მზე დასაველეთისკენ მიდის; ამიტომ რომ ეს არის მარტო საგანი, რომელსაც ჩვენ ცაში ვხედავთ, და ერთს ალავს მოუძრავათ სდგას. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს ხეები მიწაში ფესვებით მაგრა სხედან და მოძრაობა არ შეუძლიათ, და რადგანაც ვშორდებით ამათ, ამითი ვიგებთ, რომ მიედევართ. ამის მზგავს მაგალითს წარმოგვიდგენს მთვარეც; როცა ეს ღამე ანათებს და ამის ახლოს ძრეელი ქარი ღრუბლებს ჩქარა მიაბრეინებს, მაშინ ჩვენ გვეგონია, ვითომც ეს ღრუბლები ერთს ადგილას დგანან და მარტოკა მთვარე მირბის, ის კი არა—მთვარე ნელა მიდის, ღრუბლები კი ჩქარა მირბიან. აბა ახლა სცადეთ-თვალეები დახუჭეთ, შეგიძლიათ რამე დაინახოთ?

არა, მამილო, უთხრეს შეილებმა, როცა თვალეები დახუჭეს.

ბრძნობთ ახლა, რომ ჩვენ ვმოძრაობთ?

არა, ჩვენ ეხლა ვდგევართ, უთხრა სანდრომ.

მართლა? ჰკითხა: მამამ ღიმილით. მაშ აახილვე თვალე-
ბი, — ჩვენ მივეცურავთ ისევე ჩქარა, როგორც უწინ მიე-
დიოდით.

ჰო; მაგრამ, როცა კი თვალებს დაეხუჭავ, მაშინ ვერა-
ფერს ვგრძნობ, სთქვა სანდრომ.

ამიტომ რომ ვერა ხელად ვერა საგანსა, რომელსაც რომ
ჩვენი მოძრაობა შეეცუობინებინა. შეეყნის ტრიალს შენიშ-
ნავ იმითი, რომ ცაში მზე, რომელიც ერთ ალაგს მოუძრა-
ვით სდგას, მოსიარულეთ გვეჩვენება; მაშა სადამე მოუძრა-
ობთ ჩვენა.

ამ დროს მოთევზავემ ნიჩაბი ღონივრათ მოუხსვა და ნა-
ვი გაცურდა ისე ჩქარა, რომ ზედ ქათვი ავიდა.

როგორ მივრბივართ! მხიარულათ წაჰოიძახა სანდრომ.
როგორ ჩქარა უნდა ერბინა ნაპირზედ იმას, ვინც კი მოინ-
დომებდა, რომ ჩვენ მიგვეოლოდა! ხეები როგორ მიჩბიან
ზევით! ძვეკ მართალია: სწორეთ მეც აგრე მჩვენება.

პატარას ხანს უკან ჩვენი პატარა ჯალაბობა ტბაში ჩა-
ვიდა. ჯერ კარგა ხანი ტბაში ისეირნეს, მერმე ნაპირს გა-
ვიდნენ; აქ ჩვენმა ყმაწვილებმა ბევრი ყვავილები შეაგროვეს
და კონებათ შეჰკრეს; დაღამდა და ერთათ ფეხით შინ წა-
მოვიდნენ.

მზაზედ მამამ ჰკითხა: ახლა ხომ კარგათ მიხვდით ჩვენი
მიწის სიარულსა და მზის მოუძრაობასა, ხომ, სათქმელი ალა-
რა გაქვსთ რა?

მე კი კარგათ გავიგე ყველაფერი და ძვეკესი კი არ ვი-
ცი, სთქვა სანდრომ.

მეც მენზედ ნაკლებათ არ მიხვდით, ფიქრი ნუ გაქვს,
უპასუხა ძვეკემ. ერთს საათს უკან ჩვენი პატარა ჯალაბობა,
კოტათი დაღალული, სახლში მივიდა.

VI. მთვარე და იმისი ტრიალი მზის და ღელა—მიწის გარეშე.

ჩვენი დაღალული ჯალაბობა, ჩაის დაღვების შემდეგ, კარზედ გამოვიდა. მზე ჩასული იყო და ბინდი მოტანებუ-
ლი. შევლანი დასხდნენ და პირი აღმოსავლეთისკენ მიაქცი-
ეს. პატარა ხანს უკან რალამაც საამურათ ამოანათა აღმოსავ-
ლეთისკენ. სანდრო და ძეგე თვალეზათ გადაიქცნენ. რამდე-
ნიმე მინუტს შემდეგ სავესე მთვარემ სასიამოვნოთ ამოაშუ-
ქა. სანდრომ და ძეგემ თვალი აღარ მოაშორეს და თითქო
შეჭხაროდნენ მკრთალ ნათელიან მთვარესა.

მართლა! მამა, ეს მთვარეც უძრავათა ღვას ცაში? ჰკით-
ხა სანდრომ. ჩვენთვის ამზედ ჯერ არაფერი გითქვამს. ძე-
გესაც მოეწონა სანდროს კითხვა.

მე ძრვიელ მიხარია, უთხრა მამამ, რომ ყველას სწავ-
ლა გსურთ, და ამ საათშივე გელაპარაკებით ამ საგანზედ;
დამიგდეთ ყური.

მთვარე უძრავათ არა ღვას. ეს დადის დედამიწის გარე-
შემო და მასთან მზესაც გარს უვლის. როგორც ჩვენს ქვე-
ყანასა, ისე მთვარეს მზისგან მისდის სინათლე. მიწის გარე-
შემო შემოვლას მთვარე უნდება ოც და რვა დღეს.

მთვარე არის იმისთანა მრგვალივე მნათობი, როგორც
ჩვენი ქვეყანა. მთვარე ჩვენ ქვეყანაზედ ორმოც და ცხრა
ჯერ პატარაა. მიწის გარეშემო შუა წელზედ რომ რკინის
გზა ყოფილიყო გაკეთებული, და დღე-ღამე რვაასი ვერსი
გაეარა ცეცხლის გემს ამ გზაზედ, მაშინ ადამიანი გარე შე-
მოუვლიდა დედა-მიწას ორმოც და შვიდ დღეს, მთვარეს კი
ამისთანა გზით ცამეტ დღეს შემოუვლიდა. ეს ამიტომ, რომ
ჩვენი ქვეყანა სისქით მთვარეზედ ოთხჯერ დიდია. რომ
შესაძლებელი ყოფილიყო მთვარიდგან კაცს ჩვენი დედა-მი-

წისთვის შემოეხდნა, ეს გამოჩნდებოდა ოთხი მთვარის ტოლა მნათობი, და ამაზე ოთხჯერ უფრო ნათელოვანი. თუ მთვარე ამისთანა პატარა გვეჩვენება, ეს ამიტომ, რომ ძალიან შორს არის. ზარბაზნის ტყვია ჩვენი დედა-მიწიდან მთვარემდის მისვლას ცხრა თვეს მოუწოდებოდა. მაგრამ მთვარის სიშორე თითქმის არაფერია მზის სიშორესთან. მზე ჩვენი ქვეყნიდან ასე შორს არის, რომ ზარბაზნის ტყვია აქედან ოც და ხუთს წელიწადს იქამდის ძლივს მივიდოდა. თუ კაცი რაიმე სასწაულით მზესთან მისულიყო და იქიდან ჩვენ ქვეყნისთვის შემოეხებდნა, დედა-მიწას ან სულ იერ შენიშნავდა, ან დაინახავდა პატარა ბჟუტა ვარსკლავის ოდენათ. თუ ამ საშინელ სიშორეზედ მზე კიდევ დიდათ გვეჩვენება, ეს იმიტომ რომ საშინლათ დიდია. მზე ისეთი დიდია, რომ რკინის გზით შუაწელიზედ ძლივს გარე შემოევლებოდა თორმეტ ძელიწადს და ას სამოც დღეს.

ზარბაზნის ტყვია მზემდის ოც და ხუთს წელიწადს მოუწოდებოდა? ეს ისე შორს ყოფილა, რომ თუ სამოთხე ბრწყინვალე მზეზეა, მაშ ჩვენი სული სიკვდილის შემდეგ ჩქარა ვერ მივა იქამდის! წამოიძახა ძეკემ.

მამას ღიმილი მოუვიდა. რასაკვირველია, თუ რომ ჩვენი სული იქ ისე წავიდოდა, როგორც მიდის ზარბაზნის ტყვია; მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ სინათლე მზიდან ჩვენ ქვეყანამდის რვა მინუტს და ცამეტ წამს მოდის და ჩვენი სული, რასაკვირველია, უფურო ჩქარია სინათლეზე.

ეს ყველა ყველა, მაგრამ აი რა არის გასაოცარი და საკვირველი: მზესთან და მთვარესთან არავინ წასულა, იქ არავინ ყოფილა, საიდგან გაიგეს, ან რამ სიშორეთ არიან ეს მნათობები ჩვენზედ, ან რამოდენნი არიან, ან სინათლე იქიდან რამდენს ხანს მოდის! ჰკითხა გაოცებით სანდრომ.

საქმეც ეგ არის, შეილო, რომ სწავლა და განათლება კაცს თითქმის ყოველად შემძლებლათ ხდის. სწავლული კაცი ბისთვის, ვარსკლავ—მრიცხველებისთვის, მაგისი ცოდნა აღვი-

ლია. **მ**უ კარგათ ეცდები და ისწავლი სხვა და სხვა მეცნიერებას, მაშინ ეს საქმე შენც ადვილათ გეჩვენება.

მართლა, კინალამ არ დამაფიწყდა! სიჩქარით წამოიძახა ძეკემ; მამა, ეს როგორღა მოხდება ხოლმე, რომ ხან მთელს მთვარეს ვხედავთ, ხან ნახევარს, ხან პატარა ნამგლის ტოლას, ხან კი სულ აღარ ვხედავთ? მე ყური მომიკრავს, ვითომც ზეცაში დიდი მღვეი ნელა-ნელა ყლაპავს მთვარესაო და მერმე ცოტა-ცოტათი ამოუშვებსო პირიდგან?

მე აშკარა ტყუილი უნდა იყოს, ზედვე ეტყობა, სთქვა სანდრომა.

შენ მართალი ხარ, უთხრა მამამ სანდროსა; ძეკეს ტყუილი გაუგონია. **ა**ი როგორ მოხდება ხოლმე მთვარის დაბადება, გაზდა და მერმე დაღვეა: თქვენ ხომ იცით, რომ მთვარე ჩვენი ქვეყნისათვის მრგვალი მნათობია. ამიტომ მზე, რომლიდგანაც მთვარე სინათლეს იღებს, მთვარის მართო ნახევარს ანათებს. როცა მთვარე ჩვენ ქვეყანასა და მზის შუაა, მაშინ განათებული ნახევარი მთვარისა მზისკენ არის მიქცეული, ჩვენსკენ კი ბნელი ნახევარია მოქცეული, და ამიტომ მთვარეს ვერა ვხედავთ. ამ დროს მთვარე მზეს ამოსდევს ყოველთვის დილითა და მინამ დღე არის, მთვარე ცაშია, და როცა მზე ჩავა, თან ჩაპყვება. მე მგონია მიხვდით, რისთვის ვერ ვხედავთ მთვარეს ხან და ხან? ჰკითხა მამამ.

მიხვდით, უთხრეს ორივემ ყმაწვილებმა.

ახლა მოიხსენეთ შემდეგი: როცა მთვარე ქვეყანას გარეშემო უვლის, ჩვენ გვეჩვენება ვითომც ის აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ მოძრაობს; მაგრამ ვსტყუედებით. მთვარე დედამიწას გარს უვლის დასავლეთიდგან აღმოსავლეთისკენ, ჩვენ კი უკუღმა გვეჩვენება, იმიტომ რომ დედამიწა აღმოსავლეთისკენ თავის ღერძზედ ჩქარა ბრუნავს, მთვარე კი ნელა ნელა მოდის; ამიტომ მთვარე უკან გვრჩება და ამისგამო ჩვენ გვგონია ის დასავლეთისკენ მიდისო. **მ**რ სამ დღეს უკან მთვარე ცოტა აღმოსავლეთისკენ მზეს

გამოშორდება და გვერდზე მოექცევა, ასე რომ მზის ჩასვლის შემდეგ მთვარე ერთ შუბის ტარზედ ცაში კიდევ დარჩება; ამ დროს მზის შუქი ცოტათი გადმოვა მთვარის იმ გვერდზედ, რომელიც ჩვენსკენ არის მოქცეული. მაშინ მთვარეს პატარა ნამგლის პირის ტოლას დაეინახავთ. მთვარეს ამ დროს დასავლეთის გვერდი აქვს განათებული. შემდეგ, რამდენიც მთვარე მზეს შორდება და აღმოსავლეთისკენ მოდის, იმდენი უფრო თანდათან მზისკენ ბრუნდება მთვარის ის ნახევარი, რომელიც ჩვენსკენ არის მოქცეული, და ამიტომ განათებული ნაწილი მთვარისა დიდდება. როცა მთვარე მზეს ისე მოშორდება, რომ მზის ჩასვლის შემდეგ საშუალოდ იდგება, მაშინ ვხედავთ მთვარის განათებული ნახევრის ნახევარსა, ანუ მეოთხედს; ერთი მეოთხედი კი ზევითკენ არის მიქცეული. რამდენიც უფრო და უფრო მთვარე აღმოსავლეთისკენ მოდის, იმდენი განათებული ნაწილი დიდდება. როცა მთვარე მზეს ისე მოშორდება, რომ იმის ჩასვლის შემდეგ აღმოსავლეთიდან ამოვა, მაშინ მთვარის მთელს ნახევარს დაეინახავთ. ამ დროს ჩვენ მზესა და მთვარეს შუა ვიხილავთ. ის ნახევარ ნაწილი, რომელიც მთვარეს მზისკენ აქვს მიქცეული, ჩვენსკენაც პირდაპირ იყურება; ამიტომ მთვარის ნახევარს ვხედავთ. ამის შემდეგ რამდენიც მთვარე იქით მიდის, იმდენი მზეს უახლოვდება; ამისთვის იმის დასავლეთის მხარეს ცოტა ცოტათ სიბნელე ეპარება, მთვარეს აკლდება, როგორც ვამბობთ ხოლმე. როცა მთვარე ისე მიახლოვდება მზეს აღმოსავლეთის მხრით, რომ შუალამის უკან ამოვა, მაშინ ჩვენ განათებული ნაწილის ნახევრის ნახევარს ვხედავთ, ანუ მეოთხედს; მეორე განათებული ანუ მეოთხედის კი ჩვენს იქით მიქცეულია. მერმე, რამდენიც მთვარე მზეს ახლოვდება, იმდენი გვიან-გვიან ამოდის და პატარავდება. ბოლოს, როცა მზეს დაუპირდაპირდება და დედა-მიწის და მზის შუა ჩასდგება, მაშინ მთვარე მზეს ამოხდევს; განათებული ნაწილი მთვარეს ზევით აქვს მიქცეული და ამიტომ იმას სულ ვერა

ვხედავთ. ორ სამ დღის უკან მთვარეს პატარა ნამგლის პირის ოდენს დავინახავთ დასავლეთისკენ. მაშ ის მეორეთ დაიბადა. შემდგომ ისევ ისე გაიზრდება, მერმე დაპატარავდება და ბოლოს სულ დაიშალება.

მე ამას კიდევ სხვა ნაირათ ავიხსნით, შინ შევიდეთ. სანდრო, შენი ბურთი ისევ მოიტანე, უთხრა მამამ, როცა შინ შევიდნენ. სანდრომ მოუტრბევინა.

მაშინ მამამ ხელში ბურთი აიღო და უთთხრა: აი ეს ბურთობთვარე იყვეს, სანთელი-მზე, ჩვენ თვითონ დედა-მიწა ვიყვენეთ. სანთლის და ჩვენ შუა, ან ცოტა ქვევით, ან ცოტათი ზევით, ბურთი დაეჭიროთ. მანა ახლა ჩვენსკენ არის მოქცეული ბურთის ბნელი ნახევარი და განათებული ნაწილი კი სანთლისკენ? სწორეთ აგრე დგას მთვარე ჩვენ დედამიწის და მზის შუა, როცა არა სჩანს. ახლა ბურთი ცოტა მარცხნივ წამოვიღოთ. ხედავთ სანთლის სინათლემ ბურთის მარჯვნივით მხარე როგორ გაანათა. მთვარეც სწორეთ აგრე უდგას ხოლმე მზესა, როცა იმის დასავლეთის გვერდს პატარა ნამგლის ტოლას ვხედავთ განათებულსა. ახლა ჩვენ მარჯვენა მხარი პირდაპირ სანთლისკენ მივაქციოთ და ბურთი პირის პირდაპირ დაეჭიროთ. ახლა ხომ ხედავთ, რომ ჩვენსკენ მოქცეული ბურთის ნახევარი ნახევრობით არის განათებული, სწორეთ ამ რიგათ სდგას მთვარეც მაშინ, როდესაც ჩვენ ამის მეოთხედს ვხედავთ განათებულსა. ახლა ზურგი შევაქციოთ სანთელსა, თავზე კი ის ცოტათი მაღლა დაეჭიროთ, და ბურთი პირის პირდაპირ დავაყენოთ. ხომ ხედავთ ახლა, რომ მთელი ნახევარი ბურთისა, ჩვენსკენ მოქცეული, განათებულია, თუმცა კი ვერ ვხედავთ სანთელსა, საიდგანაც ბურთს სინათლე მოსდის; სწორეთ აგრე დგას მთვარეც მაშინა, როდესაც ამის მთელს ნახევარს განათებულს ვხედავთ. მაშინ დასავლეთიდან მზე პირდაპირ მთვარეს უყურებს აღმოსავლეთისკენ, თუმცა ჩვენ კი მზეს ვერა ვხედავთ. ეს ბურთი კიდევ მარცხენა ხელისკენ წავიღოთ. ახლა ვხედავთ,

რომ მარჯვენა ხელისკენ ბურთს სიბნელე შეეპარა. რამდენიც ეს ბურთი მარცხენა ხელისკენ მომაქვს, იმდენი ეს სიბნელე იზრდება, ბურთის განათებული ნაწილი კი პატარავდება. აი ახლა მარცხენა მხარს პირდაპირ სანთლისკენ მივაქცევ და ბურთს სწორეთ პირის გასწვრივ დავიჭერ. ახლა სჩანს მარტო ბურთის ნახევრის ნახევარი ანუ მეოთხედი განათებული; სწორეთ აგრე უდგას მთვარე მზესა და დედამიწასა, როდესაც ვხედავთ მარტო აღმოსავლეთის ნაწილის მეოთხედს განათებულსა, და დასავლეთისას-სიბნელეში. რამდენსაც ბურთს უახლოვებ სანთელსა, იმდენი განათებული ნაწილი პატარავდება. აი ბურთი მზესა და ჩვენ შუა დავაყენე, და ჩვენსკენ მოქცეული ბურთის ნახევარი სულ დაბნელდა. როცა ამ ნაირათ დადგება ხოლმე მთვარე მიწისა და მზის შუა, მაშინ ის სულ აღარა სჩანს. ისევ მარცხენა მხარისკენ მოვაცალე სანთელს ბურთი და აი პატარათ განათლდა ჩვენსკენ მოქცეული ბურთის ნაწილი. მთვარეც აგრე დაიბადება ხოლმე, როცა მზეს აღმოსავლეთისკენ გამოშორდება და ისრე აღმაცრივ დაუდგება, როგორც ეს ბურთი სანთელს უდგას.

თუ ბურთს ჩემი პირის და სანთლის შუა სწორეთ პირდაპირ დავაყენებ, მაშინ სანთელს ბურთი დამიბნელებს; სწორეთ აგრეთვე, თუ მთვარე, როცა არ სჩანს და მზეს ამოსდევს, სწორეთ პირდაპირ ჩადგა მზის და დედა-მიწის შუა; მაშინ მზეს დაბნელებს და ქვეყანაზე მზის დაბნელება მოხდება. თუ კი უკუღმა მოხდა, ესე იგი, საფსე მთვარიანობის დროს თუ ჩვენი დედა-მიწა პირდაპირ მთვარისა და მზის შუა ჩადგა, მაშინ მთვარის დაბნელება მოხდება. მაგრამ ყველა ქვეყნიდან კი არა სჩანან ეს დაბნელებანი, რადგანც მზე და მთვარე ერთს დროს არ ანათებენ ყველა ქვეყნებში. ხშირათ მზე დაბნელდება ხოლმე მაშინ, როდესაც ჩვენი ლამეა. მაშინ, რასაკვირველია, ვერაფერს გავიგებთ. ხშირათ მთვარის დაბნელება მოხდება ხოლმე მაშინა, როდესაც ჩვენში ღღეპამიტომ ვერაფერს შევიტყობთ. მაგრამ, რადგანაც ცის სი-

ერცე დიდია, ამიტომ მთვარე, როცა მიწას გარს უვლის, ხან დედა მიწაზედ ზევით ღვას, ხან ქვევით; პირდაპირ ერთ ხაზზედ მთვარე, მზე და ქვეყანა იშვიათათ დასდგებიან. ამიტომ მზესა და მთვარის დაბნელება იშვიათი საქმეა.

მზე რომ მთვარისა და ქვეყნის შუა ჩასდგეს, მაშინ რა-ღა მოხდება? ჰკითხა პეკემ მამასა.

ბაჩუმდი, გაჩუმდი, მისძახა სანდრომ თავის დასა; განა აგრე მალე დაგავიწყდა, რომ მზე ჩვენზედ საშინლათ შორს არის, მინამ მთვარე, და არ შეიძლება, რომ ის დედა-მიწის და მთვარის შუა ჩასდგეს?

პეკეს ცოტათი შერცხვა და გაწითლდა.—

საქართველოს მოკლე გეოგრაფია.—

დედამიწის ზურგზედ ბევრი არ არის იმისთანა ქვეყანა, რომ სიმშვენიერით ჩვენ საქართველოს სჯობდეს. ბევრს ქვეყანას უჭირავს სრულიად სწორე და ვაკე ადგილი, რომელიც ერთი და იგივე სახით კაცს გულს უწვერილებს და სადაც დაბალი სერიც კი, მცენარით შემოსილი, ადამიანის თვალს არ ასიამოვნებს; მაგალითათ-რუსეთის მხარე. ზოგი ქვეყანა მოფენილია ტიტველა კლდეებით, სადაც ამწვანებულ მინდორი იშვიათი სანახაია. ჩვენი სამშობლო ქვეყანა მოშორებულა ამ ორივე უკიდურებას. საქართველოს ბუნება ძალიან მდიდარია და შემკული სხვა და სხვა გვარის სურათებითა. აქ კაცი ხედავს ვრცელ ვაკეს, რომელიც სხვა და სხვა მოსავლით საამურათ მოფენილია, იქ თვალს წარმოუდგება მთები; შემოსილი სხვა და სხვა გვარის ხეებითა; აქ მწვანეთ ბიბინებს ტყეებს შუა გაგრძელებული ველი; იქ თვალს იტაცებს მთების შუა ვიწრო ხეობა, საესე ბევრ ნაირი ხეხილით და მცხოვრებლებით.—ქართველებიც სილამაზით თავის სამშობლოს არ დაუფარდებიან; ქართველის, ბერძნის და ჩერქეზის სილამაზე მთელს ხმელეთზეა გათქმული. ჩამომავლობით ქართველები ძავეკასის ტომს ეკუთვნიან და უნიჭიერეს ხალხებთან ითვლებიან.—ამისთანა ქვეყნის ცოდნა უცხოესათვისაც საამურია, და საქართველოს შეილისათვის ხომ სირცხვილია, რომ თავის სამშობლო ქვეყნის გაცნობას არა ცდილობდეს.

საქართველო სძევს აზიის აღმოსავლეთის კუთხეში; შავი ზღვის და ქასპის ზღვის შუა. საქართველოს ჩრდილოეთით

საზღვრამენ ძავეკასის მთები. დასაველეთით შავი ზღვა, სამხრეთით-**მსმალეთი** და **სომხითი**, აღმოსაველეთით ძავეკაზის მთები, რომლებიც აქ საქართველოს ლეკეთიდგან ჰყოფენ. საქართველოს შეადგენენ შემდგომი ნაწილები: ქართლი, ქახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ბურია, სვანეთი და აფხაზეთი.— მთელ საქართველოში 1,157.000 მცხოვრები ითველება. (*)

საქართველო თითქმის ერთ მანძილზეა დაშორებული ცხელი და ცივი ქვეყნებისაგან. მკვატორი და ჩრდილოეთის პოლიუსი თითქმის ერთ სიშორეზედ არიან ჩვენი ქვეყნიდგან. ამიტომ საქართველოში ზომიერი ჰავევა; ჩვენ არ გვაწუხებს არც ცხელი ქვეყნების ჰაპანაქება და არც ცივი ადგილების ძაშინელი ყინვა. ზამთარში საქართველოში ზომიერათ ცივა, ზაფხულში ძრიელ არა ცხელა.

ძავეკასის მთებიდგან სამხრეთისკენ გაჭიმულია ქართლის და იმერეთის შუა ერთი გძელი მთა, რომელიც ძრიელ მაღალი არ არის. ამ მთას უწინ ლიხის მთას ეძახდნენ, ეხლა სურამის მთა ჰქვიაან. მს მთა საქართველოს ორ დიდ ნაწილათ ჰყოფს: მთის აქეთ მდებარე ნაწილს აღმოსაველეთის საქართველო ჰქვიაან, მთის იქით დასაველეთის საქართველო. უწინ მთის იქითა მცხოვრებლებს იმიერებსეძახდნენ, (აქედგან წარმოსდგება სახელი „იმერეთი“) და მთის აქეთ ამიერებს. აღმოსაველე-

(*) ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ კარგა ბლომი ნაწილი საქართველოსი დიდი ხანია **მსმალეთს** უჭირავს. მრცელი ადგილი მტკვრისა და შორახის სათავემდის საქართველოს სამეუოს ეკუთნოდა უწინდელ დროში. აქ იყენენ და არიან შემდეგი ქვეყნები: მრუშეთი, აჰარა, ლიგანი, შავიშეთი და სხვანი. **თუმცა** ამ ქვეყნების მცხოვრებლები ახლა გაათათრებულნი არიან, მაგრამ ზოგ ქრისტიანულ წესს აქამდის ასრულებენ და ქართული ენაც ბევრს ადგილს ისევ ახსოვთ. **მსმალეთის** საქართველოში მოგზაური ეხლაც ბევრგან ხედას დანგრეულ ეკლესიებს და მონასტრებს, მეტადრე მაღლობ ადგილებზედ, აქ მცხოვრები ქართველების რიცხვი გამომძიებული არ არის.—

თის ნაწილი საქართველოსი ძახეთს და ქართლს უჭირავს, დასავლეთისა-იმერეთს, სამეგრელოს, ბურიას, სენეთს და აფხაზეთს.

საქართველოს იქით და აქეთ ნაწილში ჰავა ერთ ნაირი არა არის. დასავლეთის საქართველოში წვიმა ხშირათ მოდის და ძალიან ნოტიო ჰაერია. ამის მიზეზი შავი ზღვის სიახლოვეა, საიდგანაც დასავლეთის ქარს ღრუბელი უხვათ მოაქვს. სინოტიე ძრიელ მავნებელ ციებ-ცხელებას აჩენს შავი ზღვის ახლო და ხალხს ბევრს აზარალებს. აღმოსავლეთის საქართველო შავ ზღვაზედ დაშორებულია და ამიტომ აქ უფრო იშვიათათ მოდის წვიმა და ამის გამო აქაური ჰაერი უფრო ხველია, მინამ დასავლეთის საქართველოსი. ბარდა ამისა, იქით საქართველოში უფრო ზომიერი ჰაეა, მინამ აქეთში. ამის მიზეზიც შავი ზღვაა. ჩვენ ვიცით, რომ ზამთარში ზღვა და ზღვის ჰაერი ხმელეთზედ და ხმელეთის ჰაერზედ თბილია, ზაფხულში კი უფრო გრილია. ამიტომ შავი ზღვის სითბო დასავლეთის საქართველოს ზამთარში სიცივეს უმცირებს, ზაფხულში კი სიცხეს წყლის სიგრილე უნელებს და უზომიერებს; აღმოსავლეთის საქართველოზედ შავ ზღვას სიშორის გამო ამისთანა ზედ მოქმედობა არა აქვს. აი რისთვის ზამთარში აღმოსავლეთის საქართველოში უფრო ცივა და ზაფხულში უფრო ცხელა, მინამ დასავლეთისაში. ზოგიერთა შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქებში მთელს ზამთარში ზოგჯერ ყვავილები ყვავიან და ხან და ხან იანვარში ჭექა-ქუხილი ისმის; აღმოსავლეთის საქართველოში კი ამავე დროს თოვლი სძევს. ზაფხულში, როცა ხმელი სიცხისაგან თბილისის ახლო-მახლო მინდვრები სრულიად გადამწვარნი და გადატიტვლებულნი არიან, ამ დროს შავი ზღვის ახლო დედეები ხშირი და მაღალი მცენარით მწვანეთ არიან შემოსილნი.— იქით და აქეთ საქართველოს განსხვავება ამითი არა თავდება. მსენი მცხოვრებლებითაც განირჩევიან. თუმცა ნიჭიერებით იქათა და აქეთა ქართველები ერთმანეთს არ დაუყარდებიან; მაგრამ ზნეობით სხვა და სხვა ხარისხზედ სდგანან. საზოგადოთ ამ მხრით ამიერები სჯობიან

იმიერებს. შური, უთანხმოება, ერთმანეთის გაუტანლობა და სიძულილი იქით ქართველებში უფრო გავრცელებულია, მინამ აქეთელებში. ზარდა ამისა ერთი უმთავრესი ნაკლულე-ვანება იქითა ქართველებისა არის პირმოთნეობა. შენი მტრო-ბით საესე იმერელი ისე გაჩვენებს თავსა, გეგონება ჩემი პირველი კეთილის მოსურნე ეს არისო. აქეთა ქართველები ამ ნაკლულევანებას მოშორებულნი არიან, — კახელი და ქართ-ლელი სიტყვა პასუხში და ყოფა ქცევაში პირდაპირია. თა-ვისუფლობა აქეთა ქართველებს უფრო უყვართ იქითა ქა-რთველებზე: მოსამსახურეთ ქართლელი და კახელი ძალიან იშვიათათ დადგება; იმერლები და მეგრელები კი ამისთანა საქმეს ძალიან მისდევენ და კიდევ ეხერხებათ. ამის გარდა იქითა ქართველები უფრო ჩილი გულისანი არიან; როგორც უბედურება, ისე ბედნიერება იმათზედ მეტათ მოქმედებს, მი-ნამ აქეთ ქართველებზედ. შბრალო ხუმრობა, ან დაცინვა იმიერს მოთმინებიდგან ადვილათ გამოიყვანს, როცა რომ ამას აქეთა ქართველი ყურსაც არ ათხოვებს. ამიტომ იმიე-რებს ამიერები ფხუკიანებს ეძახიან. — მაგრამ ჩქითა ქართვე-ლებსაც ცოტა უაღრესობა არა აქეთ აქეთა ქართველებზედ. იმიერნი უფრო ცქვიტი, გამბედავი და მოძრავი ხალხია; ამათ ბევრ გვარი საქმე ეხერხებათ: მოსამსახურობა, ხელოსნობა, ვაჭრობა და სხვანი. აქეთ ქართველები კი ამ გვარს საქმეებში უფრო მცირე ხალისს და ნიჭს იჩენენ. ლეთის მოყვარულო-ბაც შეუძლიანთ იმიერებმა ამიერებთან დაიკვეხოვნ. ძვირა უქმით ეკლესიები იქითა საქართველოში ხალხით საესეა ხოლ-მე; აქეთა საქართველოში კი ორ სამ კაცს ძლივ ნახავ საყ-დარში. თავი და თავი უაღრესობა იმიერებისა ამიერებზედ იმაში მდგომარეობს, რომ იმათ საკვირვლათ უყვართ წე-რა-კითხვის სწავლა და განათლება, მეტადრე პატარაობისას. ეს ძალიან ძვირფასი თვისებაა და ამას შეუძლია ყოველი მათი ნაკლულევანება აწმდგომში დაფაროს და შემდგომში მოსპოს. უკანასკნელი მოჯამაგირე, რომელსამე ქალაქში

დაბინავებული, ყოველ ღონის ძიებას ხმარობს და ზოგჯერ თავის მცირე ჯამაგირს ხარჯავს, რომ წერა-კითხვა ისწავლოს. უბედურათ ხდის თავის თავს ყოველი იმიერი, რომელმაც რამდენიმე წელიწადი ქალაქში გასტანა და წიგნის სწავლას ვერ ეღირსა. აქეთ ქართველებს სწავლის წადილი ამისი მეთედიც არა აქეთ. რადგანაც ზნეობისა, კკუისა და კეთილდღეობის წარმატება დამოკიდებულია განათლებაზედ, ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ, თუ აქეთა ქართველებმა ამაზე მეტათ სწავლა არ შეიყვარეს, დასავლეთის საქართველო შემდგომში დაწინაურდება და აქეთა საქართველოს წინ გაუსწრობს.—

ძარის მიმართულობა ყოველ ქვეყანაში დედამიწის შენობაზედ არის დამოკიდებული. საქართველოს ჩრდილოეთით ქაეკასის მთა აქვს აფარებული, სამხრეთით სომხეთის მთა და მისი ტოტები, მხოლოთ აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარე და დასავლეთისა ღია არის. ამიტომ ჩრდილოეთის და სამხრეთის ქარი ჩვენ სამშობლო ქვეყანაში შეუძლებელია. საქართველოში მხოლოთ ორი მხრის ქარი იცის: აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. იმერეთის მხარეში პირველს ზენა-ქარს ეძახიან, მეორეს ქვენა ქარს; აქეთ საქართველოში კი უკუღმა: აღმოსავლეთის ქარს აქ ქვენა ქარი ჰქვიან, დასავლეთისას-ზენა ქარი. აღმოსავლეთის ქარი უფრო ხმელია და ცხელი, დასავლეთისა კი ნოტიო და გრილი. ამიტომ წვიმის ღრუბლები ჩვენ საქართველოში უმეტეს ნაწილად დასავლეთის ქარს მოაქვს. იმერეთის მხარეში აღმოსავლეთის ქარი საშინლათ მაზარალებელია. ეს ქარი მეტათ ხმელი და ცხელია, ასე რომ იმის ქროლის დროს სიცხე 40 გრადუსამდის ადის და საშინელი ცუდი მოქმედება აქვს მთელს ბუნებაზედ: ჰაერს აშრობს, მცენარეს აჭკნობს და ამეტრევს, ადამიანს სუნთქვას უძნელებს და აღონებს. არა ხანგრძლივი გვალვა არ ახმობს ისე მიწას და ისე მავნებელი არ არის, როგორც ეს ქარი. ძნელი ასახსნელია, სად იზადება და საიდან მოდის ეს ქარი.

ის ქრის აღმოსავლეთიდგან, მაგრამ ეს არის შესანიშნავი, რომ ქართლში ეს ქარი არ იცის. ეს მანებელი ზენა ქარი ქრის მომეტებულათ საკუთარს იმერეთში და სამეგრელოში; იმათ გარეშემო მდებარე მხარებს (რაქას, აბხაზეთს, ბურჩას, და ახალციხის მხარეს) ის ან სულ არა ხედება და ან ნაკლებათ. ძიდევ კარგი, რომ ეს ქარი იშვიათათ დაიძვრის ხოლმე და ჩაფარდნაც მალე იცის, თორემ იმერეთს მთლათ ააოხრებდა.—

ქავკასიის მთის წვერები ისეთი მაღლები არიან, რომ იმათ-ზედ ზამთარ-ზაფხულ თოვლი ძეცს აუღებლათ. წვიმაც ხშირ-ხშირათ მოდის ამ მთის აქეთ იქით გვერდებზედ.—ამიტომ აქ ბევრ-მდინარეს აქვს სათავე. რაც მთის აქეთ მხრიდგან წყალი გამოდის, იკრიფება ორ დიდ მდინარეში: რიონში და მტკვარში. რომელ წყლებსაც სათავე ლიხის მთის იქით აქეთ, ისინი რიონში ჩადიან, რომლებსაც აქეთ-მტკვარში.—რიონს სათავე რაქის ზემოთ აქვს. ეს მდინარე ზემოთ წელში ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოდის და ჯერ რაჭაზედ მომდინარეობს, მერმე იმერეთში ჩამოდის. ჭუთაისამდის რიონი საშინლათ ჩქარა მობის, შემდგომში კი თანდათან დინჯდება. ჭუთაისის ქვემო რიონს ერთვის შვირილა. შვირილის შეერთების შემდეგ რიონი დასავლეთისკენ ბრუნდება. ორპირთან ამ მდინარეში ჩამოდის ცხენის წყალი, რომელსაც სათავე იალბუზის ახლო აქვს და რომელიც ჯერ სვანეთზედ მოდის სამხრეთისკენ, მერმე იმერეთის და სამეგრელოს სამზღვარზედ მომდინარეობს. ცხენის წყლის შეერთების შემდეგ რიონი ისევ დასავლეთისაკენ მიდის და შავ ზღვას ერთვის. რიონი ყიელა საქართველოს მდინარეებზედ უფრო სასარგებლოა, ამიტომ რომ გემებთ სავლელი წყალია; შავი ზღვიდგან ორპირამდის ცეცხლის გემები აღვილათ ამოდინ და ჩადიან.—მტკვარი გამოდის სომხეთის მთებიდგან; ახალციხემდის ჩრდილოეთისკენ მოდის, აქედგან პირს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისკენ შერება და ბორჯომის ხეობაში ჩამოდის; როცა ხურამს მოატანს, აღმოსავლეთისკენ უხვევს.

ზორთან მტკვარს ემატება ლიახვი, მერმე ქვემოთ ძსანი, ცხეთასთან მტკვარში არაგვი ჩადის, და მასუკან ეს მდინარე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ბრუნდება. ქახეთის ბოლოს მტკვარს ერთეიან იორი და ალაზანი, რომლებიც ქახეთზედ მომდინარეობენ. — ბოლოს მტკვარი ჩადის ქასპიის ზღვაში. მტკვარი საქართველოში გამოუყენებელი მდინარეა. ამაში გემების სიარული შეუძლებელია, რადგანაც ძრიელ ჩქარა მიდის და კლდეებით სავსეა მისი ძირი და ნაპირები. მხოლოდ ბოლოში ქასპიის ზღვიდგან სალიანამდის გემები დადიან. უწინ კი, როგორც სწერენ, მტკვარი გემთ სავლელი მდინარე ყოფილა; ქასპიის ზღვიდგან სურამამდე თურმე პატარა გემები ამოჰქონდათ. მაგრამ მტკვარი სხვა მხრივ არის სასარგებლო: ამის ბოლოში ძალიან ბევრს თევზს იჭერენ, მეტადრე სალიანთან, საიდგანაც ბევრი თევზი მოდის გასასყიდათ.

ორივე ნაწილი საქართველოსი მცენარებით ძალიან მდიდარია, თუმცა დასავლეთის საქართველო ამ მხრით სჯობია აღმოსავლეთისას. როგორც იქით საქართველოში, ისე აქეთში მინდვრებს და ველებს ამშვენებენ სხვა და სხვა ლამაზი ყვავილები: ვარდი მრავალ გვარი, ია, კოჩივარდა, მიხაკი, შრო შანა, ნარგიზი და სხვები. მთები შემოსილია ხშირი და ატეხილი ტყით. ამ გაუვალ ტყეებში თითქმის ყველა გვარი ხე იპოვება: წიფელა, თელა, მუხა, ნაკერჩხალი, იფნა, ფიჭვი, ნაძვი, ვერხვი, ცაცხვი, ურთხელი და სხვანი. აქ ბევრ-გვარი ხეხილი ხარობს, რომელიც ბევრ ქვეყნებში ბალებშიაც ვერ მოჰყავთ, მაგალითათ: ნიგოზი, რომელიც ძალიან დიდი ხე იზრდება, ვაშლი, მსხალი, ბროწეული, ვაზი, თხილი, ლეღვი, ზღმარტლი, ფშატი. ამათ გარდა იმერეთის მხარეში წამლიც ბევრია ტყეებში. ბევრგან ბალები და ვენახები გამშენებული არიან სხვა და სხვა ხეხილებით, რომლებიც სხვა ქვეყნებში სრულიად არა ხარობენ, მაგალითათ: ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის ხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი,

ვაშლ-ატამი, ყაისი, ჭერამი, კომში, ნიგოზი, ფშატი და სხვანი. ღაბურულ და გაუვალ ტყეებში ბევრ გვარი ნადირი ბუდობს, სახელდობ: ირემი, ჯიხვი, მშველი, თხა, კურდღელი, ვეფხვი, დათვი, მგელი, აფთარი, ფოცხვერი, ღორი, მელა, მაჩვი და კიდევ სხვანი. ჭაობიან ადგილებში გარეული ღორი ძალიან მრავლდება. ბეწვიანი ნადირიც ბლომათ არის: წავი, კვერნა, სამური, თეთრი მელა, ქურციკი და სხვანი. აგრეთვე მრავალგვარი ფრინველი ბუდობს საქართველოს ტყეებში და მინდვრებში: წერო, ბატი, იხვი, ღალღა, ხოხობი, კაკაბი, გნოლი, მწყერი, ტყის-ქათამი, ტრედი მრავალგვარი, გვრიტი, გუგუული, ოფოფი, შაშვი, ჩხართვი, შროშანი, ტარბი, ბულბული, მალალური. მტაცებელი ფრინველიც ბევრ ნაირია: სვავი, არწივი, შავარდენი, ბარი, ქორი, მიმინო, ალალი, ძერა, ბოლოზბეჭედა, ყორანი, ყვავი, კაჭკაჭი და სხვანი. სასარგებლო მწერებში შესანიშნავია ფუტკარი, რომელიც დასავლეთის საქართველოს ტყეებში ბუდობს და თავის მშვენიერ და წმინდა თაფლით მცხოვრებლებს ასაზრდოებს.

მიწის ნიადაგი საქართველოში ძალიან ღონიერი და ნოყიერია. მეტადრე ქართლში და ქახეთში ისეთი მსუქანი შავი მიწაა, რომ რვა უღელი ხარით შებმული გუთანს ძლიერს აპობს. მიწის სინოყიერით ყველა ადგილებზედ უფრო გათქმულია რიონის აქეთ იქით ნაპირები. აქ მშვენიერი მოსავალი იცის; მაგრამ ხანდინჯან საშინელი ხშირი და სხვილი წვიმა სრულიად ააოხრებს ხოლმე ნათესსა; ამისთანა წელიწადში აქაურ მცხოვრებლებში შიმშილი გაჩნდება ხოლმე. მტკვრის დღევანდელ სიღონიერით ბევრით არ დაუვარდება რიონის დღევანდელსა. მაგრამ აქ კიდევ ზოგჯერ სხვა მიზეზი წაახდენს ხოლმე მოსავალსა — ხანგრძლივი გვალვა. —

ამ გვარი ბუნების პატრონი მდიდარი ხალხი უნდა იყეს, მაგრამ ეს ასე არ არის. საქართველო მეტათ ღარიბი ქვეყანაა. რა არის ამის მიზეზი? სიზარმაცე და დაუდევრობა მცხოვრებლებსა, ქართველები დიდი ზომით არა საქმეს არ აკეთე-

თებენ. მსენი მხოლოდ იმაზე ზრუნვენ, რომ შიმშილისაგან და სიცივისაგან როგორმე დაფარულნი იყენ და სრულიად არა ცდილობენ ხანგრძლივი შრომით, მხნეობით და ზომიერი ცხოვრებით ქონება და სიმდიდრე შეიძინონ. რიონის და შტკერის ლელეებში, როგორც ვთქვით, ისეთი ღონიერი ნიადაგია, რომ ერთი ოცათ და ოც და ათათ მოღის; სიმინდმა ხომ კიდევ უფრო დიდი მოსავალი იცის. მაგრამ აქ თითქმის ვერა დროს ვერ ნახავ ბლომათ შენახულ ჭინახულსა. იმდენი მოჰყავთ, რამდენიც ერთ წელიწადს მოუნდ ბათ; შემდგომისთვის ძალიან ცოტასა ზრუნვენ. ამიტომ, თუ რომელსამე წელიწადში ნახნაე-ნათესი მოა'ცდა, შამშალობა ჩამოვარდება ხოლმე. მართველები რომ უფრო მხნე დამოქმედი ხალხი იყეს, ერთს წელიწადს თავის დალოცვილს მიწას რამდენსამე წლის მოსავალს მოაყვავინებდნენ. მაინც ჩვენს სამშობლო ქვეყანა უფრო შემძლებელი იქნებოდა, ქართველებმა რომ თავის ქონების დაზოგვა იცოდნენ; მაგრამ, საუბედუროთ, ამათ ეს თვისება სრულიად არა აქვთ. მართველი კაცი ხუთი ექვსი წლის სარჩოს ზოგჯერ ერთ წელიწადში ხარჯავს. ლეინო თუნდა ბლომათ მოუვიდეს, შემოდგომაზედ და ზამთარშივე დალევს და ზაფხულში მუშაობის დროს ყიდულობს. მოუკედებათ ვინმე, თავისი სარჩო თან უნდა გადაატანონ, დააქორწილებენ ვიამე, ოჯახი უნდა დააყარონ, იმდენს დახარჯვენ. ამისთანა თვისების ხალხი არა დროს არ გამდიდრდება, თუმცა ყველა ფერი ბევრიც მოსდიოდეს, მინამ ზნეს არ გამოიცილის. — ლუდეერობის და დაუზოგელობის გარდა უცოდინარობაც ბევრს ზარალს აძლევს მართველებსა. მართლში და ძახეთში აქამდისინ მამა-პაპური გუთანი ვერ მოიშორეს; ერთი ბეწვა მიწის მოხვნაში უნდა მთელი დღე მოუნდეს ხუთი კაცი და რვა უღელი ხარ-კამბეჩი. ჩვენ მართველებს რომ მეტი ცოდნა ჰქონდეთ, აქამდის ისეთ გუთანს შემოიღებდნენ, რომ ერთი ორათ მაინც შემოკლებულაყო შრომა; მაშინ რვა უღელი ხარის მა-

გიერათ ოთხ უღელი მეტი აღარ მოუნდებოდათ და ხუთი კაცის მაგიერათ სამი კაცი კმაროდა. თვითონ ხენა თესვის წესიც ძალიან უგუნურია საქართველოში. ბლეს კაცს რომ ათი ღლის მიწა ჰქონდეს, წელიწადში ხუთი ღლისას სთესავს, ხუთი ღლისას ასვენებს. ამისთვის ნახევარი მიწა საქართველოში ყოველ წელიწადს სცდება. სხვა განათლებულ ქვეყნებში ერთ ნაჭერ მიწასაც არ მოაცდენენ. იქაურ მიწას ყოველ წელიწადს მოჰყავს მოსაყელი, მაგრამ რადგანაც სხვა და სხვა მცენარეებს სთესვენ და მიწას აპატიებენ, ამიტომ ამას სინოციერე არ ელევა. (*) უწინდელ დროში ქართველები უფრო დახელოვნებული ყოფილან ხენა თესვაში. ბევრგან ეხლა განიერი რუების პირი იპოვება, რომლებიც მიწების სარწყავათ ქართველებს უკეთებიათ.—საქართველოს ბუნება ბალეებისთვის და საუბარიკო მცენარებისათვის ძალიან კარგია.

(*) მაგალითათ, აი როგორი წესია ხენა-თესვისა ანგლიაში. მსტკვათ ერთს კაცს ოთხი ღლის სახნ-ე-სათესი აქეს. არა წელიწადს არ მოაცდენს ერთ ნაჭერს მიწასაც. პირველ მიწაში თესავს თალგამსა, მეორეში ქერსა ანუ შერისას, მესამეში იონჯასა ან სხვა ნოციერ ბალახსა, მეოთხეში პურსა. ამ წელიწადში მეორესა და მეოთხე მიწას ქერი და პური სინოციერეს გამოუღევეს, პირველს და მესამე მიწას კი სინოციერე მიემატება ნათეს ბალახიდგანა. მეორე წელიწადს პირველ მიწაში თალგამის მაგიერათ ქერს ან შერიას დათესავს, მეორე მიწაში ქერის ადგილას თალგამსა, მესამეში იონჯის მაგიერათ პურს დათესავს და მეოთხეში იონჯასა. ასე ყოველ წელიწადს ორი ღლის მიწას გააპატიებს ხოლმე, თუმცა არა წელიწადს არ აცდენს. ბალახით ნათესი მიწები პურით ნათესხედ ნაკლებ სარგებ-გებლობას არ აძლევენ, ამიტომ რომ ანგლიელები ჩინებული ჯიშის საქონელს ინახვენ ნათესი ბალახით. მაგალითათ: ანგლიაში ჰყავთ იმისთანა ჯიშის ძროხები, რომ დღეში თვითოჯლი ოთხ ხუთ თუნგს რძეს მოიწველის. შარშან პარიჟის გამოფენაზედ ერთს ანგლიელს იმისთანა ძროხა ჰყვანდა საჩვენებლათ, რომელიც დღეში ცხრა თუნგს რძეს იწველიდა. ამისთანა ჯიშის ძროხის გაჩენისთვის ამ ანგლიელმა ოქროს მენდალი მიიღო.

აქ გაიჭიმებოდა ბევრი მშვენიერი ბაღები, სხე და სხვა ჩინებული ხეხილით სავსე და ბევრი ძვირფასი მცენარეები იხარებდა, მაგალითათ: ბრინჯი, ბამბა, თამბაქო, კანაფი, სელი და სხვანი. ამ გვარის მოსავლით ქართველები ქონებას ბლომით შეიძინებდნენ, მაგრამ ამ საქმესაც ესენი დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. ბაღებს აცდენენ უბრალო ხეხილებითა, რომლებიც ტყის ხილს ბევრით ვერა სჯობია და არა ცდილობენ უკეთესი გვარის ხილი გააჩინონ; ხილი იმდენი მოჰყავთ, რომ მარტოკა თვითონ ადგილობრივ ეყოთ. მხოლოდ ღვინის მოყვანას საქართველოში ძრიელ მისდევდნენ. მეტადრე ძახეთი განთქმულია საქართველოში თავისი ვაზის ბაღებითა და ღვინითა. მაგრამ ამ ღვინოს ისევ ადგილობრივა სმენ და არა ცდილობენ გარე ქვეყნებში გასასყიდათ გადაანარჩუნონ. მსგ უნდა ესთქვათ, რომ აქაური ღვინო უცხო ქვეყნების ღვინოს ვერ შეედრება. რა საკვირველია, ეს ბუნების ბრალი არ არის; მიზეზი ის არის, რომ ვენახებში კარგ ჯიშის ვაზებში ცუდი გვარის ვაზი ბევრი ურევია და ღვინოს ამდარებს; ამის გარდა, მომზადება და ხელის შეწყობა არ იციან; ხეების გეგებში ან ქვიტკირის საწნახლებში წურვა, უწმინდურ ქვევრებში ღვინის ჩაყენება, რუმბებში შენახვა და ზიდვა, ღვინოს ბევრ სიკეთეს ართმევს და აფუჭებს. ბევრი პირუტყვის შენახვაც გავრცელებული არ არის საქართველოში. ღორის ფარის ყოლა იშვიათია, უფრო კიდევ ძნელათ შეხვდება კაცი ცხენის ჯოგსა. შევლაზედ გავრცელებულია ცხენის ყოლა, მეტადრე მთიულეთში, შიზიყში და ჯაფახეთში. მაგრამ აქაც მარტო უბრალო ცხვარს ინახვენ. წმინდა და ძვირფასი მატყლიანი ცხენის ხსენება საქართველოში ჯერ არსად არის. შუტკრის შენახვას თუმცა მისდევდნენ, მაგრამ მცირედთ ძალიან. აბრეშუმის ქიის ყოლაც ბევრგან არ იციან. ბოლოს დროს ზოგ ადგილებში შემოიღეს ბამბის თესვა, მეტადრე იმერეთის მხარეში, მაგრამ ვერც ეს საქმე მიჰყავთ ოსტატურათა. შაბრეკების ხსენება ხომ არსად არის ჯერ საქართველოში; ბამბე

ული, მატყლეული, აბრეშუმეული სულ სხვა ქვეყნებიდან მოდის და საშინლათ ძვირათ იყიდება. შარჩების ქსოვნა და გამოყენა რომ საქართველოში იცოდნენ, რასაკვირველია, ჩაცმა-დახურვა ძალიან გაიაფდებოდა. ჩვენი ხალხი ერთი მხრით იმიტომ არის ღარიბი, რომ სულ უბრალო ტანისამოსის ყიდვა დიდ ნამუშაღრის ფასს ართმევს.

ერთი უმთავრესთაგანი მიზეზი საქართველოს სიღარიბისა უგზოობაა; იმისთანა გზები არ არის, რომ მისვლა მოხვლა ჩქარა შეიძლებოდეს. საქართველოს აკლია იმისთანა მდინარეები, რომლებშიაც რომ გემებს სიარული შეეძლოთ გრძელ მანძილზედ. მხოლოდ უბრალო გზებია გაკეთებული, ისიც ყველგან არა. თუმცა გასასყიდი ბევრი ჰქონდეს ქართველ კაცსა, საზღვარზედ გატან და სხვა ქვეყნებში გაყიდვა თავისი ქონებისა ძალიან გაუძნელდება. ავილოთ მაგალითი. მთქვით ქართლში ერთ გაკეთებულ გლეხსა ასი კოდი პური აქვს გასასყიდი და უნდა შავი ზღვის პირს გაღიტანოს და იქ უცხო ქვეყნების ვაჭრებზედ გაყიდოს; ასი კოდი პურის წასაღებათ შეიდი ურემი უნდა დაიჭიროს, ნაკლები არა; თითო ურემი შავ ზღვამდის ორ თუმან ნაკლებ არ წავა. მსთქვით კოდი პური ორ მანეთათ გაყიდა. აქედგან მეურმეებს უნდა მისცეს თორმეტი თუმანი და თვითონ ღარჩება ექვსი თუმანი. მინ იქნება იმისთანა უგუნური, რომ ასი კოდი პურის მოყენაზედ შრომა გასწიოს ექვსი თუმნის გული-სათვის. ჩვენში რომ გემთ საცლელი მდინარეები იყოს, მაშინ საქმე სხვა ნაირათ წავიდოდა. ქონების გადატან-გადმოტანა ძალიან იაფათ ეღირებოდა და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა გაადვილდებოდა. მაშინ ჩვენი ქართველებიც უფრო გამხნევდებოდნენ. აგრეთვე სხვა და სხვა ფარჩების სიძვირეც მიტან-მოტანის სიძნელეზედ არის დამოკიდებული. ევროპიული ფარჩების მოტანა შავი ზღვის პირამდის იაფათ ჯდება; შავი ზღვის აქეთ წამოღება კი დიდ ფასს ითხოვს. რაც ვაჭარი ანგლიიდგან შოთამდის ქირას აძლევს, ის შოთიდგან

თფილისამდე უჯდება. ამითი თვითონ ვაჭრები არ არიან ზარალში, ამიტომ რომ რამდენიც ძვირათ უჯდებათ მოტანა, იმდენი ძვირათ ჰყიდიან ფარჩასა. მსსიძვირე მხოლოდ საქართველოს ხალხს აღარბებს. ამ სიძვირის მოსასპობლათ და ვაჭრობის გასაერცვლებლათ მმართველობამ მოიწადინა ბოლოს დროს რკინის გზის გაკეთება შავი ზღვიდგან. თფილისამდე. რაკი ეს გზა გაკეთდება, საქმე სხვა ნაირათ წავა. საქონლის მიტანა მოტანა ძალიან გაადვილდება და ყველა გვარი ფარჩა გაიფდება. ჩვენი ხალხი ეცდება მაშინ ჰინახული იმდენი მოიყვანოს, რომ სხვა ქვეყნებშიაც გაჰყიდოს. მანათლებული ხალხიც მეროპის სახელმწიფოებიდგან ბლომათ მოვა, და მათგან ჩვენი ქართველები ჰკუთა-გონებას, ხელოვნობას და ოსტატობას ადვილათ ისწავლიან. მითი სიტყვით რკინის გზის გაკეთების შემდეგ როგორც სიმდიდრით, ისე განათლებით საქართველო წინ უნდა წავიდეს.—

საქართველოს ახლანდელ ცუდ მდგომარეობასა ყველაზედ ცხადათ სიკვდილის სიხშირე გვიჩვენებს. მეროპის და წინააურებულ სახელმწიფოებში, სადაც ხალხი კარგ მდგომარეობაშია, ათასი კაციდგან ოცი კაცი მეტი არა კვდება წელიწადში, ზოგ სამფლობელოში ამაზედ კიდევ ნაკლები, მაგალითათ ნორვეგიაში, რომელიც წელიწადში ათასში ჩვიდმეტი ადამიანის მეტს არა კარგავს. საქართველოში კი ათასიდგან ორმოცზედაც მეტი კვდება ყოველ წლივ. ჩვენ სამშობლო ქვეყანაში სიკვდილს ახშირებს სხვათა შორის ცუდი მდგომარეობა. საქართველოში იშვიათათ ნახავ, რომ გლეხი კაცი რამდენსამე სუფთა და თბილ ოთახში ხალვათათ იდგეს. შემეტეს ნაწილათ მთელი ჯალაბობა გლეხისა შეკუნჭულია ერთს ოთახში, რომელსაც არც ფანჯრები აქვს, რომ ჰაერმა იმუშაოს, არც ხეირიანი კედლები, რომ სიცივე და ქარი დაიჭიროს, არც ცეცხლისთვის მოხერხებული ადგილი, რომ ბოლმა თავისუფლათ გარეთ იდინოს. უწმინდურობა, დამპალი ჰაერი, სიცივე და ბოლი ასნეულებს გლეხ კაცსა თავის სადგომში

და დღეს უმოკლებს. ზოგ ალავს საქართველოში კიდევ ამა-
ზედ უარესად სცხოვრობენ, - ერთსა და იმავე სახლში თავს-
დებიან: ადამიანები, შინაური პირუტყვები და ქათმები. რა საკ-
ვირველია, ამ გვარი საცხოვრებელი ადგილი დიდ დღეს არ
მისცემს თავის პატრონსა. ასეთი ცუდი მდგმოიარობის მი-
ზეზი მართო სიღარიბე არ არის; უფრო მოუსაზრებლობა
და დაუდევრობაა. ზოგ ადგილას საქართველოში, ძიზიყში მაგა-
ლითათ, გლეხებში ზოგი ისე მდიდარია, რომ ქეროპის შემძლე-
ბელ გლეხებს ქონებით არ დაუეარდებიან, მაგრამ იმათაც ისე-
თი ცუდი მდგმოიარობა აქეთ, როგორც სხვებსა. ქეროპაში
გლეხები სხვა წაირათ ცხოვრობენ. აქ მოგზაური საამურ
სანახავს ხედავს. მსთქვათ რომელსამე სოფელში შეხვედი
და ერთს გლეხს ეწვიე. წინ დაგიხვდება პატარა ან დიდი
სუფთა ეზო, ხეებით შემორიგებული. შოში ხედავ რამდენ-
სამე ოთახსა, რომლებსაც ან ქვის ან ხის მკვიდრი კედლები
აქეთ; სადგომი ოთახი ცალკეა, საძილე ცალკე და სასტუმ-
რო კიდევ ცალკე. შეხვედი ჯერ სადგომ ოთახში; კედლე-
ბი დაგიხვდება თეთრათ გალესილი, რამდენიმე ფანჯარით,
შიგ ან ერთი სუფთა ხის დიდი სტოლი დგას, ან რამდენიმე.
აქეთ იქით კედლებთან ხის სუფთა სკამები არის ჩარიგებუ-
ლი. ძირს ოთახში ან აგური აგია, ან ფიცრის პოლი; კე-
დელზედ საათი ჰკიდია. თუმცა ძვირფასი აქ არაფერია, მაგ-
რამ სიწმინდე და სისუფთავე ამ ოთახს საამურ სამყოფლათ
ხდის. მერმე შეხვედი სასტუმრო ოთახში; აქ უფრო დიდ
სიფაქიზეს ხედავ: კედლები უფრო წმინდათ არიან გალე-
სილნი, ქვეშ სუფთა ფიცრის პოლი აგია; ფანჯრებს ჩამო-
ფარებული აქეთ ლამაზი ფარდები და კედლებზედ გაკრუ-
ლია სხვა და სხვა სურათები, უფრო სამღრთო საგნებისა. რა-
საკვირველია, ამ გვარ მდგმოიარობას დიდი სიმდიდრე არ
უნდა. საქართველოში ბევრ გლეხს ქონება ნებას აძლევს,
რომ ამისთანა სადგომი იქონიოს, მაგრამ უზრუნველობა
და მამა პაპაურის ჩვეულების სიყვარული უგემურათ ატარები-

ნებს მას ცხოვრებასა თავის უწმინდურ სახლში. ზემოხსენებულათ ცხოვრობენ შეროპის შუათანა გლეხნი. ზოგ სახელმწიფოში გაკეთებული გლეხები ისეთ მდგმოიარობაში არიან, რომ ჩვენებურ შემძლებელ თავადიშვილსაც გაუჭირდება იმათი ცხოვრება. მაგალითათ, ბერმანიაში ზოგ ადგილას გლეხები ისე გაკეთებულები არიან და ისეთი განათლებული ცხოვრება აქვთ, რომ ავსტრიის იმპერატორი რამდენჯერმე მიუწვევიათ. — საქართველოს დიდი ცდილობა მართებს, რომ მომავალში მაინც მიეწიოს ამ გვარ ცხოვრებასა.

ჩვენი საქართველო მხოლოდ მაშინ შევა გვარიან ცხოვრებაში, როდესაც ქართველებში განათლება გავრცელდება. უსწავლელი ხალხი ვერას დროს ვერ მოიპოვებს მტკიცე ბედნიერებასა. ამისთანა ხალხმა სწორეთ არ იცის, რა არის იმისი ბედნიერებისათვის სასარგებლო და რა არის მავნებელი; უცოდინარო ხალხის ცხოვრება სავსეა სხვა და სხვა უგუნური ჩვეულებებითა, რომლებიც იმას სიცოცხლეს აშხამებენ, მაგრამ ამას ესენი სასარგებლოთ მიაჩნია და შეურყვევლათ ინახავს. ჩვენი საქართველო ერთი გაუნათლებელთაგანი ქვეყანაა; ოვითონ თავად-აზნაურებში უმეტესი ნაწილი უსწავლელი და უცოდინაროა. ბლეს-კაცებში ხომ სრულიად არ იპოვებიან სწავლის მიმდევი პირები; ამათში უხვირო წერა-კითხვის მცოდნეც იშვიათია. ამისთანა სამწუხარო მდგომარეობა სწავლისა არის უმთავრესი მიზეზი საქართველს ცუდი ყოფაცხოვრებისა. არ მოითვლება, რამდენს უბედურებას ამთხვევს უმეცრება ჩვენ ხალხსა. მისაც კი ცოტათი მაინც თვალყური უდევნებია ჩვენი ხალხის ცხოვრებისათვის, იმან კარგათ იცის, თუ როგორ სხვა და სხვა ცრუ მორწმუნეობა ხალხს აშხამებს უიმისოთაც მწუხარებით სავსე სიცოცხლესა. ავიღოთ უბრალო მაგალითი. შთქვათ გლეხი კაცი თავისი ჯალაბობით დაბალ ნოტიოან სახლში ცხოვრობს, ამისგამო სახლობა უსწავლდება და სიკვდილი ხშირდება. ბლესი კაცი სინოტიოს მაგივრათ თავის უბედურობას მაშინვე ხატებს აბრალებს

და მკითხვეთან გარბის. მკითხვეი, როცა გასამრჯელოს მიიღებს, უცხადებს, რომ ესა და ეს წმინდანი თქვენზედ განრისხმებულიაო და თავის დღეობას ძროხასა გთხოვსო. უგუნურ გლეხკაცს ამ საძაგელი მატყუარას სიტყვები ჭეშმარიტებათ მიაჩნია და წმინდანს ძროხას უკლავს. მაგრამ სნეულება იმის სახლში მაინც არ მცირდება და სიკვდილი იმის ოჯახს ათხელებს. ეს უბედური ახლა სხვა მკითხვეთან მირბის. ის კიდევ სხვა წმინდანზედ უშვერს ხელსა და ცხეარს აკვლევიანებს. მაგრამ უბედურება იმას მაინც არ ეხსნება. ბლენი კაცი კიდევ სხვა მკითხავს ეძებს. ამასობაში იმას ჯალაბობაც უთხელდება და ქონებაც ელევა; ბოლოს დროს ცარიელი ჯდება თავის სარჩოდგანაც და ნათესაეებიდგანაც. ამ გლეხს რომ ცოტაოდენი ცოდნა ჰქონოდა, თავის საშინელს უბედურებას ადვილათ მორჩებოდა; ის მაშინ მიხვდებოდა, რომ სნეულების მიზეზი ჩემი სახლის სინოტიეა და არა ხატიო; სახლს სხვა შშრალს ადგილას გადასდგამდა, აქ ჯალაბობაც გაუსაღდებოდა და ქონებაც შინ დარჩებოდა. ამ სახით უმეცრება ყოველის მხრით აუბედურებს ჩვენ გლეხ კაცსა.

მამულის მოაზრე შვილი მეტათ ღონდება, როდესაც თავის სამშობლოს ცოდნით მეროპიის დაწინაურებულ ხალხებთან შეადარებს. იქ სწავლა სრულიად სხვა მდგომარეობაშია. ბევრ მეროპიის სახელმწიფოში მცხოვრებლების ნახევარზედ მეტმა გვარიანი წერა კითხვა იცის, ასე რომ სასარგებლო წიგნებს კითხულობენ, სხვა და სხვა ცოდნას იძინებენ და გონებას იხსნიან. ზოგ სახელმწიფოებში კი წერა-კითხვა მთელ ხალხშია გავრცელებული, სახელდობ: ბერმანიაში, პრუსიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ნორვეგიაში. მოგზაური ხშირათ ხედავს ქალაქებში უბრალო კუჩრებს და სხვა მუშებს, რომლებსაც უბეში გაზეთები უძვეთ და მუშაობიდან დასვენების დროს ერთგულათ კითხულობენ. თუ ის სოფლებშიაც გამგზავრდება, აქაც თვითოულ ოჯახში უთუოთ დახედება გაზეთი და სხვა გლეხი კაცისთვის სასარგებლო

წიგნები. მოხსენებულ სახელმწიფოებში კანონით არის დადებული, რომ ყველა გლეხმა თავისი შვილები უთუოთ შკოლაში უნდა მისცეს სასწავლებლათ; თუ ვინმე ამ კანონს არ ასრულებს, იმას ჯარიმა გადახვდება; მაგრამ ეს იქ თითქმის შეუქლებელი საქმეა, ამიტომ რომ სწავლას ყველა სასარგებლოთ სთვლის და ცდილობს, რომ შვილები უცოდინარი არ დარჩნენ. რა საკვირველია, ამისთანა სახელმწიფოებში დაბალი ხალხიც კეთილ ცხოვრებაშია. პრუსიაში, მაგალითათ მცირე ნაყოფიერი მიწაა, მაგრამ რადგანაც პრუსიელები სწავლით გონება გახსნილი ხალხია და შრომის მოყვარე, ამიტომ ისინი ქონებით თავისთვის კარგათ არიან: თავის ულონო მიწას ისე ოსტატურათ უწყობენ ხელსა, რომ არამც თუ თვითონ მოსდით საკმაო ჭინახული, სხვა სახელმწიფოებშიაც ჰყიდიან პურსა. მცხოვრებლების ზნეობა ამისთანა სახელმწიფოებში სასიამოვნო მდგომარეობაშია. ნორვეგიაში, მაგალითათ, ქურდობა და ერთმანეთის მოტყუება ძალიან იშვიათი საქმეა. ხშირათ სახლის პატრონი თავის ჯოთახებს, სხვა და სხვა დოვლათით სავსეს, არა ჰკეტავს სხვაგან წასვლის დროს და კარებს ღიას სტოვეებს, რადგანაც კარგათ იცის, რომ იმის ქონებას ხელს არავინ ახლებს. ძლებ-მიცემაში ნორვეგიელებმა ხელ წერილი არ იციან, ერთი ერთმანეთს მხოლოდ პატიოსანს სიტყვას აძლევენ და არც ერთი ძხარე არ გადაუვა თავის პირობასა. ხალხის სიმრთელე, რა საკვირველია, სწავლა გავრცელებულ სახელმწიფოებში კარგ მდგომარეობაშია.

თუმცა ჩვენი საქართველო ახლა სწავლით ძალიან უკან არის დარჩენილი, მაგრამ შემდგომში კი იმედია, რომ ქართველებში ცოდნა გავრცელდება. აქამდინ სწავლის გავრცელებას უბრალო ხალხში ბატონ-ყმობა უშლიდა; ახლა ეს ასენი მოისპო და სწავლას გზა გაეხსნა. სოფლებში შკოლები რსდება, სადაც გლეხ-კაცის შვილები წერა-კითხვას სწავლობენ. უნდა მოველოდეთ, რომ ამ შკოლებში საქმე კარგათ წავა და მომავალი თაობა ცოდნით გაშორებით ემჯო.

ბინება ახლანდელ თაობასა. რამდენიც უფრო და უფრო გამ-
რავლდება ცოდნა ქართველებში, იმდენი უფრო წინ წავა
ჩვენი სამშობლო ყოველის მხრით; სიმდიდრე თან და თან
მოგროვდება, ხალხის სიმრთელე წარმატებაში შევა, ზნეობა
და ჩვეულობა გაუკეთესოვდება. და ყოველი ცრუ მორწმუნე-
ობა მოისპობა; ერთი სიტყვით უბედურება თან და თან და
მცირდება და ბედნიერება გაძლიერდება.—

ქართლობითი განხილვა.

ქახეთი.

საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილი ქახეთს უჭირავს.
ქახეთს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით საზღვრავს ძაგ-
კასის მთა, სამხრეთით მტკვარი და დასავლეთით ესევე მდინა-
რე და პრაგვი. ქახეთს შეადგენენ შემდეგი ნაწილები: საკუ-
თარი ქახეთი, შიზიყი, საინგილოვო, თიანეთი, თუშეთი და
შშაე-ხევსურეთი. მთელ ქახეთში 150,000 მცხოვრებელია.

ძაგკასის მთიდგან გამოსდევს სამხრეთისკენ ერთი მთა,
რომელიც გაგრძელებულია, ალაზნის და იორის შუა ამათ
შესართავადის. ეს მთა არ არის მაღალი, შუა წელი დასაჯლე-
ფისკენ აქვს გამოვარდნილი და დიდი ნამგლისავეთ მოკაკუ-
ლია. ამ მთას სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა სახელი
ჰქვიაან; უფრო კი სიე-გომბორის მთას ეძახიან. ეს მთა ქა-
ხეთს ორ ნაწილად ჰყოფს: იქითა-აღმოსავლეთის-ნაწილს
შიგნით ქახეთი ჰქვიაან, აქეთას-დასავლეთისას-გარეთ ქახეთი.
უწინდელ დროში პირველს საკუთარო ქახეთს უწოდებდნენ,
მეორეს ქუხეთს ეძახდნენ. შიგნით ქახეთს ალაზანი რწყავს,
გარეთს ქახეთს იორი.—

ალაზანს სათავე თუშეთის ზემოთ ძაგკასის მთაში აქვს.

ზემო წელში ალაზანი ჩქარა შორბის თუშეთზედ სამხრეთისკენ; როცა ძახეთში ჩამოდის, მაშინ აღმოსავლეთისკენ ბრუნდება და შემდეგ სამხრეთ აღმოსავლეთისკენ ძალიან დინჯათ მიმდინარეობს. ალაზნის აქეთ იქით ნაპირზედ კი ღონიერი ჭალაა ატეხილი, სადაც ბევრგვარი ფრინველი ცხოვრობს. მტკვარს რომ ალაზანი ახლოვდება შიზიყის ბოლოს, პირდაპირ სამხრეთისკენ ტრიალდება, აქ ამას იორი ემატება და შემდეგ ორნივე ერთათ მტკვარს ცრთვიან.— იორის სათავე ახლოა ალაზნისაზედ. იორი გამოდის უშავეთის ზემოთ ძავეკასის მთიდგან და ჯერ ამ ქვეყანაზედ შორბის ჩრდილოეთიდგან სამხრეთისკენ, ნერმე თიანეთზედ მომდინარეობს და შემდეგ გარეთ ძახეთში ჩამოდის: აქ იორი სამხრეთ აღმოსავლეთისკენ ბრუნდება და ამ გზით მიდის ალაზანთან შეერთებამდის. იორის აქეთ იქით ნაპირები ძალიან ნაყოფიერი არიან და ზევითა წელში გარეშემო ღერწმოვან-ჩალიან მცირე ჭალა მოსდევს.

ციე-გომბორის მთა ზოგ ადგილას კარგა მაღალია, ასე რომ აქედგან შეიძლება მთელ შიგნით ძახეთს გადახედო. მშვენიერი სურათი წარმოუდგება აქედგან მაყურებელსა: ჩრდილოეთით ძავეკასის მთის წვერები, თეთრათ თოვლით დაფენილნი, ამპარტაენულათ დასცქერიან ძახეთის ველსა, აღმოსავლეთით ხშირი და ჩრდილოვანი ტყით შემოსილი მთები ლურჯათ გამოჩანან და აქედგან გამოძეული რუები საამურათ ჩამორბიან ძირს ველზედ და ალაზნის იქითა ნაპირს უხვათა რწყვენ; დასავლეთიდგან თვითონ ციე-გომბორის მთა, ტყით შემოსილი გზაენის ქვევით ციე წყაროებსა, რომლებიც ალაზნის ველის აქეთ ნახევარს ანაყოფიერებენ. მხოლოთ სამხრეთით ძახეთის ველი ვიწრო ადგილას გაშლილია. ზედ შუა ძახეთზედ ალაზანი, გველივით დაკლაკნილი, ვერცხლის ფრათ დინჯათ მიიზღაზნება და ამის ნაპირებზედ ხშირი ჭალები მწვანეთ მოჩანან. ნათეს მინდვრებში შემოსულ ჭინახულსა თეთრ-ყვითელი ფერი დასცემს. მთელი ველი, მრავალი ბაღით და ვენახით მოფენილი, ერთ დიდ ზვარათ გეჩვენება.

ზემოხსენებული მდებარება არის იმის მიზეზი, რომ ქახეთი ზაფხულში ძრიელ ცხელი ქვეყანაა. რადგანაც თითქმის ყოველი მხრით მთებით არის შემოზღუდული, ამიტომ შიგნით ქახეთში ღონიერი ქარი მეტათ იშვიათია. უმეტეს ნაწილათ ჰაერი გაჩერებული დგას; მხოლოდ ხანდახან მოძრაობაში მოიქცეან ხოლმე ჩრდილოეთის ან სამხრეთის ნიავი. ამ უქარობას კუდი გავლენა აქვს მცხოვრებლების სიმრთელეზე. ქახეთში ჭაობები კარგა ბლომათ არის; ზაფხულის სიცხე აქ მდგომარე წყალს და მცენარეებს ალბობს, აქედგან სხვა და სხვა მავნებელი მიაზმები აღიან ჰაერში და რადგანაც ქარი აქეთ იქით არა ფანტავს, ამიტომ ერთათ ბევრი გროვდებიან და ჰაევას აფუჭებენ. ამისთვის ქახეთში ცივებ-ცხელება ძალიან ვრცელდება ზაფხულში და შემოდგომაზედ, როცა გლეხი-კაცისათვის უფრო საჭიროა სიმრთელე. მეტადრე ალაზნის პირზედ მდებარე სოფლებში ეს ავადმყოფობა ისეთი ავი თვისებისა იცის, რომ რამდენიმე სოფელი სრულიად ამოსწყვიტა. — ნაყოფიერებისთვის კი ამ გვარი მდებარეობა მეტათ მარგებელია. ქახეთის ველს სიცხესთან ცის ნამიც საკმაოთ აქვს. ტყოვანი მთები წვიმის ღრუბლებს თავისკენ იზიდვენ და ქახეთს თავის რიგზედ წვიმას არ აკლებენ. მეტადრე ყურძენს ამ გვარი მდებარეობა ძრიელ უყვარს. იმისთანა ფერდობ ადგილში, რომელსაც მზის შუქი და სიცხე უხვათ მისდის და წვიმა ხშირათ არა რწყავს, კაი თვისების ვაზი ხეირობს. ამიტომ ქახეთი ვაზის ვენახებით არის მოფენილი და აქაური ღვინო მთელ საქართველოში გათქმულია. ქახელები ღვინის მოყვანაზედ ერდგულათ არიან დამყარებულნი და თავის შრომას უმეტეს ნაწილათ ვენახებს ახმარებენ. მშვენიერი სანახავია ქახეთი სექტემბერში, როცა რთველია და ყურძენი იკრიფება. მენახებიდგან ბევრგვარი ხმაურობა და სიმღერა მოისმის. აქ ნახავ მთელი ჯალაბობა ვენახს შესეგია და დიდი სიხარულით ცარცვამს ვაზებსა, იქ

სოფლებები ყურძნით საესე გოდრებს ეწყვიან და ურემედ აწყობენ შინ წასაღებათ; აქ ნახავ ყმაწვილებს ჯაგნები შეუკრავთ, სარებზედ ჩამოუკიდნიათ და მხიარულათ შინ მიარბევინებენ. მთელი ძახეთი ამ დროს დიდ სიხარულში და მოძრაობაშია.

ამისთანა კურთხეული ქვეყნის პატრონს კეთილი ცხოვრება უნდა ჰქონდეს, იფიქრებს კაცი, როცა ძახეთის მშენიერ ბუნებას გაიცნობს; მაგრამ მოსტყუვდება. თვითონ ტანისამოსი კახელებისა კაცს მაშინვე შეუცვლის აზრსა. ზევიდგან მსხვილი შალის ჩოხა, ბევრს ადგილას დახეული და დაკერებული, ქვეშ დაძონძილი ახალუხი და თავზე ჩამოცმული ჯამის მსგავსი ფაჩაჩი ნაბდის ქუდი—აი კახელის შემოსილება. ამასთან ამ ტანისამოსს ერთს თვისებასაც შეამჩნევ: მთლათ თავიდან ბოლომდის გაჭვარტლულია. ამის მიზეზს ჯერ ვერ მიხვდები, მინამ სოფელში არ შეხვალ და გლეხების მდგომარეობას არ გაიცნობ. აი სოფელში შეხვდი, პირველათ ყურადღებას შენობას აქცევ და ამჩნევ, რომ მხოლოდ აქა იქა ქვიტკირის ოთახები დგას და ზევიდგან კრამიტით არის დახურული. სხვა სახლები კი სულ ფიცრისაა. ფიცრებს ქვეშ დადი ქვები უწყვია, რომ მიწასთან შეხებამ არ დააღობს, და ზევიდგან სახლებს ჩალა-ლერწამი აფარია. რა საკვირველია, ამისთანა სახლში ქარი თავისუფლათ შექიქინებს ყველა მხრიდან. აქ მცხოვრებნი მალ-მალ უნდა ცივდებოდნენ და ლოგანში ხშირათ უნდა იწვნენ, იფიქრებ მაშინვე და არ მოსტყუვდები. ჭვლით ავათყოფობა მეტადრე შემოდგომაზედ და ზამთარში, საშინლათ ხშირია. ამ ავათყოფობით ბევრი კვდება, უფრო კიდევ მომეტებული საზღვრით სწეულდება. მეორე ნაკლულევიანება კახელების სადგომისა კიდევ უფრო უარესია მოხსენებულზედ. სახლში რომ შეხვალ, შუაზედ საცეცხლეს დაინახავ და ბოლის ასავალ ერდოს კი ვერსად შეამჩნევ. შიქრობ, საიდგან ადის ბოლი, როდესაც სახლში ცეცხლი ანთია. როცა ცეცხლს ანთებულს

ნახაე მხოლოდ მაშინ მიხვდები, რომ საბოლოე მილის თანამდებობას ძახეთში კარები ასრულებს, სინამ სახლის ზევითა წელი კარგათ არ გაივსება, მინამ ბოლი კარებიდგან დენას არ დაიწყებს. მჯახში მცხოვრებლებს ეწვით თვალები და ჭარხლის მსგავსათ უწითლდებათ; ცრემლს კი იშვიათათ დაუნახაე თვალეებში, ისე შეჩვეულნი არიან ბოლსა. მაგრამ თუ აქ უცხო სტუმარი დაესწრო, შენი მტერი რომ იმას საქმე მოუთა: თავის მკედრებს სულ ერთათ გამოიტირებს. ძახელეები, რასაკვირველია, არა გრძნობენ, თუ ეს ბოლი რა მანებელია კაცის სიმრთელისათვის და მეტადრე თვალის სისალისათვის. მართლაც აქ თვალის ტკივილი ძრეელ არის გახშირებული. რამდენს ყმაწვილ კაცს უდრო უდროთ ეშრიტება თვალეები. მთელი სახლი სრულიად გაჭვარტლულია, და მხოლოთ მაშინ მიხვდები, კახელეებს ტანისამოსი გაჭვარტლული რათა აქეთ.—

თავი მიზეზი ამ ცუდი მდგომარეობისა, რა საკვირველია, დაუდევრობა, სიზარმაცე და მოუაზრებლობაა. მამა პაპას ასე უცხოვრია, ჩვენც ასე უნდა ვიცხოვროთო. მაგრამ ნაკლებულობა და სიღარიბეც კახელეებს ნებას არ აძლევს, რომ ასინი ერდგულათ შეუდგენ თავის მდგომარეობის გაუკეთესობას. ძახეთი არც უწინ ყოფილა საკმაოთ მდიდარი და ამ უკანასკნელ დროს უფრო უკან წავიდა. ამის მიზეზი ყურძნის ავთმყოფობაა. უწინდელ დროში ეს ვაზის სენი სრულიად არ იცოდა. მს თორმეტი წელიწადია, რაც ეს ავთმყოფობა გაჩნდა და ძახეთი სხვა ადგილებზედ უფრო ძალიან აზარალა, რადგანაც დენის მოყვანა უმთავრესი საქმეა კახელეებისა. ახლა ძახეთში უმეტესი ნაწილი გლეხებისა ეალით არის სავსე და ამათი ვენახები სომხებს აქვს დაგირავებული. ხენა-თესვასაც საკმაოთ ვერ მისდევენ, რადგანაც თავის შრომას ვენახებს ახმარებენ და საქინახულო მინდვრებიც ნაკლებათ აქეთ. ამიტომ ზოგ წელიწადს პურიც საკმაოთ არ მოსდით და სხვა ადგილას ყიდულობენ. სიმინდს

აქ მეტათ შდიდარო მოსავალი ეცოდინებოდა, მაგრამ მიწის რწყვა არ იციან შინაური საქონლის ყოლა: კამეჩის, ძროხის, ცხენის და მეტადრე ღორისა გავრცელებულია. ზოგს ვაკეთებულ კაცს ას-ორასობით ჰყავს შინაური პირუტყვი.

ცხერის შენახვა კი კახელებს ჩვეულებათ არა აქეთ, სხვათა შორის იმიტომ, რომ საძოვარი იალალი ნაკლებათ არის ძახეთში. — აბრეშუმის ჭიას თითქმის ყველა სახლში ნახავ, თუმცა ძვირით. ამიტომ თითქმის ყველა ვენახს აქეთ იქით გვერდებზედ თუთის ხეები აქვს შემორიგებული. შიის შენახვის შრომა დედაკაცებზედ არის მინდობილი, ესენი აბრეშუმს ჰყიდიან და იმითი ტანს იცმენ.

შიგნით ძახეთიდგან რომ სამხრეთისკენ გამგზავრდე, ქიზიყში ჩახვალ. ქიზიყელები ბევრ გვარ საქმეს მისდევენ; ძახელებივით მარტო ღვინის მოყვანას არა სჯერდებიან. აქ ხვნა თესვაც გავრცელებულია, რადგანაც ნაყოფიერი სახნავი მიწები ბლომათ არის. აღმოსავლეთის მხრით ალაზნის აქეთა ნაპირზედ ერთი დიდი ნაყოფიერი ველია გაშლილი. ეს ველი ქიზიყელებს საზოგადოთ ეკუთვნით, და ყოველ გვარი ჭინახული აქ მოჰყავთ. ველი სასაკუთრო მიწებათ კი არ არის დაყოფილი, ყველა სოფელს თავისი ნაწილი აქვს დაჩემებული. ამ ნაწილიდგან თვითოულ გლეხს კაცს ნება აქვს იმდენი მოხნას, რამდენიც უნდა. შინახულის გარდა ამ ველზედ თივაც კარგი მოდის, მეტადრე წვიმიან წელიწადში, და გლეხი კაცი იმდენს გასთიბავს, რამდენსაც მოინდომებს. ცუდის არის, რომ ეს მინდორი ურწყავია და ამიტომ უწვიმო წელიწადში მოსავალს აცდენს. ამისთანა დროს ქიზიყში პური ძრიელ ძვირდება. როცა კი წვიმიანი წელიწადია, ქიზიყი მოსავლით აივსება ხოლმე. ქიზიყელები რომ ეცდებოდნენ და ალაზნიდგან წყალს გამოიყვანდნენ, მაშინ ყველა გვარი მოსავლით გამდიდრდებოდნენ. რადგანაც ქიზიყში იალალი დიდია, ამიტომ შინაური პირუტყვის მოშენებაც აქ ძრიელ გახშირებულია, მეტადრე ცხერის ყოლა. შემოდგომაზედ

და გაზაფხულზედ აქ მინდორში ბევრს ცხერის ფარას ხედავ. ზაფხულში კი. რადგანაც ძალიან ცხელა, ცხვარი ორიალეთზედ მიუდით. ცხერის გარდა ძროხაც ბევრი ჰყავთ. ლორის მოშენებაც ზოგ სოფლებში გავრცელებულია. აგრეთვე აბრეშუმის ჭიასაც ბლომათ ინახავენ. ამ სამი ოთხი წლის განმავლობაში ჭიზიყში ბამბის თესვაც შემოიღეს და კარგათაც იხეირა ამ სასარგებლო მცენარემა.

რა საკვირველია, ასე ბევრ გვარი საქმის მიმდევი ხალხი უფრო შეძლებული უნდა იყვეს, მინამ კახელები, რომლებიც მთელს თავის შრომას ღვინის მოყვანას ახმარებენ. მართლაც ჭიზიყი კახეთზედ გაშორებით შეძლებულია; აქ არიან ისეთი გაკეთებული გლეხები, რომ სხვაგან საქართველოში ძნელათ ნახავ მათ თანასწორს. ძარგ ოჯახის შვილს ჭიზიყში უნდა ჰყავდეს სამი ათასი სული ცხვარი, სამოც-ოთხმოცი ძროხა და ხუთას-ექვსასი ლორი. ამასთან ორას-სამასი თუმანი ფულიც ექნება სახლში. თავი და თავი მიზეზი ჭიზიყის შედარებითი სიმდიდრისა არის ისა, რომ აქ თითქმის მთელი გლეხობა სახელმწიფო იყო და არის. ამიტომაც ხალხს დაჩაგრულობას ვერ ამჩნევს. რა საკვირველია, ჭიზიყში ლარიბიც ბევრია, როგორც ყველგან საქართველოში. საზოგადოთ რომ ესთქვათ ამ ქვეყნის მცხოვრებლებში დიდი განსხვავებაა: ზოგი გლეხი კაცი მეტათ მდიდარია, ზოგი სულ ღარიბია. — უქონელ გლეხებს წნულის სახლები უდგიათ, რომლებსაც ზევიდგან ჩალა-ღერწამი აფარიათ; წნულის კედლები გალესილია ან პირუტყვის პატივითა, ან თეთრი მიწითა. არც შეძლებულ გლეხებს აქვთ კარგი მდგმოიარობა; თუმც ესენი ქვითკირის სახლებს აშენებენ, მაგრამ უფანჯროთ და უბუხროთ. ამისთანა სახლებს ზევიდგან კრამიტის მაგივრათ ჩალა აფარია, შუა ადგილას ცეცხლი ანთია და ბოლი, რა საკვირველია, მცხოვრებლებს არ აკლიათ. შიგა-და-შიგ კი კარგ მდგმოიარობასა ხედავ: გლეხ კაცს უდგია რამდენიმე ქვითკირის ოთახი, კარგა თეთრათ გალესილი, ფანჯრებით,

ზევიდგან მას კრამიტი აფარია, შუა საცეცხლეს მაგიერათ ბუხარი აქვს გაკეთებული და ტახტები ხალიჩით სუფთათ არის დაფენილი.

აგრეთვე ბევრით განსხვავდებიან ერთი-ერთმანეთიდგან ქიზიყელი გლეხები ჩაცმა-დახურვით. შმეტესი ნაწილი ქიზიყელებისა უსუფთაო და უშნო ტანისამოს იცვამს. მდიდარ გლეხებში კი კოხტური ჩაცმა-დახურვა იშვიათი არ არის. ზოგჯერ გზაზედ შემოგხვდება ცხენზედ მჯდომარე გლეხი კაცი ისე კარგათ ჩაცმული, რომ თავადიშვილი გეგონება: ცხენზედ თავმოწონებით ზის, ლამაზი ჩერქესკა ფარჩის ახალუხზედ აცვია, გულზედ წითელი დოშლოუდი აქვს აფარებული, თავზედ მაღალი ბუხრის ქუდი ხურავს და კოხტა წალებით ცხენს ერეკება. ბაკეთებული გლეხი კაცის ცოლებსაც კაცებზედ ნაკლებათ არ უყვართ ჩაცმა დახურვა. აქ სოფლელ ქალებს ხშირათ ხედავ ფარჩის ტანისამოსით. მაგრამ ერთი გარემოება ამ ტანისამოს თითქოს არ შეჰფერის. ქიზიყეში წყალი მეტათ ნაკლებათ არის; აქ მდინარე რუს სრულიად ვერა ნახავ. მარტო ალაგ-ალაგ პატარა წყაროები გამოწანწყარებენ. ამ შორიელი წყაროებიდგან წყლის ზიდვა დედაკაცებზედ არის გამწესებული. ღილით ადგებიან თუ არა, სახედრებზედ (რომლებიც ქიზიყეში ბლომათ არიან) კოკები უნდა გადაჰკიდონ, გაიგდონ თავის წინ ვირი და წყარომდის უკან მიჰყენენ. აქ ერთათ ბევრი ქალები გროვდებიან: ყველას უნდა სხვაზედ ადრე აამსოს თავის კოკები, და იმის გამო ხან ჩხუბი გაჩნდება ხოლმე, და ამ დროს ბევრი კოკაც ინჩხვრევა. როცა კოკებს აამსებენ, სახედარს გადაჰკიდებენ, წინ გამოიგდებენ და უკანიდამ მოსდევენ. თუმცა ეს შრომა, როგორც ყველა სასარგებლო გასჯილობა, ყოველის ქების ღირსია, მაგრამ როგორც უნებურათ გეცინება, როცა ხედავ, რომ თავმოწონებით ჩაცმული ქალი, ლამაზი კაბით, დრაფის პალტოთი და აბრეშუმის ბაღდადით სახედარს უკან მოსდევს. ამათ კი ეს საქმე სრულიად არ ეჩოთარებათ; თანაც ხელში წინდა უჭირავთ და ბეჯითათ ქსოვენ. ზოგ

სოფელს ისე შორს აქვს წყალი, რომ მანამ დედაკაცი მივიდ-მოვიდოდეს ნახევარ წინდას მოქსოვს.—

სოფლები ქიზიყში შესანიშნავი არიან სისუფთავითა. ბარეშემო მინდორი მთლათ ვენახებს უჭირავთ და აქ სახნავე მიწებს იშვიათათ ნახავე. აგრეთვე იშვიათათ ნახავე სოფლებში კალო საბძელს, ბოსელს და საქონლის პატევს. მს იმიტომ, რომ ვომებს და კალო-საბძელს სოფლის გარეთ აკეთებენ. შინაური საქონელი ზამთარ ზაფხულ აქა ჰყავთ. მოსავლის ლეწვის დროს მთელი ჯალაბობა აიბარგება და ქალით-კაც.მდის კალოებზედ წავეა; აქ იქამდის იქნებიან, მინამ ლეწვას სრულიად არ გაათავებენ, შემდეგ სოფლებში დაბრუნდებიან.—ზნეობით ქიზიყელებს კახელები სჯობიან. სიამაყე, საძაგელი უზღვლობა თითქმის საზოგადო თვისებაა ხალხისა. შურდობაც ქიზიყში გახშირებულია. ბრიყული სიტყვა პასუხი ერთი უმთავრესთაგანი ნაკლულევენება ქიზიყელებისა.

სამხრეთ აღმოსავლეთის კუთხეში ძახეთიდგან და ქიზიყის პირდაპირ ალაზნის იქითა ნაპირს საინგილოვო სძევს. მს მხარე სპარსეთს დიდი ხანი ეჭირა და აქ მცხოვრები ქართველები გაათათრა. ბოლოს დროს ბევრი ისევ ქრისტიანობაზედ მოიქცა; ზოგი კი ისევე თათარია. ჭველა ინგილომ ორი ენა კარგათ იცის; ქართული და თათრული. მს ქვეყანა უნაყოფიერესი ადგილია: ღვინო უხვათ მოდის, თუმცა მდარე; ჰური იზრდება თითქმის კაცის სიმაღლე და შეტათ მდიდარი მოსავალი იცის; ბრინჯს ინგილოები ბლომათა სთესვენ, ბევრი მოსდით და იაფიც არის. აბრეშუმის ჭის ყოლა ძრიელ გახშირებულია; უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა ჭიას ინახავს და აბრეშუმ-ყაჭის გაყიდვით ფულს იძინებს. თითქმის ყველა ღარიბ კაცს წლის სარჩო სამყოფი მოსდის. ბაკეთებულ გლეხ კაცებს ფულიც ბევრი აქვთ. ბოლოს დროს საინგილოვოში ბამბის თესვაც შემოიღეს. სიფაქიზით და პატონსური სიტყვა პასუხით ინგილოები კახელებს და მეტადრე

ქიზიყელებს გაშორებით სჯობიან; ლანძღვას ინგილოებში იშვიათათ გაიგონებ. ინგილოები არამც თუ თვითონ არ ილანძღებიან, სხვაშიაც ეჯავრებათ ეს ნაკლულევანება. ქიზიყელები ამათ ძრიელ სპულთ, სხვათა შორის, ბილწი სიტყვა-პასუხის გამოისათ. მაგრამ ქურდობა კი აქ უფრო კიდევ გავრცელებულია, მინამ ქიზიყში. მინც მარჯვე ქურდობა იცის, ის კოჩალ კაცათ მიაჩნიათ, გარდა ამისა სიმტრით ერთმანეთის ცეცხლით გადაწვა ხშირათ მოხდება ხოლმე. საინგილოში ერთი ცუდი ჩვეულებაა: ერთი სოფლიდგან მეორე სოფელში ინგილოები ქალს არ ათხოვებენ; ამიტომ ახლო ნათესაებში ქორწინება აქ ხშირათა ხდება. ამის გარდა, გასათხოვარ ქალს არამც თუ მზითევს არ ატანს დედამამა, იმის საქრმოს პირიქით ფულს ართმევს. მართი სიტყვით აქ კაცი ქალს ნივთისავეთ ყიდულობს. ამიტომ აქ ბევრი ქალებას ყოლა დედ-მამისათვის ბედნიერებაა, რადგანაც თვითო ქალი ერთ ოც ან ოც და ათს თუმანს ფულს შესძინებს. ეს კი უნდა დაუმატოთ, რომ ამ ჩვეულებას ყველა ინგილო არ მისდევს. პატიოსანი გლეხი კაცი არას დროს თავის ქალში ფულს არ აიღებს.

შიგნით კახეთის თავს, ე. ი ჩრდილოეთით თუშეთი სძევს. რადგანაც ეს ქვეყანა მაღლოზი ადგილია და მთიანგორიანი, ამიტომ აქ ხენა თესვას არ მისდევენ. ხალხის სიმდიდრეს აქ შინაური პირუტყვი შეადგენს, რომელსაც მრავალს ინახვენ, რადგანაც იალალი კარგი აქვთ. მეტადრე ცხენის ჯოგის და ცხვრის ფარის ყოლა ძრიელ არის გავრცელებული თუშეთში. თუშები ჰყიდიან ცხვარსა, ცხენებსა, მატყლსა, ერბოსა, ყველსა და იმათი ფასით ყველაფერს საცხოვრებელს ყიდულობენ. თუშეთში შეძლებული ხალხი სცხოვრობს და მთლათ ქრისტიანები არიან, ზემო თუშები ქართულათ ლაპარაკობენ, ქვემო თუშები კი თუშურათ, მაგრამ ქართულიც ყველამ იცის.—

ცივ-გომბორის მთის აქეთ და იორის აქეთ იქით ნაპი-

რზედ ბარეთ ძახეთი სძევს. სამხრეთით ბარეთ ძახეთს შარაიის უწყლო მინდორი უძევს. მტკერის პირათ ამ მინდორზე ატეხილია მალალი და ხშირი ჭალა, სადაც მრავალ გვარი ნადირი ცხოვრობს: ჯიხვი, მშველი, დათვი, მგელი, ირემი, კურდღელი, მელა და სხვანი. შრინველებში ხოხობი მრავალი ბუდობს აქა. უწინ საქართველოს მეფეებმა ნადირობა აქ ხშირათ იცოდნენ; ეხლაც დიდი კაცები სანადიროთ ამ ჭალაში წავლენ ხოლმე. რაც ბარეთ ძახეთს შეეხება, ჭინახულის მოსახელით შიგნით ძახეთს გაშორებით სჯობია. შურო კი კარგი მოსავალი ეცოდინებოდა, თუ რომ აქეთ იქით მთუბიდგან წყლის რუები გამოდიოდნენ და მინდორს რწყავდნენ. სადაც კი ადგილი ნებას აძლევთ, მცხოვრებლებს იორიდგან გაჰყავთ წყალი და ასე რწყვენ ნახნავ-ნათესსა. პურის გარდა აქ უხვათ მოდის ქერი, სიმინდი და სხვა მარცლოვანი მცენარეები. ბოლოს დროს ბრინჯი და ბამბაც დათესეს ალაგ-ალაგ, კიდევ კარგათ იხერია, მაგრამ მცხოვრებლებმა თავის უხეირობით ვერ გაავრცელეს ამ სასარგებლო მცენარების მოყვანა. ლენოც საკმაოთ მოჰყავთ, თუმცა შიგნით ძახეთის ლენოს ვერ შეედრება.

ბარეთ ძახეთის თავს ე. ი. ჩრდილოეთით შიანეთი სძევს. აქაური ქართველები ხენა-თესვას მისდევენ: პური, სიმინდი და ქერი მოჰყავთ. საქონლის ყოლა კი ჩვეულებათ არა აქეთ.

შიანეთის ზემოთ, შუშეთის პირდაპირ, შშავეთი სძევს და ამას ჩრდილოეთით ხევსურეთი აკრავს. შუშეთს და შშავეთს მხოლოთ ერთი მთა ჰყოფს. შშავ-ხევსურეთი ძალიან მთიანი და გრილი ადგილია, ამიტომ აქ პური და სიმინდი არ მოდის. აქ სთესვენ მარტო ქერსა და ამით იკვებებიან. ბაღები და ვენახები აქ სრულიად არ არის, ამიტომ რომ არ იხეირებს; ხილს აქ იშვიათათ ნახავ. ხარის და ძროხის ყოლა გახშირებულია, ცხვარს კი ცოტას ინახვენ. შშავ-ხევსურები სულ ქრისტიანები არიან და ქართულათ ლაპარაკობენ.

სახლებს თუშებივით პტყელი კლდის ქეებისას აშენებენ.

მთელ ქახეთში მხოლოდ ორი ქალაქია: თელავი და სიღნაღი. — თელავი შიგნით ქახეთშია. ეს ქალაქი სძევს ცივ-გომბორის მთის ტოტზედ აღმოსავლეთის მხრით და ძალიან მაღლობში ადგილი უჭირავს; შორიდგან თელავს ქალაქათ არ ჩაადგებ, ის გეჩვენება ერთ დიდ ბაღათ. როცა ქალაქში შეხვალ, იმის მიხეზს მაშინ შეიტყობ: მთელი ქალაქი ბაღებით არის მოფენილი; თითქმის ყველა სახლი ცალკე ბაღში დგას, სადაც ბევრ ნაირი ხე ად ხეხილია არიგებ-ჩარიგებული. ამიტომ თელავს მეტათ საამური სახე აქვს. მაგრამ მის მდებარეობა უფრო კიდევ მშვენიერია. ქალაქი გარეშემო შემორტყმულია ხშირი ტყითა, და აღმოსავლეთის მხრით თითქმის მთელი ქახეთი ისე სჩანს, როგორც ხელის გულზედ. ხეხილიანი ბაღები და მრავალი ცივი წყაროები, რომლებითაც თელავი მეტათ მდიდარია, ამ ქალაქის ჰაერს საამურათ აგრილებენ და მშვენიერ სამყოფ ადგილათა ხდიან. თელავში ქართველების გარდა სომხები ბევრი ცხოვრობენ. ამ ქალაქში სამი სასწავლებელია: ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი, სამკლასიანი საერო სასწავლებელი და ბოლოს ქალების უკოლაც გახსნეს; რომელსაც წმინდა ნინოს სასწავლებელი დაარქვეს. თელავში სულ 8,240 მცხოვრებელია.

სიღნაღი სძევს შიზიყში. ეს ქალაქიც ცივ-გომბორის მთის ტოტზედ არის დაარსებული აღმოსავლეთის მხრით და უფრო კიდევ მაღლობში მდებარეობა აქვს, მინამ თელავსა. ამიტომ სიღნაღიდგან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ სჩანს ბაღმა ქახეთი, აღმოსავლეთისკენ ალაზნის აქეთ იქით პირები ჭარამდის. სიღნაღს უწინ გარეშემო მაგარი ციხე-გალავანი ერტყა, რომელშიაც შეეფარებოდნენ ხოლომე გარეშემო სოფლების მცხოვრებლები მტრის დაცემის დროს; ეს ციხე ახლა დანგრეულია. სიღნაღში მარტო ერთი სამკლასიანი საერო სასწავლებელია. ქართველები ამ ქალაქში ძალიან ცოტანი სცხოვრობენ; თითქმის მთელი ქალაქი სომხებს აქეთ დაქერილი. სიღნაღი 9,600 მცხოვრებელს იპყრობს. —

II ქართლი.

ქართლი სძევს ქახეთის და იმერეთის შუა და უჭირავს საქართველოს შუა გული ადგილი. ქართლი ჩრდილოეთით ისაზღვრება ქავეკასის მთით, აღმოსავლეთით არაგვით და მტკვრით, სამხრეთით სომხეთით და ოსიანეთით, დასავლეთით ლიხის ან სურამის მთით.—ქართლს შეადგენენ შემდეგი ნაწილები: საკუთარი ქართლი, ახალციხის მხარე და ჯავახეთი. ამ უკანასკნელ ორ მხარეს უწინ სხვა და სხვა სახელები ერქვა: ზემო ქართლი, სამცხე და საათაბეგო. მთელ ქართლში 300,000 მცხოვრებელია.

ბორჯომის ხეობიდან იწყება ერთი კარგა მაღალი და ტყიანი მთა, რომელიც გაგრძელებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მტკვრამდის. ამ მთას ორიანეთის მთას ეძახიან და ეს ქართლს ორ ნაწილად ჰყოფს: ჩრდილოეთის მხრით საკუთარი ქართლი სძევს, სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯავახეთი. ჯერ საკუთარ ქართლზედ ვილაპარაკოთ.

ლიხის მთიდან არაგვამდის აღმოსავლეთის მხრისკენ გაჭიმულია ერთი მორდილი გძელი ველი, რომელიც დაფენილია საკუთარი ქართლის სოფლებით. ჩრდილოეთით საკუთარ ქართლს ქავეკასის მთა აქეთ აფარებული, სამხრეთი ორიანეთის მთა. ამიტომ აქ სამხრეთის ან ჩრდილოეთის ქარი შეუძლებელია. მაგრამ დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარი კი ძრიელ ხშირად იცის. იშვიათი დღე იქნება, რომ ქართლში ქარი არა ქროდეს. ზანსაკუთრებით დასავლეთის ქარი მეტად ღონიერი იცის, ასე, რომ ხეებს ძირიანათ გლეჯავს ხოლმე. რა საკვირველია, ჭინახულისათვის და ბალიანობისათვის ამ გვარი ქარი მავნებელი უნდა იყვეს. წვიმის ღრუბელი ქართლში უმეტეს ნაწილად დასავლეთის ქარს მოაქვს: აღმოსავლეთის მხრიდან წვიმა იშვიათად გაჩნდება ხოლმე. აღმოსავლეთის ქარი ცხელია და ხმელი, ამიტომ თუ დიდ ხანს იქროლა, მცენარეებს აყვითლებს და აჭკნობს.

ქართლის წყალი უხვათ აქვს: ბოლოზედ ე. წ. სამხრეთის მხრით ორიალეთის მთის ძირსა მტკვარი ჩაუდის. ქართლის ველისთვის მტკვარი უსარგებლოა, ამიტომ რომ ჩარღმავებულ ადგილზედ მოდის და არ შეიძლება, რომ აქედგან სარწყავათ წყალი ნახნაე-ნათესში გაიყვანონ. მაგრამ ქართლისთვის მტკვრის წყალი საჭიროც არ არის: ძავეკასის მთიდან გამომავლი მრავალი რუები ძირს ჩამორბიან და ქართლის მინდორს ანაყოფიერებენ. ამათში უფრო შესანიშნავია ორი მდინარე: ლიახვი და შსანი, რომლებსაც სათავე ძავეკასის მთაში აქვთ. ლიახვი ქართლის ველის დასავლეთის ნაწილსა რწყავს, შსანი აღმოსავლეთის ნაწილსა. ორივე მეტათ ჩქარა მომდინარეობენ და გაზაფხულზედ საშინელი აღიდება იციან. მეტადრე თოვლიან ზამთრის შემდეგ ხან წყლით ისე გაივსებიან ხოლმე, რომ ამათში გასვლა საშინელია.

ჰაეა ქართლში გაშორებით ვრილია ძახეთისაზედ. ამის მიზეზი ჯერ ის არის, რომ ქართლი გაშლილი ქვეყანაა და ღონიერი ქარი იცის, მერმე ისა, რომ ძავეკასის მთა ახლო აქვს და ამისი თოვლით შემოსილ წვერებიდან ზამთარ-ზაფხულ ქართლზედ ცივი ჰაერი მოდის. ჰაეის სიგრილისგამო ქართლში ზოგი ძახეთის ხილი სრულიად არ ხარობს, მაგალითათ: ბროწეული, ლეღვი და წაბლი. აგრეთვე ქართლის ბუნებას არ შეუძლიან მოიყვანონ ბამბა და ბრინჯი, რომელსაც ძახეთის მხარეში ზოგ ადგილას ბლომათ სთესვენ. ზრილი ჰაეის გამო ქართლში ღვინო ძალიან მდარე მოდის. მაგრამ ქართლელები ვენახების შემუშავებას ერთგულათ მისდევენ. სოფლები უმეტეს ნაწილათ გარეშემო შემორტყმულნი არიან ვაზის და ხილის ვენახებით. ამ გვარ სოფლებში თითქმის ყველა გლეხ კაცს აქვს თავისი საკუთარი ბაღი. ვენახის მოვლა ქართლში უფრო დიდ მუშაობას ითხოვს, მინამ ძახეთში. საზამთროთ ვაზის დამარხვა თითქმის ყველგან საჭიროა; დამარხვა იმაში მდგომარეობს, რომ ვაზებს შემოდგომაზედ სარებს გამოუყრიან, ამათ ცალკე

ერთათ დააგროვებენ, ვაზებს კი ძირს წააწვენენ და ზედ მიწას მიაყრიან. თუ გლეხმა ვაზები ზეზე დაარჩინა, ზამთარში დასძრავს და განმება, მეტადრე თუ ცივი ზამთარია. მაზაფხულზედ ვაზები ისევ უნდა ააყენოს, გასხლას, სარები შეუდგას და შეყელოს. ზღვებ კაცს ბევრი დრო ეკარგება ამ მუშაობაში; მაგრამ ის შრომას არ იშურებს, ოღონდ კი თავისმა ვენახმა იძისი საყვარელი მჭავე ღვინო მოიყვანოს. მართლული ღვინო მართლშივე თუ გაიყიდება, თორემ სხვა ადგილებში არ წაიღება, სიმდარის გამო.

ხენა-თესვისათვის კი მართლის ბუნება მშვენიერია. ქახეთისავეით აქაც მეტათ ნოყიერი ნიადაგია. ამასთან მრწყევილი მდინარეებიც ბლომათ არიან, წვიმაც თავის რიგზედ მინდვრებს არ აკლიათ. ამიტომ ხენა-თესვა მართლში უფრო გავრცელებულია, მინამ საქართველოს სხვა ნაწილებში. ზაფხულში მთელი მართლის მინდვრები დაფენილია მხოლოდ სხვა და სხვა მარცლოვანი მცენარეებითა: პურიით, ქერიით, სიმინდით, შვრიით, ფეტვით და სხვებით. მშვენიერი დასახელება თიბათვის გასულს მართლის მინდორი. მთელს ველს თეთრყვითელი ფერი დასცემს და ქარის დროს საამურათ ღელავს ზღვასავეით. მკათათვეში კიდევ უფრო გაცოცხლებულია მართლის მინდვრები. ამ დროს ჭინახული შემოსულია და იმკება. მთელი ველი მოდებულა მუშებით და აქეთ იქიდგან სხვა და სხვა სიმღერა და ხმაურობა მოისმის. აქ ბლომათ ერთათ შეყრილი მუშები მხიარულათ გასძახიან ჰეპი-უპსა და მალალ ყანას სწრაფათ აქცევენ ძირსა; იქ ყანის გვერდზე სადილი გაუთავებიათ, მუშები ნამგლებს ღვსევენ და მხიარულათ ზედ დალიდინებენ: გლესავე გაგლესავე, ნამგალო, ნამგალო, ჩემო რკინა.

მთელი სიმდიდრე ქართლებებისა ჭინახულში მდგომარეობს; ნახნავ-ნათესმა გლეხი მთელი წელიწადი უნდა გამოკვებოს და ჩააცვას; ხემწიფეს, მღვდელს და მოვალეს პურიით უნდა გასცეს პასუხი, ამიტომ რომ მეტი სხვა ღონის-

ძიება არა აქვს. ქართლები სხვა არა წარმოებას არ მისდევენ. არც ცხვრისა, არც ცხენისა, არც ღორისა და არც სხვა შინაური პირუტყვის ბლომათ ყოლა აქ სრულიად არ იციან. მრიოდ-სამი ძროხა, რამდენიმე უღელი ხარ-კამეჩი, ოთხი-ოც ღორი და ერთი ცხენი, აი რას ინახავს ქართლელი გლეხი კაცი. აგრეთვე აბრეშუმის ქიის ყოლა ძალიან იშვიათი საქმეა. მრთი სიტყვით, ხენა-თესვის გარდა გლეხ კაცს სხვიდგან არაფერიდგან არა აქვს გამორჩენა, ამისთანა ხალხი ძნელათ შეიძინებს ქონებასა. მართლაც ქართლი სიღარიბით დახეთს არ ჩამოუა. აქ მდიდარ გლეხ-კაცს იმას ეძახიან, ვისაც გუთნეული ხარ-კამეჩი ჰყავს შინა, გლეხ-კაცური ყველაფერი აქვს სახლში და ვალი არა მართებს. შულის მქონელი გლეხი ქართლში ძალიან იშვიათია.

ქართლებს ფულის ვალათ აღება უფრო ეხერხებათ, მინამ მოპოება და გასესხება. სოფელში ხუთ ექვს კომლ გლეხს ძლივს იპოენი, რომ ვალი არ ემართოთ. მოვალეები ქართლებებისა არიან სომხები და ურიები, რომლებიც ქართლში ბლომათ სცხოვრებენ. პურის მოსავალის უმეტესი ნაწილი ამათ მიაქვთ სარგებელში კალოობის დროს და თვითონ გლეხები ხელცარიელნი რჩებიან. ხშირათ გლეხს ძლივს რჩება რამდენიმე კოდი, რომ ხნულები დათესოს და სიმინდის გახმობამდის გამოიკვებოს. იშვიათი გლეხი კაცი იკვებება წმინდა პურით მთელ წელიწადს. უმეტესი ნაწილი თითქმის სრული წელიწადი სიმინდის და ქერის ჭადით ცხოვრობს. რადგანაც ქართლში შინაურ პირუტყვის მოშენებას არ მისდევენ, ამიტომ ამას ემატება უხორაგობაც. მრი სამი თვე გაეა, რომ გლეხის სახლში ხორცი და ყველეურობა არ გაჩნდეს; პირის პატიფით ისევე კანელები და ქიზიყელები სჯობიან ქართლებსა.

ქართლების სიღარიბეს ცხადათ აჩვენებს ამათი უმსგავსი მდგომარობა. ქართლული სოფელი სწორეთ სასაცილო სანახავია. შიგ რომ შეხვალ მხოლოთ იმიდი შეამჩნევ

სოფელსა, რომ მაღალ საბძლებს და საყდარს დაინახავ. შიქრობ, სად სცხოვრობენ გლეხები. როცა დაკვირვებით აქვით იქით მიხედ-მოიხედავ, მხოლოდ მაშინ შეამჩნევ, რომ ქართლელებს სახლები მიწაში ჰქონიათ გაკეთებული. მიწა ღრმით არის გათხრილი; სახლის კედლები შიგ მიწაში და ქვით თითქმის მიწის პირათ ზურავს. ცეცხლის ადგილი ან შუაზედ არის, ან კიდევ კუთხეში ბუხარი არის გაკეთებული. თუმცა ქართლულ სახლებში ქარი ისტებერი არ შექრქინებს, როგორც კახურ და იმერულ სახლებში და იმდენი ბოლი არა დგება როგორც აქა, მაგრამ ამათ უფრო მანებელი ნაკლულევა-ნება აქვთ; რადგანაც სახლი შიგ მიწაშია ჩაძრომილი და ქარი და მზე არა მხრით არ შედის, ამიტომ იმაში მუდამ ნოტიო და მძიმე ჰაერია. ეს არის იმის მიზეზი, რომ ქართლში ქარებით და მჭელით ავითმყოფობა ხშირია; აგრეთვე ხშირია საოფლე, რომელიც ნოტიოან და დამპალ ჰაერში მეტათ ზრცელდება. ბევრჯელ ერთს ამ გვარ სახლში შეკუნჭული არიან: ადამიანები, შინაური-პირუტყვი, ქათმები, და რა საკვირველია, ამისთანა სახლში საშინელი უწმინდურობაა, გლეხ კაცის ცოლ შეილი სნეულდება და სიცოცხლეს მალე ათაევს. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ქართლელებს ყველას არა აქვს ზემოხსენებული მდგმობა; ზოგიერთა სოფლებში მცხოვრებლებს ხის და ქვრტკირის სახლები უდგიათ.

ზნობით ქართლელი სჯობიან კახელებსაც და იმიერებსაც. ამის მიზეზი არის ჯერ ისა, რომ ქართლს შუაგული ადგილი უჭირავს საქართველოსი და მცხოვრებლებზედ სხვა და სხვა ველურ ხალხებს ზედმოქმედება არა ჰქონიათ, როგორც კახელებზედ და ქიზიყელებზედ ჰქონდათ ლეკებს გავლენა; მეორე მიზეზი ზენა თვისის მიდევნაა. ხენა თვისე, ხალხს მშვიდობიან თვისებისას ხდის და კარგი ზედმოქმედება აქვს ზნობაზედ. ერთმანეთის მტრობა, შფოთი და შური ქართლელებში უფრო ნაკლებათ არის, მინამ საქართველოს სხვა ნაწილების მცხოვრებლებში. აგრეთვე ქურ-

დობა ერთი ერთმანეთში ძალიან იშვიათათ მოხდება ხოლმე. რა საკვირველია, ზოგი თვისებით ქართლები დაუვარდებიან კახელებსა: ქართლები გაუბედავი და მხდალი ხალხია, კახელები უფრო გულადნი და მამაცნი არიან.—

საკუთარ ქართლში სამი ქალაქია: თბილისი, ბორჯღაფთაძის და ლუშეთი.

თბილისი მთელი საქართველოს დედა ქალაქია და სიძველით თითქმის ყველა საქართველოს ქალაქებზედ ხნიანია. თბილისი არის გაქალაქებული მეფე მახტანგ ბურგასლანისაგან, მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შობის შემდეგ. ამ დრომდის საქართველოს პირველი ქალაქი იყო მცხეთა, რომელიც ეხლა სოფელია და სძევს არაგვის მტკვართან შესართავთან. მაშასადამე ათას ხუთასი წელიწადია, რაც თბილისი საქართველოს თავი ქალაქია. თბილისის გაქალაქების დროსვე აქ მახტანგ ბურგასლანმა ააშენა ოთხი ეკლესია, რომლებიც აქამომდე არსებობენ: სიონის, მეტეხის, ჯვარისმამის და ბეთლემის ეკლესიები; სვეტი ცხოველის ეკლესიაც მცხეთაში ამ დროს სრულიად გაახლა მოხსენებულმა ქართველთ მეფემა. თავის დაარსების შემდეგ თბილისს ბევრი თავს გადასაჯალი გამოუცდია. ამის გარეშემო ადგილი მთლათ გაქვანულია საქართველოს ერთგულის შვილების სისხლით, რომლებიც თავის მამულისთვის ებრძოდნენ ხან სპარსელებს, ხან ოსმალებს, ხან მონღოლებს და მრავალს სხვა მტრებსა.

თბილისს მდებარობა სრულიად არ უვარგა. ამას უჭირავს ქვაბური ადგილი, რომელიც სამ მხრით შემოზღუდულია ტიტველა და კლდიანი გორებით. ამ გვარი მდებარობისაგან წარმოსდგება თბილისის ჰაერის სიხმელი. მეტადრე ზაფხულში საშინელი ხმელი სიციხეები იცის აქა, და ამის გამო ყველა შეძლებული კაცი ზაფხულს თბილისის გარეთ ატარებს. ქალაქზედ მომდინარეობს მტკვარი, რომელიც ჰყოფს მას ორ ნაწილათ; დიდი ნაწილი ქალაქისა მტკვრის მარჯვენა ნაპირს არის გაჭიმული, პატარა ნაწილი მარცხენა ნაპირსა.

თბილისს მეტათ ჭრელი სახე აქვს; ჩრდილოეთის მხრიდან რომ თბილისში შედიხარ, ქალაქს ხედავ ევროპიულათ გაწყობილსა: განიერი და სწორე ქუჩები ქვეთ წმინდათ არიან მოკარწყულნი და აქეთ იქით ნაპირებზედ სამ-ოთხ ეტაჟიანი სახლები აქეთ ჩარიგებული. მაგრამ რა კი შუა ქალაქს ქვევით ჩასცდები, სურათი სრულიად გამოიცვლება: აქ ქუჩები საშინლათ ვიწრო და უწმინდურია, დაბალი სახლები ერთმანეთზედ არიან მიყრილნი და ნაშენობა სრულიად არ ვარგა. ჰაერიც ამ ნაწილში ცუდი თვისებისაა. მათი სიტყვით თბილისის სამხრეთი ნაწილი თვალ წინ ცხადათ წარმოგიდგენს აზიასა. ამ ნაწილში არიან თბილისის გათქმული ბუნებითი აბანოები. ქალაქში 70 ათასამდის მცხოვრებელი ითვლება.

ზორი სძევს მტკვრის პირსა, იქ, სადაც ამ მდინარეს ლიახვი ერთვის. ზორს აღმოსავლეთით კვერნაკი უძევს, სამხრეთით მტკვარი, დასავლეთით ლიახვი ჩაუდის, მხოლოდ ჩრდილოეთისკენ მცირე ქალაა გაშლილი და მას შემდეგ იწყება საკუთარი ქართლის ვაკე-მინდორი, სოფლებით საამურათ დაფენილი. ზედ შუა გულ ქალაქში ამაღლებულია ერთი გამარტოებული გორა, რომლის გარშემო დაარსებულია ქალაქი. ამ გორას წვერზედ აშენებულია შესანიშნავი ციხე. ციხე არის დაწყობილი გორის აღმოსავლეთის ძირიდგან, მერმე მალლა ატანილი, ზედ ქედზედ გადავლებული და მის დასავლეთის ძირამდის ჩატანილი, ასე რომ ციხე გორას რკალივით აქვს გარდარტყმული. სახელი ქალაქმა ზორმა ამ გორადგან მიიღო. ზორში ითვლება 4,200 მცხოვრებელი.

ღუშეთი ქართლის აღმოსავლეთის ნაპირს არის და სძევს არაგვის მახლობლათ. ქალაქი შესანიშნავია მშვენიერი მდებარებით და შეიცავს 2,400 მცხოვრებელსა.

თრიალეთის მთის სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯაფახეთი მდებარობენ. მს. ქვეყნები დიდი ხანი იყვნენ მსმალეთის ხელში და მხოლოდ 1829 წელს შემოუერთდნენ საქართველოსა. — ახალციხის მხარეს მალალი მდებარობა აქვს.

ამის გამო აქ მეტათ გრილი ჰავა არის. ზამთარი ცივი იცის; ხშირათ სამ თვეს დედამიწა თოვლით არის დაფენილი. გაუწყვეტლათ. ნოემბერში, როცა მშენიერი შემოდგომის თბილი დღეებია ქართლში და ქახეთში, ახალციხის მხარეში თოვლი სძევს და ზამთარი გაჩაღებულია. სიგრილის და სიცივის გამო ამ ქვეყანაში ქართლის და ქახეთის ბევრი ხილი სრულიად არა ხარობს. აქ ვერა ნახავ წაბლსა, უნაბსა, ლელესა და ბროწეულსა; ყურძნის ვენახები აქ თითქმის სრულიად არ არის და ღვინოსაც, რა საკვირველია, აქაური მცხოვრებნი მოკლებულნი არიან.— ახალციხის მხარაში ქართლის ტომი სცხოვრობს, მაგრამ ყველა კი ქრისტიანულს სარწმუნოებას არ აღვიარებს; ეს მხარე, როგორც ესთქვით, დიდხანს მსმალეთის სამფლობელოს. ეკუთნოდა და უმეტესი ნაწილი აქაური ქართველებისა გათათრდა და აქამომდე ამ მდგომარეობაშია. ქართული ენა კი ყველამ წმინდათ იცის. ზოგს ამათგანს თურმე ქრისტიანობაზედ მოქცევა უნდა, მაგრამ თავისი თანამორწმუნეებისა ეშინიან; მაინც ბევრი ამათგანი აქამდის გაქრისტიანდებოდა, რომ ჩვენი აქაური ღვდლები ვარგოდნენ; მაგრამ, საუბედუროთ, ისინი ბევრს არაფერს დასდევენ. ნაკლებ ნაწილს ახალციხის მხარის მცხოვრებლებისას კი აქამდის ქრისტიანობა მტკიცეთ დაუცვამს. ბათათრებული ქართველები და ქრისტიანები ცალ-ცალკე სოფლებში სცხოვრებენ და ერთათ არეულნი არ არიან; მეზობლობა ვი ერთმანეთში გაწყვეტილი არ აქეთ.

ახალციხის მხარაში მამული სრულიად ბეგების საკუთრებაა. ეს ბეგები არიან გათათრებული უწინდელი აზნაურთა ვადიშიელები. ბლენი კაცი საკუთარ მამულს მოკლებულია. მაგრამ ბატონ-ყმობა კი აქ არა დროს არა ყოფილა. ბლენი კაცი საღალოთ მუშაობდა და მუშაობს ბეგების მამულსა. თუ გლენი კაცი ერთი ბეგის მამულიდგან მეორე ბეგის მამულში გადასვლას მოინდომებდა, დამშლელი არა ვინ იყო. აქ ღალას აძლევს გლენი კაცი ბეგებს ყველა თავის ქა:

ნებიდგან: პურიდგან, ხილიდგან და პირუტყვიდგან. ეს მდგომარეობა შეუცვლელათ დარჩა აქამდის და ბატონ-ყმობაზედ ახალი წესდებულება ახალციხის მხარეს და ჯავახეთს არ შეეხო. აქაური გლეხ კაცების წარმოება მდგომარეობს ხენა-თესვაში, შინაური პირუტყვის მოშენებაში და ბალიანობაში; აქაური ბაღები ვაზების მაგიერათ სხვა და სხვა ხეხილით არიან სავსე; მეტადრე მსხალი და ვაშლი კარგი გემოსი და თვისებისა ხარობს ახალციხის მხარეში. ძაკალი საშინლად დიდი ხე იზრდება და სხმატ ბევრი იცის. — შინაურ პირუტყვში აქ უფრო გამრავლებულია ცხერის და ღორის ყოლა. შინახულში თესვენ სიმინდს, შერიას, ქერსა და პურსა, უფრო საგაზაფხულოსა.

რადგანაც ამ ქვეყნის გლეხ კაცებს საკუთარი მამული არა ჰქონიათ და მუსმალეთის მფლობელობის ქვეშ დიდი შეწუხება და უსამართლობა უთმენიათ, ამიტომ სიმდიდრე ვერ შეუძინიათ; მაგრამ რადგანაც ყმები არა ვისი ყოფილან და ყოველი საკუთრება თავისათ უგულვებით და თავისი ქონების დაზოგვა უსწავლიათ, ამიტომ აქ სრულიად საწყალი გლეხი ძნელათ იპოება. საზოგადოთ გლეხებს თავისთვის საკმაოთ აქეთ ქონება; ვალი აქ ისე გავრცელებული არ არის, როგორც საკუთარ ქართლში და ქახეთში. რა საკვირველია ზოგი უფრო მდიდრულათა სცხოვრობს, ზოგი უფრო ნაკლებათა, მაგრამ დიდი განსხვავება კი არ არის ქონებით გლეხებში.

მდგმოიარობა ახალციხელებს ცუდი არა აქეთ: სახლბეს აშენებენ ქვით და ტალახით, მაგრამ ქართლელებივით მიწაში კი არა, ზეზედ. შუა ცეცხლი აქ სრულიად არ იციან და ყველა სახლს ბუხარი აქვს გაკეთებული. მართი სიტყვით აქ უფრო ხერხიანათ აშენებენ სადგომ სახლებს, მინამ სხვაგან სადმე საქართველოში. —

ახალციხას მხარეში მხოლოდ ერთი ქალაქია-ახალციხე. ახალციხე სძევს პატარა მდინარეზედ, ნოსხოვზედ, რომელიც

მარცხენა მხრივ ერთვის ახლო მომდინარევე მტკვარსა. ნოსხოვი ახალციხეს ორ ნაწილათ ჰყოფს: სამხრეთის მხარეს ახალი ქალაქია გაშენებული, ჩრდილოეთის მხარეს ძველი ქალაქი. ახალი ქალაქი დაჭერილია სომხებითა და აქ უფრო კარგი სახლებია, განიერი, სწორე და წმინდა ქუჩები, მინამ ძველ ქალაქში. ძველ ქალაქის მცხოვრებლებს შეადგენენ ქართველები და ურიები; ქართველებში ბევრი ფრანგია, ზოგი კი მართმადიდებელი. ძველ ქალაქშივე არის გათქმული ახალციხის ციხე, მაღლა კლდეზედ აშენებული ზედ ნოსხოვის პირზედ. ახალციხეში სულ 15,200 მცხოვრებელია.

აღმოსავლეთით ახალციხის მხარეს ჯავახეთი უძევს. ამ ქვეყანას უჭირავს ახალციხის მხარეზედ კიდევ უფრო მაღლობი და ტიტველა მინდორი. ამიტომ აქ უფრო კიდევ გრილი ზაფხული იცის და ცივი ზამთარი, მინამ ახალციხის მხარეში. თუმცა ჯავახეთში მიწის ნიადაგი ნოყიერია, მაგრამ ტყე აქ სრულიად არ ეპოება; მდინარეებიც ამიტომ მცირეთ არის; ამ მდინარეებში მეტათ გემრიელი კალმახი ბუდობს.—

შმაგრესი საქმე ჯავახებისა არის ხენა-თესვა. მიწის ხენა ბლომათ იციან, რადგანაც მამული უხვათ არის და მოსავალიც კარგი იცის, მეტადრე პურმა და ქერმა. ჯავახი ჰყიდის პურსა და ქერსა და მიღებული ფასით რაც საჭიროა ყიდულობს. თუმცა ჯავახეთი ურწყავი ქვეყანაა, მაგრამ აქ მოსავალი ძვირათ მოსცდება ხოლმე, ამიტომ რომ ამ ქვეყანას შავი ზღვიდგან წვიმა უხვათ მოსდის. ხენა-თესვის გარდა ჯავახები შინაური პირუტყვის მოშენებასაც მისდევენ, მეტადრე ცხვრისას, რადგანაც იალალი კარგი აქეთ. მაგრამ ბევრი ცხვრის ყოლა კი აქ არ იციან: კაი ქებაა გლეხ კაცს რომ ორმოც სამოცი სული ჰყვანდეს.

უტყეობა ძრიელ აწუხებს ჯავახთელებსა; შეშას თითქმის მთელი ჯავახეთი მოკლებულია. შეშის მაგივრათ ხმარობენ წივასა, და რა ტანჯვაში უნდა იყვნენ ამ გარემოე-

ბის გამო ჯავახელები, მეტადრე აქაურ ცივ ზამთარში, ეს ადვილი წარმოსადგენია.

სოფლებს ჯავახეთში ისეთი ღამაში შეხედულობა არა აქვთ, როგორც სხვაგან საქართველოში. ამის მიზეზი ის არის, რომ აქ ვეხნახები არ იზოება: არც ყუროძენი და არც რამე ხილი აქ სრულიად არა ხარობს. სახლებს აქ აშენებენ ისევე, როგორც ახალციხეში ე. ი. ქვითა და ტალახითა.

ჯავახეთშიაც, როგორც ახალციხის მხარეში, ყველა ქართველი ქრისტიანე არ არის; ამათში თათრებიც ურევიან, რომლებიც უწინ ქრისტიანები ყოფილან და მერმე გათათრებულან. სომხებიც ბლომათ სცხოვრობენ ამ ქვეყანაში. ხალხი ძრიელ მხდალი და დაჩაგრულია. ამის მიზეზი არის დიდი ხნის მფლობელობა ოსმალეთისა ჯავახეთში, როდესაც მცხოვრებლები დიდ შეწუხებაში იყვნენ, მეტადრე ის ქართველები, რომლებიც მტკიცეთ იდგნენ ქრისტიანულ სარწმუნოებაზედ და თათრულ რჯულზედ არ მიიქცნენ. ოუმცა ამ ქვეყანაში ღვინო არ არის, მაგრამ ლოთობა კი გავრცელებულია; ჯავახები ოტკას ისე სმენ, როგორც სხვა ქართველები ღვინოს; ოტკას ჯავახები პურისას და ქერისას ხდიან.

ჯავახეთში ერთი პატარა ქალაქია—ახალ-ქალაქი, რომელიც ახალციხისავეით მალლობ ადგილზედ არის აშენებული ორ დიდ ხევს შუა. მცხოვრებლები აქ სულ სომხები არიან, რიცხვით 1,460 სული.

იშპრატი.

ლიხის მთის იქით დასავლეთის საქართველო სძევს. რაკი ქართლიდგან ამ მთას გადასცილდები, ბუნებაში ბევრს განსხვავებას შეამჩნევ. ღედამიწას აქ სხვა გვარი შენობა აქვს. ქახეთის და ქართლის გაშლილ მინდვრებს აქ ვერა ხედავ. მთელი ეს მხარე მოფენილია მთებითა, რომლებიც ერთი ერთმანეთზედ გადაბმულნი არიან და იყოფებიან მხოლოდ პატარა ღელეებითა, ასე რომ დასავლეთის საქართველოს საზოგადოთ ტალღური შენობა აქვს. მხოლოდ რიონის ღელე, რომელიც არის სწორე გაშლილი მინდორი, წააგავს აქეთ საქართველოს ვაკე ადგილებსა. ჰაერშიაც განსხვავებას ამჩნევ: სიხმელის მაგივრათ აქ ჰაერის სინოტიეს გრძობ. ამიტომ ბუნება მცენარეობითაც უფრო მდიდარია, მინამ აღმოსავლეთის საქართველოში. დასავლეთის საქართველოში ვერა ნახავ იმისთანა ტიტველა მთებსა და კლდეებსა, რომლებიც აღმოსავლეთის საქართველოში ბლომათ არიან. მთები შემოსილნი არიან ხშირი ტყით, სადაც სხვა და სხვა გვარის ხის გარდა ბევრა იმისთანა ხეხილი ხარობს, რომელიც აღმოსავლეთის საქართველოში ბაღებშიაც იშვიათათ მოჰყავთ; წაბლით, ბროწეულით, ღელვით, ხურმით და სხვა ნაზი ხილებით აქაური ტყეები სავსეა. მრთისიტყით, ლიხის მთის იქით ყველაფერი გატყობინებს ზღვის სიახლოვესა. მიწის ნიადაგიც ამ მხარეში ბევრით განსხვავდება აქეთა საქართველოს ნიადაგიდგანა. აქაური შავი და მაგარი მიწის მაგორათ, დასავლეთის საქართველოში ფხვიერი და ქვიშა ნარევი მიწაა. ამ მიწის ზედა პირი უფრო ნოყიერია, მინამ ქვედა ნაწილი, როცა რომ აღმოსავლეთის საქართველოში რამდენიც უფრო ღრმადა სძევს მიწა, იმდენი უფრო ნოყიერია. მიწის ნიადაგის განსხვავება არის მიზეზი ხენის წესის განსხვავებისა.

დასავლეთის საქართველოში საზოგადოთ მიწის ხენა ძალიან ადვილი საქმეა; რადგანაც მიწის ღრმათ მოხენა მავნებელია მოსავლისათვის, ამიტომ ხენა-თესვა მეტად ცოტა შრომას ითხოვს; აქ გუთანი სრულიად არ იციან; ამის მაგიერათ ხმარობენ კავსა, რომელიც ერთი გოჯის სიღრმეზედ ხნავს მიწასა. უღელი ხარი და ერთი კაცი სრულიად სამყოფია ამ გვარი იარაღისათვის, როცა რომ ქართლში და ქახეთში გუთნისთვის საჭიროა რვა უღელი ხარი და ხუთი კაცი. ბუნების განსხვავებაზედ არის დამოკიდებული მდგომიარობის ვანსხვავება აქეთა და იქითა საქართველოს მცხოვრებლებისა. აღმოსავლეთის საქართველოს გაშლილი მინდვრები არიან იმის მიზეზი, რომ აქ სოფლებში გლეხები ერთათ ჯჭუფათა სცხოვრებენ. ას-ორასი კომლი კაცი ერთ ვერსზედ არის დაბინავებული, როგორც ქალაქებში. დასავლეთის საქართველოში ყველა მცხოვრებელს სულ ცალკე უდგია სახლი თავის მამულში ან ვენახში და უმეზობლოთ სცხოვრობს; რაც უნდა პატარა სოფელი იყვეს, ექვს შვიდ ვერსზედ არის გაფანტული. სოფლები აქეთ და იქით საქართველოში შენობითაც განირჩევიან. რადგანაც იმერეთის მხარეში ტყე უხვათ არის, ამიტომ მცხოვრებლები ხის სახლებს არიან მიჩვეულნი, რომლებსაც ჩალა-ლერწამი აფარიათ. ძედლების გაღვსა არ იციან და ამიტომ ქარი თავისუფლათ შექიქინებს ხეებს შუა ჭიჭიტანებიგან და წვიმა-თოვლი საკმაოდ შეაქვს შიგა. ეს გარემოება ახშირებს დასავლეთის საქართველოში გაციებით ავთ-მყოფობას, მეტადრე მჭვალსა. ბუხარს იმერეთში იშვიათათ ნახავ; ცეცხლი შუა კერასთან უნთიათ; საბოლევ მილის გაკეთება აქაურებს საჭიროთ არ მიაჩნიათ. საბოლევ მილის თანამდებობას იმიერი თავის სახლის ორ კარებს ასრულებინებს. ამის გამო იმიერები უფრო ბლომათა ყლაპვენ ბოლსა და უფრო მალ-მალ იტკივებენ თვალებსა, მინამ თვითონ კახელები, რომლებიც უმეტეს ნაწილათ აქაურებივით ხის სახლებს აშენებენ. აღმოსავლეთის საქართველოში, როგორც

წინათ ვსთქვით, სახლებს ქვისას აშენებენ უმეტეს ნაწილათ. დასავლეთის საქართველოს ერთი განსაკუთრებითი ავთ-მყოფობა სჭრის, რომლის ხსენებაც არ არის აღმოსავლეთის საქართველოში. მე ვამბობ მუცლის ავთ-მყოფობაზედ, რომელსაც იმერეთის მხარეში მუცელას ეძახიან. საძაგელი სენია ეს ავთ-მყოფობა და დიდ ზარალსაც ჩადის. ამის მიზეზის პირდაპირ ჩვენება ძნელია. რა საკვირველია ეს ავთ-მყოფობა უფრო ჰავის თვისებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული. ამის გარდა ამ სენს აძლიერებს კუხე ხილის ჭამა, რომელიც დასავლეთის საქართველოში დიდი ძალი მოდის და უდროთ ბევრის ჭამა უყვართ მცხოვრებლებსა.—შველა რაც ეხლა ვსთქვით, შეეხება თითქმის მთელ დასავლეთის საქართველოსა. ამიტომ კერძობით განხილვაში აღარ მოვიხსენებთ. —

იმერეთი ქართლის დასავლეთითა სძევს. იმერეთს ჩრდილოეთით საზღვრავს ქაეკასის მთის ქედი, აღმოსავლეთით ლიხის მთა, სამხრეთით აჭარა-აზალციხის მთა, დასავლეთით ბურია და სამეგრელო. იმერეთი შესდგება თვით საკუთარი იმერეთიდგან და რაჭიდგან; იპყრობს 287,000 მცხოვრებელსა.

საკუთარი იმერეთი ორ ნაწილათ განიყოფება: ზემო იმერეთათ და ქვემო იმერეთათ. ქალაქს შუთაისის ზევით აღმოსავლეთისაკენ ლიხის მთამდის სულ ზემო იმერეთი ჰქვიან, შუთაისის ქვემოთ დასავლეთისკენ ქვემო იმერეთს უწოდებენ.

ზემო იმერეთი მთა გორიანი ქვეყანაა; გაშლილი ადგილი ძალიან ცოტაა; მხოლოდ მდინარე შვირილის პირზედ ვიწრო ჭალები ჩაუდევს. ეს ჭალები ქალაქის შორაპნის ქვემოთ განიერდებიან და იპყრობენ მშვენიერ შლევის მინდვრებს და აჯამეთს. მაღალი მდებარობის გამო ზემო იმერეთში უფრო გრილი ჰავაა, მინამ ქვემო იმერეთში. რადგანაც ჭაობები აქ თითქმის სრულიად არ იპოვება, სიცხეები დიდი არ იცის და სინოტიე ზომაზედ არ არის გადამეტე-

ბული, ამიტომ ხალხის სიმრთელე შედარებით კარგ მდგომარეობაშია; ციებ-ცხელება-მთელი ჩვენი ქვეყნის სენი საზოგადოთ და მეტადრე დასავლეთის საქართველოში—ზემო იმერეთში იშვიათათ ჩნდება.—მიწის ნიადაგს ყველგან ერთი სინაყოფიერე არა აქვს. ზოგ ადგილს ერთსა და იმავე მიწას ორი სამი მოსავალი მოჰყავს წელიწადში. მაგალითად არგვეთში კათათვეში, როცა პურს მომკიან, სიმინდსა სთესენ, სექტემბერში სიმინდის მოჭრის შემდეგ. ამავე მიწაში ფეტესა სთესენ, რომელსაც ზამთრამდის მოსავალი მოჰყავს. საზოდოთ კი ზემო იმერეთში მიწის ნიადაგი ისე მძლავრი არ არის, როგორც ქვემო იმერეთში. ამის გარდა სახნავე სათესი მინდორი მეტათ ნაკლებათ არის და ეს მცხოვრებლებს ძლიერ ავიწროებს. ამისთანა ქვეყანაში თუ კაცი ძალიან არ შრომობს, ვერ იცხოვრებს. ამიტომ ზემო იმერლები თვითონ ბუნებას შეუჩვევია ერთგული მუშაობისათვის. მსენი ქვემო იმერლებზედ ბერვით უფრო მშრომელნი არიან. აქაური გრილი ჰაერიც ხელს უწყობს მცხოვრებლებს მუშაობაში. ზემო იმერეთში პურის მოყვანას უფრო მიზდევენ; სიმინდსაც ბლომათა სთესენ. ლომი, რომელიც დასავლეთის საქართველოში უმთავრესი საზრდოა, აქ იშვიათათ მოჰყავთ; ხილათ კი ზოგიერთი მცხოვრებელი სთესავს. ლენის მოყვანასაც აქ ერთგულათ მისდევენ. რადგანაც ზემო იმერეთში ვაზის ავათ-მყოფობა ისე არა ძლიერდება, როგორც ქვემო იმერეთში, ამიტომ აქ უფრო ბლომათ მოდის ღვინო და უფრო ღონიერია, მინამ ქვემო იმერეთში მას აქეთ, რაც ვაზის ავათ-მყოფობა გაჩნდა. აქაურ ვენახებზედ იმასაც კარგი გაჰვლენა აქვს, რომ ჰაერი ზომავზედ ნესტიანი არ არის, როგორც ქვემო იმერეთში. ვენახები ზემო იმერეთში დაბლარია, ესე იგი ვაზები ხეებზედ კი არ არის გაშვებული, როგორც ქვემო იმერეთში, სარებზედ არის მიკრული. შინაური პირუტყვის გაშენებას ზემო იმერეთში სრულიად არ მისდევენ. არც ფარას, არც ცხენის ჯოგსა აქ ვერ შეხე-

დები. ეს იქილგან წარმოსდგება, რომ ამ ქვეყანაში საძოვარი მინდორი სრულიად არ არის. — ზემო იმერეთში შვირილის პირზედ მდებარობს საჩხერის დაბა, სადაც წელიწადში ერთხელ დიდ პარასკევს ხდება ხოლმე დიდი ბაზრობა. პაჭრობა აქ უმეტეს ნაწილათ ურთიების ხელშია. ზემო იმერეთში მხოლოდ ერთი უეზდის ქალაქია-შორაპანი, რომელიც მდინარე შვირილის მარჯვენა პირზედ სდევს.

შვემო იმერეთი სდევს რიონის აქეთ იქით ნაპირებზედ და უჭირავს უმეტესი ნაწილი რიონის ქალისა. შვემო იმერეთი საზოგადოთ ვაკე და დაცემული ადგილია. იმიტომ აქ უფრო ცხელი ჰავაა, მინამ ზემო იმერეთში. მიწის ნიადაგი ქვემო იმერეთში გაშორებით ნაყოფიერია, მინამ ზემო იმერეთში. მეტადრე რიონის აქეთ იქით ნაპირებზედ ნაყოფიერება მეტათ ძრიელდება იმ მიზეზის გამო, რომ რიონი ყოველ ადიდების დროს თავის რუს ამსებს, ნაპირებზედ გადადის და აქ სტოვებს მეტათ ნაყოფიერ შლამსა. ამის გამო ზოგ ადგილას რიონის პირზედ ერთი საწყაო პური ორმოც სამოც საწყაო პურს მოიყვანს კარგ ამინდიან წელიწადში. მაგრამ რიონის ადიდება უფრო დიდ ზარალს აძლევს მცხოვრებლებს, მინამ სარგებლობასა; ხშირათ გაზაფხულზედ რიონი, ნაპირებზედ გადმოსვლის დროს, კარგა დიდ მანძილზედ შლის თავის წყალსა, ქვეშ ნათესს იტანს და აფუჭებს. რიონი უფრო მაზარალელებელი გახდა მასუკან, რაც ხალხმა მთა და ბარში დაუდევრათ ტყეები გაკათა. იმერეთში ხშირათ იცის ხანგრძლივი წვიმა, და ამ დროს წვიმის წყლებს ხშირი ტყეები აღარ იჭერს, ესენი ერთბაშათ ჩარბიან რიონში, ის თავის ნაპირებზედ გადადის და აოხრებს ვაკე იმერეთს. ზოგჯერ თიბათეეში, როცა სიმინდი შედღერებულია, ლომიც დანაწილებული და პური გამხმარი რიონი, ხანგრძლივი წვიმებისგამო, ნაპირებიდგან გადმოვარდება და თავის ახლო მოსავლიან მინდორს კალოსავით მოტყლეპავს ხოლმე.

შვემო იმერეთში პურს ძალიან მცირეთ სთესვენ. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ რადგანაც აქ ჰავა ზღ:

მაზედ უფრო ნესტიანია და ცხელი, ამიტომ ხორბალი კარგათ ვერა ხმება, ჩახურდება და სულ პეპელათ იქცევა ხოლმე. სიმინდისათვის და ლომისათვის კი ამ გვარი ჰავა მეტათ მარგებელია; ამისთვის ქვემო იმერეთში ეს ორივე მცენარე ბლომათ ითესება, მდიდარი მოსავალი იცის და ხალხის უმთავრეს საჭმელს შეადგენს. რადგანაც აღმოსავლეთის საქართველოში ღომი სრულიად არ არის და ამის მნახავი აქ იზვიათია, ამიტომ საჭიროა ამ მცენარის აწერა. — ლომის-მარცვალთა ფეტვის მარცვალსა ჰგავს; მაგრამ უფრო წვრილია და თეთრი ფერისა. ძირი კი არა საპურე მცენარეს არა მიუგავს. წერო პურისაზედ სხილი აქვს და სიმაღლით არშინ ნახევარია; ამაზედ ამოდის ნახევარს არშინის სიმაღლე და ნახევარ გოჯის სისქე ღერო, ან ერთი ან ორი, რომლებიც მჭიდროთ გაივსებიან ხოლმე წვრილი მარცვლებითა. მრთი ღერო ორასიდგან ათასამდე მარცვალს მოიბავს. ამიტომ ღომმა მეტად დიდი მოსავალი იცის: ერთი კოდი ოთხმოცს, ხან ას კოდაც მოიყვანს. ლომისთვის უფრო წმინდათ ხნავენ მიწასა, მინამ სიმინდისათვის და ორჯერ გამარგლიან ხოლმე, რომ სხვა და სხვა ბალახმა არ დაჩაგროს და მოსავალი არ შეამციროს. ხშირათ ღომს სთესენ იმ მიწაში, რომლიდგანაც ახლათ ყანა აიღეს. ღომი შემოვა ხოლმე სექტემბრის გასულს. ამ მცენარის მომკა ბევრს დროს ითხოვს. ჯერ თავთავენს დანით მოკვეყენ ხოლმე, მერმე ცარიელ ღეროებს შჭრიან. შინაური პირუტყვის საჭმელათ. თავთავენს ჯერ მზებედ ახმობენ, მერმე ცეცხლზედ და ბოლოა მარცვალს გამოარჩევენ ხოლმე ხელითა; შემდეგ მარცვლებს ზემოდგან წმინდა ჩენჩოს გააცლიან. ეს უკანასკნელი საქმე ბევრს დროს ართმევს იმერლებსა. ლომისას ესენი წყალში ხარშვენ სქელ ფაფას, რომელსაც პურის მაგიერათ ყველა საჭმელს ატანენ.

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც იმერლებმა ბამბის თესვა შემოიღეს, და ეს წარმოება რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო ვრცელდება. თვითონ ჰავაც ხელს უწყობს ბამბის

მოსაყალსა. იმერეთის ცხელი ზენა ქარი, რომელიც სხვა მცენარებისთვის დიდათ მაინებელია, ბამბას მეტათ რგებს: ბამბა ამ ქარის ქროლის დროს სრულიათ ხმება და თეთრათ მშვენიერათ გადიშლება ხოლმე. აბრეშუმის ჭიის ყოლაც ჩვეულობათ აქეთ იმერლებსა, თუმცა დიდ ზომით არ მისდევენ ამ საქმესა. საზოგადოთ ქვემო იმერეთის ხალხს უფრო ნაკლებათ უყვარს შრომა, მინამ ზემო იმერეთისასა, რადგანაც ნაყოფიერი ნიადაგი მცირე შრომასაც უხვათ აჯილდოებს; აქაურ ცხლ და ზომაზედ ნესტიან ჰავასაც ცუდი გავლენა აქვს მცხოვრებლების გარჯილობაზედ. რადგანაც ქვემო იმერეთში ადგილი ძალიან ნოტიოანია, ამიტომ ვენახები მალარია ე. ი. ვაზები სარებზედ კი არ არის მიკრული, მალალ ხეებზედ არის გაშვებული. რამდენიც ვაზები უფრო მალალ ხეზედ არიან წასულნი და დედამიწას მოშორებულნი, იმდენი უფრო კარგათ მწიფდებიან, უფრო ნაკლებათ აქეთ წყალი წვენში და უფრო მაგარ ღვინოს აყენებენ. — შინაური პირუტყვის მოშენებას არც ქვემო იმერეთში მისდევენ. რადგანაც ქვემო იმერეთი დაცემული ადგილია და ჰავა ნოტიოანი და ცხელია, ამიტომ ციებ-ციხელება ხშირი სტუმარია მცხოვრებლებისა. მეტადრე რიონის ახლო აქეთ იქით ნაპირებზედ ზაფხულში ცხარე თვისებისაა ეს სენი და ბევრს ზარალსაც სჩადის; ალაგ ალაგ ქათმებსაც კი აციებთ ხოლმე. უნებურათ გეცინება, როდესაც ხედავ აბუზულ ქათამს, რომელსაც ციება შეჰკეთებია და საცოდავთ აკანკალებს. — ხასიათი ქვემო იმერლებს მეტათ დასაწუნი აქეთ: პირ მოთნობა, ერთმანეთში უთანხმოება, შურის ძიება, ჭორის სიყვარული, დავიდარაბის მიდევნა ამათში უფრო მეტათ არის გავრცელებული, მინამ ზემო იმერეთის ხალხში და სხვა იმ მხრის მცხოვრებლებში.

ქვემო იმერეთში სძევს ქალაქი შუთაისი, რიონის პირზედ. მდებარეობა აქვს მშვენიერი. ჩრდილოეთით მთები უძევს, სამხრეთით გაშლილია საამურათ რიონის ჭალა და მის

გარეშემო მინდორი. ჭალაქ შუთაისში სამი სასწავლებელია: გიმნაზია, წმინდა ნინას ქალების სასწავლებელი და ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი; მცხოვრებნი ამ ქალაქში ირიცხვიან 10,000.

ქვემო იმერეთში შესანიშნავია ორი დაბა: ორპირი და ხონი. ორპირი სძევს რიონის მარჯვენა ნაპირზედ სამეგრელოს საზღვართან, იქ, სადაც ცხენის წყალი ერაჯის რიონსა. ეს დაბა შესანიშნავია იმითი, რომ აქამდის შავი ზღვიდგან ცეცხლის გემები ამოდიან და ჩადიან. ორპირ ზევით კი ვერ მოდიან გემები რიონის სიპატარაის და სიჩქარის გამო. ხონი სძევს შუთაისიდგან ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ, სამეგრელოს ახლო.

იმერეთს ჩრდილოეთით რაჭა უძევს. ამ ქვეყანას დარქმევია რაჭის სახელი, მოგვითხრობს ჩვენი პირველი გეოგრაფი მახუშტი, შემდგომის შემთხვევისა გამო: ერთი ქართველი მონადირე კაცი, რომელიც პირველად აქ დასახლებულა, ასულა იმერეთიდან ნაქერალაზე, იმერეთის მოსაზღვრო მთაზე, და გადუხედნია რა იქიღ. განცვიფრებულა ამ ღრმა და ვიწრო რიონის ხეობაზედ, მიუმსგავსებია ეს მხარე ჭას და დაუძახნია: „ეს რა ჭა ყოფილაო!“ თვითონ ხალხს რომ ჰკითხო, ისიც გემოწმება ამ ამბავზე. ამის შემდეგ ამ მხარეს რაჭა დარქმევია და არც უმიზეზოთ დარქმევია. ოთხი-კუთხიე რაჭა შემოზღუდულია მაღალი მთებითა: ჩრდილოეთით უძევს თვით ქავკასიის ქედი, აღმოსავლეთით ლიხის მთა, სამხრეთით ნაქერალას მთა, დასავლეთით სვანეთის მთები. მთების სიახლოვის და მაღალი მდებარეობისა გამო რაჭამ იმერეთის ყველა მხარეებზე უფრო ცივი ზამთარი იცის; აქაური ზამთრის ყინვა მთელს იმერეთში გათქმულია, და ხშირათ აპრილში, როდესაც ქვემო იმერეთში ზეხილი სრულიად დაყვავილებულია, რაჭაში თოვლი მოვა ხოლმე. მაგიერათ აქ არ არის რის ქარი, ქუხილი და მენი, როგორც ვაკე-იმერეთში იცის და ჰაერიც აქ ბევრათ უფრო მრთელია, ვიდრე იქ. ამ მრთელი და გრილი ჰავისათვის და.

აგრეთვე სამკურნალო მადნეულ წყლებზე ზაფხულის გასა-
ტარებლათ ამოდის აქ ხალხი ზემო და ქვემო იმერეთიდან.
ამ წყლებს საზოგადოდ მჟავე წყალს ეძახიან და უფრო
განთქმული წყლები უწერაშია, რომელიც ონიდამ 12 ვერ-
სტზედ იმყოფება. უწერაში გამოდის რკინის წყალი, რომე-
ლსაც აგროვებენ ქვაბში და მერმე ნავებში ბანაობენ. იქვე
გამოდის სასმელი მჟავე წყალი, რომელიც ძალიან შუშხუ-
ნაა და დიდი სიცხოველე აქვს. სხვათა შორის ის სტომაქს
სწმენდს, მადასა ჰგერის კაცსა და სასაქმებელი თვისებაც
აქვს; გემოთი ეს მჟავე წყალი ბევრათ ზელტცერის წყალს
მიემზგავსება, მაგრამ სიმწარე ზელტცერის წყლისა არა აქვს.
ამას გარდა აქ არის ერთი ადგილი, საიდგანაც გაზი გამო-
დის ოშხივარივით, ხალხი მოდის, ლერწამს არჭობს მიწაში
და სუნთქამს ამ გაზსა; ეს გაზი უთუოთ მანებელი უნდა იყ-
ვეს, რადგანაც თუ კაცმა ბლომათ შეისუნთქა, თავბრუს
ახვევს და გულის ულონებს. თუ ამ გაზთან ქალაღლით ანუ
წუმწუმით ცეცხლი მიიტანა კაცმა, მაშინვე ცეცხლს გააქ-
რობს. ამ მანებელ მოქმედებას რადგან ამ გაზზედ ცრუმორ-
წმუნობაც გავრცელებულია; უშვილო დედა-კაცები მოდიან
აქ და ხან დგებიან ფეხზე, ხან სხდებიან ამ გაზზე და მით
იმედოვნებენ შვილის შეძენას. ლიმილს ვერ შეიკავენ, რომ ნა-
ხო, როდესაც აქაური ქალები მოიყრიან ერთათ თავსა და ამ ად-
გილზე დასხდებიან, თითქო კრუნებზე თავიანთ წიწილებს ჩეკენო.

რაჭაში მიწას ერთი საკვრიელი თვისება აქვს: ზოგ-
ჯერ დაღმართზედ მიწა დაიძვრის და ცოცვით კარგა მანძილს
გაივლის. ამას რაჭაში მეწყერს ეძახიან. ეს ადგილობრივი
აქაური მიწის თვისება ძრიელ შესანიშნავია და არიან იმ გე-
რი სოფლები, რომლებშიაც ოთხს, ხუთს ვერსტზედ მიდის
მეწყერი და თანდათან ხდებიან ყანები, ვენახები და ეზოე-
ბიც. ჩვენ მოვიყვანთ აქ ორიოდე შემთხვევასა, რომელნიც
ამ მეწყერების მანებელ თვისებას ცხადათ აჩვენებენ. ამ
თხუთმეტ წლის წინეთ სოფ. უწერაში შუალამეს გასაოცარი

ვეება მეწყერი წამოსულიყო მთის ფერდოზე ჩიონის მარცხენა ნაპირზე, სადაც უფ. ზამქრელიძე ესახლა; სახლები რომ დაძრულიყო და კედლებს რახარუხი დაეწყოთ, ქალები და კაცები პერანგის სამარა კარში გამოცვინილიყვნენ, მაგრამ ორი მოსახლეების სახლები, საქონელი, ავეჯეულობა და სხვა სრულებით დაელეწა მეწყერს, ჩიონამდის ჩეეტანა და თვით ჩიონიც დაეგუბებინა. მთავრობას მთელი რაჭა გამოეწვია ამ სახლების ამოსათხრელათ, მაგრამ ამაო იყო ყოველი. ... ხალხი ამბობს, მეორე დღესაც ძაღლის ყეფა ისმოდაო. ახლაც სჩანს ეს მეწყერი, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს და რომელზედაც ხეები, თვით ბალახიც, ჯერე კარგად არ ამოსულა. მეორე შემთხვევა: ერთი გლეხი სამოსმართლოში მისულიყო და უჩიოდა თავის მეზობელს ვენახზე და ხეხილზე, რომელიც მეწყერს წაელო ქვევით და სხვის ზვარში ჩეეტანა; ხოლო მეზობელს ეთქვა: „ჩემი ვენახის მაგიერად, რომელიც მეწყერისაგან სრულებით დაფარულიაო, ღმერთმა შენი ზვარი დახეხილი მომცაო“. მეწყერი უფრო ჩიონის მარცხენა ნაპირზედ, იცის დაჩვენის აზრით, ეს მოხდება ხოლმე წყლისაგან, რომელიც მიწაში გროვდება, ნელ-ნელა შეუდგება და გაუჯდება მთის გვერდებს, მერმე თან მოაქვს ეს თიხანი და ფხვიერი მიწა. ჩვენ ვფიქრობთ უთუოდ აქ შესდგა ანდაზა, რომელიც ქართულს ენაში ხშირად იხმარება ხოლმე გაჯავრების და დაწყევლის დროს: „წინ წყალი, უკან მეწყერი, შუაში მისი თავი“, და მართლაც კარგა რომ გაეშინჯოთ, დიდი დაწყევლაა. რაჭაში ნიადაგი საზოგადოდ ნაყოფიერია, რადგანაც აქ კარგად უვლიან ყანებს და ვენახებს. პური და ღვინო უფრო კარგი ქვემო რაჭაში იცის, ღვინო ბევრგან ნაქებია. თავ. შიფიანების ზვრების ღვინო ბევრად მიემსგავსება კარგს კახურს ღვინოს. ხოლო მაღალ ადგილებზედ ღვინო არ მოდის, და იქაურ მცხოვრებლებს უფრო დაბლობ ადგილებში ჩიონის პირად ზვრები აქვთ. შესანიშნავია, რომ ჯერ რაჭაში თითქმის ყურძენი არ ავანთყოფობს. ძარგი მო-

საჯალი იცის რაჭამ, მაგრამ მიწის სიფიწროემ სწორედ შეაწუხა ხალხი. აქაურის გლეხების უმეტეს ნაწილს ისრე ცოტა მიწა აქვს, რომ მოსაჯალი ნახევარს წელს ძლივს ყოფნის და გაზაფხულამდის ძნელათ გაჰყევათ ხოლმე, მერმე კი მათ სულ ნასყიდით და ნამუშავერით უნდა ირჩინონ თავი. ამ გაჭირებამ მიიჩვია რაჭველები სხვა ქვეყნებში სიარულსა და იქ მუშაობასა. ძართლში, ძახეთში და იმერეთში ზოგნი კრუებივით მუშაობენ, ზოგნი მეწისქვილობენ, ზოგნი ხდებიან ღურგლათ, ხუროთ და მებაღეთ. ძახეთში ბევრი ხის სახლია რაჭველებისაგან გაწყობილი და მოჭდეული. ადგილების სიფიწროვე ძართლა გასაკვირველია, და ამისგან წარმოსდგება ის გასაოცარი ფასი, რომელიც აქაურ ადგილებს აძევს. არიან საყანო მიწები, რომლების ერთი დღიური 80 თუმ. ფასობს. საზოგადოთ ერთი დღიური მიწა ოც და ათ თუმნათ იყიდება. თუმცა ხალხი შეწუხებულთა სიფიწროვისაგან და დრტინავს თავის მდგომარეობაზე, მაგრამ სხვა ქვეყნებში გარდასახლებას კი არა ფიქრობს. ძახეთში წინანდალში, შვარცელში და კიდევ სხვა სოფლებში რაჭველები არიან დასახლებულნი, მაგრამ სხვა ადგილებში კი არ მიდიან.

რაჭაში მცხოვრებლების რიცხვი 50 ათასამდის მიაღწევს. საზოგადოდ რაჭას ძრიელ მშრომელი და მუყაითი ხალხი ასხია. აქ მარტო მამრობითი სქესი კი არ მუშაობს, ქალებიც მონაწილეობას იღებენ ყველა შრომაში. შემოდგომის დაწყებიდამ, როდესაც მათი ქრამები სამუშაოდ საქართველოში მოდიან, ოჯახი მარტო ქალზე ტრიალობს თვით აღდგომამდის, როდესაც ვაჟ-კაცები შინ ბრუნდებიან. ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ საქართველოს რომელიმე მაზრაში ამ გვარი შრომის მოყვარე და მუშა ხალხი იპოვებოდეს, როგორც აქ რაჭაში. თვით მათი აგებულობის მოყვანილება იმათ თვისებებს ცხადათ გვაჩვენებს. ისინი კარგად ჩახხმულნი, ზომიერის ტანისა, მხარ ბეჭიანი და ძარღვიანი არიან. იმათი ტანსამელი დიდათ არ განსხვავდება იმერლების ტანისამოსზე, მაგ-

რამ მათ ყოველთვის ზურგზე დააქეთ ცხერის გუდა ან ხზოს ტყეის ხალთა, — რომელ ზედაც ვაკელები (ქვემო იმერლები) რაჭველებს დასცინიან. ქალების ტანისამოსი კი აქ უფრო სხვა ნაირია: აქ ბაზრის დღეს ქალები ახალოხებით, ჩოხებით, პაჭიჭებით, ქალამნებით და ნაბდებით გამოდიან და ყელზედ, როგორც თათრის ქალებს, სხვადასხვა შუშების ღერინჭილა ჰკიდიათ; ვერც ტანსაცმელით და ვერც სილამაზით აქაური ქალები ვერ დაიკვივნენ.

მაგრამ რაჭველებს შრომის მოყვარეობასთან, სიმშვიდესთან და მოთმინებასთან აკლიათ ბევრი კარგი თვისება, რომელიც საქართველოს სხვა მაზრების მცხოვრებლებში იპოვება. რაჭველები დაცემული და მძიმე ხალხია, მათ აკლიათ თავისი საკუთარი ღირსების გრძნობა, თავიანთ თავის იმედი, რომელიც ძვირფასი რამ არის ხალხისათვის! არ არის საქები ის კვიხნა და ტრახახობა, რომელიც ზოგიერთმა კახელებმა და იმერელებმა იციან, მეორის მხრით არც თავის დამცირება და თავისი თავის პატივის მოკლება ვარგა, როგორც რაჭველებს ჩვევიათ. ერთს ზოგჯერ გლეხსა ჰკითხეს: „აზნაური ხარ, თუ ყაძახიო?“ (იმერეთში გლეხს ყაძახს ეძახიან), და მან ამაყათ უპასუხა: „კაი კი ვარ, კილაე, და რას ჩივი შენ, აზნაური ვარ თუ არაო?“ ამ გეარ პასუხს ვერაოდეს ვერ გაიგონებთ აქაური გლეხისაგან...

როგორც საზოგადოდ იმერეთში, რაჭაშიაც იციან ყრილობა, რომცლსაც ჯარს უძახიან. ახალ კვირაობას (კვირაცხოველობას), ბიორგობას და ამაღლების დღეს ხალხი ბევრგან გასახალისებლათ და თვალის გასართობლათ შეგროვდება ხოლმე. მაგრამ ეს ყრილობა მკრთალი და სუსტი მიბაძეა იმ განთქმულ ძულაშის ახალ კვირაობისა, და ხონის წმი. ბიორგობისა, რომლებზედაც მთელს იმერეთიდან სამი ოთხი თვე ჯარში გამოსასვლელათ ემზადებიან. რაჭაში ეკლესიებთან მინდერები არ არის, და ხალხი იძულებულია შეიკრიფოს ხან მინდორში და ხან სად...

რაჭის მაზრის მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი ქართველი ტომის შთამომავალია, ხოლო ოსში 78 გლეხი ებრაელია და ათი კომლი სომეხი დასახლებული არის. ამათ გარდა რაჭაში სცხოვრებენ ოსებიც. ზოგიერთი დიდი სოფლები, მაგ. სადმელი და ბუგეული, კარგი სანახავია: გლეხები სცხოვრებენ ჯგუფ-ჯგუფათ, როგორც ქართლში და მახეთში, და არ არიან ისრე გაცალკეებულნი და გაბნეულნი როგორც იმერეთში; ყველანი ისინი ყავრით გადახურულ ფიცრულ სახლებში სდგანან და ერთს საზოგადოებას შეადგენენ. —

ზ უ რ ი ა.

წარსულს საუკუნოებში ზურიას ეჭირა დიდი ადგილი, ბევრად მეტი ახლანდელზედ. ამ დროს ზურია იპყრობდა, სხვათა შორის, აჭარას, ქობულეთს, ლაზისტანს, ბათუმს და ჭანეთს. მაგრამ ისტორიულ გარემოებათაგან მოხდა ისე, რომ ახლა უმეტესი ნაწილი წინანდელი ზურიისა ოსმალეთს უჭირავს; მცხოვრებნი აქ არიან გათათრებულნი; მაგრამ პირის სახით, შინაური ცხოვრებით, ხასიათით და სხვათა და სხვა ჩვეულებით ისინი დღესაც ქართველები არიან და ძლიერ წააგვანან ზურულებს; თათრული ლაპარაკი ისე არ იციან, როგორც ქაჩთული. ახლანდელი ჩვენი ზურია შეადგენს მხოლოდ ჭეთაისის გუბერნიის ერთს მცირე მაზრას, რომელშიც მცხოვრებლების რიცხვი არის მხოლოდ 50,000 მდის. ზურიის საზღვრები არიან: სამხრეთით ოსმალეთი, პატარა მდინარე ჩოლოქი და აჭარა-ზურიის მაღალი მთა, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით ზურია სამეგრელოსაგან გაიყოფება შიხორით და რიონით, აღმოსავლეთით აკრავს იმერეთი.

ბურია არის უმეტეს ნაწილათ მთიანი მხარე; ის არა დაფარული აქარა-ბურის მთას კალთებით და შტოებით, რომელთაგან უმთავრესი არის საჯავახო ნიგოითის ქედი. ეს შტო გამოდის აქარა-ბურის მთიდან იმ ადგილს, სადაც ამ მთას აკვირან გადაღმა სამხრეთის მხრით აქარა და ახალციხის მხარე, ჩრდილოეთის მხრით იმერეთი და ბურია, მიდის პარველად ჩრდილოეთისკენ და ჰყოფს იმერეთს ბურიასგან, შემდეგ დაუახლოვდება რა რიონს, დაუხვევს დასავლეთისკენ, მიდის კარგ მანძილზე ბურის სიგრძლივ და გაჰყოფს მას ორ ნაწილათ; ჩრდილოეთით ამ მთას რიონის პირის მხარე აკრავს, სამხრეთით მდინარე სუფსის ღელე. წყლები ბურიაში საკმაოდ არის. სხვაზედ მოზდილი მდინარეა სუფსა, რომელსაც მიმდინარეობა დასავლეთისკენ აქვს და შავს ზღვას ერთვის. ამ მდინარეებში ნავეები დადიან ზღვით მახლობლათ 20-30 ვერსტზე.

ბურის ბუნება არის ძლიერ მდიდარი, მიწას მეტადრე ვაკე ადგილებში, ღელეებში, მდინარეების დაყოლებზედ ისეთი ნაყოფიერება აქვს, რომ ამის თანახმად იშვიათათ იპოვება ქავკასის გამოღმა მხარეში. მრთი უდიდესი ნაკლულევაწება აქაური ბუნებისა არის ისა, რომ ჰავა არ არის აქ მრთელი, მეტადრე რიონის ახლო ბურიაში. სუფსის და სხვა წყლების ღელეებში, დაბალ ქალაქან და ქაობიან ადგილებში ზაფხულში იშვიათი სახლობა იქნება, რომ ციებ-ცხელება არ ეწვიოს. საოფლევ ხშირათ იცის ბურიაში. მუცელა ხომ კიდევ უფრო მუსრს ავლებს ხალხსა. ცუდი თვისება აქაური ბუნებისა და დიდი ჭირი მოსავლისაჟვის არის უდროოთ წვიმები და ხანდისხან გვალვა. გვალვა აქ მით უფრო მანებელია, რომ თუმცა წყლები ბევრია, ადგილის მდებარობა ისეთია, რომ მორწყვა ყანებისა შეუძლებელია, მაგრამ გვალვა ისე ხშირი არ იცის და იმდენს ზარალს არ შერება, როგორც ხშირი წვიმები. აღმოსავლეთის ქარი, რომელიც იმერეთში თითქმის ყოველ წლობით აფუჭებს მოსავალს, ბუ-

რიაში მარტო რიონის მხარეს ხედება და ზარალს აძლევს; უმეტესი ნაწილი კი ბურიისა და ცულა აღმოსავლეთის (ზენა) ქარიდგან საჯავახო ქედით. ეს არის აქაური ბუნების ცული მხარე. მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს ბუნება ძლიერ მდიდარი არის; ის უხვად აჯილდოებს თავის შემზღუშავებელის შრომას თვითონ ცულ წვიმიან და ქარიან წლებშიაც კი. სარჩო საკმაოდ მოდის ბურიაში. პური ამ ქვეყანაში არ მოჰყავთ და არც ხმარობენ; ჯობოდ რიონის მხარეზე მცირეთ სთესენ. თავი სარჩო და საჯდო ბურულეებისა ღომი და სიმინდია; ღომმა და სიმინდმა დიდი ნოსავალი იცის, ასე რომ ერთსა და იმავე მიწის სივრცეზე პურზედ ორ წილათ მეტი სიმინდი მოდის და ოთხ წილათ მეტი ღომი. რა საკვირველია სიმინდს და ღომს პურის ნაყოფიერება არა აქვთ. იმედია, რომ ცოტ-ცოტათ ბურულეები შეეჩვევიან პურის მოყვანას და ხმარებას. მიწს ბურიაში უმეტეს ნაწილათ ბარვენ ან თოხნიან, იშვიათათ ხნავენ სახნისით; ამის მიზეზი ის არის, რომ აქ სწორე მიწა იშვიათია, ადგილი უფრო ოღრო ჩოღროა: ამის გარდა აქ ყველაფერი ტყით ან ბუჩქებით არის დაფარული. ბურული გლეხი სთხრის მიწასა ბუჩქებ შუა და სთესავს ჭინახულსა. ტიტველი მინდვრები იშვიათია. მცენარეობას აქაურ თბილს და ნოტიოან ჰაეაში დიდი ძლიერება აქვს; ტყეებს კაფვენ და ყანას სთესვენ, მაგრამ როდესაც ადგილს სტოვებენ შესასვენებლად, რამდენიმე წლის განმავლობაში ის ისევე ტყით შეიმოსება ხოლმე. ბურიაში, ზოგიერთს ადგილებში, ბრინჯის მოყვანა კარგათ შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ორიოდ სოფლებში მოჰყავთ ცოტა ბრინჯი. უკანასკნელ დროში ბამბის თესვა იწყეს რიონის ნაპირ ბურიაში, საზოგადოთ კი ამ ქვეყანაში, სადაც აღმოსავლეთის მშრალს ქარი არ ხედება, ბამბა, როგორც ამბობენ, არ იხეირებსო, რადგანაც ბამბისთვის ქარიანი ადგილია საჭირო. ვენახები ბურიაში ძლიერ ბევრია; რაც ადგილი ტყით არ არის დაფარული, ის უმეტეს ნაწილათ ვენახებს უჭირავთ. ვენახი აქ სულ მალ-

ლლარია, მაღალს ხეებზე გაბმულ-გამობმული. ვაზებს მოვ-
ლა სრულებით არა აქვს; მაგრამ მაინც ზოგიერთს ადგილებ-
ში ჩინებული ღვინოები კეთდება. უკანასკნელს დროს ვა-
ზის სნეულებამ ღვინის მოსავალი ძლიერ შეამცირა და ამის
გამო დიდი ზარალი მისცა გურულების ალებ-მიცემობას და
საზოგადოდ მათ კეთილ მდგომარეობას. უფრო უმეტესი ზა-
რალი ჰქნა აბრეშუმის ჭიის (ყაჭის) სნეულებამა. ღვინო და
აბრეშუმი იყვენენ უმთავრესი საგნები აქაური ალებ-მიცემობისა,
ყოველზე უფრო აქედგან ჰქონდა სოფლის მცხოვრებს მოგება.
ბოლოს დროს, როგორც სჩანს, ყურძნის და აბრეშუმის სნე-
ულება დასუსტდა. სცადეს და ნახეს, რომ როდესაც კარგი
წელიწადია, შეიძლება აბრეშუმის ჭიამ ორი მოსავალი მის-
ცეს ხერხიან მოჰვლელსა. პირუტყვის მოშენებას ბურულები
არ მისდევენ, რადგანაც საძოვარი ადგილები არ არის.

ხის ფიცრებისაგან აშენებული ისლით ან ჩალით დახუ-
რული უბუხროთ, შუა გული კერით, სახლი შეადგენს ბურუ-
ლების სადგომ ბინასა. ამათ ტანისამოსს შეადგენს ჩოხა და
ფაფანაკი; ჩოხის მაგიერად კიდევ ხმარობენ მოკლე კოხტა
გადასაცმელს წელამდის, ჭონიას, რომელიც ძლიერ შვენი
გურულებს. ეს ტანსაცმელი უფრო ხმარებაშია ბურიის სამ-
ხრეთის ნაწილში, მსმალეთის მოსაზღვრე სოფლებში.—
ბურული კაცი არის ძლიერ ჩქარი ლაპარაკში, მოძრაობაში,
საქმეში. მას სწრაფათ მოსდის გული, მაგრამ ჩქარავე მშვიდ-
დება. სიმარჯვე და გულადობა გურულისა ნაქებია. ბურულები
ნიჭიერნი და მარჯვენი არიან საქმეში, მაგრამ უკოდინარობა
და გაუნათლებლობა არის მიზეზი მათი სიღარიბისა.

მზურგეთი პატარა ქალაქია და იპყრობს 900 მცხოვ-
რებელსა.

სამეგრელო

მეგრელები შეადგენენ ქართველების ტომის მეორე ტოტსა. სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განიჩევიან. მეგრელი იმკრელს და გურულს ისე ძრიელ ემსგავსება, რომ ქართლელი და კახელი იმას ამათში ძნელათ გაარჩევს. მარტო ერთი არიან გაცლკევებულნი; მაგრამ ეს ენაც გადასხვაფერებული ქართული ენაა. მაგალითათ, შემდგომი ფრაზა: მე დღეს სადილი კარგი მქონდა, მეგრულათ ასე ითქმის: მა ამუდლა ჯგირი სადილი მილუდუ. ფრაზა: წრეულ კარგი მოსავალი არის, მეგრულათ ასე ითარგმნება: წი ჯგირი ნამუშოვერი ორე. მაინც მეგრელების უმეტესმა ნაწილმა კარგათ იცის ქართულ ენაზედ ლაპარაკი. ჰველა მეგრელებს ქართული ენა ძრიელ უყვართ და დიდი პატივითაც უყურებენ. იმათ ეს საღმრთო ენათ მიაჩნიათ, რადგანაც წირვალოცვა მთელ სამეგრელოში ქართულ ენაზედ სრულდება. წარსულ წლებში უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ მოინდომა მეგრულ ენაზედ წირვალოცვის შემოღება და კიდევ გადაათარგმნინა ოქროპირის წირვა მეგრულ ენაზედ, მაგრამ ყველა წოდებამ სამეგრელოში ერთხმით უარი უთხრა ამ ცვლილებაზედ და არ დათანხმდა ეკლესიაში მეგრული ენის ხმარებაზედ ქართულის მაგივრათ.

სამეგრელო იმერეთის დასავლეთითა სძევს. ჩრდილოეთით ამ ქვეყანას საზღვრავს სვანეთი, აღმოსავლეთით იმერეთი, სამხრეთით ჩიონი, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთ-დასავლეთით მის საზღვარს შეადგენს სამურზაყანო. მთელ სამეგრელოში 183,580 მცხოვრები ირაცხება.

სამეგრელო წარმოგვიდგენს ერთ დიდ ეაკე მინდორს
ცხენის წყლიდგან სამურზაყანომდის, რომელიც მხოლოდ
აქა იქა დაფენილია სერებითა. უმეტესი ნაწილი ამ მინდვ-
რისა შემოსილია ხშირი და გაუვალი ტყითა. მხოლოდ ჩრ-
დილოეთის ნაწილი სამეგრელოსი, რომელსაც ლეჩხუმს ეძა-
ხიან, მთა-გორიანი ქვეყანაა და ზემო იმერეთს ბევრით ჰგავს.
სამეგრელო არის დაქანებული დასავლეთისკენ და მთები ამ
მხრით სრულიად არ იპოვებიან, ამიტომ შავი ზღვიდგან ქარს
წვიმის ღრუბლები დაუბრკოლებრივ უხვათ მოაქვს სამეგ-
რელოში. ამისთვის ეს მხარე კიდევ უფრო წვიმიანი ქვეყა-
ნაა, მინამ იმერეთი. ხან მთელი თვე გავა, რომ ექვსჯერ-
შვიდჯერ მზე ვერ დაინახო. ამისთვის სამეგრელოში მდინა-
რე ძრიელ ბევრია. ამათში შესანიშნავია სიდიდით ცხენის-
წყალი და მნგურა. მნგურს სათავე ზემო სვანეთში აქვს იალ-
ბუზის ახლო, ჯერ თვითონ სვანეთზედ მორბის, მერმე სამეგ-
რელოში ჩამოდის და სამხრეთ-დასავლეთისკენ მიმდინარეობს
შავ ზღვასთან შეერთებამდის. ამისთანა ხშირი წვიმიანობა
მცენარეობისთვის მარგებელია, მაგრამ მცხოვრებლების სიმ-
რთელისთვის და მოსავლისთვის კი მავნებელია. ტიებ-ცხელება
სამეგრელოში ჩვეულებრივი და ხშირი ავანთყოფობაა, რო-
გორც ქვემო იმერეთში. დიდი წვიმიანობის დროს სამეგრე-
ლოს წყლები, მეტადრე ცხენის წყალი და მნგური, ჩიონ-
ივით თავის ნაპირებიდგან გადადიან და ახლო მდებარე ნა-
თესს მინდვრებს ქვეშ იტანენ და ახდენენ.

ნიადაგს სამეგრელოში ისეთივე ძლიერი ნაყოფიერება
აქვს, როგორც ქვემო იმერეთში ჩიონის პირზედ. თუმცა
ტყეს დიდი სივრცე უჭირავს, მაგრამ სახნავე სათვის ადგილიც
ბლომათ არის. მიწის გაპატიება აქ სრულიად არ იციან. ქრთს
და იმავე მიწას შეიდ რვა წელიწადს ხვნენ და მოსავალს აყვავი-
ნებენ. როცა სინოყივრე გამოელევა მიწას იმდენსავე წელიწადს
თავს დაანებებენ დასასვენებლად და სხვა მიწას დაუწყებენ ხვნა-
სა. მეგრელები კინახულში სთესენ სიმინდსა, ღომსა, პურსა,

დიკას, ქერს და ფეტესა. უფრო ბევრითესება სამეგრელოში სიმინდი და ლომი. პური ძალიან ცოტა მოჰყავთ; ამის მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ აქაც, როგორც ქვემო იმერეთში, მეტი სიცხის და სინოტიოს გამო, პური ჩახურდება და აოდაეს ხოლმე. თუნდა პურმა კარგი მოსაველიც მოიყვანოს, მარცვლის შენახვა ძნელია. ღაბლობ ადგილებში სინოტიე და სიცხე მარცვლებში პატარა ჭიებს აჩენს, რომელიც შეგნიდგან ფხენიან და ბოლოს გაფრინდებიან ხოლმე. ამიტომ პურს მარცვლათ არ ინახვენ. ბაღეწვენ თუ არა, მაშინვე დაფქვენ და ფქვილათ შეინახვენ ხოლმე. პური აქ ადრე შემოდის, რადგანაც გაზაფხული სამეგრელოში ადრე დგება. მაისის გასულს, როდესაც ქართლში ჯერ თავთავებიც არა აქვს პურსა, აქ მკა არის გაჩაღებული. სიმინდს სამეგრელოში მაისის გასულს სთესვენ და ხშირათ იმავე ადგილში, საიღგანაც პური აიღეს, ასე რომ ერთსა და იმავე მიწას წელიწადში ორი მოსაველი მოჰყავს. სიმინდის მოყვანა გაშორებით ბევრს შრომას ითხოვს, მინამ პურისა; მეტადრე გათოხნა აჭირებს საქმესა. როგორც ბურიაში და იმერეთში, ისე სამეგრელოში გლეხმა თუ სიმინდი. სამჯერ მაინც არ გათოხნა, ბალახი მოერევა და სიმინდი ფუჩეჩათ განმება უტაროვით. ამ ძნელს მუშაობას, რომლის შესრულება ცალკე ჯალაბობას გაუჭირდებოდა, აადვილებს შემდეგი მშენიერი ჩვეულება. თოხნის დროსა გლეხი მოუწოდებს თავის მეზობლებსა და ესენი ხალისით მიდიან მასთან უფასოთ: სიმინდის პატრონი მხოლოდ კარგი მასპინძელი უნდა იყვეს, როგორც სადილათ, ისე ვახშმათ. რამდენიც კარგა დაუხვდება თავის მუშებს, იმდენი ესენი უფრო ერთგულათ იმუშაებენ. სასიამოვნო სანახავია ეს ნაღობა; (მეგრელები ასე ეძახიან ამ მუშაობას): ოცამდის კაცი სიმინდში გამწკრივებული თოხებით მხიარულათ გასძახიან სიმღერას და ისე ჩაკვირვებულნი არიან თავის მუშაობაში, რომ იმის მეტი ამ დროს იმათ არაფერი ახსოვთ. საღამოზედ ისე დამწკრივებული მალ-

ლა ხმისსიმღერით მასპინძლის სახლში მოვლენ. სიმინდს მეგრელები აჭმევენ შინაურ პირუტყვებს, ცხენებს და ქათმებს. თვითონ მჭადის ჭამა არ უყვართ, ამიტომ სიმინდს ბევრს ჰყიდიან. 1862 წელს შოთილდან საზღვარ გარეთ სამეგრელოს სიმინდი ნახევარ მილიონისა გაიტანეს. საყვარელი საქმელი მეგრელებისა არის ღომი, რომელიც სამეგრელოში იმ გვარათვე მოჰყავთ, როგორც იმერეთში.

მთელი სამეგრელო მოფენილია ხშირათ ბადესავით გამუღ-გამობმული ვაზებითა, რომლებიც ერთი ხილდან მეორე ხეზედ არიან გადასულნი, ან მალლა წასულნი. ამიტომ სამეგრელოში უფრო ბევრი ღვინო მოდის, მინამ იმერეთში. მაგრამ ჰაერის გადამეტურ ნოტიობას ცუდი მოქმედება აქვს ღვინის თვისებაზედ; უმეტეს ნაწილათ აქაური ღვინო უღონო და წყლიანია; ზოგ ადგილებში კი მშვენიერი ღვინო მოდის. მდინარე ტეხურის და ხობის შუა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გამწკრივებულნი არიან აერები ოც და თხუთმეტი ვერსის მანძილზედ. ეს სერები იწყობიან სოფელ სალხინოს ახლო და სოფელს შხეფთან თავდებიან. აქ გაშენებული ვენახები მშვენიერ ღვინოს აყენებენ. ამ სერებზედ მოდის გათქმული აჯალეშის ღვინო, რომელიც სიკეთით კარგ კახურს ღვინოს არ დაუვარდება. აჯალეშის ღვინო კეთდება ერთ გვარ ყურძნისაგან, რომელსაც მეგრელები სუანურს ეძახიან და რომლის ტოტები, როგორც სხვა ვაზებისა, ხეებზედ მალლა არის გაშვებული. მაზებს სამეგრელოში ზევითა რქებს გაუსხლიან ხოლმე ათ თხუთმეტ წელიწადში ერთხელ. აქ ხშირათა ნახაე ასის წლის ვაზსა, რომელსაც არშინის მეოთხედი სისქე აქვს. ძველი და მრთელი ვაზი კაი მოსაგლის დროს იმდენს ყურძენს ისხაეს, რომ სამ მეგრულ კოკა ღვინოს მისცემს თავის პატრონსა, ე. ი. ას ბოთლსა. სამეგრელოში რთველი ძალდან გვიან იციან; გიორგობისთვის ადრე აქ ყურძენს არა ჰკრეფენ. რამდენიც გვიან იკრთება ყურძენი, იმდენი კარგ ღვინოს აყენებს. აჯალეშის ვენახები

დეკემბრის გასულს ან იანვრის დამდეგს იკრიფება. ხანდახან თოვლი მოუკრეფავ ვენახებს მოუსწრობს ხოლმე, მაგრამ ვერაფერს აენებს, იმიტომ რომ სამეგრელოს მხურვალე ბუნება მალე აღნობს. მაზის ავთმყოფობამ მეტათ აზარალა სამეგრელო. ოორმეტის წლის წინათ საშინლათ ბევრი ღვინო მოდიოდა ამ ქვეყანაში. ახლა მოსავალი მეტათ შემცირდა. მაინც ღვინო იაფია. ძარგ ღვინოს ორ მანეთად იყიდი კოკას ე. ი. ბოთლს შვიდ კაპეკათა.—

ღვინის მოყვანის გარდა შესანიშნავია აბრეშუმის კეთება, რომელსაც მისდევს ყოველი ჯალაბობა სამეგრელოში. აბრეშუმის ჭიის ყოლის შრომა ქალებზედ არის გამწესებული. ჭიის გამოსვლა თესლიდგან იწყება აპრილში; ექვს კვირას ქორფა ჭიას თუთის ნაფოთქს და ფოთოლს აქმევენ. ამ დროს ჭია მოსვენებაში უნდა იყვეს, მზესა და წვიმას მოშორებული. ამიტომ ქალები ამ დროს ოჯახის უფროსები ხდებიან და კაცებს სახლში სრულიადაც აღარ უშვებენ. ამ დროს ქალების დრო ჰქვიათ და ესენი დიდ ფატიფუცში არიან. შველა ცდილობს თავის ჭიას ბლომათ უშოვნოს თუთის ფოთოლი. თუმცა კარ წინ ყველა ჯალაბობას რამდენიმე თუთის ხე უდგია, მაგრამ ზოგს საკუთარი ფოთოლი არა ჰყოფნის და სხვას ჰპარაფს, თუმცა ამ გვარ ქურობაზედ ბრყული სასჯელია დადებული. როცა ჭია კარგათ დამსხვილდება დადათეთრდება, მაშინ გავა ლასტზედ პარკის გასაკეთებლათ მომზადებულ კონებზედ. საამური საყურებელია ამ დროს აბრეშუმის ჭიის მოქმედება. შოველი ჭია თავის გარეშემო ავლებს სხვა და სხვა ფერის ქსელსა; ზოგი თეთრსა, ზოგი ყვითელსა. როცა პარკის გაკეთებას სულ მოჩჩებიან, შიგ მომწყვდეული ჭიები დაიხოცებიან. ამის შემდეგ პარკებს აპკრეფენ და გადაარჩევენ; საყაჭე პარკებს ერთათ მოუყრიან თავსა, სააბრეშუმეს ცალკე, რომ ცალკე გამოხარშონ. სხვილს და სავსე პარკებს სათესლეთ გადასდებენ ხოლმე. ამ პარკებს მზესზედ დააწყობენ და აქ სითბო მკედარ ჭიებს გააცოცხლებს

ხოლმე. მაკოცხლებული ჭიები პარკს გამოსჭრიან და გარეთ გამოვლენ დაფთიანებულ პეპლებათ, რომლებიც საამურათ ფთხრიალებენ, მაგრამ ფრენა კი არ შეუძლიანთ. სამი ოთხი დღის გამაველობაში ეს პეპლები თესლს დაჭყრიან. შემდეგ ამათ დახოცენ და თესლი მთელ ზამთარში ცივ ადგილას აქვთ შენახული. **მ**უ თბილ ადგილას შეინახეს, თესლიდგან ჭია უდროვოთ გამოვა და უსაჭმლობისაგან დაიხოცება. როცა გაზაფხულზედ თუთა კოკორს გამოიღებს, თესლს ცეცხლთან ახლო გაშლიან და აქ ჭია სითბოსგან გაძოიჩიკება. ამათ მაშინვე თუთის ქორფა კოკორს დაუფხენიან და საჭმელათ დაუყრიან.

შწინ სამეგრელოში ადგილობრივი აბრეშუმის პარკი იყო ხმარებაში; ამ ბოლო წლებში კი გავრცელდა პიემონტური (იტალიაშია) პარკი, რომელიც მეროპაში გათქმულია. ეს ცელილება მოახდინა ფრანკუმმა, გრაფმა როზმორდიუკმა, რომელიც სამეგრელოში აბრეშუმის კეთებას ერთგულათ შეუდგა. 1848 წელში სამეგრელოს მთავარმა ლავითმა მოიწვია როზმორდიუკი ფილატურის (აბრეშუმის ამოსახვევის ფაბრიკის) გასაკეთებლათ და თავის უნცროს ძმას, პონსტანტინეს, ურჩია ხარჯში მისდგომოდა და მონახევრე გახდომოდა. როზმორდიუკმა თან მოიყვანა ფრანციიდან ორი ყმაწვილი ქალი, მარია და სიუზეტა, რომლებიც აბრეშუმის ამოხვევაში ოსტატები იყვნენ. მთავარმა ლავითმა და იმის მეუღლემ ბევრი ურჩიეს ზუგდიდელ და ახლო სოფლების ქალებს, რომ ფილატურაში მისულიყვნენ და აბრეშუმის ამოხვევა ესწავლათ და ძლიეს დაიყოლიეს ბოლოს დროს. მარიამ და სიუზეტამ აქაურ ქალებს მალე ასწავლეს თავისი ხელობა და ისე მოეწონათ ეს ქვეყანა, რომ სამუდამოთ აქ დარჩნენ. **მ**რივე აქვე გათხოვდნენ: ერთმა ჯვარი დაიწერა გლეს კაცზედ (ბენეო ჩიქლაძეზედ), მეორემ იმერელ აზნაურზედ (იოსებ პოდგაიასზედ). ზუგდიდელი ქალები ისე შეეჩვივნენ მუშაობას ამ ფილატურაში, რომ ერთ აბაზათ დღეში

სიხარალით მუშაობდნენ. ბრატმა როზმორდიუკმა რომ სიმღარე შეამჩნია მეგრელულ პარკსა, პიემონტიდგან გამოიწერა მშვენიერი გეარის ჭიის თესლი და ზუგდიდელებს მისცა, რომ ამ თესლის ჭია გაემრავლებინათ. შემდეგ გრაფი ამ ჭიის პარკებს ერთ ნახევარზედ ძვირათ ყიდულობდა მეგრელებისგან. უწინ ქონსტანტინოპოლში მეგრული აბრეშუმი სამოთხ თუმან ზეით არ იყიდებოდა ფუთი, მასუკან კი, რაც პიემონტური თესლი გაიჩინეს, ათ თუმან ნაკლებ აღარ გადის. ამასთან მეგრელებმა ხმარებაში შემოიღეს ძალიან ადვილათ სახმარებელი ევროპიული სტანოკი აბრეშუმის ამოსახვევათ. ახლა სამეგრელოში სულ რომ ცოტა ესთქვათ 600 ათასი მანეთის აბრეშუმი მაინც კეთდება. მორი მესამედი ამ აბრეშუმისა საზღვარ გარეთ გადის და ისყიდება უმეტეს ნაწილათ მგვიკტეში და ალჟირში. მაგრამ აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც აბრეშუმის ჭიის ავთამყოფობა გაჩნდა და ეს წარმოება მეტათ შეამცირა.

მეგრელები ბამბის მოყვანასაც მისდევენ. წარსულ წლებში, ბამბის სიძვირის დროს, ამ მცენარის თესვა სამეგრელოში გავრცელდა; მაგრამ ახლა კი ისევ კლებულობს, რადგანაც ბამბა გაიაფდა. ბამბისთვის არჩევენ სერების ძირის შეღმართებს, სადაც მიწის ნიადაგი ნოტიო არ არის და ქარიც უფრო ზედება. ამისთანა ადგილებში კარგი ბამბა მოდის.

შუტკრის ყოლას სამეგრელოში თუმცა ბევრგან არ არიან მიჩვეულნი, მაგრამ სხენის-წყლის და მნგურის ხეობის მცხოვრებნი კი ბეჯითათ მისდევენ ამ წარმოებასა. ბევრ გლეხს საფუტკრეში ასი და ას ორმოც დაათი სკა უდგია. სკები ხეებზედ არიან მიკრულნი და თათლ-ფიჭას წელიწადში ერთხელ გამოიღებენ ხოლმე პირველ იანვარსა. თათლს ფუთს ოთხ ხუთ მანეთათ ჰყიდიან, ფიჭას თხუთმეტ მანეთათ.

მეგრელები შინაური პირუტყვის მოშენებასაც მისდევენ.

მაგრამ საქონელი მეტათ წერილი ჯიშისა ჰყავთ. მოვლა შინაურ ცხოველს სრულიად არა აქვს. მთელ წელიწადს ზამთარ ზაფხულ პირუტყვი გარეთ ცის ქვეშ ატარებს; მხოლოდ ზოგი ერთა პატრონი ორ თვეს, დეკემბერს და იანვარს, შინ აბინავებს. უსაქმლობა აუძლოურებს პირუტყვს და აჩენს საქონლის ჭირსა. ცხენებსაც ძალიან მომცრო ჯიშისას ინახავენ. ცხერის და ცხენის ყოლა უფრო გავრცელებულია სამეგრელოს ჩრდილოეთის ნაწილში, სადაც მახლობლათ მთასერებზედ მშენიერი საძოვარი იალადია. ზაფხულში უმეტესი ნაწილი ცხერისა და ცხენისა მიუღით ლეჩხუმში, ასხის მთაზედ, სადაც მეტათ კარგი საძოვარი ადგილებია. ადგილის მიუდგომლობის გამო საქონელი აქ მოპარვისგან დაცულია. ცხენები ამ დროს ისე ველურდებიან, რომ შემოდგომაზედ ძლივსლა იჭერენ თოკებითა.

ჩიონის პირზედ მდებარე სოფლების მცხოვრებლები ნავებს ამუშავენ და ბევრ-გვარი საპალნე ჩააქეთ და ამოაქეთ ორპირიდან შოთამდის. ნავს აკეთებენ მურყნის ხისასა პტყელ ძირიანსა, რომელიც იკიდებს 500 ფუთსა. ჩატანაზე რვიდგან თორმეტ მანეთამდის იღებენ, ამოტანაზედ ორი თუმნიდგან სამ თუმნამდე. ჩასვლაზედ ერთი დღის მეტი არ უნდებიან, ამოსვლაზედ კი ხუთი ექვსი დღე დაუგვიანდებათ ხოლმე, რადგანაც წყლის მდინარეობის წინააღმდეგ უნდა აცურაეონ ნავი.

ზოგი ერთა საეკლესიო გლეხები სამეგრელოში ჩარვადრობას მისდევენ ე. ი. ცხენებით გადააქეთ და გადმოაქეთ სხვა და სხვა საქონელი და საპალნე. მათი ცხენი ცხრა ფუთს იკიდებს. ორპირიდან თბილისამდე ფუთზედ იღებენ ზაფხულში ექვს შაურს, ზამთარში ათსა.

სოფლის ხალხს სამეგრელოში ერთი მშენიერი ჩვეულება აქვს, რომელიც თუმცა ბურიაშიც და იმერეთშიც იპოება, მაგრამ აღმოჩნდეთის საქართველოში კი სრულიად არ არსებობს. მე ვამბობ სოფლებში ბაზრიანობაზედ. შართლ ში

და ძახეთში გლეხი კაცი თავის ჭინახულის გასასყიდათ უმეტეს ნაწილათ სახლიდგან არ გამოდის და იქვე ჰყიდის ქალაქელს ვაჭარზედ. თელავში, სიღნაღში და ბორში მთელი ვაჭრობა სომხების ხელშია, რომლებიც მოსაელის დროს აქეთ იქით სოფლებში მოედებიან ხოლმე და აქ ყოველ გვარ მოსაველს ცდილობენ იაფათ იყიდონ და მერმე ძვირათ გაჰყიდონ. ეს ჩვეულება ღუბავეს ქართლის და ძახეთის ხალხსა, სომხობას ერთი პირი აქვს და ფასის გადაკვეთა ამათზედ ჰკიდია; ამიტომ ხალხის ნაშრომალს ესენი იაფ ფასათ ისაკუთრებენ. მოსაელის პატრონი ხშირათ იმ ფასათ ჰყიდის ჭინახულსა, რომ ძირს სრულიად არა რჩება რა. მთელი მოგება მშრომლის მაგიერათ მყიდვესა რჩება. მაჭარი სომხები ბორიდგან ქართლის სოფლებში გაემგზავრებიან ხომლე მაშინ, როდესაც გლეხებს სახელმწიფო ხარჯის შეტანის დრო მოსდით და ფულის შოვნა ძალიან უჭირთ. ამათ კარგათ იციან, რომ ამ დროს სოფლებში ჭინახულის მოპოება ჩალის ფასათ შეიძლება. ანგარიშიც არ ატყუებთ. ბლენი კოდ პურს სამ ოთხ აბაზათ უკვეთამს და რამდენსამე თვეს უკან კალოობაზედ სომეხს შეპირებულ ფასათ მიაქვს პურა, როდესაც კოდი ორ სამ მანეთად იყიდება. ამ გვარათ მანეთი ნახევარ წელიწადსა ან უფრო ნაკლებ დროსა მანეთს იგებს. ძახეთში სომხები ასევე იაფათ ყიდულობენ ღვინოსა. სირაჯი სომეხი ძახეთში მიდის მაშინ, როდესაც იმის ანგარიშით გლეხებში ხარჯის ფული იკრიფება და მებატონეებს პრიკაზში სარგებლის შეტანის დრო აქვთ. იმან კარგათ იცის, რომ ერთსაც და მეორესაც ამ დროს საშინლათ უჭირს ფული და ამის ჯიბეში საშინლათ საჭიროებენ. ბლენი და მებატონე გაშლილის გულით იღებენ სირაჯსა და თავის აწმდგომ და მომავალს მოსაველს ნახევარ ფასათ აძლევენ. ამ გვარ სენს სამეგრელო სრულიად მოშორებულია. აქ თითქმის ყოველ დიდ სოფელში თვითოულ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ან კვირაობით, ვაჭრობა იმართება; დაბაებში კვირის ვაჭრობის გარდა

წელიწადში რამდენჯერმე იარმუკობა მოხდება ხოლმე. მეგრელს თავისი სარჩო მიაქვს ბაზარში ან იარმუკაზე და იქ ან ღირებულ ფასათ ჰყიდის, ან სცელის იმ მოტანილ ნაწარმოებზედ, რომელშიც საჭიროებს. აბრეშუმს, თამბაქოს, ჰურს, ხილს, ნაქსოვს, ხის და თიხის ჭურჭელს, ფიქას, თაფლს, ღვინოს, ცხვარს, ცხენს და კიდევ სხვა შინაურს საქონელს სულ ერთათ თავს მოუყრიან ხოლმე მეგრელები და ან ჰყიდიან, ან სცელიან მარლიზედ, მატყლზედ, ჩითებზე, იარაღზედ, შეკერილ ტანისამოსზედ და სხვაზედ. მაჭრები აქ თვითონ მეგრელები არიან და იმიტომ მომყვანელნი და მყიდველნი სხვა და სხვა საზოგადოებას არ შეადგენენ. თუმცა სამეგრელოში არიან ძველ დროშივე დასახლებულნი ურიები, რომლებიც უმეტეს ნაწილათ იმითი ცხოვრებენ, რომ აბრეშუმს ყიდულობენ და საზღვარს გარეთ ჰყიდიან, მაგრამ ამათ არ შეუძლიანთ, როგორც დასავლეთის საქართველოში სომხებს, აღებ-მიცემასში ფასი თავის ნებით დანიშნონ, რადგანაც თვითონ მეგრელებიც ვაჭრობაში გაოსტატებულნი არიან. აქაური გლეხი დარწმუნებულია ბაზრის ფასის სისწორეში დაპირდაპირ თავისი გასასყიდი საქონელი იქ მიაქვს. მეგრელს რომ კარებზედ ვაჭარი მიადგეს, ის მაშინვე იჭენეულობაში შევა, თუ ამას ჩემი მოტყუება არ უნდოდეს, რატომ ბაზარში არ მიდის სასყიდლათაო, და არას ფერს მიჰყიდის. ეს აღებ-მიცემის ნიჭი ძვირფასი თვისებაა და მომავალში, როცა ვაჭრობა უფრო გავრცელდება, შოთიდგან თბილისამდის რკინის გზის გაკეთების შემდეგ, მეგრელები ბევრს ისარგებლებენ ამით და ქონებასაც შეიძინებენ. ბაბედულობითაც მეგრელები თითქმის ყველა ქართველებს სჯობიან: ძახეთში წასვლა და იქ სანახევროთ ბალის შემუშავება, შავი ზღვის პირათ ღუქნის გაკეთება, საზღვრიდან ტამოყნის ცხვირწინ საქონლის გამოპარება და სხვა მრავალი იმ გვარი საქმეები მეგრელს ადვილათ მიაჩნია. ძნელათ იქნება იმისთანა ნიჭიერი, სწავლის მოსურნე, გამბედავი და გამჭრიახი ხალხი, როგორც მეგრელები.

მაგრამ ამ კარგ თვისებასთან, მეგრელებს ბევრი ზნეობითი ნაკლულევიანება აქვთ. საქმეების გადაჭრაში ძალის ხმარება უფრო ეხერხებათ, მინამ სამართლისა. ეს ხალხის თვისება მით უფრო მავნებელია, რომ მეგრელი გურულსავეთ გულჩქარია. სოტა რამ მიზეზია საკმაო, რომ ის მოთმინებდგან გამოვიდეს. სულ უბრალო საქმეზედ მეზობლებს შუა ერთი საშინელი აყალმაყალი და ჩხუბი გაიმართება ხომლევ. მკის დროს ერთ პურის ან ღომის ძნაზედ, რთველის დროს რამდენიმე მტევან ყურძენზედ ხშირათ თავ-პირის მტერევა ჩნდება. ჩხუბის მიზეზი მეგრელებს არას დროს არ ელევათ. ხან მთელ სოფლებს შუა მოხდება ხოლმე ჩხუბი, და თუ გაჯერებული მხარე გამოძიებას მალე არ ეღირსა, მაშინ წამოაელევენ კეტებს და ხანჯლებს, დაერევიან ერთმანეთში და გაჩნდება საშინელი უფოთი. ხშირათ წინამძღოლობას ჩხუბში თვითონ ბატონები მიიღებდნენ ხოლმე უწინ.

თავი და თავი ზნეობითი სენი მეგრელებისა არის ქურდობა შინაური პირუტყვისა, მეტადრე ცხენისა- ეს ნაკლულევიანება მით უფრო მავნებელი და სამწუხაროა, რომ მთელ ხალხს ღმრმათ აქვს გამჯდარი. ძაცების მაგალითს დედაკაცებზედაც უმოქმედნია და ამათშიაც ქურდობას ფეხი გაუდგამს. რამდენიმე წლის წინათ ორი ქალი, არა უბრალო წოდებისა, ცხენებით საქურდლათ გამოდიოდა კაცური ტანისამოსით. ასე გაშინჯეთ სამღვდლოებაშიაც კი იპოებიან ოსტატი ქურდები. წარსულ წლებში ერთი მშვენიერი სახის მთავარი, გვარათ დანიელია, გამოჩენილი ცხენის ქურდი იყო; ამან სიბერის დროსაც არ დაანება თავი ამ საძაგელ ჩეულებას და სიმბერში გაიგზავნა ორმოც და ათი წლის კაცი, თოვლივით თეთრი წვერით. ქურდობა სამეგრელოში ისე ხშირათ ხდება, რომ მოსამართლეებს ილაჯი აქვთ გაწყვეტილი გამოძიებით. მეტადრე ზამთარში საშინლათ ერცელდება. ამ დროს მცოვრებლებს მინდორში და ვენახში სამუშაო არა აქვთ, სამეგრელოს მრავალი მდინარეები ამ დროს დაპატარავებულ-

ნი არიან და ფონს ყველგან ადვილათ პოულობს. კაცი; ლამეები გძელია და ბნელი, რადგანაც ცათითქმის მუდამ ღრუბლიანია; ერთი სიტყვით ზაპთარში მეგრელს ყველაფერი უადვილებს ქურდობასა. სამეგრელოს გარდა იმერეთიდგანაც ბევრი საქონელი გაჰყავთ. ჯაერის ამოსაყრელათ იმერლებს შეუდგენიათ მეგრელებზედ შემდეგი ანეგდოტი: მეგრელი როგორღაც სამოთხეში მოჰყავთ; მიიხედ-მოიხედა და დაინახა საძოვარზედ მშვენიერი ბაჩა, რომელიც წმინდა ბიორგის ეკუთვნოდოდა; მეგრელს გულმა ვერ მოუთმინა, მოიპარა ეს ბაჩა და გამოკურცხლა სამოთხიდგანაო. ქურდობაში ისეთ ოსტატობამდის მიუწევიათ მეგრელებს, რომ სწორეთ გაგიკვირდება. მაგალითათ, წვიმის დროს, როცა ფეხის ნაკვალი მიწას ცხადათ აჩნდება, კვალის დასაკარგავათ, მეგრელები მოპარულ ცხენს ფეხებს უკულმა უჭედავენ, ასე რომ კვალი მდევარს აჩვენებს, ვითომც ცხენს ჩრდილოეთისკენ ურბენია, როცა რომ ის სამხრეთისკენ წაუყვანიათ. ბევრს ამ გვარს ეშმაკობას ხმარობენ მეგრელები ქურდობაში. თვითონ მეგრელებმა ეს ყველაფერი ოსტატობა კარგათ იციან და იმიტომ თავის დანაკარგს ზოგჯერ იპოენიან ხოლმე. მაგრამ, თუ მეგრელმა იმერელს მოჰპარა საქონელი, იმან პოენის იმედი სრულიად უნდა გადაწყვიტოს. მსეც კი უნდა დაუმატოთ, რომ ბოლოს წლებში ქურდობა სამეგრელოში შემცირდა. აქამდის ნაქურდული საქონელი აფხაზეთში გაჰყავდათ და იქ ჰყიდდნენ. ახლა იქ ქურდული მისელა-მოსელა მეგრელებისთვის გაძნელდა, რადგანაც აფხაზეთი რუსეთს დამორჩილდა. უნდა იმედი გვექონდეს, რომ მომავალში მეგრელები ცხადათ იგრიდობენ ქურდობის სისაძაგლეს და მანებელობას და თავის თავს განკურნებენ ამ ზნეობითი სენიდგან.

მეგრელები კიდევ უფრო ცრუ მორწმუნენი არიან, მინამ სხვა ქართველები. ღედაკაცების კუდიანობა, მკითხაობა, ხატის მიზეზი აქ უფრო შტაკიცეთა სწამთ, მინამ სხვაგან საქართველო-

ში. ამიტომაც ცრუ მორწმუნოებიდგან აქ მეტათბევრი ბოროტება ხდება. აი ერთი საზარელი მაგალითი: შირიმის ომის შემდეგ ორმოცდა მეთვრამეტე წელიწადში საქონლის ჭირი გაჩნდა ზუგდიდის ახლო სოფლებში. მეგრელებმა ეს მოვლენა ფიცხლავ კუდიან დედაკაცებს მიაწერეს და სამურზაყანოდგან ერთი თათარი დაიბარეს, რომელიც კუდიან დედაკაცების ცნობაში გათქმული იყო. თათარმა სოფლის ბებრები შეაგროვა და უბრძანა წყალში ჩაეყარათ; რომელიც ძირძირ წაეიღოდა, ის კუდიანი არ არისო, რომელსაც არა სძირაუდა, ის კუდიანიაო. რამდენიმე ბებერი, თავის საუბედუროთ, წყალმა არ ჩაძირა, უთუოთ იმიტომ, რომ ტანისამოსი იმაგრებდა ზევით. თათარმა მაშინვე ესენი კუდიანათ დასახა და შემდეგი სასჯელი მიაყენა: დაანთებინა ორი ცეცხლი და შუაში იმდენს ხანს ატარებინა ტიტყელა ბებრები, მინამ იმათ, ამ საშინელ ტანჯვიდგან დახსნისთვის, საქონლის ჭირი არ დაიბრალეს და კუდიანობაზედ ხელის აღება არ აღუთქვეს. რამდენიმე ბებერი ამ დროს ცოცხალი დაიხრაკა, და თუ მართებლობა არ მისწრობოდა, უფრო დიდი საცოდაობა მოხდებოდა. თათარი უნდა დაეჭირათ, მაგრამ მცხოვრებლებმა გააპარეს საზღვარს გარეთ.

სამეგრელოში მხროლოდ ორი ქალაქია: ზუგდიდი, სადაც ორ კლასსიანი სასწავლებელი არსებობს, და შულევი (რედუთ-ქალე), რომელიც სძევს შავი ზღვის პირას. მოსახსენებელნი არიან კიდევ: დაბა მარტვილი, სადაც სამკლასსიანი სასულიერო სასწავლებელია გახსნილი და საუფლო დაბა სენაკი.

სვანეთი.

ქართველების ტომის მესამე ტოტსა სვანები შეადგენენ. პირის სახით სვანი ძრიელ წააგავს მთიურ ქართველებს: ფშავეებს, ხევსურებს, თუშებს, და სხვებს. სვანეთის ხალხის ცხოვრებაში ბევრ ქართულ ჩვეულებას ხედავს მოგზაური; ამითი ზნეობაც ბევრით მოაგონებს კაცსა ქართველების ხასიათსა. სვანურ სოფლებს უმეტეს ნაწილათ შეცვლილი ქართული სახელები ჰქვიათ. სვანური ენაც ქართული ენიდგან არის წამომდგარი; ქართული სიტყვები და მეტადრე მეგრული სვანურ ენაში ძალიან ბევრია. ამიტომაც, როგორც მეგრელი, ისე სვანები ქართულ ენას რამდენსავე თვის წმინდად შეისწავლიან ხოლმე. სვანების ქართველებიდგან ჩამომავლობას ისიც ცხადათ ამტკიცებს, რომ ეს ქვეყანა მოფენილია მრავალი საყდრებით და ხატებით, რომლებზედაც ბევრ გვარი წარწერაებია ქართულ ენაზედ; საყდრები საესეა ქართული საეკლესიო წიგნებითა. ქართველები რისთვის აშენებდნენ ამდენს საყდრებს და რათ აიტანდნენ სვანეთში ამდენს სამკაულს, თუ სვანები ჩამომავლობით ქართველები არა ყოფილიყვნენ. სვანების ქართველობას ამათი ისტორიაც ამტკიცებს. სვანეთი იყო საერისთავო და უმეტეს ნაწილათ საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა ხოლმე; მეტადრე მამარ დედოფლის დროს სვანეთი მტკიცე კავშირით იყო შემოერთებული. ეს დრო სვანებს კარდათ ახსოვთ და თავის ლექსებში ახლაც აღიდებენ მამარ დედოფალსა. მხოლოდ უკანასკნელ საუკუნოებში, როდესაც იმერეთი, უთანხმოების და არეულობის გამო, დაუძლურდა და სვანეთზედ გავლენა დაჰკარგა, ეს ქვეყანა გახდა გამოუკიდებელი საქართველოსთან. ძველი დარღვევა საქართველოსთან სვანებისთვის დიდი

უბედურება იყო; მასუკან ამ ქვეყანაში მოიშალა უწინდელი სიმშვიდე, ეპრობის მოძრაობა, ხალხი გამართოდა და უკან წავიდა ყოველის მხრით, როგორც ზნეობით, ისე გონების გახსნით; იმერეთის სამღვდლოების ზრუნვით აქ დანერგული ქრისტიანობა თან და თან შეიცვალა და გადასხვაფერდა. ხალხი ამ მიზეზების გამო გაველურდა. ახლა თუმცა სენეთში ძველებურ წირვა-ლოცვას ასრულებენ აქაური პაპები ანუ ბაპები, მაგრამ ისე გარდარეულ გარდმორეულია, რომ ძლიერა ჩასთელი ქართულ წირვა-ლოცვათა. ჰველა ეს შემოხსენებული ცხადათ ამტკიცებს, რომ სენები ქართველების ტომს ეკუთვნიან. მაშასადამე სენეთის აღწერა ამ მოკლე საქართველოს გეოგრაფიაში საჭიროა.

სენეთი სძევს სამეგრელოს ზევით; აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ისაზღვრება კავკასის ქედით, საიდგანაც სენეთს დასცქერია მალალი იალბუზის მთა, მუდამ თეთრათ თოვლით შელესილი, სამხრეთ აღმოსავლეთით რაჭა უძევს, სამხრეთით სამეგრელო, დასავლეთით სამურზაყანო. სენეთი 10,000 მცხოვრებელს იპყრობს.—სენეთი რაჭასავით ოთხკუთხივ შემოზღუდულია მთებითა; ამიტომ ეს ქვეყანა სრულიად მიუვალია აქაურ ხანგრძლივ ზამთარში; მხოლოდ მოკლე ზაფხულში შეუძლიან მოგზაურს სენეთში ასვლა. ბოლოს დრომდის ზაფხულშიაც მეტათ ძნელი იყო სენეთში მგზავრობა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანში მართებლობამ გზა გააკეთებინა დიდი გაჭირებით. ეს გზა შესდევს სამეგრელოდგან მნგურის ხეობასა, და ამ მდინარის ხან მარჯვენა ნაპირზედ მისდევს, ხან მარცხენაზედ; შფოთიან მნგურზედ ბევრგან არის გაკეთებული ლამაზი და მკვიდრი ხას ხიდები. აქ მოგზაურს ბუნება ბევრ-გვარ ახალ ჩაბეჭდილებას გამოაცდევინებს. წარმოიდგინე მეტათ ვიწრო ხეობა, ხუთი ან ათი საჟენის სივანე, გაგრძელებული სამოცდა თხუთმეტ ვერსზედ და მეტათ დაკლანკილი, რომელიც ორივე მხრით დაბურულია მალალი მთებითა და რომელზედაც საშინელის ძალით და სიჩქარით მთარბის

მეტათ სწრაფი მღიწარე. მსეთია მნგურის ხეობა. აქ მოგზაური მიღის მწვანე გუმბათ ქვეშ, რომელიც შეკრულია აქეთ იქით მთების ხეებიდგან. წერილ ფოთოლა ბზა, პტყელ ფოთოლა წაბლი, ისარივით სწორე წიფელა და სხვა მრავალ-გვარი უცნობი ხეები ზევიდამ მშვენიერათ დასცქერიან მოგზაურსა და ხშირი ჩრდილით სიცხისაგან იფარვენ. ლამე სურათი იცვლება. მთელ ხეობაში საშინელი სიბნულეა მოფენილი, ასე რომ თვალში თითი წაატაკო, კაცი ვერაფერს დაინახავს; მხოლოთ მალლა თავის პირდაპირ ვარსკვლავები სამაურათ ბრწყინავენ; მთები აქეთ იქით შავათ არიან საზარელათ ამაღლებულნი, არც ადამიანის და არც პირუტყვის არსებობას არაფერი აგრძნობინებს კაცსა; ამ გულ-შემაფიწროებელ სიჩუმეს მხოლოდ მნგურის საშინელი შუეილი და ხუეილი სწყევტს, და არ აძლევს დაღალულ მოგზაურს მოსვენებასა. ამ ვიწრო ხეობის თავს სძევს ზემო სვანეთი.

საზოგადოთ სვანეთი ორ ნაწილათ განიყოფები: ზემო და ქვემო სვანეთათ. ზემო ნაწილს თავისუფალი სვანეთი ჰქვიან, ქვემო ნაწილს საკნიაზო ანუ სადადიანო სვანეთი. პირველს მნგურის ხეობა უჭირავს, მეორეს ცხენის-წყლისა. ამ ნაწილებს შუა წამოგრაგნილია კავკასის ქედის ერთი მოსდლილი ტოტი.—შველა ადვილათ მიხვდება, რომ სვანეთი ცივი ქვეყანა უნდა იყეს, რადგანაც მდებიარობა მეტათ ძალალი აქვს და კავკასიის მთები, ზამთარ-ზაფხულ თოვლით შელესილნი, ამ ქვეყანას ზედა დასცქერიან. მართლაც ზემო სვანეთში მეტათ დიდი ზამთარი იცის და პატარა ზაფხული. მხოლოდ იენისში, იგლისში და აგვისტოში საკმაოთ თბილია; დანარჩენ რვა ცხრა თვეს სვანეთში სიცივეა. ოკტომბერში, როცა აქეთ და იქით საქართველოში მშვენიერი თბილი დარიდგას, ზემო სვანეთში ზამთარი დაწყობილია. მაისში აქ ხშირათ მოვა ხოლმე თოვლი. ამისთანა ცივ ქვეყანაში, რა საკვირველია, ბევრ გვარი მცენარეობა ვერ იხვირებს. ხეხილის და ყურძნის ხსენება აქ სრულიად არ არის. ტყეები

მარტო ფიჭვის და არყის ხეს უჭირავს; სხვა გვარის ხეები აქ ძალიან ცოტაა და ისიც დაბალი ტანისა. სიმინდი აქ ვერ მოვა, აგრეთვე პურსაც ბევრ ადგილას სდულიად არა. სთესვენ; უმთავრესი მოსავალი და საზრდო ზემო სვანებისა არის ქერი. მაცივებით ავათმყოფობა და ციება, რომლებიც დაბლა იმერეთში და სამეგრელოში ბევრ ზარალს, ჩადიან, ზემო სვანეთში სრულიად არ იცას, ამიტომ; მცხოვრებლები მთელი და ჯანსაღიანი ხალხია. ხოლერა აქ არაყის გაუგონია. სამაგიეროთ აქ საშინლათ არის გავრცელებული თიადლორით ავათმყოფობა და ხალხს დიდათ აწუხებს. — ჭევმო ანუ სადადიანო სვანეთი ამ მხრით ბევრათ გაირჩევა ზემო სვანეთიდგან. აქ ჰავა ზომიერია; ზამთარი უფრო გვიან დგება, გაზაფხული ადრე, და ზაფხული უფრო თბილია. ამიტომ აქ პური ყველგან მოჰყავთ და ივნისის გასულს ხმება. შაშლი, მსხალი, კაკალი და ყურძენი თითქმის ყველგან ხარობს, მინდვრებში ხშირი და მაღალი ბალახი მოდის და შინაური საქონლის მოშენებას აადვილებს. ტყეებში გარეული თაფლი ბევრია. მთები საესეა ჯიხვებით და გარეული თხებით, მდინარეები კალმახითა.

უმთავრესი საქმე საზოგადოთ სვანებისა არის მიწის შემუშავება. სახნავ-სათეხი მინდორი საკმაოთ არის. შველა კომლს თავისი საკუთარი მამული აქვს. თესვა, მკა და გაღეწვა ქართველურათ იციან. მამულს სვანი ვერ გაჰყიდის, თუ ახლო ნათესავები თანახმა არ გახდებიან. მიწას სვანეთში დიდი ღალა სძევს. ნახევარი მოსავლისა მიწის პატრონისა, ნახევარი შემმუშავებელისა. შინაურ საქონლის ყოლას ძალიან ცოტათ მისდევენ. თევზაობა სრულიად არ იციან. ნადირობაში კი სვანები ოსტატები არიან და ძრეილაც; უყვართ. ზოგი სვანი უმეტეს ნაწილათ ნადირის ხორციით იკვებება. ნადირის ტყავსა ან თვითონვე ხმარობენ, ან ჰყიდნან. ზამთარში ბევრს კვერნას იჭერენ ტყეებში და ბეწვს კათასათ ჰყიდიან სამეგრელოში. შაქრობას თვითონ სვანები

სრულიად არ მისდევენ. აღებ-მიცემა წახამულების ხელშია, რომლებიც სადადიანო სვანეთში სცხოვრებენ ორმოცდა ათ კომლამდის. წახამულები ჩამომავლობით ურიაები არიან. თუმცა ესენი სვანურათ ლაპარაკობენ, ჩვენ სარწმუნოებას აღვიარებენ და პაპებიც ჰყავთ, მაგრამ სვანებს კი ყველას ესენი მეტათ სძულთ და გამარტოვებული ჰყავთ. სვანელებს წახამულებთან ურთიერთობა არა აქვთ, არა სჭამენ მათთან, არა სმენ და არ შეეხებიან წახამულის დაკლულ ხორცსა. სვანი ამათ უწმინდურათ რაცხს. წახამულების ქალები სვანებისაზედ უფრო ლამაზები არიან, მაგრამ სვანს არ შეუძლიან ამათ დაუნათესავდეს.

სვანეთის სოფლები არ წააგვანან არც აღმოსავლეთის საქართველოს სოფლებსა და ირც დასავლეთისასა. დასავლეთის საქართველოს სოფლებითგან იმითი განიროჩევიან, რომ აქ სვანებს სახლები ახლო ახლო აქვთ გაკეთებული, როგორც შართლში და ძახეთში. აღმოსავლეთის საქართველოს სოფლებიდან იმითი განსხვავდებიან, რომ სვანეთში სოფლები ჯგუფ-ჯგუფათ აწყვიან და ყოველი ჯგუფი შეადგენს ერთს საზოგადოებას, რომელსაც საკუთარი სახელი ჰქვიათ. მითო საზოგადოებაში ექვსიდგან ათამდე სოფელი ირაცხება. ამის გარდა სოფლები ამ ქვეყნაში მეტათ პატარეები არიან; ზოგში სამი კომლის მეტი არა სცოვრობს. რაც უნდა დიდი სოფელი იყვეს, ოცდა ათ კომლზედ მეტი მცხოვრებელი ძალიან იშვიათათ იქნება. შველა სოფელში თვითეულ სახლობას ოთხ-კუთხიანი კოშკი უდგია, ათი ან თორმეტი საყენის სიმაღლე. როგორც სახლებს, ისე კოშკებს სვანები კლდის ქვით აშენებენ. შმეტესი ნაწილი შენობისა თეთრათ გალესილია შიგნიდან და ლამაზი შეხედულობა აქვს. მითქმის ყველა სახლის წინ ბოსტანი არის, სადაც სახლობას კანაფი და სისირი მოჰყავს. სვანურ სოფლებში კაცს აკვირვებს ძველი საყდრების სიმრავლე. ძნელათ იქნება სულ მცირე სოფელიც, რომ თავისი საყდარი არა ჰქონდეს. ზოგ მოზდილ სოფლებში ხუთი ექვსი ეკვლე-

სია არსებობს. სამაგიეროთ ეს საყდრები მეტათ პატარაები არიან. ზოგში ათი კაცი ძლიეს დაეტევა; სულ დიდ ეკკლესიაში ოთხმოცი კაცის მეტი ვერ მოთავსდება. შესანიშნავია, რომ სენები ამ საყდრების აშენებას თამარ დედოფალს აწერენ. სოფლების საყდრების გარდა, ყველა საზოგადოებას თავისი საყოველთაო ეკკლესია აქვს, რომელიც სიდიდით და შენობით განირჩევა. აქაურ საყდარს ერთი შეხედვით ვერიცნობ, რადგანაც გუმბათი არა აქვს და სენურ სახლებს ჰგავს. მხოლოდ იმით განარჩევს კაცი, რომ საყდრები გამართობულნი დგანან, გარს ქვის გალავანი არტყიათ და წინ რამდენიმე ზარი უკიდიათ აყუდებულ ხეებზედ. საყდრები სავსეა სხვა და სხვა უბრალო ნივთებითა, რომლებსაც სენები ერთგულათ სწირვენ. ამ ნივთებში უფრო ადვილი შესანიშნავია მალა ჭერებში ხარხებზედ ჩამოკიდული მრავალი ჯიხვის რქები და ცხვრის ყბები, რომლებიც ისე ბევრი მოაქვთ სენებს, რომ საყდარს ავსებენ. ზოგ საყდრებში აქამდის შენახულან მრავალი ვერცხლის სურები, აზარფეშები და თასებო, ძველ დროში შეწირულნი. იმისთანა საყდარი არ არის სენეთში, რომ ქართული საეკკლესიო წიგნები არ იყვეს, სხვა და სხვა ხატებიც ბევრია სენურ საყდრებში.

ამდენი საღმრთო საგნების შენახვა და ქრისტიანობის დაცვა ერთი მხრით უნდა მიეწეროს სენეთის სასულიერო წოდებასა. სასულიერო წოდებას შეადგენენ მღვდლები და მთავრები. მღვდელ ზემო სენეთში უძახიან ბაპი, ქვემოში პაპი. აქ პაპებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც დეკანოზებს ხაესურეთში და უშავეთში. შმეტეს ნაწილათ პაპები არიან ჩამომავალნი უწინდელი მღვდლებისა, რომლებიც ლეჩხუმში ეკურთხებოდნენ ხოლმე. როგორც უბრალო ხალხს, ისე პაპებს იარაღი არტყიათ, რომელსაც საყდარში შესვლის დროს მოიხსნიან ხოლმე, ხანჯლის გარდა. შეველა პაპები ქართულ წიგნებს კითხულობენ, მაგრამ ჰაზრი კი აღარ ესძით; ზოგმა სახელ-გვარის მოწერაც იცის მხედრული ხელითა. პაპის

შვილი პირდაპირ იღებს მამის წოდებასა; უბრალო კაცის შვილი კი მოუმზადებლათ ვერ გახდება პაპათ. შემზადება იმაში მდგომარეობს, რომ ღედ-მამა თავის ყმაწვილს პატარაობისასვე აბარებს რომელსამე პაპასა, და ამისგან ბავშვი ჯერ ხუცურ კითხვას სწავლობს, მერმე ეკკლესიურ გალობასა. შასის მაგივრათ ყმაწვილი თავის ოსტატს ემსახურება: საქმელს უკეთებს, წყალს უზიდავს და ყველა იმის ბრძანებას ასრულებს. სწავლას როცა გაათავებს, მოწაფე თავის ოსტატს სადილს გაუკეთებს და ამ დროს უნდა აჩუქოს ხარინ ძროხა. პაპათ კურთხება საყდარში მოხდება ხოლმე. საკურთხებელი ენთხვევა ტრაპეზს და ხატებს, მერმე პაპა ასხურებს წმინდა წყლითა და წაუკითხავს ლოცვასა. ამითი გათავადება კურთხება. მონათელა თითქმის ისევე სრულდება სენათში, როგორც ჩვენში. ზიარებაც აქამდის. შეუნახავთ აღსარება კი დაეიწყებიათ. მაგრამ ზიარებას სენები მარტოსიკედლის წინ იღებენ. ამის გარდა ჩვეულებათ აქეთ ბერიკაცების ზიარება შორ გზაზედ წასვლის წინეთ. წირვა-ლოცვა თუმცა შეცვლილია, მაგრამ რიგით ისევე ჩვენსას. ჰგავს, და, რა სიკვირველია, ქართულ ენაზედ სრულდება. პაპა მოუმზადებლათ ვერა სწირავს. მისაც შეკვეთა უნდა, წინ საღამოზედვე უნდა შეატყობინოს. ღლით წირვის წინ პაპა არცა სჭამს, არცა სვამს, არც პირს გამოირეცხავს და არც დაიბანს. უცხო კაცისათვის აქაური წირვა-ლოცვა სწორეთ სასაცილოა. ჯერ მღვდლის და მთავრის შემოსილება გააკვირვებს კაცსა. მთავარს ოლარის მაგივრათ რალაც ჭუჭყიანი ძველი ჩვარი ჰკიდია, მღვდლის ფილონიც ამაზედ უკეთესი არ არის. ბარძიმ ფეშხუმის მაგივრათ პაპა ხის ფეხიან სტაქანს ხმარობს, ლახერის მაგივრათ უბრალო დანასა. ძითხვა და გალობა გადარეულგადმორეულია; ზოგი ლოცვისას მარტო თავსა და ბოლოს გაიგონებ, შუა კი არსად არის; ზოგს ბოლო აკლია და სხვა ლოცვის თავი ბოლოთ აქვს მიკერებული. წირვა-ლოცვაზედ პაპა მალმალ იხსენიებს მთელი სოფლის ყველა გვარეულობასა. ღვინის მაგივრათ ზიარებისთვის ოტკასა ხმარობენ.

სვანეთში ყველა მარხვა არ შენახულა. მთხზაფათ-
პარასკევს მარტო პაპები მარხულობენ, ხალხი კი არა. დიდ-
მარხვას ფრიალი პატივი სძევს და მთელი ხალხი მტკიცეთ
ინახავს. შველიერიც აქამდის დარჩენილა სვანეთში. უქმეები
ბევრი იციან. შევლაზედ დიდ უქმეებათ სვანებს მიაჩნიათ;
მლიობა, ბიორგობა და ძვირიაკობა. ღღესასწაულებს სვანეთ-
ში ქართველურათ უქმობენ. ამ დროს ყველანი მუშაობას
თავს ანებებენ და დროს სიმღერით და სმით ატარებენ. რო-
გორც ქართველებს, ისე სვანებს წინასწარმეტყველი მლია
წვიმის და აედრის მიხეზათ მიაჩნიათ. ზვალვის დროს სვანები
მლიას ცხვეწებიან და მსხვერპლათ თხებს შესწირვენ ხოლმე.
სვანები ბიორგობას როჯერ უქმობენ ჩვენებურათ, 23
აპრილსა და 10 ნოემბერსა. შმათერესი უქმე სვანეთში ძვირიაკა
და იგლიტის დღეობაა; ამ წმიდანების სახელზედ არსებობს
უდაბნო, რომელიც არის აშენებული მშვენიერ ადგილსა.
ამის მეტი უდაბნო სვანეთში არ არის. ამ წმიდანების დღეო-
ბას წელიწადში როჯერ უქმობენ და მთელი სვანეთიდგან
იკრიფება ხალხი. მარდა ამისა ნათლისღებას, ძრისტეს-შობას
და აღდგომას სვანები დიდი პატივით უქმობენ. აღდგომას
ორ კვირას დღესასწაულობენ. პასექის უქმობა ჩვენსას მოა-
გონებს კაცსა. ზათენებისას ხალხი საყდართან მოიკრიფება
სამთლებით, ბაირახებით და ნალარით. საყდარს გარს სამჯერ
შემოუყვლიან და ლიტონიას თოფის სროლით გაათავებენ.
ამ დროს მთელი ხალხი რისხავს და სწყევლის ურიებსა;
ძვერცხების წითლათ შეღება სვანეთში არ იციან. აღდგომის
დღეს პაპები სახლებში მისალოცათ დადიან. ამათ მოსვლის
წინეთ ჯალაბობა სახლის კარებს კეტავს და მხოლოდ მესამე
დაძახების შემდეგ უღებს. პაპა სახლის კარებშივე კითხულობს
პირველ თავს იოანეს სახარებისასა და მერმე წარმოსთქვას;
ძრისტე აღზდგა მკვდრეთით. . . .

მკვდრის დასაფლავების დროს ბევრი თავისებური ჩვეუ-
ლებები აქვთ სვანებსა. მკვდარს დასაფლავებენ საყდრის გალა-

ვანში, სადაც ყველა სახლობას თავისი საკუთარი ადგილი აქვს. საყდარში ან მის კედლების ახლო დამარხვა აღკრძალულია. სამ წელზედ პატარა ყმაწვილი საზოგადო სასაფლაოზედ არ გააქვთ, ან თვითონ სახლში მარხვენ, ან სახლის გარეთ. საზოგადო სასაფლაოზედ აგრეთვე არ იმარხებიან უკანონოთ ნაშობნი და იმისთანა მკვდარი, რომლის სხეულიც სიკვდილის შემდეგ მაშინვე შლას დაიწყებს. მეტათ შესანიშნავია ის ჩვეულება, რომ სვანებმა აედარში დასაფლავება არ იციან; მკვდრის სხეული დაუმარხავი სძევს გამოდარებადის. **თუ** აედარმა დიდ ხანს გასტანა, მაშინ სოფელი, ნათესაობის დაუკითხველათ, მკვდარს ჩაფლავს სადმე უდაბურს ადგილსა. **თუ** იმ კვირის განმავლობაში, როდესაც სხეული ჩაფლავს მიწაში, წვიმა მოვიდა, მაშინ სვანები იმას ისევ ამოიღებენ მიწიდან და შორს დამარხვენ. **თუ** წვიმა მალე არ გადიღებს, მაშინ მეორეთ ამოსთხრიან, სხეულსა, სადმე ორმოში ჩაადებენ და მიწის მიყრის მაგიერათ ზევიდან ფიცრებს და ქვებს წაათარებენ. საზოგადოთ სვანებს აედრისა ძრიელ ეშინიანთ. **თუ** უცხო ქვეყნელის მისვლას თან წვიმა მიჰყვა, სვანები დიდათ შეძრწუნდებიან. იმათი აზრით ეს არის ნიშანი ღვთის რისხვისა. **თვითონ** დამარხვა მკვდრისა ამ წესზედ მოხდება ხოლმე. ბაბანის და მოპარსის შემდეგ, მიცვალებულს ფხილებს დააჭრიან, ჩააცმევენ ტანისამოსსა, ხელში სამთლებს მისცემენ და ხის კუბოში ჩაასვენებენ. ბამოსვენებაზედ და სასაფლაოზედ გასაცილებლათ მთელი სოფელი შეიკრიბება. ამ დროს იწყება გამოტირვა: ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ შედის სახლში და დაჩოქილი ტირის. ბამოტირებას რომ გაათავებენ, მიცვალებული გამოაქვთ და სასაფლაოზედ მიაქვთ. ამ დროს მთელი სოფელი თან მისდევს. წინ მიჰყავთ ხარი, ძროხა, ან მოწვერი, რომლებიც პაპებისა; შემდეგ მიდის მეზარე და ბოლოს პაპები. მეზარეს ხელში ზარი უჭირავს, პაპებს ჯვარი. **თავ** მოხდილი კაცები და ქალები რიგზედ მისდევენ კუბოსა. ქალებს ლე-

ჩაქი ამ დროს ახდელი აქეთ. სასაფლაოზედ ყველა დაიხო-
ქებს. ამას მოსდევს ანდერძის აგება. დამარხვის შემდეგ ყვე-
ლანი ჭირისუფალს მიჰყვებიან სახლამდის, საიდგანაც მხო-
ლოდ ჭამის და სმის შემდეგ წაველენ-წამოველენ. მგლოვობა
მიცვალებულისა სვანეთში ჩვენებურათ იციან. საზოგადო
ჩვეულებისამებრ, სახლობამთელ წელიწადს სადილის და ვახშამის
დროს ცალკე კერძსა სდგამს მიცვალებულისათვის, თითქო
მის მობრუნებას ელისო, და ყოველ შაბათობით საფლავზედ
გააქვს პური, არაყი და ქველი, რომელსაც, რასაკვირველია,
მიცვალებულის მაგივრათ, პაპები სჭამენ.

სვანი ადელი საცნობია. ის არა გავს იმ მთის ხალხებს,
რომლებიც სვანეთის გარეშემო ბლომათა ცხოვრებენ. პირის
სახით სვანი მაშინვე მთიურ ქართველებს მოგაგონებს: თუ-
შებს, ფშავეებს და ხევსურებს. ტანით წამოსადგია და სალი
შებედულობა აქვს. სვანის ტანთ-საცმელი ცოტათი განირ-
ჩევა მეგრელის და იმერლის ტანისამოსიდგან. მას ზევიდგან
სხვილი შალის ჩოხა აცვია, ქვევით მსხვილი და ჭუჭყიანი
პერანგი, ფეხებზედ ქალამნები აქვს ამოკრული. თაცსახური
სვანს ორ ნაირი აქვს: საზამთრო და საზაფხულო. ზამთარში
სვანი იხურავს მალალ და წვეტიან ნაბდის ქუდსა, თეთრის
ან შავის ფერისასა, რომელსაც ნაპირები ქვევით აქვს ჩამო-
შვებული. ზაფხულში სვანი ხმარობს იმერულს ფაფანაკსა,
რომელიც ისე პატარაა, რომ საქოჩრეს ძლივსა ფარავს.
სვანს ტანისამოსზედ უფრო უყვარს იარალი, რომელიც შეს-
დგება: თოფიდგან, დამბაჩიდგან და ხანჯლიდგან; ხმალს კი
სვანები არა ჰყურობენ.

როგორც თითქმის ყველა მთიურ ხალხსა, სვანსაც გამ-
ჭრიახი ნიჭიერება აქვს. მაგრამ სვანეთის მდებარეობა და
ხალხის გამარტოება განდა ამის მიზეზი, რომ სვანები გაუხ-
სნელნი დარჩნენ და აქამომდე ველურ მდგომარეობაში
იმყოფებიან. ზნეობითი თვისება სვანებს მთიური ხალხისა
აქეთ. როგორც სხვა მთიურებს, ისე სვანებსა თავისი სამშო-

წლო ქვეყანა მეტის მეტათ უყვართ. ბევრი სვანი ისე და-
ბერდება, რომ ლეჩხუმის მეტი მხარე არა ნახოს. ბევრს ზემო
სვანელს არ უნახავს ქვემო სვანეთი. თუ ჰკითხავ, რატომ
ზამთარში იმერეთში სამუშაოთ არ ჩამოდინართო, სვანე-
ბი მაშინვე მოგიგებენ, ჰავისა გვეშინიანო. მართლაც სხვა ჰა-
ვის ატანა სრულიად არ შეუძლიანთ. ამბობენ, ოთხმოცი მი-
ლიციონერი, ქვემო სვანეთიდგან წასული შავი ზღვის პირას
ციხეში, პირველ ზაფხულშივე მთლად დაიხრცა ცხელებისა-
განაო. უმთავრესი ზნეობითი სენი სვანებისა არის მოსისხლო
მტრობა. სვანეთში სისხლი სისხლმა უნდა გაღიხადოს. თუ
სვანს ვისიმე ნათესავი ჩხუბში შემოაკვდა, თვითონაც მოკ-
ლულის ნათესავებიდგან უნდა სიკვდილს მოელოდეს. ამას
ეძხვნიან სისხლის მართებასა, ამ უწყალო ჩვეულებას მოსდევს
თან ხშირი შფოთი და ჩხუბი კერძო პირებს და სოფლებს
შუა. ამიტომაც ყოველ სახლობას წინ მაღალი კოშკი უდ-
გია, სადაც მტრის დაცემის დროს შეეფარება ხოლმე. ეს
კოშკები ისე დიდი ხნისანი არიან, რომ ამათი აშენება არა-
ვის ახსოვს. მტყობა წარსულ საუკუნოებშიაც სვანებს ერთ-
მანეთში ომი და ჩხუბი ხშირათ ჰქონიათ. მართმანეთის მტ-
რობა სვანს თავის სიცოცხლეს შიშ ქვეშ ატარებინებს. რო-
გორც სახლში, ისე სახლის გარეთა სვანს ეშინიან შეხვდეს
იმას, ვისიც სისხლი მართებს. რამ წამ მზე ჩავა, ეს მა-
შინვე საქონელს გომში შერეკავს და კარს მაგრა ჩაკეტავს;
ღამე გზას იშვიათათ გაუდგება.

სვანეთი მეტათ ღარიბი ქვეყანაა. სიღარიბის მიზეზი
მცხოვრებლების სიზარმაცეა. ცუდაობა ამათ ძრიელ უყვართ.
სვანები მუშაობენ მხოლოდ აქაურ მოკლე გაზაფხულზედ
და ზაფხულში, მთელ გრძელ ზამთარს კი უქმათ ატარებენ.
ამის გარდა ყოველ კვირა სამ დღეს მუშაობა აკრძალულია,
პარასკევს, შაბათს და კვირას ვერავის შეუძლია ისაქმოს.
ამასთან კიდევ მართმადიდებელი ეკლესიის ყველა დღესა-
სწაულებს მტკიცეთ უქმობენ. უმეტეს ნაწილათ დროს ატა-

რებენ თოფის სროლაში და სმაში. სვანები არიან მშვენიერი მონადირენი, ამიტომ თოფის სროლაში გაოსტატებულნი არიან. სძას და ლხინს. სვანები ხან ერთ მეზობელთან მართვენ, ხან მეორესთან. სტუმრები სხედან ზოგი მიწაზედ, ზოგი სკამებზედ. აქ უნდა მოვიხსენოთ, რომ თვით უღარიბეს სვანს მკბელი უთუოთ აქვს სახლში. საჭმელს-სასმელს ქალები უმზადებენ, ლხინში კი მონაწილეობას არ იღებენ. ამ დროს ხის სტაქნებს, მყრალი არაყით საცხებს, ერთგულათ სკლიან სვანები. რაკი თავში გაუჯდებათ, ისეთ საშინელ ყაყანს ასტყენენ, რომ აღარა ფერი ისმის. რა საკვირველია, ამ გვარი ლხინი ძალიან ხშირათ გათავდება ხოლმე ჩხუბით და ხანჯლის ტრიალით.

სვანეთში მდედრობითი სქესი ბევრით ცოტაა მამრობითზედ. ამის მიზეზი ერთი საზარელი ჩვეულებაა: ახლათ ნაშობი ქალების ხოცვა. უწინ ეს ჩვეულება ძრიელ იყო გავრცელებული მთელ სვანეთში და მრავალი ბავშვი იხოცებოდა ყოველ წლივ. შვემო ანუ სადადიანო სვანეთში ეს ჩვეულება ახლა სრულიად ამოიკვეთა ღადიშკელიანის, პრისტაეის და ღვდლების ცდილობითა; ზემო სვანეთშიაც თან და თან მცირდება, თუმცა ჯერ სრულიად არ ამოთხვრილა. უშვერი ცრუმორწმუნეობით სვანი დაჯვრებულია, რომ ქალის სიკვდილი უთუოთ ვაჟს შემმატებსო. ამ ჩვეულებას თან მოჰყვა მდედრობითის სქესის შემცირება და აქედგან წარმოსდგა ერთემანეთის ცოლების ტაცება. მოტაცება ისე ხშირათა ხდება სვანეთში, რომ თითქმის ყველ ბიჯის გადადგმაზედ გესმის ჩივილი ამ ბარბაროზულ მოქმედებაზედ.

მთელ სვანეთში თავადობის უფლება აქვთ მარტო ღადიშკელიანებს. ამათ მფლობელობის ქვეშ მარტო ქვემო სვანეთია. ზემო სვანეთში ახლა აღარც თავადები არიან, აღარც აზნაურები. უწინ მთელი ზემო სვანეთიც აზნაურების საყმო ყოფილა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ხალხი ადგომია თავის მებატონეებს, დაუძლევიან, უფლება ჩამოურთმევიან და განთავისუფლებულა. შველაზედ გვიან ჩამოართმევიან

ბატონობა აზნაურ ჩარკვიანს, რომელსაც მხოლოდ ოც და ათი წლის წინათ წართმევია თავისი შამული და ყმები. ახლაც ცოცხალია ეს აზნაური და ყველაზედ ღარიბათ სცხოვრობს.

სვანეთში საზოგადო საქმეებს მთელი ხალხის კრება სწყევტს. ამ კრებაში ქალებიც დაესწრებიან ხოლმე, მაგრამ მართო კაცებს აქვთ ხმის მიცემის სიმართლე. აქ რჩევის და მოლაპარაკების დროს ისეთი ყვირილი და აყალ-მაყალია, რომ გეგონება ხალხი საჩხუბრათ შეყრილაო. საქმეები გადაწყდება ხოლმე ხმების უმრავლესობით.

სამურზაყანო.

უქველია, რომ ბევრი ამ ქვეყნის სახელს პირველათ გვიგონებს. ზოგმა იქნება კიდევ იფიქროს, რომ იმას ჩვენ საქართველოში ნაწილი არ უნდა ჰქონდეს და მასთან არ უნდა ირაჯებოდესო. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ქართველებმა თავის სამშობლო ქვეყანა სრულიად არ იციან. სამურზაყანო წმინდა ქართული ქვეყანაა. ამ მხარის უცნობობა, დაუდუნელობის გარდა, მდებარეობიდანაც წარმოსდგება. სამურზაყანოს უჭირავს საქართველოს განაპირი და მიჯარდნილი ადგილი, სადაც ქართველი კაცი სრულიად არა ხვდება. მით უფრო საჭიროა სამურზაყანო მოკლეთ მაინც აეწერათ.

სამურზაყანო ისაზღვრება ჩრდილოეთით ძავეკასის ქედით, აღმოსავლეთით სვანეთით და სამეგრელოთი, სამხრეთით შავი ზღვით და დასავლეთით აფხაზეთით. სიგანით ეს ქვეყანა ორმოცი ვერსი იქნება, სიგრძით სამოცი; შეიცავს 23,000 მცხოვრებელსა.

სამეგრელოს და აფხაზეთს შუა მდებარეობამ ბევრი ტანჯვა და წვალვა მიაყენა სამურზაყანოსა. ორივე ქვეყანა ცდილობდა ეს დაესაკუთრებინა და ერთი მეორეს ეცილებოდა. ამიტომ სამურზაყანო ხან აფხაზეთის ხელში იყო, ხან სამეგრელო დაიჭერდა ხოლმე. ქართული ანდაზა: აქ-

ლებები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისესო, სწორეთ აამურზაყანოზედ აცხადდა. ხალხს სამეგრელოს მფლობელობა ერჩინა აფხაზეთის ქვეშევრდომობას, რადგანაც მეგრელები და სამურზაყანელები ერთი ხალხია. ამიტომ შუა საუკუნოებში სამურზაყანო უმეტეს ნაწილათ სამეგრელოს ეკუთვნოდა. ახალ დროში კი აფხაზეთმა, გამახმადიანების შემდეგ, დიდა ძალა მოიკა და სამურზაყანო დაიმორჩილა. მეთექვსმეტე საუკუნის ნახევრობამდის ეს ქვეყანა აფხაზეთის მეოთხე ნაწილათ ირაცხებოდა და აფხაზეთის მფლობელი მმართველათ სამურზაყანოში ნიშნავდა თავის გვარის კაცებსა ე. ი. შარვაშიძეებსა. შკანასკნელი მმართველი მურზაყანი შარვაშიძე თავის მთავარს გაუდგა, სამურზაყანო გააცალკევა აფხაზეთისგან, თვითონ მიითვისა მფლობელობა და ამ ქვეყანას დაარქვა სამურზაყანო ე. ი. მურზაყანის მემკვიდრეობა. ეს მოხდა 1761 წელსა. ამ დროის შემდეგ სამურზაყანო ცალკე სამფლობელო იყო რუსეთთან შეერთებამდის.

ბარდამოცემა მოგვითხრობს, რომ ქრისტიანობა სამურზაყანოში თვითონ ანდრია მოციქულმა დაარსაო. ეს კი ნამდვილია, რომ შუა საუკუნოში, საქართველოს სიძლიერის დროსა, ქრისტიანობა აქ გავრცელებული იყო და მრავალი ეკლესია არსებობდა, ბედის მშვენიერი ტაძარი, მეთერთმეტე საუკუნეში აშენებული, აქამდის მთელი შენახულა სამურზაყანოში. ეს ტაძარი არის აშენებული თეთრი თლილის ქვით, წვეტიანი გუმბათებით დასდგა ერთი მშვენიერის მთის წვერზედ სამურზაყანოს დასავლეთის საზღვართან, აფხაზეთის მახლობლად; ეს ტაძარი ყოველი მხრით სჩანს ძალიან დიდ მანძილზედ. — მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნეში ქრისტიანობა ისევ დაუსტდა. ამის მიზეზი გახდა კოსტანტინოპოლის აღება ოსმალებისგან, რომლებმაც მთელი შავი ზღვა თავის ხომალდებით სრულიად ხელში დაიჭირეს და ერთგულათ ცდილობდნენ, რომ ქრისტიანობა მოესპოთ და თავიანთი რჯული გავრცელებინათ. ბევრს ადგილს თავის გულის წადილს ეწივნენ, მაგრამ სამურზაყანოში კი ვერ დაამკვიდრეს მახმადიანობა;

თუმცა ქრისტიანობა მეტათ შეასუსტეს და თითქმის ხალხს დაავიწყეს. რომ სამურზაყანოში მახმადიანობა მტკიცეთ დაარსებული არა ყოფილა, ამას ცხადათ ამტკიცებს ჯერ ის ფაქტი, რომ ამ ქვეყანაში მეჩეთი წარსად იპოვება, მეორეთ ისა, რომ ხალხმა ქრისტიანობა აღვილათ მიიღო.

თუმცა ახლა სამურზაყანელები ყველანი ქრისტიანები არიან, მაგრამ უფრო სახელით, მინამ საქმით. ქრისტიანობაზედ ამათ ნამდვილი სიყვარული არა აქვთ და გულგრილათ უყურებენ. აქაური კნიაზები თავის ქალებს ხშირათ ათხოვებენ აფხაზეთში და მახმადიანებს აძლევენ, სადაც ესენი თავის ქრემების რჯულზედ იქცევიან. წარმართული ცრუ მორწმუნეობაც ბევრი დარჩენილა სამურზაყანოში. ჩვენ აქ მხოლოთ ერთს მაგალითს მოვიყვანთ: სამურზაყანელების ჰაზრით სამჭედლოს გრდემლმა ყველაფერი იცის და სასწაულ მოქმედების ძალა აქვს; მჭედლებიც მკითხავებათ მიაჩნიათ. რამწამ ავათ გაუხდებათ ვინმე ან სხვა უბედურება შეემთხვევათ, მაშინვე მჭედელთან გაიქცევიან, რომელიც ფიცხლავ ვისიმე სამჭედლოს მიზეზს გამოჰგვრის. ბამწყრალ სამჭედლოს სამურზაყანელები სხვა და სხვა საკლავს შესწირვენ ხოლმე. ეს ცრუ მორწმუნეობა მჭედლებს, შესაველის გარდა, იმ სარგებლობასაც უშვრება, რომ თავისი სამჭედლო და სახლი დღე და ღამ რომ ღია ჰქონდეს, ფიქრი არაფრისაა; ჯერ სამურზაყანოში მაგალითი არა ყოფილა, რომ მჯედლის საკუთრება ვისმე მოეპაროს.

თითქმის მთელი სამურზაყანო ტყით არის დაფენილი; სახნავე სათესი მიწდორი ძალიან ცოტაა, ამიტომ პური ამ ქვეყანაში გარედგან შეაქვთ და მცხოვრებლები უმეტეს ნაწილათ ნაყიდი პურით იკვებებიან. შინაური პირუტყვის მოშენებას, მეტადრე ცხერისას, სამურზაყანელები ერთგულათ მისდევენ; მაგრამ აქაური საშინლათ ცხელი ზაფხული ამ წარმოებას აბრკოლებს. რადგანაც ცხვარს ზაფხულში აქაური პაპანაქების ატანა არ შეუძლიან, ამიტომ მალლა მთებზედ მიუღლით, რომლებიც მნგურის მარჯვენა ნაპირს მდებიარებენ

და სადაც ნოყიერი ბ.ლახი უხვათ მოდის. — მს საძოვარი ადგილი თავადების საკუთრებაა, და ამიტომ სამურზაყანელებს ასზე ერთს ცხვარს ართმევენ საბალახოს ფასათ. ამ საბალახოს გარდა ხალხი სხვა ხარჯს არას იღებს.

სამურზაყანელები უფრო ქონებრივი არიან, მინამ აფხაზელები და მეგრელები. შიკი მამეში ამისი არის ისა, რომ ამ ქვეყანაში ხალხს თავისუფლობა ჰქონდა და ბატონ-ყმობა არ გამოუცდია. მეორე მიზეზი ტყის სიუხვია. აქაურ ტყეებში ყველა გვარი ხეები ხარობენ და მეტათ ღიდები იზდებიან. მცხოვრებელნი ჰყიდიან ხეტყესა, რომელსაც უმეტეს ნაწილათ გემების აშენებაზედ ხმარობენ.

აფხაზეთი.

აფხაზები ჩამომავლობით ქართველი ნათესავისა არ არიან და შეადგენენ ცალკე ტომსა. მაგრამ აფხაზები მაინც ყველაკავკასიის მთის ხალხებზე ახლო არიან ჩვენთან. შუა საუკუნეებში საქართველო და აფხაზეთი ერთათ იყვნენ შეერთებულნი და ერთ სამეფოს შეადგენდნენ; მეტადრე შამარ დედოფლის დროს მტკაცე კავშირი არსებობდა ამათ შუა. ამ დროს საქართველოს დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთზე და ბევრითაც დაიმგზავსა. ამიტომ მეტი არ იქნება, რომ აფხაზეთსაც საქართველოს გეოგრაფიაში წილი დაუდოთ. — შუა საუკუნეებში საქართველოს გავლენა აფაზეთისთვის ყოვლის მხრით სასარგებლო იყო. ამ დროს აქ წარმართობის მაგიერათ ქრისტიანობა გავრცელდა, რომელმაც ხალხის ზნეობა ბევრით გააუკეთესა. საყდრები და მონასტრები მრავალი აშენდა. ზოგი ამათგანი აქამდის მთელი შენ ხულა, ბევრი კი დანგრეულა და მოგზაური აფხაზეთში ნანგრევებს ბევრსა ხედავს. მთელთ აქამდის შენახულ ეკკლესიებში შესანიშნავნი არიან: შიკუნდისა, ღრანდისა და ილორის ეკკლესიები. შემდგომ აფხაზეთი გაცალკევდა საქართველოსგან და მსპალეთის გავ-

ლენის ქვეშ მიეცა. ოსმალები ცდილობდნენ, რომ აქ ქრისტიანობა ამოეფხვრათ და თავიანთ რჯული გაეცრცელებინათ. ეს ცდილობა უნაყოფო არ დარჩა; ჩქარა აფხაზეთმა მაცხოვრის მაგიერათ მახმადს დაუწყო თაყვანისცემა. მაგრამ ყველა აფხაზეთი კი არ მიქცეულან ოსმალების რჯულზედ. მფლობელის სახლობამ და ბევრმა თავად-აზნაურთაგანმა მტკიცეთ დაიცვეს ქრისტიანობა ჩვენ დრომდის. ღაბალი ხალხი ზოგი გამახმადიანდა, უმეტესი ნაწილი კი ისევ წარმართობაში დარჩა. ეს მდგომარეობა ცოტაოდენი ცვლილებით აქამდის გრძელდება. საკვირველია, რომ სარწმუნოების განსხვავება აფხაზებ შუა მტრობას და სიძულილს არა ჰბადავს; ბერს ჯალაბობაში ზოგი ქრისტიანია, ზოგი მახმადიანი, მაგრამ ამათ ერთმანეთში ჯეროვანი სიყვარული აქეთ. ბოლოს დროს კი აფხაზეთში ქრისტიანობა ვრცელდება რუსული მართებლობის ცდილობით. — რუსეთმა აფხაზეთში თავისი ჯარი შეიყვანა 1810 წელსა; ეს მოხდა თვით აფხაზეთის იმ დროის მფლობელის თხოვნით, რომელსაც არა ჰქონდა შეძლება, რომ შინაური არეულობა მოესპო. წარსულ წელში აფხაზეთში არეულობა მოხდა და ბევრი მცხოვრებლები ოსალეთში გადასახლდა.

აფხაზეთს ჩრდილოდით კავკასის ქედი საზღვრავს, აღმოსავლეთით სამურზაყანო, სამხრეთით შავი ზღვა, დასავლეთით არღონა; ქვეყანა განიყოფება ორ ნაწილათ: საკუთარ აფხაზეთათ და წებელდათ. აფხაზეთი გარდასახლებამდის იპყრობდა სულ 74,000 მცხოვრებელსა. —

საკუთარი აფხაზეთი გაგრძელებულია სამურზაყანოდგან არღონამდის. ქვეყანა დაფენილია კავკასის ქედის ტოტებით, რომლებიც წამოგრაგნილნი არიან სამხრეთით შავის ზღვისკენ. ზღვის პირას კი აფხაზეთი სწორე და დაბლობი ადგილია. მთის ტოტებს შუა ჩამოსდევენ ვიწრო დედეგები, რომლებზედაც მრავალი მდინარეები მოარბიან. ამათ ბევრი ნარიყი ჩალაბულა და ხის ფოთოლი მოაქვთ თანა, შავი ზღვის ახლო ვაკეზედ სტოვებენ და ქაობებს აჩენენ. ამ ქაობებში

მაღალი და ხშირი ბალახი ამოდის, რომელიც ღვება და მან-
ნებელ მიაზმებს აჩენს ჰაერში. ეს არის მიზეზი იმ ცუდი
თვისების ციებ-ცხელებისა, რომელიც აქაური მცხოვრებლე-
ბის უმთავრეს სენს შეადგენს. ხშირი ციებ-ცხელება აფხა-
ზეებს ფერს უკარგავს და ისენი უმეტეს ნაწილათ ყვითელი
ფერისანი არიან. სხვა მხრივ აფხაზეთის ჰაერი ნაქებია. რო-
გორც ზაფხულში, ისე ზამთარში ჰავა ზომიერია. ზაფხულ-
ში შავი ზღვიდგან მუდამ გრილი ნიაფი მოდის, ზამთარში
თბილი ქარი უბერავს. მეტადრე ზამთარში მშვენიერი სამ-
ყოფია ბევრი ზღვის პირს მდებარე ადგილები. მოვლი იქ
ძალიან იშვიათათ გაჩნდება ხოლმე. ბევრჯელ მთელ ზამ-
თარში ცის ქვეშ ყვავილები ყვავიან. ამიტომ აფხაზეთში ბე-
ერი ამისთანა ხეხილი ხარობს, რომელიც თბილ ქვეყნებს
ეკუთვნის და სხვაგან საქართველოში არა ხეირობს. აფ-
ხაზეთის დასავლეთის ნაწილში ამ წინახედ ზეთის ხილის ხე-
ები ნახეს ველურ მდგომარეობაში, სოხუმის ბაღში გადმორ-
გეს და აქ ამათ ნაყოფის მოსხმა იწყეს. ლიმონის ხეებიც
პირდაპირ მიწაში ხარობენ. ტყე აფხაზეთში უხვათ არის და
კარგი თვისებისაა, მეტადრე მთის მუხა; სხვა გვარი ხეც ბეე-
რია: წითელი ხე, კაკალი, იფნი და ბზის ხე, რომელიც მს-
მალეთში გააქეთ და კარგ ფასად ჰყიდიან. შაზები უხვათ ხა-
რობენ ამ ქვეყანაში და მაღალ ხეებზედ არიან გაშვებულ-
ნი, როგორც სამეგრელოში და ქვემო იმერეთში. თუმცა
ვაზებს მოვლა სრულიად არა აქეთ, მაგრამ ღვინოს კარგსა
აყენებენ. ბოლოს დრომდის ეს ღვინო ყირიმში ბლომათ
გაჰქონდათ გასაყიდათ და ეძახდნენ ბომბორის ღვინოსა. ხე-
ნა-თესვა და შინაური პირუტყვის მოშენება შეადგენენ უმ-
თავრეს საქმეს აფხაზეთისას. ხენა-თესვა უფრო გავრცელე-
ბულია აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში, შინაური პირუტყ-
ვის ყოლა აღმოსავლეთის ნაწილში. აფხაზეთში მხოლოდ
სიმინდი და ღომი მოჰყავთ, პურს არა სთესვენ; შინაურ პი-
რუტყეს სრულიად მოვლა არა აქეს; მთელ ზამთარში გარეთ
იკვებება, პატრონი არაფერს დასდევს; ამიტომ საქონელი

მცირე და ცუდი ჯიშისაა; კამეჩს კი კარგი გეარისას ინახვენ. ვაკრობას აფხაზები სრულაად არ მისდევენ. აღებ-მიცემა ოსმალების და მეგრელების ხელშია. თვითონ აფხაზებს ვაკრობა შესარცხვენ საქმეთ მიახნიათ, ამიტომ აღებ-მიცემა ამ ქვეყანაში არა ვრცელდება.

ნაციონალური მმართველობა აფხაზებისა საინტერესოა გასაცნობათ. შმათერესი უფლება მფლობელის ხელში იყო; მაგრამ ამას დესპოტურათ მოქმედება არ შეეძლო. ეს ვალდებული იყო თავის ქვეყანა ისე ემართა, როგორც ხალხის ჩვეულება და საზოგადო ინტერესი მოითხოვდა, და არა ისე, როგორც თვითონ უნდოდა. ამიტომ ხალხის ყრილობას აფხაზეთში კარგა მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხის კრება მოხდებოდა ხოლმე, მთავრის ნებადართვით, მაშინ, როდესაც საზოგადო საქმეების გასჯას საჭიროება მოითხოვდა. თავმჯდომარეთ ხალხის ყრილობაში თვითონ მფლობელი იყო ხოლმე. ეს კრება, სხვათა შორის, ირჩევდა მსაჯულებს, რომლებიც სიკვდილამდე რჩებოდნენ თავის თანამდებობაში. მსენი ამორჩევის შემდეგ იფიცავდნენ, რომ თანამდებობას სეინილისიანათ აღასრულებდნენ, ამიტომ ამათ აფხაზები ნაფიცებს ეძახდნენ. მსაჯულის სიკვდილის შემდეგ იმის ადგილას სხვას ამოარჩევდნ ხოლმე, მთავრის ნებაყოფლობით. საქმეების განსჯა ამ ნაფიცებზედ იყო მინდობილი. ზამოძიება და გადაჭრა ადგილობრივ მოხდებოდა ხოლმე. მოდავეები თავის ადგილს მიიწვევდნენ რამდენსამე მსაჯულსა და ესენი თანამდებნი იყენენ გამოცხადებულ იყენენ დანიშნულს ადგილს საქმის გასარჩევათ. სასამართლოსთვის სახლები არ იცოდნენ, ზამოძიება ცას ქვეშ მოხდებოდა ხოლმე და ამ დროს ყველას შეეძლო აქ დასწრებოდა. თუ მსაჯულებს შუა უთანხმოება მოხდებოდა, მაშინ საქმეს თვითონ მთავარი გადასწყვეტდა. საკვირველია, რომ სიკვდილით დასჯა აფხაზეთში არას დროს არა ყოფილა:

აფხაზეთში მხოლოდ ერთი ქალაქია, სოხუმი ანუ სოხუმ-კალე,

რომელიც შავი ზღვის პირსა სძევს და სადაც სამ კლასიანი სასწავლებელი არსებობს.

წებელდა. წებელდას უჭირავს აფხაზეთის ჩრდილოეთის კუთხე და მიკრულია ძავეკასის ქედზედ. წებელდა დაფენილია ამ ქედის კალთებით და ტოტებით და ძალალი მდებარობა აქვს. ამის გამო ამ ქვეყანაში ჰავა გაზორებით ცივია, მინამ საკუთარ აფხაზეთში, და მცენარეობითაც უფრო ღარიბია. რომელიც წყლები წებელდაში გამოდიან, ქვევით ერთდებიან და შეადგენენ მდინარე პოდორსა, რომელიც დაბლა აფხაზეთში ჩამოდის და შავ ზღვას ერთვის. წებელდაში 8,000 მცხოვრებლამდის ითვლება.

წებელდა დიდი ხანი არ არის, რაც გაშენდა. მეჩვიდმეტე საუკუნემდის აქ არაფერია ესახლა, თუმცა აფხაზეთის ნაწილად ითვლებოდა. პირველათ წებელდაში დასახლდა ერთი თავადი, გვარათ მარშანი. მარშანი აფხაზი არ იყო; ეს გადმოსახლდა, აფხაზეთის მფლობელის ნებადართვით, შასადან, შინაური აღრეულობის გამო. მარშანს თან გადმოჰყენენ რამდენიმე აზნაურის და გლეხის სახლობანი, რომელიც ამის ქვეშევრდომნი იყვნენ. ეს ამბავი დიდი ხნისა არ არის, და ამიტომ თითქმის ყველა წებელდელი ჩამოგითელის მარშანის ჩამომავლობასა. მხლანდელი უპირველესი თავადი წებელდაში არის შვილის შვილის შვილი პირველათ მოსული მარშანისა. წებელდა თან და თან გაშენდა უმეტეს ნაწილათ აფხაზეთიდან გადმოსახლებული მცხოვრებლებითა, მაშა სადამე ახლანდელი წებელდელი აფხაზები არიან ჩამომავლობით. წებელდაში დასახლებული მცხოვრებნი ჯერ აფხაზეთის ქვეშევრდომნი იყვნენ, რადგანაც მისი ადგილი დაიჭირეს, მაგრამ მერმე აფხაზეთში არეულობით ისარგებლეს და წებელდა თვითონ დაისაკუთრეს. შეელაზედ დიდი უფლებ მარშანებს ჰქონდათ, რადგანაც ამათ მეტი თავადი წებელდაში არ იყო; მაგრამ ამათ იმდენი ძალა არ ეკუთვნოდათ, რამდენიც აფხაზეთის მფლობელსა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ

წებელდაში დაბალ ხალხს უფრო მომეტებული სიმართლე ჰქონდა, მანამ ათხაზეთში. ზღვები პიროვანი ყმანი არ იყენენ მემამულეებისა, ესენი მხოლოდ ღალას აძლევდნენ მიწაში და ნება ჰქონდათ ერთი მემამულესგან მკორესთან გადასულიყვნენ, როცა მოინდომებდნენ. — ზნეობა და ჩვეულობა წებელდლებს ისეთივე აქეთ, როგორც ათხაზლებსა. მცხოვრებლები ქრისტიანები არ არიან: აქ მარტო მახმადიანობა არსებობს. მსმალელი მუღლები ცდილობენ თავიანთი სარწმუნოება წებელდაში მტკიცეთ დაიცვან.

მთელი საქართველო ორ გუბერნიათ განიყოფება: დასავლეთის საქართველო შუთაისის გუბერნიას შეადგენს, აღმოსავლეთისა — თბილისის გუბერნიასა. ამათ გარდა ძაგკასის მთის აქეთ კიდევ მდებარებს შედეგი სამი გუბერნია: მრევენისა, ზანჯისა ანუ მლისავეტოპოლისა და ბაქოსი.

მრევენის გუბერნია. ამ გუბერნიას მთა-გორიანი ადგილი უჭირავს. წყალი აქ ნაკლებათ არის და მიწა თიხიან-ქვიშიანია, ამიტომ ამ გუბერნიაში ცხელი ზ. თხული იცის და ცივა ზამთარი. მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი სომხობაა, მცირე ნაწილი თათრობა. მრევენლებს, ხენათესვის გარდა, ბამბა და ბრინჯი ბლომათ მოჰყავთ. ბალიანობას მცირეთ მისდევენ, ჯადგანაც სარწყავი წყალი ცოტაა. მრევენის გუბერნიაში სულ ოთხი ქალაქია: მრევანი, გუმბრი ანუ ალექსანდროპოლი, ნახიჩევანი და ორდუბათი. შესანიშნავია კიდევ დაბა მჩმადინი, სადაც არსებობს უპირველესი სომხების მონასტერი, როგელშიაც სცხოვრობს ამათი პ. ტრიარქი ანუ ქათალიკოსი.

ზანჯის გუბერნია. ჩრდილოეთი ნაწილი ამ გუბერნიისა ვაკე ადგილია, სამხრეთის მხარე კი მთიანი. მიწის ნიადაგი თიხა ნარევი შავი მიწაა და ფრიად ნაყოფიერი. ამასთან მრავალი მდინარეები, რომლებიც სამხრეთით შარაბახის მთებიდგან ჩამორბიან, უხვათა რწყვენ მძლავრ ადგილსა. ამიტომ ეს გუბერნია მცენარეობით მეტათ მდიდარია. მრავალი ხეხილის და ვაზის ბაღებით საამურათ შემოზღუდულნი

არიან სოფლები და ქალაქები; მინდვრები დაფენილნი არიან სხვა და სხვა ნათესითა, რომელთაც მეტათ უხვი მოსავალი იციან. მშენიერი საძოვარი იალაღები შინაური პირუტყვის თაბუნებით და უმრავლესი ცხერის ფარებით არიან მოდებულნი. ამის გარდა აბრეშუმის ქიის ყოლაც გავრცელებულია აქა. მაგრამ ამ საკვირველ ნაყოფიერებას ერთი ცუდი მხარეც აქვს: ბალახი ქაობებში ბევრი ღებება და ცუდი თვისების ციებ-ცხელებას აძრეილებს, მცხოვრებლების სატანჯველათ. ბანჯის ბუბერნია სომხობას და თათრობას უჭირავს. შესანიშნავი ქალაქები არიან: ბანჯა ანუ ქლისავეტპოლი, შუშა და ნუხა.

ბაქოს გუბერნია: როგორც ნაყოფიერებით, ისე ციებ-ცხელებით ეს გუბერნია ბანჯისას არ ჩამოუვა. შმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა სპარსელები არიან, მცირე ნაწილი სომხები. ამათ უმთავრეს საქმეს შეადგენს აბრეშუმის კეთება, რომელიც საზღვარს გარეთ ბლომათ გააქვთ. ბრინჯის და ენდროს მოყვანაც ძრიელ არის გავრცელებული. ეს გუბერნია შესანიშნავია კიდევ ნევთის სიმდიდრითა, რომელიც ამოთხრილ ქვებში გროვდება და აქედან მკრმე ზევით ამოაქვთ. მართ ბლობას ნევთის იჯარიდგან 162,000 მანეთი მეტი შესდის წელიწადში. მოსახსენებელია კიდევ ის ფაქტი, რომ ბაქოს ახლო მიწიდგან ცეცხლი ამოდის და ამ ცეცხლს თავანსა სცემენ ძველი სპარსების ჩამომავალნი. შესანიშნავი ქალაქები ბაქოს გუბერნიაში არიან: ბაქო, შამახა, ქუბა, ლენქარანი და სალიანი.—

ღალესტნის ობლასტიც თავკასის აქეთ მხარეს ეკუთვნის. მცხოვრებლები უმეტეს ნაწილათ ლეკები არიან. აქ მდებარებენ ქალაქები: ღერბენთი და ტემირხანშურა.—

სულ თავკასის მთის გადმოღმა 3.025,000 მცხოვრებელი ითვლება.—

საყმაწვილო ლექსები.

ღეღაბერი და ცხოველნი.

საბრალო ღეღაბრისასა თაგენი ყანასა მკიანო;
ლომნი უქნიან ულოსა და გმირნი შაუკერიანო;
ირემნი ურემს აბიან კალოს პირს ძნასა ჰყრიანო;
შეღები კალოში აბიან, რა ტურთად შამოსცქრიანო;
ზედ ანგელოზნი უდგანან, წვრილ ხმაზე დასძახიანო;
სალამოთ მეღები მოვლენ, კუდით კალოსა გვიანო.
ღათენი წისქვილში გაგზავნეს, ჰურსაც ხო დაუტყვიანო;
ბერიტი ახურებს თორნესა, ტრედნი ხო ამოჰყრიანო;
ზეცას ყარანა გაგზავნეს ფრინველი მოჰკრიფიანო,
შენს მადლსა ჩხიკენი ნუ გინდა, სუფრასა აგვიშლიანო.
სილამაზითა ხოხობი შუაში ჩაისვიანო;
ბულბული გალობისათვის გვერდზედა მოისვიანო.
საწყალი ბერი ქედანი ბოლოში მოიგდიანო,
თითონა სვამენ ღვინოსა, ნაჟურით გახეთქიანო.

ჭრიჭინა და ჯინჯველა.

ჭრიჭინამ ერთხელ ჭრიჭინით მთელი ზაფხული ატარა,
მერმე შიმშილმან შებნიდა, რა ცამან თოვლა პატარა.
ჭია არსად სჩნდა, ბუზი არსად ჰსჯდა.
რა ექმნა საწყალს დამშეულს? სხვა ღონე ველარ იპოვა,
მეზობელს ჭინჭველს მიმართა და მისგან საზღო ითხოვა.
რამდენსმე მარცვალს ესესხა, კვლავ ახალს მოსაგვალამდის,
შეჭთიცა თავნს და-სარგებელს მოკცემ კათათვის გასვლამდის.
ჯინჯველა სესხს ვერ ეწყობა, ვერც-ვის ადვილად ენდობა

და ჰკითხა, ძმაო კრიჭინაე! მანამ ზაფხული დარობდა;
მანამ სხვა და სხვა საზრდელით ტყე და მინდორი მრავლობდა,
ნეტაე შენ მაშინ სად იყავ, და ან რას აკეთებდიო?
„ღე და ღამ გამვლელ გამამვლელს ვუმღერდი, შევაქცევდიო.
„შმღერდი შევაქცევდიო? კარგი გიქნია, მერწმუნე,
შენახვის დროს თუ იმღერდი, ახლა რო გშიან იხტუნე.“

სოფლელნი და მდინარე.

სადლაცა ერთსა სოფელსა,
პატარა ხევში წყარონი ჩაუდიოდნენ ახლოსა;
მარამ ეს ხევი უჩინოდ ყოველ-წელს აღელდებოდა,
და მაშინ ამა სოფელსა საშინლად გააოხრებდა:

ზოგისას ბაღსა ახდენდა,

ზოგსა სახლებსა უქცევდა,

ზოგისა ცხვარი, ქათამი, ზოგის წისქვილი მიჰქონდა,

და ესრეთ ძალად ყოველ წლივ ხარჯსა სოფლიდამ მოჰკრებდა.

ბოლოს ერთს დღესა სოფლელნი,

მოთმინებიდგან გასულნი,

შეჰკრბნენ, იყვირეს, არჩიეს

და ბოლოს ასე გადაჰსჭრეს:

რომ წყაროს ბატონს შეჰსჩიელონ, არზა მიაართონ მდინარეს,
რომელიც მძიმედ, თავმდაბლად, განცხრომით ქალაქს ჩაუდის.
მისგან კაცისა დაჩაგერა არა ჰსმენია არავის:

ჩვენს შეწუხებას წყაროთგან რა იგი ესრეთ მოისმენს,

მათა შეჰსტუქსავს, წაართმევს და მოგვცემს დანაკარგსა ჩვენს.

ამა იმედით სოფლელნი საჩივლელათა წავიდნენ,

და რა ახლოსა მივიდნენ

ნახეს: რაც კარგი მათ ნიეთა წყაროთგან იყო წაღებულ,

სრულებით ყველა მდინარეს თვითონ მიჰქონდა შუაგულ.

მცირეს ხანს გაოცებულნი მწარედ სოფლელნი უმზერდნენ,

შერე შეხედეს ერთმანეთს და თავ-დაკიდვით დაბრუნდნენ:

იქ სამართალი ვით ჰპოვოს საწყალმან ანუ უძლურმან,
სადაცა ქრთამებს იყოფენ მწერლები დიამბეგებთან?

პირი და ბულბული.

პირმა ბულბული ერთხელა
ახლო მჯდომარე იხილა,
და უთხრა: ქება შენის ხმის
თუმცა ბევრთაგან მსმენია,
მარამ არ მჯერა, ვიდრემდის
ჩემს ყურს არ გაუგონია;

მისთვის ფრიად მსურს გისმინო და ვიქმნამე თვით მსაჯულად.
რა ესმა ესე ბულბულსა, შეჰსძახა თავისებურათ;
ხან დაუსტენა, დაჰყეფა, ხან ზედ დაჰკენესა საწყალად;
ზოგჯერ ნაზათ და ნაზათა მისი ხმა მისუსტდებოდა,
და მაშინ ვითა საამო შორს სალამური ისმოდა;
და ხან ხმა მალლივ რაკრაკიფ არესა განაღვიძებდა.
რა მისი, ჭანხდა ხმა არეს,
მყისვე დადუმდა ყოველი;
ნიაფი შეჰსდგა, შეჰსწყვიტეს
სხვათა ფრინველთა ქლივილი.
მწყემსმაც ძირს დასდვა დუდუკი-მის მკმუნვის გამქარებელი;
მგზავრს დააფიწყდა თვისი გზა და იქმნა მისი მსმენელი. . .
ბულბულმან თვისი გრძნობანი, თუ სიყვარული თუ ტანჯვა,
რაცა ვარდისგან მიეღო ყველა სიმღერით წარმოსთქვა.
ბოლოს დადუმდა-და ვირმა ყურები დაუშვა, და რქვა:
ჰო მართლად შენი სიმღერა არა მოაწყენს სმენელსა,
მარამა მებრალეები კი, რო ვერ სცნობ ჩვენსა-მამალსა:
მოტა მისგანც რომ გესწავლა მის საკვირველი ჰანგები,
მაშინ მერწმუნე, რომ უფრო შეიქნებოდი საქები!
ეს სჯა ბულბულსა რა ესმა, კინალამ გული გაუსქდა,

ჯაერით აფრინდა საბრალო და ცხრა მთას იქით გადვარდა...
ჰე ლმერთო! ჩვენცა დაგვიხსენ ესრეთის მსაჯულისაგან!

ჩიტი.

ჰოვლთ უწინარეს მე გავიღვიძებ,
ფრთას ფრთას შემოვკრავ, რა თვალს ვახილებ,
ღაეკრავ, დაუშტვენ, სმენელს ვაგვიყებ,
მშვენიერის ხმით ლმერთსა ვადიდებ.
შუფლისაგან მაქვს სასმელ-საჭმელი:
არც ფთეს, არცა ფმკი, არცა ვარ მხენელი,
ვარ გამაძლარი, მაქვს მე ყოველი;
მოდო ზაფხულო, მე შენ მოგელი!
მიყვარს ზაფხული მწვანით შემკული,
მცელქობ, მაშინ ვარ აღტაცებული.
სახლი მაქვს მინდვრათ ღვთის მოცემული,
ცის ქვეშა ვფრინავ განარებული.
ზეციით მწვანეზედ ჩამოვუშვები,
მშვენიერ ყვავილთ შორისა ვჯდები,
ხან ტყის, ხან წყლისა პირსმოვედები
და ვით ისარი მასზედ გავსხლტები.
ვინ მომეწევა, გინდ იყოს ცხენი,
შავარდენსავით მალი გამფრენი;
მაგრამ მიჭერენ მცირე მახითა
მიტყუებენ რა ხორბლის მარცვლითა.

ლექსი ავთანდილისა.

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი,
ვერც მოჰკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი;
ნახტომსა შევლსა გვერდსა ჰკრა ისარი ორ-პირიანი,
ჰანდრისა ძირსა ჩამოხტა, ცეცხლი დაანთო ძრიელი;

ღაჯდა და შამფური თალა, მწვადი ააგო მცერიანი;
სანამ მწვადი შეიწოდა ცხენსა მისცა საძოვარი.
ცხენმა კაცი დაინახა შორი გზიდგან მომავალთ,
შეხტა ცხენი, შეჰჭიხინა: ისა კაცი ავი არი.
მეჯინიბეს დაუძახა, ლურჯა მომგვარე ჩქარათა,
ბავაზედ ხელი გადუსვა, ზედ წამოახტა მარდათა;
პიწრო გზა გაარბენა, მინდორი უფრო ჩქარათა;
უკუ იხედა მოსდევენ ის ურჯულონი ჯარათა.
ასი ჰკრა და ასი მოკლა, ერთი გადურჩა შავათა;
მართი იმანაც ესროლა, სისხლი წავიდა ღვარათა!
ჩამოხტა მუხისა ძირსა, ტოტი იწოდა ფარათა,
ღასჯდა და წიგნი დაწერა, მტრედ გამოაბა მხარათა:
„მს დედა ჩემსა მიმირთვი: ველარ მოგივალ ჩქარათა,
ბიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზედ შედებე შავათა,
ის ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავათა,
ის ქალი ასეთ კაცს მიეც, მე მჯობდეს თვალათ-ტნათა;
ის ჩემი ციხე ქალაქი თან გაატანე მზითვათა“.

გაზაფხული.

ტყეს ესხმება ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ღხენითა ტირის.
აყვავებულა მღვლო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები? . .

არაგვი.

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი,

და შეუბოვრად მოუთამაშებს
ზარემოს თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შევებით მომზირნო!
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
მდეს შევენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენ ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს;
როგორ იქნება არ განისვენოს:
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრამს ღვინოს;
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყოვებს,
და ნამძინარევს შუბლს განიგრილებს;
მრთს ქართველურად კიდევ შესძახებს,
არაგვო, მაგ შენს გამწვანებულ მთებს,
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს
იგი იმისთვის აღარ დალონდეს!

არაგვი.

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ! . . .
ჩვენ ძველ ცხოვრების მოწამე შენ ხარ!
შენს კიდევზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა განშვენებული;
ჩემის ქვეყნისა ღიდება ძველი
შენი თვალის წინ აყვავებულა,
მიყვარხარ მისთვის რომე ქართველი
აქ შენს კიდევზედ დაბადებულა;
შენს ზვირთებს შორის ჩემის ქვეყნისა
ბრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდევზედ გადასხმულია;
იქ სადაც შენსა წმინდასა წყალსა

შეურეე ხმოვან, შფოთიან მტკეარსა,
იქ ერთხელ ქართველის სიცოცხლე დულდა,
იქ მამულისთვის ქართველის ხმა ქუხდა.
შენ ზვირთებს გაჰყენენ საუკუნენი,
და საუკუნეთ იგი ქართველნი!
ბულხელ დაკრეფილ შენს წმინდასა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადენგბდი თვალს!
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს,
და მარტო სისხლი ჩემ თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულსაკლავ პასუხს!

სიმღერა გიის დროს.

ბავლესოთ, ძმებო, ნამგალი,
პური შეგექნია სამკალი,
ჯერ „ჰოოპუმ“ დაგაგუგუნოთ
და მერე „ჰარი-არალი!“
პერა ხედავთ ჩვენს მეთაურს,
როგორა ხტის? გული უხურს!
რა სიამით და სიხარბით
შეჰყურებს დამწიფებულს პურს!
მეთაურო, დაგეცალე,
ჯერ ეს ყანწი გამოცალე,
მერე გნახავთ, რაც ბიჭი ხარ,
ნამგალი დაატრიალე!
მკაში არც ჩვენ ჩამოგრჩებით,
ჩვენც გვერდში ამოგიდგებით;
ბულ გაღებული, პერანგა,
პურს ცეცხლივით მოვედებით!
და თანასწორ დაუაროთ,
ბულს დარდები გაუქარვოთ,

და ეინც მკაში ჩამოგერჩება,
პირში პური მივაყაროთ!

მეთაურო, თაბაგარო,
ნუ გგონია, რომ დაგეჩაგრო!
ნახავ რომ ჩვენთან მკაშია
შენც ბევრი ოფლი დაღვარო.

მომკლები ვართ ჩვენცა სრული;
არ ვყოფილვართ დაჩაგრულნი;
თაბაგრები თუმც არა ვართ,
მკა კი ვიცით თაბაგრული.

ჰე! დატრიალდა ნამგლები
ბიჭებო გენაცვალეები!
ბიცნობთ სადაურიცა ხართ:
შორაპნიდამ იმერლები!

ამას ჰქვიათ ხელაური,
ასე უნდა მომკოთ პური!
მეთაურო, შენც კარგად მკი,
მაგრამ კი აგდის აღმური.

ჩუ! მტრედმა დაილულუნა,
მკა ხომ ჩვენ არ დაგვიწუნა?
ჰა, ბიჭებო, დატრიალდით!
ჰოოპუნა, ჰოოპუნა!

ჰა, ბატონებო გვიყურეთ,
მთელში რა რიგათ მოესცურეთ
თუ მკითა ვერ გაგაკვირვოთ
ლეჩაქები დაგეახურეთ.

ჰოოპუნა, აეხე, აეხე!
ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე;
და, თუ შენ მკაში ჩამოგერჩე,
ქალაჩუნა დამიძახე.

ჰოპ, ჰოპ! ჰერი, ჰერი
ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი,

ნამგლებით გარს შემოვერტყათ,
დავიჭიროთ პურის მტერი.

მეთაურო, ბარაქალა!

ხომ ნახე აწ ჩვენი ძალა?

აქამდის სრულად მოვმკიდით,

ნამგალმა აღარ გეცალა!

ნელა, ბიჭო! აწ კი კმარა.

ჰხედავ? მზემაც გაღიხარა.

ჯერ რიგიანათ ვისამხროთ,

მერე მოვმკით უფრო ჩქარა.

შხვად მოვიდა წელს პური,

მაგრამ ბედს მაინც ვემღური,

რომ ამას სულ სხვა წამართმევს,

და მეკი ოფლს ტყუილათ ვლერი!

სოფლური სიმღერა. *)

აგრე იარე მცხეთამდინ, მცხეთას კი გაგივადება,
წიგნები არ დასველო, ბატონი გაგიჯავრდება;
შველი და პური თან მიგაქვს, წყალიც არ შემოგაკლდება,
სავარცხელი უბეში გაქვს, წვერიც არ დაგიხავსდება;
ბატონის კარზედ რომ მიხვალ, ნაზირი კარზედ დაგხვდება,
წვერზედ ხელი ჩამოისვი, გულზედ კარგათ დაგადგება;
ნაზირი შენ კარგად გიცნობს, დარბაზში ის შეგიძღვება,
ჯოხი შინ არ შეიტანო, დიდი სირცხვილი იქნება;
ბატონი რომ დაინახო, მოახსენე გამარჯვება,
მიდი და მუხლზედ აკოცე, ბატონი გაგიღიმდება;
არ იცი მეფის ღიმილი, ხალხში როგორ დაფასდება?

*) არაგველთ შეთვლა მეფე ირაკლისადმი; როდესაც ალა მაჰმად-
ხან შემოაღვა ოფლისს, არაგვში ჩაადგნო მოციქული, რომ ვითომ
უფრო ჩქარა მივიდოდა, და ეს უმღერესო . . .

მის წინ კი არ ჩაახველო, ბატონს როდი იამება;
მოახსენე შენებურად, რაც რომ ჩვენგან გებარება,
მოახსენე, არაგველთა, აქვსთ, მეფევ შენთან ვედრება:
სიბერემ არ შეგაშინოს, არ ილო ქვეყნის ყვედრება,
ხმალი კიდევ მოიქნიე, მოხუცს კიდევ მოგიხდება;
თუში, ფშავი და ხევსური შენ სულ თავ შემოგვევლება,
შავერდნებსავეთ დავესხათ და ხოჯა ¹⁾ შეგვიშინდება;
თუ ჩვენზედ ღმერთია მწყრალი, თათრობა გადმოვარდება;
თუ შენი კარგი ქალაქი უსჯულოთგან აოხრდება,
მაშინვე ჩვენსკენ მოგემართე, მთის ხალხი გაგიმაგრდება;
თუში, ფშავი და არაგვი შენ სულ თავსა გენაცვლება,
მანამ ცოცხალი იქნები, არაგვი გემსახურება;
შენ შემდგომ საქართველოში, ენახოთ, ვინ გაირაკლდება.

მართია კაცი.

მართია კაცი ბუნებისათვის,
მზიდარი, გლახა, დიდი, პატარა,
რა ღლით ის წუთას ცხოვრებისათვის,
ქვეყნად მოვიდა და დამყარა.

მათზედ განაგებს ერთ გვარ ბუნება,
მრთ გვარად უსვამს იგი მათ ცელოსა,
და ისე სული დიდ კაცსა ჰხდება,
როგორც მის მსახურს უკანასკნელსა!

ჟეაველი.

ჟეაველი მხმარი, სუნ მიღებული,
წიგნს იღვა სრულად დავიწყებული,
მისმა დანახვამ მყისად აღმივისო.
მიმოგონებით გული ვნებულსო.

¹⁾ ხოჯას აღამახმადხანს ეძახდნენ.

ნეტარ ეს მდელი სად ყვაეებულა,
დიდხანაც შლილა, როდის მოსთლილა,
შცხო, თუ მცნობის ვისიმე ხელით,
და რას მიხეზით აქ შთადებულა?

საგონად ტკბილის ერთათ შეყრისა,
თუ ნიშნად მწარის მოშორებისა,
თუ მყუდრო ველთა და გრილთ ტყეთ შინა,
სახსოვრად მართო რონინებისა.

ნეტა არიან სადმე ცოცხალი,
ამის მომწყვეტი კაცი და ქალი?
თუ გლახ ისინიც ესრეთვე მჰქნარან,
როგორც ეს მდელი არის მიმქრალი.

ჩჩვილი.

მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩჩვილის ყრმის;
მიყვარს სმენა უცნაურის მისის ხმის,
მდეს იგი ენითა სასუფეველის
შალერსებს წიაღთა თვისის მშობლის!

მის სოფელი უზრუნველობით შენობს:
ბარდა დედის აღერსისა არას გრძნობს,
ნებიერობით და ღიმილით სულდგმულობს,
შოველსავე შეუპოვრად მჭერეტელობს.

არა ფიქრობს იგი თავის ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთროს ენებას,
იგი თავის საწუკველითა შობით
ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით.

იტტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტტიკტიკე, ვიდრე დარი გიდარის,
შიდრემდის ხარ, ყრმაო, თივის უფალი,
არ გიცნია სოფელი მომქდერალი.

მძინარე ჟამაწვილს.

ღმერთო!.. აკურთხე ამ ყრმისა ძალნი,
ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე;
აღუხვენი ხედვად მშიშარნი თვალნი,
ტანჯვის ნუგეში მას შთააგონე.

ღმერთო!.. მოჰმადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე მაგას ძლიერი სული;
რათა შეიქმნას თვისის ერისა
მოძმე ერთგული და მოყვარული.

ღმერთო!.. თან ზღვედე უსუსურ ბავშვსა,
რომ ღღენი მაგას არ დაებინდოს,
მიდრემდის ტანჯვის ცრემლი თვის ხალხსა
სოტათი მაინც მან არ მოჰსწმინდოს!..

მამულის სიყვარული.

ჟამაწვილო იყავ უცვლელათ
ერთგული შენის ქვეყნისა,—

იქა ხარ დაბადებული
და იქვე ჩახვალ საფლავსა!

ისა გზდის, გივლის, გაატრონობს,
ბისტუმრებს შორის გზაზედა,

სიკვილის შემდგომ მშობლურათ
ის მიგისვენებს გულზედა.

შერსადა მთელსა ხმელეთზედ

შერ ჰპოვებ ისრეთ აღგილსა,

სადაც ნახვედე აღერსა

და სიყვარულსა ამ გვარსა.

ჟამაწვილო იყავ უცვლელათ

ერთგული შენის ქვეყნისა!

აქ გმირულათა ჩაღვრილა

სისხლი მამა და პაპისა.
აუარებლათ ტრიალებს
მის ხსოვნა ჩვენსა მამულში,
ვითა მნათობი ვარსკვლავი
ბნელათ მოფენილს ღამეში.
საუკეთესო მოძმენი,
მშვენება ჩვენის ქვეყნისა,
სისხლის ბრძოლის ველ უშიშრათ
შენთვის ჩასულან საფლავსა.
ჰოი სამშობლოვ! რამდენი
ტანჯვა გინახავს ბედისგან
და შერყეულხარ ძირამდის
უზომოთ მძლავრის მტერისგან.
მაშ შენ ყმაწვილო იყავი
ერთგული შენის ქვეყნისა:
იქა ხარ დაბადებული
და იქვე ჩახვალ საფლავსა.

მეფე ერეკლე მეორის ბლოვა.

აღსდევ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია,
ბრძოლად ძილსა ჩვეულ როდის ხარ, მიგვიხმე უნჯნი ყმანია;
არ გნახოს მტერმან დაბუნად, ვსდევნოთ ვაკვეცნეთ თმანია,
პარ ბრძოლად მათდა მოსრულნი, ზოგთაგან ოთხნი ძმანია.

ბაშალე დროშა მძლეველი, წვერ მახვი მტერთა ზარია,
მოყმეთა ნახონ ფრიალნი, მუნ მოსქდეს მთა და ბარია;
ქუხდეს მაჟარი შაშხანა, ცით ზეცის მეხის გვარია,
ბაეფანტოთ მტერნი ჩვეულად, ვასვათ სასმელი მწარია.

ბანიფრთხე ძილი, აღსდევი, შთაიცვ წვრილ-თვალა რკინისა,
აღილე ხელთა მაჟარი, მტერთა გამბნევი ტვინისა;
წინ მივალთ შენნი მეჭვრენი, ვითა მეგონნი ლხინისა,
შევსვამთ სისხლსაცა მტერთასა, უტკბეს კახეთის ღვინისა,

მტერს წინ წარვიქცევთ ღია ცეცხლს, უკან იხედნენ ველარა. შოვლ-თვის ყოფილა ეს ესრეთ, ვინ შენზედ დაიკვებარა; წარუღებთ სრულად საუნჯეთ, მთად ვჰგზავნით ღია ცეცხლს ეხარა, არ განიღვიძებ, ბატონო, მოყმეთა რამც გაეხარა.

აღვიღოთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, ვასმინოთ ჩაჩქანთ ჩხერანი, ღვესხდეთ დაფიწყოთ ღრეობა, უყვარდის ჩვენნი მღერანი; ცხენი მზად უდგას გმირთ-გმირსა, კაზმული ტურფად მერანი, არ განიღვიძებ მოსრულ-არს ბედისა ჩვენის წერანი.

მეფე მრეკლე ჰსცოცხლებდინ აწცა და უკუნისამდე, მტერთა თავ-მტეხი მენისა, მოყმეთა მცველი აქამდე; აწ სძინავს ბრძოლით მაშერალსა და განიღვიძებს ღილამდე, თუ სადმე წარვალს წარგვიყვანს, არღა გაგვიშვებს შინამდე.

ბათენდა ღილა, ბატონო, დრო არის მტერთა დასხმისა, აღკაზმა ცხენთა და ჯართა და მათი აღვირ ასხმისა; ქვეთა თავ-მკლაფთა მტერთასა და სისხლის ველად დასხმისა, შბრძანე ბუკთა ტკრციალი, ბანაკით ჯართა განსხმისა.

მხეცა აღმოხდა ქვეყანად, მაგრა ჩვენთვის კი ბნელია, თუ შენ არ განახავთ კაზმულსა, ჩვენი შინ წარსვლა ძნელია; არ ჩვენ ვჰსცრემლეობთ მარტონი, ჰსტირს შენთვის მთა და ველია,

ღველევწნეთ, ძმანო, ფარ-ხმალნი, რადღა გვეყრების ხელია.

მიგლიჯნეთ, თმა და უღვაშნი, თავშიგან ვიცეთ ლოდებით მირულებია ნეტარსა, წარსულ-არს ღვთისა წოდებით; შევბღაველოთ ცრემლთა ფრქვევითა, თუმცა ისმინოს გოდებით, აწ წარხდა ჩვენი ცხოვრება, გულითაც დავიკოდებით.

რადღამე გვეიდავენ ფარ-ხმალნი, უმისოდ ცუდი ბარგია, ღამიწდნენ თოფნი და შუბნი, მიწათ შესჭამნეს კარგია; იგი არა გვეყავს საჭვრეტლად, სხვა ვილა ესძებნეთ ვარგია, ჰე წარხდი ჩვენო ნუგეშო, დიდება დაგვეკარგია.

წარვიდეთ პირთა ხოკითა, სახლთა მიუთხრათ გლოვანი, მაგლოვნეთ მთანი და კლდენი, დავობლით ჩაღმა წოვანი; ჩვენთანა ფშავნი ხევსურნი, ყრმანი ჭაბუკნი მხცოვარნი, ნუ შეგვეშრინ ცრემლნი ვ ვალთაგან და გულთა მისი ხსოვანი!

დაშთნენ მას ძენი ძის ძენი, მათსა ვიტყოდეთ ქებასა,
ზმირნი მამაცად აღზრდილნი, ჰყოფენ კეთილსა ძმობასა;
მტერთა მისცემენ პასუხსა, მოყმეთა თანა-ხმობასა,
აწ-ლა გამოვსცნათ მოძმენო, ვინმცა იქმს ერეკლობასა.

რამდენიმე სურათი უახალის ცხოვრებიდამ.

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი.
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
პლაზნის ველზედ წამოიხარა.
ლამის გუშაგი, მუღამ მკმუნავე
მთვარე, მეფურად მძლავრად ვიღოდა;
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იშის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მღუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ;
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
მელს მშვენიერსა ჩაჰსძინებოდა;
მხოლოდ ნიავე მთისა მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლანჯლანდარობდა,
და პლაზანი შეუპოვარი
ჩიოდა თითქო კაცს ემღუროდა:
მის ბუტბუტს მარტო მთავი მღუმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.
ჰველას ეძინა, დღით ფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა! . . .
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მას ზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაღულუნებდა.

ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნალევლს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუჰყრის კიდევ, ვით ღრუბელს ქარი.

შიდის ურები და უეცრათა
შილამაც ტყილამ ასკუჰა ცხენი,
მოვარდა იგი ურემს მედგრათა,
მჭმუნვარე სახის ამაყად მჩენი.

— მერ მიმასწავლებ ძუდი-გორის გზას?
ჰკითხა თამაჰად მან მეურემსა.

— რატომ ვერ, ძამო! აგერ აიმ მთას
მარჯვენე აუხვევ და გახვალ ხევსა,
მრთი საურმე გზა დაგხვდება;
იმ გზას დაადექ, წადი, - და როცა
ცხვირ წამოწვდილი მთა შეგეყრება,
ის მთა იქნება ძუდი-გორაცა.
იქ რა გინდა შენ? ჰკითხა მან ბოლოს,
როს გაათავა გზისა სწავლება;

— იქ საურხე, ძამო, არ დაგემართოს
ბლაქიაშვილი იქ იმყოფება.
მე როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი,
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,
მაგრამ მაინც, თუ გებრალვის თავი,
ბლაქიაშვილს ნუ დაენახვები,
ნურც დაანახვებ შენს ქურან ცხენსა,
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა!
მალთა, როგორც ხირიმის ტყვია,
და ტყვიასავით დაუნდობელი;
თუ სისხლი მართებს, ისა სჯობთა,
შეარჩინო და აიღო ხელი.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს!... მეც იმას ვეძებ,
მეც მისებ, ძამო, მიღრინავს გული;

როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,
ამ დღიდან თავზედ ხელაღებული!

და რა სთქვა ესა, მოხდენით ცხენი
მოსხლიტა უცემ ლაზათიანმა;
ბაფრინდა ცხენით, ვით შავარდენი,
და მის ფეხის-ხმას ხმა მოჰსცა მთამა.

თითქო შენატრდა იმას მეურმე,
„ახ, ნეტავი შენ!“ წაიღულუნა
და, გაიქნია რა თავი მერმე
შურით, ხარს შოლტი გაუტყლაშუნა,
და მერმე ისევე უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღულუნა.

ტული-გორასთან ერთი ტყე არი,—
უწინ ყაჩაღის იყო საფარი,—
საშიში, ბნელი, გულდახურული,
შეუვალი და წამობურული.
იქა სცხოვრებდა ბლაქიაშვილი
ქაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი.

მთვარე ჩასული იყო დიდხნისა,
როცა იმ ტყეში ერთ ხის-ძირასა
შრთბილად ეძინა ბლაქიაშვილსა,
ბედისგან მწარედ განაწირალსა.
მის შორი ახლო ლამაზი ცხენი
კაზმმოუხდელი ჰსძოვდა ბალახსა,
და მას ფოთოლნიც მოშრიალენი
ხშირად უფთხოვდნენ მოსვენებასა;
შეცრად შეკრთა, აცქეიტა ყურნი,
თავი აიღო და გაიხედა;
მერმე ტრიალით მოჰყვა ფრუტუნნი
და ერთს ალაგსა ზედ დააცქერდა;
დიდხანს უცქერდა, და რა მოესმა
თავისი მოძმის ცხენის ფეხის-ხმა.

ვერ მოითმინა, დაიხეიხეინა
და პატრონს ძილი გაათხოვინა.
წამოხტა ძაკო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა,
და, რა იხილა მხედარი ველზე,
შეჰკივლა: „მითხარ, ვინა ხარ 'შენა?'
რისთვის მოსულხარ, - მოყვრად, თუ მტრათა?“,
მხედარი.

მოყვრად გულფიცხო, იყავ მშვიდათა.

ძაკო.

თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარჯობა!
ქეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

მხედარი.

ამინ!... შენ არ ხარ ბლაჭიაშვილი!

ძაკო.

ღიახ, გახლავარ!... რა გნებას შენა?

მხედარი.

შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი,
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა.

ძაკო.

მომწონს ეგ სიტყვა!... შენც მომეწონე
და ამისთვისა გენდობი შენა.

მხედარი.

ბუღს გული იცნობს და ღონეს-ღონე,
მენდე გაგიყო ჭირი და ღხენა.

ძაკო.

ხოშ-გელდი, ძამო!... მე ვარ მდიდარი,
ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა;
ბაშლითა არის ჩემი სახლ-კარი,
და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა.

ჟოველ ხის ძირსა ჩემი სახლია,
სადაც ღამდება, იქ მითენდება;
თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია,
მაგრამ აქ ჭირიც მიაღვილდება:
უსახლკარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
ჟურღლელსაეთა ფხიზელი ძილი
და იარაღი დღე-ღამე ხელში!...
მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასალონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!...
მე თანა მყევანან რკინისა ძმები:
ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი,—
არ მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები,
მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი:
ეს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზღბილა
მოუღრეკია, როგორც რომ ჟინი;
ჩემთან საფთხეში ბევრჯელ ყოფილა,
ზამოუვლია ჭირი და ლხინი.
ამათ მივანდე ჩემი ცხოვრება!
არა იყრიან გულსა ჩემზედა,
და ძაკოც ისე არ გაძუნწდება,
რომ არ დააკედეს ერთგულებს ზედა.
ჩემი სიმდიდრე აი ეს არი! ...
ჩემს სამეფოში არ არის გმობა,
თუმცა ორგულთან ვარ დაუნდობარი,
მაგრამ ერთგულთან მე ვიცი ძმობა.
ჩამოხედ, ბინას გაჩვენებ, წამო!
ღარიბულათა მე დაგიხვდები,
და ნუ დამძრახამ ყაჩაღსა, ძამო,
თუ მასპინძლად ვერ მოგეწონები.

მხედარი მყისვე გადმოხტა მარდად
და წამოჰყარა აღვირი ცხენსა,
ჩამოუჭიმა ყურები მაგრად
და თვალზედ მზრუნველს უსვამდა ხელსა;
მოსხნა ნაბადი, ჩაკრული უკან,
ხურჯინიც საესე გადმოილო მან,
მერე გადაჰკრა ხელი გაეაზე.
და მყის გააგდო ცხენი ბალახზედ:
შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი,
საკოს პირდაპირ დადგა მღუმარი,
მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს,
და მოეწონენ ორნივე ერთმანეთს.
მივიდნენ წყნარად და ხის-ძირს დასხდნენ,
მღუმარედ იყვნენ ორნივე დიდ ხანად,
ერთმანეთს თითქო კიდევ შინჯავდნენ,
ბოლოს კი საკომ უთხრა თამამად:
„მიცი მე, ძამო, არ გამიწყურები
და არ დამძრახამ მეტ კითხვისთუნია:
მითხარ, საილამ გეცნაურები?
ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა?“

მხედარი.

შენი გაცნობა არ არის ძნელი,
ამაზედ რალა ვილაპარაკო,
შორს გავარდნილა შენი სახელი,
ბაეშმაც კი იცის, ვინ არის „საკო!“
შეწზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქვებს;
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შეილიშვილებს.
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
ბამოქცევიხარ უსამართლობას;

ამბობენ თურმე გიყვარს გლებკაცი,
ბარაქ-ლა მაგ გულკეთილობას! . . .
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
მე ვერაფერი სიყვარულია;
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
მინც ბედისაგან დაჩაგრულია!
მართო არსენას, თუ განსოვს შენა,
ბლებ კაცი, როგორც ძმა, ჰყვარებია,
ბლებ კაცის ბედი, ჭირი და ლხენა
შვილსაფით კალთით უტარებია.
აბა კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ხურებია;
ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია! . . .
მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
ქსლანდელ დედამ ველარ გაზარდოს. . .
ჯე არ მენახე, მაგრამ გიცნობდი,
შენი ცხოვრება მენატრებოდა,
შენთან წამოსვლას ბევრჯელ ვფიქროდი,
მაგრამ სახლ-კარი მენანებოდა.
ბოლოს კი, ძამო, ღამიწყრა ღმერთი,
ღამიტრიალდა უკულმა ბედი! . . .
ჟური მომიგდე, გეტყვი ყველაფერს,
რაც გადამკიდა მწუხარებამა,
და როგორც ბოლოს ბედის მადრიელს,
გზა დამიხლართა ბედის წერამა!

ოორმეტის წლისა მაშინ ვიყავით
როცა ბატონმა სახლს მომაშორა;
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლკარიდგან გამაგდეს შორა;
ჯერ კი დავლონდი, დაჩაგრდა გული;
ჟოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა,

სხვები ლხინობდნენ, და მე კი ლულო
ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა:

პატარა ჩემი ამხანაგები

ჩემ გულჩვილობას იქ დასცინოდნენ,

დავიწყებოდათ თავის დარდები,

როცა ისინი ჩემებრ ტიროდნენ!...

მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა,—

ჩემს ამხანაგებს გავექცეოდი,

მივუჯდებოდი ერთ ბუჩქის-ძირსა,

და იქ მარტოკა დიდხან ვტიროდი.

შაგრამ ღრუბელმა გადიარა,

თან გადიტანი ჩემი ნალღველი,

პატარა გულმან გამოიღარა

და შეუბრუნა ნალღველსა ხელი;

ჩემ ყოფას მალე შევეჩვიე მე,

ჰიდევ ვლხინობდი, კიდევ მღერობდი;

ჩემ სახლკარზედა არც დღე, არც ღამე

ალარ ვფიქრობდი, — არ ვლონდებოდი.

ძამო! რა ტკბილად, რა უდარდელად

ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ?

პრარა მქონდა იქ სატანჯველად,

ჩემი მოძმენი არ მაძალებდნენ.

ძროხას ვუვლიდიო ჩვენ ერთგულათა,

შავიზიარეთ ყველამა საქმე,

და რიგრიგითა ყველა ძმურათა

შყარაულობლით ძროხასა ღამე.

რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა

და გაეკვროდა ვარსკლავი ცასა,

ბაშლოლი ძროხა მოგროვდებოდა

და დავიწყობლით ყველანი თელასა;

და დაეზამლით რაკი ძროხასა,

ტყის-პირს ერთ დიდ ცეცხლს გავაჩაღებლით.

და შოვიტანლით ჩვენ-ჩვენ საგზალსა,

ცეცხლსა გარშამო მოუსხდებოდიტ;
ჩეენი ხუმრობა, მღერა, სიცილი
ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხოზდა;
მოგვერეოდა თუ მერე ძილა,
მრთი ჩეეგანი ზღაპარს იტყოდა.

ჩაკი მტრედისფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა,
მედროხე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფთხოზდა,
აეიშლებოდიტ,-და ჩეენი ხმითა
მკედარი მთა, ბარი გაცოცხლდებოდა;
და თავის ძროხას ყველა ზღაზნვითა
ასაშეებლათა მიესეგოდა:

ზოგი აჟ მიდის თეჭამოსხმული
და მიიფშენეტაეს ზარმაცათ თვალსა,
ზოგი იქ მიმღერს დაღონებული
და ერეკება თავის ძროხასა;
და ერთ წუთს უკან ძროხა ბღავილით
ბაიშლებოდა ფართო მინდორზედ!
და ჩეენ კი ხტომით, მღერით, ძახილით
მოვეგროვდებოდიტ მთის ციე წყაროზედ:
პირს დავიბანდიტ, ძილს დავიფთხოზდიტ;
მხტოდიტ, ვიძახდიტ, ელაჟლან დარობდიტ,
და ზეზეურად დავნაყრდებოდიტ,
მერმე ემართამდიტ თამაშობასა,
ხან ქეას ვისროდიტ, ხან ბურთსა მაღლა;
და შუადღისა გოღვისა ჟამსა
ჩამოვრეკამდიტ ძროხასა დაბლა:
აღაზანშია ვყრიდიტ ძროხასა,
თან ჩავეყებოდიტ უკანა ჩეენა.
ბევრიც სხვა ახსოვს ჩემს ბიჭობასა,
მაგრამ სად არის ახლც ის ლხენა?! . . .

სალამოს ჟამზედ ისევ იმ რიგად
ცეცხლსა ანთებულს მოეუსხდებოდათ
და ისევ ზღაპარს გლახურს მარიგად
თითოს მაინცა ყველა ვიტყოდით.

ის ზღაპრები მე გულს მილონებდნენ
და აქამდინა დამრჩნენ ხსოვაში,
ძველებურ დროსა შემაყვარებდნენ
იმ ჩემ მხიარულ ყმაწვილობაში;
მე, მარტო ერთი იმ ზღაპრებშია
ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მალონებდა, ხან მომალხენდა.

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.

მგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით გამეზღებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა;
მგრეთ მინდორზედ, ძამო, ვყვავოდი,
ჩემს ბიჭობაში შეუპოვარი,
ჩემს სახლკარზედა არა ედარდობდი
შინაურობის არ მქონდა ჯავრი!
მე ჯერეთ ვიყავ პაწაწკინტელა
და მადრიელი ჩემ კეთილ დღისა;
და მე მეგონა რომ ჩემებ ყველა
მადრიელია თავის ბედისა.

.

შენიშვნა: წებელდიდგან წარსულ წელს მცხოვრებლები გადუსახლებიათ ოსმალეთში. მაშა სადამე ამ წიგნში რაც წებელდაზე ნათქვამია წარსულს ეკუთვნის.

შმთავრესი შმტომანი.

ზევრდი.	სტრიქონი.	ღაბეჭდილი.	უნდა იყოს.
12	2	კველების	კვლების
—	—	აქთ	აქეთ.
30	9 ქვევ.	გცხრებული	გაცხარებული
32	14.	თელები	თვლები
39	1 ქვევ	სხა	სხვა
46	6	ყვემლაზე	ყველაზე
49	8	ტყეების	ტბების
59	9	შემდგომი	შემდგომი
—	14 ქვევ.	კაცი	კაცის
—	13	ოდესნაა	ოდენაა
62	2	რომელიც	რომელსაც
63	2 ქვევ.	საქათმები	საქათმეში
65	11	დაუნდობარს	დაუნდობარს
80	9	გამოცდა	გამოცვლა
83	12	შახტა	ჩახტა
96	10	როტა	როცა
112	7	არა	რა
—	1	გამოხეტის	გამოხატვის
130	10	მწირებითა	მწერებითა
151	11	ელეკრონული	ელექტრონული
—	17	ავთ	ავათ
168	14 ქვევ.	დედამიწის	დედამიწას
174	1	აუ	არ
175	2	ტროპიკი.	ტროპიკი
—	7	ღღვა	ღღვა
179	1 ქვევ	ჩყენი	ჩყენი

—	9 ქვევ.	უფუო	უფრო
184	4	ჩვეში	ჩვენში
197	20	გატან	გატანა
122	4 ქვევ	ასენი.	ესენი.
—	3 ქვევ	რსდება.	არსდება.
203	13 ქვევ.	150,000	200,000
214	9	ადხეხილია	და ხეხილია
215	9	300,0000	330,000
229	10 და 11	საზოდოთ.	საზოგადოთ
235	11	ბალახიც,ჯერე	ბალახიც,ჯერ
—	15 ქვევ	ნაპირზედ იცის.	ნაპირზედ იცის
236	1 და 2 ქვევ	ტანსამელი,	ტანსაცმელი
239	14	ზღვით	ზღვის
240	5 ქვევ	მშრალს	მშრალი
244	7	რომელიც	რომელნიც
247	6 ქვევ	სიუზეცამ	სიუზეტამ
249	8 ქვევ	მისდევერ	მისდევენ
252	10	მიზემი	მიზეზი
257	16	განიყოფები	განიყოფება
—	9 ქვევ	ზედა	ზედ
258	3	სდულიად	სრულიად
266	9 ქვევ	ყველ	ყველა.
268	12	თაიეს	თავის
279	12 ქვევ	ამო არჩევენ	ამოარჩევენ
275	13	შედეგი	შედეგი
—	8 ქ პატრიარქი ანუ მათალიკოსი პატრიარხ-მათალიკოსი		
276	7 ქვევ	ჭუბა	ჭუბა
—	3 ქვევ	ტემირხან შურა.	თემირხან შურა
281	10 ქვევ	შერცხლი	მერცხალიც
289	9 ქვევ	ვარ	ვართ
292	5	ურეში	ურემი
293	4	უცემ	უცებ
297	16	ჯე არ	ჯერ არ
298	12	გადიტანი	გადიტანა

894.63

3 591